მერაბ ვაჩნაძე

ისტორიკოსის ჩანაწერები

ნაწილი მეორე
(1994-2000 წლები)

თბილისი 2008

წინამდებარე წიგნი „ისტორიკოსის ჩანაწერები“ (1994-2000 წწ.) წარმოადგენს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. მერაბ ვაჩნაძის წიგნის „ისტორიკოსის ჩანაწერები“ (1989-1993 წწ.) გაგრძელებას. წიგნში აღწერილი მოვლენების თვითმხილველი ავტორი უმეტესწილად წარმოგვიდგენს მოვლენების მისეულ შეფასებას. წიგნში მოცემულია 1994-2000 წლებში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება. ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის და სხვა პოლიტიკოსთა შეფასებისას ავტორი მაქსიმალურად ობიექტურია, არ იჩენს მიკერძოებას. პროფ. მერაბ ვაჩნაძე პირველი წიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ წინა წლებში გამოთქმულ ზოგიერთ შეფასებებს ამჟამად, არ იზიარებს, მაგრამ ჩანაწერები ქვეყნდება უცვლელად, როგორც დაიწერა თავის დროზე. ავტორს მომზადებული აქვს და შეძლებისდაგვარად მალე დაიბეჭდება მესამე წიგნი, რომელიც მოიცავს 2001-2003 წწ.

რედაქტორი პროფესორი ვახტანგ გურული

ავტორის წინათქმა

ამ ჩანაწერების გაკეთება 1989 წლის აპრილის დასაწყისში მთხოვა შესანიშნავმა ქართველმა ისტორიკოსმა, პროფესორმა **უშანგი სიდამონიძემ**. ამ პერიოდში მე, როგორც ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, უნივერსიტეტში მომხდარი მოვლენების მომსწრე ვიყავი. ცნობილია, რომ 1989 წლის აპრილის მოვლენებში განსაკუთრებულ როლს სწორედ ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები თამაშობდნენ. პროფესორმა უშანგი სიდამონიძემ მთხოვა, რომ ჩანაწერები გამეკეთებინა იმავე დღეს, როგორც კი უნივერსიტეტში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდებოდა. სხვათა შორის, ბატონმა უშანგიმ სინანულით აღნიშნა, რომ 1956 წლის 9 მარტის შესახებ ჩანაწერები მხოლოდ პროფესორ ნოდარ ნათაძეს ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ცხელ კვალზე გაკეთებული ჩანაწერები ძალზე ემოციურია. ბევრ მოვლენას, მოვლენათა მონაწილე ადამიანების (ბევრი მათგანი შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახდა) პოზიციას დღეს შეიძლება სხვაგვარად ვაფასებ. მიუხედავად ამისა, შინაარსისა და სტილის შეუცვლელად ვაქვეყნებ მაშინდელ ჩანაწერებს. ამასთან, ბოდიშს ვუხდი ბევრ უნივერსიტეტელსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, მე ვწერდი მხოლოდ და მხოლოდ იმას, რასაც ვფიქრობდი იმხანად.

პროფესორი მერაბ ვაჩნაძე

19 დეკემბერი, 2008 წელი

1994 წელი



უწმიდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

20 თებერვალი

გუშინ გაკვირვებული ვიყავი და ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ნუთუ ყველაფერი დავკარგეთ – სინდისი, ნამუსი, ანდა სისხლი გაგვეყინა და აღარა გვაქვს თავმოყვარეობა. გვაქვს თუ არა უფლება ვინოდებოდეთ ერად. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან – მოვუსმინე გადაცემა „მაცნეს" (როგორც უკვე აღვნიშნე, შუქი უნდა მოდიოდეს ღამის 22-დან 1 საათამდე, მაგრამ მოდის ნახევარი საათით, მ. ვ.), სადაც დიქტორი გვატყობინებს, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა და გადამთიელებმა გალის რაიონში დახვრიტეს ათასამდე ადამიანი, რამდენიმე ხნის შემდეგ გადაცემაში ჩართეს რეკლამები, სადაც გასართობად გვეპატიჟებიან – ინდოეთში, სინგაპურში, კანარის კუნძულებზე, ერთი საგზური 1900 დოლარი ღირს და ა. შ. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ეს არის აბუჩად აგდება იმ დაღუპულთა და მათი ათასობით ნათესავისა? სულ უბრალო მაგალითს გავიხსენებ, როდესაც 1989 წლის 9 აპრილს 14 ადამიანი დაიღუპა, მთელი საქართველო ტიროდა და გლოვის დღე გამოცხადდა. ახლა ათასი კაცი დახვრიტეს და ვითომც არაფერი, ნუთუ ერთი დღე მაინც არ უნდა გამოეცხადებინათ გლოვის დღედ და დაენახვებინათ მათი ახლობლებისთვის, რომ საქართველო მათთან არის. საქართველოში მძვინვარებს შიმშილობა და, რაც მთავარია, უნივერსიტეტის პროფესურა შიმშილობის ზღვარზე კი არ არის, არამედ დიდი ხანია შიმშილობს. სწორად მითხრა ქ-მა მარიკა ლორთქიფანიძემ, მეტი რაღა გავაკეთო, გავხდი პროფესორი, აკადემიკოსი და ძალა რომ არ მქონდა, ფეხით მოვსულიყავი უნივერსიტეტში, ავტობუსში ჩავჯექი, რომელიც კომერციული აღმოჩნდა და ბილეთის ფასი 20 000 კუპონი იყო, მე მხოლოდ 10 000 კუპონი მქონდაო. დღეს უნივერსიტეტში აკადემიკოსის და პროფესორის ხელფასი გახლავს 100 000 კუპონი, ე. ი. პროფესორს შეუძლია თავისი ხელფასით ხუთჯერ ჩაჯდეს ასეთ კომერციულ ავტობუსში (ტაქსზე ხომ ფიქრიც არ შეუძლია, მ. ვ.) და გათავდა მისი ხელფასი, არც ჭამა უნდა და არც ჩაცმა. „საქართველოს რესპუბლიკაში" მეოთხე გვერდზე გამოქვეყნდა სტატია „ზვიად გამსახურდიას ნეშტი გროზნოში გადაასვენეს". ზუსტად ერთი გვერდით წინ არის ჰეტმარ აბაიშვილის (ეტყობა ფსევდონიმია – მ. ვ.) სტატია „ზვიადიზმი" თუ პროვინციული ფაშიზმი". მე არ ვეხები ამ სტატიის შინაარსს, საქმე ისაა, რომ ქართველებს ყოველთვის დიდსულოვნება ახასიათებდათ და მტერსაც კი პატივს მიაგებდნენ. სულ უბრალოდ, ქართველობას რომ თავი დავანებოთ, ქრისტიანები ვართ, ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ დაეცადათ, დაესაფლავებინათ გამსახურდია და მერე დაენერათ ეს სტატია, მით უმეტეს, როცა ამ ორ სტატიას აქვეყნებ ერთ გაზეთში. ჩვენი ქვეყანა 179-ე წევრი გახდა გაეროსი, მაგრამ პოპულარობით გავასწარით 170 ქვეყანას, ჩვენ შევდივართ იმ ცხრა სახელმწიფოს სიაში, რომელთაც ყოველდღე აჩვენებენ მსოფლიო საინფორმაციო გადაცემებში, სადაც ხოცავენ ერთმანეთს, არის გაუთავებელი ყაჩაღობა, შიმშილი, დიქტატურა და ა. შ. ეს ქვეყნებია – ბოსნია-ჰერცოგოვინა, სომალი, ტაჯიკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ერაყი, ჩრდილოეთ კორეა, კუბა, ავღანეთი. ჩვენ ხან პირველს გვაჩვენებენ, ხან მეხუთეს, მაგრამ ხუთეულში ამჟამად მყარად დავიმკვიდრეთ ადგილი. ხომ გვაქვს სატრაბახო, აბა ის 170 ქვეყანა არავის ახსოვს, მაგ. დანია, ნორვეგია, ჰოლანდია – ამ „საწყალ" ქვეყნებში ხალხი ნეტავ რას აკეთებს? ნეტავ რა ცხოვრება აქვთ, როცა არაფერი ენატრებათ, არც გათბობა, არც ტელევიზია და ჩასაცმელი – სულ ერთფეროვნებაა. ახლა იქ რომ ჩამიყვანა, ნამდვილად ველარ ვიცხოვრებ. იმას, რასაც მე ახლა ვწერ, ბევრი თაობა ველარ მოესწრება, საწყალი ჩემი შვილიშვილი, როცა ჩემ ჩანაწერებს ნაიკითხავს, იტყვის, რა რომანტიკულ პერიოდში უცხოვრია ბაბუასო.

21 თებერვალი

გაზ. „კავკასიონში" (18 თებერვალი) არის ინტერვიუ გია ყარყარაშვილთან.

კორ. – „ბატონო გია, თქვენმა განცხადებამ გადადგომის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რით იყო განპირობებული თქვენი ეს ნაბიჯი?"

გ. ყ. – „გადადგომის ძირითადი მიზეზი, ალათ, ის არის, რომ ამ ეტაპზე თანამდებობაზე აჭირო არა ვარ“.

აბსოლუტურად სწორად პასუხობს, რადგან ,დრე ვწერდი, რომ ამ მთავრობაში მისი მუშაობა არაფრით არ შეიძლებოდა და, ჩემი აზრით, ,ირცხვილიც იყო. როგორ შეიძლებოდა გიას უფროსები ყოფილიყვნენ ფაცაცია და მარგიანი, მართლა სასაცილოა (მ. ე.).

კორ. – „გარკვეულ მითქმა-მოთქმას იწვევს თქვენი ურთიერთობა სახელმწიფოს მეთაურთან. პირდაპირ შეგეკითხებით, ხართ თუ არა მზად, რომ ედუარდ შევარდნაძესაც ისევე დაუდგეთ გვერდით, როგორც ეს 15 სექტემბერს, ე. ი. მისი გადადგომის დღეს, გააკეთეთ.“

გ. ყ. – „დიახ, პირადად მეც მინდოდა შევარდნაძისთვის მხარდაჭერა, მაგრამ ის ისეთ ხალხს ირჩევს, რომლებიც ღუპავენ საქართველოს და მე მათ გვერდით ვერ დავდგებოდი.“

ჩემი აზრით, გია სწორად პასუხობს. დიახ, პირადად მეც მინდოდა შევარდნაძისათვის მხარდაჭერა, მაგრამ ის ისეთ ხალხს ირჩევს, რომლებიც ღუპავენ საქართველოს და მე მათ გვერდით ვერ დავდგებოდი (მ. ე.).

კორ. – „რას აპირებთ მომავალში“?

გ. ყ. – „დასვენებას, თუმცა ჩემი დასვენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაქარწყლდება ის ჭორები, რომლებსაც ჩემზე ავრცელებენ, მაგ. ჭორი, რომ ნარკომანი ვარ, რომ აფხაზეთი მე გავყიდე და ა. შ. ისე კი მშვიდობიან და წყნარ ცხოვრებას ვაპირებ, მაგრამ ვიმეორებ, თუ ამის საშუალება არ მომეცა და კვლავ აგორდა ჭორები და ამ ჭორებს გამოიყენებენ საინფორმაციო საშუალებები, მაშინ მე მომავლის გეგმებს შევცვლი“.

სწორედ დღეს აცხადდა, რაზეც გია საუბრობდა. კერძოდ, ჭორების შესახებ. დილით უნივერსიტეტში მოვიდა ნასვამი დევი კაჭარავა[1] და ხალხს უყვებოდა, რომ შევარდნაძემ დაიჭირა გიას მამა ნოდარ ყარყარაშვილი. ძალიან გავბრაზდი; გამოვჩნდი კორიდორში და ვუთხარი, რომ ნუ ყვებოდა ჭორს, რადგან იმ კაცს ცუდი არაფერი გაუკეთებია და დასაჭერი არაფერი აქვს და მეორეც, კაცი ომში გმირულად დაღუპული ჩვენი სტუდენტის მამაა. მე არ შევარჩენ შევარდნაძეს, რომ უმიზეზოდ დამიჭიროს მამა და ისეთი საწყალი ბარტყია გია ყარყარაშვილი, რომ ეგ შეარჩინოს შევარდნაძეს? შევარდნაძეს, მაგის თავი რომ ჰქონდეს, იმდენი ჰყავს მართლა დასაჭერი მის გვერდზე მყოფნი – აფერისტები, ბანდიტები, რომ ჯერ ისინი დაიჭიროს, მათ თანამდებობებიდანაც კი ვერ ათავისუფლებს, დაჭერაზე ვინ ფიქრობს. დევიმ ნიძლავი დამიდო 100 დოლარზე. ბევრი ნიძლავი მომიგია, მაგრამ მიპატიებია, მაგრამ ამას არ შევარჩენ, იმ ფულს წავართმევ, ვინც ესწრებოდა ყველას დავპატიჟებ და მაგას არა, მოვყვები, როგორ დავლიეთ შამპანური მისი ფულით და მერე გადაეჩვევა სისულელეების მოყოლას.

22 თებერვალი

რა არის ცხოვრება. გუშინ ღამე ვწერდი, რომ დევი კაჭარავამ ჭორი მოიტანა გოჩა და გია ყარყარაშვილების მამა დაიჭირესო, ნიძლავი დავუდე ჭორებს ავრცელებ-მეთქი და საწყალს ღამით მამა მოუკვდა, აკადემიკოსი იური კაჭარავა. ბოლო პერიოდში ბატონი იური ძალიან მძიმედ იყო ავად. დევისთან რომ მივედი მითხრა, ძალიან განვიცადეო, მეც ძალიან გული დამწყდა. იური კაჭარავა იყო კარგი კაცი და კარგი მეცნიერი. ის ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი გახლდათ. მართლა ძალიან მეწყინა. დევი მძიმედ განიცდიდა მამის გარდაცვალებას. საერთოდ, ქართველები ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ და დავანებოთ თავი ჭორების გავრცელებას, რომელიც წალეკავს საქართველოს. სამი დღეა ქალაქში არც შუქია, არც წყალი. თბილისში სიცოცხლე ჩაკვდა.

24 თებერვალი

გუშინ „იბერვიზიაზე“ იყო გადაცემა, რამაც საშინლად აღმაშფოთა. საოცარია, ამ გადაცემაში მოჰყავთ ჩრდილოეთ კავკასიაში გამოცემული გაზეთიდან საქართველოს მტრის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ გია ყარყარაშვილს 75 ათასი დოლარი მისცეს, რათა მას გაეყიდა აფ-

[1] დევი კაჭარავა უსაყვარლესი ქართველი კაცი იყო, ძალიან კარგი ისტორიკოსი, რომელიც ძალიან მიყვარდა.

ხაზეთი. რა საშინელებაა, ამას აბრალებენ ადამიანს, რომელსაც ამ ომში დაეღუპა ძმა, მეგობრები და, თურმე, ეს ყველაფერი გაუკეთებია 75 ათასი დოლარის გამო. ნეტავ, რა უბედურება გვჭირს, როგორ შეგვიძლია ჭორების დონეზე ლაფში ამოვსვაროთ საქართველოს საუკეთესო შვილები.

28 თებერვალი

თბილისი ჭორების ბუდედ გადაიქცა. ხალხი ისეთ რამეებს იგონებს, რომ კაცს თმები ყალყზე დაგიდგება. ამ დღეებში გავრცელდა ჭორები, რომ ჯაბა იოსელიანი ააფეთქეს, გია ყარყარაშვილი დაიჭირეს. გუშინწინ გავრცელდა ჭორი, რომ დაიჭირეს კიტოვანი. ამას ისე დაბეჯითებით გიყვებიან, თითქოს მონაწილეობდნენ ამ ამბებში. ამ დროს მოსკოვიდან დარეკა ტელევიზიაში კიტოვანმა და განაცხადა, აქ ვარ და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს ვხვდებიო.

ამ დღეებში მოლაპარაკება მიმდინარეობდა ჟენევაში აფხაზებთან. რა თქმა უნდა, ეს მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა. როგორც ეფიქრობდი, საქართველოს დელეგაცია აფხაზებს სთავაზობდა ფედერაციულ მოწყობას, როგორც რუსეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს. რუსეთის ფედერაცია ჩვენს დელეგაციას არ უხსენებია, მაგრამ ჯაბას წამოსცდა, რომ რუსეთის კონსტიტუცია დაგვეხმარებაო. მართლაც, რუსეთის ახალ კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი რესპუბლიკების სუვერენიტეტზე და მათ გასვლაზე ფედერაციიდან.

აფხაზებმა უარი თქვეს. ისინი ამბობენ, ვილაპარაკოთ, როგორც ორმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ და, რაც მთავარია, ფაქტობრივად, მათ კონფედერაცია უნდათ. ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთზე. შევარდნაძე 6-7 მაისს მიდის აშშ-ში, 8-9 მაისს გაიმართება გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც განიხილავენ აფხაზეთის საკითხს.

1 მარტი

დღეს პარლამენტის სხდომაზე გამოტანილ იქნა საკითხი დსთ-ში შესვლის რატიფიკაციის შესახებ. რადიოთი ვუსმენდი, დიდი შეხლა-შემოხლა იყო. იყო დედის გინებაც. ვახტანგ გოგუაძემ მოითხოვა, რომ დეპუტატს, ვინც დედა შეიგინა, დაეტოვებინა დარბაზი – არ ვიცი, რომელ დეპუტატზე იყო საუბარი. დეპუტატმა მანანა გიგინეიშვილმა ოპოზიციას ბრალი დასდო ყველა უბედურებაში. **საბოლოოდ, 124 ხმით ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა.**

აშკარად ჩანდა, რომ რუსეთის მოთხოვნით იქნა დაჩქარებული რატიფიკაცია, რადგან შევარდნაძე მიდის აშშ-ში და, ფაქტობრივად, იქ უნდა გადაწყდეს აფხაზეთში ჯარების შეყვანის საკითხი. **რუსეთი ბოლომდე არ ენდობა შევარდნაძეს, ამიტომ აიძულეს, რომ შვიდ რიცხვამდე ყოფილიყო ხელშეკრულება რატიფიცირებული.**

ჩემი აზრით, საქართველო არ უნდა მისულიყო ამ მდგომარეობამდე. დსთ-ში რომ სამოთხე არ იქნება, ჩემთვის ეს გასაგებია. დადებითი იქნება ის, რომ რუსეთი შეწყვეტს იმ ძირგამომთხრელ მოქმედებებს, რომელსაც ანარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ. ეს, ფაქტობრივად, აღიარა შევარდნაძემ დღეს თავის მოხსენებაში, როდესაც თქვა, რომ გამსახურდიას მომხრეებს აღებული ჰქონდათ წყალტუბო, თბილისში დარჩენილი იყო სამოთხი დღის პურის მარაგი და იწყებოდა სამოქალაქო ომი. ამიტომ გავფრინდი მოსკოვშიო.

მართლაც, ამის შემდეგ მდგომარეობა შემოტრიალდა. ამ ფაქტით აშკარად ჩანს, რომ რუსეთს რაც უნდა, იმას გიზამს, მით უმეტეს, როგორიც ჩვენი ქვეყანაა. რუსეთმა ბალტიისპირეთს ვერაფერი დააკლო იმიტომ, რომ ისინი ღირსნი არიან დამოუკიდებლობის, მათი ეროვნული მოძრაობა მართლაც სამაგალითოა ყველასათვის, მე ამას მშვენივრად ვხვდებოდი, ზოგიერთი კი, მახსოვს, აცხადებდა, რომ საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ გაასწრო ბალტიისპირელთა ეროვნულ მოძრაობას. შედეგი ის აღმოჩნდა, რომ სსრკ-ის რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო ცხოვრების დონით და აღმოჩნდით ბოლო ადგილზე ტაჯიკეთთან ერთად. მარ-

ელაც, საშინელებაა, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი თავის ნებით შედის ფსთ-ში, მაგრამ დღევანდელი საქართველოს ოსახლეობა უფრო მეტ გასაჭირს ვერ გადატანს. ამიტომ სხვა გამოსავალი არ არის. მთავარი ისაა, რომ აქამდე არ უნდა მივსულიყავით.

ღმერთმა ქნას, რომ ეს გამოსავალი იყოს, არა, რა თქმა უნდა, ეს არ არის გამოსავალი, გადარჩენა ჩვენ თვითონ უნდა შევძლოთ. დსთ-ში კი ხოლოდ დროებით უნდა მოვითქვათ სული.

2 მარტი

გუშინ ღამით ტელევიზიით აჩვენეს პარლამენტის სხდომის ჩანანერი. ის დეპუტატი, რომელმაც შეიგინა, იყო **ირაკლი წერეთელი.**

გაზ. „ივერია-ექსპრესში" წერია, რომ, თურმე, როცა სხდომა დამთავრდა, მიღებული გადაწყვეტილება ოპოზიციამ უკანონოდ მიიჩნია, უმრავლესობა გამყიდველად მონათლა და შევარდნაძესა და გოგუაძეს ურჩია, დეპეშა გაეგზავნათ ელცინისთვის, რომ „თბილისის თავზე ფრიალებს ნითელი დროშა".[1] ქალბატონმა ლუიზამ[2] საბჭოთა კავშირის ჰიმნი ნამოიწყო.

ჩემი აზრით, ამ სხდომის შემდეგ საბოლოოდ ჩატყდა ხიდი ეროვნულ მოძრაობასა და შევარდნაძეს შორის. ამას მოჰყვა ყველა ეროვნული პარტიის გაერთიანება და მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაც.[3]

დღეს რადიოში ვუსმენდი აკაკი ბაქრაძეს, რომელმაც სწორად აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი უბედურებაა ადამიანისთვის და ხალხისთვის, როდესაც ის სულიერად გატყდება და ის, რომ მარცხდება ომში. ერი ვერ იარსებებს, რომელიც იმაზე იფიქრებს, რომ მას მარტო არსებობა არ შეუძლია და ვინმემ უნდა უპატრონოს. როდესაც ამას ვწერდი „მაცნეში" გადმოსცეს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში შეიკრიბნენ ოპოზიციური პარტიის ლიდერები. ლუიზა შაკიაშვილმა კი მოითხოვა დემონსტრაციის ჩატარება. ძირითადად გადაწყდა ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმისათვის. გია ჭანტურიამ შევარდნაძე დებატებში გამოიწვია.

3 მარტი

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულია **გია ჭანტურიას** სტატია. მასში იგი წერს, რომ „უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხელისუფლების სტრუქტურების გაწმენდა კლანების, ბანდიტური დაჯგუფებების წარმომადგენლებისა და ნარკომანებისგან. დამნაშავეობასთან ბრძოლა უნდა ატარებდეს არა კამპანიურ ხასიათს, არამედ უნდა იყოს მიზანმიმართული და ეს ბრძოლა დაიწყოს „ზემოდან" და არა „ქვემოდან", როგორც ეს დღეს ხდება".

დღეს გაზ. „სარანგში" არის სტატია სათაურით „საქართველო გაიყიდა". „ამ შადიმანების ვინაობას ქართველი ერი ვით დაივიწყებს, ვით დაივიწყებს მათ, ოცდაათ კაცს, ვინც პირველ მარტს დილით საქართველო ჩააბარა მის ჯალათსა და ასიმილატორს".

ამ დღეებში ერთი საინტერესო დეტალი გამახსენდა – როდესაც გამსახურდია პრეზიდენტი იყო და თუ რამე არ მომენონებოდა მისი მოქმედებიდან და ვიტყოდი, ე. წ. „ზვიადისტები" მპასუხობდნენ – ვინ გინდა, თუ არა ზვიადი, აბა ირაკლი წერეთელიო. მე არ ვგულისხმობდი ზვიადის გადაყენებას. ვსაუბრობდი მხოლოდ მის შეცდომებზე, მაგრამ ქართველი კაცი იმწუთშივე ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება. ახლაც, თუ თქვი შევარდნაძეზე, რომ მას შეცდომები მოსდის 60-70 წლის ხალხი მოგვარდება და გეტყვის, აბა ვინ გინდა, წერეთელიო?

გამომრჩა, გაზ. „სარანგში" არის **ელიზბარ ჯაველიძის** მიმართვა შევარდნაძისადმი, სადაც გაანალიზებულია მთელი მისი ბიოგრაფია.

4 მარტი

„ქართულ ქრონიკაში" ვკითხულობ ირინა სარიშვილის სტატიას. აქ ის სწორად ამბობს,

---

[1] ორჯონიკიძემ გაუგზავნა ასეთი დეპეშა – „ლენინს, სტალინს..."

[2] შაკიაშვილი.

[3] ამ პერიოდში ედპ ხელისუფლებაში იყო. ირინა სარიშვილი გახლდათ ვიცე-პრემიერი, მიხეილ ჯიბუტი – ეკონომიკის მინისტრი და ირაკლი ქადაგიშვილი – საბჭოს უფროსი.

რასაც ყოველთვის ვამბობდი და რადიოში განვაცხადე, რომ შეცდომა იყო აფხაზეთში ომის დაწყება და ტყუილი იყო საბაბად მაგისტრალების დაცვის გამოყენება. პირიქით, ვინც შეიყვანეს, იმათგან უნდა დაეცვათ მოსახლეობა. სწორედ ამაზე წერს ირინა სარიშვილი. „შეიძლებოდა თუ არა ომის დაწყება მაშინ, როცა სახელმწიფოს ჯარი არ ჰყავდა, „რა ხდება“, რას აკეთებდა ან ამჯერად რას აკეთებს თავად სახელმწიფოს მეთაური? მე ძალიან გამიჭირდება რომელიმე შესატყვისი ტერმინი მოვიგონო მის მიერ წარმოებულ ყოველად უპრინციპო, გაუგებარ, უსტრატეგიო ტაქტიკაზე აგებულ საშინაო პოლიტიკაზე. ეს უფრო ჰგავს იმ ექიმის მოქმედებას, რომელიც მომაკვდავ პაციენტს ნემსს არ უკეთებს იმის შიშით, რომ ეტკინება და გამიბრაზდებაო“.

ღამით აჩვენებდნენ შევარდნაძის ინტერვიუს, რომელიც მიჰყავს ნატო ონიანს.

ნ. ო. – „დსთ-ში შესვლის შესახებ რას იტყოდით?"

ე. შ. – „შთამომავლები გააანალიზებენ, რომ ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს შესვლა არაფერს გადაჭრის. რა შეიძლება ვუპასუხოთ. ჩვენი აზრით, ბევრი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა არსებობს. პირველ რიგში, ეკონომიკა, რადგან თანამეგობრობის გარეშე ამას ვერ გადავწყვეტთ. ჩვენ არ უნდა დაგვენგრია კავშირები. დღეს ეკონომიკა ნულის დონეზეა. სუვერენიტეტის დაკარგვაზე როცა საუბრობენ, ეს არასერიოზულია, რადგან ევროგაერთიანებაში ევროპის სახელმწიფოებმა თავიანთი სუვერენიტეტის უფრო მეტი დელეგირება მოახდინეს, ვიდრე ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა დსთ-ში. ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო, რომელიც გვაძლევს შანსს გადარჩენის, თუ ეს გაერთიანება განვითარდება, როგორც მსოფლიოს გაერთიანებები წარიმართნენ, კარგია, თუ არადა დაიშლება. ამით არაფერს არ ვკარგავთ. რომ ამბობენ, ვეძიოთ სხვა გზები. რა გზები არ მოვძებნეთ სამხრეთით, აღმოსავლეთით, მაგრამ კარდინალურად ვერ გადაიჭრა ქვეყნის მდგომარეობა. აქცენტს აკეთებენ, რომ რუსეთი ხსნა არ არის, ამბობენ, რომ ხელშეკრულება უნდა დაგვედო, მაგრამ არ უნდა შევსულიყავით დსთ-შიო – ეს აბსურდია. თუ რუსეთი საჭიროა, ჩვენ გვირჩევნია დსთ-ში თანამშრომლობა, როცა სხვა ქვეყნებიც არიან და უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები არის“.

ნ. ო. – „რუსეთში იწყება უმართავი პროცესები და ის აფხაზეთის საკითხს ვერ გადაგვიწყვეტს".

ე. შ. – „ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც იმპერიის დღიდან იყო საბჭოთა ეპოქაში გრძელდებოდა, იყენებდნენ ზემოქმედებისათვის იმპერიაში შემავალ დაპყრობილ ხალხებზე. ახალ ეპოქაში ჩვენ ხელი შეეუწყვეთ ამ პოლიტიკის გაღრმავებას, რომელიც გამოიხატება ჩვენს შორის დაპირისპირებით, მოღალატეობითა და გამყიდველობით. ამიტომ ყველაფერი სხვას არ უნდა გადავაბრალოთ და ყოველგვარი გამოსავალი ვეძებოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად".

ნ. ო. – „მეორე დღესვე გაიმართა ოპოზიციის შეკრება და შექმნეს გაერთიანება, რომელიც მიმართულია დსთ-ს წინააღმდეგ“.

ე. შ. – „ოპოზიციის გაერთიანებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ცნობილ ოპოზიციონერებს დაემატნენ ეროვნულ-დემოკრატები და მდგომარეობა უფრო დაიძაბება, სახეზეა ტენდენცია ხელისუფლებისათვის ბრძოლისა, რომელიც აშკარად გამოჩნდა 2 მარტს".

პოლიტიკური ბრძოლის ქუჩური ვარიანტები და ქუჩური მოქცევები პარლამენტში დაუშვებელია დღეს საქართველოსათვის. თუ ოპოზიცია ამ გზით ივლის, ის ბევრს დაკარგავს და დიდ ზიანს მოუტანს ქვეყანას. ქუჩის ამბების გამოცდილება ბოლშევიკებს და ფაშისტებს ჰქონდათ. მე უნდა დავეთანხმო ელდარ შენგელიასა და ზურაბ ჟვანიას, რომ რადიკალიზმი უარყოფითი მოვლენაა, არ ლაპარაკობს დიდ პოლიტიკურ დონეზე და ფრთხილად უნდა ვიყოთ. არ შეიძლება ყველა საკითხზე ყვირილი და ხმაური, მაგალითად, მანანა გიგინეიშვილის გამოსვლასაც შეიძლება დავეთანხმო ან არ დავეთანხმო, მაგრამ მამარდაშვილის გაძევების ფაქტზე ასეთი ღრიალი არ უნდა ატეხილიყო. გაპყვება თუ არა მათ ხალხი, არაერთხელ მითქვამს, ჩოქვით შემოვივლი საქართველოს და მადლობას ვეტყვი ყველას მოთმინებისათვის, ვინც ავანტიურას არ აყვება“.

ნ. ო. – „რას იტყვით გია ჭანტურიას გამოწვევაზე დებატებში“.

ე. შ. – „დებატებს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ ამჟამად კონკრეტულად ჩემი საფიქრალია ის დებატები, რომელიც მელოდება ვაშინგტონში, ოტავაში, პრაღაში. შეიძლება მოზომილი არ იყოს ჩემი ნათქვამი, მე გიასთან ბევრი რამ მაკავშირებს, მასთან დებატები სასიამოვნოა, მაგრამ საქართველოში ასი პარტია და ლიდერია და ყველას ხომ არ გაჰყვება დებატებში სახელმწიფოს მეთაური, თუ დებატები აინტერესებთ, ყველაზე კარგი ადგილი პარლამენტია და შეუძლიათ მობრძანდნენ და აქ გავმართოთ და კიდევ ერთი, საჯარო დებატებს, თუ დასავლეთის გამოცდილებას გავიზიარებთ, პრეზიდენტობის კანდიდატები მართავენ“.

ნ. ო. – „გია ჭანტურიამ და აკაკი ბაქრაძემ განაცხადეს, რომ ქართველებს უნერგავენ, რომ მათ არაფერი არ შეუძლიათ“.

ე. შ. – „ეს ახალი აზრი არ არის, წინათ ამბობდნენ, რომ ყველაფერი გააკეთეთ რომ დსთ-ში შესულიყავითო. მე ამაზე არაფერს ვამბობ, რადგან ეს აზრი ძალზე პრიმიტიულია. რაც შეეხება ამ მეორე მხარეს, ეს კომპლექსი ხალხს ემართება, როცა ძალიან უჭირთ, ჩვენც ვუწყობთ ხელს ამას, მაგალითად, ის, რაც ხდება პარლამენტში ოპოზიციის მიერ. მე მინდა კიდევ ერთხელ აჩვენოთ 1 მარტის სხდომა და ხალხი დაინახავს, ვინ ვინ არის, მაგალითად, რა დღეში ჩააგდეს **ადა მარშანია** – მამა-შვილი მარშანიები აფხაზებსა და ქართველებს შორის ხიდია. მათ შეურაცხყოფა მიაყენეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი უმრავლესობაში არიან“.

10 მარტი

შევარდნაძე აშშ-ში ძალიან დიდი პატივით მიიღეს. გუშინ ის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსულა. მის კითხვებზე, როდესაც ჩამოვა, მაშინ დავწერ, რადგან ზუსტად არ ვიცი, რა შედეგებით დამთავრდა მისი ვიზიტი. მთავარი საკითხი, რა თქმა უნდა, იყო აფხაზეთის საკითხი. როგორც შევარდნაძემ განაცხადა, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს 21 მარტს.

დავით ზეიკიძემ დღეს განაცხადა, რომ პარლამენტარები რასაც აკეთებენ სხდომაზე, ამისთვის გარეთ ვიჭერთ – ეს განაცხადი გამოინვია იმან, რომ ბოლო ხანს ზეიკიძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

20 მარტი

წავიკითხე გაზ. „7 დღე“ 10 – 19-24 მარტის, მაია გოგოლაძისა და ლია ტოკლიკიშვილის სტატია სათაურით „და ხვალ იყო ომი“. ეს სტატია დაწერილია საგამომძიებლო მასალების მიხედვით, რომელიც აღიძრა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურაში. „აფხაზეთში დამარცხების, სამხედრო მოსამსახურეების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების გადამეტებისა და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, უმოქმედობის ფაქტებზე“. **სტატიაში წერია, რომ, როდესაც ომი იწყებოდა „საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ომის სადაევებთან აღმოჩნდნენ დილეტანტები – საქართველოს მომავლისადმი სუბიექტურად განწყობილი მთავარსარდალი (იგულისხმება შევარდნაძე – მ. ვ.).**

ბატის კომპლექსით შეპყრობილი ყოფილი სარდალი (იგულისხმება თ. კიტოვანი – მ. ვ.).

ბატის „თეთრჩოხიანი მხედარი სუპერმენი (იგულისხმება ჯაბა იოსელიანი – მ. ვ.) და თავდადებული ყოჩი გენერალი (იგულისხმება გია ყარყარაშვილი – მ. ვ.).

ამ სტატიაში საშინელი მასალებია თავმოყრილი. მაგალითად, ახალწვეული ფ. შ-ის ჩვენებიდან – „შტაბის ბრძანების თანახმად, შეტევით უნდა დაგვებრუნებინა ერთ-ერთი დატოვებული პოზიცია. სროლებით უნდა გაგვერბინა 500-600 მეტრი მტრის განლაგებამდე. შეუწყვეტელი ცეცხლით და სროლით წავედით წინ იქ, სადაც მტერი გვეგულებოდა, მისულებს მტრის ნაცვლად ჩვენს მიერ დახოცილი „ავაზას“ მებრძოლები დაგვხვდნენ სანგრებში“.

ამ სტატიაში უამრავი ფაქტია მოტანილი უცოდინრობის, გამყიდველობის და ა. შ. რა თქმა უნდა, ყველა ამ ფაქტის ნდობა არ შეიძლება, მაგალითად, ეჭვი მეპარება, როცა აქ დავით ზეიკიძეზე და მის 120 თანამებრძოლზე არის მოტანილი ფაქტები, თითქოს ისინი გარბოდნენ ბრძოლის ველიდან. არ მჯერა, რადგან ზეიკიძის

წინააღმდეგ ახლა ბევრი მოქმედებს და საერთოდ, ცდილობენ ამ კაცის მოცილებას.

დღეს მთავრდება „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობა", რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ზურაბ **ჟვანიას გამოსვლა**. ამ გამოსვლიდან ჩანს, რომ მას სურს ახალი პოლიტიკის დაწყება, მაგრამ მე ძალიან ეჭვი მეპარება, რომ განახორციელოს, რადგან, როდესაც გადავხედე მოქალაქეთა კავშირის სათათბიროში ასარჩევთა სიას, იქ ისეთი პიროვნებები არიან, მაგ. ბადურაშვილი თეიმურაზი, მეზვრიშვილი მედიკო, რომ გაგეცინება. ვეთანხმები ფიქრია ჩიხრაძის გამონათქვამს, რომ „პერსპექტივაში ორი რეალობა არსებობს, ერთი ამ კავშირის მძიმე კომფორმისტულ ძალად ჩამოყალიბების, რაც საქართველოს ნორმალური განვითარების გზით სვლას კიდევ ერთ ახალ საეტაპო სიმძიმედ გადაეღობება და მეორე, მართლაც მძლავრ რეფორმისტულ ძალად ქცევისა, რომელიც ქვეყანას განვითარების ახალ გზაზე გაიყვანს". აბსოლუტურად სწორად არის ნათქვამი და მეტს ვერაფერს ვიტყვი. ღმერთმა ქნას, მეორე გზას დასდგომოდნენ!

21 მარტი

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულია ინტერვიუ **აკაკი ბაქრაძესთან.** ძალზე საინტერესოა.

სამი დღეა ტელევიზიით ვუყურებ, რომ ევროგაერთიანებამ საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ ფოთში მიმდინარეობს ჰუმანიტარული დახმარების ძარცვა-გლეჯა და რომ, თუ ასე გაგრძელდა, მაშინ შეუწყვეტენ დახმარებას. საოცარია, სამი დღეა ტელევიზიით ამას აცხადებენ და არაფერს არ ამბობენ, რა ზომები მიიღეს. საოცარია, როდესაც ასეთი ამბები ხდებოდა სომალიში, სადაც ჰუმანიტარული დახმარება არ მიდიოდა ბავშვებამდე და ისინი შიმშილით კვდებოდნენ, ჩვენ გაგიუებული ვიყავით, რა გაუგებარი ამბები ხდება, რომ თავიანთი ბავშვები არ ეცოდებათო, რას წარმოვიდგენდით, რომ ეს საქართველოში მოხდებოდა. ისე კი, გული მიგრძნობდა და ეწერდი ამის შესახებ, მაგრამ ნამდვილად არა მჯეროდა.

22 მარტი

21 მარტს მთელი საქართველო დიდი მღელვარებით ელოდა, რადგან უნდა გამართულიყო უშიშროების საბჭოს სხდომა. მართალია, სხდომა არ გაიმართა, მაგრამ გამოქვეყნდა ბუტროს გალის მოხსენება უშიშროების საბჭოსადმი, სადაც აღნიშნულია, რომ ახლა არ არის იმის პირობა, რომ სამშვიდობო ძალები განლაგდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ნატო ონიანმა ინტერვიუ აიღო შევარდნაძისგან. შევარდნაძე ძალზე შეცბუნებული ჩანდა. მან თქვა, რომ მთლიანად იმედს არ გვინურავს, მაგრამ დიდი იმედი არ უნდა გვქონდესო. ამიტომ არის, რომ არ იყო საჭირო, რაც ტელევიზიამ ატეხა შევარდნაძის ვიზიტების შესახებ აშშ-ში. ყოველდღე გადასცემდნენ ამ ვიზიტის შედეგებს, ცერემონიალებს, რომელსაც უყურებდა ამდენი გასაცოდავებული, მშიერი ლტოლვილები და ისე იყო წარმოდგენილი, რომ რახან შევარდნაძე ჩავიდა, ყველა საკითხი გადაწყდებოდა. ახლა წარმომიდგენია, რა დღეში არიან საწყლები. **პირადად მე დიდი ეჭვები მქონდა და უფრო რეალურად მიმაჩნია პირდაპირი ხელშეკრულებით რუსების სამშვიდობო ძალების შემოყვანა, რადგან ომი ჩვენ არ შეგვიძლია, არ გვყავს ჯარი და ამ ეკონომიკით ომი სასაცილოა. შეიძლება ეს ყველაფერი იცოდა შევარდნაძემ და არც შეიძლება არ სცოდნოდა, ახლა იტყვის, ვეცადე გაეროს საშუალებით და არაფერი გამოვიდა. ოღონდ ამ საწყალ ხალხს ეშველოს და ისევ რუსებს ვთხოვ დახმარებასო.**

დღეს პარლამენტში დაიწყო მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება. **შევარდნაძემ და ფაცაციამ ისევ ის მთავრობა წარმოადგინეს, რომელიც ნაგვის ყუთშია გადასაყრელი.** პირველად, სპეციალურად ირაკლი მენაღარაშვილის კანდიდატურა დაასახელეს, რომელიც შედარებით მისაღებია და მის მიმართ პარლამენტარები მტრულად არ არიან განწყობილნი, მაგრამ ძლივს გავიდა.

კაცი გაგიუდება, რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ. გავა წლები, ამას არ დამიჯერებენ, ახლა ტელევიზიით გადმოსცეს, რომ კოსტავას ქუჩაზე სახლი იწვის, სახანძრო მანქანებს ბენზინი არა აქვთ და მოსახლეობას მიმართეს, ბენზინი

მოგვეცით, რომ სახანძრო მანქანებში ჩავასხათო.

ყოველდღე მინისტრები, მოადგილეები, რა ვიცი, მთელი ბიუროკრატიული აპარატი ქალაქის მერიის გაზ-31 დადიან და, თურმე, სახელმწიფოს 20 ლიტრი ბენზინი არა აქვს სახანძრო მანქანებისთვის.

23 მარტი

23-30 მარტის გაზ. „შანსი" – ინტერვიუა **გია ჭანტურიასთან.**

გია სწორად შენიშნავს, რომ „არ შეიძლება ყველაფერი რუსეთს დააბრალო, რუსეთის ბრალია, რომ სოციალისტური მთავრობა გვყავს და რომ არავინ აპირებს მის შეცვლას, განა გულუბრყვილო ეშმაკობა არ არის, რომ, თითქოს, ამერიკელებმა შევარდნაძეს სთხოვეს არ გამოცვალო ეს მთავრობა, ახლებთან ურთიერთობა გაგვიჭირდებაო". მართლაც, შევარდნაძე, როდესაც ამერიკიდან დაბრუნდა, ასეთი რამ თქვა, ამერიკაში მითხრეს, ნუ ცვლითო ხალხსო და საკმაოდ კარგად გამოჩდნენო ჩვენი ფინანსთა მინისტრი და ბანკის პრეზიდენტიო. ფინანსთა მინისტრზე ძალიან მეეჭვება, რადგან სრულებით არ ტოვებს ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას[1], თანაც, ბოლოს მუშაობდა ქ. ფოთის მერის მოადგილედ – ხანდახან ფიქრობ, საიდან არჩევს ამ კადრებს... ახლახან ადიგენიდან იყო მოსახლეობა ჩამოსული. ისინი ჩიოდნენ, რომ ხუთი თვეა, რაც გამგებლად ვიღაც კუბლაშვილი დაუნიშნავთ და ამ ხუთი თვის განმავლობაში ადიგენში ხუთჯერ არ გამომცხვარა პური, ბოლოს ის მუშაობდა ყოფილი რაიკომის ბუფეტში მზარეულის თანაშემწედ და ამჟამად არის ახალციხეში ფასიანი სწავლების მეორე კურსის სტუდენტი.

კორ. – „ბატონო გია, თქვენ იყავით ერთ-ერთი იმ პოლიტიკოსთაგანი, რომელიც სიხარულით და დიდი იმედით შეხვდა ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლას, ახლა აკრიტიკებთ, მაგრამ ის კრიტიკაც არათქვენეულია – ნელთბილი. საინტერესოა, იცოდით, რა მოჰყვებოდა მის სახელმწიფოს სათავეში მოსვლას – თუ არა, უნდა დაუშვას ასეთი შეცდომა პოლიტიკოსმა"?

გია – „შეცდომისაგან არცერთი პოლიტიკოსი არ არის დაზღვეული – მთავარია, აღიარო ის. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მავნე იდეოლოგიისაგან განთავისუფლებული შევარდნაძე მეგონა თავისი გარემოცვისაგან განთავისუფლდებოდა, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა".

კორ. – „ხალხიც ასე ფიქრობდა, ახლა კი ხედავს, რომ მისი ჩამოსვლის მიზანი, მხოლოდ დსთ ყოფილა".

გია – „ვერ დაგეთანხმებით, რომ შევარდნაძე თავიდანვე დსთ-სთვის იყო განწყობილი. მას ნამდვილად უნდოდა საქართველო ექცია სახელმწიფოდ. საერთოდ, ედუარდ შევარდნაძე მარტო შავ-თეთრში არ უნდა დავინახოთ. იგი საკმაოდ ჭკვიანი, საინტერესო და აზარტული პოლიტიკოსია. მაგრამ მან ერთმა მოინდომა სახელმწიფოს შექმნა, ეგონა – ბეიკერები, ბუშები დაეხმარებოდნენ და საშინაო პოლიტიკა მთლად უყურადღებოდ დატოვა".

24 მარტი

დღეს, როგორც იქნა, გამოვიდა გაზ. „სარანგი", ყველა ე. წ. „ზვიადისტი" ამას ელოდა და ყოველდღე კითხულობდნენ, როდის გამოვა ეს გაზეთიო, რადგან უნდა გამოსულიყო გაგრძელება **ელიზბარ ჯაველიძის** „ღია წერილისა" შევარდნაძისადმი.

მე ამ წერილის განმარტებას არ შევუდგები, მაგრამ ძალიან საწყენია, რომ ამ გაზეთის რედაქტორმა, მწერალმა ნოდარ კობერიძემ გამოაქვეყნა წერილი გურამ ფანჯიკიძისადმი. წერილიდან ცნობილი გახდა, რომ მწერალთა კავშირში დასმულია საკითხი მისი მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ, იმიტომ, რომ გამოაქვეყნა ჯაველიძის წერილი. ნოდარ კობერიძე წერდა გურამ ფანჯიკიძეს, რომ მას და მის ცოლ-შვილს დასდევენ უნომრო მანქანები და რომ მას არ შეუძლია ქალაქში გაჩერება და მიდის თბილისიდან. მან ბოდიში მოუხადა **ვაჟა ადამიას**, რომ ვეღარ შეძლებდა რედაქტორობას. ნუთუ ისევ ძველი მეთოდები იწყება, სწორედ ეს მწერლები არ იყვნენ, როდესაც ჩიოდნენ გამსახურდიას დროს

[1] ეს გახლდათ დავით იაკობიძე. მე ეცდებოდი, რადგან შემდგომ ფინანსთა მინისტრებთან შედარებით ის ყველაზე პროფესიონალი ფინანსისტი აღმოჩნდა.

და დემოკრატიაზე ლაპარაკობდნენ. ახლა ნოდარ კობერიძეს რიცხავენ მწერალთა კავშირიდან. საოცარ ეპოქაში ვცხოვრობ.

გუშინწინ ბრიუსელში **ალექსანდრე ჩიკვაიძემ** ნატოს შტაბ-ბინაში ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლითაც შეუერთდა ნატოს გეგმას „თანამშრომლობას"... ამ საკითხთან დაკავშირებით ნატოდან ჩამოვიდა დელეგაცია. ამას დღეს ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

დღეს დილით ლათას ხეობაში აფხაზებმა განახორციელეს საარტილერიო იერიში.

დღეს პარლამენტის სხდომა მიმდინარეობდა, წაიკითხეს „უმრავლესობის" განცხადება. მათ უნდათ ყველაფერი დააბრალონ ოპოზიციას. ირინა სარიშვილმა აღნიშნა, რომ ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც აქცენტი გადაიტანა მთლიანად რუსეთის აგრესიაზე და გამორჩა საშინაო პოლიტიკა.

დღეს ამტკიცებდნენ მარგიანს, რომელიც ვერ გავიდა. სპიკერის მოადგილემ **ვახტანგ რჩეულიშვილმა** ბოლოს განაცხადა, რომ სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს, რომ მეორედ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პარლამენტში. ჩემი აზრით, ეს არის ხალხის დაცინვა. თუ მართლა ეს გააკეთა შევარდნაძემ, მართლა, ვაი, მაგის პატრონს. მარგიანი ამ მინისტრთა საბჭოში გახლავთ ის პიროვნება, რომლის გარშემოც უამრავი რამ ხდება და მის გადაყენებას მოითხოვს, მე მგონი, ყველა.

25 მარტი

გუშინდელი სხდომა რადიოთი არ მომისმენია. დღეს საინტერესო მასალები წავიკითხე. აღსანიშნავია, რომ ისეთი პარტია, როგორიც არის „სოციალ-დემოკრატები", რომლებიც ყოველთვის მხარს უჭერდნენ შევარდნაძეს, ისინიც უმაყოფილო არიან. ამ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის სხდომაზე **გურამ მუჩაიძემ,** ამ პარტიის ლიდერმა, შევარდნაძეს უთხრა, რომ ორ სკამზე ჯდომის დროს შეიძლება გაიჭყლიტოო. ეს შეეხებოდა შევარდნაძის პოლიტიკას ხან რუსეთი, ხან ამერიკა. გუშინ პარლამენტის სხდომაზე მან განაცხადა (გაზ. „ივერია-ექსპრესი"), „გურამ მუჩაიძემ დააყენა პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობის საკითხი საჯაროდ გაკეთებული განცხადებების გამო, კერძოდ, ზურაბ ჟვანიამ მინისტრთა კაბინეტი კორუფციაში დაადანაშაულა. შევარდნაძემ კი ზუსტად იგივე კაბინეტი წარმოადგინა. მუჩაიძის აზრით, შევარდნაძე უნდა გაემიჯნოს „მოქალაქეთა კავშირის" გენერალური მდივნის განცხადებას. თუ მან დუმილი არჩია, „მაშინ გამოდის, რომ შევარდნაძე მაფიების მძევლად" არისო".

პარლამენტში **ზურაბ მურვანიძემ** განაცხადა, რომ „მხარს არ დაუჭერს სამ კანდიდატურას – ვიცე-პრემიერს **ავთანდილ მარგიანს,** როდესაც 60 დოლარის ნაცვლად 120 დოლარად ყიდულობს პურს, საქენერგოს ხელმძღვანელს **იური ჭედიას,** რომელიც სინათლეს საავადმყოფოების და პურის საცხობების ნაცვლად აძლევს კერძო ფირმებს და საქტელერადიო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, **არჩილ გოგელიას,** რომელიც ტელევიზიის მეშვეობით დაპირისპირებას ქმნის ერში".

გუშინ განუხილავთ ავთანდილ მარგიანის ვიცე-პრემიერად დამტკიცების საკითხი. მარგიანს საკმაოდ ოხუნჯობით ჩაუტარებია ეს სხდომა, რითაც დარბაზი გაუმხიარულებია. ბოლოს დეპუტატ ხავთასს უთქვამს, „რაკი ვიცე-პრემიერი ასეთი ოხუნჯია ზოოპარკის ან ცირკის დირექტორად დავნიშნოთო".

მე უკვე აღარ მესმის შევარდნაძის, რა დროს ექსპერიმენტებია, როდესაც სსრკ-ის შემადგენლობაში ვიყავით ისეთი პიროვნებები, რომლებიც მის გარშემო იყვნენ, მაგ., ხაბეიშვილი, საქართველოსათვის უბედურებას არ წარმოადგენდა და მაშინ შევარდნაძეს შეეძლო მიეცა უფლება თავისთვის დაენიშნა ასეთი პიროვნებები, რადგან თავიანთი მოქმედებებით მათ არ შეეძლოთ დიდი ზიანი მიეყენებინათ ისეთი უზარმაზარი სახელმწიფოსთვის, როგორიც იყო სსრკ, მაგრამ, როცა პატარა საქართველო კატასტროფის წინაშეა, ხელმძღვანელ პოსტებზე არაწესიერი და არაკომპეტენტური პირების დანიშვნა უფრო მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანს ქვეყანას. სწორედ გამსახურდიას უდიდესი შეცდომა იყო მისი საკადრო პოლიტიკა, რომელმაც, ფაქტობრივად, დაღუპა ის. გამსახურდიას კიდევ შეიძლება გაუგო, რადგან მას არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა სახელმწიფო მმართველობისა, რაც შეეხება შე-

ვალდებული, პირი გაბედულების კაცს, როგორ შეიძლება ასეთი კადრებით შერჩეული, რასაც ის აკეთებს, ყველა ეუბნებოდა. არ შეიძლება **დვალიშვილის** დანიშვნა პანკისი პრეზიდენტად, რადგან ოფიციალური გაეგებოდა ამბავი ადამიანს. როდესაც მან დანიშნა ე. წ. „ლიბერალური" ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ანგრევდა ეკონომიკას, ის პირველ პოლიტიკას იცავდა ამ პოლიტიკას, შევარდნაძემ დვალიშვილი მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლა, როცა მან (რა თქმა უნდა, არა პირადად მან, მ. ს.) დაანგრია საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა. ასევე ჯიუტად არ ათავისუფლებდა თეიურ ხაჩიშვილს, სანამ დანაშაულებებმა არნახული მასშტაბი არ მიიღო. ასევე იკლავს თავს პარგანიის გამო. ახლა ეუბნებიან, რომ **ოთარ ფაცაციაც** ვერ უძღვება საქმეს, მასაც მანამდე არ გაანთავისუფლებს, სანამ არ დაღუპავს ქვეყანას ისევე, როგორც გოგუაძემ დაღუპა პარლამენტი. ამგვარად შევარდნაძესთან ძირითადად მუშაობენ ბლეფენელები. არა მგონია, მნვანეები, ჟვანიას მეთაურობით. გაიჩერონ „მოქალაქეთა კავშირში". მა

თავის მომხრე პოლიციელებთან ერთად შეიჭრა პარლამენტის სხდომაზე, იქ ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი, რადგან რადიოგადაცემა შეწყდა, როცა ჩაირთო, უკვე გამოტანილი იყო უმრავლესობის დაიურიდიული კომისიის განცხადება. ყველა პარლამენტარი აღშფოთებული იყო ამ საქციელით, ბევრს უნდოდა, რომ ეს ჩაეთვალათ სახელმწიფო გადატრიალების ცდად. ტელევიზიით აჩვენეს რამდენიმე კადრი, სადაც აშკარა იყო შეჯახება ზეიკიძესა და შევარდნაძეს შორის. ზეიკიძემ შეურაცყოფა მიაყენა შევარდნაძეს. პრესცენტრის ცნობით, პარლამენტში შეიჭრა 200 პოლიციელი. გაიმართა პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიების სხდომა. **დავით ზეიკიძე მოხსნეს თანამდებობიდან და მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.**

საოცარი ამბები ხდებოდა 1992 წლის 14 სექტემბერს, როდესაც შევარდნაძე გადადგომას აპირებდა, ყველაზე აქტიურად შევარდნაძეს მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, გია ყარყარაშვილმა და დავით ზეიკიძემ. მე ხალხზე არ ვლაპარაკობ, რომელმაც დიდი მხარდაჭერა, მართლაც, აღმოუჩინა შევარდნაძეს. ამჟამად ეროვნულ-დემოკრატები გამოვიდნენ მთავრობიდან, გია ყარყარაშვილი განთავისუფლდა თანამდებობიდან, იგი კინაღამ მოღალატედ გამოაცხადეს. ნეტავი გამაგებინა, რაზე გაამწარეს ზეიკიძე ასე, რომ მართლა გაუგებარი ნაბიჯი გადადგა. **დღეს თანდათან მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს სულ სხვა ყაიდის ხელმძღვანელი სჭირდება, კერძოდ, როგორიც აღმოჩნდა ასლან აბაშიძე. აბაშიძემ, ფაქტობრივად, აჭარა გადაარჩინა დარბევას და განადგურებას. საოცარია, ქობულეთიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული ოზურგეთის რაიონი ყაჩაღებმა თითქმის გაანადგურეს. გურიიდან აჭარაში რომ შეხვალ, უნებლიედ ფიქრობ, სხვა სახელმწიფოში მოვხვდიო. სიმშვიდეა, ხალხი შრომობს.** შევარდნაძე სულ სხვა მეთოდებით ცდილობს ქვეყნის მართვას და, როგორც ვხედავთ, არაფერი გამოსდის. ტელევიზიით აცხადებენ კვირაიას ბრძანებით: 1. ზეიკიძე განთავისუფლდეს; 2. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე პროკურატურაში; 3. ქალაქის მილიციის უფროსად დაინიშნოს **დემურ მიქაძე.** მინისტრის მოადგილედ დაინიშნა **რომან გვენცაძე.** ძალიან გამიხარდა გვენცაძის ისევ დაბრუნება, რადგან მართლა ვაუკაცი კაცი და პროფესიონალია.

ღამით აჩვენეს პარლამენტის სხდომა. დეპუტატმა ქართლოს ღარიბაშვილმა თქვა, რომ ოთხი საათის განმავლობაში ვიყავი ქალაქის პოლიციის სამმართველოში და აზრი შემეცვალა, ამიტომ მოვინვიოთ უმრავლესობის შეხვედრაო. დღეს თუ ვინმე მუშაობს, მუშაობს თბილისის პოლიციაო. დავუძახოთ მიქელაძეს, ზეიკიძეს, მიქაძეს, ლანჩავას და მერე მივიღოთ გადაწყვეტილება. თუ არა და, მე ვერ დავუჭერ მხარს კვირაიასო.

რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ ყოველ სამინისტროზე, თუ ასეთი განხილვა მოვაწყეთ, მაშინ ყველა მინისტრი არჩევითი უნდა იყოს და სიტყვას ამ საკითხზე ვერ მივცემ ვერავისო, გადავიდეთ დღის წესრიგზეო. მან წარმოადგინა შოთა კვირაიას კანდიდატურა. გამოვიდა შოთა კვირაია. მან აღნიშნა, რომ სამინისტროში დაიწყო ატესტაცია. აღმოჩნდა, რომ 1200 ოფიცერი არ შეესაბამება თანამდებობას, დაითხოვეს 200 ოფიცერი, 80 პასუხისგებაში მისცეს... მან ჩამოთვალა ის ოპერაციები, რაც ჩაატარეს დასავლეთ საქართველოში და რომ დაიწყეს ბანდიტური დაჯგუფებების განადგურება, ჩამოთვალა რა იარაღი ჩამოართვეს მათ.

ზურაბ ჟვანია გამოვიდა და განაცხადა, რომ უმრავლესობამ იმსჯელა და რომ კვირაია უნდა იყოს დამტკიცებული მინისტრად, რადგან მან იმედი დაგვიბრუნა, რომ ჩვენი ძალებით შეგვიძლია წესრიგის დამყარებაო. **დავით კუპრეიშვილმა** აღნიშნა, რომ შარშან გულგატეხილი იყო, რომ სხვა ძალების გარეშე ვერ მოხერხდებოდა წესრიგის დამყარება, ამ კაცმა 8 თვის განმავლობაში ბევრი გააკეთა, პოლიცია არის გასამხედროებული და ამიტომ არ შეიძლება იმის დაშვება, რასაც მოითხოვს ღარიბაშვილიო.

ალექსანდრე ბერიძე – „მხარს უჭერს“.

ჭაბუა ამირეჯიბი – „მხარს უჭერს“.

ჯემალ გორგოძე – „მხარს უჭერს“.

ხუხუნეიშვილი – „გუშინ მიმინვიეს და დავესწარი ქალაქის პოლიციის შეკრებას, მე მხარს დავუჭერ კვირაიას.“

სიგუა – „ქვემო ქართლში დიდი ძალებია. მარნეულში არის 700-800 კაცი, ისინი არ უთანხ-

მებენ თავიანთ მოქმედებებს ადგილობრივ პოლიციას და პროკურატურას".

გენო კალანდია – „მე არ ვიცი, რა პრეტენზია აქვთ ქალაქის პოლიციასთან, მაგრამ ვიცნობ მათ სოხუმიდან და ისინი ჩვენს გვერდით იყვნენო".

გივი ლომინაძე – „მე ბევრჯერ გამომითქვამს კრიტიკული შენიშვნა სამინისტროს მუშაობაზე, მაგრამ ახლა მხარს ვუჭერ კვირაიას კანდიდატურასო".

ვახტანგ რჩეულიშვილმა ჰკითხა კვირაიას, თუ როგორ აპირებდა უთანხმოების აღმოფხვრას.

კვირაიამ უპასუხა, ეგ უთანხმოება კი არ არის, ეს სხვადასხვა მსოფლმხედველობაა. შეიკრიბება კოლეგია და ერთად გააგრძელებენ მუშაობას.

ჭინჭარაული თხოვს, რომ კადრები რეგიონალური ნიშნით დაინიშნონ. ირაკლი (არ მახსოვს, ალბათ, ნერეთელი, მ. ვ.) მხარს უჭერს.

ცინდელიანი – „ორი თვეა ბლოკირებულია ზუგდიდი-მესტიის გზა".

კვირაია – „გეგმა დამტკიცებულია, სამი დღის ნინ ნავიდა შინაგანი ჯარების ორი ბატალიონი".

ჟორჟოლიანი თემური მხარს უჭერს. მან განაცხადა, რომ საბოლოოდ ერთმმართველობა უნდა იყოსო. რეგისტრაცია გაიარა 164 დეპუტატმა. მომხრე – 138.

გამოვიდა შევარდნაძე, რომელმაც განაცხადა, რომ „სასიხარულოა, როდესაც პარლამენტი მხარს უჭერს დადებით ტენდენციებს, მე არავითარ შენიშვნებს არ ვაძლევ ღარიბაშვილს, რომელსაც უფლება ჰქონდა დასწრებოდა ქალაქის პოლიციის შეკრებას. ჩვენ თუ მხარს არ დავუჭერთ, ზეგ აორთქლდება გასამხედროებული ორგანიზაცია... ცეცხლს არ უნდა ვეთამაშებოდეთ. ძალისმიერ სამინისტროებში ერთი ნესრიგი უნდა იყოს. გამოცხადდა შესვენება თხუთმეტი წუთით.

აჩვენებენ ინცინდენტის შემდეგ ჩატარებულ სხდომას.

პეტრე მამრაძე – „პასუხი უნდა აგოს უშიშროების სამსახურმა".

კორძაძე – „პარლამენტი რომ მოწოდების სიმაღლეზე იყოს, ასეთი რამ არ მოხდებოდა".

გია კობახიძე – „გია ბარამიძის რეპლიკები იყო უტაქტო ჩვენი პარტიის მიმართ და ბოდიში მოიხადოს".

თემურ ჟორჟოლიანი – „დღეს რაც მოხდა კანონზომიერია, რადგან ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რა მოხდება. იშვიათია საკუთარი პოლიცია არბევდეს პარლამენტს"...

2 აპრილი

დავით ზეიკიძე ისევ თავის შენობაში ზის თანამოაზრეებით გარშემორტყმული. გუშინ მას უნივერსიტეტში ისეთი ხალხი აგინებდა, რომელიც ადრე ტაშს უკრავდა „მოქალაქეთა კავშირის" ყრილობაზე. დღეს კი ამბობენ, ქალაქის პოლიცია შეკრული არის მაფიასთანო. მე რომ ჭორეების დონეზე არ დავიდე, ამონაწერს გავაკეთებ და მერე ისტორია განსჯის ვინ იყო მართალი.

გაზ. „ახალი თაობა" – „გამოცხადდა შესვენება შინაგან საქმეთა მინისტრად კვირაიას დამტკიცების შემდეგ. ამით უკმაყოფილო პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით ზეიკიძე, თავისი თანმხლები 200 ავტომატიანი შეიარაღებული პირით შეიჭრა პარლამენტის შენობაში, ავიდა მესამე სართულზე, დაიკავეს ფოიე და უშვერი სიტყვებით მიმართეს შესვენებაზე გამოსულ დეპუტატებს. სიტუაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ედუარდ შევარდნაძემ თავისი დაცვით დატოვა ოვალური დარბაზი და ფოიეში შეეჩეხა შეიარაღებულ პირებს, დავით ზეიკიძემ მის მიმართ არასაპარლამენტო გამოთქმები იხმარა, ბრალი დასდო სახელმწიფოს მეთაურს მის მოტყუებაში, პოლიციის სამმართველოს აზრის უგულებელყოფაში. შევარდნაძის დაცვამ ცოცხალი კორიდორის შექმნა დააპირა, რამაც შემოჭრილების საპასუხო რეაქცია გამოიწვია. დაპირისპირებულმა მხარეებმა მთელი პარლამენტის თვალწინ ერთმანეთს მუჯლუგუნებიც კი უთავაზეს... შემდეგში სიტუაცია დაიძაბა, შემოჭრილებმა დაიკავეს ოვალური დარბაზი, მოხდა დაპირისპირება უმრავლესობის წარმომადგენლებსა და დავით ზეიკიძის თანმხლებ პირებს შორის, რომ არა ვიცე-სპიკერ რჩეულიშვილის ენერგიული გამოს-

ვლა, დავით ზეიკიძის ხალხი ალბათ დეპუტატების სერიოზულ დაშინებას შეძლებდა“.

გაზ. „რეზონანსი“ 30, სტატია – „დავით ზეიკიძე, მე პარლამენტში შევარდნაძის ბრძანებით მივედი“, „როგორც 1 აპრილს დავით ზეიკიძემ „რეზონანს“ განუცხადა, წინა დღით იგი პარლამენტში თავისი სურვილით არ მისულა. 31 მარტს დანიშნული იყო „ზვიადისტების“ მიტინგი. ამასთან დაკავშირებით, მისი თქმით, მან უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილისაგან, ავთანდილ იოსელიანისაგან მიიღო შევარდნაძის ბრძანება, რათა ქალაქის პოლიციის გარკვეული ნაწილისათვის თავი მოეყარა პარლამენტის შენობასთან და მოსალოდნელი გართულებების შემთხვევაში მსვლელობა აღეკვეთა. დავით ზეიკიძის განცხადებით, უამინდობამ ისინი აიძულა შენობაში შეეფარებინათ თავი, სადაც გაიგეს კვირაიას შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის ამბავი. ამან მათში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და პარლამენტარებთან შეხვედრა გადაწყვიტეს, ხოლო დეპუტატმა **პაატა კოღუაშვილმა** ისინი სხდომათა დარბაზში მიიწვია. დავით ზეიკიძემ აღნიშნა, რომ მათ იარაღი არ გააჩნიათ და რომ არავითარ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ადგილი არ ჰქონია, მათ რომ ეს სდომოდათ იქვე შეძლებდნენ სულ ყველას დაპატიმრებას თავად შევარდნაძის ჩათვლით. ზეიკიძის თქმით, ამ ფაქტის სახელმწიფო გადატრიალებად შეფასება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა იმიტომაც არ შეიძლება, რომ მსგავსი შემთხვევა ადრეც ყოფილა, მაგრამ ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა, ზეიკიძე გულისხმობდა თენგიზ სიგუას (რომელსაც დიდ პატივს სცემს) დამტკიცების დროს შექმნილ აჟიოტაჟს, როდესაც შენობა სავსე იყო შეიარაღებული ხალხით, მაშინ შევარდნაძემ დუმილი არჩია. დავით ზეიკიძემ უკანონოდ მიიჩნია მისი განთავისუფლება თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის პოსტიდან, ვინაიდან კოლეგია არ იყო უფლებამოსილი, რამეთუ არც კვორუმი იყო და არც თავად ზეიკიძე ესწრებოდა მას... იგი მოითხოვს სამმართველოს კოლეგიასთან შეხვედრას, სადაც სახელმწიფოს მეთაური და კვირაიაც იქნება, მისი გამოსვლა კი ტელევიზიით უნდა იქნას გადაცემული“.

როდესაც ამ სიტყვებს ვწერდი ტელევიზიით გამოვიდა **ავთო იოსელიანი.** მან თქვა ზეიკიძის შესახებ, რომ, მართალია, ის ჩემი მეგობარია, მაგრამ ის, რაც „რეზონანსში“ თქვა ტყუილია. ჩემთვის შევარდნაძეს არ დაუვალებია და არც გადამიცია ზეიკიძისათვის. მან დამირეკა 30-ში და მე ვუთხარი, რომ, როგორც იღებდა ზომებს, ისევე მოქცეულიყო. განვაგრძობ ზეიკიძის ინტერვიუს „რეზონანსში“ (მ. ვ.), „წარმოქმნილი კონფლიქტის ერთ-ერთ მიზეზად მის მოშორებასაც და ამისთვის ტელეფონის მოსმენას და შანტაჟსაც არ ერიდებოდა... 19 მარტს ადგილი ჰქონდა მასზე თავდასხმის მცდელობას, რომლის ინსპირატორად დაასახელა კვირაია... საბოლოოდ ზეიკიძემ თქვა, რომ ყველაფრის თავი და თავი „მეგრული კლანია“, რომელიც ცდილობს ხელისუფლების სათავეში მოსვლას... ამის შესახებ გაფრთხილებული ჰყავდა შევარდნაძე. ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ ზურაბ ჟვანია დაასახელა. მისი აზრით, ჟვანია მას ულალატებს და „მეგრელ კაცს“ მოიყვანს სათავეში, რაც საქართველოს დაღუპავს. დასასრულს დავით ზეიკიძემ წარმოადგინა კასეტა, რომლითაც ბევრია დაინტერესებული, რომელიც ზეიკიძეს 10 მილიონ დოლარად აქვს შეფასებული“.

მეორე არხზე გადმოსცეს, რომ არის შეთანხმება კვირაიასა და მათ შორის და რომ მას (ზეიკიძეს, მ. ვ.) სიმართლე სურს, რომ მხარს უჭერს სახელმწიფო მეთაურის კურსს და წამოეგო დაგებულ ანკესზე.

გაზ. „რეზონანსში“ არის სტატია სათაურით „თავდასხმა საქართველოს პარლამენტზე“, სადაც წერია, რომ „პოლიციელების მასა, ზეიკიძის თავკაცობით, პირდაპირ შეეჯახა დარბაზიდან გამოსულ ედუარდ შევარდნაძეს. მათ შორის გაიმართა მრავლისმეტყველი დიალოგი... შევარდნაძის მიმართვა ზეიკიძისადმი – „რას აკეთებ დათო ახლა შენ“. ამაზე ზეიკიძემ უპასუხა, რომ, თუ არ მოუსმენენ, სხვანაირად იმოქმედებს და ამაში ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც, როგორც ზეიკიძემ ბრძანა, „მე ვარ უმართავი კაცი“. შემდეგ ზეიკიძემ „პატივისცემით“ მოიხსენია პარლამენტის ერთ-ერთი, ბუნების მოყვარულთა ფრაქცია და მისი ლიდერი. რის შემდეგაც საიდუმლოებით მოცული ფრაზა თქვა – „სამი თვის წინათ ხომ გითხარი, ეს კაცი დაერბორკებულია“.

5 აპრილი

საბოლოოდ, ზეიკიძე უმტკივნეულოდ წავიდა და დაემშვიდობა კოლექტივს.

გუშინ მოსკოვში ჩამოსული იყო ბუტროს გალი. ის დაესწრო აფხაზეთ-საქართველოს ხელშეკრულების ხელმოწერას. რა თქმა უნდა, ეს ხელშეკრულება წამგებიანია საქართველოსათვის, რადგან აფხაზებმა მაინც თავისი გაიტანეს და შეატანინეს მუხლი, რომლითაც ქართველების გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია დაბრუნება. ეს შეეხება იმათ, ვინც იბრძოდა და ახლა, ემზადება ომისთვის. სამწუხაროდ, დღეს საქართველო იმდენად განადგურებულია, რომ თანამედროვე დონის ერთი ბატალიონიც კი არა ჰყავთ. გუშინწინ ბატალიონ „თბილისელის“ მეთაურის მოადგილე, ჩემი მეგობარი **ამირან** დავითაშვილი ვნახე. მან თქვა, სად არის ბატალიონი, სულ რაღაც 40 კაცი შეგროვდა, იმათაც იარაღი არა აქვთო. აფხაზებმა რომ მოინდომონ, რამდენიმე საათში აიღებენ თავისუფლად ქუთაისს და მერე წამოვლენ თბილისზეო.

დღეს პარლამენტში დაიწყო კამათი ამ ხელშეკრულებების გამო. ნეტავ რა აზრი აქვს, ჩვენ უკვე, ფაქტობრივად, აღარა ვართ სახელმწიფო და ამაში უდიდესი ბრალი მიუძღვის ხელისუფლებას, რომელმაც ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაჭრა. ხელისუფლებამ წაგო ომი სამხედრო, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს არ იყო სამამულო ომი, ეს იყო ძარცვა-გლეჯა ფრონტზე თუ ზურგში. მეცოდებიან ის წესიერი ბიჭები, რომლებიც ამ ომში დაიღუპნენ, რომლებმაც მართლაც დასდეს თავი სამშობლოსათვის. როგორ შეიძლებოდა ომის მოგება, როცა მთელ საქართველოში ყაჩაღობა იყო. ამ ომის მანძილზე იმდენი ჯარისკაცი არ მოგვიკლა მონინააღმდეგემ, რამდენიც ერთმანეთში დაპირისპირებით გამოასალმეს სიცოცხლეს თავად ქართველებმა. ამ ომით მსოფლიოში დიდი ხნით შეირცხვინეს თავი ქართველებმა. დაგვრჩა მარტო კუდაბზიკობა. დღეს ერი დასნეულებულია. მას სჭირდება ახალი ტალღა, ტალღა ახალი თაობის მეთაურობით, რომელსაც დაეით აღმაშენებლის ტიპის მოღვაწე ჩაუდგება სათავეში, რომელიც ძირფესვიანად შეცვლის საზოგადოებას, თორემ ეს დამყაყებული ბიუროკრატიული ხელისუფლება ვერაფერს გააკეთებს. ისევ ვიმეორებ, საქართველოს შევარდნაძე კი არ სჭირდება, არამედ **ასლან აბაშიძის** ყაიდის მოღვაწე, რომელმაც ზუსტად აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას. აბაშიძეს ჰქონდა ერთი გეზი და ამ გეზისათვის არ გადაუხვევია. რაც შეეხება შევარდნაძეს, მან იმდენი ითამაშა, რომ ამ თამაშში საქართველო, ფაქტობრივად, განადგურდა, გარდა აჭარისა. თუ შევარდნაძე დღესაც ვერ მიხვდა, რა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა პირადად ის, თუ მან თავი არ დაანება ამდენი უვარგისის ჯიუტად დაცვას და თავის გარშემო შემოკრებას, მაშინ საქართველო საბოლოოდ დაიღუპება.

6 აპრილი

დღეს პარლამენტის სხდომაზე გრძელდება დავა ხელმოწერილ დოკუმენტზე. ბოლოს მოვუსმინე შევარდნაძეს, რომელიც ძალიან აღელვებული იყო და მოითხოვა, რომ დაესვათ საკითხი სახელმწიფოს მეთაურის ნდობის შესახებ, რადგან უამრავი ბრალდებები იყო მის წინააღმდეგ. კერძოდ, გუშინ **ბორის კაკუბავამ** დასვა ეს საკითხი. საბოლოოდ პარლამენტმა ეს საკითხი არ განიხილა. დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ არის რუსეთის ფედერაციის განცხადება, რომ დამოუკიდებელი თანამეგობრობის ფარგლებში რუსეთის სამშვიდობო მისიას არ სჭირდება გაეროს განსაკუთრებული „ნებართვა“. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო – „ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჭიანურდება რეაქცია გაეროსა და ევროგაერთიანებაში მხარდაჭერისთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების არაერთგზის მიმართვაზე (კერძოდ, აფხაზეთსა და ტაჯიკეთში) და ამიტომ რუსეთის ფედერაციისა და მისი მეზობლების შეთანხმებანი, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში შექმნილი მექანიზმები ამ რეგიონში მთავარ სამშვიდობო ინტერესებად რჩება. მსოფლიო გაერთიანებამ უნდა აღიაროს ეს ობიექტური რეალობა". ამ სიტყვებში აშკარად ჩანს, რომ რუსეთის გარეშე

არაფერი გამოგივათო, სწორედ რუსეთთან არასწორმა პოლიტიკამ მიგვიყვანა ამ კრახამდე.

ახლა „მაცნეს" ეუყურებდი და გავოცდი. უშიშროების უფროსი იგორ გიორგაძე აბარებდა ანგარიშს მინისტრთა საბჭოს. მას გვერდით ედგა თემურ ხაჩიშვილი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც შევარდნაძემ 14 სექტემბერს ბრალი დასდო, რომ მან ყურად არ იღო მისი თხოვნა და არ წავიდა სენაკში, რომელიც „ზეიადისტებმა" აიღეს, აგრეთვე ის დაადანაშაულა იმაში, რომ გააფრთხილა რუსთავის „საძმო", რომელთა წინააღმდეგ მზადდებოდა ოპერაცია მათ დასაპატიმრებლად. მაშინ შევარდნაძეს გვარი არ დაუსახელებია, მაგრამ ყველამ იცოდა, ვისზე საუბრობდა იგი. მაშინ მან ზეიკიძე გამოიყენა ხაჩიშვილის წინააღმდეგ, ახლა ზეიკიძე გასწირა და ისევ დააწინაურა ხაჩიშვილი. ისევ ვიმეორებ, ეს ხომ უპრინციპობაა. როდის დავუჯერო შევარდნაძეს, როცა ხაჩიშვილზე ცუდს ამბობდა და ზეიკიძეს სულ დათო-დათოს ეძახდა, თუ ახლა, როცა ზეიკიძეს დასაჭერად აქვს საქმე, ხოლო ხაჩიშვილს, მისი ბრძანებით, ნიშნავენ უშიშროების მინისტრის მოადგილედ.

8 აპრილი

გაზ. „დრონი" 1 სტატია „ზეიკიძე შიმშილობს". ინტერვიუ ზეიკიძესთან – მან აღნიშნა, „ვიცი, რომ ერთი-ორი წელი უმუშევარი ვიქნები, მერე კი, ახალ არჩევნებში ვაპირებ ჩემი კანდიდატურის წამოყენებას. ეფიქრობ, ხალხი ამირჩევს. აი, მაშინ დავამყარებ პარლამენტში წესრიგს". **სიმართლე გითხრათ, მე პირადად ვერაფერს ვიტყვი შოთა კვირაიაზე, მაგრამ ზეიკიძე აშკარად გასწირეს. ჩემი აზრით, ის ვაჟკაცი კაცია, იმედი მაქვს, რომ ისევ გამოჩნდება და ბევრ სასიკეთოს გააკეთებს სამშობლოსათვის.**

გაზ. „ნათლისვეტი". ინტერვიუ ლუიზა შაკიაშვილთან. მან აღნიშნა – „გამსახურდიაში დაკინახე ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშით ხელისუფლებაში მოსული დიქტატორი, ხოლო ბატონ ედუარდში დემოკრატიის დროშით დაბრუნებული „მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტორი" და „კავკასიის მანათობელის" დიდი დიპლომატის იმიჯით შემკულ-დამშვენებული პოლიტიკოსი, რომლისთვისაც ისევე ახლობელი ყოფილა ავტორიტარიზმი და დიქტატურა, როგორც მისი წინამორბედისთვის. მე კი გულუბრყვილოდ ვირწმუნე ჩემი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ჯერ ერთის, შემდეგ მეორესი, ის კი ვერ გავითვალისწინე, ჩემი ემოციურ-მეოცნებე ნატურიდან და მიმდობლობიდან გამომდინარე, რომ პავლეს სავლედ გარდაქცევა მხოლოდ სახარებაშია შესაძლებელი. ცხოვრება კი სრულიად სხვაგვარი, მწარე რეალობაა, სადაც რელიგიურ თემებს თითქმის არ უწერიათ განხორციელება".

გამოვიდა ახალი გაზეთი „მსგეფსი", სადაც წერია, რომ „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისათვის წელინადში ერთ სულ მოსახლეზე იხარჯება 25 ცენტი, როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნებში ეს ციფრი აღწევს 300 დოლარს".

მომავალში შთამომავლობა, ალბათ, მართლაც არ დამიჯერებს, რომ გაზ. „შანსი" ღირს 40000 კუპონი, როდესაც ხელფასი აქვთ 50000 კუპონი. ერთი კვერცხი ღირს 45 ათასი კუპონი, ტუალეტის ქაღალდი – 25000 კუპონი. პროფესორმა მთელი თვე რომ იმუშაოს, იყიდის მხოლოდ ტუალეტის ქაღალდის ერთ შეკვრას.

ფაქტობრივად, საქართველოში ადამიანებს დასცინიან. გაზ. „თბილისში" დაბეჭდილია ინტერვიუ განათლების მინისტრის მოადგილესთან, თამაზ ტატიშვილთან, სადაც საუბარია მასწავლებელთა ხელფასის მომატების შესახებ. ეს გახლავთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების აღმზრდელ პედაგოგთა და ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ", რომელიც 25 მარტს არის ხელმოწერილი. **აქ არის საუბარი 119 400 კუპონიდან 296 500 კუპონამდე გაზრდის შესახებ. ჩემი აზრით, ეს არის ადამიანების მასხრად აგდება. საქართველოში კუპონებზე იყიდება მხოლოდ 300 გრამი პური და გაზეთები. ბაზარში პარკიც კი არ იყიდება კუპონებზე და ღირს 200 რუსული მანეთი, ანუ 50000 კუპონი, ე. ი. მომატებული ხელფასით მასწავლებელი იყიდის 5 პარკს. ერთი კილო ხახვი ბაზარში ღირს 3 ათასი რუსული მანეთი, ე. ი. 750000 კუპონი, მასწავლებელს შეუძლია ერთი თვის ხელფასით იყიდოს 333 გრამი ხახვი.**

9 აპრილი

რამდენ რამეს ნიშნავდა ეს დღე ქართველი ერისათვის. ახლა ტელევიზიით აჩვენებენ იმ დღეების კადრებს, ცრემლები მომდის, მაშინ რა უბედურები გვეგონა რომ ვიყავით და პირიქით აღმოჩნდა დღევანდელი გადასახედიდან. უბედნიერესი ერი ვყოფილვართ, ერთად შეკრული, სადაც ჩანდა მტერი და მოყვარე, რას წარმოვიდგენდი, რა უბედურება ელოდა საქართველოს – დღესაც ფილარმონიასთან დაარბიეს ე. წ. „ზვიადისტების" მიტინგი, მერე დაარბიეს მათი მიტინგი მთავრობის სასახლესთან. „სვობოდნაია გრუზიას"შენობაშიაფეთქდათვითნაკეთებობმბი. დღეს ააფეთქეს თბილის-ერევნის მატარებელი, დაიღუპა სამი კაცი და დაიწვა სამი ვაგონი. აღარ შემიძლია ამდენ უბედურებაზე წერა. **უკვე ხუთი წელიწადია ვწერ მხოლოდ უბედურებაზე, თმებიც გამიჭაღარავდა. საქართველო თანდათან იღუპება – პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, ეკონომიკურად, მორალურად და ფიზიკურად. არა მგონია, საქართველოს ისტორიაში ამაზე მეტი უბედურება თუ ტრიალებდა და მე და ჩემს თაობას მოუწია ამ პერიოდში ცხოვრება.** ღმერთო, ჩემ შვილებს მაინც გაუმართლოს შემდგომში. მე ბავშვობა მაინც ვნახე. ამათ რა ნახეს – ყაჩაღები, ბანდიტები, სროლა და შინ ჯდომა. ჩემს შვილებს საჭმელი მაინც არ აკლიათ, სხვები მათ ასაკში უკვე მათხოვრობენ, რომ შიმშილით არ დაიხოცონ. რაც მთავარია, იმედი მენურება. რა იმედი მქონდა შევარდნაძის, მერე არ ვიცი რას იზამს, თუ ამას მოვესწარი, მაგრამ დღემდე რაც მოხდა მისი ხელისუფლების დროს, ეს არის უდიდესი უბედურება. იგი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, პასუხს აგებს მთელ ამ უბედურებაზე. გაზ. „მსგეფსში" არის ზურაბ მეტრეველის კარგი სტატია სათაურით „კერპთა მსხვრევა", სადაც შევარდნაძის მოღვაწეობაა განხილული. ზურაბ მეტრეველი წერს, რომ „საზოგადოება, რომელსაც არ ძალუძს დაინახოს „მეფის სიშიშვლე" სამარადჟამოდ განწირულია დარჩეს სიბნელესა და პროვინციალიზმის ჭაობში".

ამავე გაზეთში არის სტატია – „პრეზიდენტის დაკრძალვა", ხოლო გაზ. „მიმომხილველში" დაბეჭდილია უკანასკნელი ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან.

გაზ. „ახალი თაობის" №17-ში გამოქვეყნებულია პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს მომავლის" განცხადება, სადაც ძალზე დასაბუთებულად გაანალიზებულია აფხაზეთში მარცხი. ერთ-ერთ პუნქტში განხილულია ჩვენი ჯარების შესვლა 14 აგვისტოს – „ძალზე არადამაჯერებლად გამოიყურება ოფიციალური ხელისუფლების მტკიცება იმის შესახებ, რომ ჯარების გადაადგილება განხორციელებულ იქნა ხიდებისა და რკინიგზის დაცვის მიზნით და არა სამხედრო მოქმედებისათვის".

ზუსტად იგივე ვთქვი ადრე რადიოში.

11 აპრილი

ინტერვიუ **გია ყარყარაშვილთან.** მან განაცხადა, „მე წინააღმდეგი ვიყავი ომის დაწყებისა აფხაზეთში, რადგან ასე ომს არ იწყებენ. მე პირადად მეექვსე დღეს ჩავედი, რადგან მითხრეს უშენოდ მოვუვლითო. ჩვენ კი არ შევედით, შევჩერდით. მიზანი არ იყო, რისთვის შევედით, მარტო რკინიგზის დაცვას ფსოუდან ენგურამდე 7 ათასი კაცი სჭირდებოდა. ჩვენ შევედით ორი ათასი კაცი. იმიტომ დავრჩი, რომ ბიჭები ვერ მივატოვე".

ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, „მე წინააღმდეგი ვიყავი აფხაზეთში შესვლის".

ჯემალ ჭუმბურიძემ განაცხადა, „ვერ გავითვალისწინეთ, რომ აფხაზებს მხარს დაუჭერდნენო".

კორესპონდენტი ეკითხება გიას – „გავრცელებული იყო ხმა, რომ ტყვარჩელს ავიღებთო".

გია ყარყარაშვილი – „იმდენი შეცდომა არის დაშვებული. მაგ., მესამე დღეს გენერალ გუჯარ ყურაშვილთან იყო მოლაპარაკება, რომ მხოლოდ შინაგანი ჯარები შესულიყვნენ. ეს იყო 19 აგვისტოს".

კორ. ეკითხება ჭუმბურიძეს – „სამეგრელო გადაკეტილი იყო. რჩებოდა ზღვა და ჰაერი".

ჭუმბურიძე – „არ გვქონდა არცერთი სამხედრო გემი. იყო საბუქსირო გემი და ორი კატარღა".

ჭუმბურიძემ თქვა, რომ ოჩამჩირეში მეთაურობდნენ გენერალი პაატა დათუაშვილი და

ბრიგადას ხელმძღვანელობდა ბუთხუზი (მაგრამ ამ ბუთხუზის გვარი ვერ გაიხსენა. გაგიუდება კაცი, გენერალმა არ იცის ბრიგადის მეთაურის გვარი, მ. ვ.).

კორ. – „რა პერსპექტივაა მომავალში".

გია – „როდესაც ჩავედი ყველა თავადი დამხვდა – ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი"...

კორესპონდენტი ეკითხება ჯაბა იოსელიანს – „ომი იყო საქართველოს მთლიანობისათვის, აფხაზებმა კარგად გამოიყენეს რუსეთი და ჩვენ რატომ გადავიკიდეთ?"

ჯაბა იოსელიანი – „ჩვენი თავდაცვის და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე სულ იძახდა გაეთრიეთ რუსებო საქართველოდანო. ეს იყო ნაცარქექაობა. გაეთრიეთ, გაეთრიეთ და ჩვენ გავეთრიეთ აფხაზეთიდან".

კორ. – „რა იყო ის, რომ რაიონის გამგებლები და მაგ., თბილისის მერი ჩავიდა და იქ დარჩა მაშინ, როდესაც ზურგს სჭირდებოდა".

ჯაბა იოსელიანი – „საზოგადოება იყო გარყვნილი, სამართალდამცავი ორგანოები ვერ მოქმედებდნენ"...

გული შემიწუხდა. ღამით აჩვენეს, რომ ბოლნისიდან გაუტაცებიათ რამდენიმე ადამიანი, მათ შორის 9 წლის ბიჭი, რომელიც მოკლეს, სანყალი ბავშვი აჩვენეს მკვდარი, ცუდად გავხდი. გვარად იყო ოდიშვილი. სწორედ ზეიკიძეს შეეკითხა კორესპონდენტი, რომ თქვენსა და კვირაიას შორის მტრობის მიზეზი ხომ არ გახდა ის ფაქტი, რომ კვირაიამ გაანთავისუფლა ქვემო ქართლში ჩატარებული ოპერაციის დროს დაჭერილი ბანდიტებიო. მაშინ რომან გვენცაძემ არ ალაპარაკა, რადგან ცხელ გულზე ზეიკიძე რას იტყოდა გასაგები იყო (თუ მართლა მკვლელები გაუშვეს, არ ვიცი რაზეა ლაპარაკი. ეს ხელისუფლება უფრო ტრაგიკულად დაამთავრებს, ვიდრე წინა).

გაგრძელებაა გადაცემა „პულსი".

შეხვედრა თემურ ყორყოლიანთან. „ბოლო დღეებში სოხუმში დაგვხვდა საოცარი ქაოსი, ტექნიკა არ იყო, საოცრად პროფესიონალურად მოქმედებდა მტერი, ეს იყო, ფაქტობრივად, ულტა...

ქართული ჯარი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ისტორია ყველაფერს იტყვის. აფხაზეთის ტრაგედიაში პოლიტიკოსებს უფრო მიუძღვით ბრალი.

გენო კალანდია – „მე პირადად არ მეგონა, რომ 27-ში დავკარგავდით სოხუმს. მისი დაცემის სამი დღით ადრე ჯარისკაცები გადიოდნენ მერხეულის გზით, ყველა ელოდა კოდორის გადმოლახვას"...

კორ. – „რას იტყვით ქობალიაზე, ვინ შეაიარაღა ისინი"?

გენო კალანდია – „მას ძირითადად რუსების ძალები ამარაგებდნენ. მან დიდი იარაღი წაიღო ოჩამჩირიდან. მე ვიცოდი, რომ ქობალია არ დაგვიდგებოდა".

კორ. – „ყორყოლიანს – რას იტყვით რკინიგზის დაცვის შესახებ, რის გამოც მოხდა შესვლა აფხაზეთში".

თემურ ყორყოლიანი – „ჩვენ სახელმწიფო საბჭოში ვიყავით, როცა გავიგეთ, ჯარი შევიდაო. როდესაც ეს საკითხი დადგა, ჩვენ ეჭვი გამოვთქვით, თუ ამას ერთ კვირაში არ გავაკონტროლებთ, დასავლეთის აზრი შეიცვლებოდა. ჩვენ ჩავეფალით ჭაობში".

თედო პაატაშვილი – „არ შეიძლება ამის გამართლება. მიზეზები იყო – გამსახურდიას მომხრეების ბუდე, რკინიგზები, აფხაზეთის კონტროლიდან გასვლა. რომ ყოფილიყო ნდობა იარაღის მიცემის იქაური ქართველებისათვის, ისინი თავის თავს დაიცავდნენ. ამავე დროს ჩვენ ეს ომი არ ავიყვანეთ სახელმწიფო რანგში".

კორ. ეკითხება გია ბარამიძეს – „რას იტყვით სამეგრელოს გზა რომ დაკეტილი იყო, უნდა გვქონოდა ერთიანობა".

თ. ყორყოლიანი – „ღალატი იყო, არ მინდა ვთქვა, რომ შეგნებული, მაგრამ ღალატი იყო".

გენო კალანდია – „გამსახურდიას რომ ეთქვა ერთად დავდგეთო, ეს ამბავი არ მოხდებოდა".

კორ. – „პარლამენტში პარტიები რატომ გამოდიოდნენ რუსეთის წინააღმდეგ, აფხაზებმა კი, პირიქით, მშვენივრად გამოიყენეს რუსეთი და ჩვენ რატომ არ გამოვიყენეთ".

თ. ყორყოლიანი – „საქართველოში არ არის აზრი, რომ პარლამენტის წევრებმა ზეგავლენა მოახდინეს სახელმწიფოს მეთაურზე. მე ამას არ დავეთანხმები. ასეთ პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ ზეგავლენა სახელმწიფოს მეთაურზე. პარლამენტში ამ საკითხის გარშემო არსებობდა ზომიერი და რადიკალური აზრი. ძალიან ბევრს ვფიქრობ ამ ომზე. ეს არ იყო ომი ქართველებსა და აფხა-

ზებს შორის, ეს რაღაც მსოფლიო პოლიტიკაში მოვხვედით".

გია ბარამიძე – „აფხაზები ერთად შეკრულები იყვნენ, ჩვენ კი დაქსაქსულები".

კორესპონდენტი – „რატომ ვერ მოხერხდა გალის შეიარაღება".

გენო კალანდია – „ყველა ფიქრობდა, ეს ომი მე არ მეხებაო".

13 აპრილი

ჩამოსული იყო მურმან ომანიძე, რომელიც დიდ დახმარებას უწევს საქართველოს, ჩამოვიდა რომ კიდევ დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ, როგორც გავიგე, ამ მთავრობას არაფერი არ უნდა. მე პირადად არ მივედი, იმიტომ, რომ არ, ეფიქრა, რაიმე მინდოდა მისგან. აქ ბევრი დაეხვია თავს, რადგან გამორჩენა უნდათ, დღეს ისევ ის ხალხი თხოვს, რომლებიც მას აგინებდნენ, როდესაც ის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და მეც რას აღარ მეუბნებოდნენ, თუ რატომ დავწერე კარგი მასზე და ასე შემდეგ. მე კი გავეცი მათ პასუხი, მაგრამ გავა დრო და ღმერთი ყველას მიუზღავს, რაც მათ გააკეთეს ცხოვრებაში და იკადრეს.

სწორედ, როდესაც წერა დავამთავრე, წავიკითხე გაზ. „მიმომხილველში" სტატია სათაურით – „და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი", რომელიც მიძღვნილია მურმან ომანიძის პრესკონფერენციისადმი. მას პრესკონფერენცია ასე დაუნყია – „ვის რა დავუშავე ან ვის რა ნავართვი" – ასე მიმართა ჟურნალისტებს. მას უთქვამს, „მე არ მჯეროდა სისხლიანი ბრძოლა მოძმეთა წინააღმდეგ და რომელ მხარეს ვიდექი – ოპოზიციის, თუ ხელისუფლების, მე აღვნიშნავ ერთს, რომ ვიყავი ქართველების მხარეს".

მურმან ომანიძემ არ გამორიცხა მომავალ არჩევნებში მონაწილეობა. როგორც აღნიშნა, ის ტრადიციონალისტთა ქომაგია. ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დედაქალაქის როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ტრაგიკომიკურის შეფასება მისცა... მან კატასტროფული უწოდა რუსეთის შიდა-პოლიტიკურ მდგომარეობას. აუგად მოიხსენია ჟირინოვსკი, რომელიც არც თუ დიდი პოპულარობით სარგებლობს თვით რუს მოსახლეობაში, ხოლო პრიორიტეტი მიანიჭა ეგორ გაიდარს[1], რომელთანაც გარკვეული კონტაქტები აქვს. რაც შეეხება მისი რუსეთის ელჩის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, მან აღნიშნა, მართლაც იყო ასეთი თხოვნა სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან, მაგრამ მე უარი განვაცხადე, რადგან არ მჯერა ზოგიერთი ხელისუფლების კორუმპირებულ წევრთან თანამშრომლობისა".

რადგან ომანიძის თემას შევეხე, მინდა რამდენიმე ნანყვეტი ამოვიღო მისი ინტერვიუდან გაზ. „ჯორჯიან თაიმსში" 1994 წელი 22 მარტი.

კორ. – „რამდენი საათი მომიწია თქვენ მისაღებში ყოფნა, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თითქმის ყველა საქმიანი ქართველი მამაკაცი ვინც კი მოსკოვში ჩავიდა, თქვენს მისაღების გარეშე არ მიდის მოსკოვიდან... ერთმა გარეთ იხუმრა აქ პატარა საელჩოაო". აბსოლუტურად სწორად შენიშნავს ჟურნალისტი, რადგან თბილისშიც მესმოდა ამის შესახებ. მისი სიტყვები იყო – „ერთხელ კიდევ შევეცდები, რომ რაღაც სასარგებლო გავუკეთო ჩემს საყვარელ ქართველ ხალხსო".

მე ძალიან მეეჭვება, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ასეთი პიროვნებები სჭირდებოდეს, რადგან დღეს საქართველოში თითქმის ყველამ იცის (შევარდნაძის გარდა, მ. ვ.), რომ ეს ხელისუფლება არის გაზრდილი 18 წლის ასაკიდან კომკავშირის მდივნის კაბინეტებიდან, რომლებიც საქართველოს გულისთვის არაფერს გააკეთებენ, თუ თვითონ არა აქვთ დაინტერესება. გია ჭანტურიას სიტყვების არ იყოს – ისინი არც გააკეთებენ, არც მოისურვებენ და რომც მოისურვონ, არ შეუძლიათ რამე გააკეთონ. მე, მართალია, დიდი შევიწროება განვიცადე იმ სტატიის გამო, რომელიც დავწერე მურმან ომანიძეზე, მაგრამ არასოდეს მინანია, იმიტომ, რომ მე მისგან არაფერი მინდოდა და არც ახლა მინდა არაფერი.

ჩემი სტატიის მთავარი მიზანი იყო აღმენიშნა, რომ ადამიანები უნდა მოვიდნენ თანამდებობაზე არა იმიტომ, რომ წინათ კომკავშირული და პარტიული გზა აქვთ განვლილი, არამედ მხოლოდ თავიანთი ნიჭით და უნარით. სასაცილოა, თანამ-

[1] ეგორ გაიდარი ასრულებდა რუსეთის პრემიერის მოვალეობას.

დებობაზე უნდა იყოს მარგიანი, ხოლო ომანიძე დევნილი.

გაზ. „ქართულ ქრონიკაში“ დაბეჭდილია ირინა სარიშვილის სიტყვა პარლამენტში 24 მარტს.

საოცრად კარგი სიტყვაა (მ. ვ.).

ირინა მიუთითებს შევარდნაძეს, რომ თანამდებობის პირებისათვის სასჯელი მხოლოდ „თანამდებობიდან წასვლა და შემდეგ ორდენით დაჯილდოებაა. მეტი მე პასუხნაგები არავინ მინახავს. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ აფხაზეთი თურმე ღალატის გამო დავკარგეთ, ერთი ადამიანიც არ არის პასუხისგებაში მიცემული იმ ღალატისათვის... დღევანდელი მდგომარეობა ბრალდება რუსეთთან გართულებულ ურთიერთობას, რომელიმე თუ ამიხსნის, რა შუაშია რუსეთთან გართულებული ურთიერთობა, როცა ჩვენი ხელით ვაბნევთ კრედიტებს, როცა არ ვქმნით საკანონმდებლო ბაზას, როცა მთავრობა არ ასრულებს თავის მოვალეობას... სხვათა შორის, ოპოზიციის უმძიმეს შეცდომად საწყისი ეტაპიდან ის მიმაჩნია, რომ აქცენტი, ნებსით თუ უნებლიეთ რუსეთზე გააკეთა და, ფაქტობრივად, ძირითადად კამათი რუსეთზე მოდიოდა და თქვენ, ბატონო ედუარდ, ამას ხელი არ შეუშალეთ, როდესაც აუცილებელი იყო რაიმე გადაწყვეტილების მიღება... ოპოზიციას მთავარი შეტევა სახელმწიფოს მეთაურზე უნდა განეხორციელებინა სწორედ საშინაო პოლიტიკის მიმართულებით, იმიტომ, რომ საშინაო პოლიტიკასა და საგარეო პოლიტიკას შორის არსებულმა უფსკრულმა მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე.

მე მინდა ერთადერთი კითხვა დაგისვათ, ბატონო ედუარდ, რა გინდათ თქვენ?

... რომ ან მხარი დაგიჭიროთ, ან თქვენს მონინააღმდეგე ბანაკში ვიყო. „ჩემი აზრით, საკითხი აბსოლუტურად სწორად არის დასმული. მართლაც, მეც დავიბენი, რა უნდა შევარდნაძეს, აღარ ვიცი, არ მინდა ბოლომდე ავიცრუო მასზე გული, მაგრამ საქართველოში რაც ჩამოვიდა, უბედურებების მეტი არაფერი ხდება. მაგალითად, დღეს გაზ. „მიმომხილველში იყო აზერბაიჯანული გაზეთიდან გადმობეჭდილი სტატია, რომ სომხეთი საქართველოდან მარაგდება აზერბაიჯანული ბენზინით და დიზელით. აზერბაიჯანი ჩვენ ბენზინს და დიზელს კრედიტით გვაძლევს, დიდ დახმარებას უნევს საქართველოს. ამ დროს ჩვენ მათ მოცემულ ბენზინს და დიზელს ვყიდით მათ მტრებზე, სომხებზე, რომლებიც აზერბაიჯანის წინააღმდეგ ომში იყენებენ აზერბაიჯანულ ბენზინს და დიზელს. ოთარ ფაცაცია ჩავიდა ბაქოში, მაგრამ, რად გინდა, აზერბაიჯანმა გვითხრა, რომ შეგვიწყვეტდა ნავთობის მოწოდებას. ნუთუ ეს არ იცის შევარდნაძემ, საოცარია.

14 აპრილი

დღეს დილით „ალიონში“ იყო ინტერვიუ მურმან ომანიძესთან, რომელმაც განაცხადა.

„მე მზად ვარ ჩემ სამშობლოს ვემსახურო – მაკვირვებს, რატომ გამიჩნდა ამდენი მტერი... ამდენი უსუსური მტერი, მე ამან შემიშალა ხელი... ავიღოთ ზოგიერთი მაშინდელი პარლამენტის და ახლანდელი პარლამენტის ნევრი და ზოგიერთი ჟურნალისტი – უნდა მორჩეს საქართველოში უბედურება და პოპულისტობა. რატომ ამბობენ, რომ ძველ მთავრობაში ყველაფერი ცუდი იყო. აღარ მორჩა ეს დაპირისპირება. სახეებს ვერა ვცნობ, როგორი მომღიმარი ახალგაზრდობა გვყავდა.

ჟურნალისტი – „თქვენ აღნიშნეთ, რომ დღევანდელი მინისტრთა კაბინეტი რეფორმატორულია“.

მ. ო. – „ვიცი, რომ წესიერი კაცი მოიყვანეს მინისტრთა საბჭოში, ბასილია. არც ერთი მის გარდა არ ჩანს, ამ დროს საშუალება ბევრია, როგორ არ უნდა გამოვიყენოთ ფოთი და ბათუმი. ჯერ აქ ოფიციალურ სტრუქტურებში უნდა გავარკვიოთ, რა უნდათ და გავნმინდოთ მაფიოზებისაგან“.

ჟურნ. – „რატომ არ მოხერხდა, წინა მთავრობის დროს იზოლაციიდან გამოსვლა“.

მ. ო. – „მთავრობა არაფერ შუაშია. ეს პოლიტიკური ხელისუფლების ბრალია. დღეს ქართული ენის დღეა და თან დაარბიეს ორი მიტინგი“.

18 აპრილი

აღმოჩნდა, რომ 14 აპრილს კოსტავას ეზოში ერთი კაცი გადმომხტარა და თავი მოუკლავს.

15 აპრილს დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა იყო მოსკოვში. იქ არის შექმნილი უშიშროების კომიტეტი. მასში შედის 9 ქვეყანა, არ შედიან მოლდავეთი, უკრაინა და თურქმენეთი. ამ კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომ, თუ დროზე არ გადაწყდებოდა საკითხი გაეროში, მაშინ დსთ თვითონ მიიღებდა ზომებს აფხაზეთში. მიჭირს წერა, როდესაც ნავიკითხე გაზ. „კავკასიონში" 13 აპრილს დაბეჭდილი ახალდაბის პედაგოგი ქალის მოგონებები. – „გული ცუდად მიხდება, როგორ აუპატიურებდნენ პატარა გოგონებს, მესამე-მეექვსე კლასელებს. ეს პედაგოგი შენიშნავს: „საქართველოვ და ქართველო ხალხო, როგორ ჩამოირეცხავთ ამ სირცხვილს".

არა, ამის ჩამორეცხვა არ შეიძლება, ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ ტრაგედიაში. პასუხი უნდა აგონ დაღუპული ადამიანების, გაუპატიურებული ბავშვებისა და უამრავი ათასი ლტოლვილის წინაშე. მახსენდება პარლამენტის სხდომაზე ილრიჭებოდნენ და სიცილით კვდებოდნენ შევარდნაძე და მისი მლიქვნელი დეპუტატები მარგიანის ოხუნჯობაზე, განსაკუთრებით გული დამწყდა ჭაბუა ამირეჯიბზე.

20 აპრილი

დღეს დილით, 9 საათზე კიდევ ერთი ტერორისტული აქტი მოხდა. როდესაც გენერალი გია გულუა სახლიდან გამოვიდა, მისი მძღოლი და თანამშრომელი, მას 09 მარკის ჟიგულში ელოდებოდა სამი თუ ოთხი კაცი. ორმა მათგანმა სრულიად აუღელვებლად აუტეხა სროლა, ისინი ჩაცხრილეს, მშვიდად ჩასხდნენ მანქანაში და ნავიდნენ. ხელისუფლება საქართველოში საერთოდ არ არსებობს, ჯერ არცერთი ასეთი საქმე არ გამოუძიებიათ, დანყებული ქალაქის პროკურორის, ქურდაძის მკვლელობიდან. ხელისუფლება უსუსურია. დღეს გაზ. „კავკასიონში" არის სტატია – „მდგომარეობა სვანეთში სტაბილურად კატასტროფულია". ამ სტატიაში აღნიშნულია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერ აკონტროლებს მესტიის რაიონს. საოცარია, რამდენი წელია მესტია-ზუგდიდის გზაზე ყაჩაღობენ თვითონ სვანები და თავიანთი კუთხე მოწყვიტეს მთლიანად საქართველოს, ხშირად 20 ლიტრი ბენზინი გადმოაქვთ ბალყარეთიდან. „ამ გზის თითქმის 120 კილომეტრი მონაკვეთი მთლიანად ოკუპირებული აქვთ ყაჩაღებს და მიმდინარეობს დაუნდობელი ძარცვა, მთელი წლის განმავლობაში ზუგდიდიდან მესტიამდე ან პირიქით მიმავალი ყველა მგზავრი გაძარცვული და შეურაცხყოფილია. არ ინდობენ ქალებს, ბავშვებს, ავადმყოფებს, სატირალში მიმავალ ჭირისუფალს. იტაცებენ პროდუქტებს, ხდიან ტანისამოსს... ხშირად ძარცვას არ სჯერდებიან, ართმევენ ავტობუსს ან სატვირთო მანქანებს".

ამ გაზეთში სწორად წერია, რომ დამნაშავეს არა აქვს ეროვნება. აქ, ამ გზაზე თავმოყრილია ყველა ჯურის ბოროტმოქმედი, მთავრობა კი გულარხეინად უყურებს, როგორ ძარცვავენ ხალხს. დღეს აფხაზები სვანების სოფლებს უტევენ კოდორის ხეობაში და იქვე, ხაიშთან კბილებამდე შეიარაღებული ბანდები თავიანთ მოძმეებს ძარცვავენ. გაზეთში აღნიშნულია, „ჩვენში ხშირად გაისმის ხმები აფხაზეთის ბრძოლით დაბრუნების აუცილებლობაზე, თუმცა ყველა გონიერი ადამიანისათვის ნათელია, რომ ამ ეტაპზე ამისთვის არ ვართ მზად, ჯერ შიგნით ვერ დაგვიმყარებია წესრიგი. სრული დაუსჯელობის გრძნობით შეპყრობილმა დამნაშავეთა სამყარომ ყველა სფეროში დაჯაბნა სახელმწიფო და ფაქტობრივად, საქართველოში ყაჩაღების დიქტატურა გამოცხადდა... ხელისუფლება გაეროს შუამავლობითაც კი ძლივს ახერხებს მოლაპარაკების წარმოებას აფხაზთა მხარესთან... ამ დროს კი ნაძარცვი დაუბრკოლებლად გადის ენგურს გაღმა. ცხინვალის ზონაში მთავრობის წარმომადგენლები ვერ შედიან, სამაგიეროდ, თავისუფლად შედიან ნარკოტიკებით მოვაჭრენი და ქეიფობენ ხაბიზგინებზე, მათ წინ არავინ ეღობებათ, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შიგნიდან უფრო მეტი საფრთხე ემუქრება, ვიდრე გარედან".

21 აპრილი

დღეს დაწვეს **პაატა ბურჭულაძის** სახლი, ქართველი კაცის, რომელსაც მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს, რომელმაც უამრავი დახმარება აღმოუჩინა საზღვარგარეთიდან საქართველოს.

ერთი წლის წინ მას 500 ათასი დოლარი მოსთხოვეს ყაჩაღებმა. მისი მამა და მთელი ოჯახი გადაიხვეწა საზღვარგარეთ. საქართველოში არ დარჩა ნორმალური ოჯახი, რომ არ აეწიოკებინათ.

დღეს კიდევ ააფეთქეს ხაშურის ენერგოხაზი.

ახმეტაში თავს დაესხნენ მეღვინეს, მის ცხრა თვის ორსულ მეუღლეს სულ თავში ურტყეს და მოითხოვეს 50 მილიონი. პოლიციამ მათ ალყა შემოარტყა, მაგრამ ბანდიტები გაექცათ. პოლიციის უფროსის მოადგილემ განაცხადა, ვერ გავიმეტე, ქართველები იყვნენო, ვინ ვერ გაიმეტა, მკვლელები, რომლებიც ორსულ ქალს ურტყამენ. რამდენი ხანია ვწერ, რომ საქართველოში განუკითხაობაა. შევარდნაძე კი, ვითომ არაფერი ხდება, აგრძელებს მუშაობას ბანდიტებთან, ყაჩაღებთან, მლიქვნელებთან ერთად. აღარ ვიცი, რა ემართება, გადამჭრელი ზომები თუ არ იქნა მიღებული, საქართველო აღარ იარსებებს. ეტყობა, რუსებიც ვეღარ იტანენ შევარდნაძეს, რადგან ჟენევაშიც არაფერი გამოდის. დღეს პარლამენტის სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ან შევარდნაძე, ან საქართველოო. ნუ გადავაყოლებთ შევარდნაძეს საქართველოსო. ნუთუ წესრიგი რომ დაამყაროს ქვეყნის შიგნით, ეს აღარ შეუძლია. მოვიდა თუ არა, შევარდნაძემ დააწინაურა სოლიკო ხაბეიშვილი და დანიშნა უდიდესი ფონდის ვიცე-პრეზიდენტად, ფაქტობრივად, პრეზიდენტად, რადგან ფორმალურად თვითონ იყო ამ ფონდის პრეზიდენტი. ხაბეიშვილს რა არ ედებოდა ბრალად და ამის გამო ციხეში იჯდა, მას კი ხელში ჩაუგდო უზარმაზარი სახსრები. ამის შემდეგ იკრებს და იკრებს ხალხს, რომლებმაც დაღუპეს საქართველო, ნუთუ ვერ ხვდება, რომ ისტორია ამ ხალხს დაივიწყებს და ყველაფერი მას დაბრალდება. მას იმდენი ბრალდება ექნება, რომ ას პოლიტიკურ მოღვაწეს ეყოფა ისტორიაში. ნერვები მეშლება, რომ, რასაც მისი მტრები მეუბნებოდნენ, ყველაფერი აღსრულდა. დაიკარგა „სამხრეთ ოსეთი", აფხაზეთი, მისი ხელისუფლება არ ვრცელდება აჭარაში, სამეგრელოში, სვანეთში; დიდი პრობლემებია საჯავახოში. საქართველოში 300 ათასი ლტოლვილია, დაღუპულია ათიათასობით ადამიანი, დაინგრა და დაიწვა უამრავი სახლი. **მტერმა იმდენი ზიანი არ მოგვაყენა, რაც გააკეთეს საქართველოში ქართველმა ბანდიტებმა და ყაჩაღებმა. შევარდნაძე მხოლოდ გამსახურდიასა და მის მომხრეებს ებრძოდა, ხოლო, როდესაც გამსახურდია დაიღუპა, ჩათვალა, რომ მის ხელისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრება.** ელემენტარული ნამუსი ხომ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურს, როდესაც იცის, რომ მის გვერდით მყოფი ადამიანები მფარველობენ საქართველოში ასეულობით თუ ათასეულობით ბანდიტს, რომლებიც ანადგურებენ ქვეყანას. საშუალო ხელფასი 10 ცენტიც არ არის. მომავალმა თაობამ რომ წარმოიდგინოს, მოვიყვან მაგალითს, **დღეს 1 დოლარი არის 750 ათასი კუპონი. პროფესორის ხელფასი არის 200 ათასი კუპონი, ე. ი. 30 ცენტი.** საქართველოში დღეს არის 40 მინისტრი, მართალია, ზოგს კომიტეტი ჰქვია, ზოგს – დეპარტამენტი, მაგრამ იგივე სამინისტროა. თითოეულ მათგანს ჰყავს ხუთი მოადგილე და სახელმწიფო მანქანებით დაგრიალებენ. მათ საქართველო სულ არ ენაღვლებათ. ამ დროს სასწრაფო დახმარების მანქანებს მთავრობა ბენზინს არ აძლევს და ამის გამო ადამიანები იღუპებიან. მათ ეს არ ადარდებთ. მინდა მომავალმა თაობამ იცოდეს, რომ ამ მთავრობასთან და პარლამენტთან პირადად მე არავითარი კავშირი არა მაქვს. მინისტრთა საბჭოში და პარლამენტის შენობაში ჯერ ფეხიც კი არ შემიდგამს. ამიტომ მინდა იცოდეს მომავალმა თაობამ, რომ ეს ჩემი შეხედულება მთავრობის ბევრ წევრზე სუბიექტური არ არის.

25 აპრილი

გადაცემა „პირისპირ". ინტერვიუ შევარდნაძესთან.

ვალერი კვარაცხელია – „რატომ თქვით გრაჩოვის წინადადებაზე უარი, სოხუმში ორი დივიზიის შემოყვანაზე".

ე. შ. – „ჩვენ ადლერში შევხვდით, მან გეგმაც კი შემოგვთავაზა, მე მჯერა, რომ სოხუმის გადარჩენა შეიძლებოდა. ვთხოვე, რომ გაეძლიერებინა ჯგუფები. მერე მე ვერ გავითვალისწინე ზურგში ღალატი, აქედან გამოდის ის დიდი შეცდომა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ არ დავმარცხდებოდით, თუ ერთიანი ვიქნებოდით".

კვარაცხელია – „იყო პერიოდი, როდესაც სოხუმში საქმე კარგად იყო, რატომ შეიკავეს თავი გუდაუთაში შესვლაზე?"

ე. შ. – „ჯერ ერთი, ჩემი თანხმობა სოხუმში შესვლაზე არ ყოფილა, ჩვენ მხოლოდ უნდა გაგვევლო გვერდით. მეორეც, ათი დღის განმავლობაში მათ გაამაგრეს გუდაუთა. მასში შესვლა დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა... მესამე, აუცილებლად მოხდებოდა შეტაკება რუსეთის არმიის ნაწილებსა და ქართულ არმიას შორის... თუმცა მერე ჩვენ დავკარგეთ ის, რაც არ უნდა დაგვეკარგა".

კვარაცხელია – „რას იტყვით, რომ დაგვიანეთ დსთ-ში შესვლა, ახლა აგვიანებთ სამანეთო ზონაში შესვლას".

ე. შ. – „ხშირად პოლიტიკოსის აზროვნება უსნრებს რეალურ სიტუაციებს... თუ შევარდნაძეს ჰქონდა ხედვა ევროპის განთავისუფლებაზე; ავღანეთის მოვლენებზე... რატომ დაჩლუნგდა ეს პიროვნება, რომელიც ვერ ხედავს, იმიტომ რომ ობიექტური პირობები ძნელია. **ვთქვათ დსთ-ში შესვლას მოსახლეობის რა პროცენტი უჭერდა მხარს, ამას მოსახლეობა არ მიიღებდა, მაშინ შეიძლებოდა ხალხი გაგვეთიშა, საკითხი გადაწყდა, როცა მომწიფდა**[1]. მაგალითად, ბუენინსაკის როცა ველაპარაკებოდი, მან მითხრა, სწორად მოიქეცით, როცა შეხვედით დსთ-შიო. ახლა სამანეთო ზონა. ზოგი ფიქრობს, რომ, თუ შევალთ, ფული გვექნება. დღეს რუსეთი მზად არ არის უპირობოდ შეგვიშვას, ამას დასჭირდება 6-7 თვე, როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთში. ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა".

კვარაცხელია – „თქვენ ხედავთ, რა დღეშია მოსახლეობა საქართველოში. არ არის მინიმალური პირობები, რომ ხალხმა იარსებოს. სავალუტო ფონდმა მოგვცა წინადადება შევაჩეროთ ინფლაცია".

ე. შ. – ჩვენ გამოსავალი სამანეთო ზონაში კი არ უნდა ვეცადოთ, არამედ აღვადგინოთ ეკონომიკა".

კვარაცხელია – „მეტისმეტი ხომ არ დაგვემართა, ამ ორ წელიწადში დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო, არის ტერორიზმი, მაფია".

ე. შ. – „როცა საქართველოს ამ ორ წელიწადზე ვლაპარაკობთ, წინა წლებს ნუ მოვწყვეტთ. კარგი ის იყო, რომ საქართველო გადარჩა, გადავრჩით სამოქალაქო ომს. ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოს ერთიანობა. ჩვენ გადავწყვიტეთ პროვინციული ფაშიზმი".

კვარაცხელია – „როცა თქვენ დაბრუნდით, მოგიწიათ საეჭვო პიროვნებებთან ურთიერთობა და გავლენას განიცდიდით ქურდული სამყაროსაგან".

ე. შ. – „ჩემზე რომ კლანები ახდენდნენ გავლენას, არ არის სწორი, განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ. ახლაც არიან კლანები, მათ უნდა ვებრძოლოთ".

26 აპრილი

დღეს დაასაფლავეს საწყალი გია გულუა. გაიმართა პარლამენტის სხდომა. სამხედრო მინისტრად დაამტკიცეს ვარდიკო ნადიბაიძე. ის იყო ამიერკავკასიის ჯარების სარდლის მოადგილე – გენერალ-ლეიტენანტი. საკმაოდ გამოცდილი გენერალია. ვნახოთ, რას იზამს.

პარლამენტში სიტყვით გამოვიდა ბორის კაკუბავა, რომელიც შეიარაღებულმა პირებმა მოიტაცეს. მართალია, ისინი შეიპყრეს, მაგრამ პროკურატურამ გაანთავისუფლა. კაკუბავას ერთ-ერთ მათგანი პარლამენტის შენობაში უნახავს.

27 აპრილი

გუშინ ირინა სარიშვილმა გააკეთა განცხადება, რომელიც 7 პუნქტისაგან შედგებოდა.

ირინამ პარტიებს მოუწოდა თანხმობისა და ახალი არჩევნების ჩატარებისკენ.

დღეს დილით მოკლეს ოთხი ვაკელი „მხედრიონელი" ნაგანით. ჯერ არ იციან, ვინ მოკლა ისინი. მოკლულთა შორის არის ცნობილი მუსტაფა ანუ მუსტო.

[1] საშინელებაა, ე. ი. უნდა გაუბედურებულიყო ხალხი, დაღუპულიყო 30 ათასი კაცი, 300 ათასი უსახლკაროდ დარჩენილიყო და მერე დაუჯერებდნენ. ჩანს, შევარდნაძემ იცოდა, რით დამთავრდებოდა აფხაზეთის კონფლიქტი (მ. ვ).

2 მაისი

ხუთშაბათს ზესტაფონში წავიყვანე ოჯახი. პარლამენტში დიდი ამბები მომხდარა. ნოდარ ნათაძეს, რომელიც სიტყვას ამბობდა, პარლამენტში სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა მიკროფონი გამოურთო. ნათაძე მისულა შევარდნაძესთან და უთქვამს, ეგლა მაკლია ნაბიჭვრებმა მიკროფონი გამომირთონო. რჩეულიშვილმა ბორჯომი ჩაასხა ჭიქაში და სახეში შეასხა ნათაძეს. ნათაძემ ტელეფონის ყურმილი ესროლა. პარლამენტში დიდი არეულობა დაიწყო და სხდომა ვეღარ გაგრძელდა.

გუშინ დაწვეს სენაკის გამგეობის შენობა.

გამიხარდა, როდესაც გაზ. „თბილისში“ წავიკითხე გია ყარყარაშვილის მილოცვა ნადიბაიძისადმი.

დღეს გადაცემაში „პირისპირ“ არის ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან.

ვ. კვარაცხელია – „ვინ ხართ, სამხედრო თუ პოლიტიკოსი“.

თ. კ. – „ერთი მეორეს არ გამორიცხავს“.

ვ. კ. – „თქვენზე ბევრი ჭორია და დიდი ინტერესი. თქვენ ოპოზიციაში ხართ, სწორია?“

თ. კ. – „ოპოზიციის არ მწამს“...

ვ. კ. – „როცა შევარდნაძე ჩამოვიდა, ერთად თანამშრომლობდით, როდის დაიწყეთ გადასვლა მის ოპოზიციაში“.

თ. კ. – „ეს დაიწყო 3 სექტემბერს, 1992 წელს“.

ვ. კ. – „ე. ი. ჩვენი ბრალია, რომ დაირღვა 3 სექტემბრის ხელშეკრულება“.

თ. კ. – „რაღაც შეცდომა დავუშვით“.

ვ. კ. – „რა შეცდომა დაუშვით“.

თ. კ. – „ამას ისტორია გაარკვევს“.

ვ. კ. – „კიდევ რა მიზეზები იყო თქვენს შორის განხეთქილების?“

თ. კ. – „საკადრო პოლიტიკაში იყო დიდი შეცდომები“.

ვ. კ. – „დავაკონკრეტოთ“.

თ. კ. – „მაგალითად, საფინანსო პოლიტიკაში“.

ვ. კ. – „დვალიშვილი?“

თ. კ. – „დიახ“.

ვ. კ. – „თქვენ დიდხანს იყავით რუსეთში“.

თ. კ. – „ჩემთვის არავის დაუვალებია და ადრეც, რკონში რომ გავედი, მაშინაც, მე ვიცოდი რუსეთში იმ პოლიტიკური წრეების დამოკიდებულება საქართველოსადმი“.

ვ. კ. – „თქვენმა ჩასვლამ რაიმე გარდატეხა გამოიწვია – რანაირი პოლიტიკა უნდა გატარდეს რუსეთის მიმართ“.

თ. კ. – „ჩვენ ვერ მივეჩვიეთ, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, მართავს რესპუბლიკებს. ჩვენ გვჭირდება ხანგრძლივი დრო. შევარდნაძეს ნდობა აქვს დაკარგული რუსეთში“.

ვ. კ. – „ოპოზიცია, მაგ. თამარ ჩხეიძე წერს, რომ რუსეთი შევარდნაძისნაირ კაცს ვერ იპოვის“.

თ. კ. – „პირიქით, ეს შეცდომაა, ისინი აბრალებენ მას რუსეთის დაშლას“.

ვ. კ. – „როგორ ჯობია, სათავეში იყოს ასეთი კაცი, რომელიც არ უყვარს რუსეთს“.

თ. კ. – „არ შეიძლება ერთ კაცს შევნიროთ ხუთი მილიონი კაცი“.

ვ. კ. – „თქვენ ფიქრობთ, რომ შევარდნაძე უნდა წავიდეს“.

თ. კ. – „თუ მან შეძლო შემოტრიალება – ეკონომიკური მდგომარეობის, აღკვეთა მკვლელობები“...

ვ. კ. – „ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ დაასახელეთ პიროვნებები შევარდნაძის ნაცვლად – აკაკი ბაქრაძე, თენგიზ სიგუა“.

თ. კ. – „როცა ახალი დრო და ახალი მთავრობა მოდის, მოხდება პოლიტიკის დარბილება“.

ვ. კ. – „ხელისუფლების შეცვლა როგორ უნდა მოხდეს“.

თ. კ. – „დღეს ყოველგვარი სამხედრო გადატრიალება დამღუპველია“.

ვ. კ. – „ხალხში ხმა დადის, კიდევ რამეს ხომ არ ამზადებს კიტოვანიო“.

თ. კ. – „გამორიცხულია“.

ვ. კ. – „რატომ მოხდა დაყოვნება სოხუმში“.

თ. კ. – „როცა გუმისთასთან გავჩერდით, მე ჩამოვედი და ვთქვი, რომ ომი წაგებულია, ჩვენ დრო მივეციოთ. ჩვენ რომ გენოციდი გვდომოდა ტყვარჩელს ავიღებდით“.

ვ. კ. – „თქვენ სეპარატისტების დროშა ჩამოიტანეთ სოხუმიდან“.

თ. კ. – „საქართველოს დროშა უნდა იყოს ყველგან“.

ვ. კ. – „რას იტყვით დსთ-ზე“.

თ. კ. – „თუ ვაპირებდით, 3 სექტემბერს უნდა შევსულიყავით“.

ვ. კ. – „ოპოზიცია თავს იკავებდა“.

თ. კ. – „მე თანახმა ვიყავი, რომ ხელი მოგვეწერა რუსეთთან“.

ვ. კ. – „რატომ არ მიეცით ხმა დსთ-ში შესვლას“.

თ. კ. – „მე მაშინ თანახმა ვიყავი.“

ვ. კ. – „რა ურთიერთობა გაქვთ ოპოზიციასთან“.

თ. კ. – „ოპოზიციას თავისი კურსი უნდა ჰქონდეს“.

ვ. კ. – „რატომ მოხდა თქვენსა და გამსახურდიას შორის განხეთქილება მაშინ, როდესაც თქვენ თანამებრძოლები იყავით“.

თ. კ. – „როცა 19 აგვისტოს დაიწყო რუსეთში პუტჩი, მაშინ დაიწყო ჩვენს შორის განხეთქილება. გამსახურდია დანებდა პუტჩს... მაშინ გენერალი ჟურავლიოვი გამოგზავნეს საქართველოში. მას პურ-მარილი მუხათგვერდის რესტორანში ომანიძემ გაუმართა. ომანიძე ასრულებდა გამსახურდიას დავალებებს“.

ვ. კ. – „ომანიძე ამბობს, რომ საქართველოსათვის ვიბრძოდიო“.

თ. კ. – „მე ვიცოდი იანაიევს[1] რომ ხვდებოდა, მან ჩამოიყვანა სნაიპერები უკრაინიდან და ჯარისკაცები დამიხოცესო“.

ტელემაყურებელი – „ქობალიას თუ აიარაღებდით“.

თ. კ. – „ტყუილია“.

4 მაისი

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მურმან ომანიძის საარჩევნო კამპანიის მხარდამჭერი ჯგუფის განცხადება. მართალია, კიტოვანის გვარი არ არის ნახსენები, მაგრამ აშკარაა, ეს არის პასუხი კიტოვანის ინტერვიუზე. ომანიძე ტელედებატებში ინვევს თავის მონინააღმდეგეებს.

6 მაისი

ინტერვიუ აკაკი ასათიანთან „მაცნეში“. მას შეეკითხნენ – რას იტყვით იმ ბრალდებებზე, რომელიც წაუყენა კიტოვანმა ომანიძეს. მან განაცხადა, რომ ომანიძეს არავითარი ბრალი არ მიუძღვის პუტჩის დღეებში. მხოლოდ ის, რომ, როდესაც ჩამოვიდა გენერალი ჟურავლიოვი პირველად ომანიძეს შეხვდა. ასათიანმა საკმაოდ კარგად ილაპარაკა ომანიძეზე.

დღეს ჩემმა შვილმა მთხოვა ნაყინი და სასტუმრო „აჭარასთან“ ვუყიდე ნაყინი, ამ დროს მომადგა ხუთი საწყალი ბავშვი (სასტუმრო „აჭარაში“ ცხოვრობენ ლტოლვილები გალიდან, მ. ვ.), მათაც ვუყიდე ნაყინი და ტირილი ვერ შეეიკავე. რა ბავშვები გადააქციეს მათხოვრებად, ნუთუ შევარდნაძე, თვით პარლამენტის უმრავლესობა, მთავრობა ვერ ხვდება, თუ რა უბედურება მოხდა, სირცხვილის გრძნობაც არა აქვს შევარდნაძეს. გუშინ ნატახტარის საგუშაგოს თავს დაესახა 15 ავტომატით შეიარაღებული კაცი, სცემეს პოლიციელებს, იარაღი წაართვეს და უნომრო რაფით მშვიდად წავიდნენ გორისაკენ. თელავში 11 პატიმარმა პოლიციელები განაიარაღა, კასპის იზოლატორიდან გაიქცნენ მკვლელები: შევარდნაძე არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას. როგორ შეიძლება ქვეყანას უშველოს, როცა შევარდნაძეს გარშემო თანამდებობებზე ბანდიტები ჰყავს. დღეს გაზ. „ახალ თაობაში“ ბორის კაკუბავა ასე მიმართავს შევარდნაძეს – „ის, რასაც თქვენ უწოდებთ დიპლომატიური აზროვნების ტრიუმფს, ჩვენ ენაზე და საქართველოს სინამდვილეში ქვეყნის დანგრევა-დაქუცმაცება ჰქვია“.

დღეს გაზ. „კავკასიონში“ ინტერვიუა კიტოვანთან, სადაც ის წერს, რომ მოუსმინეს საუბარს შევარდნაძესა და ქობალიას შორის. ამ საუბარს მოუსმინეს ირაკლი ქადაგიშვილმა და გია ბარამიძემ. ეს სატელეფონო საუბარი იყო – „როგორ ხარ ლოთიო“. – კარგად, ბატონო ედუარდ. მიიღეთ ჩემგან ყველაფერი – ყველაფერი მივიღეთ, გადმოვალთ მალე – აბა, ჩემო ლოთო, გეხვევი, გკოცნი, შენი ედუარდი“ სასაცილო ქვეყანაა, სატირალი რომ არ იყოს (მ. ვ.).

ამავე გაზეთში არის ინტერვიუ ირაკლი ანდრიაძესთან, თბილისის ყოფილ მერთან, პარლა-

[1] სსრკ-ს ვიცე-პრეზიდენტი, პუტჩის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

მენტის წევრთან, ამჟამად სახელმწიფო მეთაურის და მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსია. როდესაც მას ეკითხებიან, როგორ ცხოვრობთ, ის პასუხობს, რომ მას მიწის ნაკვეთი აუღია და იმით ირჩენს თავს, სასაცილო არ არის?

7 მაისი

გაზ. „დრონი“ № 15, ინტერვიუ გია ჭანტურიასთან. მე ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ ეს პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული, სულ უფრო და უფრო იზრდება, მით უმეტეს, როცა შევარდნაძე დაბრუნდა. მათი პროგნოზები მართლდება, მათი მოთხოვნები, რომელსაც აყენებდნენ და აყენებენ ყოველთვის თანადროულია. ისინი სიმართლეს ეუბნებოდნენ შევარდნაძეს. მახსოვს, გიამ ადრე უთხრა და ირინა სარიშვილმაც, რომ ჩვენ ვაშენებთო ყაჩაღურ და ბანდიტურ საქართველოს და სწორიც აღმოჩდნენ, „რაც უფრო ადვილია იდეოლოგიისგან განთავისუფლება, მით უფრო ძნელია ცხოვრების წესისაგან თავის დაღწევა. შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ყოველგვარი გუნდის გარეშე, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტით და საკუთარი ავტორიტეტით, შესძლებდა ქვეყნის აშენებას. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის.. არც რეფორმა გატარდა, ქვეყანა კრიმინალურმა ბანდებმა და კორუფციამ წაიღო“.

გია აბსოლუტურად სწორად შენიშნავს, რომ „რამდენი ინტერვიუც არ უნდა გადავცეთ ორშაბათობით, რამდენად მომხიბლავი ღიმილიც არ უნდა გვქონდეს, ეს შედეგს არ გამოიღებს, პოზიციის სხვადასხვაობის მიუხედავად, ხალხს მობეზრდა მხოლოდ იმაზე საუბარი, რომ „პროვინციულ ფაშიზმს“ მოვერიეთ, სხვა ელემენტარულიც ხომ უნდა გავაკეთოთ“.

ჩემი აზრითაც, დღესაც ისევ ცუდი თუ არის რამე, ზვიადს აბრალებენ. ჩემმა მეგობარმა მიამბო, რომ ყოფილი საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედიკო მეზვრიშვილი ახლა კახეთის რწმუნებულის მოადგილე, ყვარელში ჩასულა და უთქვამს, რომ სინათლე რომ არ არის „ზვიადისტების“ ბრალიაო. ხალხი სიცილით მომკვდარა, საიდან ამოყავს ეს ხალხი შევარდნაძეს, რომლებიც დიდი ხანია ნაგავსაყრელში უნდა იყვნენ, მათი გამოსნორება ხომ აღარ შეიძლება. იმაზე მეტი უბედურება, რაც შევარდნაძის დროს მოხდა, საქართველოს ისტორიას ჯერ არ ახსოვს, ეტყობა, მას აღარ შესწევს უნარი წარმოაჩინოს ახალგაზრდობა და დაუდგეს მათ გვერდით. ელცინმა მას აშკარად აჯობა, როდესაც გადამწყვეტ მომენტში ახალგაზრდობა წარმოაჩინა – გაიდარი, ჩუბაისი, შუმეიკო, ფიოდოროვი და სხვები. მან კი გვერდში ამოიყენა ფაცაცია, იოსელიანი, ანდრიაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ჯაფარიძე, მარგიანი და სხვები, რომლებმაც საერთოდ ვერაფერი გაიგეს, რა მოხდა საქართველოში ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. **როდესაც შევარდნაძე ჩამოვიდა, ღმერთივით ვუყურებდით, თითქოს ღმერთმა გამოგვიგზავნაო, მაგრამ დღეს, გარდა მისი თაობისა, ე. წ. ფილარმონიის „ლომებისა“, უკვე მხარდამჭერი არავინ ჰყავს. დღეს, ვიმეორებ, გარდა რადიკალური გარდაქმნისა, საქართველოს არაფერი გადაარჩენს. დღეს იმავე მდგომარეობაში ვართ, როდესაც გიორგი მეორემ ვერაფერი გაანყო და საჭირო გახდა მისი გადაყენება, რომ მოსულიყო 16 წლის დავით აღმაშენებელი, რომელმაც ახალგაზრდული ენერგიით დაიწყო საქართველოს გადარჩენა. ალბათ, დღესაც გვჭირდება ახალი თაობის ახალგაზრდა წინამძღოლი, რომელიც გადაარჩენს საქართველოს.**

9 მაისი

გადაცემა „პირისპირ“, ინტერვიუ ბორის კაკუბავასთან.

ბ. კ. – „დღეს დამთავრდა აფხაზეთის ქართველთა ყრილობა, რომელიც 23 აპრილს იყო დანიშნული. ბევრი ხელისშემშლელი პირობა იყო, რომ არ ჩატარებულიყო ყრილობა. 300 ათასი ლტოლვილი კი არ არის საქართველოში, არამედ ისინი არიან დროებით გადაადგილებულნი“.

ვ. კვარაცხელია – „რა გადაწყვიტა ყრილობამ“?

ბ. კ. – „ხალხის გადაწყვეტილება არის ისეთი, რომ სახელმწიფომ დროზე უნდა გადაწყვიტოს ტერიტორიის დაბრუნება“.

ვ. კ. – „არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, ოლონდ დაბრუნდნენ საკუთარ კარ-მიდამოში, თუნდაც ეს იყოს სხვისი ქვეყანა. რატომ მიგაჩნიათ, რომ, თუ ასე დაბრუნდებიან უარესია"?

ბ. კ. – „გამორიცხულია მათი მთლიანი უსაფრთხოება, როდესაც დაბრუნდებიან. პასუხისმგებლობას აკისრებენ აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებას, გაეროს მეთვალყურეებს პოლიტიკური უფლებები არა აქვთ. თუ რუსეთს ვაკისრებთ, რომლებმაც მოაწყვეს ეს გენოციდი, ჩემთვის გაუგებარია. ისინი მხოლოდ ჩვენ უნდა დავიცვათ".

ვ. კ. – „ჩვენ ვერ დაგიცავით".

ბ. კ. – „ჩვენ კი ვერ დაგვიცავით, არამედ არ დაგვიცავით. ქართველი ხალხი არ არის მხდალი. მე ომის დროს ვნახე გმირები... მიმაჩნია დანაშაულად ქართული ჯარის შემოსვლა აფხაზეთში. იმას, რასაც ამბობს შევარდნაძე, რომ საჭირო იყო მაგისტრალების დაცვა, ტყუილია. მაგისტრალებს ტანკებით არ იცავენ. ჩვენ გვინდოდა ხუთასკაციანი რაზმები – ოჩამჩირეში, გაგრაში, სოხუმში. შევარდნაძემ არ დაგვიჭირა მხარი და დაიჩემა შინაგანი ჯარი. მეორე გზა არსებობდა ის, რომ 1978 წელს შევარდნაძემ ის ასი კაცი, რომელიც მეთაურობდა ცნობილ მოვლენებს, დაანინაურა. ახლა ჩვენ უნდა დაგვეპატიმრებინა ისინი".

ვ. კ. – „რატომ არ გენდობოდათ შევარდნაძე".

ბ. კ. – „პიროვნულად ის მენდობოდა, პირიქით, იარაღით შევდიოდი მასთან. ეს პიროვნული არ არის, მას თავისი აზრი ჰქონდა ჩამოყალიბებული, ადრე დამოუკლიდებლად ვერ მოქმედებდა (იგულისხმება 1978 წელი – მ. ვ.), რასაც უბრძანებდა რუსეთი იმას აკეთებდა. ახლა, როცა ვეუბნებით, რომ ტერიტორიების დაბრუნება ომის გარეშე არ შეიძლება – მეუბნებიან, საერთაშორისო სარბიელზე რა უთხრან. აფხაზეთის სტატუსი უნდა განისაზღვროს თბილისში და არა მოსკოვსა და ჟენევაში... ეს ხელისუფლება ამ ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს".

ტელემაყურებელი ეკითხება – „რატომ არ მონაწილეობდა ბევრი ქართველი აფხაზეთიდან ამ ომში".

ბ. კ. – „იარაღი არ გვქონდა. 700 კაცი მყავდა გაგრის ბატალიონში. სულ იარაღი მქონდა 150 კაცზე".

გაზ. „ივერიაში" № 37 ბ. კაკუბავა წერს – „ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი – ან საქართველო უშევარდნაძოდ, ან შევარდნაძე – უსაქართველოდ, ორივე ერთად არ შეიძლება. თუ ეს არჩევანი არ გაკეთდა სასწრაფოდ, საქართველოს სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას".

10 მაისი

დღეს ჟენევაში დაინყო მოლაპარაკება აფხაზეთის საკითხზე, მაგრამ ჯერ არაფერი არ არის ცნობილი. დღეს „სვაბოდნაია გრუზიაში" არის ინტერვიუ გია ყარყარაშვილთან. ძალიან გამიხარდა, რამდენი ხანია კორესპონდენტებს არ აუღიათ ინტერვიუ მისგან, იყო მხოლოდ მისი სახელის ლაფში ამოსვრა, ისეთი საზიზღარი ჭორები ვრცელდებოდა, რომ გული აგერეოდა მაგ., თითქოს 75 ათასი დოლარი აიღო და გაყიდა აფხაზეთი. ინტერვიუში მას ეკითხებიან, თქვენ გაიძულეს, რომ წასულიყავით მინისტრობიდან? გიამ უპასუხა „Я не из тех на кого можно оказывать давление. Я прихожу туда и в тот момент, когда знаю, что именно так и именно тогда я нужен и ухожу, когда вижу, что мне там уже не место".

მის ინტერვიუში არ არის არც ერთი ფრაზა და ბრალდებები იმ ხალხის მიმართ, ვინც უდიდესი როლი ითამაშა აფხაზეთის ტრაგედიაში. ის ყოველთვის რჩება ვაჟკაცად და არა იმ თანამდებობის პირად, რომლებიც დღეს ყველაფერს სხვას აბრალებენ და თავიანთი თავი მიაჩნიათ დაჩაგრულ, თანამდებობიდან უკანონოდ განთავისუფლებულ პირებად. ისტორია დაინახავს, რომ მე თითქმის არ შევცდები პიროვნებების შეფასებაში, იმიტომ, რომ ტრაბახით არ ვიტყვი, მეც ვაჟკაცი ვიყავი და იმედი მაქვს, ვიქნები და კარგად მესმის კაცობის ფასი, პირადად ახლა არ მინდა შეეადარო აქ გიას სულ სხვა პიროვნებები მაგ., ვალტერ შურღაია და ვახტანგ ქობალია, მაგრამ მე, რომელსაც ისინი საერთოდ არ მენახა თვალით, მჯეროდა, რომ ისინი იბრძოდნენ იმისთვის, რაც სწამდათ და მათში ბევრი ვაჟკაცობა იყო. და ჩემი აზრით, ახლა ვალტერ

შურღაია სულ ტყუილად არის დაჭერილი და ადვოკატიც კი არ ჰყავს. სამწუხაროა, რომ დღეს „ფილარმონიის ბერბიჭების“ დრო დადგა და არა პიროვნებებისა. ნუთუ ბადურაშვილს უფრო უყვარს საქართველო, ვიდრე გია ყარყარაშვილს, რომელმაც საქართველოს შესწირა ყველაზე ძვირფასი – თავის ძმა და მეგობრები. ამიტომ არის, რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ უდიდეს კატასტროფაში ჩააგდო საქართველო და **თუ შევარდნაძე ასე მოიცილებს ყველა ჭეშმარიტ ქართველს თავისი გარემოცვიდან, სწორედ მისი გარემოცვა, როცა საჭირო გახდება, ბოლოს მოუღებს მას.**

მეორე არხზე ინტერვიუ იყო მურმან ომანიძესთან. საოცარი ხალხი ვართ ქართველები, ვინც ყველაზე მეტად აგინებდა მას, მიდიან და რას არ სთხოვენ, ამ ხალხს არც ნამუსი გააჩნია და არც კაცობა. დღეს ერთი კაცი მოვიდა უნივერსიტეტში და მეუბნება, რომ გავყვე ომანიძესთან, რადგან რაღაც სათხოვარი აქვს მასთან. თან დააყოლა, შენ უარს არ გეტყვისო. გავოგნდი, ავუხსენი, რომ მე მას პირადად არ ვიცნობ, რომ მივიდე, ალბათ, დამეხმარება, მაგრამ, არ მესმის, როგორ შეიძლება ამის კადრება. მან რომ იცოდეს, იმ სტატიის გამო, რაც მე დავწერე მასზე, რამდენი უსიამოვნება შემემთხვა, ალბათ, ერთ მანქანასაც მაჩუქებდა, მაგრამ ჯერჯერობით როგორც აღვნიშნე, არ დამიკარგავს, კაცობა.

11 მაისი

ტელევიზია არაფერს აცხადებს მოლაპარაკებების შესახებ. ეტყობა, საქმე არ არის კარგად.

დღეს გაზ. „ქართულ ქრონიკაში“ დაბეჭდილია **ირინა სარიშვილის** პარლამენტში გამოსვლის შინაარსი. ირინას აზრით, აუცილებელია ეროვნული ჯარის არსებობა, თუნდაც იმიტომ, რომ მოლაპარაკებაზე მისულ ქართულ მხარეს ზურგს უმაგრებდეს რეალური ძალა, რაც, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევი ფაქტორია. ქნ-მა ირინა სარიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მოლაპარაკებას უნდა აწარმოებდეს ისეთი პიროვნება, რომელსაც ლაპარაკი შეუძლია. ბანდიტები არ უნდა იყვნენ ხელისუფლების სტრუქტურებში და მაფია არ უნდა მართავდეს ქვეყანას. ხდება პარადოქსული ამბებიც, თქვა მან, პარლამენტში მაფიაზე ისინი საუბრობენ, ვიზეც უნდა იყოს საუბარი. ქვეყანაში მძვინვარებს ტერორი და არცერთი მკვლელი არ დასჯილა, ხშირად ამბობენ, აფხაზეთში ღალატს ჰქონდა ადგილი და არცერთი მოღალატე არ დასახელებულა და არ დასჯილა.

სწორი პოზიციაა. ირინა ზუსტად გამოთქვამს იმ აზრს, რასაც ბევრი ნორმალური ქართველი ფიქრობს, მაგრამ ვერ ბედავს თქმას. რა საოცარი ვაჟკაცობა გააჩნია ამ პატარა ქალს, დღეისათვის ორივე, ცოლ-ქმარი, მართლაც, არიან უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთათვისაც უცხოა შიში და ყოველთვის გაბედულად გამოდიან. აბა, გუშინდელი გადაცემა იყო, გული ამერია, მონაწილეობდნენ პროფ. ნოდარ ლომოური, აკად. მინდია სალუქვაძე, რამაზ ჩხიკვაძე და ერთი, არ ვიცი, ვინ იყო. ეს ხალხი საქართველოს გუშინდელი დღეა და მათი ფსიქოლოგია არის 50-60-იანი წლების თაობის ფსიქოლოგია.

13 მაისი

როგორც აღვნიშნე აშკარად ჩანდა, რომ მოლაპარაკება მოსკოვში ცუდად მიდიოდა. შეიქმნა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ენგურზე უნდა განლაგდნენ სამშვიდობო ძალები – ეს არის აფხაზეთის დელეგაციის აზრი და, ფაქტობრივად, – აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვა. სამწუხაროდ, ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს რუსეთმა, გაერომ და ევროგაერთიანებამ. დღეს პარლამენტის დახურული სხდომა გაიმართა. დილის სხდომას შევარდნაძე არ ესწრებოდა. პარლამენტმა მოითხოვა, რომ საქართველოს დელეგაციამ ხელი არ მოაწეროს. საღამოს სხდომაზე შევარდნაძე სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ გადადგებოდა.

ღამით მოსკოვიდან აჩვენეს ჯაბა იოსელიანის ინტერვიუ.

კითხვა – „იყო თუ არა სხვა ვარიანტი და რას იტყოდა შევარდნაძის გადადგომის შესახებ“.

ჯ. ი. – „პარლამენტში ყოფილა შეუთანხმებლობაც... ოპოზიცია არ უფიქრდება, რომ დაპირისპირება ყველა შემთხვევაში დაღუპავს ახალგაზრდა სახელმწიფოს. ჩვენ მზად გვაქვს

ხელმონერა-შეთანხმება – ცეცხლის შეწყვეტის და ჯარების განლაგების შესახებ. ვინ შეიძლება ამის ნინააღმდეგი იყოს... ჩვენ, ქართველები, ხშირად პოპულისტები ვართ და ლოზუნგებით გვინდა ხალხის გული მოვიგოთ".

ჩემზე უკეთ ვინ იცის, 7-8 წელიწადი რა ხდება აფხაზეთში. ეს ხელშეკრულება მოიცავს პრაქტიკულ ნაბიჯებს. დღეს ეს პროექტი საუცხოოა, რადგან დავიწყებთ ხალხის დაბრუნების პროცესს, ვისაც უნდოდა ომი ეომათ, მე მათ გაპონებს ვუწოდებ; ჩვენ ომით ვერ დავბრუნდებით, ჩვენ რუსეთის ძლიერებას ვერ დავამარცხებთ, არც მსოფლიო, არც კაცობრიობა არ დაგვიდგება გვერდით, ჩვენ დღეს არაფერი არა გვაქვს, ჩვენ რას ვკარგავთ. ისინი ამბობენ, რომ ამის შემდეგ ველარ შევალთ და მოგვატყუებენ. თუ ეს ასეა, მაშინ ნუღარ ველაპარაკებით. რა ვუყოთ 300 ათას კაცს – აქ ერთმა წევრმა იხუმრა, მაშინ ელცინმა შვილიშვილი მოგვცეს მძევლადო. მეორეც, ახლა ჯარები არ დგანან, რას ვაკეთებთ, ჩვენ სხვა არჩევანი არა გვაქვს. ჩვენ რას ვაგებთ 20 ათასიც რომ შევიყვანოთ, რას ვაგებთ, ხომ მაინც არ შედიან. ჩემზე კარგად არავინ არ იცის რის გამკეთებლებიც ვართ, პარლამენტს არა აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება... დროებით კონსტიტუციაში წერია, რომ სახელმწიფოს მეთაურს აქვს ამის უფლება და ამიტომ დააყენა საკითხი გადაყენების შესახებ".

კითხვა – „რას ფიქრობთ, თუ შევარდნაძე გადადგა და პარლამენტმა უარი თქვა".

ჯ. ი. – „თუ შევარდნაძე მეტყვის, რომ მე გადავწყვიტო, მაშინ მოვუწერ ხელს. ის მელაპარაკება, რომ ხვალამდემოვიცადოთ. მე სათითაოდ მოვთხოვ პასუხს ყველას იმ შედეგისთვის, რაც შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას, ხოლო, როცა მე მოვაწერ ხელს, მათ მომთხოვონ პასუხი".

საშინელ დღეში ვართ. ის დოკუმენტი, მართლაც, უდიდესი უბედურებაა საქართველოსათვის. ეს მართლაც აფხაზეთის საბოლოო დაკარგვაა, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ჯაბაც გარკვეულწილად სნორად სვამს საკითხს. კი არ მოვაწერთ, მაგრამ რისი გამკეთებლები ვართ. შეგვიძლია ომი – რა თქმა უნდა, არა, აფხაზეთის ჯარი ენგურზე რომ არ შეჩერებულიყო, რამდენიმე დღეში ქუთაისს და ალბათ, თბილისსაც აიღებდნენ, ახლა არც ჯარი გვყავს, არც ეკონომიკა, არც იდეოლოგია, ყველაფერი განადგურებულია. ეს ყველაფერი ხელისუფლების ბრალია, მაგრამ დღეს უბედურება ის არის, რომ შესაძლებელია შევარდნაძის გადადგომით დაიწყოს დიდი დესტაბილიზაცია, დღეს ის მაფია, რომელიც კარგად გრძნობს თავს არ დაუშვებს მის წასვლას, ან კიდევ რა გულით მიდის, თუ მან ოდნავ არ გამოასწორა საქართველოს მდგომარეობა, ის საქართველოს ისტორიაში შევა როგორც ქვეყნის დამანგრეველი, რომლის სახელზე იქნება არა მარტო სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვა, ათეულ ათასობით ადამიანის სიკვდილი, 300 ათასი ლტოლვილი, 800 ათასი საქართველოდან წასული, არამედ შეიძლება საერთოდ სიტყვა საქართველო გაქრეს, რადგან ბუტროს გალის მოხსენებიდან უშიშროების საბჭოსადმი წერია, რომ უნდა განისაზღვროს ჩვენი სახელმწიფოს ახალი სახელწოდება. **რა უბედურების დროს მომიწია ცხოვრება, რა ბედნიერია ჩემი მასწავლებელი პროფ. აკაკი სურგულაძე, რომ გარდაიცვალა და ამ უბედურებას არ მოესწრო. „უამთაღმწერელი" უფრო ბედნიერი იყო, რადგან, მემგონი, საქართველო მაშინ უკეთეს მდგომარეობაში იყო. ჩემს თვალწინ ნადგურდება ქვეყანა, ღმერთო შენ შეუნახე საქართველო ჩემს შთამომავლებს და ნუ მისცემ უფლებას, რომ ასე განადგურდეს ჩვენი ერი. ქართველმა ერმა დიდი ბოროტება ჩაიდინა ამ ბოლო წლებში, რა თქმა უნდა, მე ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ძირითადმა ნაწილმა ღმერთი დაივიწყა და არ აგვცდა ღვთის რისხვა.**

14 მაისი

ინტერვიუ შევარდნაძესთან – მან თქვა, რომ ღამის 10 საათზე მივეცი მითითება ჯაბა იოსელიანს, რომ ხელი მოეწერაო. შევარდნაძემ თქვა, რომ ეს არის საფუძველი გაეროს და დსთ-ს გადაწყვეტილებების მიღებისათვის. თუ არ იქნება შეთანხმება ორ მხარეს შორის, გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს გაერო და დსთ. ჩვენ სამხედრო გზით არ შეგვიძლია დაბრუნება. ვართ თუ არა თანაბარ მდგომარეობაში, არა ვართ, რადგან

დავმარცხდით. ამიტომ ამ დოკუმენტში ისე არ არის, როგორც გვსურს. უმთავრესი ამ დოკუმენტში ის არის, რომ დსთ-მ მიიღოს გადაწყვეტილება ჯარების შესახებ. აქ არის ზონა უსაფრთხოების, რომელიც ეხება გალის რაიონსაც და ის იქცევა პოლიგონად, როგორ უნდა დაბრუნდეს ხალხი აფხაზეთში. მშვიდობა უნდა დამყარდეს. კოდორის ხეობაშიც ამის გარანტი იქნება საპატრულო რაზმები.

ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ძალების დაშლა და გაყვანა აფხაზეთიდან. აქტიურად ფუნქციონირებს ლტოლვილთა კომისარიატი. საფუძველი არის, ხომ შეიძლება მოგვატყუონ, მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობაა, ახლა გვაქვს მოკავშირეობა რუსეთთან, მას ესმის, რომ საქართველოს სტაბილურობა მისი საზღვრების გარანტიაა.

დღეს პარლამენტის სხდომა იყო. შევარდნაძის მომხრეებმა თქვეს, რომ გუშინდელი პარლამენტის გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არა აქვს, რადგან კენჭისყრაში მონაწილეობდა 80 დეპუტატი და შემდეგ ხელი მოაწერა 38 დეპუტატმა.

მოკლედ, დღევანდელი პარლამენტის სხდომა უშედეგოდ დამთავრდა. ამან საშუალება მისცა შევარდნაძის მომხრეებს, ჩაეთვალათ, რომ ძალაში რჩება სახელმწიფოს მეთაურის უფლება ხელი მოენერა თუ არა.

15 მაისი

შეუძლებელია იმის მოსმენა, რაც დღეს ტელევიზიაში დაიწყო – სანდრო კავსაძე გამოვიდა და გვიმტკიცებს, როგორ შესანიშნავ დოკუმენტს მოაწერეს ხელი და აღნიშნა, რომ მხოლოდ რამდენიმე მუხლი არის სუსტიო. ასეთი მონები რომ ჰყავს შევარდნაძეს, იმიტომ არის კარგად საქმე. ასეთ სისულელეების ლაპარაკს ჯობია ისევ, როგორც ჯაბამ თქვა, რომ არ შეგვიძლია ომი. ჯობია ვთქვათ, რომ დავმარცხდით და ვაცხადებთ კაპიტულაციას. ვაღიაროთ ის, რაც მოხდა. აღარ არის საჭირო ამდენი ტყუილი.

იმდენი საშინელება ხდება საქართველოში, რომ ატანა შეუძლებელია. არ მინდა ამ პოლიტიკურ ორომტრიალში ჩავება, რადგან მინდა დავრჩე ჩვეულებრივ მემატიანედ, რომელიც ობიექტურად ასახავს იმას, რაც დღეს ხდება, არადა, იმდენი იდიოტია ამ პოლიტიკურ ასპარეზზე, რომ გული გაგისკდება. თან ქვეყანა დააქციეს, გაანადგურეს და კიდევ თავს იწონებენ.

დღეს ბაზარში დავინახე ელიზბარ ჯაველიძე. მივედი მასთან და ვუთხარი, რომ მე ვიყავი მერაბ ვაჩნაძე, დეკანის მოადგილე, თუ ვახსოვდი (ჩვენ მხოლოდ ერთხელ შევხვდით და, რა თქმა უნდა, სახეზე არ მიცნობდა, მ. ვ.). მან მითხრა, რომ ყველაფერი იცის და რომ მე ვიყავი ერთადერთი კაცი, რომელიც წინააღმდეგი წავედი უნივერსიტეტიდან მისი განთავისუფლებისა. მე ვუპასუხე, რომ ღმერთი ყველას მიუზღავს სამაგიეროს და დავცილდი.

16 მაისი

გაზ. „კავკასიონი", 12 მაისი. დაბეჭდილია ინტერვიუ მურმან ომანიძესთან.

კორ. – „როგორ აფასებთ დღეს საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას"?

მ. ო. – „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დღეს საქართველოში ძალზე მძიმეა. მე ვფიქრობ, ტრაგიკომიკური, ვითარება უფრო ტრაგიკულია, მაგრამ კომიკური იმიტომაა, რომ ჩვენ თვითონ შევქმენით ეს მდგომარეობა... უნდა მოხდეს ერის კონსოლიდაცია, უნდა დავიბრუნოთ ერთობა, უნდა აღვადგინოთ დისციპლინა, რომელიც ქართველებს გვეჯავრება და არ გვინდა დავიცვათ, პატივი ვცეთ კანონს, კანონიერებას... პოლიტიკური სიტუაცია დღეს იმდენად ქაოსურია, მე კი არა, მაღლით ღმერთი რომ ჩამოვიდეს, ამ სიტუაციის სტაბილიზაციას ვერ მოახერხებს, ვიღაცას სჭირდება, რომ ასეთი დაძაბულობა იყოს, ასეთი დაპირისპირება იყოს ერთმანეთის მიმართ, რათა საკუთარი თავისთვის რაღაც დივიდენდები მოიპოვოს".

კორ. – „საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციებიდან რომლის ორიენტაციას იზიარებთ, რომელს თვლით უფრო პროგრესულ ძალად?"

მ. ო. – „დღეს მოქმედი პარტიებიდან პროგრესულ ძალად მიმაჩნია ტრადიციონალისტთა კავშირი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

უკეთესი იქნებოდა რომ, ამ პარტიებს გამოენახათ საერთო ენა, გაერთიანებულიყვნენ სხვა ძალებთან".

კორ. – „დღეს საქართველოში აქტიურად საუბრობენ ომანიძე-კიტოვანის დაპირისპირებაზე".

მ. ო. – „იცით რა, კიტოვანი ის ფიგურაა, რომელმაც თვითონ არ იცის, რას აკეთებდა და რას აკეთებს. მე ამას თამამად ვაცხადებ... ჯერ თავის თავს გასცეს პასუხი, რატომ დაანგრია თბილისი, რატომ წალეკა საქართველო... ერთხელ კიდევ გაიაროს რუსთაველზე და ნახოს და გაიაზროს თავისი ნამოქმედარი".

25 მაისი

ხელისუფლება ხვალ ატარებს სამხედრო პარადს. მთელ მსოფლიოში სასაცილო ვხდებით. დამარცხებული, განადგურებული ქვეყანა სამხედრო პარადს ატარებს, ალბათ, აფხაზები რომ დაინახავენ რუსეთის არმიისაგან ნათხოვარ ტანკებს, სიცილით მოკვდებიან. ნეტავ რომელმა სულელმა და რეგვენმა ურჩია შევარდნაძეს ამ პარადის ჩატარება და დიდი ზეიმების მონყობა. სასაცილოა, ვინც საბჭოთა კავშირის დროს უშლიდა ხალხს არ ეზეიმათ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი, ახლა ისინი იკლავენ თავს, რომ ასეთი სასაცილო, კომუნისტური დღესასწაული ჩაატარონ, როგორც ატარებდნენ 7 ნოემბრის დღესასწაულს – ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღეს. ასეთი დღესასწაულის ჩატარების წინააღმდეგნი არიან სნორედ ის ეროვნული ძალები, რომელთაც მართლაც სწამდათ და სწამთ 26 მაისი. მთელმა ოპოზიციამ მოითხოვა აღვნიშნოთ ეს დღესასწაული, მაგრამ არა ასე სასაცილოდ, მაგრამ შევარდნაძე თავის აზრზე დგას.

მართალია, დღეს პიონერთა სასახლეში შევარდნაძემ და პოლიტიკურმა ორგანიზაციების ნაწილმა ხელი მოაწერეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილ შეთანხმების პროექტს, მაგრამ ძალიან მეეჭვება, ამან რაიმე როლი ითამაშოს. ისევ გრძელდება იარაღიანი ხალხის თარეში. გუშინწინ მოკლეს 18 წლის ახალგაზრდა, მის მანქანას უმიზეზოდ ესროლა ავტომატიანმა.

26 მაისი

სამწუხაროდ, სამარცხვინო სამხედრო პარადი ჩატარდა. მთელ ქალაქში მერსედესებითა და ჯიპებით, იარაღით, გადამცემი აპარატებით დარბიან „მხედრიონის" ბიჭები, გული მტკივა, რომ ამ 17-18 წლის ბიჭებით აშინებენ ე. წ. „ზვიადისტებს", რომ არ მოაწყონ დემონსტრაცია. ნუთუ ხელისუფლებას არა რცხვენია, რომ ამ მორფინისტების იმედზე დარჩა (მე ყველაზე არ ვამბობ, რადგან მათ შორის არიან კარგი ბიჭები, მაგრამ ისინი ხელისუფლებამ დაღუპა, როდესაც ამ პატარა ბიჭებს მისცეს იარაღი. მ. ვ.).

დღეს ამით მინდოდა დამემთავრებინა, მაგრამ შევარდნაძის დღევანდელ მოღვაწეობას აკაკი ასათიანმა ზუსტად გასცა პასუხი გაზ. „მიმომხილველში".

კორ. – „რეალურად მიიჩნევთ თუ არა შევარდნაძის დიდი პოლიტიკიდან წასვლას"?

ა. ასათიანი – „დღეში სამჯერ სახელმწიფოს მეთაური ხან გადადგებოდეს, ხან რჩებოდეს, ეს უკვე არასერიოზულია. მე გაოცებული ვარ, იმ გამოცდილების პოლიტიკოსი როგორც შევარდნაძეა ასეთ რამეს არ უნდა აკეთებდეს. **მე თქვენ გარწმუნებთ, შევარდნაძე რომ გადადგეს, ერთ კაცს არ გადმოუვარდება კურცხალი...** შევარდნაძეს შეიძლება, ემოციის დონეზე, წასვლის სურვილი ჰქონდეს, მაგრამ სხვა დონეზე მას ამის სურვილი არა აქვს, ის ებღაუჭება ხელისუფლებას. შეცდომაც ის არის, რომ ებღაუჭება და არაფერს არ აკეთებს... კაცს შეიძლება თავისი ქვეყანა არ უყვარდეს, მაგრამ ასე თავის თავი არ უყვარდეს, უკვე გაუგებარია. აქედან გამომდინარე, რაიმე წინასწარ ღალატზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს მხოლოდ დაბნეული კაცის ქმედებაა".

27 მაისი

25 მაისის „ქართული ქრონიკა". ინტერვიუ ირინა სარიშვილთან.

მინდა იცოდეს ჩემმა მომავალმა თაობამ, რომ

მე პირადად არ ვიცნობ არც ირინა სარიშვილს, არც გია ჭანტურიას და სხვებსაც, რომელთა ინტერვიუების წერა ხშირად მიწევს. მე ვწერ გაზეთებიდან იმ ინტერვიუებს, რომლებიც ზუსტად გამოხატავს არსებულ ვითარებას. ირინა სარიშვილი დღეისათვის გადაიქცა უდიდეს მართალ პოლიტიკოსად, რომლისთვისაც არ არსებობს შიში ან მორიდება. მისი აზროვნება, მის მეუღლესთან ერთად, ძალზე სწორია და გამოირჩევა არსებული სიტუაციის შეფასების დიდი ალღოთი. შევარდნაძეს რომ ყველა ეს ნიჭიერი ხალხი შემოეკრიბა თავის გარშემო, საქართველოს რაღაც ეშველებოდა, მაგრამ რათ გინდა, სადაც იყო ვინმე აფერისტი კომუნისტი ან მაფიოზი, მორფინისტი, ყველა გარშემო ჰყავს.

ირინა სარიშვილი ამ ინტერვიუში ამბობს, – „რაც შეეხება სახელმწიფოს, მას დღეს მაფია მართავს და თუ ვიღაცას სჯერა, რომ შევარდნაძე მართავს სახელმწიფოს, მან ისიც უნდა ირწმუნოს, რომ შევარდნაძე მაფიის ერთ-ერთი წარმომადგენელია...“ ირინას მიაჩნია, რომ ის უბრალოდ მარიონეტია არა მარტო რუსეთის, არამედ ადგილობრივი კლანების და ორგანიზებული დაჯგუფებების ხელში. შეიძლება ადამიანი გადაიღალოს და აღარ შეეძლოს მეტი, მაგრამ არავის აქვს უფლება ხელი ჩაიქნიოს საკუთარ ხალხზე.

ძალიან მომეწონა ირაკლი წერეთლის სიტყვა „ახალ თაობაში“. მას სამხედრო პარადის შესახებ უთქვამს, რომ „აღლუმის ჩატარება არის ნაცარქექია ხელისუფლების სრული გამოთაყვანება“.

1 ივნისი

გუშინ პარლამენტის სხდომაზე ირინა სარიშვილმა მოითხოვა მაფიის წინააღმდეგ პარლამენტის კომისიის შექმნა. მან თქვა, რომ ბრძოლა უნდა დაიწყოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან. ტყუილად არ ვაქებდი ირინას, ის იწყებს უდიდეს ბრძოლას, რომელსაც შეუძლია საქართველოს გადარჩენა, რადგან მაფიამ, ფაქტობრივად, მოსპო და გაანადგურა საქართველო. თუ მან ეს განახორციელა, მაშინ საქართველო გადარჩება და ირინა გადაიქცევა საქართველოს ჟანა-დარკად.

საქართველო აღმოჩნდა იმ 13 სახელმწიფოს შორის, სადაც უცხოელებს უკრძალავენ ჩასვლას, რადგან არის ტერორიზმი და ბანდიტიზმი. გუშინ შევარდნაძემ საჩქაროდ ჩაატარა თათბირი სამართალდამცავ ორგანოებთან, მაგრამ ისინი არაფრის გამკეთებლები არ არიან.

2 ივნისი

დამავიწყდა მეთქვა, რომ სამშაბათს პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა თენგიზ კიტოვანი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო მოსკოვიდან. მან განაცხადა, მართალია თუ არა ის, რომ მოსკოვში ტელევიზიამ გამოაცხადა ქართველებმა იჯარით აიღეს რუსებისაგან ტანკები და იმით ჩაატარეს 26 მაისის პარადიო და ამავე დროს აღნიშნა, რომ არ დაუშვებს მურმან ომანიძის დეპუტატად გასვლას და ომს დაიწყებს (ზუსტად არ ვიცი, რა თქვა, რადგან მე ვიმეორებ „მაცნეში“ გადაცემულ ცნობას, მ. ვ.). ვკითხულობ გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“ (24. 05. 94) სტატიას სათაურით „მოემზადეთ სიკვდილისათვის“, რომელიც შეეხება 14 მაისის მართლაც სამარცხვინო ხელშეკრულების ხელმოწერას და შევარდნაძის მოღვაწეობას. აქ ზუსტად დაემთხვა ჩემი და ამ სტატიის ავტორის, გივი თარგამაძის აზრი, რომ „თუ შევარდნაძე გადადგომას დააპირებდა, მას ეს უნდა გაეკეთებინა, სანამ ომს დაიწყებდა აფხაზეთში და ეთქვა „მე საომრად არ ჩამოვსულვარო“ და თუ ომი გინდათ, მე გადავდგებიო“.

ძალიან მიჭირს დავიჯერო ეს აზრი, მაგრამ ამ ბოლო ხანს უკვე მჯერა, რაც სტატიაში წერია „რატომ ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე საქართველოში? იმიტომ, რომ უნდოდა პოლიტიკაში დარჩენა, ხოლო რუსულ პოლიტიკაში მისი ადგილი აღარ იყო. ჩვენ ეს არ შევიმჩნიეთ და შევქმენით ლეგენდები სისხლის ყივილზე. არადა, ამხელა ავტორიტეტის მქონე ადამიანის ასეთ ქვეყანაში საკუთარი გუნდის თანამოაზრეთა ჩამოყალიბების გარეშე უბრალოდ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებით ჩამოსვლა სრული პოლიტიკური უპასუხისმგებლობაა. ამან გამოიწ-

ვია სახელისუფლებო სტრუქტურებში საშინელი ჭაობის შექმნა, რაც დღეს სახეზეა".

4 ივნისი

3 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულია თენგიზ კიტოვანის სიტყვა პარლამენტში, სადაც მან ბრალი დასდო მურმან ომანიძეს, რომ ის 20 მილიონ მანეთს აძლევდა გენ. პატრიკიევს,[1] რათა გაენადგურებინა 12 ათასი გვარდიელი, ბოლოს ის აცხადებს, რომ „მე დავინყებ მაფიის წინააღმდეგ ომსო". კიტოვანის ამ განცხადების თაობაზე „მოსკოვსკიე ნოვისტში" დაბეჭდილია აკაკი მიქაძის სტატია „ჩხუბის შემდეგ", რომელიც მიძღვნილია კიტოვანისადმი, სადაც ის აშკარად ბრალს სდებს მას კორუფციასა და პოლიტიკურ ამბიციებში.

გუშინ მოსკოვში, ფედერაციის საბჭოში, განიხილეს საქართველოში, კერძოდ, მდ. ენგურის მხარეს სამშვიდობო ძალების განლაგების შესახებ, მაგრამ ერთი ხმა დააკლდა ამ გადაწყვეტილების მიღებას. ეს დიდი დარტყმაა შევარდნაძისთვის. მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთელი უბედურება ის არის, რომ ქვეყნის შიგნით ვერ ამყარებს შევარდნაძე წესრიგს, მე რამდენჯერმე გავიმეორე – ქვეყანაში არის დაუსჯელობის სინდრომი. გუშინწინ ვწერდი, რომ შევარდნაძემ ჩაატარა თათბირი სამართალდამცავ ორგანოებთან. იქ პირდაპირ უთხრა ქალაქის პოლიციის უფროსმა **დემურ მიქაძემ,** რომ „საროჩკებში" გარჭობილი იარაღით დადიან ახალგაზრდები (რასაც მე ვწერდი, მ. ვ.) და როცა ვაჩერებთ, ყველას აქვს იარაღის ტარების უფლება მაშინ, როდესაც 15 მაისიდან აიკრძალა იარაღის ტარება და ეს უფლება აქვთ მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებს. გუშინ კავსაძის ქუჩაზე 18 წლის მთვრალი ბიჭები ისე ისროდნენ და ყვიროდნენ ჩვენს უბანში ვართო, ვითომ არაფერი. **დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პოლკოვნიკს ველაპარაკე. მან მითხრა, რად გინდა, კი ვიჭერთ ასეთებს, მაგრამ ჯაბას ხალხი აშვებინებსო. ჯაბა იოსელიანმა თუ არ მოუარა თავის ხალხს, ის მთლიანად გახრწნის ახალგაზრდობას. როგორ შეიძლება 17 წლის ბიჭს იარაღის ტარების უფლება მისცე. შევარდნაძე ვითომ ამას ვერ ხედავს, ნეტა როდემდე უნდა გასტანოს ამ მდგომარეობამ, ნუთუ სირცხვილის გრძნობაც დაკარგა, თუ რა დაემართა, არ მესმის, რამდენიმე გამოშტერებული მისი მომხრე ბერბიჭები მეუბნებიან, აცალე მაგას, ნახავ რას იზამსო. თუ ის ქნა, რასაც ორი წელი აკეთებს, ნამდვილად შეეფერება გივი თარგამაძის სტატია სათაურით „ემზადეთ სიკვდილისათვის". და მართლაც ვემზადებით. ახლა, როცა ამას ვწერ, სწორედ ჩემი ორივე ბავშვი ამოვიყვანე ეზოდან, რადგან ორი ნაბიჭვარი შემოვიდა, ბავშვს ბურთი გამოართვა და კალათბურთის თამაში დაიწყო, ერთ-ერთ მათგანს უკან ორი მაკაროვი ჰქონდა გარჭობილი, გაიგე ახლა, რას იზამდნენ. ბავშვები ეზოში აღარ ჩავუშვი.**

5 ივნისი

გადაცემა „საღამო მშვიდობისა". ინტერვიუ **ასლან აბაშიძესთან, რომელმაც სწორად თქვა – „მე პასუხს ვაგებ ერის, ქვეყნის და ისტორიის წინაშე... საქართველოს ერთიანობას მარტო ერთ კუთხეში ვერ შეინარჩუნებ".**

7 ივნისი

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში" არის მურმან ომანიძის განცხადება, რომ 2 ივნისს თავს დაესხნენ მისი ქალიშვილის ოჯახს, ხოლო 4 ივნისს 10 ნიღბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა მისი დეპუტატობის მხარდამჭერი კომისიის წევრის ოჯახს. მათ მოახერხეს და დაურეკეს მას და მოხერხდა მათი გარეკვაო. ეს ხომ აშკარა ტერორიზმია, სწორედ ამის შესახებ მივუთითებ, რომ, ფაქტობრივად, საქართველოში ხელისუფლება არ არსებობს. ყველა სფერო განაწილებულია მაფიებს შორის, რომელთაც დიდი შეიარაღებული ჯგუფები ჰყავთ და მათ შორის ხდება შეტაკებები. ომანიძეს ძალზე გაუჭირდება, რადგან მას დაუპირისპირდნენ მსხვილი მაფიოზური ჯგუფები, მაგრამ მას დიდი ჭკუა და მოხერხებულობა გააჩნია და ეს თუ გადაარჩენს.

[1] ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი.

11 ივნისი

მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ სამხედრო პოლიციის გაუქმება, რომელშიც შედიოდა 2000 კაცი. ეს ძირითადად იყო დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებდა ნარკოტიკების გადაზიდვებს, ეწეოდა რეკეტს და სხვა უამრავ დანაშაულებრივ საქმიანობას. სამხედრო პოლიციის გაუქმება დადებით მოვლენად უნდა ჩაეთვალოს ხელისუფლებას. გუშინ ჩამოსული იყო რუსეთის სამხედრო მინისტრი პავლე გრაჩოვი, რომელიც, ამავე დროს, იყო გუდაუთაში, სადაც გრაჩოვი და არძინბა ერთმანეთს მეგობრულად გადაეხვივნენ. ისე გრაჩოვმა ძალიან სწორად თქვა თბილისში, რომ შარშან ადლერში, რომ დაეჯერებინათ და შემოგვეყვანა სამშვიდობო ჯარები ამდენი უბედურება არ მოხდებოდაო. მე შევარდნაძეს ვადანაშაულებ არა იმის გამო, რომ დღეს უთმობს რუსებს და შემოჰყავს მათი ჯარები, არამედ იმის გამო, რომ, თუ იცოდა რუსები მაინც თავისას მიაღწევდნენ, რატომ დაღუპა და გააუბედურა ამდენი ადამიანი, მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველ ხალხს დაენახა, სხვა გამოსავალი არ არისო. **რაც შეეხება გრაჩოვის ვიზიტს აზერბაიჯანში, იქ განაცხადეს, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არცერთი უცხო ქვეყნის ჯარები არ იქნებიანო და, ფაქტობრივად, უარი უთხრეს რუსებს ბაზების შექმნაზე და სამშვიდობო ძალების შემოყვანაზე. შეიძლება მათი საქმე ცუდად წავიდეს, მაგრამ იქ ეს ომი სამამულო ომად იქცა და ჩვენგან განსხვავებით შეიძლება რუსები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ. ჩვენ ეს ომი არ ვაქციეთ სამამულო ომად და იგი გადაიქცა ბანდიტების, მკელელების და მაფიოზების ომად, რომლის დროსაც გაიძარცვა მთელი აფხაზეთი, მათ შორის, ყველა ეროვნება და, რა თქმა უნდა, ქართველებიც. ამ ომს შევნირა საქართველოს ეკონომიკაც და ის ხალხი, ვინც ეს გააკეთა, ახლა მთავრობაშია.**

12 ივნისი

სწორედ წინა ჩანაწერის გაგრძელებაა მაფიასთან ბრძოლის თემა. 10 ივნისის გაზ. „თბილისში" არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრის განცხადება, რომ „მაფიისა და ორგანიზებული დანაშაულის საქმის შემსწავლელი სპეციალური კომისიის ჩამოყალიბებას უაღრესად სერიოზული წრეების შეშფოთება მოჰყვა. პირდაპირ და ღიად ამ კომისიის წინააღმდეგ გალაშქრება, გასაგები მიზეზების გამო, ვერავინ გაბედა. სამაგიეროდ, სხვადასხვა მეთოდებით და ფორმებით იყო წინააღმდეგობა და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც იქნება მცდელობა ამ საქმის შეჩერებისა". ამის მცდელობა იყო გადაცემა „ტაიმ-აუტში" და უამრავი იქნება, რადგან მაფია არ დაუშვებს ამ კომისიის შექმნას, მაგრამ, **თუ მაინც შეიქმნა და სათავეში ირინა სარიშვილი ჩაუდგა, მაშინ რაღაც იმედი მრჩება, სიკვდილის გარდა ვერაფერი გააჩერებს მას და მის მეუღლეს.** როგორ შეიძლება შევარდნაძე არ ეხმარებოდეს ამ საქმეში, რადგან ვიმეორებ, მაფიამ წალეკა საქართველო, გაანადგურა, გახრწნა და, არ ვიცი რა ვთქვა – ღმერთო, რა გვეშველება!

როდესაც წერა დავამთავრე, ტელევიზიით გადმოსცეს, რომ შევარდნაძემ პარლამენტს მიმართა თხოვნით, საჩქაროდ მიიღონ კანონები, რომლებიც რამდენიმე პუნქტისაგან შედგება და შეეხება კორუფციას, ნარკომანიასა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ღმერთმა ქნას, გონზე მოვიდეს და როგორც ადრე შემართებით იცოდა ხოლმე ბრძოლა, ისევ შეძლოს, მაგრამ ძალიან ეჭვი მეპარება, რადგან გარშემო, ისევ ვიმეორებ, ბანდიტები და ქურდები ჰყავს და რათა უნდა კანონის მიღება მათ მოშორებას.

ღამის გადაცემაში „ქვიშის საათი" გამოვიდა ვახტანგ რჩეულიშვილი. დღეს არჩევნები იყო ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ნალენჯიხის რაიონებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია არჩევნები რუსთავში. ყველამ იცის კიტოვანის გამოსვლა ამის შესახებ. დღეს შეიარაღებული ფორმირებები დარბოდნენ ქალაქში და იყო სროლები. ახლა გამოდის საარჩევნო კომისიის მდივანი. მან თქვა, არჩევნები თავიდან ნორმალურ ვითარებაში დაინყო, მაგრამ შუადღისას გამოჩნდნენ შეიარაღებული პირები, ამიტომ ბევრ უბანში კომისიის წევრები გაიქცნენ. იყო გასროლები, ამოიცნეს „მხედრიონის" წევრები თბილისიდან და რუსთავიდან, ჩემთან ერთად არის თავმჯდო-

მარის მოადგილეც და ორივე გამოვიპარეთ, ვერ შევედით საარჩევნო ოლქშიო.

„მაშველთა კორპუსმა"[1] განაცხადა, რომ ისინი არ მონაწილეობდნენ ამ საქმეში, გამართლდა ჩემი სიტყვები. ხომ დაინახავს შთამომავლობა, რომ ხელისუფლებას არაფერი შეუძლია. ყველამ იცოდა, რომ კიტოვანი რუსთავში მოითხოვდა არჩევნების გადადებას. კი მაგრამ, ეს „მხედრიონი" რაღა შუაში იყო, ნამდვილად არ ვიცი, მალე გაირკვევა. მალე ისევ გაიგებს მსოფლიო, რა ქვეყანა ვართ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე რომ გამოიქცევიან, რაღაზე უნდა ილაპარაკო, ნუთუ შევარდნაძე ისევ დახუჭავს თვალს, ვითომ არაფერი მოხდაო, როდემდე, როდემდე, როდემდე, როდემდე – საქართველო იღუპება, ახალგაზრდობა გაიხრწნა. ნუთუ ამ მსოფლიო პოლიტიკოსს არავითარი ნამუსი და კაცობა აღარ შერჩა, ყველა როგორ ველოდით, რომ რაღაცას გააკეთებდა. მე კიდევ ერთი პროცენტი იმედი მრჩება, თუ არადა, მისი შთამომავლები საქართველოში ვერ იცხოვრებენ. არადა, ჩემს თვალწინ გაიზარდა შევარდნაძის შვილიშვილი თამუნა, მამამისი ზვიად მოსაშვილი ჩემი მეგობარი იყო. საწყალი სიმსივნით გარდაიცვალა. მის მეუღლესაც, მანანას ძალიან კარგად ვიცნობ, შევარდნაძის ვაჟს პაატას მე ვამზადებდი ისტორიაში, ვიცნობ მის მეუღლეს, ნინოს, მეუღლის ძმას, ზურას, ამ ძმის ცოლი თამუნა ჩემი ცოლის ამხანაგია და მინდა იცხოვრონ საქართველოში ჩვენთან ერთად. თუ შევარდნაძემ გადამჭრელი ზომები არ მიიღო, საქართველო დაიღუპება.

14 ივნისი

ინტერვიუ უნდა იყოს შევარდნაძესთან. რაც შეეხება რუსთავის ამბებს, სულ სხვადასხვა ჭორია. ზუსტად არ ვიცი არაფერი. დღეს მოსკოვში ელცინმა გადაწყვიტა ჩაატაროს სამშვიდობო ოპერაცია აფხაზეთში.

ნატო ონიანი – „როგორი იმედით ხვდებით ჯარების შეყვანას აფხაზეთში"?

ე. შ. – „მე სამი შეხვედრა მქონდა სამხედრო მინისტრ პავლე გრაჩოვთან. მე დავეთანხმე იმ შეთანხმებას, რაც რუკაზე არის გადატანილი... ბრძანება უკვე არის. მე ორჯერ მქონდა საუბარი ბორის ელცინთან და დაადასტურა, რომ უმთავრესი მიზანია ქართველებისა და აფხაზების ინტერესების დაცვა, ლტოლვილების დაბრუნება. ეს გადაწყვეტილება, რაც მივიღეთ, ერთადერთია და კონტროლდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მე ამ ოპერაციის იმედით ვარ, რადგან ათიათასობით ადამიანი დაუბრუნდება თავის სახლ-კარს".

ნ. ო. – „ოპოზიცია ამბობს, რომ არის ალტერნატივა, მაგალითად, როგორც აზერბაიჯანში, როდესაც შეიძლება განჯა დაეცეს, მაგრამ მაინც იბრძვიან".

ე. შ. – „ასეთი პარალელები, რომ აზერბაიჯანმა თავის ტერიტორიის ერთი მერვედი დაკარგა და მაინც იბრძვის, ჩვენ არ გამოგვადგება, რადგან მას სხვა რეზერვები და სხვა სახელმწიფოებიც ჰყავს"...

როცა შევარდნაძე რუსეთის საინფორმაციო გადაცემებზე საუბრობდა, მან თქვა, რომ ჩვენი საინფორმაციო გადაცემებიც ცოდავენ, მაგალითად, რუსთავის. არჩევნებზე რეკლამა მხოლოდ იმას აქვს, ვისაც ფული აქვს. იქ, სადაც ფული და შეიარაღებული ხალხი ჩაერევა, ყველაფერი ფუჭდება. აქ აშკარად მიუთითა ომანიძეზე. აშკარად გამოჩნდა, რომ მას არ სურს ომანიძის გასვლა. არადა, ომანიძეს, პირიქით, მასზე ცუდი არასოდეს უთქვამს.

დღეს წყნეთის გზაზე დაცხრილული ნახეს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე მხეიძე, ის „მხედრიონელი" იყო, მერე ზეიკიძესთან მუშაობდა. აღარაფერი აღარ მესმის, რა ხდება.

15 ივნისი

დღეს გაიმართა პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელიც შეეხებოდა რუსების ჯარების განლაგებას მდ. ენგურზე. დიდი ამბები მოხდა. საღამოს აჩვენებდნენ. პარლამენტში პირველად არ იყო კვორუმი, როგორც იქნა, მოგვიანებით, შეიკრიბა 126 დეპუტატი.

სიტყვით გამოვიდა შევარდნაძე. მან თქვა, რომ, თუ სამშვიდობო ოპერაცია ჩატარდება იმ

[1] „მხედრიონს" ოფიციალურად ეწოდებოდა „მაშველთა კორპუსი".

გეგმის მიხედვით, რომელსაც ჯაბა იოსელიანმა, ვლადიმერ ჩიქოვანმა და სხვებმა მოაწერეს ხელი მოსკოვში, მე არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა რუსეთის პრეზიდენტს, გენერლებს, ჯარისკაცებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ სამშვიდობო ოპერაციაში. მადლობა გაეროს, უშიშროების საბჭოს, გენერალურ მდივანს, ლტოლვილთა კომისარიატს.

ელდარ შენგელაიამ წაიკითხა ლტოლვილთა ნაწილის წერილი. იქ ეწერა, რომ მხარს უჭერენ სახელმწიფო მეთაურს და რა უფლება აქვთ პაატაშვილს, ნათაძეს და სხვებს ჩვენს მაგივრად რომ ლაპარაკობენო.

ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ ჩვენ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები დამღუპველია.

19 ივნისი

არჩევნები რუსთავში ბათილად ჩათვალეს, სამ საათამდე არჩევნები საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობდა, აშკარად იმარჯვებდა მურმან ომანიძე, რადგან საბოლოოდ როცა დაითვალეს, 14 ათასი ამომრჩეველიდან ომანიძემ მიიღო 10000 ხმა. არჩევნების ჩაშლა ბრალდება ედპ-ს, აქ დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ომანიძე არ უნდოდა შევარდნაძეს. 17 ივნისს რუსთაველებმა გამართეს მიტინგი და მოითხოვეს, რომ საჩქაროდ დაენიშნათ განმეორებით არჩევნები და დანიშნეს 3 ივლისს. 14 ივნისს „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ ომანიძესთან.

კითხვა, – „რას ფიქრობთ ედუარდ შევარდნაძეზე და რატომ ვერ მოხვდით მის გუნდში.

მ. ო. – „ბატონ ედუარდს დიდ პატივს ვცემ, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, ცოდნა და ენერგია ბევრის მეტყველია. იგი მსოფლიომ აღიარა და მისი შეფასების უფლება არა მაქვს. რატომ ვერ მოხვდა მის გუნდში?"... ომანიძე წერს, რომ „ასეთი კაცუნობით გამოირჩევიან ედუარდის ირგვლივ მყოფი ვაიპოლიტიკოსები, როგორებიც არიან ვაჟა ლორთქიფანიძე და მის ირგვლივ მყოფი პარტმუშაკები. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ედუარდის გარშემო თავი არ მოიყარონ ნამდვილმა პროფესიონალებმა, კიდეე შეიძლება დავასახელო მოშარლატანო, მოხეტიალო ვაი-მოღვაწე რეზო ამაშუკელი და მისი ხალხი, რომლებსაც უბედურების მეტი საქართველოსათვის არაფერი გაუკეთებიათ. შემდგომ ომანიძე შევარდნაძეზე ამბობს, რომ „ზოგჯერ ბატონი ედუარდი ძალიან დიდ დემოკრატს თამაშობს, თავი მოაქვს ჭეშმარიტი დემოკრატიის დამცველად, მინდა აღვნიშნო, არჩევნების პერიოდში ყველამ საკუთარი თავი გააშიშვლა, ვინაიდან მათ ნეიტრალური პოზიცია უნდა დაეჭირათ. ბატონი ედუარდი კი შეხვდა რუსთავის მერს და დეპუტატობის ერთ კანდიდატს (ტოპრაკაშვილს გულისხმობს, მ. ვ.) და მას თანადგომა გამოუცხადა – ამას მე არ ველოდი, ეს არის საარჩევნო კამპანიაზე ზეწოლა და კანონის დარღვევა".

20 ივნისი

გაზ. „დრონი" № 19-ში გამოქვეყნებულია სტატია „არჩევნები რუსთავში". ძალიან გამიკვირდა მამუკა გიორგაძის ნათქვამი, რომ თურმე „ომანიძის მომხრე შეიარაღებულმა ხალხმა დაიწყო გამოსვლები, უკვე ამ პერიოდში (დღის მეორე ნახევარზე ამბობს – მ. ვ.) ქალაქში გამოჩნდა ძირითადად ომანიძის მომხრე ხალხი, რომელთა ნაწილიც შეიარაღებული იყო"... რა თქმა უნდა, ეს აბსურდია, რადგან ომანიძეს 10000 ხმა ჰქონდა და მას არ აწყობდა არჩევნების ჩაშლა. სწორად მიუთითებს მერაბ ურიდია, რომ „რუსთავში ხელისუფლებისათვის არასასურველი პიროვნება მურმან ომანიძე იგებდა არჩევნებს, მან დაახლოებით ათი ათასი ხმა დააგროვა. „ხელისუფლებას", რა თქმა უნდა, არ აწყობდა ყოველივე და ჩაშალა კიდეც".

22 ივნისი

გუშინ რუსეთის ფედერაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯარები შეიყვანონ აფხაზეთში. არძინბა ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, მივესალმები ამ გადაწყვეტილებას, რადგან ჯარები სახელმწიფო აფხაზეთსა და

სახელმწიფო საქართველოს საზღვრებს შორის განლაგდებიანო. ეს რომ მოვისმინე, კინაღამ გული გამისკდა, რაც შეეხება ამ ოპერაციას, ვერაფერს იზამ, რადგან საქართველოს ბრძოლა არ შეუძლია. ის, თუ რა დაგვემართებოდა, ადრე რომ გაეგებინებინა შევარდნაძეს, კაცი ტაშს დაუკრავდა, ამდენი უბედურება აგვცდებოდა. საქართველოში კი ისევ გრძელდება ბანდიტობა. ორი დღის წინ პროფ. მარიკა ლორთქიფანიძის შვილს, დოც. გიორგი ოთხმეზურს მანქანაში ჩაუსხდნენ და კინაღამ მოკლეს, გაქანებული მანქანიდან გადმოაგდეს და მანქანა გაიტაცეს. ორი დღის შემდეგ ცხინვალში გაპყავდათ და იქ გადაეყარნენ პატრულს და გაიქცნენ.

26 ივნისი

ზუგდიდში დაინყო სამშვიდობო ოპერაციები. ქალაქი მალე დაისვენებს, რადგან დამყარდება სინყნარე. ჩვენ რა გვეშველება, არ ვიცი – დღეს მოკლეს ცნობილი „კანონიერი ქურდი" პაატა ჩლაიძე. სამწუხაროდ, „კანონიერი ქურდების" დახოცვა უფრო დიდი უბედურებაა დღეს, რადგან მათ ნესრიგი მაინც აქვთ და კაცობა. დღეს საქართველოში მაფია მძვინვარებს, გადასახადები არ იკრიბება, რადგან, ვინც უნდა გადაიხადოს, ყველას მაფია პატრონობს. დღეს „ივერიაექსპრესში" არის სტატია – „სახელმწიფოს კვდომა". ყველამ იცის, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ბენზინის ფასი მაფიამ ააგდო 1000 მანეთამდე. დადიოდა ხმები, რომ ეს ჯაბას გაკეთებული იყო. გაზეთში კი წერია, „საგადასახადო უწყებებს ბენზინგასამართი სადგურებიდან ნიხლისკვრით ისტუმრებენ და არც ერთ კაპიკს არ იხდიან. რა გადასახადებზეა ლაპარაკი, როდესაც ბოლო დროს ბენზინზე ფასების გაძვირება, თურმე, იმით არის განპირობებული, რომ ერთობ საყოველთაოდ ცნობილმა პიროვნებამ უფიდან ბენზინის დიდი პარტია ჩამოიტანა და რათა რაც შეიძლება ჩქარა გაეყიდა, გადაკეტა საქართველოში ბენზინის შემოტანის ყველა გზა, კონკურენტები რომ არ ჰყოლოდა, სწორედ ამიტომ გაძვირდა საავტომობილო სანვავი. მასთან ერთად ტრანსპორტი და ისედაც გაუბედურებული მოსახლეობა კიდევ უფრო იტანჯება".

რაზე შეიძლება ლაპარაკი, როგორ, ეს არ იცის შევარდნაძემ, ნუთუ ნამუსის გრძნობაც არ გააჩნია, მისი მომხრეები კი გაიძახიან, რა ქნას, ძალა არ გააჩნია, მე უკვე ორი წელია მესმის, რომ ძალა არ გააჩნია და მაფიის ხელშია, მაშინ რა აზრი აქვს მის მოღვაწეობას.

გუშინ გაზ. „7 დღეში" იყო სტატია, სადაც ლაპარაკია ე. წ. რაუნდებზე, რომელსაც ადრე რაღაც მნიშვნელობა კიდევ ჰქონდა, მაგრამ ვინც დაიჭირეს, ყველა გარეთ გამოუშვეს, განსაკუთრებით ოზურგეთის რაიონში. ახლა, 17 ივნისს, ამ რაიონში ჩაუტარებიათ მესამედ „რაუნდი", მონაწილეობდა 1200 კაცი 20 ტანკი და ბმპ და დაიჭირეს 7 კაცი, ბოლოს ექვსი გაუშვეს და დარჩათ ერთი კაცი. სასაცილო არ არის, 1200 კაცი ჩავიდა ოზურგეთში და ერთი კაცი დაიჭირეს მაშინ, როდესაც 4,5 თვის განმავლობაში ამ რაიონში ყაჩაღებმა მოკლეს 10 პოლიციელი. ოზურგეთი გადაიქცა დამნაშავეთა ბუდედ.

2 ივლისი

რუსების ჯარები უკვე განლაგდნენ წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის ტერიტორიებზე. ხალხს ისე მობეზრდა ქართული შეიარაღებული ბანდები, რომ არც გამსახურდიას მომხრეები უნდათ, არც შევარდნაძის და დიდი სიხარულით შეეგებნენ რუსებს, ასე რომ, მომავალში რომ ითქვას თითქოს რუსები ძალით შევიდნენ და ადგილობრივი მოსახლეობა ამით უკმაყოფილო იყო, არ იქნება ეს სწორი, რადგან, პირიქით, ხალხს გაუხარდა როცა რუსებმა გამოყარეს ამ ტერიტორიიდან ჩვენი ჯარები და ბანდიტები.

ლტოლვილების შესვლა შეჩერდა გალის რაიონში, აფხაზეთის სვანეთში ლათასთან ქართველებმა წარმატებას მიაღწიეს, ეს გახდა მიზეზი, რომ გუშინ თბილისში ჩამოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, რომელსაც შეხვდა შევარდნაძე. კოზირევი ჩავიდა სამშვიდობო ჯარებთან, იყო სოხუმში. როგორც გადმოსცეს ტელევიზიით, კერძოდ, „მაცნეში" კოზირევი არ მიუღია არძინბას, ეტყობა ნაწყენია.[1]

[1] კოდორის ხეობა ძირითადად დაიცვა ადგილობრივმა მოსახლეობამ ემზარ კვიციანის მეთაურობით. კოდორის

6 ივლისი

დღეს „ვესტნიკში“ გადმოსცეს, რომ კიევში დააპატიმრეს ლოთი ქობალია.

11 ივლისი

კახეთში ვიყავი წასული და შევიტყვე, რომ 7 ივლისს კინოს სახლთან გაიმართა ოპოზიციური პარტიების მიტინგი. ორგანიზატორები არ იყვნენ, მაგრამ ესწრებოდნენ გაერთიანებული რესპუბლიკელები. არ ესწრებოდნენ ეროვნულ-დემოკრატები. 9 ივლისს ქალაქის მერიამ ნება არ დართო ჩაეტარებინათ მიტინგი კინოს სახლთან და მომიტინგეები წამოვიდნენ ვაკის პარკში. ძირითადი მოთხოვნები იყო შევარდნაძის გადადგომა.

ირაკლი წერეთლის მანქანა გაჩხრიკა პოლიციამ და აღმოაჩინა ავტომატი და მაუზერი. წერეთელმა განაცხადა, რომ ეს მისი გახლდათ. მას ჩამოართვეს გაზ-31 მარკის ავტომანქანა, რომელიც რომელიღაც ფირმაზე იყო მიმაგრებული. ამ ფირმის პრეზიდენტი მწვერაშვილი დაპატიმრებული ყოფილა. მას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან გამოუტანია 340 ტონა (წიდა). მისთვის შუამდგომლობა გაუწევია ირაკლი წერეთელს. მწვერაშვილს მოგებიდან 105 მილიონი დაუმალავს სახელმწიფოსათვის, ორი მანქანა კი მიუცია ირაკლი წერეთლისთვის. ეს განაცხადა გენერალმა გახოკიძემ.

ირაკლი წერეთელმა დაიწყო შიმშილობა. ის მოითხოვს შევარდნაძის გადადგომას და სესიის მოწვევას, სადაც განიხილება ხელისუფლების საკითხი.

21 ივლისი

ირაკლი წერეთელი ათი დღეა შიმშილობს. ამით დღეს ვის გააკვირვებ, რადგან საქართველოს მოსახლეობის 90% შიმშილობს. სასიკეთო კი არაფერი ჩანს. ქვეყანაში ისევ მატულობს მაფიის ძალა. რამდენიმე დღის წინ „საქართველოს რესპუბლიკაში“ **გამოქვეყნდა დადგენილება „დამნაშავეობასა და კორუფციის წინააღმდეგ“. კითხვა დიდი სიხარულით დავიწყე, მაგრამ, რად გინდა, ბოლოს ეწერა, რომ შეიქმნა კომისია შევარდნაძის მეთაურობით და მოადგილედ დაუნიშნეს ჯაბა იოსელიანი, რომელსაც დაუმორჩილეს პროკურატურა, შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროები. სასაცილო კი არ არის, ეს ნამდვილად სატირალია.** გუშინწინ ხუთი ახალგაზრდა მოკლეს თბილისში. გუშინ ქ. თბილისის პოლიციის და პროკურატურის მუშაკთა შეხვედრა იყო. **ქალაქის პოლიციის უფროსი დემურ მიქაძე ნერვიულობისაგან კანკალებდა, კაცი დაჭერილი არ ჰყავთ და უკვე რეკავენ, გაუშვითო და რომ მკვლელობებიდან არაფერი გაიხსნებაო. მიქაძემ მაგალითად მოიყვანა ვიღაც გვასალია, რომლის გაშვებაც აიძულეს.**

აღარ ვიცი რა დავწერო, ალბათ, **გია ჭანტურიამ კარგად თქვა გაზ. „დრონში“, რომ შევარდნაძის დაბალანსების პოლიტიკა საქართველოს დამარხავსო.** მან აღნიშნა, რომ ყველას ეგონა თითქოს ჩვენ კიტოვანის წინააღმდეგ ბრძოლა დავიწყეთ შევარდნაძის მითითებით, პირიქით, ჩვენ ვაკეთებდით ზეწოლას შევარდნაძეზე, რომ გვებრძოლა კიტოვანის წინააღმდეგო.

10 აგვისტო

აზრი არა აქვს წერას, რადგან ისევ ის ამბები გრძელდება. გუშინწინ პირველ საავადმყოფოში ორმოცდაათმა ავტომატიანმა კაცმა სცემა ექიმებს. ისინი დაასისხლიანეს; ერთს ისე ჩაარტყეს თავში, რომ კანტუზია დაემართა. ისინი მთელი ღამე არბევდნენ საავადმყოფოს, ყველამ იცის, ვინ არიან. ექიმები მთელი დღე რეკავდნენ პოლიციაში, მაგრამ უშედეგოდ. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ

ხეობა შედიოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში, რის გამოცა არძინბამ განაცხადა, რომ ირღვევა მოსკოვის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ჯაბა იოსელიანმა და სოკრატ ჯინჯოლიამ. ამაში მან საქართველოს გარდა ბრალი დასდო რუსეთსაც.

პარადი ჩაატარა და ტრიბუნიდან შევარდნაძე უქნევდა ხელს. ამ პარადზე ჩაიარა ათასობით პოლიციელმა, ტანკებმა, ვერტმფრენებმა, ბეტეერებმა. მოკლედ, წმინდა წყლის მაიმუნობა იყო.

6 აგვისტოს გაზ. „დრონი" – ირინა სარიშვილი წერს, რომ „კომიტეტის წევრები (ეს შეეხება შევარდნაძის მიერ შექმნილ კომიტეტს კორუფციასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ, მ. ვ.) არიან ჯაბა იოსელიანი, ოთარ ფაცაცია, ავთანდილ მარგიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი. თუ ეს ადამიანები იმისათვის შეიკრიბნენ, რომ ერთმანეთს ებრძოლონ, სანინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, თუ ვიღაცის წინააღმდეგ აპირებენ ბრძოლას, მაშინ გაუგებარია ობიექტის ვინაობა".

14 აგვისტო

გუშინწინდელ გაზ. „7 დღეში" სწორედ მაფიის საკითხს ეხებოდა სტატია „კოზა ნოსტრა". ამ გაზეთში მოყვანილია ირინას სიტყვები, რომ „ამ კომიტეტში არსებული მაფიოზების გარდა, სხვაგან არ მეგულება მე მაფიოზებიო. შევარდნაძემ მათი ერთად კონცენტაცია მოახდინა. ფაქტობრივად ის გახდა მაფიოზების მძევალი, რადგან მათი ზეწოლით შეიქმნა ეს კომიტეტი". ამ სტატიაში ზუსტად არის ნაჩვენები, რომ მაფიოზებმა თვითონ შექმნეს კომისია, თითქოსდა, „დანაშაულობის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი".

ჩემი აზრით, ამ მაფიოზებს ეშინიათ, რომ ირინა სარიშვილი შექმნის საპარლამენტო კომისიას და ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს არ მოხდეს. გუშინ საგანგებო სხდომა უნდა გამართულიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, უმრავლესობა არ გამოცხადდა. რაც შეეხება აფხაზეთის საკითხს, აფხაზები ჯერჯერობით არ უშვებენ ლტოლვილებს გალში.

დიდი ამბებია ჩეჩნეთში. იქ რუსებმა ჩეჩნეთის ერთ-ერთ რაიონში შექმნეს თავიანთი მთავრობა ავტორხანოვის მეთაურობით. აშკარაა რუსები სამოქალაქო ომს ამზადებენ ჩეჩნეთში. დუდაევმა მობილიზაცია გამოაცხადა.

დღეს ორი ნელინადი გავიდა, რაც აფხაზეთის ომი დაიწყო. ვინ აგებს პასუხს. რა თქმა უნდა, არავინ, რადგან ყველა ერთმანეთს აბრალებს. შევარდნაძემ ჟურნალისტ კარაულოვთან ინტერვიუში ყველაფერი დააბრალა კიტოვანს. ძალიან საინტერესო ინტერვიუ იყო. **კარაულოვმა ამის შემდეგ დაუსვა კითხვა, მაშინ რატომ ჩამოვიდა კიტოვანთან და „კანონიერ ქურდთან" ჯაბა იოსელიანთან, რომლისთვისაც სოჭში გაეროს ნარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს გენ. კონდრატიევს უთქვამს „Держу слово лётчика", ჯაბას კი უთქვამს „Держу слово палётчика", როდესაც ამას ეუბნებოდა კარაულოვი, აჩვენებდნენ შევარდნაძის ხელებს, აშკარად ნერვიულობდა.**

15 აგვისტო

გადაცემა „პირისპირ". არის ინტერვიუ გია ჭანტურიასთან. ტელევიზორი გვიან ჩავრთე.

ვ. კვარაცხელია „ვახტანგ გოგუაძემ განაცხადა, რომ მირჩევნია მე ვიყო დაჩოქილი, ვიდრე მთელი ერიო – ეს შეეხებოდა დსთ-ში შესვლას. ამ სიტყვებში ნაკლებია პოპულიზმი".

გ. ჭანტურია – „არის ორი უკიდურესობა – ერთი რუსეთის გინება და მეორე – „ყივჩაღი შემომეყარა". ორივე უზნეობაა. ჩვენ მათთან პარტნიორები უნდა ვიყოთ და არა, მაპატიეთ, ცოლები არ უნდა მივცეთ".

ვ. კ. – „რა შეცდომები დავუშვით, როდესაც ამ მდგომარეობამდე მივედით".

გ. ჭანტურია – „ჩვენ დემოკრატიის მშენებლობა პროვინციალურად დავიწყეთ. ქვეყანაში შევქმენით ქაოსი. ყველა ქვეყანამ სხვა გზა გაიარა. ეს არის დემოკრატიული ცენტრალიზმი – სახელმწიფო სპეციალური რეჟიმით მუშაობს, სახელმწიფო იბრძვის მაფიოზებისა და დანაშაულობების წინააღმდეგ, მაგრამ არ ეხება ოპოზიციას და პრესას. ვინც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს. ჩვენი სახელმწიფო კი მაგალითს აძლევს, რომ ბანდიტობით, ღალატით შეიძლება ცხოვრება".

ვ. კვარაცხელია –„ამის შესახებ თუ გქონდათ საუბარი შევარდნაძესთან".

გ. ჭანტურია – „სახელმწიფოს გაწმენდა უნდა დაინყოს ზემოდან, ჯერ ზვიგენები უნდა დავიჭიროთ“.

ვ. კ. – „როგორ უყურებთ შევარდნაძის მიერ შექმნილ „კორუფციისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის“ კომიტეტს“.

გ. ჭანტურია – „მე მგონი, ცინიკურიც იყო ასეთი კომიტეტის შექმნა“.

22 აგვისტო

დღეს ორშაბათის რადიოინტერვიუში შევარდნაძემ განაცხადა (როგორც იქნა, მ. ვ.), რომ მაფია, რეკეტი ღუპავს საქართველოს და უნდა დაინყოს ბრძოლა მის წინააღმდეგ. დღეს საღამოს გამოვიდნენ გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე და განცხადება გააკეთა შოთა კვირაიამ, რომ ინყებენ ბრძოლას მაფიოზური კლანების წინააღმდეგ. საოცარია, როცა ქვეყანა, ფაქტობრივად, გაანადგურეს, მაშინ შევარდნაძე ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ხდებაო, დღეს კი განაცხადა, რომ ქვეყანა ილუპება, ეკონომიკა ველარ ვითარდება. გუშინ ჩემი მეგობარი უნივერსიტეტელი გოჩა ხუნდაძის სახლი პირწმინდად გაქურდეს. პოლიცია როცა მოვიყვანეთ, მათ გვითხრეს, რა აზრი აქვს, რომც დავიჭიროთ ქურდები, მაინც გაუშვებენ. ზოგიერთები რამდენჯერმე დავიჭირეთო, მაგრამ მაინც გაგვაშვებინესო. სანამ ჯაბა იოსელიანი და მისნაირები იქნებიან თანამდებობებზე, რა ბრძოლაზეა ლაპარაკი. ეს ბრძოლა ისევ ბუტაფორია იქნება, რათა ხალხს მოაჩვენონ, რომ ბრძოლა დაიწყო მაფიის წინააღმდეგ, რადგან ხალხი დაიმშა, საქართველოში ცხოვრება აღარ შეიძლება და თუ მართლა შევარდნაძე მოერევა ამ საკითხს, რისი იმედიც არ მაქვს, მე ისევ დადებითს ვიტყვი მასზე. ჩემი აზრით, თუ მან არ შემოიკრიბა ახალგაზრდა თაობა – განსაკუთრებით ეროვნულ დემოკრატები, ვერაფერს გახდება, რადგან სახელმწიფოს სათავეში ყველგან მაფიოზები არიან და არ მესმის, ვის უნდა ებრძოლონ ისინი.

24 აგვისტო

ისევ ვაგრძელებ იმ თემას, რომელზედაც ამდენი ხანია ვწერ. გაზ. „რეზონანსსში“ – 23-24 აგვისტოს ნომერში არის **რომან გვენცაძის პრესკონფერენცია. ის ამბობს, რომ „მაფიოზური სტუქტურები ისე გათავხედდნენ, რომ პოლიციას წილს გვთხოვენ“ და რომ „ყველა უბანში ცალკე მაფია ბუდობს, 15-17 წლის ბიჭები სახელმწიფო საქმეებს არჩევენ. ტელევიზიით გამოდიან ნარკომანები და ნოტაციებს გვიკითხავენო“.**

29 აგვისტო

გაზ. „სარანგში“ (25 აგვისტო) გამოქვეყნებულია დავით ზეიკიძის წერილი. გენ. ზეიკიძე იმალება, მის დასაჭერად სანქცია არის გაცემული. მან მშვენივრად იცის, რომ დაიჭირონ აუცილებლად მოკლავენ. ამ წერილიდან ბევრი რამ გაირკვა. რაზეც ადრე ვერ ლაპარაკობდა, ახლა დაწერა. კერძოდ, როგორც ცნობილია, 14 სექტემბერს, როცა შევარდნაძე გადადგომას აპირებდა, ზეიკიძე გამოვიდა პარლამენტში ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ ზეიკიძისთვის ეს დავალება მიუცია შევარდნაძეს. ამის შემდეგ, ორ კვირაში, შევარდნაძის ბრძანებით, პოლიციის სამმართველო დაუმორჩილეს ჯაბა იოსელიანს. **ზეიკიძე წერს, „რომ შევარდნაძე არის გაორებული პიროვნება, რადგან ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს, რის გამოც წესრიგი საქართველოში ვერ დამყარდება“.**

რაც შეეხება იმ ცნობილ მოვლენას, როდესაც ის შეიჭრა პარლამენტში. ზეიკიძე წერს – **„წინა ღამეს დამირეკა ბატონმა ედუარდმა და მითხრა – ნანყენი ხომ არა ხარ, კვირაია დაინიშნა შსს მინისტრად, მე ვუთხარი ნანყენი ვარ-მეთქი, აბა რა იქნება. კარგი, ნუ გენყინება, შემოხვალ პარლამენტში, დაიწყებ ყვირილს „შევარდნაძე, შევარდნაძე“, შემდეგ ჩვენ შევაჩერებთ პარლამენტის სხდომას და თვითონ მოითხოვს გადადგომას. ამით დამთავრდება ყველაფერი“.**

შემდეგ გენ. ზეიკიძე წერს, რომ, „ის, რაც მან (იოსელიანმა, მ. ვ.) ჩაიდინა საქართველოში, რას-

აც ახლა აკეთებს, ის დიდი მაფია, რომელიც შექმნილია და რომელსაც მთელი ეკონომიკა ხელში უჭირავს, ეს ჯაბა იოსელიანის მეშვეობით ხდება. არაფერს ამბობენ მათ მიერ საზღვარგარეთ გახსნილ ბანკებზე, ოფისებზე და მანქანებზე, რომელიც მის გვერდში მდგომი ხალხის ხელით კეთდება... როდესაც ედუარდ შევარდნაძე სადმე მიდის და ატარებს თათბირს, მის უკან ჯაბა იოსელიანის აჩრდილი დგას... ბატონი ედუარდ შევარდნაძე მისი მარიონეტია, ამიტომ, თუ გვინდა, რომ ქართველმა ხალხმა ამოისუნთქოს, მოგვარდეს რუსეთთან ურთიერთობა, აფხაზეთისა, ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი და ჩვენც ისევ ისეთი ამაყი ქართველები გავხდეთ და ნორმალურ სახელმწიფოში ვიცხოვროთ, ამ ორმა ადამიანმა უნდა დატოვოს თანამდებობა. ჯაბა იოსელიანზე მე მეტს აღარ ვილაპარაკებ. ეს არის ნომერი პირველი მაფიოზი, რომელსაც ჩათრეული ჰყავს ედუარდ შევარდნაძე და ერთად ღლეტავენ, ძარცვავენ საქართველოს, აი, თუნდაც, რომ ამბობენ, შევარდნაძეს ალტერნატივა არ ჰყავსო, აიღეთ თუნდაც შაშიაშვილი, ქუთაისის მერი, მშვენივრად უძღვება საქმეს. ჭკვიანი ხალხი რამდენიც გინდათ იმდენია, მაგრამ ისინი ყოველთვის დაჩაგრულნი არიან და იმ ზომამდე ჰყავთ, რომ, თუ რაღაცა იქნება, იმნუთშივე გაანადგურონ. ამაში ძალიან ძლიერია ბატონი ედუარდი და მისი მარჯვენა ხელი, საყვარელი ადამიანი, რაინდი – ბატონი ჯაბა იოსელიანი".

ჩემი აზრით, ამ ნერილს კომენტარი არ სჭირდება. ამ სტატიას ასეთი სათაური აქვს – „პოლიციის გენერალ-მაიორის აღსარება". მართლაც, აღსარებაა, რადგან მას აუცილებლად მოკლავენ. არადა, ნესიერი კაცია. მაფიამ ის მოსპო. **ღმერთო, გადაარჩინე.**

5 სექტემბერი

ისევ ვაგრძელებ საუბარს მაფიაზე, მოვიყვან **ვახტანგ გოგუაძის** ინტერვიუდან ერთ ნაწილს.

კითხვა – „ცხადია, ქუჩაზე მოთარეშე ბანდიტები ვერ შეუშლიან ხელს ხელისუფლებას კანონების მიღებაში, თუკი მაფია თავად ხელისუფლების ზედა ეშელონებში არ არის მოკალათებული".

ვ. გ. – „ეს ფაქტია და ამის უარყოფა არ შემიძლია. **მართალია, სახელმწიფოებრივი რანგით მეორე თუ მესამე კაცი ვარ, მაგრამ ძალაუფლება მაქვს-მეთქი, არ მეთქმის".**

რაზე უნდა ილაპარაკო ადამიანმა, როდესაც შევარნაძის პირველი მოადგილე ამბობს, რომ არაფერი ძალაუფლება არა აქვს და რომ ძალაუფლება აქვს მაფიას.

7 სექტემბერი

ჩემი თემა ისევ ბანდიტიზმს შეეხება. **გუშინ მეგობართან ვიყავი ბარნოვის ქუჩაზე. იქვე ახლოს ისეთი ინტენსიური სროლა ატყდა ათი წუთის განმავლობაში, ომში გეგონებოდა თავი.**

დღეს შევიტყვე, რომ ორი 18 წლის ახალგაზრდა დაუცხრილავთ. არ ვიცი, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ამბავი. ახალგაზრდობის 90% ნარკომანი გახდა. შევარდნაძე კი ისევ მიღებებზეა, მე გულიც აღარ მაქვს, რომ ვწერო. ჩამოვიდა ამერიკის წარმომადგენელი გაეროში ოლბრაიტი, რომელიც ზუგდიდში იყო, სადაც კატასტროფული მდგომარეობაა. აქ სამი თვეა სამშვიდობო ძალები არიან, მაგრამ აფხაზები ქართველებს არ უშვებენ აფხაზეთში.

ბოლო მოლაპარაკებაზე ჯაბა არ წავიდა, წავიდა კავსაძე. იქ კიდევ ხელი მოაწერეს განცხადებაზე. დღეს სოჭში ისევ დაიწყო მოლაპარაკება, მაგრამ ლტოლვილებს არავინ უშვებს გალში.

ჩეჩნეთში დაიწყო შეტაკებები. დუდაევის ხალხმა აიღო ქალაქი არღუნი, სადაც იდგა მეამბოხე ლაბაზანოვის რაზმი. კავკასიის კონფედერაცია მონაწილეობს ომში დუდაევის მხარეზე. არღუნის ბრძოლაში თავი გამოიჩინა შამილ ბასაევის რაზმმა, რომელიც იბრძოდა აფხაზეთში. დღეს ავტორხანოვმა, დროებითი საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ კონფედერაციის მონაწილეობა არის მესამე ძალის მონაწილეობა. აშკარაა, რუსეთი საბაბს ეძებს, როდესაც კონფედერაციის ჯარები იბრძოდნენ აფხაზეთში, მაშინ რუსეთს ძალზე აწყობდა ეს ჯარი, ახლა აცხადებენ, დაქირავებულების მონაწილეობა როგორ შეიძლებაო ამ შეტაკებებშიო.

მე გამომრჩა ერთი მთავარი მომენტი. თბილის-მოსკოვის **თვითმფრინავში აღმოაჩინეს ბომბი, რომელიც ერთ საათში უნდა აფეთქებულიყო.** ერთ-ერთი მგზავრისათვის ვიღაცას უთხოვია, მომეხმარე ბარგის გადაზიდვაშიო, როდესაც ეს მგზავრი ავიდა თვითმფრინავში, მან იქ ვერ აღმოაჩინა ის პირი, რომელმაც ბარგი გაატანა, ამიტომ დაეჭვდა და შეატყობინა ეკიპაჟს. **აღმოჩნდა, რომ ამ თვითმფრინავით მიფრინავდა გია ყარყარაშვილი.** ეს წერია „სვობოდნაია გრუზიაში".

ისევ ვიმეორებ, საქართველო გადაიქცა ტერორიზმის და ბანდიტების ქვეყნად. გაზ. „ფორუმში" არის მოყვანილი სენატორ დეკონსინის სიტყვა, რომელსაც მიუმართავს აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონისთვის შეკითხვით, „შეერთებულმა შტატებმა მხარი უნდა დაუჭიროს ასეთ მთავრობას?" სადაც ნათქვამია, რომ „ბატონი ჯაბა იოსელიანი გვეელინება, როგორც აფხაზეთის მოვლენების მონაწილე პირი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ნახევრად გასამხედროებული შეიარაღებული დაჯგუფების „მხედრიონის" ლიდერი. „მხედრიონს", რომელმაც მაროდიორობა ჩაიდინა ქვეყანაში და ახლაც ყველა ბიზნესს აკონტროლებს (ეს სიტყვა მოტანილია ინგლისურ გაზ. „კვირის ახალი ამბები" 3 აპრილის ნომერი). ის ამბობს, „ის კი ვიცი, რომ დანაშაულობათა წინააღმდეგ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, არა მხოლოდ მელიის საქათმეში შეშვებას ნიშნავს, ეს უბრალოდ მთავრობას და სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების მასხრად აგდებაა და სხვა არაფერი, ეს სილის გაწნაა ქართველი ხალხისადმი, რომელიც ომისა და კრიმინოგენური ელემენტების წინაშე შიშის პირობებში ცხოვრობს და თუ ასეა, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უფრო მეტი სიფრთხილე გმართებთ, ვიდრე აქამდე იჩენდით ედუარდ შევარდნაძის რეჟიმისადმი მხარდაჭერაში, შესაძლებელია მას სხვა გზა არა აქვს, იყოფს კავშირს ბატონ ჯაბა იოსელიანთან, მაგრამ განა კი შეერთებულმა შტატებმა მხარი უნდა დაუჭიროს ასეთ მთავრობას".

9 სექტემბერი

დღევანდელ გაზ. „ივერია-ექსპრესში" გამოქვეყნებულია საშუალო ხელფასის მონაცემები რუსეთში 120000 მანეთი, ტაჯიკეთში – 10000 მან, სომხეთში – 6000 მან, საქართველოში – 128 მანეთი, სასაცილო არ არის?! ამ სტატიაში ლევან ჯიშკარიანი ძალზე კარგად აანალიზებს რომ, სომხეთში ომია, ტაჯიკეთშიც, მაგრამ, რამ გამოიწვია ეს უბედურებები საქართველოში. ის აბსოლუტურად სწორად წერს – „სახელმწიფო ხელში ჩავუგდეთ მაფიოზურ ჯგუფებს, რომლებმაც დააშორეს ერთმანეთს ხელისუფლება და ძალაუფლება. ხელისუფლება ბუტაფორიულ ორგანოებს დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება კი თავად დაისაკუთრეს. მისი მეშვეობით, კრიმინალთაგან შედგენილი მაფიოზური შეიარაღებული კლანები გაბატონდნენ ქვეყნის ეკონომიკაში. თავიანთი თათი დაადეს ყველა სფეროს – საკუთარი სურვილით ანესებენ ფასებს, აკონტროლებენ ინფრასტრუქტურას, საგადასახადო სისტემას და საერთოდ, ყველა სახელმწიფოებრივ მექანიზმს... სახელმწიფო ვერ ახერხებს ელემენტარული ფუნქციის შესრულებას – გადასახადების აკრეფას, ვერ ახერხებს თვით აშკარა დამნაშავის გათავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან, ვერ ახერხებს მოქალაქის, მეწარმის დაცვას... არავითარი ეკონომიკური რეფორმა საქართველოში არ გატარდება. არავითარი პროგრესი არ იქნება, თუ სახელმწიფო (უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მეთაური) რეალურად არ აღუდგება წინ მაფიის თარეშს".

15 სექტემბერი

ჯაბა იოსელიანმა გაზ. „ფორუმში" პასუხი გასცა სენატორ დეკონსინს და თქვა – „წავიდეს დეკონსინი და ლობიო ჭამოსო".

გუშინწინ გაიხსნა პარლამენტის სხდომა. მოვუსმინე შევარდნაძის მოხსენებას. ეს მოხსენება დაახლოებით იყო ცკ-ის პლენუმზე გაკეთებული მოხსენების მსგავსი – კონგლომერატი „მაცნეში" გადმოცემული ინფორმაციისა ბოლო ერთი თვის განმავლობაში. ის, რაც მან ილაპარაკა, ყველაფერი ცნობილი იყო, ამიტომ ცოტა ხანში დეპუტატები ახმაურდნენ, ბოლოს

შევარდნაძემ უთხრა, რომ თქვენ თუ არ გაინტერესებთ, ხალხს აინტერესებსო. ნამდვილად სასაცილოა, თუ ხალხისთვის ლაპარაკობდა, ცალკე გასულიყო ტელევიზიით, რაღას აცდენდა ამდენ დეპუტატს.

გენ. პროკურორმა დააყენა საკითხი თემურ ურრუელიანის და ირაკლი ნერეთლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. როგორც გადმომცეს, ძალზე სუსტი არგუმენტები იყო ჩამოსული და აპირებდა ლტოლვილების შეყვანას გალში, მაგრამ არძინბამ სესია მოინვია და ჯარი გააგზავნა ოჩამჩირესთან: შეყვანა შეჩერდა, ვარაუდობენ, რომ ხვალ დაიწყება.

დღეს ასაფლავებენ ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს დემურ დვალიშვილს, რომელმაც თავი მოიკლა. საოცარია, რამდენჯერ უთხრეს თავის დროზე შევარდნაძეს, განსაკუთრებით სიგუამ, რომ მისი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა დაღუპავდა საქართველოს, მაგრამ მაინც ბოლომდე იცავდა. როდესაც გაანთავისუფლეს, ბევრი ლაპარაკობდა, რომ მან იმდენი იცის, არ აცოცხლებენო.

გაზ. „ახალ თაობაში" სიგუამ დაწერა, რომ ეს კაცი ლიმონიევით გამოწურეს და გადააგდეს. მე ერთი წლის წინათ მასზე ვთქვი, რომ ამ კაცს დაცვა სჭირდება-მეთქი.

16 სექტემბერი

დღეს სრულიად მოულოდნელი ამბავი მოხდა. „მაცნე" დაიწყო იმით, რომ აჩვენეს ერთი წლის წინანდელი კადრები, როდესაც აფხაზებმა, დაარღვიეს ხელშეკრულება და დაიწყო სოხუმის დაცემა. აჩვენეს საშინელი კადრები. ბოლოს, როდესაც მთავრდებოდა, აჩვენეს კადრები საინფორმაციო გადაცემა „ვესტიდან". აღმოჩნდა, **რომ დღეს სამხედრო მინისტრი გრაჩოვი ჩავიდა გუდაუთაში და იქ ჩაფრინდა შევარდნაძეც. მოლაპარაკება გრაჩოვს, შევარდნაძეს და არძინბას შორის ოთხ საათს გასტანა.** მოლაპარაკება ხვალ გაგრძელდება.

ღამით უკვე აჩვენეს პრესკონფერენცია. გრაჩოვმა აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრა არის ისტორიული.

შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ძირითად საკითხებში წინ წავედით, არის აზრთა დიდი სხვაობებიც.

არძინბამ აღნიშნა, რომ შეხვედრა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მადლობა გადაუხადა ელცინს, გრაჩოვს და თქვა, რომ შეხვედრა კონსტრუქციულ ხასიათს ატარებდა და რომ ისინი წინააღმდეგნი არ არიან ლტოლვილების დაბრუნების, მაგრამ არა მოულოდნელად.

შევარდნაძემ თქვა რომ...

17 სექტემბერი

გუშინ წერა ვეღარ გავაგრძელე, სრულიად განადგურებული ვიყავი, შემრცხვა რომ ქართველი ვარ, დავინყე ტირილი. არ ვიცი, შეიძლება რომ ეს ჩასვლა უკეთესი იყოს საქართველოსათვის და განსაკუთრებით ლტოლვილებისათვის, მაგრამ რაღა იმ დროს, როცა ზუსტად ერთი წლის წინ საშინლად მოგვატყუეს და გაგვანადგურეს. თუ შარშან სექტემბერში აფხაზებმა ფიზიკურად გაგვანადგურეს, დღეს მორალურად გავნადგურდით, რადგან გუდაუთაში ჩადის სათხოვნელად სახელმწიფოს მეთაური. ჩემთვის ეს არის 1465 წლის ანალოგია, როცა სამცხის მთავარმა ყვარყვარემ დაატყვევა გიორგი VIII, საიდანაც დაიწყო საქართველოს დაშლა. ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე, მაგრამ აღარ ვიცი, რა ვქნა, ვის ვებრძოლო, ასე უმოქმედოდ და ასე უამთააღმწერლად ყოფნა აღარ შემიძლია. შეიძლება მე ისევ ვცდებოდე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამჟამად ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია საქართველო გადაარჩინოს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაა, მე რომ ახალგაზრდა ვიყო და ისეთი აქტიური, როგორც ადრე ვიყავი, შეიძლება მათთან ერთად ვყოფილიყავი. ედპ-მ შექმნა ე. წ. ინტელიგენციის დარბაზი, იდეა კარგია, რადგან არ იყო საჭირო ცნობილი მეცნიერების და შემოქმედებითი მოღვაწეების პარლამენტში შეყვანა. ხშირად ისინი უაზროდ სხედან იქ და ბევრი საკითხი არ ესმით. მაგრამ არის საკითხები, რის შესახებაც მათ შეუძლიათ საინტერესო აზრი გამოთქვან და ამისთვის შეიქმნა ეს დარბაზი. ასეთ თავყრილობებს

ჩვეულებრივ ვერიდებოდი თავის დროზე და მართალიც ვიყავი, როდესაც არ შევედი საზოგადოება „თბილისელში" და შემდეგ უამრავ ასეთ ორგანიზაციაში, მაგრამ ეს დარბაზი თითქოს განსხვავდება სხვა ასეთი ორგანიზაციებისაგან.

21 სექტემბერი

გუშინწინ შევარდნაძე სოჭში შეხვდა ბორის ელცინს, შემდეგ ელცინს შეხვდა ვლადისლავ არძინბა. დოკუმენტი არ იქნა მიღებული. ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ 1 ოქტომბერს ლტოლვილები შეელენ გალში.

27 სექტემბერი

დღეს გავიდა ერთი წელი ჩვენი უდიდესი უბედურებიდან. ამ დღეს დაეცა სოხუმი.

გაიმართა პარლამენტის სხდომა. თემურ ჟორჟოლიანმა მოითხოვა შევარდნაძის გადადგომა. შევარდნაძე არ ესწრებოდა. დიდი კამათი გაიმართა. ძალზე შთამბეჭდავი იყო თენგიზ სიგუას გამოსვლა. მან ბრალი დასდო შევარდნაძეს, რომ – გია ყარყარაშვილი **გააჩერა ცხინვალთან და ასევე შეაჩერა, როდესაც აპირებდნენ გუმისთის გადალახვას.** გეგმით 72 საათში დაამთავრებდნენ ოპერაციას და აიღებდნენ გუდაუთას. ვალერი ასათიანი ადგილიდან უყვირის სიგუას. სიგუამ მას თაგვი უწოდა. ის აცხადებს, რომ, 4 სექტემბერს **გენო ადამია** ატყობინებდა, ყველაფერი იღუპება, შემდეგ გრაჩოვი ჩამოფრინდა, რომ ჯარები შემოეყვანა. შევარდნაძემ უარი უთხრა. ორი დღის შემდეგ გრაჩოვს უგზავნის თანხმობას. მაგრამ იქიდან გვატყობინებენ, გვიან არისო. ჩემი გადადგომის შემდეგ შევარდნაძე დავალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, რომ ჩემზე მასალები მოიპოვონ". შევარდნაძემ პარლამენტს გამოუგზავნა წერილი, რომ ამდენი შეურაცხყოფის ატანა აღარ შეუძლია და იფიქრებს გადადგომის შესახებ.

28 სექტემბერი

გაზ. „კავკასიონში" გამოქვეყნდა შევარდნაძის წერილი პარლამენტისადმი. ამ წერილს ის ამთავრებს შემდეგი სიტყვებით – „ელემენტარული თავმოყვარეობა, პატიოსნება, ადამიანური ნამუსი არ მაძლევს უფლებას ლაფში ამოსვრილი და ამოწუმპული ვტოვებდე პარლამენტის ყველა სხდომას. ეს უნდა დამთავრდეს. ეს ჯოჯოხეთი უნდა დამთავრდეს, პატივისცემით ედუარდ შევარდნაძე".

დღეს დილით უნივერსიტეტში არაფერი ხდებოდა. 11 საათზე მარიკა ლორთქიფანიძე შემოვიდა და მთხოვა ტელეფონზე დამარეკინეო. ტელეფონზე დარეკა საზოგადოება „თბილისელში", სადაც უთხრეს, რომ პარლამენტის წინ ხალხი იკრიბება და მათ შორის უნივერსიტეტელებიც – რათა ითხოვონ, არ გადადგეს შევარდნაძე. ისინი ეძებდნენ ოთარ ჯაფარიძეს. მარიკა ჩავიდა რისმაგ გორდეზიანთან. მან უთხრა, რომ ვისაც სურვილი აქვს, ისინი წავიდნენო. **ქალ. მარიკას ვუთხარი, რომ თქვენ პირადად გამოგყვებით, რომ რაიმე არ დაგემართოთ, მანქანითაც წაგიყვანთ, მაგრამ მე იმ ხალხის გვერდით ვერ დავდგები. შემდეგ პირველკურსელები მოვიდნენ, მე ვუთხარი, რომ თუ მათ წასვლა უნდოდათ, არ მივატოვებდი, მაგრამ პირადად მე არ მინდოდა წასვლა. ისინი სახლში წავიდნენ.**

რა მოხდა პარლამენტის წინ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო 14 სექტემბერი, როდესაც უამრავი ხალხი იყო მისული რუსთაველზე. უნივერსიტეტიდან სულ ალბათ ხუთი კაცი წავიდა. მე პირადად არ მიმაჩნია საჭიროდ, რომ შევარდნაძე გადადგეს, რადგან უფრო მეტი არეულობა და ანარქია დაიწყება. ამიტომ შევარდნაძე უნდა დარჩეს ახალ არჩევნებამდე.

შემდეგ ტელევიზიით აჩვენეს ერთი ახალგაზრდის გამოსვლა, რომელიც ადრინდელ კომკავშირელს მოგვაგონებდა, რომელმაც შევარდნაძეს უთხრა, ბატ. ედუარდ, საქართველოს ახალგაზრდობა თქვენთან არისო. ასევე ამ შეხვედრაზე რისმაგ გორდეზიანმა განაცხადა, სტუდენტებს ვესაუბრე და აღშფოთებულები არიანო (საერთოდ სტუდენტებს სულ არ აინტერესებთ ეს საკითხი, მ. ვ.).

შევარნაძემ ინტელიგენციის შეხვედრაზე აღნიშნა, რომ პარლამენტი უაზრობაში შედის.

29 სექტემბერი

დღეს დილით თემურ ჟორჟოლიანმა გამოგზავნა წერილი, სადაც წერდა, რომ, რადგან შევარდნაძე უნდა წავიდეს გაეროში, ამიტომ აჩერებდა თავის მოთხოვნებს.

გამოვიდა **ირინა სარიშვილი** – „ჩემი აზრი არც ადრე შემიცვლია. გაუთავებლად გრძელდება დიფერსიები. მისი სათავე არის აღმასრულებელი სტრუქტურები და რუსეთის სპეცსამსახურები. მე დავინყებ პარლამენტის შემადგენლობით, პირველ რიგში, საკომპენსაციო სიებით. ეს თქვენ გააკეთეთ, რომ არ გეწყენინებინათ. ამით 10 კაციან ჯგუფებს უფლება მიეცით აქ ყოფილიყვნენ. მე მახსენდება ორი კენჭისყრა თენგიზ სიგუას არჩევნების დროს ჩვენ რომ დავთმეთ და დავუშვით მეორე კენჭისყრაზე. თქვენ უნდა გასცეთ პასუხი სიგუას იმ ბრალდებებზე. არავის სჭირდება ისეთი სახელმნიფოს მეთაური, რომ პასუხი არ გასცეს“...

გამოვიდა **რომან მიმინოშვილი** და განაცხადა – დროა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. მან ბრალი დასდო თამრიკო ჩხეიძეს, რომ მას ორი ადამიანის სიკვდილი აწევს კისერზე და მონასტერში უნდა იყოსო.

30 სექტემბერი

დღეს განახლდა პარლამენტის სხდომა. პირდაპირი გადაცემა იყო. დასამახსოვრებელი იყო ერთი ეპიზოდი. სხდომა მშვიდობიანად მიმდინარეობდა, სანამ გამოვიდა **ჯანსუღ ჩარკვიანი**, რომელმაც დაიწყო ყვირილი და ბრალი დასდო ოპოზიციას იმაში, რომ ისინი შეძვრნენ „მრგვალ მაგიდაში“. შემდეგ გამოვიდა **აკაკი ბობოხიძე,** რომელმაც ასე მიმართა – „ბატონო ჯანსუღ, „მრგვალი მაგიდა“ დიდი ორგანიზაცია იყო და იქ შეძრომა არ იყო ძნელი, გთხოვთ გამაგებინოთ, როგორ ახერხებთ იმ ადგილას ყოველთვის შეძრომასო“. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ უმცირესობა კი არა, უმრავლესობაც სიცილით მოკვდა. მე ბოლომდე ვერ ვნახე სესია, რადგან დღეს გადავდგი ისეთი ნაბიჯი, რომელიც არასოდეს გადამიდგამს. კერძოდ, მე და ჩემი მეგობარი გოჩა ხუნდაძე წავედით ეროვნულ-დემოკრატების ინტელიგენციის დარბაზის სხდომაზე და გავხდით მისი წევრები. აქამდე არსად არ მივსულვარ, რადგან, როდესაც კომპარტიიდან გავედი, ყოველთვის ვარიდებდი ურთიერთობას ასეთ ორგანიზაციებთან. მაგრამ, ვინც შემდგომში წაიკითხავს ჩემს მოგონებებს, მიხვდება, რომ ჩემი შეხედულებები ძალიან დაუახლოვდა ამ პარტიის შეხედულებებს. დღეს მიმაჩნია, რომ გია ჭანტურია და ირინა სარიშვილი გამოხატავენ იმ მონინავე იდეებს, რომელიც ჭირდება საქართველოს. როდესაც სხდომაზე მივედით, ირჩეოდა სამხედრო მშენებლობის საკითხები. ეს საკითხი ძალიან საინტერესოდ იყო დასახული. ამავე დროს ძალზე სასიამოვნო იყო **რუსლან მიქაბერიძის** გაცნობა, რომელიც ჩემი მანქანით წამოვიყვანე და თავისი წიგნები მაჩუქა. ძალიან გამიხარდა, რომ ამ საღამოზე შევხვდი ჩემ ძველ ნაცნობს კახა ქორიძეს. აქ შევხვდი მიშა ჯიბუტს. ესწრებოდნენ ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი ქადაგიშვილი. მე პირადად ძალიან მომეწონა ამ „დარბაზში“ მონაწილეობა. ალბათ, ისევ წავალ მომავალ სხდომებზე. ჩემი ეს გადაწყვეტილება გამოინვია იმან, რომ აღარ შემიძლია ვიყო მარტო უამთააღმწერელი. მინდა ჩემი გამოცდილება გავუზიარო სხვებს, რადგან ყველა თანამდებობებზე ზის პარტიულ-ყაჩაღური მაფია. სადაც დიდი ფულია, ყაჩაღები ზიან თანამდებობებზე, სადაც ფული არ არის, თანამდებობებზე ყოფილი კომუნისტები არიან.

2 ოქტომბერი

30 სექტემბრის „ახალ თაობაში“ არის ინტერვიუ **ელიზბარ ჯაველიძესთან**, რომელიც წერს, რომ ქალაქის მერმა „უმალ იხმო ქალაქის პროკურორი და დაავალა აღეძრა სისხლის სამართლის საქმე მისი ყოფილი მეგობრის მიმართ... ეს იყო **კოტე გაბაშვილი**, ორჯერ რომ დაინიშნა განათლების მინისტრის მოადგილედ და როცა საბოლოოდ გაანთავისუფლეს, შეურიგებელ

ოპოზიციონერად მოევლინა ეროვნულ ხელისუფლებას, დიახ, ეს იყო კოტე გაბაშვილი, მიტინგებს რომ თავკაცობდა და ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობის მომხრე იყო. ეს იყო კოტე გაბაშვილი ხუნტის მმართველობის დროს ელვის სისწრაფით რომ აირბინა კიბეების საფეხურები და ქალაქის მერად მოგვევლინა, სავსებით მოუმზადებელი. ეს ის კოტე გაბაშვილია, რომელიც ყველაზე დაუნდობლად ილაშქრებდა ხალხის წინააღმდეგ და მოითხოვდა განსხვავებული აზრის გამო მათ დაპატიმრებას. ეს ის კოტე გაბაშვილია, რომელიც ამერიკული სამხედრო ფორმით, სქელლანჩიანი წაღებით და მხარზე ავტომატგადაგდებული და ზურგზე ზურგჩანთამოკიდებული, ტელეფონით მკაცრად მოუბარი, „ვიდეოკლიპებში" იღებდა მონაწილეობას, ვითომდაც აფხაზეთში მიიჩქაროდა საქართველოს მთლიანობის დასაცავად, სინამდვილეში კი ხელიც არ გაუნძრევია. ეს ის კოტე გაბაშვილია, რომელმაც სხვათა შვილები წაასხა აფხაზეთის ომში, საკუთარი კი უცხოეთში გადამალა. ეს ის კოტე გაბაშვილია, რომელმაც, თურმე, ორმოცი მილიარდი მანეთი გაიტანა კრედიტი საქართველოდან და სანაცვლოდ ხვიშტიც არ შემოუტანია, ეს ის კოტე გაბაშვილია, ვინც გერმანიის ელჩობას გამოჰკრა ხელი და საკუთარ ვაჟს მიუნხენში რესტორანი გაუხსნა".

13 ოქტომბერი

მდგომარეობა ისევ უცვლელია. გუშინ აფხაზებმა მხოლოდ 19 კაცს დართეს ნება შესულიყვნენ გალში.

თბილისში ისევ გრძელდება მასიური მკვლელობები. ახალგაზრდები ერთმანეთს უსწორდებიან. ორი დღის წინ დიდი შეტაკებები მოხდა ჩუღურეთის რაიონში. 15-18 წლის ბიჭებმა გამოიყენეს ავტომატები, გადაჭრილი თოფები. შეტაკებისას დაიღუპა ორი და დაიჭრა 4 კაცი. სწორად წერს გურამ მუჩაიძე დღევანდელ „კავკასიონში". „შევარდნაძე იქცა მაფიური კლანების მძევლად, ამიტომ, პარლამენტში ერთ-ერთ გამოსვლაზე მე ვთქვი, რომ სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის მოთხოვნამ აზრი დაკარგა.

სახელმწიფოს მეთაური დე-ფაქტოდ გადაყენებულია კრიმინალური კლანების მიერ".

21 ოქტომბერი

22 დღეა შიმშილობს თემურ ჟორჟოლიანი. დღეს გაზ. „დრონში" არის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ მას (შევარდნაძეს) ბევრ რამეში ვდებთ ბრალს, კერძოდ, სახელმწიფოს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვაში, ქვეყნის დანგრევაში, ეკონომიკურ კრახში, ხელისუფლება ძარცვა-გლეჯაზეა გადასული, რეკეტი სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი, პრაქტიკულად მიმდინარეობს საქართველოს მოსახლეობის გენოციდი, რადგან მის მოსახლეობას ხელფასი არ ეძლევა – 14-15 წლის გოგონები, რომ არ იშიმშილონ მეძავობენ, ხალხი ჯოგის დონეზეა მიყვანილი, ყველა ლუკმა-პურს ეძებს. ეს დახასიათება აბსოლუტურად შეესაბამება დღევანდელ მდგომარეობას.

დღევანდელ გაზ. „ახალ თაობაში" აკაკი ასათიანი აღიარებს, რომ შეცდომა იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება.

დღეს ყველა ახალგაზრდული ორგანიზაციები გაერთიანდნენ. საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ორი კანდიდატურა იყო – ლევან მამალაძე – „მოქალაქეთა კავშირის" ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც შევარდნაძის კლანია და დათო ტურაშვილი. ფარული კენჭისყრით აირჩიეს დათო ტურაშვილი. ძალიან გამიხარდა, იქნებ ნორმალურმა ახალმა თაობამ ისევ სწორად ნარმართოს ეროვნული მოძრაობა.

23 ოქტომბერი

დაიძაბა ურთიერთობა ოსებთან ისევ და ისევ მაფიოზობის გამო. თბილისიდან ქართველებმა მოიტაცეს ერთი ქართველი, რომელიც ჩაუყვანეს ოსებს, რომლებმაც ამ პიროვნების განთავისუფლებისათვის მის ახლობლებს გამოსასყიდი მოთხოვეს. ალბათ, ეს შეეხება ნარკობიზნესს, ეტყობა, რაღაც ვერ გაიყვეს, არადა, ეს გზა ყველასათ-

ვის ცნობილია, მძევლის გამოსახსნელად ჩასულ „მხედრიონს" და ოსებს შორის მოხდა შეტაკება. სამი კაცი მოკლეს „მხედრიონიდან", მათ შორის, მაშველთა კორპუსის ოპერატიული სამმართველოს უფროსი **თორნიკე ქურდაძე.** ორი მძევლად აიყვანეს, ორი ავტობუსი დააკავეს, ერთ ავტობუსში ჩასვეს ქალები და ბავშვები, რომლებიც გაუშვეს, ხოლო მეორე ავტობუსში 19 მამაკაცი მძევლად აიყვანეს. საპასუხოდ ქართველებმა დააკავეს ვლადიკავკასში მიმავალი ოსების ავტობუსი. მდგომარეობა დაიძაბა. სახელმწიფო, ისევ ვიმეორებ, არაფერს აკეთებს, რადგან თვითონ ხელისუფლებაში არიან მაფიოზები, ისევ ვიმეორებ, როდემდე შეიძლება ეს გაგრძელდეს, როდესაც ანძა დაინვა ამ რამდენიმე დღის წინ, შევარდნაძემ თათბირზე განაცხადა, რა საჭიროა გამოძიება, როცა ისედაც ცნობილია, რომ ერთმა კლანმა დაუწვა მეორეს, როგორც ამბობენ, ტელეარხი „თამარიონი", რომელიც გია ყარყარაშვილის დროს დააარსეს, დაინვა, დაწვა „მხედრიონმა". ამას მხოლოდ ჭორის დონეზე ვამბობ. ამ თათბირზე, რომელიც ტარდებოდა სამართალდამცავ ორგანოებთან, შევარდნაძემ საგზაო პოლიციის უფროს გია ჩეჩელაშვილს უთხრა, აღიარე, რომ ვერ აკონტროლებ გზას წითელი ხიდიდან რუსთავამდე და ფოთის მონაკვეთს და რომ გეშინიაო. საოცარია, ხომ იცის სახელმწიფოს მეთაურმა, რომ საგზაო პოლიციას არა აქვს ძალები დაეჯახოს იმ დაჯგუფებას, რომელზედაც იგი საუბრობს, როდესაც თვითონ სახელმწიფო მეთაური ვერ უბედავს მათ ბრძოლას, რა ქნას ჩეჩელაშვილმა. ეს თათბირები, ჯერ კიდევ ადრე ვნერდი, რომ არის ტიპური იმისა, როგორსაც ატარებდნენ ადრე პარტიის ცეკაში. მაშინ კიდევ რაღაცას აკეთებდნენ და რაღაცის ეშინოდათ, ახლა უკვე სასაცილო გახდა ეს შეხვედრები. თავს მხოლოდ იმით იმშვიდებენ, რომ ახლა უფრო სიწყნარეაო, ეს იმიტომ, რომ შარაგზის ყაჩაღებმა გადაინაცვლეს სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელიც უფრო დამღუპველია ვიდრე ადრინდელი პერიოდი. თუ ასლან აბაშიძეს შეუძლია დაამყაროს წესრიგი, რა გახდა სხვაგან. **გუშინ მეორე არხზე ვუსმენდი ასლან აბაშიძეს. საოცარი პიროვნებაა, რას არ ამბობენ მასზე, მაგრამ ის საქართველოს ისტორიაში შევა როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც საქართველოს გადაურჩინა ერთ-ერთი უძველესი კუთხე აჭარა და, ალბათ, სწორედ რომ აქედან ბევრჯერ დაწყებულა საქართველოს გაერთიანება. მან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ათი თვის განმავლობაში აჭარაში მხოლოდ ერთი მანქანა გაიტაცესო, მართალია, ვიპოვეთ, მაგრამ გაძარცული იყოო. ახლა, როცა ამას ვწერ, არც შუქი არის, გაზიც ბუუტავს, რა გვეშველება ამ ზამთარს.**

29 ოქტომბერი

ამ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის შენობის წინ დაანვინეს მოშიმშილე თემურ ჟორჟოლიანი. რუსთაველზე იმართება მიტინგები. უნივერსიტეტში ხუთშაბათს უნდა მოსულიყო ირაკლი წერეთელი, მაგრამ იმ დღეს პარლამენტის წინ იყო მიტინგი, ხოლო უნივერსიტეტში მოვიდნენ „ზვიადისტები". სხდომათა დარბაზში მათ რისმაგ გორდეზიანი შეხვდა. ბოლოს რისმაგს დემაგოგი უწოდეს, შენ ისეთივე დემაგოგი ხარო, როგორიც შევარდნაძე.

პარასკევს ისტორიის ფაკულტეტის კრება გაიმართა. იხილებოდა მისაღები გამოცდების ახალი კონცეფცია, რომელიც სრულიად არ ასახავს, რა ვითარებაა საქართველოში. ამ კონცეფციით განსაკუთრებით კნინდება საქართველოს ისტორია და ქართული ენა და ლიტერატურა. მე მოხსენებით გამოვედი. მოხსენებაში აღვნიშნე, რომ, თუ სკოლაში არ გატარდა რეფორმა, ისე არაფერი აზრი ამის გატარებას არა აქვს და არ დავმალე, რომ ძლივს შემოვიღეთ საგამოცდო საგნად საქართველოს ისტორია და თითქმის ყოველ წელს დგას საკითხი საგამოცდო ნუსხიდან მისი ამოღების შესახებ. მხოლოდ გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ვერ გაბედეს ამ თემაზე საუბარი. საბოლოოდ ვთქვი, რომ არავითარი რეფორმა არ გატარდება, სანამ კომუნისტურ-მაფიოზური ხელისუფლება იქნება საქართველოში.

დღეს ტელევიზიით აჩვენეს, თბილისელები შეიერიბნენო – რა თქმა უნდა, ეს გახლდათ რეზო ამაშუკელი, ზურაბ ჟვანია და სხვები. მათ განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ არეულობას

რუსთაველზე და ოთხშაბათს დანიშნეს შეკრება. ისევ ძველი სიმღერა იწყება.

ტელევიზიით აჩვენეს **თემურ ჟორჟოლიანი.** მან განაცხადა, რომ წყვეტს შიმშილობას, რადგან 8 რიცხვში გაიმართება დებატები შევარდნაძესთან პარლამენტში და აჩვენებენ ტელევიზიით. ამავე დროს, აჩვენეს ისტორიის ფაკულტეტის კრება, რომელზედაც მე ვწერდი. დღევანდელ „რეზონანსში" არის მოთხრობილი **რისმაგ გორდეზიანთან** შეხვედრის შესახებ, რომელზედაც ადრე ვწერდი. „მას უნივერსიტეტის პარტკომად ყოფნა შეახსენეს". დღევანდელ „რეზონანსში" არის გია ჭანტურიას ინტერვიუ. მან განაცხადა, რომ მის შტაბბინაში აღმოაჩინეს გადამცემი, რომელიც გიორგაძის ხალხმა შემოიტანა და რომ იცის გიორგაძის კომერციული საქმიანობის შესახებ. მისი აზრით, თემურ ჟორჟოლიანის სიტყვა 27 სექტემბერს დაიწერა იგორ გიორგაძის კაბინეტში. „ჭანტურია არ დაეთანხმა იმ აზრს, რომ დღევანდელ საქართველოს მეთაურს რეალური ძალაუფლება გააჩნია. მისი აზრით, შევარდნაძე საბურთაო გახდა და მოუწოდა მის ოპონენტებს უფრო ძლიერ და უხერხულ მეტოქეებთან შეჭიდება".

მართალია გია, ცუდი ამბებია მოსალოდნელი საქართველოში. ნუთუ ვერ ხვდება შევარდნაძე, რომ დასაყრდენი ფაქტობრივად არ გააჩნია, ნუთუ ჰგონია, რომ რეზო ამაშუკელი უშველის, ვაი, მაგის პატრონს. რამდენი ხანია ველოდები და ველოდები, რომ რაღაცას გააკეთებს, მაგრამ დღესდღეისობით უბედურების მეტი არაფერი არ ხდება.

30 ოქტომბერი

25-26 ოქტომბრის „რეზონანსი" წერს, რომ თბილისში გაიმართა მეწარმეთა კრება. კავშირის თავმჯდომარემ, ბონდო ზარნაძემ განაცხადა, რომ ხალხის მოტყუებაა ეს რეფორმა, როცა არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა და ბირჟები, მარტო ფასების აშვება ბიუჯეტში დეფიციტს ვერ მოხსნის. კოოპერატორთა კავშირის თავმჯდომარემ, ომარ შეშელაძემ განაცხადა – „ნოდარ დუმბაძის არ იყოს, ციხე ქურდებისა�ა და მოახმაროთ, ეს ქვეყანაც ამათია და მოახმაროს ღმერთმა". დაბოლოს, უთქვამს – „ქვეყნის მოღალატეებს გამოვაცალოთ საქართველო ხელიდან, თორემ აუცილებლად დავიღუპებითო". ტელევიზიით აჩვენეს პარლამენტის სხდომის ნაწყვეტი, სადაც მოშიმშილე თემურ ჟორჟოლიანი გამოდის და ეტყობა ხელს უშლიდნენ (ეს ჩემი ვარაუდია, მ. ვ.). აჩვენეს, რომ კიტოვანი წამოხტა, მიუბრუნდა იმ დეპუტატებს, ვინც ხელს უშლიდა და უთხრა „დედას გიტირებთ, გაჩუმდით თქვე ნაბიჭვრებოო, ეს რა პარლამენტიაო". გაზ. „ივერიაში" № 40 არის რეზო ჯაფარიძის მოხსენების ტექსტი, სადაც ამბობს, „შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლა – საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაა".

იქვე, ამ გაზეთში არის მოყვანილი მისი სიტყვა 1991 წელს, როცა ის თათხავს შევარდნაძეს.

12 ნოემბერი

8 ნოემბერს პარლამენტში გაიმართა დებატები. ორი დღით ადრე ქალაქში არც წყალი იყო და არც შუქი.

შევარდნაძემ თქვა, რომ ის არ გადადგება. ჟორჟოლიანმა მას ბრალი დასდო თითქმის ყველაფერში, რა უბედურებებიც ხდება დღეს საქართველოში. რა თქმა უნდა, არაკვითარი შედეგი ამ დებატებმა არ მოიტანა და არც შეიძლებოდა მოეტანა, რადგან აქ ახალი არაფერი არ იყო, ეს ისედაც ჩანს. **ქალაქში კატასტროფული მდგომარეობაა. მთელი წელი გვატყუებდნენ, ვემზადებით ზამთრის სეზონისათვისო, მაგრამ მთავრობა და ქალაქის მერია დაკავებული იყო დატაცებით და ქურდობით. როგორ შეიძლება რამის გაკეთება, როცა სათავეში ბანდიტები არიან. ხუთი დღის განმავლობაში შუქი არ მქონდა, სამი დღე – წყალი.**

კიტოვანმა და სიგუამ შექმნეს „აფხაზეთის განთავისუფლების ფრონტი" და მათი შტაბბინა არის პასტერის ქუჩაზე. ისინი ემზადებიან აფხაზეთის დასაბრუნებლად – ქმნიან ოცეულებს. საკმაოდ ბევრი ხალხი მიდის მათთან. კიტოვანმა ძალიან სწორადაც თქვა, „ეს მთავრობა ჩემთვის დიდი ხანია მკვდარია, მაგათთან აღარც დებატებია საჭირო და არც ლაპარაკი. ეგენი ტომრის

ვირთხები არიან, გაიტანეს, გაძარცვეს, შეჭამეს მთელი საქართველო" (ახალი თაობა, 9 ნოემბერი).

დღევანდელ „ახალ თაობაში" არის რესპუბლიკელების პრესკონფერენცია. ივლიანე ხაინდრავა შეეცადა ნარმოედგინა, თუ როგორი იქნება შევარდნაძის და იოსელიანის მიერ აშენებული სახელმწიფო. მან თქვა, რომ ჩვენ მივიღებთ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ზონური პრინციპით.

17 ნოემბერი

დღეს ჩემი მეგობრის გოჩა ხუნდაძის დაბადების დღეა. მე მგონი, ვატყობ ჭკუაზე აღარ ვარ. ამ დღეების განმაელობაში სინათლე არა მაქვს, გაზი არ არის. წყალი სულ ორჯერ მოვიდა. ჩემთან, ფალიაშვილზე 53 ნომერში კი არა, ვაკეში ყველგან ეზოებში ჩამოკიდებული აქვთ ქვაბები. ხეებს ჭრიან შეშად ვაკის პარკში და ასე ამზადებენ სადილებს. გამახსენდა პირველყოფილ თემური წყობილება. ძლივს ვშოულობ პურს, რომ ჩემი მშობლები, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ, შიმშილით არ მომიკვდნენ, ერთი პურის ფასი აკადემიკოსის ხელფასს უდრის. ღამით, უშუქობაში, ვიკრიბებით მეგობრები სანთლის შუქზე და უკანასკნელი ლოთებივით ვსვამთ. ჩემს შვილებს თორმეტი დღეა შუქი არ უნახავთ, მე მაქვს საჭმელი ბავშვებისათვის, მაგრამ სხვამ რა ქნას. მოვდივარ ნასვამი, პურის რიგში უზარმაზარი მასა იდგა, ხალხს გამოველაპარაკე, რამდენი საათი დგეხართ-მეთქი რიგში, 15 საათიო, თან არ იციან, საერთოდ პური იქნება თუ არა. ძალიან მიჭირს წერა, მაგრამ ნუთუ ნამუსის გრძნობა აღარ დარჩა შევარდნაძეს, რომ უყურებს ქართველი ხალხის განადგურებას. მე ვნერდი ტერორიზმის, კორუფციის და ბანდიტურ დაჯგუფებებზე, რომელიც, რა თქმა უნდა, უპირველესად მისთვის არის ცნობილი, ეტყობა, მას ნამუსის ნატამალიც არ დარჩა. როდესაც ზვიად გამსახურდიას ბრალს ვდებდი რუსთაველზე სისხლი რომ იღვრებოდა და ვამბობდი, რომ მას უფლება არა აქვს ამის შემდეგ იყოს პრეზიდენტი, ვაღიარებ, რომ მთავარი დამნაშავეები იყვნენ – კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი. რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარებით.

დღეს შენ სპობ საქართველოს, შენი ბანდიტების მფარველობამ მოსპო ქართველი ერი. ვინ გაპატიებს 30 ათასი ადამიანის დაღუპვას, 300000 ადამიანის ლტოლვილებად ქცევას და ხუთი მილიონი საქართველოს მოქალაქეების თავზე დ...., მე გული მტკივა, რომ შენი შვილი პაატა და შენი შვილიშვილი თამუნა მიყვარს, არადა გელოდებოდი როგორც ღმერთის გამოგზავნილს, და ყოფილხარ სატანის გამოგზავნილი. იმ საწყალმა გამსახურდიამ უბედურად დაამთავრა თავისი სიცოცხლე, მაგრამ ის დარჩება ისტორიაში ეროვნული მოძრაობის ლიდერად, შენ კი დარჩები, როგორც კავენიაკი საფრანგეთის რევოლუციაში და ტალეირანი, რომელმაც ყველა გაყიდა თავის კარიერის გამო, მაგრამ ვენის კონგრესზე მან უდიდესი საქმე გაუკეთა საფრანგეთს. შენ კი ყენევაში და სხვა მოლაპარაკებებზე მარტო შენი თავის გადარჩენაზე ფიქრობდი. მე ამას ადრე არ ვლაპარაკობდი. სადამდე დახვედი, რა იმიჯზე საუბრობ, როცა შენი მეგობრები არიან ქურდები, ბანდიტები, მკვლელები. ამდენი ხანი გელოდებოდი, რომ რაღაცას გააკეთებდი, მაგრამ ტყუილად გელოდებოდი, საქართველო აღარ არსებობს, ამ ზამთარს ჩვენ ვერ გადავიტანთ. გულში ფარულად გაგინებ, ბოდიშს გიხდი ამის გამო, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია.

26 ნოემბერი

ვაგრძელებ ისევ ჩემს ჩანაწერებს. ჩვენთან ისევ არ არის შუქი, არ არის გაზი, არ არის წყალი, ხალხი ეზოებში იკრიბება და ცეცხლს ანთებს, რომ არ დაიხოცონ სიცივით. ახალგაზრდები ერთმანეთს ხოცავენ, გუშინწინ ორი ბიჭი მოკლეს ბუკიას ბაღთან, თბილისში დათარეშობენ ახალგაზრდა მორფინისტები „მერსედესებით", „ბეემვეებით", შავი სათვალეებით, ანადგურებენ ყველაფერს. საქართველო და თბილისი თანდათანობით კვდება. ღამით, როცა შინ მოვდივარ, თბილისი ჩამკვდარია. მე და ჩემი მეგობრები ყოველდღე ვიკრიბებით, ზოგს რა მოაქვს, ზოგს რა და ყოველ ღამე სიბნელეში ვსვამთ. რა

ქნას ხალხმა, რომელთაც შესაძლებლობა არა აქვთ, რომ ასე ერთად შეიკრიბონ. **გუშინ პარლამენტის სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რეზო შავიშვილმა, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და ერთადერთი წესიერი კაცია ამ ხელისუფლებაში, გაახმოვანა ფაქტები, რომ ენერგიას აზერბაიჯანიდან 40 მანეთად ვყიდულობთ და ვყიდით სომხეთში 10 მანეთად. დანარჩენი ფული მიდის მაფიის ხელში.** უამრავი ფაქტია ზესტაფონის ქარხანასთან დაკავშირებით. დღეს საქართველოში ბატონობს მხოლოდ მაფია – მკვლელები, მორფინისტები და ა. შ. შევარდნაძე არის სათამაშო მაფიის ხელში, საცოდავი. დღეს ფაქტობრივად ბატონობს ჯაბა იოსელიანი.

ჟენევაში მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. აფხაზებმა ისევ გვაჯობეს და ამაზე აღარ მინდა ლაპარაკი. ამ დღეებში პირველად მოვიდა შუქი და იმიტომ ვწერ, შეიძლება მომავალში ისტორიკოსებმა თქვან, რა დაემართა ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, წერა არ შეუძლიაო, მაგრამ იმ მდგომარეობაში, რაშიც ჩვენ ვიმყოფებით, ესეც დიდი გმირობაა. **შუქი 18 დღე არ მინახავს, უკვე გადავეჩვიე და სიხარულის გრძნობაც აღარ მაქვს. ჩემი შვილები უკვე მიეჩვივნენ და ხმას აღარ იღებენ, მეც ხმას აღარ ვიღებ მათ გამო, თორემ ერთი სული მაქვს იარაღი ავიღო და ვებრძოლო ამ რეჟიმს. როგორ ვცდებოდი, როცა მიხაროდა გამსახურდიას დამხობა, რა მიხაროდა, ბანდიტების და კომუნისტების დაბრუნება. დღეს არის რეჟიმი კომუნისტების, მკვლელების და მორფინისტების. თბილისში უცხოური მანქანებით მარტო მკვლელები დადიან. ამის მოთმენა აღარ შეიძლება. უნდა მოვძებნო ის ძალა, რომელთან ერთადაც უნდა ვიბრძოლო, თორემ ჩემი ყოველდღიური ლოთობა საქმეს არ უშველის. მეგონა, რომ პირადად პოლიტიკაში არ ჩავერეოდი, მაგრამ მეშინია, რომ ამ ბანდიტებს ვერ მოვიცილებთ.**

1 დეკემბერი

ლამფის შუქზე მიწევს წერა. მე კიდევ ბედნიერი ვარ, რომ ნავთი მაქვს და შეგვიძლია ე. წ. „კერასინკაზე“ გავაკეთო სადილი, რომელსაც ბევრი თბილისელი მოკლებულია. უშუქობას, უგაზობას, უწყლობას დაემატა დიფტერია და ბოტულიზმი. დაავადებულია 50 კაცი, 6 უკვე გარდაიცვალა. ძალზე ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა, რა ხდება თბილისში. ძალიან კარგი გადაცემა გააკეთა რუსეთის ტელევიზიისთვის **კოკა ყანდიაშვილმა.** ამ გადაცემას სრულიად შემთხვევით ვუყურე, რადგან მეგობართან ვიყავი და შუქი მოვიდა. მას აქვს „აიეტი“ და ამდენად, შემეძლო მენახა ეს გადაცემა, რადგან საქართველოში რუსეთის ტელევიზიას არ აჩვენებენ გარდა „ოსტანკინოსი“. ამ გადაცემას ერქვა „Грузия страна милионеров“. ნაჩვენებია, როგორ ანთებს ხალხი კოცონს, როგორ იყინებიან, როგორ მათხოვრობენ, ამ დროს კი „მესედესებით“ როგორ დასეირნობს მთავრობა, რომ შევარდნაძემ შექმნა საშინელი ნომენკლატურა, რომელიც ამ დღეში აყენებს ხალხს. რუსეთმა მთელი სინამდვილე ნახა.

ამ ორი დღის წინ დიდუბეში ვნახეთ, რომ იყო შუქი და წავედით ამ რაიონში ჩვენს მეგობარ ჯუმბერ კაკუბავასთან. გადმოსცეს, რომ იქნებოდა გადაცემა „პირისპირ“ შევარდნაძესთან. მივატოვე დალევა, ავიღე კალამი და დავიწყე ჩაწერა, რადგან ვიფიქრე, ამაზე უბედურება რაღა უნდა იყოს, ალბათ, გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამ უმსგავსოებისთვის, რაც ხდება საქართველოში და რაღაც სიმართლე ეთქვა ხალხისთვის, მაგრამ ის ჩანაწერი გადავაგდე, რადგან იმის გადმოტანას რვეულში არავითარი აზრი არ ჰქონდა. ილაპარაკა ის, რასაც ლაპარაკობდა და აბსოლუტურად არაფერი. მისი საუბრიუდან გაირკვა, რომ მთელი უბედურება ყოფილა ის, რომ თელასის უფროსი გურგენიძე ცუდად მუშაობდა და ქალაქის მერმა ის გაანთავისუფლა (ამ დროს ვიცით, რომ ის დააწინაურეს და უფრო კარგ ადგილას გადაიყვანეს, მერიის მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსად, მ. ვ.). ამ გადაცემაში შევარდნაძე საერთოდ არ შეხებია მინისტრთა კაბინეტს და ქალაქის მერიას.

29 ნოემბერს გაზ. „კავკასიონში“ დაბეჭდილია ღია წერილი გია ჭანტურიასი სახელმწიფოს მეთაურისადმი.

მე პირადად ამ ბოლო პერიოდში აღფრთოვანებული ვარ ამ პარტიის ორი ლიდერით – გია

ჭანტურიათი და ირინა სარიშვილით, რომლებიც ზუსტად ასახავენ შექმნილ მდგომარეობას. გია ჭანტურია შევარდნაძეს წერს, რომ ხალხის ფსიქიკა იცვლება, „რატომ უნდა იჯდნენ სიბნელეში, რატომ უნდა დათარეშობდნენ ოფიციალური ბანდიტური დაჯგუფებანი" და რომ როგორც იგორ გიორგაძე, ისე ვარდიკო ნადიბაიძე, რომელიც რუსეთის გენერალია, არასეოდეს არ შექმნის ქართულ ჯარს. „ბატონ ედუარდ, თუ მინისტრთა კაბინეტი არ შეიცვალა, ყველა მოღალატე, მექრთამე და უპასუხისმგებლო პირი არ დაისაჯა, თუ რეფორმები არ გატარდა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და ქართველ ხალხს არ დაუბრუნდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის იმედი პოლიტიკურ-სოციალური აფეთქება გარდაუვალი იქნება და არათუ აფხაზეთში დავბრუნდებით, მთელ საქართველოს დავკარგავთ". ამაზე მეტი მონოდება აღარ შეიძლება, რადგან ამ მთავრობას ძალიან უნდა მშვიდად იყოს და ფული გააკეთოს, რა თქმა უნდა. ყველას არ ეკუთვნის ეს ბრალდება, არიან გამონაკლისებიც, მაგ., თემურ ბასილია და ლადო პაპავა. ამავე გაზეთში დაბეჭდილია წერილი სათაურით „სვანეთში აღარ ერცელდება საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია". ამ სტატიაში საზარელი ფაქტებია მოყვანილი. კერძოდ, 1917-1993 წლებში უფრო ნაკლები მკვლელობა მოხდა სვანეთში, ვიდრე 1994 წელს. გზები მთლიანად გადაკეტილია ბანდიტების მიერ, „ფორმალურადაც კი აღარ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმეები, ძარცვა და ყაჩაღობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, აღარ არსებობს პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო".

ნარკობიზნესი უმაღლეს დონეზეა, რგავენ ყაყაჩოს და უამრავ ნარკოტიკულ ნივთიერებას.

ამავე გაზეთში არის ინტერვიუ კონტროლის პალატის თავმჯდომარესთან **რეზო შავიშვილთან სათაურით „ასეთი მთავრობა იაპონიასაც კი ერთ წელიწადში დააქცევდა".**

რეზო შავიშვილი ერთადერთი უპატიოსნესი კაცია და ვაჟკაცი. მას ისეთი ფაქტები მოჰყავს, თმები ყალყზე დაგიდგება. **29 ნოემბრის გაზ. „ალია საქართველოდან" არის ირინა სარიშვილის სტატია „ფრთიანი ანგელოზები ცოცხალნი არიან"**, სადაც წერს – „ჩემი ნება რომ იყოს, პირველ რიგში, ნესრიგს დავამყარებდი. ბუნებრივია, მხოლოდ ქუჩას არ ვგულისხმობ. წესრიგი არ იწყება და არც მთავრდება, აუცილებელია კავშირის აღდგენა კანონსა და ადამიანს შორის, რაც დღეს დარღვეულია. რეალობიდან გამომდინარე, კანონები უმოქმედობაშია. ქურდს ევალება ქურდის წინააღმდეგ კანონის დაწერაც და მერე შესრულება". თუკი ვინმეს წარსულში რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და ადმინისტრირებულია ან მთლიანად სასჯელმოხდილი, ამ შემთხვევაში პიროვნება საზოგადოებისა და საკუთარი თავის წინაშე გარკვეულწილად ვალმოხდილია, მაგრამ მაინც, სულ ცოტა ამგვარი ხალხი სახელმწიფოს ხელისუფლების სათავეში არ უნდა იყვნენ... წარმოუდგენელია სახელმწიფოებრიობის მშენებლობა დემოკრატიის ბოლო მიღწევებით დაიწყოს, თვით სიტყვა მიღწევა მიგვანიშნებს იმას, რასაც უნდა მიაღწიო და არა სხვა მიღწეული გადმოიტანო და შემდეგ შენად გაასაღო, რაც ამ შემთხვევაში კეთდება". შემდგომში ეხება სასამართლოს, არმიის საკითხს, სადაც გენერლობებს და გორგასლის ორდენებს იღებენ დაუმსახურებლად. შემდეგ წერს, რომ „ყოველწლიურად 100 მილიონი დოლარი იხარჯება გაზზე. ღმერთმა იცის, სად გადის, უფრო სწორად, ძალიან კარგად ვიცით, სადაც მიდის, ვის უბეშიც კი".

გასაოცარი ქალია ირინა. ის საქართველოს მომავალია, თუ არ მოკლეს. ღმერთმა ქნას, ასეთი ხალხი, ახალგაზრდა თაობა, გაერთიანდეს და საქართველო გადაარჩინონ. დიდი ამბებია ჩეჩნეთში, სადაც შეიძლება დაიწყოს, თუ უკვე არ დაიწყო, კავკასიის ომი. ეს მოხდა შაბათ-კვირას. ეს მასალა არის გაზ. „იზვესტიაში" 50 ტანკით ოპოზიცია შევიდა გროზნოში სამი მიმართულებით, მათ ეხმარებოდა 5 ვერტმფრენი, ორი გამანადგურებელი, დუდაევს ხუთი ტანკი ჰყავდა. მან შეიტყუა ისინი ქალაქში და გაუნადგურა 20 ტანკი, 12 ტყვედ აიყვანა, 400 კაცი მოუკლა, 150 კაცი ტყვედ აიყვანა, აქედან 70 ჯარისკაცი რუსია. ბორის ელცინი მდგომარეობიდან გამოვიდა გაბრაზებულმა 48 საათი მისცა დაყარონ იარაღი. დღეს გავიდა ვადა. ვნახოთ, რა იქნება. დუდაევი და მისი ხალხი გასაოცარ პატივისცემას იმსახურებენ. 800 ათასი კაცი ებრძვის 200 მილიონს და ეს არის საოცარი ნიმუში ერის ერთიანობისა, არადა მას ოპოზიციაც არ

ჰყავს, რუსები რასაც ეძახიან დუდაევის ოპოზიციას ფაქტობრივად არ არსებობს. ის შედგება მხოლოდ ძალზე მცირერიცხოვანი ბანდიტებისაგან და ძირითადად რუსი ჯარისკაცები არიან გადაცმულები. დღეს გროზნოს აეროდრომს ბომბავდა 3 გამანადგურებელი, ერთი მათგანი ჩამოაგდეს. რუსეთი ზუსტად იგივე დარჩა, რაც 70 წლის განმავლობაში სსრკ-ის დროს იყო და, ალბათ, უფრო თავხედური. ამავე გაზეთში არის ინტერვიუ გრაჩოვთან, სადაც ის წერს: „Версию об участии российской армии в чеченском конфликте генерал Грачев называет бредом". როდესაც მას ეკითხებიან, როგორ შეიძინეს იარაღი, კერძოდ ტანკები ე. წ. ოპოზიციამ, მან უპასუხა „Разве сейчас трудно найти оружие. Все покупается не только в зарубежие, но и даже в странах СНГ" – შემდეგ კორესპონდენტი ეკითხება „А как же оно проходит через территорию России", – მან უპასუხა „Я не пограничник – сказал Грачев – это у Николаева надо спросить" (ნიკოლაევი არის სასაზღვრო ჯარების უფროსი, მ. ვ.), შემდეგ კორესპონდენტი ესაუბრა სასაზღვრო ჯარების პრესცენტრს. კორესპონდენტი გაკვირვებული ეუბნება, როგორ შეიძლება 50 ტანკი, 5 ვერტმფრენი, 2 ავიაგამანადგურებელი ისე შედიოდეს და გამოდიოდეს რუსეთის ტერიტორიაზე როგორც არაფერი (რა თქმა უნდა, ეს არის საზიზღარი ტყუილი. მ. ვ.).

2 დეკემბერი

ელცინი ჯერჯერობით ვერ ბედავს შევიდეს ჩეჩნეთის ტერიტორაზე და მხოლოდ ავიაგამანადგურებლები ესხმიან თავს გროზნოს აეროპორტს.

დღეს შევარდნაძე გაფრინდა თურქეთში. იქ ჩავიდა სომხეთის პრეზიდენტი ტერ-პეტროსიანი და გადაწყდა საქართველოსთვის გაზის მიწოდება.

3 დეკემბერი

ხელები მიკანკალებს, დღეს საქართველოს დაატყდა უდიდესი უბედურება, დილით ორმა ადამიანმა დამირეკა, ერთმა მითხრა გია და ირინა დაჭრესო, მეორემ მითხრა ორივე მოკლესო. როდესაც ქალაქში გამოვედი, მითხრეს, გია მოკლეს და ირინა დაჭრილიაო. რამდენიმე ხნის შემდეგ მითხრეს ირინაც გარდაიცვალაო, მეგობართან ვიყავით, პროფ. ზანდი ბოცვაძე და მე ვტიროდით, ბოღმა გვახრჩობდა, მერე მანქანით დავდიოდი, ცრემლები ვერაფრით ვერ შევიკავე, სულ ვფიქრობდი, ერთი მაინც გადარჩენილიყო, რომ იმედი საბოლოოდ არ ჩამქრალიყო. საოცარია, ღმერთო, როგორ ვგრძნობდი მათ მოახლოებულ სიკვდილს, გიაც გრძნობდა, როდესაც დაწერა, ცუდ ამბებს ვხედავო. შინ რომ მივედი, გავიგე, რომ ირინა ცოცხალია, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. ღმერთო, გადაარჩინე ეს საქართველოს იმედი. მე აღარ შემიძლია მოვუსმინო შევარდნაძეს, რომლის დემოკრატია აღმოჩნდა მხოლოდ ბანდიტებისათვის. მისი ერის საუკეთესო შვილები იღუპებიან, ვისთვის უნდა ან თანამდებობა, ან სიცოცხლე, როდესაც მისი სიკვდილის შემდეგ მისი შვილიშვილები და განსაკუთრებით თამუნა, ჩემი მეგობრის ზვიადის შვილმა, უნდა იცხოვროს ბანდიტების ხელში, ჩემმა შვილებმა უნდა აგინონ მას, ალბათ, მეც და ჩემს თაობასაც, რადგან, რა საზოგადოება დავუტოვეთ მათ. დღევანდელ დღეს ტერორისტებმა ესროლეს საქართველოს. მე მრცხვენია დღეს ჩემი შვილებისა, რომ უძლური ვარ ამ ბოროტების წინაშე, მაგრამ მოვა დრო, ისტორია არავის აპატიებს, ყველა დაფიქრდეს და განსაკუთრებით ისინი, ვინც მონაწილეობა მიიღო გიას მკვლელობაში. მე მკვლელებზე არ ვლაპარაკობ, მათ თავიანთი საქმე იციან და ასრულებენ. მე ბრალს ვდებ მკვლელობაში სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტის უმრავლესობას, მთავრობას, იმ ე. წ. „მოწინავე ინტელიგენციას", რომელთაც გია ყოველთვის აფრთხილებდა, რომ ისინი დამოუკიდებელ საქართველოს კი არა, აშენებენ ყაჩაღურ სახელმწიფოს. გია, შენი სიტყვები გამართლდა, მათ ააშენეს უკვე ყაჩაღური, ბანდიტური სახელმწიფო – სადაც შენი და ირინასნაირი ხალხის ადგილი აღარ იყო. იმიტომ მოგიცილეს თქვენ, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ მთელმა საქართველომ ვიცხოვროთ მონებივით.

4 დეკემბერი

დილიდან ვლოცულობ, რომ ირინა გადარჩეს. აქ ჩემზე არ არის საუბარი, საოცარია, როგორ კითხულობს ყველა ირინას ჯანმრთელობას, საოცრად კეთილი სურვილებით, ყველა ხვდება, რომ შეიძლება მასთან ერთად ჩაქრეს უკანასკნელი იმედი. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივი ხალხიც, რომელთაც შევარდნაძის დიდი იმედი ჰქონდათ და დღესაც აქვთ, ისინიც ყოველ წუთში კითხულობენ მისი ჯანმრთელობის ამბავს.

სამწუხაროდ, დღეს გარდაიცვალა გიას დაჭრილი ახლო მეგობარი, მისი დაცვის წევრი **მერაბ ბარამია.** გაიმართა „მოქალაქეთა კავშირის" სხდომა. მიუხედავად ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებისა ამ ორგანიზაციისადმი, მაინც მჯერა, რომ ისინი გულწრფელად განიცდიდნენ ამ ამბავს, რადგან ისინი არიან ხელშემწყობნი იმისა, რომ ბანდიტები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, ახლა მიხვდნენ, რა შეცდომები დაუშვეს (ღმერთმა ქნას, რომ მიხვდნენ, მ. ვ.).

დღესვე რუსთაველის თეატრში შეიკრიბნენ პოლიტიკური პარტიები ეროვნულ-დემოკრატები, ტრადიციონალისტები, ქრისტიანდემოკრატები, რესპუბლიკელები და სხვ. მათ მიიღეს რეზოლუცია, სადაც მოითხოვეს უშიშროების სამსახურის უფროსის იგორ გიორგაძის, სამხედრო მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის გადადგომა. მოითხოვეს აგრეთვე „მხედრიონის" ბაზაზე შექმნილი „მაშველთა კორპუსის" დაშლა და მთავრობის გადადგომა, დამნაშავეობაზე კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომიტეტიდან ჯაბა იოსელიანის გამოყვანა და ამ კომიტეტის წევრთა შეცვლა. ჩემი აზრით, ყველა ეს მოთხოვნა სამართლიანია, მაგრამ მეეჭვება, რომ შევარდნაძემ ეს განახორციელოს. მას ცხოვრებაში უკანასკნელად ეძლევა შანსი, რაღაც სიკეთე გააკეთოს, რადგან გიას სიკვდილიც ხომ მისი უმოქმედობის ბრალია. რამდენჯერ ეუბნებოდა გია, რომ მისი „დაბალანსების პოლიტიკა" საქართველოს დაღუპავდა და რომ დრო აღარ ითმენდა. ამ დროს კი შევარდნაძე განაგრძობდა სამწუხაროდ ხალხისათვის და სასარგებლოდ ყაჩაღებისთვის ე. წ. „დემოკრატიის კურსს" და ხშირად ამბობდა, ვერავინ გადამახვევინებს ამ დემოკრატიის კურსიდანო. ღმერთო, რაღაზე დავწერო, თუ ჩემი ნაწერები მიაღწევს შემდგომ თაობამდე, ისინი დაინახავენ, რომ ჩემი ბოლო პერიოდის ჩანაწერები მიძღვნილია იმისადმი, თუ როგორ იგდებდნენ ყაჩაღები ძალაუფლებას და ახლა თითქმის ერთი წლის განმავლობაში – ხალხს ძარცვავენ. აყაჩაღებენ, იტაცებენ და გამოსასყიდს ართმევენ. თუ ვინმე მუშაობდა, ყველას ფული შეაწერეს, ვინც წესიერი კაცი იყო, თავი დაანება მუშაობას, ჩერდება საწარმოები. ისევ დაქრიან უცხოური მანქანებით 17-18 წლის ბიჭები, ისევ არა გვაქვს შუქი, გაზი, ხალხი ვედროებით ეზიდება წყალს. ჩეხავენ ხეებს, სახლებში დგამენ ძველ „ფეჩებს", ხალხი მათხოვრობს – აი, შედეგი შევარდნაძის მოღვაწეობისა.

დღეს სამარცხვინოდ მეჩვენება, როდესაც ჯაბა იოსელიანის შექმნილი საზოგადოება „არჩევანი" აცხადებს გიას მკვლელობის გამო, რომ ქვეყნის სათავეში შავბნელი ძალები მოდიანო. გიას მკვლელობაში მე ბრალს ჯაბას არ ვდებ, რადგან მისი მოკვლა არა მარტო „მხედრიონს" სურდა, არამედ უშიშროებას, სამხედრო სამინისტროს, გაზის მაფიას, მთელ მთავრობას (რამდენიმე წევრის გარდა, მ. ვ.), მაგრამ **საზოგადოება „არჩევანის" მიერ გაკეთებული განცხადება, რომ შავბნელი ძალები მოდიან, სასაცილო კი არ არის, არამედ უდიდესი მკრეხელობაა ხალხის წინაშე.**

5 დეკემბერი

12 საათზე რექტორატის სხდომა იყო და იქ მივიღეთ თსუ-ის განცხადება გიას დაღუპვის გამო, მანამდე რექტორთან შესულები იყვნენ ნიკო ნიკოლოზიშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, გიგა ბოკერია და სხვები. ისინი შეთანხმდნენ, რომ გიას ხსოვნის საღამო დანიშნონ ოთხშაბათს, 1 საათზე. ზუსტად ამ დროს დანიშნული იყო ისტორიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. რექტორს ვთხოვე, რომ იქნება გადაგვედო, რადგან გია ჩვენი სტუდენტი იყო და, რომ ისტორიის ფაკულტეტი არ დასწრებოდა ამ საღამოს, დიდი სირცხვილი იქნებოდა. ვუთხარი, რომ მე მაინც დავესწრებოდი ამ საღამოს, რომ არ გადაედოთ საბჭოს სხდომა.

დღეს ჩემმა სტუდენტმა – ნიკო ჯავახიშვილმა და თანამშრომელმა რამაზ ვაუბედაშ-

ვილმა გამახსენეს, რომ 2 დეკემბერს, დილით მე მათთვის მითქვამს, გიას და ირინას მოკლავენო. ასეთი განცხადება გამიკეთებია დეკანატშიც. დოცენტმა ბაკურ ბაქრაძემ გამახსენა, რომ მისთვის იგივე მითქვამს ალბათ, მათ მოკლავენ-მეთქი.

დღეს ხალხის აზროვნება იცვლება, ის კი არა, ჩემი დეკანი კარლო მეშველიანი და ზოგიერთი შევარდნაძის მომხრე დაეთანხმნენ იმ აზრს, რომ ახლა რომ ჩატარებულიყო პრეზიდენტის არჩევნები ირინა აუცილებლად გაიმარჯვებდა. სტუდენტმა ნიკო ჯავახიშვილმა, რომლის მამაც თელავში მუშაობს, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, მითხრა, რომ ირინა სარიშვილი საქართველოს ჟანა დარკი შეიძლება გახდესო. მე ვუთხარი, რომ ეს მე უკვე კარგა ხანია აღვნიშნე.

6 დეკემბერი

დღეს პარლამენტის სხდომა იყო – დასაწყისში გია კობახიძემ განცხადება გააკეთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით. მერე მოვიდა ირინას წერილი. ძალიან გამიხარდა, ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ ირინას სიკვდილის საფრთხე არ ემუქრება.

7 დეკემბერი

დღეს, 1 საათზე გია ჭანტურიასადმი მიძღვნილი შეხვედრა იყო სხდომათა დარბაზში. როდესაც დარბაზში შევედი, შეკრებილები იყვნენ იმ თაობის ახალგაზრდობა, რომლებმაც, ფაქტობრივად, დაიწყეს ახალი ტალღა ეროვნული მოძრაობისა – **დათო ტურაშვილი, გიგა ბოკერია, გიორგი მაისურაძე.** გიორგი მაისურაძე მე ჩემს ჩანაწერებში ბევრჯერ მყავს მოხსენიებული, ის საოცარი ხალასი ბიჭია და ძალიან გამიკვირდა, თავის დროზე, როდესაც გერმანიიდან დაბრუნდა, გახდა შევარდნაძის მოადგილე, როგორც „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის. ის ხელმძღვანელობდა ახალგაზრდობას ამ კავშირში. მაშინ, როდესაც შემხვდა, ვუთხარი, რომ ის ძალიან ცდებოდა, რადგან არ იყო საქართველოში ერთი წელი და ეს იყო მისი შეცდომა, რომ არ იცოდა, რა ხდებოდა საქართველოში დღეს. როცა შევხვდით, ერთმანეთი გადავკოცნეთ და მითხრა, რომ მე მართალი ვიყავი და რომ მან გაწყვიტა კავშირი „მოქალაქეთა კავშირთან" და ისევ ძველი, ე. წ. „პრესკლუბელები" ერთად არიან.

საღამო გახსნა რექტორმა როინ მეტრეველმა – რომელმაც თქვა, რომ 25 დღეა უნივერსიტეტს შუქი არ მიეწოდებაო და რომ ამის შესახებ ესაუბრა ფაცაციას, მაშინ, როდესაც ფიქრის გორაზე ზოგიერთებს მუდმივად აქვთ შუქი. გამოვიდა მარიკა ლორთქიფანიძე – მიუხედავად მისი მჭერმეტყველური ლაპარაკისა, მისი გამოსვლა იყო სუსტი, რადგან მხოლოდ ის თქვა, რომ მოვთხოვოთ მთავრობას დასაჯონ მკვლელებიო (როდესაც, შესაძლებელია, პოტენციური მკვლელები თვით მთავრობიდან იყვნენ, მ. ვ.). შემდეგ გამოვიდა **ნიკო ნიკოლოზიშვილი.** მან აღნიშნა, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ არა მარტო ნაცისტები, არამედ იდეოლოგებიც აღარ დაუშვეს თანამდებობებზე, რადგან ისინი ახალ გერმანიას ვერ ააშენებდნენ. ჩვენთან კი ყველა თანამდებობაზე ისევ ძველი კომუნისტები არიანო.

გამოვიდა **დათო ტურაშვილი.** მან თქვა, რომ ჩვენი თაობა თავისუფალი არის კომუნისტური ზეგავლენისაგან და მახსენდება, როგორ აგდებდნენ ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტიდან მისი კოლექტივი და თქვენც, ფაქტობრივად, ამ დღეში ხართო. ამ დროს პარლამენტის წევრმა პროფ. თეიმურაზ კოპალეიშვილმა, ყველა მთავრობის მეხოტბემ, უთხრა: მათ (იგულისხმება კომუნისტები, მ. ვ.) გამოცდილება აქვთო. დათო ძალიან გაბრაზდა და უპასუხა – თქვენ მაინც გაჩერდით, ყველას მოვუთმენ, მაგრამ თქვენზე ნუ მათქმევინებთ ყველაფერსო.

შემდეგ გამოვედი მე. ორი დღის განმავლობაში ამოვკრიბე, რაც მასალები მქონდა გიას და ირინას ბოლო ექვსი თვის მოღვაწეობიდან. მე განვაცხადე, რომ ამდენი წელიწადია ერთად ვართ, არასოდეს ვაწუხებდი არავის ჩემი გამოსვლით, მაგრამ დღეს მოთმენა აღარ შემიძლია, რადგან ხოცავენ ჩემს სტუდენტებს, ჩემს შვილებს და ხმის არ ამოღება დანაშაულია და პოლიტიკური მკვლელობა რომ უცბად არ ხდება, ამისათვის ის მნიფდება. მე გავიხსენე, რომ ორი წლის წინ გიამ უთხრა შევარდნაძეს,

ჩვენ დემოკრატიულ საქართველოს კი არ ვაშენებთ, არამედ ყაჩაღურს. მაშინ ყურადღება ამას არავინ მიაქცია. მე მოვიყვანე მაგალითები 24 მაისის გივი თარგამაძის სტატიიდან „ემზადეთ სიკვდილისათვის“. ამ სტატიამ მართლა გამაოგნა, მოვიყვანე მაგალითები გიას და ირინას მოღვაწეობიდან და განსაკუთრებთ აღვნიშნე 29 ნოემბრის სტატიები გიასი და ირინასი. საბოლოოდ, ისევ გივი თარგამაძის სტატიის სათაურით დავამთავრე „ემზადეთ სიკვდილისათვის“ და გულისტკივილით აღვნიშნე, რომ მე არავინ მომკლავდა, იმიტომ, რომ არავის ვჭირდები, მაგრამ ამ ახალგაზრდებს – დათოს, ნიკოს, გიორგის, გიგას, აუცილებლად მოკლავდნენ. ამით მე, ფაქტობრივად, ვუთხარი, პროფესურას, რომ ისინი არავის სჭირდებოდა, რადგან ძალიან ბევრი მათგანი შევარდნაძის მონა იყო. რომ ჩამოვდიოდი ტრიბუნიდან რექტორი გამეხუმრა, მერაბ, შენც მოგკლავენო. მე ვუთხარი, არაუშავს, ჩემს სიკვდილს საქართველო ძალიან ადვილად გადაიტანს-მეთქი. სიტყვა რომ დავამთავრე, ამ დროს ფაკულტეტის საბჭოს სხდომა დანყებულა მეორე სართულზე, მე ვთხოვე გადაედოთ საბჭო ნახევარი საათით, მაგრამ უარი მივიღე. რადგან სიტყვა უკვე ნათქვამი მქონდა, ავედი საბჭოს სხდომაზე. დეკანმა, კარლო მეშველიანმა **მითხრა – რა სისულელეებს ესწრებიო – გამეცინა, კარგი კაცია კარლო, მაგრამ 68 წლის არის და საერთოდ აზრზე არ არის, რა ხდება. მისი თაობის დრო აღარ არის და, მით უმეტეს, შევარდნაძის და იოსელიანის. როდესაც საბჭო დამთავრდა და ქვემოთ ჩამოვედი, ახალგაზრდობა შემომეხვია, დათო ტურაშვილმა გადამკოცნა და მითხრა, დიდი მადლობაო. მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ შემიძლია კიდევ ერთი სიტყვითაც რაღაც სარგებელი მოვუტანო ჩემს ახალგაზრდა თაობას და თუ როგორ მიყვარს მე ეს თაობა, ეს ჩემს ჩანაწერებში ყოველთვის ჩანს.**

დღეს გაიმართა პარლემენტის სხდომა, ვერ მოვუსმინე, ბოლოს ჩავრთე რადიო. შეკითხვებს იძლეოდნენ. ერთი გამოსვლა დამამახსოვრდა. მართალია თუ არა, რომ საქართველომ ერთი მილიონი დოლარი ვერ გადაიხადა გაზის ტრანზიტის გამო მაშინ, როდესაც ზესტაფონში სილიკომანგანუმზე 30 მილიონი დოლარი გააკეთა მაფიამო – მან უპასუხა, არაფერი მაქვს სათქმელიო.

შემდეგ აკაკი ბობოხიძე შეეკითხა, **რად უნდა** შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროებას ტანკები. ერთი სამინისტრო მდინარის ერთ მხარეს ვარჯიშობს, ხოლო მეორე – მეორე მხარეს და საბოლოოდ მათი დაჭერილი ტერორისტი არ გვინახავსო.

ერთმა დეპუტატმა კარგად თქვა, კორუფციის და მაფიოზების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია რომ შექმენით, ამოიღეთ სიტყვა ბრძოლა და ზუსტად დაერქმევა – დამნაშავეობის და მაფიოზების კომისიაო. ხვალ ისევ გაგრძელდება სხდომა.

10 დეკემბერი

დღეს დილიდან მივედი ქაშუეთში, საიდანაც გია ჭანტურია **უნდა** გამოესვენებინათ. **შევხვდი** გია კობახიძეს, ჩემ მეზობელს და გია ჭანტურიას ერთ-ერთ ყველაზე ახლო თანამებრძოლს და ვუთხარი, რომ ირინა რომ გამოკეთდებოდა, მინდოდა მასთან შეხვედრა, მერე მოვიდნენ გიას თანაკურსელები, ჩემი მეგობარი გია ბერულავა, იგივე ზვანგირაძე, გოგი შიოლაშვილი.[1] **გოგიმ თქვა, რომ თურმე, მისი დასაფლავება უნდოდათ პირდაპირ ტროტუართან, მე გავგიჟდი, რადგან ეს იქნებოდა დასაფლავება მიასნიკოვის, ლევანდოვსკის, რევოლუციონერების გვერდით, რომელთაც ვერ იტანდა საქართველო. კიდევ კარგი, მათი ძალისხმევის შედეგად გიას საფლავი იქნება საოცარ ადგილას, იმ ჯვართან, სადაც ყველა ქართველი მივა (რა თქმა უნდა, წესიერ კაცს ვგულისხმობ, მ. ვ.). შემდეგ წამოვედი, რადგან არ მინდა იმ ხალხის დანახვა, რომლებიც პოტენციური მკვლელები არიან და საპატიო ყარაულში დადგებიან შევარდნაძის მეთაურობით. მეგობრებთან ერთად დავლიე გიას შესანდობარი.**

[1] გოგი შიოლაშვილი უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის ძმისშვილი, რომელიც იყო ისტორიის ფაკულტეტის თანამშრომელი. ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო.

21 დეკემბერი

13 დეკემბერს ჩემი მეგობარი ანდრო ჭელიძე მინსკში მიდიოდა. რუსულ ფილმში რომ არის „С лёгким паром" თითქმის ისე დამემართა. ჯერ მასთან დავლიეთ სახლში მეგობრებმა, მერე აეროპორტში. ანდრომ მითხრა, წამომყევი, მინსკში სასტუმრო მაქვს, არის ცხელი წყალი და მეც, პირდაპირ უბილეთოდ, აღმოვჩნდი თვითმფრინავში, მერე მინსკში, თან უპასპორტოდ. მართლაც, ერთი კვირის განმავლობაში გამოვეთიშე ყველაფერს. როგორც ტყიდან გამოსული, ისე ვიყავი. დღეში სამჯერ ვბანაობდი, ტელევიზორს ვუყურებდი და სიწყნარე იყო ყველგან. გუშინ ჩამოვფრინდი თუ არა, ისევ აღმოვჩნდი მკვდარ ქალაქში. დღეს გაზეთები ვიყიდე. მინსკში, როდესაც ტელევიზორს ვუყურებდი, ძირითადი საკითხი იყო ჩეჩნეთი, სადაც, ფაქტობრივად, ომი მიმდინარეობს. რუსები ისე ცინიკურად აცხადებენ **„По Грозному нанесли бомбово-ракетные удары", რომ თითქოს უცხო ქვეყნის ქალაქს ბომბავდნენ.**

პირველი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" აღმოჩნდა და პირველ გვერდზე წავიკითხე რაღაც ბრძანებულება, რაც შეეხებოდა უშიშროების სამსახურის უფროსს იგორ გიორგაძეს. ვიფიქრე, ალბათ, შევარდნაძეს ეყო გამბედაობა და გაანთავისუფლა გიორგაძე, რადგან ყველა პოლიტიკური პარტიის მთავარი მოთხოვნა იყო გიორგაძის გადადგომა. ამ ბრძანებულებაში წერია, რომ იგორ გიორგაძეს შევარდნაძემ მიანიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება – საოცარია, ნუთუ ცოტა ხანს ვერ მოითმინა, ეს ხომ ადამიანების დაცინვაა. დღეს ტელევიზიით იყო უშიშროების სამსახურის კოლეგიის განცხადება, სადაც მამუკა გიორგაძის განცხადებაა, რომ შევარდნაძემ გენერალ-ლეიტენანტობა იგორ გიორგაძეს მიანიჭა გია ჭანტურიას მკვლელობის გამოო. „ვესტნიკი" აჩვენებს რუსეთის ფედერაციის თავმჯდომარის შუმეიკოს გამოსვლას, სადაც მან განაცხადა, რომ „ჩვენი ჯარების ყოფნას აფხაზეთში აზრი არა აქვსო, პარადოქსია, რომ ჩვენი ჯარები იქ იცავენ „ბოევიკებს". ჩვენ ვეხმარებოდით აფხაზეთის მთავრობასო. ეს პირველად იქნა აღიარებული, ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ სწორედ ეს „ბოევიკები" ებრძვიან, ფაქტობრივად, რუსეთს ჩეჩნეთში".

გაზ. „შანსში" არის ავთანდილ გველესიანის სტატია „ხელისუფლების ფანატიკოსები", სადაც წერია, რომ „სინამდვილეში საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველდღე სხვადასხვა მიზეზით იმდენი ადამიანი იღუპება თანამოძმისაგან, რომ ზოგჯერ ფრონტზე არ იღუპება".

ზუსტად ის არის, რასაც მე ვწერ თითქმის ყოველდღე.

23 დეკემბერი

გუშინ „ალია საქართველოდან" დავიწყე კითხვა ჯაბა იოსელიანის ინტერვიუსი სათაურით „პარტიებმა სიკვდილი გადაწყვიტეს". ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ გიას სიკვდილიდან გავიდა 20 დღე. გიას მკვლელობის შესახებ კორესპონდენტი ეკითხება, „დასაშვებია ბიზნესის გამოც მოკლეს ჭანტურია?" ჯ. იოსელიანი, „რასაკვირველია, შეიძლება ბიზნესის ამბავიც იყოს, მაგათ ხომ ძალიან დიდი ბიზნესი აქვთ, ბანკი ჰქონდათ, მთელი უწყებები ჰქონდათ. საბაჟოში ხვეტეს და ხვეტეს ფული. ახლა ისინი ლაპარაკობენ მაფიოზებზე, სასაცილოა... ხო, ნადიბაიძეს რეაქცია თუ იცით? რომ უთხრეს, იკითხა „А кто этот Чантурия"? ესე უნდა იყოს, ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელები პოლიტიკისაგან შორს უნდა იყვნენ".

პირადად ჩემთვის ამ სიტყვების ჩაწერაც კი ძალზე მძიმეა. გიაზე, რომელიც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელსაც მაფიოზებმა სიცოცხლე წაართვეს, კაცმა, რომელმაც მთელი ცხოვრება მაფიოზების წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა თავი, ახლა მას და მის პარტიას სწორედ მაფიოზობას აბრალებენ, საშინელებაა. მაგრამ რაზეა ლაპარაკი, როცა გენერალ-ლეიტენანტობას აძლევს ამ დროს იგორ გიორგაძეს, რაზე უნდა ვილაპარაკო. როდესაც ეს შევიტყვე, კინაღამ გავგიჟდი. მე პირადად გიორგაძეს არ ვაბრალებ გიას მკვლელობას, მაგრამ დიდი გონებით არ გამოირჩეოდა და თანამდებობაზე შეყვარებული კაცი იყო, მას რომ მიელო ეს ჩინი გასაგებია, მაგრამ შევარდნაძემ რატომ

გააკეთა ეს[1] და თან, მით უმეტეს, 18 დეკემბერს უშიშროების სამსახურის სადესანტო-მოიერიშე ბრიგადაში მივიდა შევარდნაძე, სადაც ჩაატარა სამხედრო აღლუმი გიორგაძესთან ერთად (გაზ. „რეზონანსი" 22-23 დეკემბერი).

30 დეკემბერი

გუშინწინ პარლამენტის სხდომაზე არ მიიღეს ბიუჯეტი. შევარდნაძემ საბოლოო სიტყვა თქვა. ყველა მოელოდა, რომ მთავრობაში რაღაც ცვლილებებს მაინც შეიტანდა. მან განაცხადა, რომ მარგიანის ფუნქციების შესრულება სთხოვა **ბაკურ გულუას** (მე არ ვიცი, ბაკური დათანხმდა თუ არა, რადგან ის ჭკვიანი კაცია, მ. ვ.). ყველა მოელოდა, რომ ამით მან მარგიანი გაანთავისუფლა. პირიქით, აღმოჩნდა, რომ მას დაავალა კურირება ძალოვანი სამინისტროებისა. ნამდვილად სასაცილოა, თუ სატირალი არა. ადამიანს, რომელსაც ორი წელიწადი ბრალს სდებდნენ პურის უდიდესი მაფიის შექმნაში, კრედიტების გაცემაში ფულის აღებაში, ჰუმანიტარული დახმარების განიავებაზე, მას ავალებს შევარდნაძე, რომ კურირება გაუკეთოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამხედრო სამინისტროს. დღეს „კავკასიონში" არის ინტერვიუ ირინა სარიშვილთან, სადაც **ის ამბობს „დღევანდელ მთავრობას, რბილად რომ ვთქვა, ვუწოდებდი დილეტანტურ მთავრობას, რეალურად ეს მძარცველების ორგანოა".**

31 დეკემბერი

ბოლო დღე – დიდი ბრძოლები დაიწყო ჩეჩნეთში. გროზნოს ბომბავენ რაკეტებით. იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა. რუსეთის თითქმის მთელი პრესა წინააღმდეგია ამ აგრესიის. ეს ამბები ადვილად არ შერჩება ელცინს, გრაჩოვს და სხვ. მათ ჩეჩნეთი საქართველო ეგონათ, იქ კი ხალხი ერთ მუშტად არის შეკრული და ჰყავთ ხელმძღვანელი, გენერალი დუდაევი.

რაც შეეხება თბილისში შექმნილ მდგომარეობას, დავიღალე წერით, რამდენიმე დღის წინ, დღისით, ცენტრში, ვერაზე, ავტომატებით ერთმანეთს ესროლეს ავტომანქანებში მჯდომმა ახალგაზრდებმა, გუშინწინ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მანქანაში ჩაცხრილეს ერთი და დაჭრეს ოთხი. ყველგან განუკითხაობაა. შევარდნაძეს ნამუსი აღარ შერჩა. სწორედ ახლა ვკითხულობ ირინა სარიშვილის ინტერვიუს „ქართულ ქრონიკაში" №19, სადაც ის ამბობს – „ბოლო დროს მე ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ შევარდნაძის მიერ გაკეთებულ კარგ თუ ცუდ შეფასებას, უბრალოდ მიმაჩნია, რომ ჩვენ სახელმწიფოს მეთაური არა ჰყავს".

კორ.: უფრო კონკრეტულად, რა შეფასებას მიცემდით ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს.

ირინა: – „მე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ის განცხადება, ბრძანება, რომლითაც უშიშროების სამსახურის მინისტრად სხვა იყო დანიშნული, ახლა გვარს არ დავასახელებ, რადგან ეს ყველამ იცის და არ მინდა იმ ადამიანის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, ერთი საათის შემდეგ ეს განცხადება დაიხია და იმავე ნომრით გატარდა ბრძანება იგორ გიორგაძის დანიშვნის შესახებ. მე არ ვამბობ, რომ ეს შევარდნაძის სურვილით მოხდა, უბრალოდ მან ეს გააფორმა. გენერალლეიტენანტობაც ასევე შევარდნაძეს არ მიუნიჭებია იგორ გიორგაძისათვის, მიანიჭა ისევ მან, რომელმაც ის დანიშნა ამ სამსახურის უფროსად, მაგრამ შევარდნაძემ ამას ხელი მოაწერა. აქ ერთადერთი შეკითხვა ისმის – თუ ყველაფერზე ხელს აწერ და ყველაფერზე მიდიხარ, არავითარი ზღვარი არ არსებობს ადამიანისათვის, არც მორალური, არც პოლიტიკური, არც ადამიანური, მაშინ უაზრობაა იყო სახელმწიფოს მეთაური".

ირინას ამ სიტყვებში თითქმის ყველაფერია ნათქვამი. შეიძლება ამდენი თამაში? შევარდნაძემ მისცა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენები კიტოვანს, მერე მთავარ დამნაშავედ გამოიყვანა აფხაზეთის ომში, დვალიშვილს, რომელსაც თავი

[1] სამწუხაროდ, ეს მოგვიანებით გახდა ცნობილი. შევარდნაძეს სურდა, რომ გია ჭანტურიას მკვლელობა იგორ გიორგაძეს დაბრალებოდა, რადგან მისი მოცილება უნდოდა იმიტომ, რომ იგორ გიორგაძე ფაქტობრივად რუსეთის განკარგულებით იყო დანიშნული. ამ დროს იგორ გიორგაძეს არავითარი კავშირი არ ჰქონდა გია ჭანტურიას მკვლელობასთან. ამის შესახებ მოგვიანებით ირინა სარიშვილმა განცხადება გააკეთა.

მოაკვლევინა. ჯაბა იოსელიანი, მარგიანი, ფაცაცია, სოლიკო ხაბეიშვილი, რომელიც კულტურულად ჭამს საქართველოს – ვეღარ ჩამოვთვლი იმდენია, მას ყველა ეს ხალხი სჭირდება თავისი სკამის შესანარჩუნებლად, როცა აღარ დასჭირდება, მერე მოიცილებს ყველას, თუნდაც მათ დღეს საქართველო გაანადგურონ.[1] **არადა, როგორ ბრიყვივით მჯეროდა, რომ დიად საქმეებს გააკეთებდა საქართველოსათვის. ის კი აღმოჩნდა და დარჩა დიდი ინტრიგების ოსტატად.**

[1] ჩემი სიტყვები ზუსტად გამართლდა – თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი ციხეში აღმოჩნდნენ. ოთარ ფაცაცია და ავთანდილ მარგიანი ჩამოაცილა ყველა საქმეს. სოლიკო ხაბეიშვილი მოკლეს. უმეტესი ნაწილი ადამიანებისა, ვინც მიიღო ვახტანგ გორგასლის ორდენები ან დაიჭირეს, ან მოკლეს.

1995 წელი

5 იანვარი

დიდ პატივისცემას იმსახურებს ჩეჩნეთის მოსახლეობა და მათი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი.

31-ში დაწყებული შეტევა რუსებისთვის კატასტროფით დამთავრდა.[1]

თითქმის ყველა ქვეყანა გმობს ტანკების, ავიაციის გამოყენებას, განსაკუთრებით დაგმო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. დიდი მოძრაობაა რუსეთშიც. გრაჩოვის სამმა მოადგილემ დაგმო ეს აქცია. მათ შორის, გენერალმა ბორის გრომოვმა. რუსეთის ოფიციოზის განცხადებები უფრო უარესიაო, ვიდრე სსრკ-ის დროს იყოო, აღნიშნეს რუსეთში.

4 იანვარს პრესკონფერენცია გამართა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. მათ აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის მიღებისას შევარდნაძე ზენოლას ახდენდა დეპუტატებზე. ბიუჯეტის პროექტი ერთი დღით გადარიგდა და, ფაქტობრივად, განხილვა არ ყოფილა. პრესკოფერენციაზე აღნიშნეს, რომ უნდა შემცირდეს სახელმწიფოს მეთაურის აპარატი და მთავრობის ხარჯები, აგრეთვე მაშველთა კორპუსის და რეგიონალური მმართველობის გაუმართლებელი ხარჯები. არ მინდა რაღაც ეჭვი დარჩეს, რომ თითქოს სხვა რესპუბლიკებში ასეთივე მდგომარეობაა, როგორც ჩვენთან. მოვიყვან მაგალითს, 5 იანვრის გაზ. „ახალი თაობა" – ინტერვიუ პოლონელ დოროშევსკაიასთან, რომელიც ბაქოდან ჩამოვიდა. **მას ეკითხებიან – დამნაშავეობა და კრიმინალური მდგომარეობა როგორია** (ბაქოში – მ. ვ.)?

პასუხი – **„სულ არაა, რადგან არის მკაცრი პოლიტიკური რეჟიმი, როგორც ბაქოელები ხუმრობენ, ალიევმა ისე გაამკაცრა მდგომარეობა, რომ ყველა დამნაშავე და მაფიოზი გააქცია. ახლა მართლაც უშიშრად ცხოვრობენ. გვიანობამდე ღიაა მაღაზიები, რესტორნები, თეატრები, უამრავი უცხოური ფირმა ხსნის თავის ბიუროებს და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს ინვევს სამუშაოდ".**

[1] რუს გენერლებს უნდოდათ სამხედრო მინისტრის, გრაჩოვისათვის საჩუქარი გაეკეთებინათ გროზნოს აღებით, რადგან გრაჩოვს დაბადების დღე ჰქონდა 1 იანვარს. ჩეჩნებმა გროზნოში რუსებს გაუნადგურეს 200 ტანკი და დიდი ცოცხალი ძალა.

10 იანვარი

დღეს „ახალ თაობაში" 2 სათაურით „სახელმწიფოს მეთაური არ ჰყავს" ირინა სარიშვილი წერს, რომ „სახელმწიფოს მეთაური შეეცდება მორიგი არჩევნები არ ჩატარდეს, რადგან არც საკუთარ თავს და არც პოლიტიკურ ძალას მზად არ თვლის... პირველ დეკემბერს შევხდი სახელმწიფოს მეთაურს და ჩვენი პოზიცია გადავეცით, რომელიც იმაში მდგომარეობდა, თუ გინდათ ქვეყანაში რაღაც უბედურება არ მოხდეს, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა შეიცვალოს... სახელმწიფოს მეთაური ყველაფერზე დაგვეთანხმა და გვითხრა, ხელისუფლებაში რეალურ ცვლილებებს აზრი ექნებოდა, თუ თურქმენეთიდან გაზს ჩამოიტანდა. მიებრუნდი შტაბბინაში, გია და ბიჭები მელოდებოდნენ. მათ ყველაფერი მოვუყევი და მახსოვს გიას დაყვირება, თურქმენეთის გაზი აქ არაფერ შუაშია. მეთაური მთავრობის შეცვლას არ აპირებსო. სახელმწიფოს მეთაური არაფრის შეცვლას არ აპირებს. აძლიერებს იმ ძალებს, რომლებიც სახელმწიფოსათვის მიუღებელია. მარგიანთან დაკავშირებით საზღვარგარეთიდან სახელმწიფოს მეთაურმა ისეთი საყვედურები მიიღო, რომ მარგიანი ციხეში თუ არა თანამდებობიდან განთავისუფლებული მაინც უნდა იყოს. სახელმწიფოს მეთაურს შემოუთვალეს, რომ თუ მარგიანს უცხოეთთან კიდევ ექნებოდა კავშირი, საქართველოს კრედიტები შეუწყდებოდა. ასეთ კაცს სახელმწიფოს მეთაური ვიცე-პრემიერად ნიშნავს თავდაცვის სამინისტროს და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების კუთხით... ხელისუფლებას სამი დეკემბრის გამოყენება უნდა არა საქმისათვის, არამედ იმისთვის, რომ ოთხი ნაძირალიდან ერთ-ერთი მოიშოროს". აქ ირინა არ ასახელებს მათ გვარებს, მაგრამ მომდევნო სტრიქონებში ის ასახელებს გვარებს, როცა გამომძიებელთან საუბრობდა, „ჩამოვთვალე იოსელიანი, გიორგაძე, ნადიბაიძე, მარგიანი".

კორ. – „რას იტყვით სახელმწიფოს მეთაურის შესახებ?" ირინა პასუხობს, რომ „ის, როგორც სახელმწიფოს მეთაური, სახელმწიფოს უნდა აშენებდეს და არა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის... რით არის ჯაბა იოსელიანი მორალური თვალსაზრისით მკვლელებზე უკეთესი, მისი ტელეგამოსვლა ბოროტების სიდიადით

უფრო ძლიერია, ვიდრე თავად მკვლელობა, რითაა გიორგაძის გადახარხარება ამ მკვლელობაზე უკეთესი ან შევარდნაძის სიტყვა, გიას კი არა მთელ საქართველოს ესროლესო და 11 იანვარს, გიას მოკვლიდან მეორმოცე დღეს, სესიას ნიშნავს, სადაც მე სიტყვით უნდა გამოვიდე. იცის, რომ გიას ორმოცი და, იმედი აქვს, სესიაზე არ მივალ. ცდებიან, მივალ მთელ ფრაქციასთან ერთად და ჩემს სათქმელსაც ვიტყვი".

11 იანვარი

აჩვენეს სესია, რა თქმა უნდა, ხალხი მოყვანილი ჰყავდათ. ზურაბ წერეთელი მოსკოვიდან ჩამოიყვანეს.

საღამოს აჩვენეს სესია – იელიანე ხაინდრავამ თქვა, რომ ჩემი აზრით, შევარდნაძე თვითონ მეთაურობს ბოროტების ზეიმს. შემოვიდა ირინა. ვახტანგ რჩეულიშვილმა თქვა, პატივი ვცეთ გია ჭანტურიას ხსოვნასო. ირინა სარიშვილი გამოვიდა სიტყვით.

„მე ვთხოვ სხდომის წამყვანს რეგლამენტით არ შემზღუდონ – დიდი მადლობა, ვინც თანაგრძნობა გამოხატა – იმას, რასაც მე ვიტყვი სამი დეკემბრის ამბებთან არა აქვს კავშირი. ეს პოზიცია ნოემბერში დაფიქსირდა. მთავრობის გადაყენების ორი გზა არსებობს. ერთი, როცა სახელმწიფოს მეთაური თავად ცვლის მთავრობას და მეორე, ბიუჯეტის ჩავარდნა, რასაც უნდა მოჰყვეს მთავრობის გადადგომა. მე მოვისმინე მწვანეების პოზიცია, რომ ბიუჯეტის საკითხს მთავრობის გადადგომასთან კავშირი არა აქვს, მაშინ მითხრან, როგორ აპირებს ამ მთავრობის გადაყენებას. ჩვენ თუ დავუკვირდებით, ძნელი წარმოსადგენია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა რაიმე შეცვალოს. ამაზე მიუთითებს მეექვსე ვიცე-პრემიერის დანიშვნაც. „ახალ თაობაში" ძირითადი გადმოვეცით, მერე განყვიტეს აზრი, ეტყობა, გამოტოვეს. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მთავრობას შეცვლიდნენ, როცა გვქონდა საუბარი კორუფციის თაობაზე. წინასწარი მასალები ეხებოდა რამდენიმე ოდიოზურ ფიგურას. რისი იმედი უნდა ჰქონდეთ, ყველა იცნობს ავთანდილ მარგიანის მოღვაწეობას, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში. აქ მის მოხსენებაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ სულ სხვა რამეზე. რა უნდა ვთქვა მისი ხორბლის, ბამბის, შაი ლიმონების საქმეებზე და ახლა მოუხდება ხელის ფათური სამხედრო საქმეებში. ჩემი აზრით, შევარდნაძემ იცის, რა მთავრობაც არის და სწორედ საკუთარი გარემოცვის შენარჩუნება ნიშნავს იმას, რომ ოქტომბერში არჩევნები არ ჩატარდეს. იოსელიანი გავიდა, ალბათ, ეტყვიან, რასაც ვიტყვი. მინდა შევახსენო, ვარდიკოს რომ უთხრეს გიას სიკვდილზე, იკითხა, ვინ არის ჭანტურიაო. ეტყობა დაავიწყდა ერთი თვით ადრე ბევრი საკითხის გარშემო ვისაუბრეთ. რადგან სამი დეკემბრის გამო არ გამოვედი მწყობრიდან, არავის არ ჰქონდეს იმედი, რომ მწყობრიდან გამომიყვანენ. დაგრჩათ ერთი გზა – ფიზიკური განადგურების და არ გეგონოთ, რომ მარტო თქვენზე ვარ ნაწყენი (იგორ გიორგაძეზე ამბობს, მ. ვ.).

ნოემბერში გვქონდა პოზიცია მთავრობის მიმართ. პირველ დეკემბერს შევხვდი შევარდნაძეს. მაშინ იყო საუბარი მთავრობის შეცვლის აუცილებლობაზე, შევარდნაძე დაგვეთანხმა, რომ მთავრობის მუშაობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იყო თხოვნა, რომ თურქმენეთის გაზის ჩამოტანამდე თავი შეგვეკავებინა და გიამ თქვა, სახელმწიფოს მეთაურს დროის გაყვანა უნდა. 2 დეკემბერს სხდომა გაიმართა. მე ფრაქციის სახელით გამოვედი, რომ პირველ საკითხად გვემსჯელა მთავრობის შესახებ. რადგან ღამით ჩვენთვის ცნობილი იყო თურქმენეთმა რომ გაზი მოგვცა...[1] გამოძიებამ ისე წაიყვანა საქმე, ძალით აკეთებდნენ, თუ წერა-კითხვა არ იციან, კერძოდ, ბოლო პუბლიკაციებში[2] ეხებოდა იოსელიანს, მარგიანს, ნადიბაიძეს, გიორგაძეს. კონკრეტულად მე ხელს არცერთს არ ვადებ. სამი დღის გაგებული მქონდა და ეუთხარი ბიჭებს, რომ არ გამოვიყენოთ გიას მკვლელობა ოთხი ნაძირალიდან ერთის მოსაცილებლად... ამას მოჰყვა გიორგაძის დაჯილდოება, მამუკა გიორგაძის წინააღმდეგ იგორმა შეიტანა სარჩელი პროკურატურაში, რაც მთავარია, პოლიტიკოსებს ასე არ კლავენ, მათ ან წამლავენ ან ავარიაში ხვდებიან და თან მოაწყვეს სამ დეკემბერს. გიორგაძე რომ მოსკოვიდან ზეწოლით დაინიშნა,

[1] ტერაქტი ხდება 3 დეკემბერს, ზუსტად მეორე დღეს.
[2] საუბარია 29 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიებზე.

მე თვითონ ვიცი. სხვა უნდა დაენიშნათ და ერთ საათში იგორ გიორგაძე დაინიშნა. მოსკოვში დახვეწილი სამსახური აქვთ და არ უბრძანებდნენ, რომ გენერალ-ლეინტენანტის წოდება ახლა მიეცათ – რატომ გაკეთდა ეს. იქნება იმიტომ, რომ კონტრაქტის ხელმომწერი დაიმალოს.[1] რაც შეეხება სახელმწიფო მეთაურს, რამდენი ხანი დაგვჭირდება ცარიელი სიტყვების მოსმენა. რა გამონათქვამი იყო მის მიერ, რომ გიას კი არა, საქართველოს ესროლესო, რა თამაშია, როცა ის იბრძოდა იოსელიანის, ნადიბაიძის, გიორგაძის და მარგიანის წინააღმდეგ. მათ იციან, რომ ერთი ადამიანი ვერ დაამარცხებს. ეს შეუძლია პოლიტიკურ პარტიას. ჩვენ ვიცით, რა ძალები არიან დაინტერესებულნი ჩვენს მიმართ, რომელთაც ეყრდნობა სახელმწიფოს მეთაური, რაც შეეხება ბლოკ „არჩევნებს", ეს სერიოზული ბლოკია. აქ მართლა ერთი ინტერესი აქვთ. აქ არიან ჰალსტუხიანი ბანდიტები, როცა ჯაბა დაამთავრებს არჩევნებს, მასაც შეიძლება ის გაუკეთონ, რაც ძველ მხედრიონელებს.[2] ნუ ჩავთვლით, რომ გია სახელმწიფოს მეთაურს მოუკლეს, ის საქართველოს, მე, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მოუკლეს. აქ დგას გია ჭანტურიას მეუღლე და რასაც ის ცდილობდა განვაგრძობ მე და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... ვის ინტერესებში შედის, რომ საქართველოში ეს მდგომარეობა დარჩეს. ჯაბა იოსელიანი არ უარყოფს, რომ ქურდი იყო, ყველამ იცის, რას უწოდებდნენ კანონიერ ქურდს.

სამოქალაქო ომში ძალიან მოითბო ხელი ჯაბა იოსელიანმა. მე მეჩვენება, შეიძლება სახელმწიფოს მეთაური დასაყრდენის შეცვლას აპირებდეს, განსაკუთრებით ახალ წელს. ჯობია ჯაბა მიხვდეს ამას, ამაში იგორ გიორგაძემ მიმანიშნა, რომ დაატაკა „მხედრიონი" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... რაც შეეხება ძველი ბიუჯეტის მიღებას, ეს ნიშნავს არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას და ვინ აგებს პასუხს. როცა მე სახელმწიფოს მეთაურს შეკითხვით მივმართე მარგიანის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, ხომ ცნობილი იყო, თუ რა აზრის იყვნენ საზღვარგარეთ მასზე, ასეთი რამ ბრძანეთ მე თითქმის ყველაფერში ვეთანხმები ქალბატონ ირინას"...

შემდეგ აღარ ვაკეთებ ჩანაწერს, რადგან ბოლოს შევარდნაძე გამოვიდა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს, როგორც ყოველთვის, ამიტომ აზრი არა აქვს ჩაწერას, როგორც ირინამ თქვა, ეს არის ცარიელი სიტყვები და, ამავე დროს, მას გააჩნია საოცარი უნარი, როდესაც ეკითხებიან ერთს და ის პასუხობს მეორეს.

ის, რაც ირინამ თქვა, ჩემთვის ცნობილი იყო გიასი და მისი პუბლიკაციებიდან, მაგრამ არ იყო ცნობილი საქართველოს 90%-სთვის, რადგან ჩემსავით ყველას არა აქვს შესაძლებლობა ყველა გაზეთი შეიძინოს. ტელევიზიით კი მთელი საქართველო უსმენდა (თუ შუქი ჰქონდათ, მ. ვ.). ამ გამოსვლით ირინამ შევარდნაძე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, გაანადგურა. დარჩა ახლა, თავისი ჭკუით, დიდი პოლიტიკოსი, ისევ ბანდიტებთან და იცხოვროს – მაგრამ ისტორია, ქართველი ერი არ აპატიებს ამდენ უბედურებას.

13 იანვარი

საღამოს გადაცემა „მაცნეში" გამოვიდა შევარდნაძე და თქვა, დილით 250 კაცი შეკრიბა კიტოვანმა, სიგუამ და ავტობუსებით წავიდნენ დასავლეთშიო. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მათ აფხაზეთის განთავისუფლება კი არ უნდათ, მათ უნდათ სამოქალაქო ომის დაწყება. შემდეგ იგორ გიორგაძის განცხადება იყო. მან აღნიშნა, რომ 9 საათზე 20 იკარუსი შეიკრიბა პასტერის ქუჩაზე. კოლონა გაემგზავრა 12 საათზე. ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ უკანონო ორგანიზაციას – ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტს ჰყავდა უკანონო ფორმირება. ეს არის პროვოკაცია, ეს არის აქტი, რომელსაც წინ თუ არ დავუდექით დაასხამს სეპარატისტების წისქვილზე წყალს. ჩვენი რაზმები გასულები არიან, რათა განაიარაღონ. ამას შეიძლება მოჰყვეს ზოგიერთის პროვოკაცია და თუ სისხლი დაიღვრება, იქნება კიტოვანის კისერზე. მართლაც, ძალზე საშიში მოვლენები იწყება. გუშინწინდელი პარლამენტის სხდომის უმრავლესობის კისერზე იქნება სამოქალაქო ომი, როგორც გამსახურდიას დროს

[1] ირინა ხვდება, რა თამაშს თამაშობს შევარდნაძე.

[2] ირინამ ზუსტად განსაზღვრა, თუ რა ბედი ელოდა ჯ. იოსელიანს.

მისმა უმრავლესობამ ითამაშა ცუდი როლი. თუ რაიმე უბედურება მოხდა, კიტოვანის, შევარდნაძის კისერზე იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ (ხშირად ვიმეორებ, მ. ვ.) დასავლეთ საქართველოში დიდი ბომბი დევს, იქ არიან ლტოლვილები, ამავე დროს, ყველასთვის ცნობილია, როგორ დაარბია „მხედრიონმა" სამეგრელო.

საოცარია, ნუთუ ხელისუფლებამ არ იცოდა, რომ ამდენი შეიარაღებული პირია თბილისში.

გუშინ „მხედრიონის" ხუთი წლის იუბილე გაიმართა, სადაც ჯაბა იოსელიანმა თქვა, რომ საწარმოში შედის ფულის წასართმევად უპირველესად ობეხე[1], მერე პროკურატურა, საგადასახადო ინსპექცია და „ბოლოს მიჩანჩალდება კოჭლობით ნაომარი „მხედრიონელი" და მას სტაცებენ ხელს, აი, ყაჩაღიო". რა თქმა უნდა, რაღაც სიმართლე არის ამაში, ისინი კულტურული სახელმწიფო ყაჩაღები არიან. ამიტომ სწორად ამბობს, მაშინ ყველა დაიჭირეთო („კავკასიონი" 7).

შეკრებაზე გამოსულა ავთანდილ მარგიანი. მან განაცხადა, რომ „მხედრიონი" შევარდნაძის ერთადერთი დასაყრდენი და ერთადერთი პატრიოტული ძალა არისო".

14 იანვარი

გუშინ, გვიან ღამით, დამთავრდა კიტოვანის მომხრეების განიარაღება. ნაწილი განაიარაღეს ოსიაურთან, სადაც ხუთი კაცი დაიჭრა. დანარჩენი განაიარაღეს სიმონეთთან. დაუპატიმრეს **თენგიზ კიტოვანი, ირაკლი სურგულაძე** და ვიღაც რუსი ფისუნენკო, რომელიც თავის თავს ასაღებს რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლად კრასნოდარის მხარეში.

17 იანვარი

დღეს **სიგუამ** პრესკონფერენცია გამართა. შემდეგ ის დაკითხეს. ეტყობა უნდათ, რომ დაიჭირონ. გაზ. „რეზონანსში" არის შევარდნაძის გუშინდელი ინტერვიუ, სადაც მას უთქვამს, რომ „მან გაანადგურა ერთ-ერთი მაფიოზური კლანი, რომელთანაც იყო დაკავშირებული ბენზინის, კონიაკის, შამპანურის და ძმები ტატიშვილების საქმე".

საოცარია, კიტოვანს საქართველოს უმაღლესი ჯილდო მისცა თვითონ შევარდნაძემ მაშინ, როდესაც კიტოვანი მართლა აკონტროლებდა ამ დარგებს. ახლა კიტოვანი არცერთ დარგს არ აკონტროლებს და განსაკუთრებით ბენზინს, რომელსაც „მხედრიონი" აკონტროლებს.

რაც შეეხება ამ აქციას, ეს დამალული არ იყო. ამის შესახებ ყველამ იცოდა, განსაკუთრებით 11-12 იანვარს გაზეთებში წერდნენ, რომ კიტოვანი მიემგზავრებოდა დასავლეთ საქართველოში. გაზ. „კავკასიონში", 14 იანვარს ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ განაცხადა, რომ „ამ აქციის ზუსტი დღე და მიზნები დიდი ხნით ადრე უკვე ცნობილი იყო ხელისუფლების მაღალი ეშელონებისა და სახელმწიფოს მეთაურისათვის. არავითარი ზომები სახელმწიფოს მეთაურს ამის წინააღმდეგ არ მიუღია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ედუარდ შევარდნაძემ და მისმა მთავრობამ განგებ მიიყვანეს მდგომარეობა 13 იანვრის აქციის განხორციელების დაწყებამდე. მათი მიზნებია:

1. როგორმე გაამართლონ ჩიხში მოქცეული მოლაპარაკებების უშედეგობა აფხაზეთის თაობაზე და შეინარჩუნონ ხელისუფლება.

2. გამოიწვიონ ქვეყანაში ახალი სამოქალაქო ომი, რომელიც გაამართლებს ქვეყანაში ბანდიტების, მეთაურის მომხრე ფორმირებების თარეშს, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას.

3. შექმნას ყველა პირობა საქართველოში კარგა ხნით არჩევნების არჩატარებისათვის, რომელშიც გამარჯვების არანაირი შანსი სახელმწიფოს მეთაურს აღარ აქვს... უბედურება ის არის, რომ პატიოსნად აფხაზეთში შესასვლელად წასული ქართველი ბიჭები შეიძლება შეეწირონ პოლიტიკურ ინტრიგას, რომელსაც მართავს სახელმწიფოს მეთაური".

[1] შსს-ის ეკონომიკური დანაშაულებების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო.

18 იანვარი

დღეს რუსეთის ფედერაციის საბჭოში გადიოდა საკითხი, გაეგრძელებინათ თუ არა რუსი ჯარისკაცებისათვის აფხაზეთში ყოფნის ვადა.

ფედერაციის საბჭომ ისევ გაუგრძელა მათ ვადა. რუსეთი აქ, საქართველოში, რასაც უნდა იმას აკეთებს. ყველას ეგონა, აბა გაიყვანენ ჯარებს და დაგვეხმარებიან აფხაზეთის დაბრუნებაშიო. ვერ გაიგეს, რომ რუსეთი თვითონ არასოდეს დაგიბრუნებს აფხაზეთს და რომ საჭიროა პოლიტიკის შეცვლა.

დღეს ტელევიზიით გამოვიდა გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი. მან აღნიშნა, რომ კიტოვანს აგრეთვე ბრალი ედება 1992 წელს 300 მილიონად ორი თვითმფრინავის მიყიდვა აზერბაიჯანისთვის. ეტყობა, კიტოვანს ბოლომდე „მიაწვებიან".

დღეს „ახალ თაობაში" რესპუბლიკელების განცხადება იყო სათაურით „კიტოვანის აქცია პროვოცირებული იყო". მათ განაცხადეს, რომ, „რა თქმა უნდა, ყოველად გაუმართლებელია როგორც ცალკეული პირის, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივი პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის თავის თავზე აღება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საომარი მოქმედებების განახლება. ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი ფაქტი არ მოხდებოდა, რომ არა ხელისუფლების დანაშაულებრივი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგები, რომელმაც საქართველოში საერთო ეროვნული კატასტროფის სახე მიიღო... თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ხელმძღვანელები პასუხისმგებლები არიან აქციის ორგანიზებისათვის, სამართლებრივი თვალსაზრისით, შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლება და მათი პოლიტიკაა ამ აქციის ორგანიზების მთავარი მიზეზი. ამ აზრით, სწორედ შევარდნაძე-იოსელიანი არიან 13 იანვრის ავანტიურის „სულიერი მამები". შესაბამისად, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მომხდარის გამო დიდწილად შევარდნაძე-იოსელიანსა და მათ გუნდს ეკისრებათ. რესპუბლიკური პარტია ყოველთვის მოითხოვდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას ხელისუფლებასთან მათი ლოიალური თუ არალოიალური დამოკიდებულების მიუხედავად, სახელმწიფოს მეთაური და სამართალდამცავი ორგანოები თვალს ხუჭავენ ხელისუფლების მხარდამჭერ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების, მაგალითად, „მხედრიონის" არსებობასა და მოქმედებაზე".

19 იანვარი

ჩეჩნეთში ომი გრძელდება. დღეს რუსებმა აიღეს გროზნოში პრეზიდენტ დუდაევის რეზიდენცია. რა თქმა უნდა, ამით ომი არ დამთავრებულა, ის დიდხანს გაგრძელდება, კიდევ ვიმეორებ, საოცარი ეაჟკაცობა გამოიჩინეს ჩეჩნებმა. ბედნიერია ერი, რომელსაც ასე შეუძლია იბრძოლოს თავისუფლებისათვის, ჩვენთან კი ერთმანეთის ჟლეტას ვუნდებით.

გუშინ წავიკითხე „ალია საქართველოდან", ირინას ინტერვიუ. ალბათ მკითხველს გაუკვირდება, როგორ ხშირად ვწერ ირინას შესახებ. ირინა დღეს სიმართლეს ლაპარაკობს საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე. მე ვწერ მომავალი თაობისათვის, რათა დაინახონ, როგორ ვცხოვრობდით, ვინ არის დამნაშავე საქართველოს წინაშე. შეიძლება ბევრჯერ შევცდი, მაგრამ ვცდილობ ზუსტად გადმოვცე ის, რაც ხდება საქართველოში.

27 იანვარი

გუშინ საღამოს „მაცნეში" გადმოსცეს, რომ მოსკოვში ავტომატით დაცხრილეს გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი. დათუაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გია მძიმედ არის დაჭრილი თეძოში და გამჭოლი ტყვია აქვს შუბლში, დღეს ჯერ კიდევ გონზე არ მოსულა, ძალიან განვიცადე. გია არის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი პატრიოტი. მართლაც, გიამ თუ არ იომა, აბა ვინ იომა, რა არ დასწამეს. აი ახლაც, ამ რამდენიმე დღის წინ გაზ. „კავკასიონში" ეწერა, საქართველოდან მოსკოვში

წერილი გაუგზავნიათ, რომ გია ნარკომანი არ-სო. სამხედრო აკადემიის რექტორის ბრძანებით, ის სასწრაფოდ შეუმოწმებიათ და, რა თქმა უნდა, არაფერი მსგავსი არ ყოფილა. დღეს საქართ-ველოს საუკეთესო შვილები იღუპებიან. ეს უკვე სახელმწიფო ტერორია. ყველას იცილებენ. თუ გია ჭანტურია ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მონინააღმდეგე იყო არსებული ხელისუფლებისა, გია ის კაცია, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს არმიაში. მისი მოკვლა რამდენ-ჯერმე სცადეს, მისი გულისათვის სამგზავრო თვითმფრინავს აფეთქებდნენ, წარმოგიდგენიათ, რა ძალები ბატონობენ დღეს საქართველოში.

მე ვეღარ დავამთავრე წერილი „ალია საქართველოდან", სადაც ის წერს – „ჩვენთან გა-დანანილებულია სტრატეგიული დანიშნულების პროდუქცია" – ბენზინი ჯაბას ეკუთვნის, ხორ-ბალი, პურპროდუქტები – მარგიანს... გიორგაძე და ნადიბაიძე სიგარეტის განსაკუთრებული მოყვარულები აღმოჩნდნენ... ნარკობიზნესის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ავთო მარგიანი... დღეს იოსელიანს 18-19 წლის ბიჭები ჰყავს. მათ დარიგებული აქვთ წამალი, რაციები, იარაღი და რაც უნდათ, იმას აკეთებენ, ისინი ერთმანეთს ხოცავენ".

ძალზე მძიმე მდგომარეობაა საქართველოში, ხელისუფლებას, როგორც ვატყობ, სამოქალაქო ომამდე მიჰყავს საქმე, ამაში, გარდა ბანდიტე-ბისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნაწილი ინტელიგენციისა. თუ ზვიადს ჰყავდა „კარვის ქალები", შევარდნაძეს ჰყავს ე. წ. „ფილარმონიის ლომები". ერთ მაგალითს მოვიყვან. დეკანატში რამდენიმე დღის წინ მოვიდა პროფ. ნოდარ ლო-მოური, რომელმაც გინება დაუწყო **სიგუას, კი-ტოვანს** და **ირაკლი სურგულაძეს**. საშინელე-ბაა, ეს ის ლომოურია, რომელიც თბილისის ძმათამკვლელ ომში მათი მთავარი იდეოლოგი იყო, ხოლო ირაკლი სურგულაძე, მისი უახლო-ესი ძმაკაცი, რომლებმაც ის დანიშნეს ხელოვნე-ბის მუზეუმის დირექტორად. როცა დეკანატში ისევ ჭკუის დარიგება დაიწყო, ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, რატომ იმეორებდა შევარდნაძის ტყუილს, რომ ბენზინს კიტოვანი აკონტრო-ლებს, როცა ორი წელინადია ჯაბა იოსელიანი აკონტროლებს. მან მიპასუხა, რას ამბობ, მერაბ, ეტყობა, შენ არ იციო, როცა მარგიანზე ვკითხე რეებს აკეთებს, მე არაფერი გამიგიაო, ეტყობა, ჭორებიაო. ვინც დეკანატში იყო ყველა გაგიჟდა, თუ, როგორ ტყუოდა ეს 70 წლის პროფესორი, რომელიც სტუდენტობის დროს ჩემი ხელმძღ-ვანელი იყო და ძალიან დიდ პატივს ვცემდი. მას კიტოვანი, სიგუა, სურგულაძე აღარ სჭირდება, სამაგიეროდ, თანამდებობაზე არიან ჯაბა იოსე-ლიანი და ავთანდილ მარგიანი. ლომოური არის ტიპური წარმომადგენელი იმ ინტელიგენციისა, რომელიც არ სცილდება შევარდნაძეს, ათას სისულელეებს ეუბნებიან.

გაზ. „შანსი" № 3, ირინა სარიშვილი წერს, რომ „შევარდნაძემ საბოლოოდ აირჩია ერთი გზა – მა-ფიურ ძალებზე დაყრდნობის გზა".

ირინა წერს, რომ 14 სექტემბერს, როცა ჯაბა დაუპირისპირდა შევარდნაძეს, მათ მხარი და-უჭირეს შევარდნაძეს. „ჩვენ ყველაფერი გავა-კეთეთ, რომ შევარდნაძე ამ ძალებისაგან გან-თავისუფლებულიყო. შემდეგ ის წერს – აღმოჩ-ნდა, რომ შევარდნაძეს სურვილიც არ ჰქონდა ამ ძალებისაგან განთავისუფლებისა. **მართლაც ასე აღმოჩნდა. 14 სექტემბერს შევარდნაძეს მხარი დაუჭირეს დავით ზეიკიძემ, რომელსაც დასა-ჭერად დასდევენ. გია ჭანტურიამ, რომელიც მოკლეს, ირინა სარიშვილმა, რომელიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს და გია ყარყარაშვილმა, მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა, რომელიც ახლა, დაცხრილული, უგონოდ წევს მოსკოვში საავადმყოფოში. მერე მეუბნებიან, რატომ აღარ ენდობი შევარდნაძესო, როგორ შეიძლე-ბა მისი ნდობა, უკვე აღარ მესმის.**

1 თებერვალი

მდგომარეობა ისევ ისეთია – არ არის გაზი, არ არის შუქი, ისევ დათარეშობენ ბანდიტები, ისევ ტარდება არაფრისმაქნისი რეიდები.

აკაკი ასათიანი სწორად შენიშნავს გაზ. „ახალ თაობაში" (30 იანვარი) – „მე იმ ადამიანე-ბის მიკვირს, რომლებიც მაშინ თავქუდმოგლე-ჯილი დემოკრატები იყვნენ. ახლა კი ასეთივე თავქუდმოგლეჯილი ყურმოჭრილი ყმები და მონებიც კი არ არიან. ახლა კი ვიცი, რა დავარქვა სახელმწიფო მეთაურს".

მე, პირადად, ძალიან მიკვირს და განსაკუთრებით პატივს ვცემდი ელდარ შენგელაიას, რომელიც მართლა ვაუკაცურად იბრძოდა წინა ხელისუფლების დროს, არ ვიცი, რა დაემართა, როგორ იტანს ამდენ უმსგავსობას.

ამავე გაზეთში არის მამუკა გიორგაძის სტატია – „ღია წერილი ჯაბა იოსელიანს", სადაც ის წერს – ჯაბას საქართველოს პირველ პატრიოტად მოაქვს თავი და ამ დროს ხელი მოითბო აფხაზეთის ომშიო".

5 თებერვალი

ძალიან მადარდებს გია ყარყარაშვილის მდგომარეობა. არ ვიცი, როგორ არის, ეფიქრობ, თუ გია გადარჩა (ღმერთო, გადაარჩინე, მ. ვ.), ის უკვე აღარავის აღარ შეარჩენს, მან ძალიან ბევრი ითმინა, ოთხჯერ სცადეს მისი მოკვლა, თავი აარიდა და წავიდა მოსკოვში და იქაც ესროლეს. მე ვფიქრობ, ხელისუფლების მონინააღმდეგეების მკვლელობების სერიებმა არ შეიძლება არ გამოინვიოს საპასუხო რეაქცია.

„ჯორჯიან ნიუსში" ახალი ნიუანსი აღმოვაჩინე ირინას ინტერვიუში. ის წერს, რომ „როცა 3 დეკემბრამდე ჩემს პრემიერობაზე იყო საუბარი, ბუნებრივია, აქ შევარდნაძის ინტერესებიც იყო, მე მას ვჭირდებოდი, რაღაც ნდობის დასაბრუნებლად და საკუთარი ყოფნის გასახანგრძლივებლადო".

ამ ჩანაწერიდან აშკარად ჩანს, რომ რეალურად იდგა საკითხი მისი პრემიერობისა და, რა თქმა უნდა, ეს ნიშნავდა ედპ-ს მოსვლას ქვეყნის ხელისუფლებაში, რაც მომენტალურად გამოიწვევდა მაფიოზური, რუსეთის აგენტების ალაგმვას. ეს ალბათ ცნობილი იყო მათთვის და ამან საჩქაროდ გადაწყვიტა გიას და ირინას ბედი.

ღამით წაიკითხე გაზ. „დრონი". რა თქმა უნდა, ლამფის შუქზე და ძალიან გამიხარდა, რომ გია ყარყარაშვილის მდგომარეობა გამოკეთდა, მას გაუკეთეს ოპერაცია.

ამავე გაზეთში, 2 თებერვალს, არის ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან, სადაც ის ზუსტად იმას ამბობს, რასაც მე ვფიქრობდი – „მისი (გიასი, მ. ვ.) პოტენციალური შესაძლებლობანი შეიძლება სახიფათო გამხდარიყო დღევანდელი მესვეურებისათვისო".

13 თებერვალი

ჩეჩნები ისევ გმირულად იბრძვიან, ჩვენ კი გმირულად ვებრძვით ერთმანეთს. რამდენიმე დღის წინ ორი მთაწმინდელი „მხედრიონელი", რომლებიც ფულს „აწერდნენ" ძმებ გაგნიძეებს, მოკლეს და მერე დაწვეს, ახლა ჩემი პატარა ბავშვი მოვიდა და მითხრა, რომ ავტომატით ვაკის პარკთან ვიღაც ჩაცხრილეს, ერთი ტყვია ვიღაც საწყალ კაცს მოხვდა თვალში.

გაზ. „ივერია-ექსპრესში" არის ინტერვიუ ფიქრია ჩიხრაძესთან – ეს ის ადამიანია, რომელმაც დათო ტურაშვილთან და სხვებთან ერთად დაიწყო მართლაც საოცარი სტუდენტური მოძრაობა და დღესაც ერთ-ერთ უნიჭიერეს გოგონად მიმაჩნია. ის არის გია ყარყარაშვილის მეგობარი. ამ ინტერვიუში ზუსტად დაემთხვა ჩემი და ფიქრიას აზრი. მას ეკითხებიან, რა კავშირს ხედავთ 3 დეკემბრის და 25 იანვრის ტერორისტულ აქტებს შორის.

ფ. ჩ. – „სავსებით ლოგიკურს და გამიზნულად თანამიმდევრულს. 3 დეკემბრის ტერორისტული აქტით ქართული სახელმწიფოს მომავალს ჩამოაშორეს ყველაზე გამოკვეთილი და პერსპექტიული ფიგურა. იანვრის ტერორისტული აქტით სურდათ ჩამოეშორებინათ სამხედრო ფიგურა, რომელიც სამომავლოდ პოლიტიკურად ძლიერად გამოიკვეთებოდა".

შემდეგ ფიქრია სწორად ამბობს, რომ **„მას მომავლის გამო ესროლეს"**. აბსოლუტურად მართალია ფიქრია, რადგან მართლაც ორივე გიასი ძალიან ეშინოდათ. ორივე ახალგაზრდები, ორივე უზომოდ შეყვარებული იყო საქართველოზე. კიდევ კარგი, გია ყარყარაშვილი მაინც გადარჩა, მე მასზე ვწერდი, რომ კაცურად წავიდა თანამდებობიდან, გაეცალა თბილისს, რადგან უამრავ რამეს დააბრალებდნენ, რამდენჯერ მოახდინეს თავდასხმა, მაგრამ ხმა არ გასცა, კაცს, რომელსაც არაფრის ეშინია, მაგრამ იმდენად მხდალები და დამპლები არიან, რომ, ეტყობა, შიშით კანკალებდნენ, ის რომ ცოცხალი იყო, ახლა რაც

მის მტრებს შეუძლიათ, ათჯერ მეტი შეუძლიათ გიას და მის მეგობრებს, რომლებიც ვაჟკაცები არიან. ახლა, როცა გადარჩა, დარწმუნებული ვარ, რომ მან იცის, ვინ ემტერება. ახლა ისინი, არა მარტო ქილერები, არამედ შემკვეთები უნდა დაისაჯონ.

ფიქრია ასევე სწორად წერს 14 სექტემბრის შესახებ, რომლის შესახებ მეც ვწერდი და ძალიან მანუხებს ეს საკითხი.

ფ. ჩ. – „1993 წლის 14 სექტემბერს ჯაბა იოსელიანის მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციის გამო სახელმწიფოს მეთაური გადადგომას აცხადებს კრიტიკულ მომენტში. მის გვერდით „ახალგაზრდა კოლეგები" – ირინა სარიშვილი და თავდაცვის მინისტრი გიორგი ყარყარაშვილი ქვეყნის მეთაურის ნინაალმდეგ არსებული შეთქმულების ერთ-ერთ თავკაცად გიორგაძეს ასახელებენ. **რას ფიქრობს სახელმწიფო მეთაური, როცა კრიტიკულ ჟამს მის გვერდით მყოფი ახალგაზრდები ტერორისტული აქტების შედეგად სხეულდაფლეთილები არიან, მათთან დაპირისპირებულ პიროვნებათა ტანდემი კი ამჟამად მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენს. ჩემთვის ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური რეალობის საზღვარს სცილდება და ღრმად ტრაგიკულ დასკვნად ფორმდება".**

მე, რა თქმა უნდა, 14 სექტემბრის მოვლენას დავუმატებდი ერთ-ერთ აქტიურ წევრს დავით ზეიკიძეს, რომელსაც მოსაკლავად დასდევენ და გია ჭანტურიას. მართალია, ის ტრიბუნაზე არ ჩანდა, მაგრამ ამ მოვლენების დროს შევარდნაძის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო და რომელიც ასევე დაცხრილულია.

ნოდარ გრიგალაშვილის საინტერესო სტატია იყო – „ახუნდიზმი". ახუნდა ვაჟა-ფშაველასთან არის პიროვნება – მოლა, რომელიც დღისით ეხმარება ქვრივ-ობლებს და პატიოსანი კაცის სახელი აქვს. საღამოს გაიხდის მოლას ტანსაცმელს და ყაჩაღობს, არ ინდობს არც ქვრივ-ობლებს. ნოდარი წერს, რომ ასეთია ჩვენი მთავრობა და განსაკუთრებით ადარებს ჯაბა იოსელიანს, რომელსაც ასეთი ბევრი ახუნდები ჰყავს, დღისით ტელევიზორში აჩვენებენ, რომ აი, მაშველთა კორპუსი ეხმარება გაჭირვებულებსო და მერე რასაც აკეთებენ, ყველამ იცისო. მოკლედ, საშველი არ არის. გაზ. „კავკასიონში" (24) ასლან აბაშიძე წერს – **„გასული 1994 წელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ დადებით ძვრებს, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც თავისთავად, ასევე წინა პერიოდით დამძიმებული წელი. სხვანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ის დესტრუქციული ძალები, რომლებმაც ქვეყანა ნგრევის გზაზე მოიყვანეს, ძირითადად კვლავ პოლიტიკური ბრძოლის ავანსცენაზე არიან".**

კითხვა – „ხელისუფლების საკმაოდ მაღალ ეშელონებში დროდადრო ისმის კრიტიკა ავტონომიური რესპუბლიკის მისამართით. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი".

ა. აბაშიძე – „ვერ დავეთანხმები კითხვაში ჩადებულ გულუბრყვილო შეფასებას, სინამდვილეში კი ძალიან სერიოზულ მომენტთან გვაქვს საქმე. ჩვენ ხელთ არსებული როგორც ფაქტოლოგიური მასალების, ასევე ოპერატიული მონაცემების ანალიზის თანახმად, სწორედ მაღალ ეშელონებში მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა როგორც ფარულად, ასევე ღიად".

დეზინფორმაციის პარალელურად პრაქტიკულად მიმდინარეობს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ სამსახურიდან დათხოვილი, თავისთავად განაწყენებული პირების მფარველობა, წაქეზება, მათ შორის პატიმრობაში აყვანილი პირის უკანონოდ გაშვება და თანაც მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა დედაქალაქში, რესპუბლიკის ცენტრალურ უწყებებში" (რა თქმა უნდა, დღესაც ვერ მოუნელებიათ, რომ აჭარა ვერ დაარბიეს, საქართველოს ბანდიტები განსაკუთრებით გიუდებიან საზღვარი რომ ვერ ჩაიგდეს ხელში, მ. ვ.).

დღეს ვნახე ელიზბარ ჯაველიძის გაზ. „სამრეკლო". ეს არის გაგრძელება აკრძალული გაზ. „საქართველოს სამრეკლოსი", 30 იანვრით არის დათარიღებული. **ელიზბარ ჯაველიძე სტატიაში „ნაახალწლევს" სწორად შენიშნავს, როცა ამბობს – „ისტორიასაც მეტ-ნაკლებად ვიცნობ და შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ასეთი მძიმე წლები, პუტჩის შემდეგ რომ დადგა საქართველოში, არც მახსენდება, არც ვიცი. ერთი სიტყვით, ისეთი ჟამი გვიდგას ვირი – ლომობს, მელია – ვეფხობს, კურდღელი – ავაზობს, ღორი – შველობს".**

21 თებერვალი

გაზეთმა „7 დღე“ გადმობეჭდა გაზ. „იზვესტიიდან“ მასალა – „გენერალი გლადიშევი ბრალს სდებს“. ეს არის სერგეი ლუსკოვის სტატია.

გენ. გლადიშევი იყო ბათუმში განლაგებული რუსეთის 145 დივიზიის მეთაური. ეს დივიზია საუკეთესოდ აღიარეს ამიერკავკასიაში. გლადიშევი ამხელს ამიერკავკასიაში განლაგებულ ჯარებში არსებულ კორუფციას, ადანაშაულებს სარდალ რეუტს, საქართველოს სამხედრო მინისტრს ნადიბაიძეს, განსაკუთრებით უარყოფითად არის დახასიათებული იგორ გიორგაძე, რომელსაც „გადანყვეტილი აქვს უკვე საქართველოს პირველ პირად და შევარდნაძის მემკვიდრედ გახდომა“.

დღეს გაზ. „რეზონანსში“ და „ახალ თაობაში“ დაიბეჭდა სენსაციური სტატია ასლან აბაშიძის იმ ინტერვიუს შესახებ, რომელიც მან მისცა „მოსკოვსკიე ნოვოსტის“.

ასლან აბაშიძე ბრალს სდებს იგორ გიორგაძეს. გიორგი უძილაური. „ახალი თაობა“. საზოგადოება პასუხს ელის უშიშროების ხელმძღვანელისგან.

რუსეთის პრესაში სენსაცია გამოიწვია გენერალ გლადიშევის აღსარებამ. ეს გენერალი მეთაურობს აჭარაში განლაგებულ რუსეთის ჯარების მეთორმეტე სამხედრო ბაზას და ერთ-ერთ გავლენიან პირად ითვლებოდა აჭარაში.

რამდენიმე დღის წინ „იზვესტიაში“ მან ამხილა ამიერკავკასიაში განლაგებული რუსული ბაზების მეთაურები, რომლებიც კორუფციასა და უკანონო სამხედრო ბიზნესში არიან ჩაფლული. რუსი გენერლები ყიდიან ბაზებში განლაგებულ იარაღს, ხელს უნყობენ ნარკობიზნესს და მჭიდრო კავშირში არიან საქართველოს სპეცსამსახურთან, კერძოდ კი, იგორ გიორგაძესთან. გენერალი გლადიშევი ლაპარაკობს „დიდ აბლაბუდაზე, რომელსაც იგორ გიორგაძე ქსოვს და სურს საქართველოს პირველკაცობა“.

გლადიშევის ეს სენსაციური განცხადება არის უდიდესი დარტყმა რუსეთის გენერალიტეტისათვის. მის დაქვემდებარებაში მყოფი დივიზია ითვლება საუკეთესოდ რუსეთის ქვეით ჯარებს შორის. ამ დივიზიის მეთაურის გადაყენებაზე უკვე გაცემულია ბრძანება მოსკოვიდან, რომელსაც, ჩანს, არც ისე აწყობს გენერალი, რომელიც ბრალს სდებს იგორ გიორგაძეს.

როგორც ასლან აბაშიძის პოზიციიდან ჩანს, გენერალ გლადიშევის გადაყენება აწყობს საქართველოს უშიშროების სამსახურის შეფს, რომელიც დიდი ხანია ებრძვის მას. ასლან აბაშიძემ გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ გვერდებზე იგორ გიორგაძეს მისი მოკვლის მცდელობაში დასდო ბრალი.

„საქართველოს ხელისუფლების ზემო ეშელონებში ტერორიზმის მეშვეობით ცდილობენ თავიდან მოიშორონ ხელისუფლების რეალური პრეტენდენტები“, – განაცხადა ასლან აბაშიძემ. **მან აღნიშნა, რომ ტერორისტული აქტები, რომლებმაც უკანასკნელ დროს დაფარეს საქართველო, უშიშროების სამსახურის ნახელავია. სწორედ ამიტომ ვერ იქნა გამოძიებული ვერც ერთი ტერორისტული აქტი. „უშიშროების სამსახური თვითონ გეგმავს, თვითონ ასრულებს და თვითონვე იფარავს ტერორისტულ აქტებს“.** აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ამხელს თენგიზ კიტოვანს, რომელსაც 1994 წელს სურდა აჭარაში შეჭრა და მისი განადგურება, მაგრამ არ გამოვიდა. შემდგომში ეს მისია თვით იგორ გიორგაძეს აუღია თავის თავზე და ახლა ცდილობს მის ფიზიკურ მოსპობას. ამისათვის კი საჭიროა აჭარის საზღვრების გახსნა, რომელზეც დღესაც რუსი ჯარისკაცები დგანან. სამხედრო სპეციალისტების აზრით, გლადიშევის გადაყენება იყო გიორგაძის შეკვეთა, რომელსაც, თავის მხრივ, დაეხმარა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სარდალი გენერალი ფიოდორ რეუტი. ამ უკანასკნელს არასოდეს ჰქონდა კარგი ურთიერთობები ვ. გლადიშევთან. გლადიშევთან ერთად აჭარიდან თანდათან აკრობენ მის თანამზრახველებსაც, მაგალითად, 90-ე პოლკის მეთაური იგორ ბრონიცკის. იგი ახალქალაქშია გადაყვანილი. ამ აქციებმა შეიძლება საგრძნობლად დაძაბოს სიტუაცია აჭარის რეგიონში და საქართველოს ეს კუთხე მომავალი დაპირისპირების ზონად გადაიქცეს – მიიჩნევს რუსეთის პრესა.

ასლან აბაშიძისთვის ოფიციალური პასუხის გასაცემად საქართველოს უშიშროების სამსახური ჯერ არ არის მზად, რადგანაც ამ სტრუქტურის შეფს იგორ გიორგაძეს ჯერ არ გამოუხატავს თავისი პოზიცია. მით უმეტეს, რომ ეს ამ-

ბავი კვირაზე მეტია იცის. უშიშროების სამსახურის პრესცენტრში განგვიმარტეს, რომ მათ არ შეუძლიათ ამ საკითხზე პასუხის გაცემა მანამდე, სანამ იგორ გიორგაძე არ გამოხატავს პოზიციას. უშიშროების სამსახურის პრესცენტრში აგვიხსნეს, რომ ყველას შეუძლია ყველაფრის თქმა, მაგრამ სულ სხვაა ამის დამტკიცება.

ბაჩო გურული. „რეზონანსი"

ასლან აბაშიძე – იგორ გიორგაძე: დუელი დაიწყო

რას მოიმოქმედებს ლუდოვიკო?

„ტერორიზმი საქართველოში პირდაპირ არის დაკავშირებული ოფიციალურ სტრუქტურასთან. გარკვეული ძალები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ამ ხერხით იცილებენ თავიდან რეალურ თუ შესაძლო პრეტენდენტებს, რომელთაც შეუძლიათ პოლიტიკური გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში", – აცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე 12-19 თებერვლის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი"-ში დაბეჭდილ პუბლიკაციაში.

მისივე თქმით, უშიშროების სამსახურის უფროსი იგორ გიორგაძე დგას არა მარტო აჭარის ლიდერის მიმართ დაგეგმილი თავდასხმის უკან, არამედ მრავალი ტერორისტული აქტის, მათ შორის, მოსკოვში ქართველ გენერლებზე თავდასხმის უკანაც. ასლან აბაშიძის აზრით, „უშიშროების სამსახური თვითონ გეგმავს, ახორციელებს და ფარავს ტერორისტულ აქტებს". აბაშიძის მტკიცებით, სწორედ ეს არის ტერორისტული აქტების გაუხსნელობის მიზეზი.

ასლან აბაშიძე სენსაციურ განცხადებას აკეთებს, „საქართველოს დაზვერვის დღევანდელ შეფს თავის უცხოელ კოლეგასთან კერძო საუბრისას უთქვამს, რომ მაინც მომიშორებს. ამის თაობაზე ვესაუბრე მას ვიცე-პრემიერ მარგიანის თანდასწრებით, რომელიც კურირებს ძალოვან სამინისტროებს. ვაპირებ ამის შესახებ ვესაუბრო შევარდნაძესაც".

როგორც ასლან აბაშიძემ „რეზონანსს" განუცხადა, მისი მკვლელობა თბილისში ორი-სამი თვის წინ დაიგეგმა, რისთვისაც ბათუმში გაიგზავნა სნაიპერი. აბაშიძე აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია მკვლელობის დამგეგმავი წრის ვინაობა და სნაიპერიც დაჭერილია. აბაშიძის თქმით, ამის თაობაზე საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას რეაგირება არ მოუხდენია. აჭარის უზენაეს საბჭოს უშიშროების სამსახურისათვის გრიფით „საიდუმლო" გაუგზავნია იმ პირთა სია და მონაცემები, რომლებიც მკვლელობის ორგანიზატორთა გამოსავლენად უნდა დაკითხულიყვნენ. ასლან აბაშიძის მტკიცებით, თბილისიდან მიღებულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ გრიფით „საიდუმლო" მიღებული დოკუმენტის საფუძველზე ისინი დაკითხვას არ აწარმოებენ. ამ მოტივმა აბაშიძის აღშფოთება გამოიწვია: „მაშ, თავიანთ აგენტს თვითონვე ხომ არ გამოამჟღავნებენ". ამის შემდეგ მას უკვირს თუ რატომ კითხულობენ მისი პარლამენტის სხდომებზე არ მოსვლის მიზეზს.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი"-ს პუბლიკაციაში ასლან აბაშიძე ვრცლად საუბრობს რუსეთის მე-12 ბათუმის სამხედრო ბაზის მხედართმთავრის გენერალ გლადიშჩევის შესახებ, რომლის სენსაციური მონოლოგის სტენოგრამა გამოქვეყნდა 11 თებერვლის „იზვესტია"-ში. ამ პუბლიკაციიდან ჩანს, რომ გლადიშჩევი უმართავი აღმოჩნდა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სარდლისათვის. გლადიშჩევის თქმით, იგი თევდორე რეუტიკინი არ ყიდდა რუსულ იარაღს, არ უგზავნიდა ძვირფას საჩუქრებს თბილისელ და მოსკოველ უფროსებს, იცავდა მშვიდობას აჭარაში და სწორედ ამისთვის დაისაჯა. თევდორე რეუტმა უმაღლეს სარდლობას მიმართა თხოვნით, გლადიშჩევის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. 41 წლის „ბუნტარი" გენერალი თამამად აცხადებს, რომ „საქართველოს უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელად იგორ გიორგაძის მოსვლისთანავე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფში ყველაფერი აირია".

გლადიშჩევი საუბრობს თავდაცვის მინისტრ ნადიბაიძეზე: „ტყუილად ხომ არ გაიყვანეს თავდაცვის მინისტრის პოსტზე კიტოვანის რაზმების იარაღით ყოფილი მომმარაგებლის ვარდიკო ნადიბაიძის კანდიდატურა. ერთობლივი მაქინაციებისა და ავანტიურებისათვის უკეთეს კანდიდატურას ვერ შეარჩევდა კაცი" – ამბობს გლადიშჩევი და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლობას კორუფციაში სდებს ბრალს.

1994 წელს რუსულ არმიაში საუკეთესოდ აღიარებული სამხედრო ბაზის მხედართმთავარი გენერალი გლადიშჩევი ასლან აბაშიძის ძალისხმევის შედეგად კვლავ ბათუმშია და აგრძელებს მუშაობას. ისინი ახლა ერთად ილაშქრებენ თევდორე რეუტისა და იგორ გიორგაძის წინააღმდეგ.

დღეისათვის ბათუმში მობილიზებულია ყველა ძალოვანი სტრუქტურა, გაძლიერებულად იცავენ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტებს. გაძლიერდა კონტროლი.

კვირას, 19 თებერვალს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეკრება. მიიღეს მიმართვა ედუარდ შევარდნაძისადმი. დაფიქსირდა ცალსახა პოზიცია – არ დაუშვან საქართველოს ნგრევა, რომელიც ზოგიერთებს აჭარიდან სურთ წამოიწყონ.

პირველი ღია დაპირისპირება ასლან აბაშიძესა და იგორ გიორგაძეს შორის ა. წ. იანვარს, 13 იანვრის ცნობილი ოპერაციის შემდეგ გამართულ თათბირზე მოხდა. გიორგაძემ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა აჭარის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა და საყვედური გამოთქვა მათ მიმართ. ამასთანავე გიორგაძემ ბათუმი ნარკოტიკების სატრანზიტო ცენტრად დაასახელა. რამდენიმე დღის შემდეგ პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა აჭარიდან, ბადრი ნაკაშიძემ პროტესტი გამოთქვა გიორგაძის ამ განცხადების გამო და უსაყვედურა მას, რომ იცოდა აბაშიძეზე თავდასხმის შესახებ და არაფერი გააკეთა. „რეზონანს"-მა ასლან აბაშიძის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებზე კომენტარი სთხოვა უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილეს აკეთანდილ იოსელიანს, რისგანაც ამ უკანასკნელმა თავი შეიკავა. იგორ გიორგაძე კი, იოსელიანის თქმით, 20 იანვარს თბილისში არ იმყოფებოდა.

როგორც ჩანს, საქართველოში კიდევ ერთი მძაფრი დაპირისპირება დაიწყო. ღიად რჩება მხოლოდ ერთი კითხვა: ვინ უკვეთავს მუსიკას?

რამდენ რამეს უძლებს ასლან აბაშიძე? მთელი აჭარის მოსახლეობა მუდამ მადლობელი უნდა იყოს მისი, რომ აჭარა გადაარჩინა დარბევას. ამავე დროს აჭარაში შეჭრით საქართველო საბოლოოდ დაიღუპებოდა.

დღევანდელ „ახალ თაობაში" არის ცნობა, რომ 140 დეპუტატმა ხელი მოანერა თხოვნას, რათა **მურმან ომანიძე** დაინიშნოს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. რისთვის სჭირდება ეს თანამდებობა ომანიძეს, რა თქმა უნდა, არა პირადი გამორჩენისთვის, მას ფული არ აკლია, მას ეს თანამდებობა სჭირდება იმისთვის, რომ რაღაც სიკეთე მოუტანოს საქართველოს. რა არის ცხოვრება, როცა ომანიძეს თანამდებობა არ ჰქონდა და დასაჭერად დასდევდნენ, ზოგიერთმა არაკაცმა, რომლებსაც ომანიძე ასაჩუქრებდა და მანქანებს აძლევდა, დამინყეს მინიშნებით, თუ რატომ დავწერე ადრე მასზე სტატია, ახლა, როცა ისევ აწინაურებენ მას, ისევ ის ხალხი მოვიდა და თავიანთ თხოვნებს გადმომცემენ ომანიძის მიმართ. ვერ გავაგებინე, რომ ქუჩაში რომ შემხვდეს ომანიძე, ვერ მიცნობს. საოცრად კარგი გაზეთი გახდა „ალია საქართველოდან".

გოგა ხაინდრავა ამ გაზეთში სწორად წერს, რასაც მეც ვწერ ხშირად – **„დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ახალი თაობა შეცვლის ამ მენტალიტეტს. ძველ თაობას არაფრით სურს ასპარეზის დათმობა. 117 დოლარის ღირებულების ხორბალს 125 დოლარად რომ ჩამოიტან და მერე იმასაც მოიპარავ, სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება ასეთ ვიგინდარებს ეყრდნობა..."**

გია ჭანტურიაზე წერს, რომ „3 დეკემბერს იდეა მოკლეს. იდეა საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობისა. სამწუხაროდ, მამებმა ტყვიის მეტი ვერაფერი დაგვიპირისპირეს".

3 მარტი

გუშინ თავის კაბინეტში მოკლეს პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი კორნელი ჩალაძე. ის იყო უშიშარი, შეუდრეკელი კაცი, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ე. წ. „საძმოების" წინააღმდეგ. ახლა გადმოსცეს, რომ ქვემო ქართლის რწმუნებულის შენობაში შეიჭრა შეიარაღებული ხალხი, პოლიციელი დაჭრეს, დაშავებულია რწმუნებული ლევან მამალაძე.

გაზ. „ივერია-ექსპრესში" არის ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან, სადაც ის წერს – „მე შეიძლება ძალიან მწვავედ გამომივიდეს, მაგრამ ეჭვი მეპარება საქართველოს ოდესმე პოლოდეს ასეთი შემზარავი ხელისუფლება... საქართველო გახდა წმინდა წყლის მაფიურ-კრიმინალური სახელმწიფო, თანაც დაუფარავად. დღეს ქვეყანას მართავენ ყოფილი კომუნისტები და კრიმინალები. მართავა იმაში მდგომარეობს, რომ ხდება საკუთარი ქვეყნის დაუფარავი ძარცვა, სხვადასხვა კლანი, რომლებიც ხელისუფლებიდან მომდინარეობენ, ნურბელებივით მომსხდარნი არიან ქვეყნის სამეურნეო ობიექტებს, ამიტომ იმაზე ლაპარაკი, ჩვენი ხაზინა როდის შეივსება, ჩვენი ბიუჯეტი როდის გამოსწორდება, სანარმოები როდის ამუშავდება, აბსურდია. არც მეწარმე, არც ბიზნესმენი სერიოზულ მუშაობას არ მოინდომებს, როგორც კი ამ საქმეს ხელს მოკიდებს მასთან მივლენ გარკვეული ჯგუფები და ნილს მოსთხოვენ... სახელმწიფო ხაზინაში არაფერი არ შედის, ყველაფერი აი, ამ კერძო პირების, მაფიოზების ჯიბეში ჩადის... ამას აკეთებს, ერთის მხრივ, ძალოვანი სტრუქტურები, ამას აკეთებს სხვა უწყებებიც, ამას აკეთებს ე. წ. „მაშველთა კორპუსი".

4 მარტი

დიდი ამბები ატყდა იმის შემდეგ, როდესაც გუშინ რუსთავში სცემეს ქვემო ქართლის რწმუნებულს ლევან მამალაძეს.

დღეს რუსთავში ჩავიდა შევარდნაძე... აღმოჩნდა, რომ ქალაქში შეიჭრა 150-200 შეიარაღებული კაცი. აქედან 50 კაცი შეიჭრა რწმუნებულის შენობაში, მათ სცემეს მამალაძეს და დაჭრეს მისი მცველი ქართლოს მძღელური. აღმოჩნდა, რომ ისინი იყვნენ „მაშველთა კორპუსიდან".

ახლა მე ვიწერ რუსთავში ჩატარებული თათბირის შესახებ. ეტყობა, კუდი აენვა როგორც იქნა შევარდნაძეს, რადგან მამალაძე მისი ერთგული კაცია. თავდამსხმელთა შორის აღმოჩდნენ გიგა გელაშვილი, თემურ ხაჩიშვილი, კინაღამ გული ნამივიდა, მეგონა, „მხედრიონის" რიგითი წევრები იყვნენ, გიგა არის „საქართველოს მაშველთა კორპუსის" თავმჯდომარე, ხაჩიშვილი – გენერალი. შევარდნაძეზე ახია ყველაფერი, ხომ ეუბნებოდნენ, ნულარ ანინაურებ ხაჩიშვილს, მაგრამ მაინც დაანინაურა და უშიშროების მინისტრის მოადგილედ გადაიყვანა. ლევან მამალაძე გამოვიდა სიტყვით. შემეცოდა, თავზე ქუდი ეხურა, რადგან, ეტყობა, თავში ჩაარტყეს, ისე უნდა აღენიშნო მისი ვაჟკაცობა, რადგან მისი ბრძანებით რამდენიმე ხნის წინ ჩატარდა რეიდი წითელ ხიდთან, რომელიც მთლიანად მაშველთა კორპუსის ხელშია. აქ არის საზღვარი აზერბაიჯანთან, საიდანაც შემოდის კონტრაბანდა. სწორედ ამის გამო მოხდა თავდასხმა მამალაძეზე. შევარდნაძემ არ იცოდა, რუსთავი და ეს მხარე ვის ხელშია? ეს სწორედ ის რუსთავის „მხედრიონია", რის გამოც 1993 წლის 14 სექტემბერს აპირებდა გადადგომას.

გამოვიდა გენერალური პროკურორი ბაბილაშვილი, რომელმაც თითქმის არაფერი თქვა.

შემდეგ გამოვიდა თემურ ხაჩიშვილი. მან თქვა, რომ მიესალმება შევარდნაძის ჩამოსვლას რუსთავში, მაგრამ აქ შოუ ხდებაო და აღნიშნა „მხედრიონის" დიდი როლი საქართველოს გადარჩენაში. გამოვიდა შევარდნაძე, რომელმაც აღნიშნა – „მე ბევრჯერ გამოვთქვი ჩემი აზრი ამ რაზმზე და არ ნაიშლება სოხუმში და სამოქალაქო ომში მათი როლი, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. დამთავრდა ომი, დადგა საკითხი როგორ ვიცხოვროთ. ზოგიერთი შენაერთი, მათ შორის,სამხედრო პოლიცია, რომელშიც შედიოდა 1500 კაცი დაიშალა. ძალზე სერიოზული საკითხი იყო გვარდიის საკითხი და ეს შენაერთიც შევიდა სამხედრო სამინისტროში. ძალიან დიდი პრობლემა იყო „მხედრიონთან" დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, მათაც იპოვეს თავიანთი ადგილი როგორც „მაშველთა კორპუსმა". ამ საკითხს ბევრჯერ დავუბრუნდით, მაგრამ ბოლომდე ეს გადაწყვეტილი არ არის. მე ვერ დავიჯერებდი, რომ გიგა გელაშვილი იქნებოდა ამ აქციის მონაწილე. ამ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ, დებულება უნდა გადაისინჯოს. ხაჩიშვილის გამოსვლა არასერიოზული იყო. ეს შოუ არ არის და არ უნდა გეკადრებინა ჩემთვის. რაც შეეხება გუშინდელ ფაქტს, ამის პირველი მაგალითი იყო ყვარელში, როცა კაცი თვენახევარი საავდამყოფო-

ში იწვა. საგარეჯოში, თურმე, ვინმე „მაჭახელამ“ ორი კაცი მოკლა და თავისუფლად დასეირნობს, ვინ გაიტანა „აზოტიდან“ ძვირფასი ლითონი...“

შემდეგ გიგა გელაშვილს მიუტრიალდა და უთხრა – „გიგა, არა გრცხვენია, როგორ მეთაურობდი ამ აქციას. ეს ფაქტია, ეს იგივეა მახვილი რომ ჩაარტყა მამას, მოვითხოვ პროკურატურამ გამოიძიოს ეს საკითხი“...

საოცარია, სახელმწიფოს მეთაური დღეს აცხადებს, რომ ვინმე „მაჭახელა“ ორ კაცს კლავს და თავისუფლად დასეირნობს, ლითონები ვინ გაიტანა ქარხანა „აზოტიდან“ იცის და ახლა ამბობს, გამოდის უშიშროების გენერალი და ქვეყნის მეთაურს ეუბნება, რა შოუ მოაწყვეო, სასაცილო ის არის, რომ ამ რამდენიმე თვის წინ უშიშროების სამინისტრომ მოაწყო რეიდი რუსთავში ბანდიტების დასაჭერად და ამ რეიდს მეთაურობდა ხაჩიშვილი. რა, არ იცოდა შევარდნაძემ, რომ ხაჩიშვილი რუსთავში თავის მეგობრებს არ დაიჭერდა, სწორედ მაშინ უნდა მიეღო ზომები და ლევან მამალაძეც გადაურჩებოდა თავის გატეხვას. ახლა ჩემთვის ის არის გასაკვირი, რაღას ერჩოდა კიტოვანს, რომელსაც ხელი არ გაუნძრევია და ციხეში ჰყავს გამომწყვდეული.

5 მარტი

დღეს ვკითხულობ „7 დღეს“ № 8. ეს სტატია ადრე არის დაწერილი, ვიდრე ეს ამბები მოხდებოდა რუსთავში. სტატიის სათაურია „რუსთავი – მდგრადი ქაოსი ცვალებადვალენტურ ქალაქში“.

ამ სტატიაში აშკარად არის მოცემული ფაქტები, თუ რა ხდება რუსთავში, კერძოდ, ორჯერ გაიტაცეს პლატინის ბადე „აზოტიდან“ და ყველამ იცის, რომ დაცვის უფროსის მოადგილეს, „მაშველთა კორპუსის“ წევრს, ვინმე ბარბაქაძეს ბრალი ედება, რომ დაიწყო აზოტის ქარხნიდან ჯართის სახით დანადგარების გატანა, კერძოდ, 130 ტონა გაიტანეს. ამავე გაზეთში არის სტატია „ბორჯომის კარგი ტონი და „მაშველთა კორპუსი“. ნუთუ ამ სტატიებს არავინ კითხულობს.

7 მარტი

მხოლოდ ახლა გამნარდა „მოქალაქეთა კავშირი“, როცა უცემეს მათი ერთ-ერთი ლიდერი ლევან მამალაძე. როცა ოპოზიცია მიუთითებდა, რას აკეთებდა „მაშველთა კორპუსი“, მაშინ „მოქალაქეთა კავშირი“ ხმას არ იღებდა.

გაზ. „დრონი“ 7-ში გამოქვეყნებულია „მოქალაქეთა კავშირის განცხადება – „მოქალაქეები“ თვლინ, რომ საქართველოში განხორციელებული ტერორისტული აქტებისაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი გამოირჩევა ციინიზმით, როდესაც ორგანიზატორები აღარ მალავენ საკუთარ ვინაობას, პირდაპირ აფიქსირებენ, თუ ვის ხელშია რეალური ძალაუფლება სახელმწიფოში. „მოქალაქეები“ მოითხოვენ ორგანიზატორთა დაკავებას და გადაცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში, „მაშველთა კორპუსის“ დღევანდელი სახით არსებობის მიზანშეწონილობის გადახედვას“.

გაზ. „ალია საქართველოდან“ № 8-ში **ვალერი კვარაცხელია** წერს, რომ **„საქართველო დღეს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა გახდა დაქირავებული ჯალათებისა და მკვლელების მხრივ, ისინი ათასი დოლარის საფასურად შეკვეთას ასრულებენ, ბოლოს მითხრეს, ორას დოლარადაც თანახმანი არიან ნებისმიერი ადამიანის მოკვლაზეო“.**

9 მარტი

დღეს პარლამენტში უნდა განხილულიყო რუსთავში 3 მარტს მომხდარი ამბავი და ასლან აბაშიძისა და იგორ გიორგაძეს შორის დაპირისპირების საკითხი.

ეტყობა, ამ საქმის ჩაფარცხვა უნდათ, რადგან მამალაძემ და გიგა გელაშვილმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომ გამოძიების დამთავრებამდე არ დაუშვებენ ამ ფაქტის პოლიტიზირებას და ორი სტრუქტურის დაპირისპირებას. დღესვე ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ისინი ებრძვიან მხოლოდ დამნაშავე პიროვნებებს.

დღესვე ჭადრაკის სასახლეში გაიმართა „მაშველთა კორპუსის“ ხელმძღვანელთა პრესკონფერენცია, სადაც აღნიშნეს, რომ მათ წამოაყენეს

წინადადება, შეიქმნას საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო – დეპარტამენტის დონე აღარ აკმაყოფილებთ, სამინისტრო მოუნდათ.

6 მარტს სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა პეტრე გელბახიანს და ირაკლი დოკვაძეს. დიდი ამბებია ამის გამო.

14 მარტი

გაზ. „7 დღე", სტატია „შევარდნაძის ორმაგი პოლიტიკა მისი რწმუნებულის თავზე ტყდება".

სტატიაში აღნიშნულია, რომ „სამშობლოში დაბრუნების სამი წლისთავი სახელმწიფოს მეთაურმა მისთვის დამახასიათებელი ახალი დიდი თამაშის ნამონყებით აღნიშნა, მაგრამ ვეღარ გააგრძელა... პოლიტიკურ წრეებში ბატონ შევარდნაძის ნაბიჯები მძიმე მარცხად შეფასდა. ძლიერი წინააღმდეგობის გამო მეთაურმა აღარ გააგრძელა".

რუსთავის ტელევიზიით აჩვენეს ჯაბა იოსელიანის გამოსვლა. მან გუბერნატორების დანიშვნა ტოტალიზმის გამოვლინებად ჩათვალა.

განსხვავებით შევარდნაძისგან, ჯაბა იოსელიანი რასაც ფიქრობს, იმას ყოველთვის ამბობს.

14 მარტის გაზ. „ახალი თაობა"

კორ. – „რა შეფასებას მისცემდით ამ ფაქტებს, რაც აქ „მხედრიონს" დაატყდა თავს".

ჯ. ი. – „მეორდება, მეორდება ყველაფერი, ისტორია მეორდება. 5 წლის წინათაც იყო ეგ ამბავი, ახლა კიდევ იწყება".

კორ. – „რას იტყოდით ედუარდ შევარდნაძის გამოსვლაზე 6 მარტის რადიოინტერვიუში, სადაც მან მკაცრად მოიხსენია და დაგმო „მაშველთა კორპუსის" მოქმედება".

ჯ. ი. – „არ მომისმენია, არ ვიცი, არა მგონია, მან დაგმოს „მხედრიონი". ცალკეულ პიროვნებებზე შეიძლება გამოთქვა რამე, მე არ მომისმენია, მაგრამ „მხედრიონს" როგორ დაგმობდა, „მხედრიონმა" ჩამოიყვანა იგი".

ჯაბა, რა თქმა უნდა, არ მალავს, რომ სწორედ „მხედრიონის" ჩამოყვანილია შევარდნაძე. სწორად შენიშნავს **ირაკლი ბათიაშვილი,** რომ შევარდნაძის მთავარი დასაყრდენი არისო „მხედრიონი". სწორედ ამიტომ არის, რომ შევარდნაძე გადამჭრელ ღონისძიებებს არ ატარებს მათ წინააღმდეგ (მ. ვ.).

ამავე გაზეთში („ახალი თაობა" 15, 14 მარტი) არის ინტერვიუ **ირინა სარიშვილთან** სათაურით „უშიშროება გაცვეთილი მეთოდებით მოქმედებს". ირინა წერს – „იგორ გიორგაძე აშკარად გრძნობს, რომ ნიადაგი ეცლება, სწორედ ამიტომ ხდება ის საშიში. იგი პათოლოგიური პიროვნებაა".

ამავე გაზეთში არის სტატია „ასლან აბაშიძე თბილისში ჩასვლას არ აპირებს".

ბათუმში „აიდას" პრემიერაზე აბაშიძემ თბილისის ელიტა დაპატიჟა, მათ შორის, ჟურნალისტები და მოაწყო პრესკონფერენცია, სადაც თქვა, გიორგაძემ კერძო საუბარში აღნიშნა, რომ სურს აჭარის ხელმძღვანელის მოშორება. შემდგომში აბაშიძისთვის უთქვამს – „მე მართლა ვთქვი ეს, რადგანაც სპეცსამსახურების შეფს აქვს ამის თქმის უფლება".

მე გამომრჩა ერთი ადგილი ირინა სარიშვილი ინტერვიუდან. ირინამ გაიხსენა ლისტევის მკვლელობა. ამ შემთხვევაში, **„ელცინი გულწრფელია თუ არა, ის მაინც იცის, რომ მივა ოსტანკინოში და ტელევიზიით განაცხადებს: ერთ-ორ მინისტრს მოვხსნიო. ჩვენთან კი სახვეწარი გახდება ასეთები არ დააწინაურონ, მოხსნაზე ხომ ხმას ვინ ამოიღებსო".**

15 მარტი

გუშინდელ გაზ. „ალია საქართველოდან" განხილული იყო რუსთავის ამბები. ლევან მამალაძის ინტერვიუში ეწერა, რომ 19 წუთით ადრე სახელმწიფოს მეთაურის აპარატიდან დამირეკეს, ფრთხილად იყავი, აქ პარლამენტის შენობაში დიდი ჩოჩქოლი არისო. შემდეგ ლევან მამალაძემ დაწერა, რომ, როცა ჩემს კაბინეტში შემოვარდნენ, პირდაპირ ჩხუბი დაიწყოო. მე პისტოლეტი ჩამარტყესო თავში, ხოლო, როცა ჩემი მცველი ვერ ნაიქციეს, მას ავტომატი დაახალესო. ამ მცველს, გვარად მძელურს, სამი ტყვია მოხვდა ფეხებში.

ამავე გაზეთში ირინა სარიშვილმა დაწერა, რომ „რუსთავში, როცა შევარდნაძე გამოვიდა, იმ წუთში მივხვდი, რომ, ეს თამაში იყო, რადგან ეს

მე მჭირდება პრესკონფერენციები, რაში ჭირდება სახელმწიფოს მეთაურს, როცა ძალაუფლება მის ხელშიაო". რაც შეეხება ასლან აბაშიძის და გიორგაძის უთანხმოებას, ირინამ განაცხადა, რომ ასლან აბაშიძეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის არავითარი პრობლემა არ შეუქმნიაო, ხოლო, თუ შევარდნაძე გიორგაძეს დაუჭერს მხარს, საქართველო დაიღუპებაო".

დღევანდელ „რეზონანსში" წერია, ირინას პარლამენტის სხდომაზე უთქვამს, რომ „ჩვენ ვნახეთ, როგორ ოპერატიულად დააპატიმრეს კიტოვანი მაშინ, როდესაც თემურ ხაჩიშვილი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ამჟამად იგორ გიორგაძის მოადგილე, აცხადებს, რომ მიდიოდა რუსთავში მერიის დასარბევად. ეს სპექტაკლი დაიწყო იმ დღეს, როდესაც სახელმწიფოს მეთაურმა გულში ხელები ირტყა, ამას მე ვეღარ შეეურიგდებიო. ანკესს წამოეგო უმრავლესობის რამდენიმე აქტიური წარმომადგენელი, გადაწყვიტეს, სიგნალი მიღებულიაო და შეიძლება „მაშველთა კორპუსზე" თავდასხმა, ახლა ისინი რიგრიგობით იხდიან ბოდიშს, რადგან თავის გაწირვა არც სახელმწიფოს მეთაურისთვის და არც სახელმწიფოსათვის არავის არ უნდა".

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს „მოქალაქეთა კავშირი" უფრო საზიზღარი ჩანს.

„მხედრიონში" კიდევ არიან ვაუკაცი ხალხი, ხოლო „მოქალაქეთა კავშირში" საერთოდ ძნელად იპოვი ვაუკაცს, თითქმის ყველა ნაგავია.

რა უნდა შევარდნაძეს? ნუთუ სამი წლის განმავლობაში ვერ შექმნა გუნდი, რომელსაც ის დაეყრდნობა? ნუთუ არ უნდა გამოხატოს თავისი აზრი, როდესაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასლან აბაშიძე ასეთ ბრალდებებს უყენებს უშიშროების მინისტრს, როგორ შეიძლება ორივეს ეთამაშო, ეს მისი ავადმყოფობაა.

დღეს „რეზონანსში" არის ინტერვიუ ასლან აბაშიძესთან. მან ისევ დაადასტურა, რომ პირადად ესაუბრა გიორგაძეს, ჯერ მარტო და მერე სხვების თანდასწრებით. საუბარს ესწრებოდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფაღავა, მარგიანი და ლაშა თაბუკაშვილი. ასლან აბაშიძე სნორად წერს – „ადამიანის ტრაგედიის წყარო ადამიანია, საქართველოს ტრაგედიისა – საქართველოს უღირსი შვილები. ჩვენი მტერი, პირველ რიგში, საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ და არა სხვაში. ნუ გველანდება ყველაფერში მოსკოვი, რომელ სახელმწიფოს არ ჰყავს მტერი შიგნით თუ გარეთ, მაგრამ სახელმწიფო იმიტომ გქვია, რომ ბრძნული სახელმწიფო აზროვნებით გაიანგარიშო, როდის არის საჭირო მეხამრიდის აგება და როდის ფიანდაზების დაგება".

რა უნდათ, ჩემი აზრით, ასლან აბაშიძისგან? პირველი, რომ ის დანიშნული იყო გამსახურდიას მიერ. მეორე, ყველაზე მთავარი, სარფის საბაჟოს ხელში ჩაგდება, ანუ მისი გაკონტროლება, მათი მიზანია ყველაფრის გაკონტროლება სარფიდან ნითელ ხიდამდე. ასევე ბათუმის პორტის გაკონტროლება. მესამე, დესტაბილიზაციის შექმნა და საქართველოს ერთადერთი დაურბეველი მხარის გაძარცვა. აჭარის გარდა საქართველოს ყველა მხარე უკვე გაძარცულია. მეოთხე, ჩვენი მთავრობის უტვინო წარმომადგენლების და შევარდნაძის გარშემო მყოფი ყოვლად უუნარო მოხელეების გარკვეული ბოღმა ასლან აბაშიძისადმი, რომელმაც სიწყნარე შეინარჩუნა აჭარაში.

საოცარია, დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება ისე ლაპარაკობს აჭარაზე, თითქოს საქართველოს ყველა რაიონში აწყობილი აქვთ ცხოვრება. ქობულეთს რომ გამოცდები 100 მეტრით, უკვე საშინელებაა. საქართველოს მთავრობამ დაკარგა აფხაზეთი, ვერ აკონტროლებს გურიას, სადაც საშინელებები ხდება, ვერ აკონტროლებს სვანეთს, რომელსაც მკვლელები დაეპატრონენ, ვერ აკონტროლებს კახეთს, რომელსაც „მხედრიონი" მართავს, ვერ აკონტროლებს ქვემო ქართლს და რუსთავს (ეს აშკარად დაგვანახა 3 მარტის ამბებმა – მ. ვ.).

მხოლოდ ერთადერთი ხელმძღვანელი, თემურ შაშიაშვილი აკონტროლებს ქუთაისს. ნეტავ როგორი სიწყნარეც არის აჭარაში, ასეთი იყოს მთელ საქართველოში.

16 მარტი

გაზ. „საქართველოში" არის სტატია „შვიდი დღე, რომელმაც ვერ შეძრა ქვეყანა". ამ სტა-

ტიაში ისევ განხილულია რუსთავის ამბები, ამავე გაზეთში არის ნოდარ გრიგალაშვილის ნერილი „ტრაგიკომედია საქართველოში", სადაც იგი სნორად ნერს, რა უნდა ილაპარაკო, როცა თავგატეხილი თავის გამტეხთან ერთად ხელს აწერდა".

ჩემში ახლა პატივისცემას იმსახურებს არა ლევან მამალაძე, რომელიც ხან გადადგომით იმუქრებოდა, ხან უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლის როლს თამაშობდა, მეტი პატივისცემა დაიმსახურა თემურ ხაჩიშვილმა და გიგა გელაშვილმა, რომლებმაც თავიანთი საქმე ბოლომდე გააკეთეს, განსაკუთრებით ხაჩიშვილმა, რომელიც არ მოერიდა არც შევარდნაძეს, არც ტელევიზიას და მთელი საქართველოს წინაშე კი არ მოინანია თავისი დანაშაული, არამედ ბოლომდე ვაუკაცურად თქვა, რომ რუსთავში ჩასვლით შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ, მონებმა „მოქალაქეთა კავშირიდან" და მისმა მინისტრებმა, შოუ მოაწყვეს. კიდევ ვიმეორებ, როგორიც არის ლევან მამალაძე და კაცუნებისგან შემდგარი „მოქალაქეთა კავშირის" გამარჯვება უფრო მეტი უბედურება იქნება საქართველოსთვის.

ასევე არაკაცურად მოიქცა ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც ძალიან იქადნებოდა პარლამენტის სხდომაზე და როცა იმ დროს დარბაზში შემოვიდა ჯაბა იოსელიანი, პირიქით, ვიცე-სპიკერმა გაიხსენა „მხედრიონელთა" „ღვაწლი".

21 მარტი

ორი დღეა ჩამოსულია პავლე გრაჩოვი, პირველი, რაც ჩემთვის და ყველა ქართველისთვის არის შეურაცხმყოფელი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მას დახვდა აეროპორტში. ეს ნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოს მონა ხარ. ეს იგივეა, როცა საბჭოთა კავშირის მინისტრები ან ც. კ.-ის განყოფილების გამგეები ჩამოდიოდნენ და ხვდებოდა საქართველოს ც. კ.-ის პირველი მდივანი. ზუსტად ისეთივე აზროვნებაა საქართველოში. ვენაცვალე ჩეჩნებს, დუდაევს, რომლებმაც მთელ მსოფლიოს დაანახეს, რას წარმოადგენს რუსეთი და როგორ შეუძლია თავისუფლებისმოყვარე 800 ათასმა ადამიანმა, რომელთაც 15 ათასი მეომარი ჰყავთ, ებრძოლონ 200 მილიონ ადამიანს და ასეულ ათასობით ჯარისკაცს. მათ ყველას დაანახეს, თუ რას ნიშნავს ადამიანის ღირსება, ისინი იბრძვიან, იღუპებიან, მაგრამ მათმა ამ ბრძოლამ ძალა შემატა სხვა დაჩაგრულ ხალხებს. უკრაინამ უკვე გააუქმა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა და უთხრა რუსეთს, რომ შენ ჩეჩენ ხალხს ვერ ერევი და მე თავი დამანებეო, საკუთარ რესპუბლიკაში ვერ უვლი საქმეს და თავი დაანებეთ იმპერიის აღდგენის მცდელობას, თორემ თავზე დაგემხობათო საკუთარი სახელმწიფო.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, დღევანდელ გაზ. „კავკასიონში" არის ინტერვიუ იგორ გიორგაძესთან.

მას ეკითხებიან – ბატონო იგორ, კიდევ ერთ გახმაურებულ ფაქტს მინდა გაუკეთოთ კომენტარი. მხედველობაში მაქვს 3 მარტს რუსთავში მომხდარი ინცინდენტი და მასში თქვენი მოადგილის თემურ ხაჩიშვილის მონაწილეობა.

ი. გ. – „მოკლედ გიპასუხებთ, პოლიტიკურ ძალებს უნდოდათ, რომ ეს ფაქტი სამსახურზე „დასარტყმელად" გამოეყენებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ და არც გამოუვათ. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, და ეს გახლდათ სამსახურეობრივი მოკვლევა, ხაჩიშვილი იქ რომ არ ყოფილიყო, დიდი სისხლი დაიღვრებოდა. მან იქ შეასრულა ძალიან დიდი მუხრუჭის როლი".

ამ პასუხზე მახსენდება ირინას სიტყვები, რომ, როცა ჩვენთან დანაშაულს ჩაიდენენ, იმაზე არ გვაქვს საუბარი, არ მოხსნათ დამნაშავე, მხოლოდ ერთს ვიხვეწებით, არ დააჯილდოვოთ დამნაშავე. ეტყობა, ხაჩიშვილს დააჯილდოებენ, რადგან მას გმირობა ჩაუდენია რუსთავში.

25 მარტი

საქართველოში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის სამხედრო მინისტრი პავლე გრაჩოვი. ნადიბაიძემ და გრაჩოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოში რუსეთის ბაზების ყოფნის შესახებ 25 წლის ვადით. ამ ხელშეკრულებას შემდგომში ხელი უნდა მოაწერონ ელცინმა და შევარდნაძემ. ამან

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, შევარდნაძე ამბობს რომ, მანამ არ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას, სანამ არ აღდგება საქართველოს იურისდიქცია მის მთელ ტერიტორიაზე.

მძიმე მდგომარეობაა გალში, სადაც რამდენიმე დღის წინ აფხაზმა ბოევიკებმა განახორციელეს სადამსჯელო აქცია, რომლის დროსაც 20-მდე კაცი დახვრიტეს. ზუგდიდში მიმდინარეობს აქცია.

ჩეჩნეთი ისევ იბრძვის. ამ მდგომარეობით ისარგებლა უკრაინამ, მისმა პარლამენტმა გააუქმა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა და სისხლის სამართლის საქმე აღძრა პრეზიდენტ მეშკოვის მიმართ. გუშინ ტელევიზიით ვუსმენდი პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას, რომელიც იმყოფებოდა იაპონიაში. მან თქვა, რომ უკრაინაში უნდა იყოს ერთი პრეზიდენტიო.

გუშინწინ პარლამენტის სხდომაზე ირინა სარიშვილმა ბრალი დასდო იგორ გიორგაძეს კორუფციაში. გუშინ დააყენეს საკითხი მისი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ კენჭისყრა არ ჩატარებულა.

საქართველოში გრძელდება ტერორიზმი და მკვლელობანი. რამდენიმე დღის წინ თემურ ჟორჟოლიანის მანქანას ესროლეს. იქ იჯდა თვითონ თემური, მისი მეუღლე და და. საბედნიეროდ, ჟორჟოლიანი გადარჩა. ქალაქში მიმდინარეობს ქუჩის პატარა ომები „საძმოებს" შორის. რამდენიმე დღის წინ ჩაცხრილეს სამი ახალგაზრდა. მეორე დღეს რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან ჩაცხრილეს მანქანა, რომლითაც მიყავდათ დაჭრილთან ცნობილი ქირურგი ნოდარ ბოხუა, იგი გარდაიცვალა. მასთან ერთად დაიჭრა მისი მეორე კოლეგა. გუშინწინ ატყდა სროლა ელბაქიძის დაღმართზე, ასევე კაფეში, მე-9 საავადმყოფოსთან ისროდნენ ავტომატებს, დაბოლოს, „მუხაც" გაისროლეს. მოკლედ, ქუჩაში რომ გახვალ, კაცმა არ იცის, რა მოხდება.

4 აპრილი

ვარდიკო ნადიბაიძის და პავლე გრაჩოვის მიერ ხელმოწერილმა დოკუმენტმა საზოგადოება ორად გაყო. დიდი კამათი მიმდინარეობს. ოპოზიცია სასტიკი წინააღმდეგია. უმრავლესობას სურს რომ დაეთანხმოს, მაგრამ ისე აშკარად ვერ ბედავენ საუბარს. „საქართველოს რესპუბლიკაში" 25 მარტს პროფ. **ნოდარ ლომოურის** ძალზე საწყენი სტატია იყო სათაურით „სიფხიზლე გვმართებს". „ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ არავითარი საერთაშორისო ორგანიზაციები – არც გაერო, არც ევროგაერთიანება და არც სხვა დასავლური ძალები არ გადაგვინყვეტენ საბოლოოდ არც ეკონომიკურ, არც პოლიტიკურ პრობლემას, საბოლოო ჯამში, სამწუხაროდ, ყველაფერს რუსეთი გადაგვიწყვეტს".

როგორ შეიძლება ისტორიკოსმა შენს ხალხს უთხრა, რომ არაფრის მაქნისები არა ვართო და მხოლოდ რუსეთმა უნდა გადაგვიწყვიტოს ყველაფერი: თან წერს – „არ ვიცი, არის ქვეყანაზე ქართველი, ვისაც შინაგანად მოსწონდეს, უხაროდეს ის ფაქტი, რომ საქართველოში 25 წლით კიდევ დაკანონდება უცხო ქვეყნის, მით უფრო რუსეთის, შეიარაღებული ბაზები. ცხადია, მეც გული ბოლმით მევსება, მაგრამ არ შეიძლება ოდნავ გონებაგახსნილ ადამიანს ისიც არ ესმოდეს, რომ ეს აუცილებელი და გარდაუვალია".

ნოდარ ლომოური ოპოზიციას უწოდებს „ქუჩური მიტინგური დიპლომატიის" შეჩვეულ ნაწილს, სასაცილოა, რამდენჯერ მომისმენია მისი გამოსვლები ქუჩაში, მიტინგზე გამსახურდიას წინააღმდეგ.

14 აპრილი

რა დღეები იყო ჩვენთვის 9 და 14 აპრილი! 9 აპრილს პოლიციამ ნება არ მისცა გამსახურდიას მომხრეებს, რომ მიტინგი ჩაეტარებინათ ფილარმონიასთან. საბოლოოდ ისინი „დედაენის" ძეგლთან მივიდნენ. ამ დღეს განაიარაღეს რუსეთის ელჩის რეზიდენციის დაცვა და ააფეთქეს დაცვის ჯიხური. ამავე დღეს ამიერკავკასიის სამხედრო შტაბს ესროლეს ავტომატებიდან. ეს აქტები თავის თავზე აიღო ორგანიზაცია „ალგეთის მგლებმა".

14 აპრილს შევარდნაძემ სამართალდამცავ ორგანოებთან ჩაატარა თათბირი. გაზ. „7 დღეში" არის **ირაკლი ბათიაშვილის სტატია სათაურით „ეშმაკები საქართველოში".**

ირაკლი შევარდნაძეზე წერს, „რა არის მისი მოღვაწეობის „დიდი კვალი" – ქვეყნის მეურნეობის უმონყალო რეკეტი თავად სახელმწიფო ძალების მიერ, მიზანდასახული აღვირახსნილი კორუფცია ხელისუფლების ყველა ეშელონში. „გასვრილი" კაცი ხომ ძალაუნებურად დაბმულია. ამას ემატება პოლიტიკური ტერორის თარეში. საბოლოოდ კი, ეროვნული სულისკვეთების დასამარება და სრული გეზი „ჩრდილოეთისაკენ". მეორე მხრივ, მართალია, შევარდნაძე სრული ანტიპოდი აღმოჩნდა „სახელმწიფოს აღმშენებლობისა", სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უბადლოა ძალაუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. პოლიტიკური თამაშები, ინტრიგები, ძალაუფლების ტექნოლოგია, ამ ხელოვნებას იგი მართლაც რომ ბრწყინვალედ ფლობს და ვხედავთ, რომ მიუხედავად იმ საყოველთაო დაქცევისა, თანმიმდევრულად (დღიდან ჩამოსვლისა) იმტკიცებს თავის ხელისუფლებას. ირგვლივ სოციალური გარემო მასობრივად კრიმინალიზებულია, რაც მთავარია, დანაშაული თავად სახელმწიფოს მმართველ წრეებშია დამკვიდრებული და ეს დანაშაულებრივი საქმიანობა – ძარცვა, ყაჩაღობა, მექრთამეობა, გამომძალველობა, ტერორი და ა. შ. – ჩვეულ და ბუნებრივ საშუალებად იქცა კეთილდღეობის მოსაპოვებლად".

ამავე გაზეთში არის წერილი ბოხუას მკვლელობის შესახებ. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ორი ე. წ. „საძმო" ებრძოდა ერთმანეთს და ამას შეენირა მსოფლიო მნიშვნელობის ქირურგი ნოდარ ბოხუა. ბოხუა უნდა დაესაფლავებინათ საბურთალოს პანთეონში, მაგრამ ოჯახმა უარი თქვა, რადგან ამ შეტაკებებში დაღუპული „საძმოების" წევრებიც ამ პანთეონში დაასაფლავეს – საოცარია. ამიტომ ბოხუა დაასაფლავეს ვერის სასაფლაოზე.

საშინელი ამბები ხდება ჩეჩნეთში. საწყალი ხალხი – მაგრამ იბრძვიან, იღუპებიან სამშობლოსათვის და ბედნიერები არიან, ჩვენ კი ერთმანეთს ვხოცავთ და სიხარულით გვინდა, რომ ისევ რუსეთის უღელი დავიდგათ.

დღეს ე. წ. „რუსეთის სამშვიდობო ძალებმა" დაარბიეს ზუგდიდის პოლიცია, რადგან დაიჭირეს მთვრალი რუსი ჯარისკაცი. ისინი მიიჩნევენ, რომ ისევ 25 წელინადი აქ იქნებიან და რომ საქართველო მათია.

20 აპრილი

გაზ. „დრონი", ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან. ხშირად ჯაბა მართლაც კაცურად ლაპარაკობს, ვიდრე შევარდნაძე. მაგ., სულ ეკითხებიან კიტოვანის დაკავების შესახებ. ის პასუხობს, „კიტოვანის დაკავება აუცილებელი იყო. ასეთი თვითნებური წასვლა-წამოსვლა არ უნდა ყოფილიყო დაშვებული, მაგრამ ამ ამბების შემდგომი გაღრმავება, ვფიქრობ, არასასურველია. დღეს ისეთ ფაქტებზეა თვალი დახუჭული, ბევრი ისეთი რამ არის ურეაქციოდ დატოვებული, რომ ახლა კიტოვანის შემთხვევაში პრინციპულობის გამოჩენა არ გამოდგება".

30 აპრილი

მიმდინარეობს ცნობილი ვალტერ შურღაიას და გოჩა ოთხოზორიას სამარცხვინო პროცესი. მათ ბრალი ედებათ სამშობლოს ღალატში, იარაღის ტარებაში, ბანდების შექმნაში, ფულის გატაცებაში და რა ვიცი, ყველაფერში.

როცა 27 აპრილის „მაცნეს" ჟურნალისტი რეზო ოსეფაშვილი მოვიდა. მან, პირიქით, თქვა, რომ გოჩამ გადამარჩინა, რადგან ჩემი დახვრეტა უნდოდათო. ის იბრძოდა აფხაზეთის წინააღმდეგ ტამიშთანო. გოჩამ შეკითხვა მისცა რეზოს „ვიზეიმეთ თუ არა მე და თქვენ ქართული ჯარის გაერთიანება და ჩავიტანეთ თუ არა გადაღებული მასალა სოხუმის ტელევიზიაში, ხომ უნდა გადაეცა ეს მასალები საქართველოს ტელევიზიას. რატომ არ გაუშვა ტელევიზიამ აღნიშნული ვიდეომასალა – არ ვიცი, უპასუხა ჟურნალისტმა („ახალი თაობა" 26, 29 აპრილი). აქ აშკარად ჩანს, რომ მთავრობაში ბევრს არ აწყობდა მათი გაერთიანება. რეზო ოსეფაშვილმა ადვოკატის შეკითხვაზე უპასუხა, რომ „ვალტერ შურღაია კაცთმოყვარე ადამიანია, რომელსაც სისხლისღვრა ნამდვილად არ უნდოდა". „ახალ თაობაში" წერია, რომ ჯაბა იოსელიანი შეხვდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებს და ამ შეხვედრაზე აშკარად გაილაშქრა კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მუშავდება შევარდნაძის თავმჯდომარეობით. მან თქვა, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს არც ერთი პარტიის წევრი, რომ

შევარდნაძე უნდა გამოვიდეს „მოქკაშირიდან". კონსტიტუცია კი არის დიქტატორული და ერთმმართველობაზეა დამყარებული. არ შეიძლება, რომ მომავალ პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭოს.

ჯაბა – „ჩემი აზრით, გაცილებით ჯობია იმ პარტიულ ვირთხებს, რომლებისთვისაც სამშობლო არ არსებობს და მთავარია შევარდნაძეს ასიამოვნონ".

1 მაისი

გაზ. „დრონი" 14, 27 აპრილი. ინტერვიუ ირინა სარიშვილ-ჭანტურიასთან. ამ ინტერვიუში ირინა, როგორც ყოველთვის, ზუსტია თავის გამონათქვამებში – „ჩემი პირადი შეცდომაა ისიც, რომ დასაწყისში გულწრფელად მეგონა შევარდნაძე ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რათა ხელისუფლება ბანდიტური არ ყოფილიყო. მაგრამ ასე არ მოხდა. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ჯაბა იოსელიანზე, იგივე ითქმის თუნდაც მინისტრთა კაბინეტის მთელ პერსონალურ შემადგენლობაზე. ის (გულისხმობს შევარდნაძეს, მ. ვ.) საკუთარ სამყაროში გრძნობს თავს, როცა ასეთი მინისტრთა კაბინეტი და აპარატი ჰყავს და, აქედან გამომდინარე, უადვილდება არა ქვეყნის მართვა, არამედ საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნება. თუ პრინციპებზე ვლაპარაკობთ, უნდა დავთმოთ რაღაც, მაგრამ, როცა ხელისუფლებაში ყოფნა თვითმიზანია და ნებისმიერი სხვა პრინციპი ამას ეწირება, ამას უკვე მოჰყვება ქვეყნის ნგრევა – რაც უკვე სახეზეა".

3 მაისი

დღეს კიდევ გაიმეორეს გუშინდელი შევარდნაძის გამოსვლა თელავში. დიდი კამათი იყო ამის შესახებ. **ღამით მოვისმინე, რომ თელავში შევარდნაძემ თავის გამოსელაში აშკარად გაილაშქრა „მაშველთა კორპუსის" წინააღმდეგ.**

ჩემთვის არ იყო ცნობილი, რომ კახეთში თავს დაესხნენ დედათა მონასტერს. ავტომატებით, ყუმბარებით შეიარაღებულებმა 8 ადამიანს სცემეს, მათ შორის, მონასტრის წინამძღოლს, ბერებს და გაიტაცეს ჰუმანიტარული დახმარება. თავის სიტყვაში შევარდნაძემ აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა აპატია მათ 3 მარტს რუსთავში მომხდარი ამბავი. თავის გამოსვლაში შევარდნაძემ ბევრი მაგალითი მოიყვანა „მაშველთა კორპუსის" ე. წ. „მოღვაწეობის" შესახებ, დაბოლოს, აღნიშნა, საიდან არიგებენ ისინი ფქვილს, ფულს და ამას აკეთებენ, რათა არჩევნებში გაიმარჯვონო.

აშკარად ეტყობა, რომ ჯაბას და შევარდნაძეს შორის მოხდა განხეთქილება, ჯაბა ბოლო ხანს გამოდის კონსტიტუციის პროექტში პრეზიდენტისთვის დიდი უფლებების მინიჭების წინააღმდეგ, ამავე დროს საკმაოდ აქტიურად მუშაობს და ემზადება არჩევნებისთვის. ვნახოთ, შევარდნაძის მუქარა თუ ისევ ტყუილი გამოდგა და ისევ გაგრძელდა ბანდიტობა საქართველოში, მაშინ ის ერთი პროცენტი, რისი იმედიც კიდევ მაქვს შევარდნაძის მიმართ, საბოლოოდ მოკვდება.

4 მაისი

დღეს გაზ. „დრონში" არის ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან. დაპირისპირება მასსა და შევარდნაძეს შორის აშკარაა. როდესაც ჯაბას ეკითხებიან წავა თუ არა რუსეთში მოსალაპარაკებლად, მან უპასუხა „ალბათ, აღარ წავალ, რადგან დრო გავიდა, როცა მიმინეიეს შევარდნაძემ შვიდი დღის განმავლობაში ამ საკითხისათვის ვერ მოიცალა, სულ სხდომებზე იყო. ახლა უკვე მე აღარ წავალ".

როდესაც ჯაბას ეკითხებიან სამშვიდობო ძალების გაგრძელების შესახებ, ის პასუხობს, „ჩემს გარეშე მოხდა, მე გამოვდივარ ამ თამაშიდან და საერთოდ არ მივიღებ მოლაპარაკებაში მონაწილეობას".

კორ. – „რა მოხდა თელავში".

ჯ. ი. – „2500 კაცი წაუყვანიათ თელავში და დაუჭერიათ 8 კაცი თუ დიქტატორობა წამოყოფს თავს, ჩვენ ისევ აღვუდგებით".

ამავე გაზეთში არის სტატია „ოპერაცია კახეთში". ამ სტატიაში საუბარია შსს პრესცენტრის უფროსთან ვალერიან გოგოლაშვილთან. ის ამ-

ბობს, „როგორც რეიდის ჩატარებისას აღმოჩნდა, თელავს მთლიანად „მაშველთა კორპუსი“ ფლობს. თუ ადრე მათ მიერ ჩადენილი დანაშაული განისაზღვრებოდა ყაჩაღობით, ამჟამად ტაქტიკა შეცვალეს, რაინში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მომუშავე საწარმო, რომელსაც „მაშველთა კორპუსი“ არ ეჯდეს წილში და შემოსავლის 50-60 პროცენტი მათ ჯიბეში არ ჩადიოდა, აღსანიშნავია ისიც, რომ მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელებად მათი წარმომადგენლები ინიშნებოდნენ, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ღვინისა და პურ-პროდუქტების წარმოება“.

ამ ინტერვიუდან ჩანს, რომ იწყება შეტევა „მაშველთა კორპუსზე“, თორემ ვინ არის გოგოლაშვილი, რომ ეს გაებედა.

გაზ. „რეზონანსში“ არის ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან.

ჯ. ი. – „შევარდნაძემ საქართველოსაგან შექმნა პოლიტიკური და ბიუროკრატიული სახელმწიფო უამრავი პარალელური სტრუქტურებით. მე საქართველოს „ბიუროკრატიულ თავკომბალებს“ ვუწოდებდი“.

თავის დროზე ასე მოქმედებდა ჩვენს წინააღმდეგ ზვიად გამსახურდია... შემდეგ ის უცხოეთში აღმოჩნდა.

კორ. – „თქვენი სიტყვები მუქარაა თუ გაფრთხილება“.

ჯ. ი. – „ეს ფაქტია“.

დღეს პარლამენტის სხდომაზე, უმრავლესობის სახელით, გამოვიდა **ნესტან კირთაძე,** რომელიც მიმართული იყო „მაშველთა კორპუსის“ წინააღმდეგ. ღამის 12 საათზე მოსკოვის გადაცემა „ვესტმ“ გამოაცხადა, რომ დღეს საღამოს შევარდნაძემ გამოსცა ბრძანება „მხედრიონის“ გაუქმების შესახებ და საბრძოლო მდგომარეობაში მოჰყავს უშიშროების ძალები და რომ დაიწყო დაჭერები თბილისში.

ღამით „ქვიშის საათში“ გადმოსცეს, რომ თელავის „მაშველთა კორპუსს“ ალყა შემოარტყეს. ერთ-ერთი ნევრი დაშავდა. ჯაბას შეეკითხნენ, რას იტყვით გუშინწინ რაც თქვა „მხედრიონზე“ შევარდნაძემ და დღეს 40 მებრძოლი „მხედრიონელის“ დაჯილდოება მიმდინარეობს. მან უპასუხა „ისტორია მეორდება“ და რამდენჯერმე გაიმეორა.

„ვესტის“ ცნობა სწორი არ ყოფილა. შევარდნაძის ბრძანება შეეხებოდა იმას, რომ მან გააუქმა თავისი 1993 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულება, როცა მათ უფლება ეძლეოდათ იარაღის ტარებისა. ამ ბრძანებულებით დაიწყო „მხედრიონის“ განიარაღება.

5 მაისი

დღეს პარლამენტის სხდომაზე ჯაბა იოსელიანმა მოითხოვა გაერკვიათ „მაშველთა კორპუსის“ სტატუსი, ამავე დროს აღნიშნა, რომ არ დაუშვებდა საქართველოში დიქტატურის დამყარებას და ხშირად იმეორებდა, რომ მან ჩამოიყვანა შევარდნაძე. პარლამენტის მთელი დღის სხდომა ამ საკითხს მიეძღვნა. საღამოს „ვესტნიკში“ გადმოსცეს, სხდომის ბოლოს იოსელიანს განუცხადებია, რომ ნებაყოფილობით ჩააბარებდნენ იარაღს ოღონდ, არა შინაგან საქმეთა, არამედ სამხედრო სამინისტროს.

6 მაისი

შევარდნაძის ინტერვიუს ვისმენ ტელევიზიით. მან თქვა, „ადრე რომ მიმეღო გადაწყვეტილება, კერძოდ, „მაშველთა კორპუსის“ მიერ იარაღის ჩაბარების შესახებ, ხალხი მზად არ იყო ამისთვისო“.

საოცარია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი ძალიან უნდა გაემწარებინა „მხედრიონს“ და მერე მიეღო ეს გადაწყვეტილება. ასეთი რამ ადრეც თქვა. დსთ-ში იმიტომ ვერ შევედი, ხალხი არ იყოო მზად, როცა აფხაზეთი დაიკარგა, გაჩაღდა სამოქალაქო ომი, დაინგრა ეკონომიკა და თურმე ამას ელოდებოდა, რომ შესულიყო დსთ-ში – შევარდნაძის სიტყვებზე გამაჟრჟოლა. ჩემი აზრით, „მხედრიონს“ ბოლომდე არ გაანადგურებს, რადგან ეს თვითონ შევარდნაძეს არ აწყობს, რადგან ამ წლების განმავლობაში მისი ძირითადი დასაყრდენი სწორედ „მხედრიონი“ იყო. გაზ. „რეზონანსში“ ჯაბა იოსელიანმა თელავში ჩატარებულ შეხვედრას ედუარდ შევარდნაძესთან „კომუნისტური აქტივის გადარეული მიტინგი უწოდა“.

გაზ. „რეზონანსი“. გუშინ მანანა გიგინეიშვილს ჯაბასთვის უთქვამს, რომ შევარდნაძე მას მეგობრად თვლის.

ჯაბას უპასუხია – „შევარდნაძე ჩემი მეგობარი არასოდეს არ ყოფილა, თვითონ მთვლის მეგობრად, რადგან ჩემს გარდა მეგობარი არ ჰყოლია. მე არა ვარ მისი მეგობარი“.

18 მაისი

შევარდნაძე არ ესწრება პარლამენტის სხდომებს. უმრავლესობა კი ცდილობს ჩაშალოს სხდომები. ამიტომ არ იკრიბება კვორუმი. განსაკუთრებით აქტიურობს ვიცე-სპიკერი **ვახტანგ რჩეულიშვილი,** რომელსაც ძალიან უხეშად მიჰყავს სხდომები. სამი დღეა პარლამენტი ვერაფერს აკეთებს. აშკარად მიმდინარეობს პარლამენტის დისკრედიტაცია და პროპაგანდა „მაშველთა კორპუსის“ წინააღმდეგ. სწორედ დღეს აჩვენეს იმ სხდომის ჩანაწერი, 15 მაისის, როცა ინტელიგენცია შეხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. თითქოს დღეს გაიგესო მათ, თურმე რას სჩადიოდა „მხედრიონი“ და ახლა გამოფხიზლდნენ (სწორედ ინტელიგენციის ეს ნაწილი ედგა გვერდით ჯაბა იოსელიანს და ახლა გაწირეს, მ. ვ.)

ტრანსლიაციის დროს ირინამ თქვა, რომ, როცა მდგომარეობა დაძაბულია, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს პრეზიდენტი ბუნკერში იჯდება თუ მეოთხე სართულზე იქნებაო.

19 მაისი

დღეს აფხაზეთის საკითხი იხილებოდა პარლამენტში. შევარდნაძე ისევ არ ესწრება სხდომას. დეპუტატებმა სულ ტყუილად ილაპარაკეს, რადგან სხდომის ბოლოს კვორუმი ისევ არ იყო.

დღეს, „მხედრიონის“ სახელით, დოდო გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს „მაშველთა კორპუსის“ წევრების დაპატიმრება და თუ მათ არ გამოუშვებენ, ისინი იარაღს აღარ ჩააბარებენ.

ირაკლი წერეთელმა პარლამენტის შენობაში დაიწყო უვადო შიმშილობა მოთხოვნით, მოინვიონ საგანგებო სხდომა, რომელზედაც მოვლენ ძალისმიერი სამინისტროების ხელმძღვანელები.

1 ივნისი

26 მაისი დიდი ზეიმით აღინიშნა. საღამოს 7 საათზე ჩატარდა სამხედრო აღლუმი, საკმაოდ კარგად.

დილით შევარდნაძე გაფრინდა მინსკში, სადაც შეხვდა დსთ-ში შემავალ სახელმწიფოთა მეთაურებს. რუსეთის „სამშვიდობო ძალებს“ გაუგრძელეს მანდატი საქართველოში. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ნადიბაიძე მოსკოვში აწარმოებს მოლაპარაკებას, რათა გაფართოვდეს რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ მანდატი.

პარლამენტში ჯაბა იოსელიანი რწმუნებულთა ინსტიტუტის გაუქმებისთვის იბრძვის. გუშინ გაიმართა პარლამენტის სხდომა. ჯაბას ამ საქმეში აშკარად მხარს უჭერს ირაკლი წერეთელი. ჩანს, რომ ჯაბა კარგავს ძალაუფლებას რაიონებში და ამიტომ იბრძვის რწმუნებულთა წინააღმდეგ, რომლებიც საკმაოდ ავიწროებენ „მხედრიონს“.

5 ივნისი

გადაცემა „პირისპირ“ **ირინა სარიშვილ-ჭანტურიასთან.** საუბარია „მაშველთა კორპუსის“ მიერ იარაღის ჩაბარებაზე.

ირინა – „არ ვუყურებ სერიოზულად ამ კამპანიას. ასეთი პრობლემების მოგვარება უნდა დავიწყოთ ზემოდან და არა ქვემოდან. წესრიგის დამყარება არ ნიშნავს მარტო ქუჩაში წესრიგის დამყარებას. ხელისუფლებიდან უნდა დავიწყოთ წესრიგის დამყარება, რადგან კანონი ირღვევა „ზემოდან“.

კორ. – „რას იტყვით აფხაზეთის საკითხზე“?

ი. ს. – „არ შეიძლება ჩვენი ხალხი დავაბრუნოთ სხვა სახელმწიფოში. იმ მეთოდით, რასაც დღეს გვთავაზობენ, ქართველები მხოლოდ გალის რაიონში თუ დაბრუნდებიან“.

1 ივლისი

ამ ხნის განმავლობაში კიდევ ერთი ტერორისტული აქტი მოხდა, თავის სახლთან მოკლეს სოლიკო ხაბეიშვილი. სამტრედიაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა რეიდი. სანამ ისინი სამტრედიაში შეეიდნენ, „მხედრიონის" ძირითადი ხელმძღვანელები გაიქცნენ, დაიჭირეს რამდენიმე კაცი და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დაჭერილები არიან „მხედრიონის" წევრები. ეს ისე იყო ნათქვამი, ვითომ ახალი რამე თქვეს და არ იცოდნენ, რომ სამტრედიას აკონტროლებდა „მხედრიონი" ძმები ვაშაკიძეების მეთაურობით.

გაზეთში „ალია-საქართველოდან" პირდაპირ წერია, „რომ მამა-მარჩენალის (ჯაბა იოსელიანს გულისხმობენ, მ. ვ.) პოზიციები რომ შეირყა ამიტომ მოკიდეს მათ ხელიო". ჯაბამ ამავე გაზეთში, № 26 დაწერა, რომ „ეს არის ტიპური კომუნისტური კამპანია".

ამავე დროს „მოქალაქეთა კავშირის" ფორუმზე ვახტანგ რჩეულიშვილმა ბრალი დასდო იგორ გიორგაძეს, რომ მისი მამა პანტელეიმონი ცდილობს აღადგინოს სსრკ, რომ მისი შვილი ამაში ეხმარება მამას, რომ არ შეიძლება „მხედრიონელი" ხაჩიშვილი მისი მოადგილე იყოს და რომ არც ერთი ტერორისტული აქტი არ გახსნილა. ფაქტობრივად, მან გიორგაძეს ბრალი დასდო ალიანსში „მხედრიონთან".

„ალია საქართველოდან" 27. **ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან.**

კორ. – „რა კომენტარს გაუკეთებდით ვიცესპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილის გამოსვლებს, უშიშროების სამსახურისა და იგორ გიორგაძის მისამართით".

ჯ. ი. – „რჩეულიშვილი მარიონეტია. მას საკუთარი აზრი არასოდეს ჰქონია და არც ექნება. ის სახელმწიფოს მეთაურის რუპორია".

ამ ინტერვიუში ჯაბამ აშკარად დასცინა შევარდნაძეს, რომ ის საჩვენებელ კამპანიებს ანყობს. მან შევარდნაძეზე თქვა, „იმ ქაღალდის ლომს მაგონებს, რომელიც კუნთებზე იყურება".

რამდენიმე დღეა დაინყო აქცია პარლამენტთან, რომელიც მოანყეს აფხაზეთის დევნილებმა, რადგან მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. ამავე დროს მიმდინარეობს დავა კონსტიტუციის პროექტზე და, თუ როდის ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები. საერთოდ მძიმე სიტუაცია იქმნება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხელისუფლების ბრალია, რადგან თავის დროზე უდიდეს შეცდომებს უშვებდა, მაგრამ ამჟამად იმდენი შავი ძალა გაერთიანდა მის წინააღმდეგ, რომ შევარდნაძის დამხობას უარესი მოჰყვება.

დამთავრდა **ვალტერ შურღაიას** სასამართლო პროცესი. მას მიუსაჯეს 13 წელიწადი, გოჩა ოთხოზორიას, რომელიც იყო ზუგდიდის ბატალიონის მეთაური – 10 წელი. მე მას არ ვიცნობ, მაგრამ **ვალტერ შურღაია რომ ბანდიტი არ არის, და რომ მას საქართველო უყვარს, ამის მჯერა.**

2 ივლისი

გამომრჩა ერთი უდიდესი მოვლენა. 14 ივნისს ჩეჩენთა რაზმი, ასი კაცის შემადგენლობით, შევიდა სტავროპოლის მხარეში და დაიკავა ქალაქი ბუდიონოვსკი. როგორ მოახერხა ამხელა რაზმმა ამდენი კორდონის გადალახვა, საოცარია. არსებობს სხვადასხვა ვერსია, რომ ისინი მილიციელების ფორმაში იყვნენ გადაცმულნი, მაგრამ მათ სახეებს რომ შევხედე, სისულელეა, ყველას, მათ შორის შამილ ბასაევსაც, უზარმაზარი წვერი აქვთ მოშვებული და ბრგე ვაჟკაცები არიან. რაც შეეხება ბასაევს, მან თქვა, ფული რომ გვყოფნოდა, მოსკოვში ჩავიდოდითო.[1] მათ აიყვანეს მძევლები და შეყარეს საავადმყოფოში დაახლოებით 2 ათასი კაცი. ფედერალურმა ჯარებმა და სპეცნაწილებმა ორჯერ მიიტანეს იერიში, მაგრამ უშედეგოდ; შემდეგ ვიქტორ ჩერნომირდინი[2] ტელეფონით უშუალოდ დაუკავშირდა ბასაევს. პირველად ქალები და ბავშვები გამოუშვეს. მერე შეთანხმდნენ, რომ გაჰყვებოდა 150 მოხალისე, კორესპონდენტები და 10 დეპუტატი. ბასაევი დაეთანხმა და კოლონა დაიძრა ჩეჩნეთისაკენ. მართლაც, მათ გაანთავისუფლეს ყველა მძევალი.

ბუდიონოვსკიში ამ მოვლენების დროს დაიღუპა 123 კაცი. ელცინმა ამას უწოდა უდიდესი ტერორისტული აქტი. რუსეთის სახელმწიფო

[1] მაშინ ბეერს არ სჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ 2002 წელს „ნორდ-ვესტში" რაც მოხდა, ამის დასტურია.

[2] ვიქტორ ჩერნომირდინი, იმჟამინდელი რუსეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრი.

სათათბირომ უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას. ელცინი იძულებული იყო გაენთავისუფლებინა ვიცე-პრემიერი ეგოროვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ერინი, სტავროპოლის გუბერნატორი და რუსეთის უშიშროების შეფი სტეპაშინი. რუსეთი იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკება ჩეჩნებთან.

13 ივლისი

ჩემ ცხოვრებაში ეს დღეები უმძიმესი იყო, რადგან 4 ივლისს გარდამეცვალა მამა, დიმიტრი ვაჩნაძე. იგი საოცრად კარგი და წესიერი კაცი იყო, ყველას უყვარდა. ცუდი ცხოვრებაში არავისთვის გაუკეთებია, გულშიც კი არ გაუვლია. უმტკივნეულოდ წავიდა იმ ქვეყნად. დილას ეზოში ჩავიდა, უეცრად ჩაჯდა და აღარც ამდგარა. ძალიან მიყვარდა. რაც შეეხება ამ დღეებში პოლიტიკურ ცხოვრებას, „ახალ თაობაში", სადაც მამაჩემზე განცხადება იყო გამოქვეყნებული, იყო ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან. მან განაცხადა, რომ, როდესაც შევარდნაძე მეგობრობას მეფიცებოდა, მაშინ დათო ზეიკიძეს ეუბნებოდა, გამოდი ჯაბას წინააღმდეგო, ასევე არიგებდა სარიშვილსაც".

მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს ოპერაციები „მხედრიონის" წევრების წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ, თურმე, ახლა გაუგიათ რას აკეთებდა სამტრედიის „მხედრიონი" ან კიდევ ყვარელის „მხედრიონი", რომლის ხელმძღვანელი კირკიტაძე გამგებლის პირველი მოადგილე იყო. ის ამ პერიოდში დაიჭირეს და დღევანდელ „კავკასიონში" წერია, რომ მას სახლში უპოვეს 10 ცალი ავტომანქანის ძრავა და ავტომობილების კოლექცია, მათ შორის, „ნისანი", „მაზდა", „აუდი", გაზ-31, გაზ-24-10, ჟიგული 06, ერთი ბენზინმზიდი, ორი უაზი და ოთხი მოტოციკლეტი". მას ბრალი ედებაო ბევრ ყაჩაღურ თავდასხმაში. როგორ მოღვაწეობდა შევარდნაძე ამ ხალხთან ერთად, ნუთუ ადრე არ შეეძლო მათი განადგურება, მაგრამ ადრე სჭირდებოდა. სწორედ ეს ბიჭები და კერძოდ, ეს კირკიტაძე იბრძოდა თავგამოდებით მის მხარდასაჭერად. გავრცელდა ხმა, შევარდნაძე ზეიკიძეს აბრუნებსო, რომ ზეიკიძე თბილისშია და აპირებენ ტერორიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარედ მის დანიშვნას. მართლაც, საოცარი ამბები ხდება, კაცი სასიკვდილოდ გაიმეტეს, აღძრულია საქმე მის დასაჭერად. ვნახოთ, ისე ზეიკიძე რომ მართლა ვაჟკაცურად იბრძოდა დამნაშავეების წინააღმდეგ, ეს ადრეც აღვნიშნე, რაც ის წავიდა „მხედრიონმა" სულ აიშვა. შესაძლებელია, ისევ მისი გამოყენება. პირადად მე მივესალმები მის დაბრუნებას.

ამ დღეებში შუმეიკო იყო ჩამოსული. ის გახლავთ რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე. მან საკმაოდ ცუდად მოიხსენია არძინბა. ვნახოთ, რა იქნება. პარლამენტთან მიმდინარეობს ლტოლვილების აქცია. პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები დაინიშნა 5 ნოემბერს ერთდროულად.

3 აგვისტო

ამ პერიოდში პარლამენტში მიმდინარეობს კონსტიტუციის განხილვა. ძალიან საეჭვოა, რომ კონსტიტუცია მიიღონ, ძირითადი დავა არის პრეზიდენტის ინსტიტუტის გამო.

დიდი განხეთქილებაა ჯაბასა და შევარდნაძეს შორის. შინაგან საქმეთა სამინისტრო ანადგურებს „მხედრიონის" დასაყრდენებს. გუშინწინ აჩვენეს სამტრედიაში ცნობილი ძმების, ვაშაკიძეების მანქანები – ნისან-პატრულები, მერსედესები, ერთ-ერთი მათგანი ღირს 120 ათასი დოლარი. ამავე დროს, დაერივნენ ბორჯომის „მხედრიონს". ჯაბამ „ჯორჯიანიუსში" ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ თემურ-ლენგს, შაჰ-აბასს და სხვა დამპყრობლებს ისეთი ზიანი არ მიუყენებიათ საქართველოსათვის, რომელსაც უპირებს შევარდნაძეო".

დღეს გაზ. „შანსში" გამოქვეყნებულია ე. წ. „საინიციატიერო ჯგუფის" წევრთა განცხადება, რომ 6 აგვისტოს უნდა ჩატარდეს ეროვნული ყრილობა. ხელს ანერს ჯაბა იოსელიანი და სხვა დეპუტატები, ძალიან საწყენია ჩემთვის, რომ აკაკი ბაქრაძე აწერს ხელს, რადგან მისი ხელმოწერა ზოგიერთ იქ არსებული გვარების გვერდით სირცხვილია.

როცა ამ ნაწერებს წაიკითხავენ, ყველა მიხვდება, რომ მე სრულებითაც არ ვარ შევარდნაძის მომხრე, მაგრამ ამ ძალების გამარჯვება

დღეს დაღუპავს საქართველოს, რადგან აკაკი ბაქრაძესაც გამოიყენებენ და ისევ შარაგზის ყაჩაღები ითარეშებენ. მე ჰალსტუხიანი ყაჩაღები მირჩევნია, რომლებიც საკმაოდ ბევრია შევარდნაძესთან, რადგან ის მაინც ვიცი, რომ სახლში არ შემომივარდებიან და ყელს არ გამომჭრიან.

11 აგვისტო

დიდი კამათი მიმდინარეობს კონსტიტუციის გამო. პირადად **მე მომწონს ტრადიციონალისტების და ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია**, რომლებიც აიძულებენ მთავრობას და შევარდნაძეს, რომ გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ, მაგრამ, ამავე დროს, თვითონაც მიდიან დათმობებზე, რადგან სხვა გზა არ არსებობს. უკვე აღარ მესმის ის სიჯიუტე, რომელსაც იჩენს „მერაბ კოსტავას საზოგადოება", ჯაბახი მესმის, მას ყველაფერი ენგრევა, მათი მოწვეული ეროვნული ყრილობა სამასხარაოდ გადაიქცა. ღმერთმა დაიფაროს, რომ მათ გაიმარჯვონ, კიდევ გავიმეორებ, თუ შევარდნაძე ბოლოს მოუღებს ამ ბანდიტებს (მე ყველას არ ვგულისხმობ, მ. ვ.), ისევ მას დავუჭერ მხარს.

30 აგვისტო

გუშინ 16 საათსა და 30 წუთზე, როდესაც სახელმწიფოს მეთაური თავისი მანქანით მიდიოდა პიონერთა სასახლეში, რათა საზეიმოდ აღენიშნათ კონსტიტუციის მიღება, პარლამენტის ეზოში აფეთქდა მნვანე ნივთში მოთავსებული ბომბი. მასთან მანქანაში იმყოფებოდნენ ვახტანგ რჩეულიშვილი და პეტრე მამრაძე. აფეთქება საკმაოდ ძლიერი იყო. შევარდნაძე და რჩეულიშვილი მსუბუქად დაშავდნენ ჩამსხვრეული მინებისაგან. დაიწვა რამდენიმე მანქანა. ახლომახლო ყველა სახლში ჩაიმსხვრა მინები. აშკარა იყო, რომ თავდასხმა განხორციელდა სახელმწიფო მეთაურზე. მაფია, რომელიც თარეშობს საქართველოში, ახლა ცდილობს შევარდნაძის მოცილებას, მანამდე აწყობდათ, სანამ შევარდნაძე მათ არ ეხებოდა. ახლა, როცა დაიწყო „მხედრიონის" შეეიწროება, ამავე დროს, რამდენიმე ხნის წინ შევარდნაძემ ახსენა, რომ სიგარეტის ვაჭრობასთან უშიშროება არის დაკავშირებულიო და გააფრთხილა უშიშროება, ორმაგ თამაშს ნუ ეწევითო. არადა, ყველამ ყველაფერი იცის. სარიშვილმა რამდენიმე თვის წინ პირველმა ამხილა უშიშროება სიგარეტის ვაჭრობაში. აშკარად ჩანს, რომ გუშინ მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება. პარლამენტი და მინისტრთა საბჭო გუშინვე შეიკრიბნენ. დღეს პარლამენტმა განაგრძო მუშაობა, პარლამენტის უმრავლესობის ბევრ წარმომადგენელს მაგ., მანანა გიგინეიშვილს ახლა გაახსენდა, რომ, თურმე ამდენი ტერორისტული აქტი არ გაიხსნა და რომ საქართველოში ბატონობს მაფია, რომ ჯაბა იოსელიანს დაშინებული ჰყავს პარლამენტი და სხვები. ჯაბას გუშინდელი ეს აქტი შეუდარებია ნაცისტების მიერ რაიხსტაგის დაწვისთვის. ამით მან მიანიშნა შევარდნაძეს და მის მომხრეებს, რომ თქვენ თვითონ მოაწყვეთო ეს აქტი. ჩემი აზრით, რამ გამოიწვია ეს მოვლენა: შევარდნაძეს დრო აღარ რჩებოდა არჩევნებამდე და საკმაოდ გვიან დაიწყო ბრძოლა მაფიის წინააღმდეგ. ჩემი ნაწერები თითქმის მთლიანად მიძღვნილია იმისადმი, რა უბედურებებიც ხდებოდა საქართველოში. სულ იმას ვამბობდი, როგორ ითმენდნენ ამდენ დანაშაულს, ამდენ ბანდიტს, რომელთა გვერდითაც იყვნენ, ახლაც საკმაოდ არიან ისინი ყველა უმაღლეს თანამდებობაზე. გუშინ ხობის გამგებელი თემურ გერგაია დაიჭირეს ნარკოტიკებზე. თუ ეს კაცი მორფინისტი იყო, რატომ ნიშნავდნენ გამგებლად.

31 აგვისტო

გუშინ, გვიან ღამით, გაჩხრიკეს ჩემი მეზობლის **ალიკო ბოჭორიშვილის** ბინა. თურმე, ის უკვე დაპატიმრებული ჰყავდათ. ალიკო ბოჭორიშვილი იყო ჯაბა იოსელიანის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი პიროვნება და მუშაობდა შევარდნაძის მთავარ სახელმწიფო მრჩეველად სამართლის და წესრიგის დარგში. გუშინდელი აქციით აშკარად ჩანს, რომ ჯაბას ბოლო ელება.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა **ასლან აბაშიძის** წერილი შევარდ-

ნაძისადმი, სადაც ის წერს, რომ **„ეს ვერაგული აქტი იყო კულმინაცია იმ ტერორისტული აქტების მთელი კასკადისა, რომლებმაც ბევრი შესანიშნავი მამულიშვილი იმსხვერპლა – მეტის მოთმენა დანაშაულის ტოლფასია (აბსოლუტურად სწორად შენიშნავს ასლან აბაშიძე, მ. ვ.). 29 აგვისტოს აფეთქებით უნდა დაესვას საბოლოო წერტილი იმ განუკითხაობას, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში... თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული რადიკალური ზომები, შეიძლება გარდუვალი გახდეს შეიარაღებული დაპირისპირება."**

დღეს „კავკასიონში" არის ინტერვიუ **ვახტანგ რჩეულიშვილთან,** სადაც წერს – „სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით შევიტყვე, რომ პანტელეიმონ გიორგაძე უშიშროების კომიტეტის თანამშრომლების თანხლებით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოგზაურობს და სახელმწიფოს მეთაურის ლანძღვა-გინებით მისი პიროვნების დისკრედიტაციას ეწევა... ხმამაღლა ქადაგებს, რომ კომუნისტები სასტიკად გაუსწორდებიან შევარდნაძეს და მის გუნდს... მე პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ უფროსი გიორგაძე, უმცროსი გიორგაძის შემწეობით, უშიშროების კომიტეტის შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას... წყაროებზე დაყრდნობით მაქვს ინფორმაცია, რომ სახელმწიფოს მეთაურის განადგურების შემთხვევაში უკვე წინასწარ ჰქონდათ გათვლილი შეიარაღებული ფორმირებები სად და რა რაოდენობით უნდა განლაგებულიყვნენ. მათი გეგმით, აქართველოში დესტაბილიზაციის მისაღწევად სულ ოცი კაცის[1] აყვანა იქნებოდა საჭირო.

უშიშროების სამსახურის უწყება მთლიანად გამოსულა სახელმწიფო კონტროლიდან.

... არც ერთი მაქინაცია სიგარეტის ბიზნესში და სხვა არასაბიუჯეტო შემოსავლები, რომელშიც თავად გიორგაძე და მისი სამსახურია ჩარეული, არ იქნა გახსნილი".

ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ჩანს, რომ გარკვეული ვაუკაცობა ჰქონია ვახტანგ რჩეულიშვილს, რადგან იგორ გიორგაძე ისევ უშიშროების სამსახურის უფროსია და დიდი ძალა გააჩნია, მაგრამ რჩეულიშვილსა და შევარდნაძეს უნდა ახსოვდეთ, რომ ირინა სარიშვილმა ამხილა პარლამენტის სხდომაზე უშიშროება ამ ბიზნესში და აგრეთვე ის, რომ, როდესაც ეროვნულ-დემოკრატებმა რამდენჯერმე დასვეს საკითხი გამოეცხადებინათ უნდობლობა იგორ გიორგაძისადმი, სწორედ ვახტანგ რჩეულიშვილმა გააკეთა ყველაფერი, რათა ეს საკითხი კენჭისყრაზე არ გაეტანათ.

აკაკი ასათიანმა ამავე გაზეთში განაცხადა, რომ „მართალი იყო ირინა სარიშვილი, გია ჭანტურია მოკლეს და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს, ეს ხომ ცინიზმია"... შემდეგ **ასათიანი აღნიშნავს, რომ „შევარდნაძე რომ მომკვდარიყო, ქვეყანა დაიშლებოდა... საქართველო ქაოსიდან ვეღარასოდეს გამოვიდოდა".**

მთლიანად ვეთანხმები ასათიანის აზრს, რადგან ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდნენ მკვლელები და დაიწყებოდა სამოქალაქო ომი.

გაზ. „რეზონანსში" არის სტატია იგორ გიორგაძეზე სათაურით „გვაცადეთ ბატონო". ეს არის პერიფრაზი თენგიზ აბულაძის ცნობილი ფილმიდან „მონანიება", როდესაც არავიძე ამბობს – „გვაცალეთ ბატონო".

ამავე გაზეთში არის ირინას გამოსვლა პარლამენტში, სადაც მან თქვა – „რატომ ვითვლები მე შევარდნაძის მოწინააღმდეგედ, თქვენ კი მომხრეებად, მე ხომ ერთი წელია უშიშროების სამსახურს ვაკრიტიკებ, თქვენ კი მხოლოდ დღეს ამოიღეთ ხმა ამ უწყების წინააღმდეგ".

გაზ. „შანსი" 24, ინტერვიუ **პანტელეიმონ გიორგაძესთან,** სადაც ის ამბობს, რომ შევარდნაძე „არც გარდაქმნილა – იყო უპრინციპო და დარჩა უპრინციპო ხალხისათვის. მას აქვს საკუთარი პრინციპი – ეგოისტური და სადისტური".

2 სექტემბერი

გუშინ, შემთხვევით, ტელევიზორს ვუყურებდი. პარლამენტის სხდომა იყო. გამოვიდა პროკურორის მოადგილე **რევაზ ყიფიანი,** რომელმაც აღნიშნა, რომ ჯაბა იოსელიანის კაბინეტიდან ამოიღეს 600-700 ფუნტი სტერლინგი, 30 მილიონი მანეთი, ჩემი მეზობლის ალიკო ბოჭორიშვი-

[1] აქ შეცდომა დაუშვა რჩეულიშვილმა, რადგან სიმართლე თქვა, რომ შევარდნაძეს ოცი კაციც კი არ ჰყავდა ერთგული ადამიანი. შევარდნაძის მომხრე სულ 20 კაცი ყოფილა.

ლის კაბინეტიდან ამოიღეს ყუმბარები და, როცა შარვალი გახადეს, 14 ათასი დოლარი ჰქონდა. შევარდნაძის გამოსვლისას ყველას ეგონა, ის ისეთ სიტყვას იტყოდა, რომ ყველაფერს მიუზღაოდა ბანდიტებს. მან თქვა, რომ არ უნდა დაირღვეს კანონი, მოქალაქეები არ უნდა დაიჩაგრონ, მერე აფეთქებაზე ისაუბრა და დაამთავრა სესია, მაგრამ ამას გამოსვლას ვერ უნოდებ, ეს არაფერი არ იყო. პარლამენტში მოვიდა ჯაბა იოსელიანი. მას ირინამ ჰკითხა, – ბატონო ჯაბა, თქვენ საერთოდ არ გელოდით დღეს პარლამენტში, მაგრამ ჯობია, რომ ხვალვე ჩაჯდეთ ციხეში, რადგან უფრო მეტ დანაშაულს დაგაბრალებენ და რომ მას აღარ ესმის, რა თამაშს ატარებს სახელმწიფოს მეთაური". შევარდნაძემ სცადა პასუხი გაეცა ირინასთვის, მაგრამ ირინამ დაასწრო და უთხრა – ნუ ნვალობთ, თავი დაზიანებული გაქვთო.

დღეს ძალიან ვიჩხუბე ისევ ირინა სარიშვილის გამო. ჩემმა დეკანმა მითხრა, რა იყო იმ ისტერიჩკას გამოსვლაო. მე ვუთხარი, ვაი, თქვენს პატრონს, რა გელაპარაკოთ-მეთქი. სამწუხაროდ, ეს თაობა ძირითადად მონებად გაიზარდნენ.

3 სექტემბერი

დღეს დააპატიმრეს „მაშველთა კორპუსის" თავმჯდომარე გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი.

ხაჩიშვილი ხშირად მყავს მოხსენიებული, რა თქმა უნდა, დაყოვნება არ შეიძლებოდა. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს ტერაქტი მათი მოწყობილია, მაგრამ უდიდესი მაფია[1] რომ არის, ყველასათვის ცნობილია. ჯერ მარტო რუსთავის გამო უნდა დაეპატიმრებინათ ეს ორი პიროვნება.

6 სექტემბერი

დააპატიმრეს დოდო გუგეშაშვილი – „მხედრიონის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი. გუშინ გააჩერეს ჯაბა იოსელიანი და მისი ესკორტი. ჯაბას ბოდიში მოუხადეს, ხოლო მისი დაცვა დაიჭირეს. ამავე დროს, თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს „მაშველთა კორპუსის" შენობების დაკავება. დღეს „მაშველთა კორპუსის" შტაბ-ბინაში „მაშველთა კორპუსის" თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლონგი ჭელიძემ** პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი და ოპერატიული სამმართველოს უფროსის **თორნიკე ბერიშვილის** გარდა ყველა დაპატიმრებულიაო.

გუშინ ბლოკმა „არჩევნებმა" ჯაბა იოსელიანი წამოაყენა პრეზიდენტობის კანდიდატად.

დღეს ტელევიზიით გამოვიდა **შოთა კვირაია** და თქვა, მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალებაო. უნდა შექმნილიყო „ხსნის კომიტეტი", რომელსაც ჰყავდა დანიშნული თავმჯდომარე და მოადგილეები. ისინი ეყრდნობოდნენ გარკვეულ შეიარაღებულ ძალებსო. მართალია, მან არ დაასახელა „მხედრიონი", მაგრამ აშკარად მიუთითა მასზე, როცა ახსენა ბორჯომის, სამტრედიის, რუსთავის, კახეთის ამბები.

გაზ. „რესპუბლიკაში" 95-30 8 სექტემბერს გამოქვეყნდა შევარდნაძის სურათი, როდესაც ჯაბა იოსელიანი „საპატიო მხედრიონელის" ნიშანს გადასცემს შევარდნაძეს. ამავე გაზეთში გამოაქვეყნეს სანდრო შაიშმელაშვილის მამის წერილი შევარდნაძისადმი. ამავე გაზეთში არის ინტერვიუ **გურამ ფანჯიკიძესთან, სადაც ის ამბობს, რომ მძღოლს წაართვეს სამსახურის მანქანა, დავსვი ჩემს მანქანაზე – ისიც წაართვეს. ჩემ შვილს ღამით მოპარეს მანქანა, რაჭაში სახლი დამირბიეს და თხუთმეტჯერ გამიძარცვეს,**

[1] მე, რა თქმა უნდა, ყველა „მხედრიონელს" არ ვგულისხმობ, რადგან ამ ორგანიზაციაშიც იყვნენ ნესიერი და ვაჟკაცი ახალგაზრდები. დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო მათი დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი. მე არ მახსოვს, რომ იარაღით შემოსულიყვნენ კაბინეტში და ყოველთვის მონიწებით იყვნენ უნივერსიტეტის და უნივერსიტეტელების მიმართ. მახსენდება 1993 წლის შემოდგომა იყო, გამსახურდიას მომხრეებმა ხონი აიღეს და თბილისისკენ მოდიოდნენ. მე ცოლ-შვილი წამოვიყვანე ზესტაფონიდან, რიკოთთან დამხვდა 50-მდე „მხედრიონელი". ჩემს ნინ ვაზ-07 მიდიოდა მილიციის თანამშრომელი, რომელსაც წაართვეს მანქანა. შევატყვე ჩემი „ნივა" ძალიან მოეწონათ, მაგრამ, როდესაც გაიგეს რომ უნივერსიტეტის პროფესორი ვიყავი, დიდი პატივისცემით გამომშვეს.

ჩემს სიძეს მცხეთაში აგარაკი დაუწვეს, ხოლო სულ ახლახან საბურთალოს ქუჩაზე ჩემი შვილის ბინა გაძარცვეს. ამას ემატება ის თანხა, რაც ბანკ „ინოვაციაში“ გვქონდა შეტანილი“.

გურამ ფანჯიკიძეს რომ ამას გაუკეთებენ, ხომ წარმოგიდგენიათ, სხვას რა დაემართებოდა.

ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ რუსთავთან დააკავეს სამი პიროვნება, მათ შორის, პარლამენტის წევრი **მერაბ ურიდია**, რომელსაც მანქანაში აღმოუჩინეს ნარკოტიკები.

9 სექტემბერი

გუშინდელ გაზ. „დრონში“ არის ინტერვიუ „მხედრიონის“ სასწავლო რეაგირების სამმართველოს უფროსთან თორნიკე ბერიშვილთან.

კორ. – „როგორც ამბობენ, „ნივას“, რომელიც პარლამენტის ეზოში ტერორისტული აქტის დროს აფეთქდა, ახლა უკვე დაჭერილი ალექსანდრე ბოჭორიშვილის ახლობელი მართაედა. აქედან გამომდინარე, კვალმა შეიძლება უშუალოდ „მხედრიონამდე" მიგვიყვანოსო“.

10 სექტემბერი

შევარდნაძე მესტიაში იყო ჩასული. იქ უკმაყოფილება დაიწყო, დღეს ტაიმ-აუტში ვუსმენდი მის გამოსვლას და სწორად აღნიშნა. „ის მასობრივი ჩასახლება სვანებისა როგორც მოხდა, დიდი შეცდომა იყო“. ეს მართალია, რადგან სვანების, ამხელა მასა ჩასახლებულ ადგილებში დარჩა სამუშაოს გარეშე, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო ყაჩაღობას.

12 სექტემბერი

დააპატიმრეს „მაშველთა კორპუსის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლონგი ჭელიძე, რომლის სახლში აღმოაჩინეს არარეგისტრირებული „მაკაროვის“ ტიპის იარაღი.

ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ „მხედრიონი“ აღარ მიიღებდა მონაწილეობას არჩევნებში, რადგან მიმდინარეობს მისი დევნაო. დღევანდელ „ალია საქართველოდან“ დაბეჭდილია ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან, სადაც ის ამბობს – „ახლა გაახსენდათ თურმე „მხედრიონი“ ომობდაო, იარაღი აქვსო. ყველაფერი მეორდება, „მხედრიონი“ ყველა მთავრობამ გამოიყენა და ყველა მთავრობამ მოიცილა. აღარ გვინდა, ხალისი გვეცლება, ესენი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღოთ... ეგენი ლაჩრები არიან, როგორც კი დაუთმობ, უფრო გულზე მოდიან, ეგენი მხოლოდ ძალას უწევენ ანგარიშს. კომუნისტებთან და ბოლშევიკებთან საუბარს აზრი არა ჰქონდა, თუ ჯიბეში დანა არ გედო.

კორ. – „მათთან როგორ შეიძლება საერთო ენის გამონახვა“.

ჯაბა – „მაშინ ისეთივე ნაძირალა უნდა გახდე, როგორც ეგენი არიან. ამავე გაზეთში არის ინტერვიუ ჯაბა იოსელანის მეუღლესთან ქალ. სუსკიასთან, სადაც ის წერს, რომ „იგივე კვირაია, უახლესი ადამიანი, ჯაბას დანიშნული იყო, ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით. დღეს მიჭერს და გარეთ ვერ გავსულვარ. რჩეულიშვილი და კვირაია გადაარჩენს შევარდნაძეს, რომ დასჭირდეს, ისევ ჯაბა გადაეფარება. რჩეულიშვილი იცით რას ფიქრობს, ხუთი წლის შემდეგ ბებერი იქნება და მის ადგილს მე დავიკავებო... ეს პლეხანოველი ავარა ბიჭი, იმისთანა აცვენილი ვინმე იყო“.

ამავე გაზეთში ინტერვიუა **ლევან მამალაძესთან**. დიდი მედროვე ჩანს, როცა **გიგა გელაშვილზე** ესაუბრებიან, ის წერს, გიგა გელაშვილმა „თავად იცის, ვინ მისცა დავალება, რომ აქ ჩამოსულიყო“.

კორ. – „ვინ მისცა“?

ლ. მ. – „უფროსმა“.

კორ. – „ჯაბა იოსელიანმა“?

ლ. მ. – „დიახ“.

კორ. – „და რა იყო ეს დავალება“.

ლ. მ. – „რა ვიცი, წადით და გაარკვიეთ“.

ეს მამალაძე ახლა ლაპარაკობს ამას, როდესაც ჯაბას საქმე წასულია.

19 სექტემბერი

გუშინ ტელევიზიით გამოვიდა შოთა კვირაია და განაცხადა, რომ გახსნილია გია ჭანტურიას,

გია გულუას, სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობები და 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი.

ამ მკვლელობებში ძირითადად მონაწილეობდნენ ხაჩიშვილის და გიგა გელაშვილის ხალხი. როგორც აღნიშნეს, აფეთქება 29 აგვისტოს ხორციელდებოდაო ხაჩიშვილის მიერ და ამ საქმეზე დაპატიმრებულია უშიშროების კაპიტანი, გვარი არ მახსოვს, რამდენჯერ ეუბნებოდნენ შევარდნაძეს, რომ იყო ალიანსი „მხედრიონსა" და უშიშროებას შორის, რომელი მკვლელობები გაიხსნებოდა, თუ მონაწილეობდნენ უშიშროების თანამშრომლები.

23 სექტემბერი

დღეს გადმოსცეს, რომ დააპატიმრეს „ალფას" მეთაური პაპუაშვილი, რომლის სახლში იპოვეს უამრავი ასაფეთქებელი მასალა, აპარატურა და სხვა. სიტყვით გამოვიდა გენერალური პროკურორის მოადგილე რეზო ყიფიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს დაპატიმრება დაკავშირებულია ტერორისტულ აქტთანო.

ამ გამოსვლიდან აშკარად ჩანს ალიანსი უშიშროებასა და „მხედრიონს" შორის. კარგ დღეში ვყოფილვართ. კიდევ ბევრ რამეს გადავრჩით. საპრეზიდენტო არჩევნებში დაასახელეს 10 კანდიდატურა, უმეტესი არასერიოზულია. ამ კანდიდატებიდან დიდ პატივს ვცემ აკაკი ბაქრაძეს, რომელსაც მხარი დაუჭირეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, რესპუბლიკელებმა და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიებმა. ბატონი აკაკი ძალიან კარგი პრეზიდენტი იქნებოდა, როგორც ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველები ჩეხები არ არიან. რჩება ისევ რეალურად შევარდნაძე და ჯუმბერ პატიაშვილი. პატიაშვილი ყოველთვის მომწონდა თავისი ბრძოლისუნარიანობით, მაგრამ, ჩემი აზრით, ამჟამად ისევ შევარდნაძე ჯობია, როგორც ზარანდია ამბობდა, ისევ ძველი სჯობს, რადგან ახალ ხელისუფლებას ახალი ნგრევა მოჰყვება.

25 სექტემბერი

საქართველოს ისტორიაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა – ახალი ქართული ფულის გამოშვება. ეს გახლავთ ლარი. ერთი ლარი უდრის ერთ მილიონ კუპონს. მართლაც მისასალმებელია, რადგან არ არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც ფული არ ჰქონდეს. ტელევიზიით გამოვიდა ეროვნული ბანკის მმართველი ნოდარ ჯავახიშვილი. **უნდა აღინიშნოს, რომ ორი წელიწადია მუშაობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად და ძალზე საქმიანი, მცოდნე და პრინციპული კაცია – მომეწონა, მან ასეთი რამ თქვა – „ჯერ ტყუილი ჩემი ხალხისათვის არ მითქვამსო". მინდა აღვნიშნო აგრეთვე ტრადიციონალისტ ვიცე-პრემიერ თემურ ბასილიას დიდი დამსახურებაც.**

ამ ბოლო დროს გულს უხარია, რომ სიმშვიდე მყარდება. რამდენიმე დღის წინ რუსთაველზე ღამის 3 საათზე გავედი, აეროპორტში მივდიოდი. გამიხარდა, ხალხი სეირნობდა, გარეთ გამოტანილი ჰქონდათ მაგიდები და ყავას და შამპანურს მიირთმევდნენ. ასეთი რამ რამდენი ხანია აღარ მინახავს.

26 სექტემბერი

როგორც გავიგე, დაუჭერიათ ჟორჟიკა რურუა, ვერის საძმოს მეთაური, ჯაბას დაცვის ერთ-ერთი უფროსი. დღეს ოპერაცია ჩაატარეს ხობში. იქ იყო გალის „მაშველთა კორპუსი", **დათო შენგელია ხელმძღვანელობდა.** საწყობიდან ამოიღეს 70 ავტომატი და უამრავი იარაღი. შოთა კვირაია ამუშავდა, მას ხელ-ფეხი აქვს გახსნილი, რადგან დაერია უშიშროებასაც და „მხედრიონსაც". ყველა დაპატიმრება მიმდინარეობს რესპუბლიკის პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. ეს უწყება ამ წლების განმავლობაში სრულიად დამცირებული იყო „მხედრიონისა" და უშიშროების მიერ. არც კვირაია და არც ჯამლეთ ბაბილაშვილი „ანგელოზები" არ არიან, მაგრამ აშკარაა, მათ ერთგულება გამოიჩინეს შევარდნაძის მიმართ.

დღევანდელ „ალია საქართველოდან" არის ინტერვიუ ირინა სარიშვილ-ჭანტურიასთან. ამ ინტერვიუში ჩვენი აზრები დაემთხვა აკაკი

ბაქრაძეზე, სადაც ის საუბრობს პრეზიდენტის კანდიდატებზე და ამბობს, „რაც შეეხება აკაკი ბაქრაძეს, საერთოდ გაოგნებული ვარ". აბსოლუტურად სწორია, რადგან, რაც მე აკაკი ბაქრაძის გამო ჩხუბი გადამიტანია უნივერსიტეტში, ახლა კი მისმა გადაწყვეტილებამ, მართლა ირინასი არ იყოს, გამაოგნა.

ამ დღეებში ინცინდენტი მოხდა არჩევნების გამო, რადგან „მოქალაქეთა კავშირი" არიგებდა ჰუმანიტარულ დახმარებას ღა ვეტერანებმა იცოდნენ, რომ ეს მათი დახმარება იყო, და ამას აკეთებდა დანიური ფირმა, „მოქკავშირი" იყო მხოლოდ შუამავალი, მაგრამ გამოიყენეს, რომ, ვითომ, ისინი არიგებდნენ ამ დახმარებას. ამაზე იჩივლეს და უნდოდათ „მოქალაქეთა კავშირი" არ დაეშვათ არჩევნებზე. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, რამდენიმე დღის წინ ვეტერანების შეკრებაზე ტელევიზიით თქვეს, რომ მხარი დავუჭიროთ „მოქალაქეთა კავშირს", რადგან მხოლოდ ისინი გვაძლევენ ჰუმანიტარულ დახმარებასო. მახსოვს, რამდენიმე თვის წინ საწყალმა მამაჩემმა აიღო დახმარება, უფრო სწორად დედაჩემი გაიპარა და აიღო ორი კილო შაქარი და ბრინჯი, რადგან მამაჩემი იყო სამამულო ომის ვეტერანი, არიგებდა დოცენტი პაატა სურგულაძე „მოქკავშირიდან", რომელიც ჩვენი ისტორიის ფაკულტეტის თანამშრომელია. მაშინ არავის უთქვამს, რომ ეს დახმარება დანიიდან იყო.

ისე, აშკარად ჩანს, რომ შევარდნაძეს ვერავინ აჯობებს. „მოქკავშირი" ძალიან კი ბაქი-ბუქობს, მაგრამ მხოლოდ შევარდნაძის იმედზე არიან. „მოქკავშირში" კარგი ხალხიც არის, მაგრამ იმდენი ნაგავია, რომლებიც მშიერ ნაგაზებს ჰგვანან, ოღონდ თანამდებობები მიიღონ და გაძღნენ. სწორად შენიშნავდა დღეს „ალია საქართველოდან" იზა ორჯონიკიძე – „გული მწყდება, რომ იქ ბევრი არაჩვეულებრივად კარგი ხალხია, მაგრამ ყველა დიდი კაცის ჩრდილს უამრავი პატარა კაცი აემგზავრება ხოლმე და მაგალითად გია ბარამიძე მოიყვანა, რომ ეს ახალგაზრდა ოციანი წლების პათოსით ცხოვრობს და ლაპარაკობს იმისთვის, რომ ილაპარაკოს. ისინი იქ იმიტომ არიან, რომ სადმე დასხდნენ".

ჩემი პირადი არჩევანი რომ იყოს, არ დავფიქრდები და ერთადერთ ადამიანს მივცემდი ხმას პრეზიდენტობაზე – ალბათ, მკითხველი, ვინც წაიკითხავს ამ ჩემს ჩანაწერებს, იმწუთშიეე მიხვდება, რომ ეს ირინაა სარიშვილი. სამწუხაროდ, ისევ შევარდნაძეს უნდა მივცე ხმა, რადგან, ვიმეორებ, დანარჩენი, თუ არ ჩავთვლით პატიაშვილს, ყველა უვარგისია. რაც შეეხება პარტიებიდან, ხმას მივცემ ეროვნულ-დემოკრატებს. მართალია, გიას დაღუპვის შემდეგ, როგორც მეჩვენება, ისეთი მტკიცე არ არის ეს პარტია, მაგრამ თავისი ზუსტი პოზიციით და არა მერყეობით, რომელსაც ხშირად, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოდ აბრალებენ ამ პარტიას და ისინი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგანან. ჩემი ზრით, მეორე პარტია არის ტრადიციონალისტების, მართალია ხშირად მერყეევი პოზიცია ახასიათებთ, მაგრამ, ნუ დავივიწყებთ, რომ ეს პარტია გამოსულია და დაარსებულია „მრაგვალი მაგიდის" მიერ და საკმაოდ რეალური მიზანი აქვთ. მესამე პარტია, ჩემი აზრით, „რესპუბლიკელები" არიან, სადაც ძალზე დიდი ინტელექტუალური ძალები არიან თავმოყრილი და 10-15 კაცი რომ გახდეს ამ პარტიიდან პარლამენტის წევრი, სრულიად საკმარისია.

30 სექტემბერი

დღეს დაიჭირეს მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი. როგორც აღნიშნული იყო, მას უპოვეს ნარკოტიკები და ოპიუმის ზემოქმედების ქვეშ იყოო. ვერაფერს ვიტყვი, რადგან ზუსტად არ ვიცი, იღებდა თუ არა ნარკოტიკებს ჟორჟოლიანი.

დღევანდელ „რეზონანსში" არის სტატია „შაშიაშვილი არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს". **თემურ შაშიაშვილი** სწორად ამბობს, „რატომ არის, რომ ბაზრების, ხორცკომბინატების, ჩაის ქარხნების ყოფილი დირექტორები, რომლებიც წლების განმავლობაში ძარცვავდნენ ქვეყანას, დღესდღეისობით სარგებლობენ დიდი მხარდაჭერით და მაღალ თანამდებობაზე სხედან... ჯაბა იოსელიანმა პასუხი უნდა აგოს იმ პატარა ბიჭების წინაშე, რომლებიც სისხლისმსმელებად და ნარკომანებად იქცნენ. მან თქვა, რომ ის, იოსელიანი და ვაშაკიძე ლამის ხელით შეეხნენ ერთმანეთს მასთან კაბინეტში, როდესაც განაცხადა,

რომ „მხედრიონი" ქალაქისათვის ზედმეტი ძალა იყო".

გაზ. „კავკასიაში" სწორედ შაშიაშვილის ინტერვიუა, სადაც ასევე სწორად შენიშნავს – „შეაგონეთ ხელოვნების წარმომადგენლებს, პოეტებს, ენათმეცნიერებს, ექიმებს და მსგავსი სპეციალობის ხალხს, რომლებიც კენჭს იყრიან, თავიანთი საქმე აკეთონ". აბსოლუტურად ვეთანხმები, რა უნდათ მათ პარლამენტში. გაზ. „საქართველოს პარლამენტში" № 12 არის სტატია **იგორ გიორგაძეზე**.

გუშინდელ „კავკასიონში" არის ინტერვიუ შევარდნაძესთან, სადაც გიორგაძეზე წერს და არის იგორ გიორგაძის ღია ბარათი შევარდნაძისადმი.

დღევანდელ „საქართველოს პარლამენტში" მოტანილია საბუთი, თურამდენი სიგარეტი შემოდიოდა გიორგაძის თაოსნობით საქართველოში. „უშიშროების სამსახურის შეფი რომ სიგარეტის ბიზნესს აკონტროლებდა საქართველოში, ამის შესახებ საზოგადოებამ გაკვრით თუ ირიბადაც იცოდა". სასაცილოა, თითქოს პირველად გაიგესო, ირინა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სულ ამას გაიძახოდნენ, მაგრამ ვინ უჯერებდა.

ამავე სტატიაში გიორგაძეს ბრალს სდებენ, რომ ფარავდა ხაჩიშვილს. ახლა გაახსენდათ, ესეც სასაცილოა. მართლაც სასაცილო სტატიაა, მოკლედ, ვახტანგ რჩეულიშვილი გმირად ჰყავთ წარმოჩენილი.

10 ოქტომბერი

ძალიან მიჭირს წერა. დღეს უნივერსიტეტში ვიყავი, მეორე კორპუსის ნახევარი მთლიანად დაინვა.

რამდენიმე დღის წინ მაღლივ კორპუსში გაჩნდა ცეცხლი. ის უმნიშვნელო იყო, ახლა კი ძალზე დიდი ზარალია. დღეს შიგნით არ შეგვიშვეს, ხვალ დილით შევალთ.

გუშინ ბაქოში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ნავთობსადენი გაივლის რუსეთსა და საქართველოზე. ალბათ, ეს ყველაზე კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან რუსეთი მაინც არ მოგვეშვება. რაც შეეხება იგორ გიორგაძეს, ის რუსეთში იმალება, მასზე სანქცია არის გაცემული, მაგრამ, არა მგონია რუსეთმა ის გადმოგვცეს. გამოქვეყნდა იგორ გიორგაძის ღია წერილი შევარდნაძისადმი. მან აღნიშნა, რომ კვირაია ჯაბამ დანიშნა ცნობილი მოსკოველი ქურდის **გივი ბერაძის** თხოვნით. ეს არ უარყო ჯაბამ.

ვკითხულობ 7 ოქტომბრის „კომსომოლსკაია პრავდას", სადაც არის ინტერვიუ იგორ გიორგაძესთან. ის ბრალს სდებს შევარდნაძეს, თვითონ მოიწყო აფეთქებაო.

16 ოქტომბერი

შეიქმნა ბლოკი XXI საუკუნე. ლიდერები – **ვახტანგ ბოჭორიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, გოგი გაჩეჩილაძე**. რა თქმა უნდა, ისინი სწორად აკეთებენ, რომ მონაწილეობას იღებენ არჩევნებში. მე პირადად შეცდომად მიმაჩნია თენგიზ კიკაჩეიშვილის და „მრგვალი მაგიდის" პოზიცია, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. დღევანდელ ხელისუფლებას მეტი რა უნდა.

ჩემი აზრით, არჩევნებში ამ ბლოკს თავისუფლად შეუძლია გადალახოს 5%-იანი ბარიერი და შეიძლება მეტიც.

18 ოქტომბერი

არ მქონდა 28 სექტემბრის გაზ. „კავკასიონი", სადაც არის იგორ გიორგაძის ღია წერილი შევარდნაძისადმი.

გიორგაძე წერს, „მე მტკიცედ მწამს, რომ XXI საუკუნეში საქართველომ არ უნდა შეაბიჯოს ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, არც მამაჩემის, პანტელეიმონ გიორგაძის, რომელიც საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელია, არც თენგიზ კიტოვანის და არც ჯაბა იოსელიანის მეთაურობით". ის ბრალს სდებს შევარდნაძეს, რომ სოხუმის ევაკუაცია არ მოხდა და რომ საქართველოს მოსახლეობის ორმა პროცენტმა ჩაიგდო ხელში მთელი სიმდიდრე. „კარგად უწყით, რომ თქვენს გარშემო არის ხალხი, რომლებსაც დასავლეთში „მისტერ 25% ეძახიან". თქვენთვის ცნობილია, რომ პურპროდუქტების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ორი კვირა ატლანტიკსიტიში რულეტკას არ მოსცილებია და ათი ათასობით დოლარი წააგო". გიორგაძე ბრალს სდებს

შევარდნაძეს სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაშიც. ის ბრალს სდებს კვირაიას, რომელიც ცნობილმა კანონიერმა ქურდმა გივი ბერაძემ დაანშნინა იოსელიანს (შემდგომ ინტერვიუში ჯაბა იოსელიანმა დაადასტურა ეს ცნობა, მ. ვ.).

მეტი კითხვა აღარ შემიძლია. მართლაც ძნელია ამის კითხვა, როგორ არჩევდა ასეთ ხალხს შევარდნაძე.

გუშინდელ „კავკასიონში" კი არის ინტერვიუ **დავით ზეიკიძესთან**, რომელიც დღესაც ძებნილია, მაგრამ ჟურნალისტებმა ინტერვიუ აიღეს სოფ. მუხრანში, მის სახლში.

კორ. – „რატომ უნდოდათ თქვენი და ივანოვის[1] მოცილება".

დ. ზ. – „ერთადერთი რეგიონი, სადაც მაშინ ფეხი ვერ მოიკიდეს, თბილისი იყო (ამაში ზეიკიძე სწორია, მ. ვ.)".

კორ. – „რატომ დასჭირდათ ხაჩიშვილს და გიორგაძეს გულუას თავიდან მოცილება".

დ. ზ. – „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვქონდა უთანხმოება, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ გია გულუას გავლენის ქვეშ მოქცევა ძნელი საქმე იყო. იგი კურირებდა რკინიგზაზე ტრანსპორტს, აეროპორტს, ხედავდა, ვის რა გაჰქონდა რესპუბლიკიდან და რა შემოჰქონდა. გულუა არ მიიჩნეოდა მათ კაცად და ხელს უშლიდა მაფიოზებს, სანამ გულუა იქნებოდა, ყოველთვის საფრთხე ელოდა ტვირთს, სანამ გიას მოკლავდნენ, უამრავჯერ „გაირჩა" საქმე მის კაბინეტში, როცა დარნმუნდნენ, რომ მისი დამორჩილება არც ისე ადვილი იყო, მოიცილეს".

გუშინ ოფიციალურად ხელი მოენერა საქართველოს კონსტიტუციას.

გუშინდელ „ალია საქართველოდან" არის ინტერვიუ ვახტანგ რჩეულიშვილთან. საზიზღარი ინტერვიუა, არ შეიძლება ყოველთვის თავის გამოჩენაზე ილაპარაკო, როდესაც ყველამ იცის, ვინ არის რჩეულიშვილი.

დააპატიმრეს საქართველოს რკინიგზის უფროსი რემი ვაშაკიძე. მის დაპატიმრებას სხვებიც მიპყვებიან, რადგან მისთვის ცნობილია, ვის რა გაჰქონდა საქართველოდან.

22 ოქტომბერი

დამირეკა ჩემმა ყოფილმა მეზობელმა **გია კობახიძემ** და მთხოვა მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვყოფილიყავი. მე საერთოდ არ მინდოდა აქტიური მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი, რადგან თვითონ ნესიერი კაცია და ეკუთვნის დეპუტატობა. ამავე დროს, იმოქმედა ჩემმა სიმპათიამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისადმი.

„მრგვალმა მაგიდამ" – ეს კიკაჩეიშვილის მხარე გახლავთ, გარიცხეს „მრგვალი მაგიდიდან" **ელიზბარ ჯაველიძე, ბეჟან ჯავახია, ბიძინა** გიორგობიანი და სხვები, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში.

დიდი ხანია არაფერი დამიწერია ჩეჩნეთზე, იქ თითქოს მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ **ამ რამდენიმე დღის ნინ რუსებმა დაბომბეს მშვიდობიანი სოფლები. 30 ადამიანი დაიღუპა. მერე ტანკებიდან ესროლეს ამ სოფლებს. გული შემიწუხდა, აჩვენეს სანყალი დაღუპული ბავშვები.**

შევარდნაძე არ წავიდა გაერთიანებული ერების 50 წლის იუბილეზე, რომელსაც ყველა სახელმწიფოს მეთაური ესწრებოდა. აშკარად ეშინიათ, რამე არ მოხდეს საქართველოში. გაიმართა „მოქავშირის" შეკრება, სადაც **ზურაბ ჟვანიამ** განაცხადა, რომ შევარდნაძეზე კიდევ არის მოსალოდნელი თავდასხმა. მან წყაროდ დაასახელა ირაკლი ბათიაშვილი, რომელმაც პრესკონფერენცია გამართა, სადაც დაადანაშაულა რუსეთის სპეცსამსახურები. ჟვანიამ თქვა, რომ გამსახურდია ისე საშიში არ იყო გროზნოში, როგორც გიორგაძე რუსეთშიო. გიგა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ 100, 150 კაცი ჩავიდეთ და პიკეტები მოვაწყოთ მოსკოვშიო („ახალი თაობა" 63, 20 ოქტომბერი).

---

[1] პოლკოვნიკი ბორის ივანოვი მუშაობდა ზეიკიძის მოადგილედ. საოცარი დამთხვევაა, 2006 წლის აგვისტოში გენერალი ბორის ივანოვი ჩამოსული იყო მოსკოვიდან და დააპატიმრეს, ნარკოტიკი ედო ჯიბეშიო. კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ებრძოდა ნარკოტიკების გამსაღებლებს. რა თქმა უნდა ეს საბაბი იყო. ხელისუფლებას ეჭვი ჰქონდა, რომ მას კავშირი ჰქონდა ემზარ კვიციანთან. რამდენიმე ხნის შემდეგ ის გაანთავისუფლეს.

23 ოქტომბერი

20 ოქტომბრის გაზ. „დრონში“ პროკურატურის პრესცენტრმა, ფაქტობრივად, ბრალი **დასდო დავით ზეიკიძეს** და **ბორის ივანოვს** ქურდაძის მკვლელობაში. ამ დროს ზეიკიძე კენჭს იყრის დეპუტატობაზე. ამ განცხადებაში ჩამოთვლილია ფაქტები, თუ როგორ გადაჰყავდათ პატიმრები ზეიკიძის დროს ბადრაგით და რამდენი იქნა მოკლული ხალხის მიერ ლინჩის წესით და ამის შესახებ იცოდა ზეიკიძემ, ამის შესახებ მას აფრთხილებდაო ქურდაძე.

ჩემი აზრით, თუ ამაში დებენ ბრალს ზეიკიძეს, მართალია, მას როგორც პოლიციის უფროსს, თვალი არ უნდა დაეხუჭა ასეთ ამბებზე, როდესაც ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრობ, მაგრამ **არაკაცები კლავდნენ, ყელს ჭრიდნენ** და **აუპატიურებდნენ ბავშვებს, ქალებს** და, **არ ვიცი, კიდევ რა საზიზღრობას სჩადიოდნენ** და, **როდესაც ამ დანაშაულის გამო მათ დაიჭერდნენ, პოლიციას აიძულებდნენ, რომ ისინი გაენთავისუფლებინათ. მე მახსოვს ერთი – მკვლელები, ვითომ არაფერი გაუკეთებიათ იყვნენ მოხსენიებულნი ამ განცხადებაში. მშვენივრად მახსოვს, მათ ქუჩაში ორი პატიოსანი გოგო გააჩერეს, ძალით ჩასვეს მანქანაში, გაიყვანეს საბურთალოს ბოლოში, გააუპატიურეს და სასტიკად მოკლეს. ამ გოგონების ახლობლებმა გააჩერეს პოლიციის მანქანა, რომლითაც ეს მკვლელები გადაყავდათ და, დახოცეს იქ, სადაც მათ ორი უდანაშაულო გოგო მოკლეს. რატომ შეუშლიდა ზეიკიძე მათ ხელს, მით უმეტეს, მან მშვენივრად იცოდა, რომ ამ მკვლელებს გამოუჩნდებოდნენ პატრონები და მაინც გარეთ აღმოჩდებოდნენ.**

ჩემი აზრით, ეს არის მხოლოდ არჩევნების წინა შოუ, რადგან არ უნდათ რომ ზეიკიძე გავიდეს დეპუტატად.

24 ოქტომბერი

გაზ. „ალია საქართველოდან“ – ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან.

რ. ა. – „მაშინ, როცა შევარდნაძე გყავს, პატიაშვილის პრეტენზია პრეზიდენტობაზე ეს იგივეა, მე რომ ვუთხრა რუსთაველს, ადექი შენი სკამიდან, მე უნდა დავჯდე-მეთქი. აკაკი ბაქრაძე სოფლის სკოლის დირექტორიც ვერ იქნება, სკოლის მასწავლებელი შეიძლება გახდეს, როცა საზოგადოებას ყველაზე ძალიან უჭირდა, ის მაშინ დაიმალა ჩირგვებში და ახლა გამოყო თავი“. რა უნდა ელაპარაკო რეზო ამაშუკელს, როცა ამას ლაპარაკობს ან კიდევ, როცა წერს, „დავუფიქრდეთ – სამი წელია, რაც საქართველო შევარდნაძის პურს ჭამს“.

გაზ. „რეზონანსში“ 24, 25, ნერია, რომ „18 ოქტომბერს მოსკოვის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში **იგორ გიორგაძეს** არაორაზროვნად განუცხადებია საკუთარი გეგმების შესახებ, **თუ შევარდნაძე ერთ კვირაში არ მოხსნის თავის კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებში, მე ვიტყვი, თუ რატომ მომანიჭეს გენერალლეიტენანტის სამხედრო წოდებაო“.**

„ახალ თაობაში“ კორ. ეკითხება შევარდნაძეს – გიორგაძე რატომ არ იქნა გადაყენებული ტერაქტამდე.

ე. შ. – „მხოლოდ ეჭვების საფუძველზე არ შეიძლება ადამიანის გადაყენება, მე არ მეგონა, რომ ასეთ მდგომარეობაში ვინმე წავიდოდა ამ ნაბიჯზე. მე არ მეგონა, რომ გიორგაძე ამის გამკეთებელი იყო“.

ამავე გაზეთში მამუკა გიორგაძეს ეკითხებიან – რას იტყვით იგორ გიორგაძეზეო.

მ. გ. – „ჩემზე კარგად იცოდა ედუარდ შევარდნაძემ, ვინ იყო იგორ გიორგაძე. ჩემზე მეტი ინფორმაცია ჰქონდა და იცნობდა ამ პიროვნების ბიოგრაფიას და წარსულს, ამ ადამიანის მიზნებს, მის რეკომენდატორსაც“.

ჩემი აზრით, საკმაო ძალას იძენს ბლოკი XXI საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება.

2 ნოემბერი

გუშინ გია კობახიძეს გავყევი დიდ დიღომში. შეხვედრა ჰქონდა ამომრჩევლებთან. მე მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვარ.

გიას იმიტომ გავყევი, რომ ნამდვილად წესიერი კაცია და კარგი პოლიტიკოსიც არის, აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატია. ჩემს გარდა

ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ მაია კობახიძე – კულტურის მინისტრის მოადგილე და კახა ქორიძე, განათლების მინისტრის მოადგილე. შეხვედრას ძირითადად მასწავლებლები ესწრებოდნენ. გიას გამოსვლა ყველას მოეწონა. ძალიან კარგად გამოვიდა კახა ქორიძე, რომლის რეფორმას განათლების სისტემაში ამუხრუჭებენ. მასწავლებლები გამოვიდნენ და ძალიან ცუდად ახსენებდნენ **თამაზ კვაჭანტირაძეს.** საერთოდ, ბევრს არ ვწერ არჩევნებზე, რადგან ხშირად ის ცილისწამებაში გადადის. შევარდნაძის გარემოცვას კი ჭკუა სულ არა აქვს. დაიწყო სოლიკო ხაბეიშვილის პროცესის ბეჭდვა. უნდათ, რომ პატიაშვილი დაადანაშაულონ. მთელი სერიები დაიბეჭდა ამის შესახებ, მაგრამ მერე გაზ. „რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ყოფილი გენერალური პროკურორის, ვახტანგ რაზმაძის წერილი ხაბეიშვილის საქმეზე და ყველა ეს პუბლიკაცია წყალში ჩაიყარა.

შეტევა პატიაშვილზე გრძელდება. დღეს „კავკასიონში" არის შოთა გორგოძის წერილი 9 აპრილის შესახებ, სადაც ის ბრალს სდებს პატიაშვილს, რადგან პატიაშვილმა გაზ. „შანსში" ბრალი დასდო გორგოძეს, რომ მან შეცვალა გეგმა.

ზოგი ისეთ „პადხალიმობაზე" მიდის, რომ გაოცდები. ჩვენთან ერთი თანამშრომელია, ვაჟა ბერიძე, რომელიც, ამავე დროს, სახელმწიფო მეთაურის აპარატში მუშაობს, მან გაზ. „გულანში" დაწერა სტატია „აბსურდის თეატრი", სადაც ქვესათაურად უწერია **„აფხაზეთის ომი – საქართველოს უბრწყინვალესი ფურცელი".** რაზე უნდა ვილაპარაკო! გაზ. „ახალი თაობა" 69-ში ინტერვიუა ლოთი ქობალიასთან, ის წერს, **„ამ ხელისუფლებისათვის, საჭიროებისამებრ, ხან ბატონი ლოთი ვიყავი, ხან ყაჩაღი. შექმნეს ისეთი ილუზია, თითქოს აფხაზეთის ომში გამარჯვება მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული. კი მაგრამ, ეს ხელისუფლება ბანდიტი და ყაჩაღი ქობალიას იმედად იწყებდა ომს და მის იმედზე აპირებდა გამარჯვებას? რასაკვირველია, არა, ეს ჩემი გაფეტიშება იმიტომ დასჭირდათ, რომ ჩემთვის, პრეზიდენტისათვის (გულისხმობს, რა თქმა უნდა, გამსახურდიას, მ. ვ.) და საერთოდ, ეროვნული მოძრაობისათვის დაებრალებინათ თავიანთი ღალატიც და დანაშაულიც".**

საოცარია, ამავე დღის გაზ. „ალია საქართველოდან" სტატიაში სათაურით „მილიციის შეფის თვალით დანახული 9 აპრილის ღამე" თბილისის მაშინდელი მილიციის უფროსი რომან გვენცაძე აქებს პატიაშვილს მაშინ, როცა მისი ყოფილი მინისტრი მას ბრალს სდებს. აქ ის სწორად წერს, რომ შემოქმედებითი ინტელიგენცია ატყუებდა პატიაშვილს, რომ, ვითომ მოლაპარაკებას ანარმოებდა და მხოლოდ ლევან სანიკიძე მივიდა".

ამავე გაზეთში გია ჟორჟოლიანმა „მოქალაქეთა კავშირს" უწოდა „ბოლშევიკური ორგანიზაცია", არადა, გია იყო ამ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

4 ნოემბერი

გადაცემა „აუდიენცია"-ში შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროკურატურაზე დაყრდნობით, გადმოსცა, თავს ვიკავებდითო, რადგან უდანაშაულობის პრეზუმცია არ გვაძლევს ამის უფლებასო, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების ნინაშე 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით ახალი გვარები უნდა ვთქვათო და აჩვენეს **ჯუმბერ პატიაშვილი და რომ შევარდნაძის დალუპვის შემდეგ ის უნდა ჩადგომოდაო სათავეში „ხსნის კომიტეტს" და რომ ის ჩადიოდაო მოსკოვში ეგორ ლიგაჩოვთან[1] და რომ ის დაკავშირებული იყო იგორ გიორგაძესთანო, მერე ჯაბა აჩვენეს, ამ დღეებში დავიჭერთო.**

გავოგნდი, საშინელებაა, არჩევნების ნინა დღეს პატიაშვილს ბრალი დასდო შევარდნაძის ნინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობაში. ეს აბსურდია და ამას ვერავინ დამაჯერებს, მაგრამ ასეთი საზიზღარი განცხადებით უფრო უარესს აკეთებენ, ამათ ჰგონიათ, რომ კარგს აკეთებენ შევარდნაძისათვის, მაგრამ, პირიქით. მე ვაპირებდი შევარდნაძისთვის ხმის მიცემას, მაგრამ აღარავის აღარ მივცემ ხმას, არაფრის გაგონება აღარ მინდა.

---

[1] ლიგაჩოვს ადრე დიდი ძალაუფლება ჰქონდა, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო. ამ დროს მას არაკითარი ძალაუფლება არ გააჩნდა რუსეთში. ესეც არ იცოდა შს სამინისტრომ. მთავარი იყო, რომ დაედანაშაულებინათ ჯუმბერ პატიაშვილი.

ჩემი აზრით, რომელი პარტია გავა არჩევნებში და რამდენ პროცენტს მიიღებენ.

1. მოქალაქეთა კავშირი – 10-12%.

2. ედპ – 12-14%.

3. ტრადიციონალისტები – 8%.

4. სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი – 6%.

5. ბლოკი XXI საუკუნე – 10%.

6. შეიძლება გავიდეს სოციალისტური ან რეფორმატორთა კავშირი. „პროგრესი" და „თანადგომა" ვერ გავა.

მაჟორიტარულ არჩევნებში ვერც ერთი ე. წ. ინტელიგენციის ნარმომადგენელი ვერ გავა.

ტელევიზიით სპეციალურად პატიაშვილის წინააღმდეგ საშინელ კადრებს აჩვენებენ 9 აპრილთან დაკავშირებით. ფიქრია ჩიხრაძე გამოიყვანეს და მან თქვა, „დიდი დრო გავიდა, მაგრამ არ დაგვავიწყდება 9 აპრილი". მერე ელდარ შენგელაია გამოიყვანეს, მაგრამ გული ძალიან მწყდება ფიქრიაზე.

ასევე მეწყინა, რომ ნიკო ნიკოლოზიშვილი, ახალგაზრდული საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე გახდა, თედო ისაკაძე კი – რაჭა-ქვემო სვანეთის რწმუნებული. ეს იყო ის ახალგაზრდა გაუხრწნელი თაობა და, მე მგონი, ისინიც გახრწნეს. არ ვიცი, შეიძლება მეშლება, მაგრამ ჩინოვნიკებად იქცნენ, შეიძლება მოხვიდე თანამდებობაზე და, ქვეყნისთვის ბედნიერება არის, როცა ასეთი წესიერი და ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან თანამდებობებზე და მე ამაზე ყოველთვის ვნერდი, მაგრამ ითანამშრომლო აფერისტებთან, გაიძვერებთან, იმ ხალხთან, ვინც მათ აგინებდა, იმ თაობის კომუნისტებთან, რომლებიც ყოველთვის ახშობდა მათ ხმას, მე ამორალურად მიმაჩნია, თუ მომეცა საშუალება, მინდა შევხვდე ფიქრიას.

მე დამავიწყდა ბლოკი „აფხაზეთი ჩემი სახლია". წესით, მათ უნდა გადალახონ 5%-იანი ბარიერი, მაგრამ, არა მგონია ლტოლვილებმა ნადარეიშვილს მისცენ ხმა, ამიტომ ეს ბლოკი ვერ გავა.

დაბოლოს, პრეზიდენტად გავა შევარდნაძე, მაგრამ არც ისე ადვილად, როგორც ჰგონიათ მის მომხრეებს, რადგან პატიაშვილს საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს.

მთლიანად პარლამენტში ეროვნულ-დემოკრატები მოიპოვებენ დაახლოებით 20%-ს და შეიძლება მეტსაც. მე ვგულისხმობ ორივეს, პარტიულ და მაჟორიტარებსაც, სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი ორივე სიით გადალახავს 10%-ს, **„რესპუბლიკელები", რომლებიც ინტელექტუალური ძალაა, ვერ გადალახავს 5%-ს.**

„მოქალაქეთა კავშირი" მაჟორიტარებთან ერთად 18-20% აიღებს.

5 ნოემბერი

დილით მივდივარ საბურთალოს რაიონში, რადგან გია კობახიძის ნდობით აღჭურვილი პირი ვარ და უნდა შევამოწმო, რომ ხმები არ გააყალბონ. **ჩაყრის დროს ისევ ვფიქრობდი, ვის მივცემდი ხმას პრეზიდენტობაზე. ვიფიქრე, ვიფიქრე და, ალბათ ხმას მივცემდი ასლან აბაშიძეს.**

6 ნოემბერი

გვიან ღამით გამოვედი. ჩემი მეუღლე მთაწმინდის რაიონში იყო დამკვირვებლად. იქ ჩემი მეგობარი **ლერი გამრეკლიძე** იყრიდა კენჭს. ერთ-ერთ უბანში, სადაც ჩემი მეუღლე იყო, შევარდნაძემ მიიღო 1200 ხმა, პატიაშვილმა – 400, ბაქრაძემ – 95. საერთოდ, ალბათ, ასე იქნება – შევარდნაძე მიიღებს 70%, პატიაშვილი – 25%. ამაზე ვესაუბრებოდი სწორედ ოთარ მელქაძეს და კათედრის გამგეს სანდრო ლაშხს პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან. მეტი ჯერ არაფერია ცნობილი, მაგრამ ერთი მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ორგანიზებულად მოქმედებს „მოქალაქეთა კავშირი", ედპ და ტრადიციონალისტთა კავშირი.

9 ნოემბერი

გაზ. „რეზონანსში" გამოქვეყნებულია საპარლამენტო არჩევნების შედეგები. „მოქალაქეთა კავშირი" – 23,35%, ედპ – 7,94%. აღორძინება – 7,03%.

მარტო ეს სამი პარტია გავიდა. XXI საუკუნე – 4,29%,[1] ტრადიციონალისტური – 4,18%, სო-

[1] როგორც შემდეგ აღმოჩნდა, განსაკუთრებით გაუყალბეს არჩევნები XXI საუკუნეს და ტრადიციონალისტებს.

ციალისტები – 3,84%, ერთიანი კომუნისტური პარტია – 4,62%, დანარჩენებს შანსიც არ ჰქონდათ. რესპუბლიკელებს – 1,66%, უფრო ნაკლები, ვიდრე წერეთლის პარტიას – 1,86%. 54 ბლოკიდან და პარტიიდან 53-ე ადგილზე არის ჯაბას „არჩევნები". პრეზიდენტი შევარდნაძე – 72,9%, პატიაშვილი – 19,1%, ბაქრაძე – 1,4%, ღარიბაშვილი – 0,5%, გიორგაძე – 0,5%, ლიპარტელიანი – 0,4%. შევარდნაძეზე შევცდი – 2,9%, პატიაშვილზე – 5%. „მოქკავშირზე" შევცდი – 3%, „აღორძინების კავშირზე" – 2%. მეგონა, რომ ამათ გარდა გავიდოდნენ ტრადიციონალისტები და XXI საუკუნე. ზუსტად განვსაზღვრე რესპუბლიკელების ბედი. საერთოდ შეცდომა იყო, რომ გაერთიანდნენ „რესპუბლიკელები", ქარტია 91, სახალხო ფრონტი და განსაკუთრებით შეცდომა იყო, როცა თავმჯდომარედ აირჩიეს ნოდარ ნათაძე, რომელიც, მიუხედავად თავისი ხალასი გონებისა, არ ტოვებს ხალხში სერიოზული კაცის შთაბეჭდილებას, ამას ერთვოდა მათი არაორგანიზებულობა. როგორც აღვნიშნე, ინტელიგენციის ე. წ. „ელიტამ" მარცხი განიცადა. ვაკის რაიონში ვერ გავიდა გიგა ლორთქიფანიძე, რომელიც პარლამენტში პარტიული სიით მოხვდება.

ძალიან გამიხარდა, რომ ვერ მოხვდა სოციალისტური პარტია – რჩეულიშვილის მეთაურობით, რომელთანაც კენჭს იყრიდა ჭაბუა ამირეჯიბი. დამწყდა გული, რომ ვერ გავიდა „ტრადიციონალისტები", რა თქმა უნდა, ვიმეორებ, დამწყდა გული „რესპუბლიკელებზე", სადაც რამდენიმე კაცს მართლა ეკუთვნის დეპუტატობა, მაგრამ ადრე დავწერე, რომ დათო ბერძენიშვილის და დიასამიძის უდიდესი შეცდომა არის მათი ფანატიკური სიძულვილი ასლან აბაშიძისა, რადგან, როცა პოლიტიკოსი ხარ, არ შეიძლება ადამიანის მოღვაწეობაში ხედავდე მხოლოდ ცუდს.

საბოლოო შედეგები არ გამოქვეყნებულა, რადგან 41 ოლქში უნდა ჩატარდეს მაჟორიტარული არჩევნები. ვნახოთ, რა იქნება. ისე ძალიან ცუდია, რომ მხოლოდ სამი პარტია შევიდა პარლამენტში და გარეთ დარჩა ძალიან დიდი ოპოზიცია, რომელიც, რა თქმა უნდა, გაერთიანდება.

27 ნოემბერი

5 ნოემბერს, ღამის 3 საათზე საკუთარ სახლში დააპატიმრეს ჯაბა იოსელიანი. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა შოთა კვირაია. ამბობენ, ის ნასვამი იყოო, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით. საარჩევნო კომისიაში ეს საკითხი განიხილეს და მოითხოვეს მისი განთავისუფლება, რადგან ის ჯერ კიდევ ითვლებოდა დეპუტატობის კანდიდატად, სანამ ოფიციალურად არ გამოაქვეყნებდნენ არჩევნების შედეგებს, არადა, აღმოჩნდა, რომ უნდა დაემტკიცებინათ შედეგები იმ დღეს. „მოქალქეთა კავშირმა გააკეთა განცხადება, კერძოდ, **ზურაბ ჟვანიამ და გია ბარამიძემ.** მათ აღნიშნეს, რომ ეს იყო პროვოკაცია, რადგან ჯაბა იოსელიანი უნდა დაეჭირათ მეორე დღეს. საარჩევნო კომისიის სხდომას დაესწრო გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები – **ჯემალ გახოკიძე და კახა თარგამაძე. სხდომა დახურული იყო.** და აუხსნეს, რომ ჯაბას დაპატიმრება აუცილებელი იყო. ჯაბა ისევ ციხეში ზის და დღეს ის აღარავის ახსოვს.

25 ნოემბერს გაიმართა პარლამენტის სხდომა. პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ზურაბ ჟვანია. მისი კანდიდატურის წინააღმდეგ გამოვიდა ვახტანგ რჩეულიშვილი და ბრალი დასდო მას და „მწვანეთა პარტიას", რომელთა მეშვეობით არ აშენდა ხუდონჰესი,[1] რითაც დაინგრა საქართველოს ენერგოსისტემა. **გია ბარამიძემ** მის გამოსვლას პროვოკაცია უწოდა. 156 ხმით, 27 წინააღმდეგი, აირჩიეს ზურაბ ჟვანია. **რა შეიძლება ითქვას ზურაბ ჟვანიაზე, როგორც გამარჯვებული პარტიის გენერალურ მდივანს, აშკარად ეკუთვნის ეს თანამდებობა. ისე უნდა აღვნიშნო, რომ ზურაბ ჟვანიას გუნდი ათი თავით ჯობია რჩეულიშვილს და ბევრ სხვას და აშკარად უკეთესი სპიკერი იქნება, ვიდრე ვახტანგ გოგუაძე. „მოქალაქეთა კავშირი" უფრო უკეთესი გახდა, რაც მისი რიგებიდან გავიდნენ მარგიანი, გოგუაძე, დევდარიანი და ბევრი მათი მსგავსი თანამზრახველებიც წაიყვანეს. ჩემი მოგონებებიდან მახსოვს, ზურაბ ჟვანიას აქტიური პოზიცია ეკავა ეროვნულ მოძრაობა-**

[1] მწვანეთა პარტია „ხუდონჰესის" მშენებლობის წინააღმდეგი იყო.

ში, ის არ ყოფილა და არ გაუელია ის „პადხალიმობის“ სკოლა, რომელიც ბევრ კომკავშირელს ახასიათებს.

26 ნოემბერს პრეზიდენტის ფიცის მიღების დღე იყო. პროფ. **ზანდი ბოცვაძემ** შეგვკრიბა მე, გოჩა ხუნდაძე, პაატა ფირანიშვილი, რათა აგვეღნიშნა ეს დღე, რომელიც მართლა ისტორიული დღეა. მართლაც, იმ დღეს მიხაროდა, როდესაც ვუყურებდი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, რადგან ქართველი ხალხი ისევ იმედით უყურებს მას და ელოდება, რომ დამყარდება სიმშვიდე, უკან დარჩება გაჭირვება და აღარ იქნება საქართველოში სამოქალაქო ომი.

პირადად მე მისთვის ხმა არ მიმიცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სულით და გულით მინდა მივულოცო საქართველოს პრეზიდენტს და ღმერთმა ქნას, მის ხელში საქართველო იყოს ბედნიერი.

4 დეკემბერი

გუშინ ერთი წელი შესრულდა, რაც მოკლეს **გია ჭანტურია.** მართლაც, ძალიან დაეკლდა ის საქართველოს, როგორ დღითი დღე იზრდებოდა და ჩამოყალიბდა როგორც ბრწყინვალე პოლიტიკოსი, სწორედ მისი ღვანლი იყო, რომ დღეს პარლამენტში გაიმარჯვა ედპ-მ, მისმა შექმნილმა პარტიის სტრუქტურულმა აგებულებამ დიდი როლი ითამაშა პარტიის გამარჯვებაში. 1-5 დეკემბრის გაზ. „არგუმენტში“ არის ინტერვიუ ირინა სარიშვილთან, სადაც ამბობს „იგორ გიორგაძე ამ მკვლელობის დამკვეთი რომ ყოფილიყო და ხელმძღვანელი, მას ამ საქმეში დაინტერესება უნდა ჰქონოდა... ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ტერაქტი რუსეთში დაიგეგმა... მე მგონი, პატიმარი გიორგაძე უფრო მეტს იტყოდა, მაგრამ ეს შევარდნაძეს არ აწყობს და რომ რუსეთი თავის გაშიშვლებულ აგენტს ხონჩით არ გადმოგვცემს, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. შევარდნაძემ უშიშროების შეფი ტერაქტის შემდეგ შეგნებულად დააჯილდოვა, რათა ჩვენი აქცენტი გიორგაძეზე გაკეთებულიყო და ჩრდილში დამდგარიყო ის პირი, რომლის გამოაშკარავება გაგვიყვანდა კონკრეტულ ადრესატამდე. გიორგაძეს კი ზუსტად გადავყავართ რუსეთისკენ. მე ეჭვი მეპარება, რომ დღეანდელი ხელისუფლება დაასახელებს პირველი დონის შემკვეთს. ყველაზე მეტი, რაც შეიძლება გააკეთოს, ის არის, რომ გაჩერდეს იგორ გიორგაძეზე“.

პარლამენტში თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს აჭარიდან **ედუარდ სურმანიძე, ელდარ შენგელაია** – უმრავლესობიდან და **გია კობახიძე** – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე გახდა ლანა ღოღობერიძე. სწორედ გაზ. „არგუმენტში" არის რამაზ ვასაძის სტატია „სიძულვილიდან სისულელემდე“, რომელიც ეძღვნება **ნოდარ ლომოურის** სტატიას გამოქვეყნებულს 23 ნოემბრის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“. ნ. ლომოურის სტატიას ეწოდება „არჩევნები“, სადაც ის წერს – **„არც თემურ-ლენგს, არც შაჰ-აბასს, არც სტალინს, ორჯონიკიძეს თუ ბერიას ისეთი უბედურება ერისათვის არ მოუტანიათ, როგორც გამსახურდიას რეჟიმს, ამის დავიწყება ერისათვის დანაშაული, მკრეხელობა იქნება“. ამას კომენტარი აღარ უნდა, ნუთუ შეიძლება ისტორიკოსმა ასეთი რამე დაწეროს?**

8 დეკემბერი

პარლამენტში აირჩიეს 14 კომიტეტის თავმჯდომარე – ყველანი „მოქალაქეთა კავშირიდან“ და მხოლოდ ორი „აღორძინებიდან“. დიდი კამათი გამოიწვია, როდესაც პროცესუალური კომიტეტის თავმჯდომარედ **როსტომ დოლიძე** აირჩიეს. ეს ის როსტომ დოლიძეა, რომელიც ასლან აბაშიძის ყველაზე დიდი მონინააღმდეგეა. აჭარის დეპუტაციამ პროტესტი განაცხადა, რადგან როსტომ დოლიძეს ბრალს სდებენ აჭარაში ტერორისტების გაგზავნაში. დოლიძე პარლამენტში დაიცვეს ლანა ღოღობერიძემ და მანანა გიგინეიშვილმა. ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა როსტომ დოლიძის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნა. არ არის საჭირო ისევ აჭარის საკითხის წამონევა. გაზ. „დრონში“ დაიბეჭდა ინტერვიუ როსტომ დოლიძესთან, სადაც მან ბრალი დასდო ასლან აბაშიძეს არჩევნების გაყალბებაში, ასევე

სტატიაა გაზ. „შვიდ დღეში" სათაურით „თამაში ტერორთან".

„მოქალაქეთა კავშირში" კიდევ შეიმჩნევა განხეთქილება. ამის დამადასტურებელია იმავე გაზ. „დრონში" ინტერვიუ ნესტან კირთაძესთან. კირთაძე ვერ გავიდა ვიცე-სპიკერად და ვერც საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ, დაბოლოს, „მოქალაქეთა კავშირშიც" დაატოვებინეს პოლიტიკური მდივნის თანამდებობა. დღევანდელ ინტერვიუში ის აშკარად ოპოზიციის მხარეზეა. მართალია, პარლამენტის სხდომები მშვიდად მიდის, მაგრამ მალე, როცა მინისტრების პორტფელებს გაანაწილებენ, მოხდება განხეთქილება.

დღეს სახელმწიფო მინისტრად აირჩიეს ნიკო ლეკიშვილი, ის ყოფილი პარტიული ფუნქციონერია, მაგრამ საკმაოდ ჭკვიანი კაცია, არც ხალხი ჰყავს გადაკიდებული. მას შეუძლია სხვადასხვა შეხედულების ჯგუფებთან ურთიერთობა, ამიტომ დღეს თავისუფლად გავიდა პარლამენტის სხდომაზე.

12 დეკემბერი

გუშინ პარლამენტის ბიუროზე წარადგინეს 18 მინისტრი. გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ განათლების მინისტრად დატოვეს **თამაზ კვაჭანტირაძე**, რომელიც ძალზე განათლებული პიროვნება, მაგრამ როგორც მინისტრი საერთოდ არაფერი გაუკეთებია და, მგონი, არაფრის გამკეთებელი არ არის. ყველა განსაკუთრებით გააკვირვა, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრად არ წარადგინეს დიდი დიპლომატი, **ალექსანდრე ჩიკვაიძე,** რომელსაც მთელი საქართველო პატივს სცემს, რომელზედაც არავის უთქვამს, რომ რაიმე კორუფციაში ყოფილიყოს გასვრილი, მის ნაცვლად დაინიშნა **ირაკლი მენაღარაშვილი,** პროფესიით ექიმი, ადრე ჯანმრთელობის მინისტრი, ამას ნამდვილად არავინ ელოდა. კულტურის მინისტრად დაინიშნა **ვალერი ასათიანი,** რა თქმა უნდა, მას უფრო ეკუთვნის ეს თანამდებობა, ვიდრე რეზო ამაშუკელს და სხვებს. უშიშროების მინისტრად დაინიშნა **შოთა კვირაია,** შინაგან საქმეთა მინისტრად – **კახა თარგამაძე.** თარგამაძეს აშკარად ეკუთვნის ეს თანამდებობა, რადგან ბოლო პერიოდში თავი გამოიჩინა. **რაღაც ეჭვი მეპარება კვირაიას დიდ ნიჭში.**

დღეს პირველად, გადაცემაში „აუდიენცია" პირდაპირ დასდეს ბრალი **ჯაბა იოსელიანს** **გია გულუას** მკვლელობაში. გამოაცხადეს, რომ **თემურ ხაჩიშვილმა** აღიარა, ჯაბამ დამავალაო მისი მოკვლა.

29 აგვისტოს ტერაქტის მომწყობად გიორგაძესთან ერთად უკვე იოსელიანი დაასახელეს, რომელმაც მერე თქვაო, ყუმბარმტყორცნი რატომ არ ესროლესო.

ჩემი აზრით, ჯაბა საბოლოოდ გაწირეს.[1]

23 დეკემბერი

17 დეკემბერს რუსეთში გაიმართა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. 21,1% აიღო ზიუგანოვის პარტიამ – ეს გახლავთ რუსეთის კომუნისტური პარტია, 11% – ჟირინოვსკის პარტიამ, მესამე ადგილას ჩერნომირდინის „Наш дом Россия" – 9%. „იაბლოკომ" – 8%, დანარჩენი არ ვიცი. დემოკრატები რუსეთში აშკარად მარცხს განიცდიან. ამჟამად ვინც გაიმარჯვა, ყველას მიზანია სსრკ-ის აღდგენა. მეშინია, რომ რუსეთმა არ დაიწყოს პროვოკაციები საქართველოში, მით უმეტეს, შევარდნაძის მიერ დანიშნული ხალხი, ეს არ არის მომავლის ხალხი, ეს წარსულის ხალხია, მე ყველაზე არ ვამბობ. ხშირად ხმარობენ სიტყვას „მოქალაქეთა კავშირი", მმართველი პარტია, რა თქმა უნდა, წინანდელი „მოქალაქეთა კავშირის" შემადგენლობას ამჟამინდელი ჯობია, იმიტომ, რომ ბევრი ამბიციური პიროვნება გარეთ აღმოჩნდა, მაგრამ ეს პარტია არ არის, რამე რომ მოხდეს, ვთქვათ შევარდნაძე აღარ იყოს, ეს პარტია იმწუთშივე დაიშლება. მათ შეუძლიათ არსებობა, როცა მათი ლიდერი სახელმწიფოს მეთაური ან პრეზიდენტია, მაგრამ, თუ დაიწყო მათ წინააღმდეგ მანიფესტაციები და მიტინგები, ისინი უსუსურები არიან. ძალიან მეშინია, რომ ერთი წელიც არ იქნება გასული და ისევ ახლიდან დაიწყება მიტინგები, რასაც ხელს შეუწყობს რუსეთი. მოსკოვში დააპატიმრეს კოტე ფირცხალავა, გამსახურდიას „ბუნკერის" გენერალური

[1] სწორად ეუბნებოდა ირინა, დროზე ჩაჯექიო, თორემ ყველაფერს შენ დაგაბრალებენო.

პროკურორი. პარლამენტის სხდომებზე თითქმის ალარ ვნერ, რადგან ეროვნულ-დემოკრატები მინისტრების დამტკიცების კენჭისყრაში არ მონაწილეობენ, სხვები კი რიხინ-რიხინით გადიან 167-1, 162-1 და ა. შ.

ყველაზე მეტი უარყოფითი – 62 ხმა მიიღო თამაზ კვაჭანტირაძემ. კიდევ ვიმეორებ, საშინელებაა, თამაზ კვაჭანტირაძეს საერთოდ არაფერი გაუკეთებია როგორც განათლების მინისტრს და მისი დანიშვნა ხელმეორედ პარადოქსია.

მე გამომრჩა კიდევ ერთი მთავარი საკითხი. ამ ბოლო ხანს ისევ შეინიშნება პუბლიკაციები, მიმართული ასლან აბაშიძის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობენ ასლანის მონინააღმდეგე როსტომ დოლიძეს. ვინც ამას აკეთებს, მან არ იცის ისტორია და არც ტვინი აქვთ. მათ არ იციან, რომ აჭარა 300 წელიწადი იყო თურქეთის მფლობელობაში, საქართველოს დაუბრუნდა სულ 120 წელიწადია. აქ ისევ მიდის ბრძოლა იმისათვის, რომ ხელში ჩაიგდონ სადავეები აჭარაში. წინათ ეს უნდოდა კიტოვანს, მერე „მხედრიონს", მერე გიორგაძეს, ახლა – „მოქალაქეთა კავშირს". ასლან აბაშიძემ, ვიმეორებ, უდიდესი როლი ითამაშა, რომ აჭარა შეენარჩუნებინა საქართველოსთვის – რომელიმე ძალა რომ შესულიყო იქ, აუცილებლად ომი დაიწყებოდა და აჭარას სამუდამოდ დავკარგავდით. ვითომ თბილისში და სხვა რეგიონებში ყველაფერი აქვთ ანყობილი, რომ აჭარის არჩევნებზე საუბრობენ.

1996 წელი

9 იანვარი

5 იანვარს გალის რაიონში აფხაზებმა დახოცეს სანაიების ოჯახის ექვსი წევრი და ორი მათი მეზობელი. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია, მიმდინარეობს მიტინგები ზუგდიდში. 6 იანვარს ვადა გასდის რუსეთის ე. წ. „სამშვიდობო ძალებს", რომლებსაც არაფერი გაუკეთებიათ გარდა იმისა, რომ დააფიქსირეს საზღვარი აფხაზეთსა და საქართველოს შორის. 19 იანვარს უნდა შედგეს დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა შეკრება, სადაც ერთ-ერთ საკითხად იქნება ისევ აფხაზეთის საკითხი. რაც შეეხება რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას, ამას აზრი არა აქვს, რადგან სანაიების ოჯახი სწორედ 12 კილომეტრიან ზოლში დახოცეს, რომელსაც რუსები აკონტროლებენ. რუსეთის არმია აღარ არის ის არმია, როგორც იყო სსრკ-ს დროს. ეს გუშინაც დამტკიცდა, როდესაც ჩეჩნეთის ხუთასკაციანმა რაზმმა გადალახა ჩეჩნეთის, დაღესტნის საზღვარი და დაიკავეს ქალაქი ყიზლარი. იქ, საავადმყოფოს შენობაში, შეიყვანეს ორიათასი რუსეთის მოქალაქე. ამ აქციას მეთაურობს დუდაევის სიძე **რადუევი,** ქალაქ გუდერმესის ყოფილი პრეფექტი.

დღეს ელცინი გამწარებული ეჩხუბებოდა თავის სამხედრო, უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრებს და სასაზღვრო ჯარების უფროს ნიკოლაევს. ჩეჩნები, კიდევ ვიმეორებ, საოცარ საქმეებს სჩადიან.

11 იანვარი

რადუევის ჯგუფმა გაანთავისუფლა მძევალთა ძირითადი ნაწილი. მათ მისცეს ავტობუსები და თან წაიყვანეს 160 მძევალი, მათთან ერთად შვიდი პიროვნება დაღესტნის მთავრობიდან და ორი ჟურნალისტი. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ჩეჩნეთის საზღვართან ხიდი აფეთქებული დახვდათ. ჩეჩნებს ალყა აქვთ შემორტყმული უკვე ერთი დღეა. აშკარაა, რომ რუსები არღვევენ სიტყვას და უნდათ მათი განადგურება.

თბილისში, დიდუბის რაიონში დაინყო თენგიზ კიტოვანის, ირაკლი სურგულაძის და ვალერი ფისუნის სასამართლო პროცესი.

გუშინ სასამართლოს დაესწრო **ირინა სარიშვილი.** ის გაზ. „რეზონანსში" წერს, „ეს პოლიტიკური პროცესია და არა კრიმინალური... აქ მიმიყვანა ადამიანურმა ინტერესებმა. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ მოახერხებენ კიტოვანისათვის ბრალდებების წაყენებას, რომ ამავე ბრალდებების მუხლით არ გაასამართლონ მისი გამცილებელი თანამდებობის პირები. სახელმწიფოს მეთაურიდან დანყებული ყველამ იცოდა, რა მიზნით და სად იქმნებოდა ეს ფორმირება, ის ცნობილი მოადგილეები, რომლებიც კიტოვანს აცილებდნენ, სამწუხაროდ, დღეს არ ჩანან. თუ ბრალდებები ისე შორს წავა, რომ აფხაზეთის ომს შეეხება, მაშინ განსასჯელის სკამზე პირველი მთავარსარდალი უნდა იჯდეს... გამოვიდა, რომ 300 ბანდიტი მიჰყავდა კიტოვანს და სურგულაძეს აფხაზეთის დასაბრუნებლად. ახლა ეს სამასი ბანდიტი გაანთავისუფლეს და მხოლოდ ორი ბანდიტი მეთაური დატოვეს (მათივე ტერმინოლოგიით) ბრალდებების ქვეშ. კიტოვანის ყოფნა ციხეში პირდაპირ კავშირშია ჩვენი პრეზიდენტის ხანგრძლივობასთან. იმედი მაქვს, რომ ხუთი წლის შემდეგ საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება".

18 იანვარი

შუქი რამდენიმე დღეში მხოლოდ ორი საათით მოდის და შემთხვევით მოვუსმინე ლიუბიმოვის გადაცემას. გამოდიოდნენ ბოროვოი და ჟირინოვსკის პარტიის წარმომადგენელი ალექსეი მიტროფანოვი, როდესაც ლიუბიმოვმა შეკითხვა დასვა, თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი ჩეჩნებსა და რუსებს შორის, მიტროფანოვმა უპასუხა, რომ, როგორც ერთ ოთახში ვერ ეწყობიან ცოლ-ქმარი, ისინი უნდა გაშორდნენ და ერთ-ერთი მათგანი უნდა წავიდეს სხვა ბინაშიო. ყველას გაუკვირდა, რას ნიშნავდა ეს. მან უპასუხა, ეს ნიშნავს, რომ ჩეჩნები უნდა წავიდნენ სხვა სახელმწიფოში. შემდეგ მას დაუსვეს კითხვა, თუ რომელ სახელმწიფოში უნდა წასულიყვნენ. მან უპასუხა – ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკაში, რომელიც ჩეჩნებს ესაზღვრებაო. რა თქმა უნდა, ყველა მიხვდა, რომ საზღვარი ჩეჩნეთს მხოლოდ საქართველოსთან აქვს. შემდეგ მიტროფანოვს

შეეკითხნენ, – თქვენ ლაპარაკობთ საქართველოზე და კერძოდ აფხაზეთზე. მან უპასუხა – დიახ, მათ ხომ უნდათ პორტი და მიიღონ სოხუმი. ბოლოს მიტროფანოვს შეეკითხნენ, მაშინ რას იტყვის საქართველო. მან უპასუხა, რომ ეს საქართველოს საქმეა, აბა, რატომ უნდა ილუპებოდნენ რუსი ჯარისკაცები რუსეთის ტერიტორიაზე. საოცარი დიალოგი იყო, მაგრამ ძალიან საშიში საქართველოსთვის.

21 იანვარი

როდესაც ვწერდი, რომ 11 იანვარს რუსეთმა გადანყვიტა **რადუევის** ჯგუფის განადგურება, 15 იანვრამდე ვითომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მანამდე რუსებმა აქ თავი მოუყარეს ყველა სახეობის ჯარის ნაწილებს. ამავე დროს ჩამოიყვანეს ყველაზე ცნობილი სპეცნანილი „ალფა“, „ვიმპელი“ და „ვიტიასი“.

რუსებმა იერიში დაიწყეს 15 იანვარს, ისინი ისროდნენ ყველა სახეობის იარაღიდან. ამავე დროს ვერტმფრენებიდან, რომელთაც „კრაკადილები“ ჰქვია. ამავე დროს ისროდა არტილერია, გრადები. მათ ეგონათ, რომ რამდენიმე საათში აიღებდნენ, მაგრამ ოთხი დღე მიმდინარეობდა ბრძოლა. მთელი მსოფლიო გაკვირვებული უყურებდა ამ ბრძოლას. **ბარსეკოვმა** და **კულიკოვმა** თქვეს, რომ მონაწილეობდა 2300 კაცი. ჩეჩნები სულ 300 კაცი იყო. მეოთხე დღეს რადუევმა მაინც გაარღვია ალყა. საოცარი იყო, რუს ჯარისკაცებს აშკარად არ უნდოდათ ბრძოლა, ოპერაცია ძალზე სუსტად იყო დაგეგმილი. არ იყო კავშირი სამი სახეობის ჯარს შორის. დღეს ტელევიზიით გამოვიდა სპეცნაზის „ალფას“ ერთ-ერთი წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ ისინი მიუშვეს ჩეჩნებზე, როგორც ქვეით ჯარს უშვებდნენ 1941 ნელს.

ამ მოვლენამ დიდი როლი ითამაშა სნგ-ს ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე. რა თქმა უნდა, საქართველოსათვის სასარგებლოდ. მიიღეს **გადანყვეტილება, რომ ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცევდნენ აფხაზეთს. რუსებს ე. წ. „სამშვიდობო ჯარებს“ 3 თვით გაუგრძელდათ ვადა. მანამდე, ერთი თვის განმავლობაში, უნდა შემუშავებულიყო „სამშვიდობო ჯარების“ ახალი მანდატის პროექტი. პრესკონფერენციაზე ელცინმა თქვა, რომ ჟურნალისტებს ეგონათ, შევარდნაძის გეგმა არ გავიდოდა, მაგრამ გავიდა. ყველა აშკარად ხვდება, რომ სეპარატისტებისათვის მხარდაჭერა უბედურებაა.**

ეს შეხვედრა შევარდნაძის დიპლომატიის აშკარა ნარმატებაა, მაგრამ მეეჭვება – რუსეთმა შეასრულოს თავისი სიტყვა.[1]

23 იანვარი

დამავინყდა მეთქვა, რომ, როდესაც პერვომაისში მიმდინარეობდა ჩეჩნების აქცია, ქ. ტრაპიზონში ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს ხომალდი „აფრასია“, რომელიც დადიოდა სოჭსა და ტრაპიზონს შორის. ხომალდზე იყო 150 ტურისტი, აქედან 104 იყო რუსი, დანარჩენი უკრაინელი, თურქი, და ქართველიც ყოფილა. ტერორიტებს ხელმძღვანელობდა ნარმოშობით აფხაზი, თურქი მოქალაქე თოფჩანი, რომელიც შამილ ბასაევთან ერთად იბრძოდა და მათ მოითხოვეს, რომ შეეჩერებინათ რადუევის ჯგუფის განადგურება. ეს ხომალდი რამდენიმე დღე დაცურავდა მაგრამ, როდესაც რადუევი გაიქცა, ის დანებდა.

ამავე დროს გროზნიდან მოიტაცეს 29 რუსი ენერგეტიკოსი. მოკლედ, ჩეჩნებმა რუსები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს.

თავად რუსეთი ძალიან საშიში ხდება, როდესაც აფხაზეთის საკითხი იხილება სნგ-ს მეთაურთა შეხვედრაზე, რუსეთის სახელმნიფო სათათბიროს დეპუტატებმა თხოვნა გააგზავნეს, რომ არ მიეღოთ საქართველოს ნინადადება (ალია № 9). მენაღარიშვილმა განაცხადა პრესკონფერენციაზე, რომ უცებ არ უნდა ველოდოთ ნარმატებებს. ჩემი აზრით, როგორც ადრე აღენიშნე, შეეცდებიან, რომ ეს ხელშეკრულება არ შესრულდეს.

30 იანვარი

27 იანვარს გაიმართა ძალოვანი სამინისტროების მუშაკთა თათბირი, რომლის დროსაც შეჯამდა გასული წლის შედეგები. მართლაც, რა

[1] სამწუხაროდ, ჩემი ეჭვები გამართლდა.

შედარებაა, მაშინ ამ დროს გარეთ ვერ გახვიდოდი სახლიდან. შეწყდა „საძმოებს" შორის შეტაკებები, რომელსაც უამრავი ახალგაზრდა შეეწირა. ახალმა მინისტრმა კახა თარგამაძემ აღნიშნა, რომ ხელფასების საკმე არის მოსაწერიგებელი, რადგან „უხელფასო პოლიციელი იგივე ბანდიტიაო" (ალია № 12). თარგამაძე ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მან დაიწყო სტრუქტურული ცვლილებები სამინისტროში, რადგან არის საშიშროება, რომ „მხედრიონის" მსგავსად ახლა პოლიცია გათავხედდება. სწორედ ეს იქნება ახალი მინისტრის მთავარი მოვალეობა, რომ არ დაუშვას პოლიციის თვითნებობა. ზურაბ ჟვანიამ სწორად აღნიშნა, რომ ტრასებზე „მხედრიონი" შეცვალა პოლიციამ, რომელიც ფაქტობრივად ძარცვავს მძღოლებს, ზურაბმა შესთავაზა მინისტრს „გადავიცვათ, ჩავსხდეთ წითელ ხიდთან სატვირთო მანქანაში და ფოთში წავიდეთ, ვნახოთ, პოლიციელი რამდენს გამოგვართმევს".

შევარდნაძემ განაცხადა, რომ „მხედრიონის" გაუქმებით გაუქმდა ლეგალიზებული ბანდიტიზმი[1] ანუ ნომენკლატურული ძაფი, რომელიც სამხედრო და კრიმინალური ელემენტებისაგან შედგებაო".

მართლაც, რამდენი უბედურება მოუტანეს მათ საქართველოს, მათაც ჰყავდათ წესიერი ვაჟკაცებიც, რომლებმაც თავი დასდეს სამშობლოსთვის, მაგრამ, უმეტესობა ბანდიტი და ნარკომანი აღმოჩნდა.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „უკვე მერამდენე კვირაა მინისტრთა კაბინეტის დოკუმენტებს ვეცნობით და ჟრუანტელი მივლის ... რაზეც ვლაპარაკობ, რამდენიმე ვიცე-პრემიერის საქმიანობას უკავშირდება, გარწმუნებთ, ისინი ამაზე პასუხს აგებენ". დღეს გაზეთ „კავკასიონში" უკვე დაიწერა, რომ ეს შეეხებოდა მარგიანს დ კერვალიშვილს. ჩემი აზრით, შევარდნაძე ისე იტყვის, თითქოს არ იცოდა, ვინ რას აკეთებდა. ამავე დღის „კავკასიონში" წერია, რომ სანამ ქვეყანას არ დაანგრევენ რამდენიმე წლის განმავლობაში და მილიარდებს არ დაიტაცებენ, მანამდე არავინ არავის ხელს არ ახლებსო. მთელმა საქართველოს მოსახლეობამ იცის, ვინ აკეთებს ამას და ახლა ხვდებიან თითქოს, რომ ისინი დამნაშავენი არიან. **მთელ ჩემ ბოლო ჩანაწერებში სულ ამის შესახებ იყო საუბარი. იტყვიან, რა გვექნა, არ გვქონდა ძალა, რათა გაამართლონ თავიანთი უუნარობა. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ასლან აბაშიძემ შექმნა საქართველოს ერთ კუთხეში ასეთი ძალა და დაამყარა წესრიგი. ისე, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და მე მივესალამები შევარდნაძის ამ ნაბიჯებს, რომელიც ბოლოს უღებს მაფიოზებს, მაგრამ ის ტემპები, რითაც ის ახორციელებს ამას, სრულიად მიუღებელია.** თუ მოხდა და შეეხვდი შევარდნაძეს, ძალიან მინდა საუბარი მასთან ერთი-ერთზე. „ივერია-ექსპრესში", 26-29 იანვარი დაიბეჭდა ინტერვიუ **გია ყარყარაშვილთან.** ინტერვიუ აიღეს 25 იანვარს. ზუსტად ერთი წლის წინათ ესროლეს გიას. გია წერს, „ერთი წელი გავიდა შარშანდელი 25 იანვრიდან. ეს წელი მრავალი მძიმე, მაგრამ საინტერესო, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი მოვლენებით იყო სავსე – როგორც პირადად ჩემთვის, ისე მთელი საქართველოსთვის. პირადად ჩემთვის, მე ვიტყოდი, რომ ეს იყო ბრძოლის წელიწადი, როცა ადამიანს გეძლევა უცნაური და მძიმე ხვედრი, გამოსცადო საკუთარი თავი. დაინახო შენივე განვლილი გზა სულ სხვა კუთხით. ყველა ადამიანს არ ეძლევა შესაძლებლობა დაინახოს საკუთარი შეცდომები, დაინახოს საკუთარი სისუსტეები, განვლოს პერიოდი და გააანალიზოს – რა გქონდა ისეთი გაკეთებული ადამიანს, რომ შენს წინააღმდეგ მოწყობილიყო ტეროტისტული აქტების სერია. არსად არასდროს, ალბათ, არცერთი კრიმინალური ელემენტის არც მაფიოზური კლანის წარმომადგენლის, არც პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწის მიმართ არ ყოფილა იმდენი განზრახ მკვლელობის მცდელობა... ალბათ მოვა დრო, როცა შემეძლება ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის შინაგანად სასიკეთო მუხტი მომცემი იყო, მაგრამ დღეს გამიძნელდება ამის თქმა.**

ალბათ, ყველაზე მთავარი, რაც დავინახე, არის ის, რომ მე მოუმზადებელი ვიყავი იმ დიდი პროცესებისათვის, რომელთა შუაგულში ჩემდა უნებურად აღმოვჩნდი. ჩემი და ჩემნაირი ადამიანების ადგილი არ არის ის სფერო, სადაც ადამიანის არც გულწრფელობა ფასობს და არც ერთგულება, სადაც ადამიანები ფასდებიან არა თავგანწირეით და პირდაპირობით, არამედ ფარისეველობით,

[1] ამ დროს ე. შევარდნაძე საპატიო „მხედრიონელია".

სადაც ადამიანი ჩვეულებრივი მსხვერპლი ხდება შექმნილი გარემოების და ეწირება პოლიტიკურ არენაზე მომხდარ ცვლილებებს. როცა ამ ყველაფერზე ვფიქრობ, სინანულის გრძნობა მიჩნდება თუნდაც იმის გამო, რომ მე არ გამაჩნდა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც დღეს მაქვს და რასაც, სხვათა შორის, ვერც ერთი ინსტიტუტი თუ აკადემია ვერ მომცემდა... მე ეს გზა გავიარე არა შეგნებულად, არამედ ინერციით, გარკვეულ ტალღაზე აყოლილმა, ემოციით, ვაჟკაცობაზე აგებული ენთუზიაზმით... მოუმზადებლად მომიხდა ჩემს თავზე ძალიან დიდი ტვირთის აღება. ვნანობ... ვნანობ არა იმას, რასაც ვაკეთებდი, არამედ იმას, რომ არასწორად ვაკეთებდი (აუცილებლად უნდა შევხვდე გიას და ვესაუბრო. ჩემი აზრით, ის ძალიან სკეპტიკურად უყურებს თავის წარსულს. მინდა წავიკითხო ის ადგილები ჩემს ჩანაწერებში, რასაც მე ვწერდი მასზე მ. ვ.). კონსტიტუციის მიღებამ და საპრეზიდენტო არჩევნებმა იმედი გამიჩინა, რომ საქართველო შემოტრიალდება გადარჩენისაკენ, მაგრამ, როცა დღეს იმ ძალებისადმი, რომელთა ასე იოლად დამარცხების ილუზია არ უნდა შეგვექმნას, ლამის ლოიალურ დამოკიდებულებას ვხედავთ, ეს სერიოზულად მაშფოთებს... ჩემი უნდობლობა ქართული საზოგადოების მიმართ იმით არის განპირობებული, რომ ისინი წინ არ აღუდგნენ იმ პოლიტიკურ მკვლელობებს, სადაც საქართველოს მომავალი კვდებოდა. სამწუხაროა, რომ პოლიტიკური ტერორის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებას სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ მოწყობილი აფეთქება დასჭირდა[1].

1 თებერვალი

გუშინ გადაცემა „ვიდეოპატრულში" აჩვენეს **მურმან ომანიძის** პორტრეტი და გამოცხადდა ძებნა. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ომანიძე ეწეოდაო ჩრდილოვან ბიზნესს რომელიღაც ფირმასთან და გააკეთა მილიონნახევარი ლარიო. ჩემი აზრით, ამ მთავრობას საქმის გამკეთებელი ხალხი არ სჭირდება. ეს მთავრობა არის ჩინოვნიკების მთავრობა, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ, რა არის საბაზრო ეკონომიკა, რადგან ძირითადად მთავრობაში არიან ძველი კომკავშირლები და პარტიული მუშაკები, რომელთა უმრავლესობასაც ცარიელი ლაპარაკის გარდა არაფერი უსწავლიათ, **პარლამენტის ჯგუფი ზურაბ ჟვანიას მეთაურობით გაცილებით რეფორმატორია, ვიდრე მთავრობა.**

ორი დღეა არძინბა მოსკოვშია, დიდი მიღებები ჰქონდა. საოცარი ამბები ხდება რუსეთში, სადაც ახლად არჩეულ სახელმწიფო სათათბიროს ჩეჩნეთის საკითხი არ განუხილავს, აფხაზეთის საკითხს იხილავენ და ტრიბუნა დაუთმეს არძინბას. სათათბიროს სპიკერმა სელეზნიოვმა პრეზიდენტ ელცინს წერილი გაუგზავნა, რომ არ დაუშვას აფხაზეთის ბლოკადა.

გუშინ გაზ. „მსგეფსში" ეწერა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა თავმჯდომარის პოსტზე წარადგინა მამუკა გიორგაძე. ედპ-ს VIII ყრილობა დანიშნულია 17 თებერვალს. რა თქმა უნდა, არის მეორე კანდიდატურა – ირინასი, ინტერვიუ იყო ქვემო ქართლის ბიუროს თავმჯდომარესთან, რომელიც მხარს უჭერს ირინას.

გაზ. კორესპონდენტი ვანო ხუხუნაიშვილს ეკითხება, რომ ედპ-ს სახელი ყოველთვის დაკავშირებული იყო გია ჭანტურიასა და ირინა სარიშვილის სახელთან, ვანო პასუხობს, რომ მამუკა უფრო გამოდგება პარტიისათვისო.

მე პირადად, არ ვიცი, რას ფიქრობს ედპ-ს მთავარი კომიტეტი, მაგრამ ირინას სახელი სულ სხვა არის საქართველოში და მამუკა გიორგაძის სულ სხვაა. მამუკა გიორგაძე აქტიური მონაწილე იყო ეროვნული მოძრაობის, მაგრამ მისი სახელი გაუგონია ალბათ საქართველოს ძალზე მცირე ნაწილს. ჩემი აზრით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ძალზე დისციპლინებული და მწყობრი პარტია იყო და ამან დიდი როლი ითამაშა არჩევნებზე, მაგრამ, თუ ხალხი ამ პარტიას ხმას აძლევდა, აძლევდა ირინას პატიეისცემით.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ქუთაისის მერის თემურ შაშიაშვილის აქტიური მოღვაწეობა, საოცარი კაცია, ის იმ დროს ებრძოდა „მხედრიონს", როცა მათი ხსენებაც კი საშიში იყო. ახლაც თათბირზე გამოვიდა და ისევ ასახელებს სილიკომანგანუმის მაფიის, დიდ ჩინოსნებს,

[1] დღევანდელი გადასახედიდან გიას შეშფოთება აბსოლუტურად სწორი იყო, შემდეგმა წლებმა ეს დაადასტურა.

რომლებიც მაფიაში არიან გარეული, მაგრამ მარტო რა ქნას.

3 თებერვალი

ხუთშაბათს, 1 თებერვალს დაინყო ლოთი ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას (გვარდიის ოპერატიული სამსახურის უფროსი, მ. ვ.), ზვიად ძიძიგურის (სამტრედიის ყოფილი პრეფექტის, მ. ვ.), ნუგზარ მოლოდინაშვილის და სოსო ჟღენტის (გურიის პოლკის უფროსის, მ. ვ.) სასამართლო. შევარდნაძემ არც ერთ მხარეს არ ანყენინა და ციხეში ერთდროულად ზიან „მხედრიონელები" ჯაბას მეთაურობით გამსახურდიას მომხრეები ქობალიას მეთაურობით. საინტერესოა, ალბათ, ძალიან მინდა შევხვდე ქობალიას, თუ მომცეს ამის უფლება, რადგან სასამართლოდან მაინც ვერაფერს ვერ გავიგებ. მაინტერესებს, რა მოხდა. მე მაინც მჯეროდა, რომ ლოთი, როგორც თვითონ აცხადებდა, ქართველებს მე ტყვიას არ ვესვრიო, რატომ დაინყო შეტევა სამტრედიაზე, ისტორიისთვის აუცილებელია გაირკვეს, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ლოთი ქობალია. როგორც თვითონ ამბობდა, მას თბილისიდან ხან ბატონ ლოთის და ხან ბანდიტ ლოთის უნოდებდნენ. მას ამჟამად წაყენებული აქვს ბრალდებები: ბანდიტიზმში, ყაჩაღობაში, სამშობლოს ღალატში და სხვა. ისევ ვიმეორებ, რაც არ უნდა დაბრალონ, ლოთი ქობალია არასოდეს ყოფილა ბანდიტი, ყაჩაღი და არც არასოდეს ულალატია სამშობლოსათვის. ამ დროს გადმოსცეს, რომ კიტოვანს ინფარქტი დაემართა და ციხის საავადმყოფოში დაანვინესო, დღესვე გადმოსცეს, რომ ზურაბ ჟვანიამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც აღნიშნა, რადგან სახელმნიფო სათათბიროში არძინბას დაუთმეს ტრიბუნა, მან წერილი გაუგზავნა სელეზნიოვს[1] და ეჭვქვეშ დააყენა სნგ-ს ქვეყნებთან საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობა. მან აღნიშნა, სნგ-ს მეთაურთა გადაწყვეტილებაში წერია, რომ ყველა სახელმნიფოს ეკრძალება ყოველგვარი ურთიერთობა სეპარატისტულ აფხაზეთთან. ამ დროს კი, პირიქით, არძინბა გამოვიდა რუსეთის სახელმნიფო სათათბიროში.

[1] რუსეთის სახელმნიფო სათათბიროს თავმჯდომარე.

დღეს, ღამით ნტვ-ში გადმოსცეს, რომ არძინბა ოფიციალურად მიიღო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრიმაკოვმა[2] და ვიცე-პრემიერმა.

10 თებერვალი

გუშინ პარალამენტმა ბიუჯეტი დაამტკიცა. დიდი კამათი გამოიწვია ამ საკითხებმა. ნამდვილად მინდა აღვნიშნო, რომ პარალამენტის თავმჯდომარე და რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომრე სხვებთან შედარებით პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებები არიან. ძალიან კარგი ახალგაზრდა აღმოჩნდა მიხეილ საკაშვილი, რომელიც ადრე „ქარტია 91-ის" წევრი იყო, ახლა „მოქკავშირის" წევრია. ის მხოლოდ 27 წლისაა. ძალიან მიხარია, რომ ასეთი ხალხი წამოვიდა „მოქკავშირიდან". ალბათ, ჩემ ნაშრომს რომ წაიკითხავენ, ნახავენ, რომ მე საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება გამაჩნია „მოქკავშირის" მიმართ, სადაც თავი მოიყარა უამრავმა კარიერისტმა და აფერისტმა, მაგრამ ახლა მიხარია, რომ გარკვეული ნაწილი საკმაოდ პროგრესული პიროვნება აღმოჩნდა. დღეს ხალხში ზურაბ ჟვანიას ძალიან აგინებენ, მაგრამ გონებით, პროგრესულობით ის გაცილებით მაღლა დგას ვახტანგ გოგუაძეზე. ეს ბირთვი უფრო დემოკრატიული და რეფორმატორულია, ვიდრე დღევანდელი მთავრობა. მთავრობიდან დღეს ამჟამად ნამდვილად კარგი მინისტრი ჩანს კახა თარგამაძე. ამ დღეებში თბილისში ოპერაცია ჩაატარა შსს-მ ისე უხმაუროდ, კაცს არ გაუგია. აბა, რა იყო ადრე, კვირაიას დროს გამოყრიდნენ ვითომცდა ტექნიკას – ტანკებს, ბეტეერებს, რომლებიც ფაქტობრივად მოძრაობდნენ და ჯართს უფრო ჰგავდნენ, მახსოვს, უნივერსიტეტთან უზარმაზარი, მე მგონი, სამამულო ომისდროინდელი ტანკი იდგა, რომელიც მერე ტრაქტორით გაათრიეს, რადგან ვერ მოძრაობდა. შემდეგ ქუჩებს გადაკეტავდნენ, ვერტმფრენები დაფრინავდნენ ცაში, თითქოს სამხედრო ოპერაცია ტარდებოდა. ამ დროს ყაჩაღები სახლში ისხდნენ და სიცილით კვდებოდნენ. გაზ. „ალიაში" მიხე-

[2] პრიმაკოვი თბილისში გაიზარდა.

ილ სააკაშვილის შესახებ წერია, რომ ის არის „ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და პროგრესული პიროვნება“.

15 თებერვალი

20 საათზე ვუყურებდი მოსკოვიდან გადაცემა „ნტვ“-ს, სადაც იყო ინტერვიუ პავლე გრაჩოვთან. მან აღნიშნა, რომ ერთმანეთს შევახვედრეო – ვლადისლავ არძინბა, სამხედრო მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე და საქართველოს ელჩი. არძინბა არ ცნობსო საქართველოს ფედერაციულ დაყოფას, რასაც რუსეთი მოითხოვდაო (აქ აშკარად აღიარა, რომ საქართველოს ფედერალური მოწყობა რუსეთის მოთხოვნა იყო. ამის შემდეგ ოპოზიცია ბრალს სდებდა შევარდნაძეს, რომ ეს რუსეთის მოთხოვნით კეთდებოდა, მ. ვ.), ამიტომ აზრი არა აქვსო ჩვენი ჯარების ყოფნას საქართველოში და მე წინადადებას მივცემ რუსეთის ფედერაციის საბჭოს, რომ ჯარები გამოვიყვანოთ კონფლიქტის ზონიდანო. ძალიან ეჭვი მეპარება, რომ რუსებმა ჯარები გამოიყვანონ კონფლიქტის ზონიდან, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდება. **სნგ-ს ქვეყნების გადაწყვეტილება აფხაზეთში ეკონომიური ბლოკადის შესახებ, რასაც ვწერდი, არ განცხორციელდება. ეს აშკარად აჩვენა არძინბას მიღებამ სახელწიფო სათათბიროში.**

დღეს ეკატერინბურგში **ბორის ელცინმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ კენჭს იყრის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, ამავე დღეს კომუნისტებმა რომლებიც დღეს გაერთიანდნენ, წამოაყენეს პრეზიდენტად **გენადი ზიუგანოვის** კანდიდატურა. მან განაცხადა, რომ ელცინს მინიმალური შანსები აქვს ისევ გახდეს რუსეთის პრეზიდენტი, რადგან რაც ხალხს დაპირდა, არაფერი შეასრულაო. **სიმართლე რომ ვთქვათ, არცერთი მათგანი საქართველოსათვის კარგის გამკეთებელი არ არის, სწორედ დემოკრატების დროს, როცა ეგორ გაიდარი იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველომ დაკარგა აფხაზეთი.** ელცინის გამარჯვება შევარდნაძეს უნდა აწყობდეს, რადგან კომუნისტებთან გაერთიანდნენ **ლიგაჩოვი, რიჟკოვი, ლუკიანოვი** და სხვები, რომლებიც შევარდნაძეს მიიჩნევდნენ სსრკ-ის ერთ-ერთ მთავარ დამანგრეველად.

ღამით, 11 საათზე „ნტვ“-ში აჩვენეს არძინბა, რომელმაც განაცხადა, რომ გრაჩოვს არ უნდა ეთქვა ერთი ფრაზა, სადაც მან აღნიშნა, რომ არ შეიძლება ამდენი ხანი შეინარჩუნო ხელისუფლება რუსების შტიკებითო (რა თქმა უნდა, გრაჩოვი გულისხმობდა არძინბას ხელისულებას, მ. ვ.). არძინბამ აღნიშნა, როდესაც სამხედრო მინისტრი ასე საუბრობს, არ არის სოლიდურიო.

16 თებერვალი

ეკატერინბურგიდან ელცინი ჩავიდა ჩელიაბინსკში. მისი გამოსვლები არაფრისმთქმელია, რა თქმა უნდა, ის აღარ არის ის ელცინი, როდესაც მან 1991 წელს დაამარცხა პუტჩი რუსეთში. მან დღეს პირდაპირ აღიარა, რომ მისი პრეზიდენტობის ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი შეცდომა ჩეჩნეთი არისო. მას უკვე ჩამოსცილდნენ დემოკრატები ეგორ გაიდარი, ანატოლი ჩუბაისი, ალექსანდრე იაკოვლევი. მისი საყრდენი ამჟამად მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებია. რაღაც განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გაატარონ, რომ ის ისევ აირჩიონ.

დღესვე ვუსმენდი „ნტვ“-ს, კისილიოვს[1] მიჰყავდა ინტერვიუ გენადი ზიუგანოვთან[2], რომელიც საკმაოდ ჭკვიანი კაცი ჩანს, საკმაოდ გამოცდილი, მას ესმის ამჟამად რა სურს რუსეთს და საკმაოდ კარგად იყენებს ამას.

მან აღნიშნა, „რომ ბიუჯეტს როცა მივიღებდით, ჩუბაისს ვუთხარი, წლის ბოლოს ხელფასებს როგორ დაარიგებთო და ჩემი სიტყვები გამართლდა, არის გაფიცვები, სადაც მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მეშახტეები, მეცნიერებათა აკადემია“.

სამწუხაროდ, გამახსენდა 1917 წელი – კერენსკის უბადრუკი მთავრობის მმართველობა, როცა ბოლომდე არც დემოკრატია იყო, არც დიქტატურა, იყო არეულობა არმიაში, ამით ისარგებლა ლენინმა და ფაქტობრივად უბრძოლველად აიღო რუსეთში მმართველობა.

---

[1] ჟურნალისტი.

[2] რუსეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე.

17 თებერვალი

საღამოს გადმოსცეს, რომ დაინყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს გია კობახიძე. ყრილობაზე ორი კანდიდატურა დაუყენებიათ თავმჯდომარის პოსტზე, მამუკა გიორგაძის და ირინა სარიშვილის. მთავარმა კომიტეტმა რეკომანდაცია მისცა მამუკა გიორგაძეს, ყრილობამ კი თავმჯდომარედ აირჩია ირინა სარიშვილი. ძალიან გამეხარდა, რადგან ისევ ვიმეორებ, ედპ-ს სახელი ხალხში გაიგივებული იყო გია ჭანტურიასა და ირინა სარიშვილის სახელებთან. მე არაფერი საწინააღდმეგო არა მაქვს მამუკა გიორგაძესთან, რადგან ისიც აქტიურად იბრძოდა, მაგრამ გიორგაძის კი არა, დღეს ვერცერთი მოქმედი პოლიტოკოსის გონება ვერ მივა ირინას აზროვნებასთან ახლოს.

18 თებერვალი

დღეს გაზ. „ახალ თაობაში" № 19 იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაცხადება „საქართველოს პრეზიდენტი მისმა უახლოესმა გარემოცვა, ჩამოაშორა ხალხს და ცრუ ინფორმაციების ტყვეობაში მოაქცია, ამასთან პრეზიდენტის გარემოცვის ზოგიერთი წევრი ფისკალურ კავშირშია კომერციულ სტრუქტრებთან, რაც საზოგადოებრივი აზრის უკიდურეს გაოგნებას ინვევს".

მე მხოლოდ ეს აბზაცი ამოვიღე, იმიტომ, რომ აქ სიმართლე აშკარად არის. შევარდნაძის საკადრო პოლიტიკა ყოველთვის იყო არასწორი, რადგან არასოდეს ჰყავდა საკუთარი გუნდი, რომელსაც ხალხი ენდობოდა. დღეს შევარდნაძის მოსახლეობის დიდ ნაწილს სჯერა და მოელის, რომ მის დროს მოსალოდნელია საქართველოს აყვავება, მაგრამ, რომ ჰკითხოთ ხალხს შევარდნაძის შემდეგ მის გარემოცვაში ვინ არიან ის პიროვნებები, რომლებისაც ხალხს სჯერა და უნდათ, რომ ხალხს მოუტანონ ბედნიერება, რამდენიმე პიროვნებას კი არა, ერთსაც ვერ დაასახელებენ, რადგან მართლაც არ არიან ასეთები, ერთადერთი, იმერეთში თემურ შაშიაშვილია. ის შევარდნაძის გარემოცვაში არ შედის. ეს გარემოცვა კიდევ საშიშ თამაშს იწყებს, როცა ისევ და ისევ გაახშირეს თავდასხმები ასლან აბაშიძეზე. ამ რამდენიმე დღის წინ „ალიაში" იყო ინტერვიუ როსტომ დოლიძესთან. დღევანდელი შევარდანძის გარემოცვას ძალიან უნდა აჭარაში ასლან აბაშიძის ნაცვლად დასვან როსტომ დოლიძე, რათა თავიანთი შავბნელი საქმეები აჭარაშიც აკეთონ. ხალხი უკიდურეს გაჭირვებაშია, თბილისის აივსო მათხოვრებით. ამ დროს შევარდნაძის გარემოცვა არ იკლება არაფერს. ამ უკმაყოფილებას შემდგომში გამოიყენებს სხვა ძალა.

დღევანდელ „ახალ თაობაში" არის კენჭისყრის შედეგები – 129 ხმა მიიღო ირინა სარიშვილმა და 104 – მამუკა გიორგაძემ.

26 თებერვალი

დღ. „ალიაში" რუბრიკა „გალერიაში" არის ინტერვიუ **ალექსანდრე შუშანაშვილთან.** ის ამჟამად გენერალური პროკურორის მოადგილეა, ადრე სამხედრო პროკურორი იყო. ის საკმაოდ ნესიერი და პრინციპული კაცია. მიკვრის, როგორ ამუშავებენ ასეთ კაცს პროკურატურაში. მან კარგი რამ თქვა: **„მე მგონი ჩვენი დაღუპვა შეუძლებელია, რადგან დიდი იმედები მაქვს, რომ ეს ჭუჭყი და ნაგავი დაიწმინდება, უფრო ჯანსაღი ახალი თაობა მოდის, მათი იმედი მაქვს.**

ჩვენ კომუნისტურ რეჟიმში, იმ ზნეობით გაზრდილნი, ქვეყანას ვერ მოვუვლით და ვერც ვუვლით, ხომ ხედავთ, ჩვენი მეთოდები, თათბირები წლის შედეგების და ნახევარწლიანი შედეგების, კომისიების შექმნას ვერ გაცდა. ასე ჩვენ საზოგადეობას ვერ ვუხელმძღვანელებთ, და ზოგიერთები ამას რაც უფრო მალე მიხვდებიან,. მით უფრო კარგი იქნება. თაობა მოდის. თუ ჩვენ დროზე არ მოვეშვით, თუ მათ დროზე არ ჩავაბარეთ მართვის სადავეები, არ გავაფუჭეთ და არ გავათახსირეთ და ჩვენნაირი მეთოდები არ ვასწავლეთ, ამის სიმპტომები შეიმჩნევა[1] და სწორედ ეს მაშფოთებს".

1 მისი სიტყვები გამართლდა

29 თებერვალი

დღეს დიდი კამათია საქართველოში მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ. სულ სხვადასხვა შეხედულების ხალხი აღმოჩნდა ერთ ბანაკში. მაგალითად, წინააღმდეგი არიან – „მრგვალი მაგიდა", მწერალთა კავშირი **გურამ ფანჯიკიძის** მეთაურობით, ნოდარ ნათაძე, ილია ჭავჭავაძის და მერაბ კოსტავას საზოგადოებები, ირაკლი წერეთელი, ვახტანგ გოგუაძე, შალვა ნათელაშვილი. მომხრეებში – შევარდნაძე, რესპუბლიკელები – ხაინდრავას მეთურობით, ირაკლი ბათიაშვილი და სხვა. აი, ასეთი უკიდურესი განსხვავებებია. 28 თებერვალს „ახალ თაობაში" ვალერი კვარაცხელაის ინტერვიუა სათაურით „დღეს სახეზე უკვე ჩამოყალიბებული ანტიდემოკრატიაა".

– „უკვე მესამე ორშაბათია, რაც პროგრამა პირისპირ ეთერში არ გადის. რა არის ამის მიზეზი"?

– „მე რომ გითხრათ, პროგრამა ოფიციალურად აკრძალეს მეთქი, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ბრძანება ამის შესახებ არავის დაუნერია, მაგრამ ვერც იმას გეტყვით, რომ არ აუკრძალიათ, რადგან ჩემი დიდი სურვილის, აქტიურობის და მცდელობის მიუხედავად, იგი ეთერში მაინც არ გადის".

– „რატომ? სტუდიას არ გითმობენ, საეთერო დროს თუ"...

– „ტელევიზიაში ყოველკვირეულად წინასწარ იგეგმება გადაცემები. ადგენენ კვირის პროგრამას, სადაც არ შეაქვთ ჩემი გადაცემები".

– „მიმართეთ ვინმეს ამის თაობაზე"?

– „ბატონ არჩილ გოგელიას, ტელერადიო კორპორაციის თავმჯდომარეს, მაგრამ მას არც უთქვამს ჩემთვის, რომ ეს პროგრამა რაიმე ცენზურული, თუნდაც პოლიტიკური მოსაზრებით, აღარ უნდა გასულიყო ეთერში, მიზეზი თუნდაც ის არის, რომ ჩემი გადაცემა არ აკმყოფილებს დღევანდელი საქართველოს ტელევიზიის დონესა და მაყურებელთა მოთხოვნებს – რომ ორი კაცის საუბარი ცოტა ძნელი მოსასმენია და მოსანყენია. ბატონმა გოგელიამ, როგორც იქნა გადაწყვიტა, თურმე, გააკეთოს ტელევიზია – ტექნიკურად მაღალ დონეზე შესრულებული, საინტერესო ვიზუალური პროგრამებით, სადაც იქნება ეფექტები, დინამიკა, ხედვითი მასალა,... ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ, საუბედუროდ, დღეს ტელევიზიაში არ არის ტექნიკური ბაზა, რომელიც მისცემს ჟურნალისტს საშუალებას, იმუშავოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. მაგრამ ამ ხარვეზების მიუხედავად, მე მაინც შემიძლია ტელაგადაცემის მომზადება, რაც არაერთხელ პრაქტიკულადაც დამიმტკიცებია ტელემაყურებლისათვის, ხოლო რაც შეეხება გადაცემის ვიზუალურ-ტექნიკურ გაფორმებას, მე აქეთ უნდა მოვთხოვო თავმჯდომარეს, რომ აღჭურვოს ჩემი პროგრამა ამისათვის საჭირო არსენალით და არა პირიქით. ესეც რომ არა, პროგრამას პირისპირ დიდი ტექნიკური ეფექტებით გაფორმება არ სჭირდება, ამ გადაცემაში ხომ მთავარი არის აზრი და არა სანახაობა.

– „ე. ი. ეს ყველაფერი სიტყვის მასალაა, მაგრამ მიზეზი"?

– „ჩემი ვარაუდით, პროგრამა „პირისპირ", თავისი პრობლემატურობის გამო, უკვე დიდი ხანია გარკვეულ დისკომფორტს უქმნის ტელევიზიის ხელმძღვანელობას. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა დაახლოებით ერთი თვის წინ ჩემს პროგრამაში ბატონების რევაზ მიშველაძისა და ჭაბუა ამირეჯიბის დაპირისპირებამ, ამას დაემატა ბატონების ალექსანდრე კავსაძისა და შალვა რჩეულიშვილის დუეტი, რამაც მავანთა დ მავანთა გაღიზიანება გამოიწვია, პირველ რიგში კი – მოქალაქეთა კავშირის. მე მომიყიდა უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღშფოთებულმა **რეზო ამაშუკელმა** მოითხოვა აღკვეთილიყო პროგრამა „პირისპირ", როგორც პრეზიდენტის სანინააღმდეგო გადაცემა. პარადოქსია: როდესაც პოლიტიკური, თუნდაც მმართველი პარტია, თავს უფლებას აძლევს გადაწყვიტოს ამა თუ იმ სატელევიზიო გადაცემის არსებობის საკითხი, პარტია, რომელმაც არ იცის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მას შეუძლია მიმართეს მხოლოდ სასამართლოს, არ უნდა მართავდეს ქვეყანას. მე არაერთხელ მივუთითე მოქალაქეთა კავშირს, რომ იგი დატეულიყო თავისი კომპენტაციის ფარგლებში, მაგრამ უშედეგოდ".

– „ტელევიზიის ხელმძღვანელობის რეაქცია როგორი იყო"?

„ზემოთ აღნიშნული გადაცემის შემდეგ ტელევიზიის ხელმძღვანელობამ მომთხოვა წინასწარი ერთთვიანი გეგმის წარდგენა იმის შესახებ, თუ რომელ გამომსვლელს მოვიწვევდი პროგრამაში. მე წარვადგინე ასეთი გეგმა – ვინაიდან ახლა მინის კანონს იხილავენ, გადავწყვიტე მომეწვია საპარლამენტო აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე, ქალბატონი **როზა ლორთქიფანიძე** და მის ოპონენტად – ყოფილი იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **შალვა ნათელაშვილი,** რომელიც თვლის რომ მინის გაყიდვის დაკანონება საქართველოსათვის ამ ეტაპზე საზიანოა – რათა ყოფილიყო ორი განსხვავებული აზრი, რაც უფრო საინტერესოსა და პრობლემურს გახდიდა გადაცემას. შემდეგ ვაპირებდი დეპუტატ **დავით ზეიკიძის** მონვეევას, რომლის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. მინდოდა აგრეთვე მომეწვია ბატონი **მუხრან მაჭავარიანი,** რაც უდავოდ საინტერესო იქნებოდა მაყურებლისათვის. გარდა იმისა, არ შეიძლება შერისხული იყო მუხრან მაჭავარიანის დონის კაცი – ეს თვით ქვეყნის სირცხვილია. მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსისა. განა მე არ მაქვს უფლება მომეწვიაო მუხრან მაჭავარიანი".

– „გეგმა რომ წარადგინეთ, უარი გითხრეს"?

„არა, უბრალოდ გეგმა გეგმად დარჩა, პროგრამა კი ეთერში არ გადის".

– „ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველოს ტელევიზია დიქტატის ქვეშ იმყოფება"?

– „რა თქმა უნდა, ამის საწინააღმდეგოდ ჩემს ოპონენტებს შემდეგი არგუმენტი აქვთ: ტელევიზია არის სამთავრობო ორგანიზაცია და არა კერძო ტელეკომპანია, სადაც ყველაფერი შეიძლება. ჩემი აზრით, სასაცილო, უსუსური არგუმენტია, განა სახელმწიფოც მთავრობაცა და მასზე დაქვემდებარებული ტელევიზიაც ხალხსა და სიმართლის სამსახურში არ უნდა იყოს"?

– „როდის ჩაეყარა საფუძველი თქვენს გადაცემას"?

– „ჩემი პროგრამის განხორციელების იდეა მე ჯერ კიდევ გამსახურდიას ხელისუფლების დროს გამოჩნდა, მაგრამ მაშინდელი თავმჯდომარე კატეგორიული წინააღმდეგი იყო და ისიც სწორედ იმავე არგუმენტებს იშველიებდა, რასაც დღევანდელი თავმჯდომარე არჩილ გოგელია – რომ ტელევიზიაში უნდა იყოს უფრო მეტი მოქმედება, ხედვითი მასალა და ა. შ. ყველაზე საოცარი ჩემთვის ის არის, რომ ამ პროგრამის რეალიზაციის საშუალება მე მხოლოდ სამხედრო საბჭოს დროს მომეცა, როცა ქვეყანას თოფიანი ხალხი მართავდა. მე ქვეტექსტებით არ ვსაუბრობ და არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს, ჩემი აზრით, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და ყველა ის თოფიანი ხალხი უფრო დიდი დემოკრატები იყვნენ, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლება. ამის თქმა რომ მინდოდეს, ვიტყოდი კიდეც, უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ – პროგრამა „პირისპირ" პირველად ეთერში 1992 წლის მარტში გავიდა".

– „ვინ იყო თქვენი გადაცემის პირველი სტუმარი"?

– „ჯაბა იოსელიანი. ორ კვირაში ოთხი წელი გახდება, რაც ეს პროგრამა არსებობს, და მე, თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ამ ხნის განმავლობაში მის მიმართ ინტერესი არ დაკარგულა, ხმამაღლა შემიძლია ამის თქმაც, რომ ამ პროგრამაზე უკეთესი პოლიტიკური გადაცემები საქართველოს ტელევიზიას ბევრი არა აქვს. მე ამბიციური არა ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი გადაცემების – პროგრამა „პირისპირ" და დემოკრატიის ტრიბუნის – ანალოგები ჩემს მერე მოსკოვის ტელეეკრანებზე გაჩდნენ და დღემდე პოპულარობით სარგებლობენ, მე კი გასაქანს არ მაძლევენ, დაუდგენელი ოფიციალური მიზეზების გამო ჩემს გადაცემას ეთერში აღარ უშვებენ და ეს მაშინ, როცა გამოვაცხადეთ, რომ შევუდექით დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას, როდესაც მივიღეთ კონსტიტუცია და, როგორც ამბობენ, სახელმწიფოს დაემსგავსა. შეუერთდით ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დეკლარაციასა და ადამიანის სხვადასხვა უფლებების დამცველ საერთაშორისო პაქტებს, ვაღიარეთ სიტყვის, პრესის, აზროვნების თავისუფლება. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ ჩვენ ეს ყველაფერი უახლოეს წარსულში გავიარეთ და დავრწმუნდით, თუ რა შედეგებამდე მიჰყავს ასეთ პოლიტიკას ხელისუფლება.

– „თქვენ, როგორც მახსოვს, ძალზე აქტიურად იბრძოდით „პროვინციული ფაშიზმის" წინააღმდეგ, იბრძოდით დემოკრატიული პრინციპისათვის. მე კარგად მახსოვს ტელევიზიის კიბეები დ ის ხალხიც, მხარში რომ გედგნენ,

რომელთაც, ჩემი აზრით, მაშინ უბრალოდ აწყობდათ ვითომდა დემოკრატიისა და „საქართველოს გადარჩენისათვის“ ბრძოლა“.

– „სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა რაღაც თანამდებობა მიიღო, გარკვეული მდგომრეობასაც მიაღწია, ახლა კი იმ მიღებულს, მიღწეულს და მოპოვებულს დაჰკანკალებს, ასე ვთქვათ და მეორდება იგივე, მე კი ყოველთვის ვამბობდი: ტელევიზიაში ყველაზე დიდი თანამდებობა ჟურნალისტობაა, სხვა ყველაფერი მოგონილი და ხელოვნურია“.

– „თქვენ მაშინ იბრძოდით, ახლა“?

–„ჩემი ოპონენტებისაგან განსხვავებით, მე გამოცდილებიდან და ისტორიიდან რაღაც დასკვნებს ვაკეთებ: ჩვენმა მაშინდელმა საქციელმა მაინც და მაინც დადებითი შედეგი არ გამოიღო, კარგი ვერაფერი მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ამდენად, აღარ მინდა ისევ ქაოსსა და უბედურებაში აღმოჩნდეს იგი. ამიტომ ჯერჯერობით მაქსიმალურად თავს ვიკავებ, თორემ დღეს საქართველოში ისეთი უკიდურესი მდგომარეობაა და დაძაბულობაა, რომ დიდი ვაჟკაცობა არ უნდა ხალხის ტალღის გამოწვევას – ისევე, როგორც ასანთს რომ მიიტან და ყველაფერი აფეთქდება... მხოლოდ დემოკრატიის ნოსტალგია არ მაქვს მხედველობაში, ლაპარაკია სოციალურ პრობლემებზეც. დღეს ხომ ადამიანი აბსოლუტურად დაუცველია, ბავშვებიც კი შიმშილით იხოცებიან, მათხოვრობენ, ცნობილი ქართველი მეცნიერები წიგნებს ყიდიან ქუჩებში, მაგრამ ამასაც აიტანდა ადამიანს, რომ იყოს რაიმე პერსპექტივა მდგომარეობის გამოსწორებისა“.

– „ის ფაქტორი არ მოქმედებს, რომ დღეს ზენოლის მექანიზმები ძლიერია“?

„გარკვეულწილად ეს ფაქტორიც მოქმედებს. სამწუხაროა, რომ თვით ეს ფაქტორი როგორც ფაქტი არსებობს და ამას ხალხი ხედავს. მე რომც უარვყო იგი, მკითხველი არ დამიჯერებს. ბუნებრივია, სახელმწიფოს თავისი მოთხოვნები და მოქმედების რაღაც გარკვეული ფორმებიც უნდა ჰქონდეს, ოღონდ არა მიუღებელი ფორმები. მე ხშირად გამომითქვამს საშიშროება, რომ ჩვენ ვაშენებთ არა დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს, არამედ პოლიტიკური რეჟიმის სახელწიფოს და, ვგონებ, უკვე ავაშენეთ კიდეც. მართალია, ქუჩაში აღარ დარბის თოფიანი, მაგრამ დარბის ფორმიანი ხალხი, რომელთაც ყველაფრის უფლება აქვთ და რასაც უნდა, იმას აკეთებენ“.

– „ეს იმის შედეგი ხომ არ არის, რაც მოხდა საქართველოში“?

– „როგორ გგონიათ, რომ მცოდნოდა ასეთ შედეგებს მივიღებდით. ვიბრძოლებდი? სამწუხაროდ, მოჩვენებითი ყოფილა თურმე ის საერთო ძალისხმევა და დიდი სურვილი იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში გვეცხოვრა. მე ნამდვილად მეგონა და მგონია კიდეც, რომ ადამიანმა ყოველთვის უნდა იბრძოლოს სამართლისათვის, საზოგადოებრივი ანომალიური მოვლენების, ადამიანის უფლებების შელახვის წინააღმდეგ, ამას ხომ კომუნისტების დროსაც ახერხებდნენ ჩვენი თანამემამულენი: **მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია** და კიდევ ბევრი სხვა, ყველას ვერ ჩამოვთვლი. ხალხი გამსახურდიას ხელისუფლებასაც კი აღუდგა, დემოკრატიულ ხელისუფლებასაც კი აღუდგა დემოკრატიული პრინციპების დარღვევის გამო და ალბათ დღესაც იგივე უნდა გაკეთდეს, რადგან დღეს სახეზე უკვე ჩამოყალიბებული ანტიდემოკრატიაა. ამდენად, არ ვიყავი მართალი, როდესაც ვთქვი, რომ მაქსიმალურად თავი უნდა შევიკავო, რათა არ გავამწვავო სიტუაცია-მეთქი. ყველაფერი უნდა გაეკეთო, რის გაკეთებაც შემიძლია. აი, თუნდაც თქვენ რომ გესაუბრებით, მე ხომ ვიცი, ხვალ თუ ზეგ ეს პრესაში გამოჩნდება, ე. ი. უკვე არ დავიმალე, თავისებურად ვიბრძვი კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს გამკლავების ფორმები განსაკუთრებით სასტიკია – მაგალითად, შეიძლება ჩემს ბინაში ნარკოტიკი ან იარაღი აღმოაჩინონ – არ დაიჯერო მკითხველო, ეს სიცრუე იქნება, ვინაიდან არასოდეს არ მქონია ასეთი მიდრეკილება“.

– „ე. ი. თქვენი პოლიტიკური საქმიანობა მალე შეიძლება დისიდენტური მიმართულების გახდეს“?

– „თუ არ გახდა უკვე“.

– „შეიძლება უფრო ჩამოყალიბდეს და გააქტიურდეს“?

– „თუ ჩვენი ხელისუფლება იელის იმ გზით, რა გზითაც დღემდე დადის, მაშინ ეს გარდაუვალია. მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ საქართველოს სამხარეო მონყობისა და როგორც პოლიტოკოსსა

და პროფესიონალ სოციოლოგს, მიმაჩნია, რომ ეს გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს საქართველოს და თუ ამას გააკეთებს ხელისუფლება, მე მასთან ერთად ვერ ვივლი, რადგან არ მინდა საქართველოს წინააღმდეგ ვიარო; ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა მაქსიმალურად ამუხრუჭებს საქართველოს ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას, იგი საფუძველშივე კლავს არა მხოლოდ მეწარმეობასა და ბიზნესს, არამედ კლავს საქართველოს ხვალინდელ დღესაც – ვერც ამ გზაზე გავყვები ხელისუფლებას".

– „მიწის კანონზე რას იტყვით"?

– „რაც შეეხება მიწის კანონს – მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ხმა მისცენ დღეს მიწის გაყიდვის დაკანონებას საქართველოში. ჩვენ გვამშვიდებენ, რა მოხდა, მხოლოდ 12 %-ზეა საუბარიო, ეს ცინიზმია. ლაპარაკია ძალზე სარფიან და მომგებიან მიწებზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს წარმოადგენს. შეიძლება წართმეული მიწის დაბრუნების შანსი კიდევ იყოს, მაგრამ გაყიდულ მიწას ვერასოდეს დაიბრუნებ. ნუთუ ეს ძნელი გასაგებია? ვერც ამ საკითხში დავეთანხმები ხელისუფლებასა და მთავრობას".

– „ხელისუფლება და მთავრობა ხომ პრეზიდენტის გარეშე არ არსებობს?!"

– „რა თქმა უნდა, არა. მაგრამ პრეზიდენტი სიტუაციის ერთგვარი მძევალია – იძულებულია გარკვეულ დათმობებზე წავიდეს და მიიღოს სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული კანონები, რათა სავალუტო ფონდმა კრედიტი გამოგვიყოს, თუმცა ვეჭვობ, რომ ეს მხოლოდ კრედიტიების გამო ხდება".

– „მაშინ მე არ მესმის, თქვენი პრეტენზიების: თუ პრეზიდენტი იძულებულია, ბუნებრივია, ხელისუფლებაცა და მთავრობაც იძულებულია. თქვენი აზრით, ეს გასამართლებელი საბუთია?"

– „რა თქმა უნდა, არა, ჯერ ერთი, ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ აქამდე არ მიიყვანო ქვეყანა და მეორეც, მაინც არ უნდა გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც ისედაც დაღუპულ ქვეყანას სულ დააქცევს და დაღუპავს".

– „ვგონებ, შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ გაუბედურებული ქვეყნის ჭირისუფალი პრეზიდენტობა მოუწევდა. როგორ გგონია, ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, მისი პოლიტიკური კურსის გამოვლინება არ არის"?

– „მისი და მხოლოდ მისი, სამწუხაროდ, იგი დღეს ერთპიროვნული ლიდერია, და, როგორც პრეზიდენტი, ყველაფერზე თვითონ არის პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობის გადანაწილება დღეს მოშლილია და ეს საშინელი ტენდენციაა – პარლამენტი არსებობს მხოლოდ ფორმალურად, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად პრეზიდენტის ხელშია".

– „ეს გარემოება გაპირისპირებთ პრეზიდენტთან"?

– „მე ისევ და ისევ ჯიუტად ვიმეორებ, რომ არ ვუპირისპირდები შევარდნაძეს. მე დღესაც მხარში ვუდგევარ მას. ნუთუ დაპირისპირებაა ის, რომ ხმამაღლა უთხრა პრეზიდენტს, რაც არ მომწონს, რაშიც არ ეთანხმები და სანამ იგი ან მისი მოხრეები არ დამარწმუნებენ თავისი პოზიციების სისწორეში, მანამ მე ჩემს აზრზე დავრჩები.

– „რა შეიძლება ამას შედეგად მოჰყვეს?"

– „ჯერჯერობით მხოლოდ ის, რომ მე აღარც პოლიტიკაში ვარ და აღარც ჟურნალისტიკაში. ნატო ონიანის ენით რომ ვთქვა, ტაიმ აუტი მაქვს აღებული, თუმცა მე ის კაცი არა ვარ, ფარ-ხმალი რომ დავყარო და უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად მივიჩნიო ბატონ გოგელიას დონეზე გადაწყვეტილი საქმე. ერთი სიტყვით, კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში ვაპირებ ბრძოლას და ვიაქტიურებ კიდეც, სანამ არ გამაჩუმებენ".

მართლაც, დღეს საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა კატასტროფულია, უნივერსიტეტში პროფესორის ხელფასი არის 14 ლარი, დოცენტის – 10 ლარი. ერთი კილო ხორცი ღირს 4 ლარი, თმის შეკრეჭა 3, 4 ლარი. ხალხი შიმშილობს. მე პირადად რამდენიმე თანამდებობა მაქვს. ას დოლარზე მეტი მაქვს და თან რამდენიმე მოსნავლეს ვამეცადინებ და ძლივს მყოფნის. წარმომიდგენია, როგორ ცხოვრობენ 10 და 20 ლარზე. რექტორი როინ მეტრეველი ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, თითქმის ყოველდღე მიდიან მასთან მშიერი, ცნობილი მეცნიერები და თხოვენ დახმარებას. ისიც ეხმარება ხან 100 ხან 200 ლარით, გუშინ ერთ-ერთი ცნობილი ძალიან კარგი ადამიანი, პროფესორი, გვარს არ ვასახელებ, ჩემთან

მოსამზადებელ ცენტრში უბრალო თანამდებობაზე დავნიშნეთ, რათა გადაგვერჩინა ფაქტობრივი შიმშილისაგან. მე პირადად ახლოს არ მიმუშავია რექტორთან, როინ მეტრეველთან, ბოლოს მომიწია და მინდა აღვნიშნო, რომ ის ბევრს ფიქრობს თავის გაჭირვებულ თანამშრომლებზე და შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ. მან ეს პროფესორი ისე დამანიშნინა, თითქოს ის არაფერ შუაში იყო, რომ რაღაც შეურაცხყოფა არ ეგრძნო ამ პიროვნებას.

დღევანდელ „ალიაში" არის ინტერვიუ პარლამენტის ერთ-ერთ წევრთან, რომელიც ვანის რაიონში იყო შემოწმებაზე. ინტერვიუ სათაურით „ქუთაისში განსაკუთრებული პირობები იქმნება". აშკარაა, რომ დაიწყეს ბრძოლა შაშიაშვილის წინააღმდეგ. ეს არის ბინძური ბრძოლა, შაშიაშვილი ნამდვილი ქართველი პატრიოტი აღმოჩნდა, რომელიც ამ ნაგავ მთავრობას არ უყვარს.

4 მარტი

ჩეჩნეთში საშინელი ამბები ხდება. დღეს რუსეთის ავიაცია ბომბავდა სოფ. სერნოვოდსკს, ასევე ცხრილავდნენ სოფელს ვერტმფრენები და უშენდა ჭურვებს არტილერია. ძირითადად იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა. ისეთი საშინელი კადრებია, რომ გული გაგიკვდება. ახლა ვფიქრობ, ნეტა მართლა ისევ ძველებურად ყოფილიყო, სსრ კავშირში მშვიდობა მაინც იყო, მართლაც საშინელებაა, რასაც ვამბობ, რა დაეშავეს პატარა ბავშვებმა, რომლებიც იღუპებიან ამ შეტაკებებში, რამდენი სასხლი დაიღვარა ამ ბოლო წლების განმავლობაში.

19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, რუსეთი არ შეასრულებდა და არც შეასრულა, მოლაპარაკებები რუსეთის არმიისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭების შესახებ ჩიხში შევიდა[1].

ამ დროს, **საქართველოს არ უნდა გეზი მხოლოდ რუსეთზე, არამედ ჩვენ ამ სამ წელიწადში უნდა ჩამოგეყალიბებინა მცირერიცხოვანი, მაგრამ მობილური არმია და გვესარგებლა რუსეთის მძიმე მდგომარეობით, რადგან ჩეჩნეთმა ამჟამად ნელში გატეხა რუსეთი, ამავე დროს ტაჯიკეთში რუსეთის ნაწილები ჩაბმულები არიან სამოქალაქო ომში, დღეს რუსეთს არც არმია და არც იდეოლოგია არ გააჩნია, ყველაფერი მოშლილია. შევარდნაძის მიერ ბოლო პერიოდში აღებულმა კურსმა რუსეთზე აშკარა მარცხი განიცადა, რადგან მას რუსეთი ისევ მიაჩნია ზესახელმწიფოდ. რუსეთი საშინში გახდება, როცა გენადი ზიუგანოვი ან მისი ტიპის პოლიტიკური მოღვაწე მოვა რუსეთის სათავეში. პრეზიდენტ ელცინის ეპოქა მალე დამთავრდება და მაშინ ნამდვილად გაგვიჭირდება აფხაზეთის დაბრუნება.**

შევარდნაძე ხვდება, რომ გამსახურდიას მიერ ნამოყენებულ იდეაში კავკასიის ერთიანი სახლის შესახებ – გონიერების მარცვალი იყო, რადგან სულ რუსეთზე ფიქრი შეცდომაა. საჭიროა მოლაპარაკებები თვით ჩვენს მეზობლებთან.

მე ბრალს არ ვდებ შევარდნაძეს იმაში, რაზეც ლაპარაკობს რადიკალური ოპოზიცია, რომ ის გამოგზავნეს მოსკოვიდან, რათა საქართველო დააჩოქოს და შეიყვანოს რუსეთის შემადგენლობაში – ეს აბსურდია, თუ ვინმეს, ჩემის აზრით, არ უყვარს რუსეთი, არის შევარდნაძე, ისევე, როგორც დღეს რუსეთს არ უყვარს შევარდნაძე, რადგან მას გორბაჩოვთან და იაკოვლევთან ერთად მიიჩნევენ მთავარ დამნაშავედ სსრკ-ის დანგრევაში. მართლაც, სსრკ-ის დანგრევის შემდეგ რუსეთმა დაკარგა ბალტიისპირეთი (სამუდამოდ, მ. ვ.), შუა აზია, ამიერკავკასია, უკრაინა. დარჩათ მხოლოდ ბელორუსია, რომელსაც, როცა უნდათ მაშინ შეირთებენ.

მართლაც, შევარდნაძემ ამ რამდენიმე დღის წინთ წამოაყენა იდეა კავკასიის სახლის შესახებ.

5 მარტი

გაზ. „დილის გაზეთი", გივი თარგამაძის სტატია „შევარდნაძის წინააღმდეგ".

[1] ეს ყველაფერი იყო ხალხის მოსატყუებლად, როგორ შეიძლებდია, რომ არმიას მიანიჭო პოლიციური უფლებები, მაშინ მათ სჭირდებათ გამომძიებლებიც და მთელი შტატი, რა თქმა უნდა ისევ ვიმეორებ, შევარდანძემ მშვენივრად იცოდა, რომ ეს არ განხორციელდება.

ამ სტატიაში წერია ის, რასაც მე ვწერდი. „სავსებით პროგრესული კონსტიტუცია გვისახავდა იმედს, რომ ათწლეულების მანძილზე უცვლელ, ყავლგასულ, სრულებით დრომოჭმულ ხელისუფლების სისტემას დასავლური სისტემა ჩაანაცვლებდა. სიტყვით მოცემული რეფორმა რეალურ სახეს მიიღებდა. მაგრამ შემდეგ სევდისმომგვრელი ძველი მივიღეთ, კვლავ მუდმივი გაცრეცილი ფიგურების გადაადგილება... განა ისინი, ვისაც დღეს ბრალს სდებენ და მოსკოვში ეძებენ, თანამდებობაზე პრეზიდენტის წარდგენილნი (თანაც ორჯერ) არ იყვნენ, განა პრეზიდენტმა მაშინ მათი ვინაობა არ იცოდა და თუკი მაშინ ვიღაცა აიძულებდა, დღეს „საოცარი" და ყოვლისშემძლე მონასტრია ხომ დამარცხებული, მაშინ დღეს რატომღა ბატონო პრეზიდენტო".

დღევანდელ „მსგეფსში" არის სტატია „ახალი ბრალდებები ჯაბას წინააღმდეგ". აქ საუბარია, რომ გია ჭანტურიას სიკვდილში უფრო „ხეიდარიონი" მონანილეობდა. „ოფიციალური წყაროების თანახმად, გია ჭანტურიას მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი იყო მაშველთა კორპუსის ყოფილი თავმჯდომარე გიგა გელაშვილი, რომელმაც ამ მიზნით უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე თემურ ხაჩიშვილი გამოიყენა... ეს უფრო ჰგავს სიმართლეს, ვიდრე ის ვერსია, რომ ყველაფერის თავი და თავი იგორ გიორგაძე იყო. იგორ გიორგაძეს კრიმინლური ფსიქილოგია არ ჰქონდა".

6 მარტი

საოცარი ხალხია ეს ჩეჩნები, გუშინ გრაჩოვი იყო გროზნოში და განაცხადა, რომ რამდენიმე პატარა ჯგუფი დარჩათ ჩეჩნებს და იმათაც მალე გავანადგურებთო. **დღეს კი დუდაევის ნაწილები შეიჭრნენ გროზნოში, დაიკავეს ტელევიზია, სადაც აჩვენეს დუდაევის გამოსვლა.** რომელმაც თქვა. რომ მისი ბრძანებით დაინყო გროზნოზე იერიში. ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქის ცენტრში, არადა **რუსებს ჩეჩნეთში ჰყავთ მთლიანად 600 ათასი ჯარისკაცი, დუდაევს კი – 6 ათასი მებრძოლი. რუსეთი მართლაც კატასტროფის წინაშეა. რუსეთის არმიას არ უნდა ბრძოლა, რისთვის იბრძვიან, არ იციან, არა აქვთ იდეოლოგია და შედეგიც სახეზეა.**

8 მარტი

დღეს გაზ. „ახალ თაობაში" წერია, რომ ელიზბარ ჯაველიძემ გერმანიაში ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. ეს, ჩემი აზრით, დღევანდელი ხელისუფლების სირცხვილია, აკადემიკოსს, პროფესორს ისე ექცეოდნენ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს, რამდენჯერ შეუვარდა პოლიცია სახლში[1]. მისი გაზეთის გამოცემა შეჩერდა. როგორ შეიძლება ადამიანი ასე განირონ, მოვა დროს, ღმერთი ყველას მიუზღვავს თავისას.

10 მარტი

უკვე ორი დღეა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი თბილისში იმყოფება. ორი ყოფილი სსრკ-ის პოლიტბიუროს წევრი, ამჟამად ორივე პრეზიდენტები, ერთმანეთს ხვდებიან. ადრე ერთმანეთს ხშირად ექიშპებოდნენ, თუ ვინ იყო ამიერკავკასიიდან პირველი კაცი. პირველად ალიევი გახდა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, მერე შევარდნაძე, შემდეგ, ანდროპოვის დროს, ალიევი გახდა პოლიტბიუროს ნამდვილი წევრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. შემდეგ გორბაჩოვმა გაუშვა პენსიაზე და შევარდნაძე გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი და პოლიტბიურის წევრი და მალე თვითონაც აღმოჩნდა პენსიაზე, შევარდნაძე შემდეგ გენერალმა კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა დასვეს სახელმწიფოს მეთაურად, როდესაც დაამხეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება. ასეთივე ბედი ჰქონდა ალიევს. როდესაც გენერალმა სურეტ ჰუსეინოვმა დაამხო პრეზიდენტ ელჩიბეის კანონიერი ხელისუფლება და პარლამენტის თავმჯდომარედ

[1] ელიზბარ ჯაველიძე იხსენებს, სახლში რომ ფანჯრიდანაც გადავმძვრალვარ, რომ მათ დავმალოდიო.

დასვა ჰეიდარ ალიევი, შემდეგ ალიევმა მოიცილა ჰუსეინოვი და გახდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი. მას არ ჩამორჩა შევარდნაძე, ციხეში ამოაყოფინა თავი კიტოვანს და იოსელიანს, და გახდა პრეზიდენტი, არც ალიევი და არც შევარდნაძე **დღეს რუსეთს არ აწყობს, ორივეს წინააღმდეგ რუსეთმა შეთქმულება მოაწყო, განსაკუთრებით კი ალიევის წინააღმდეგ, რადგან აქ „დიდი ნავთობის" საკითხი დგას, სწორედ ამიტომ ყოფილ მოქიშპეებს, ალიევს და შევარდნაძეს, ერთი ინტერესი გააჩნიათ და სჭირდებათ ერთმანეთი რუსეთის საწინააღმდეგოდ. გუშინწინ ალიევმა პარლამენტში განაცხადა, რომ აზერბაიჯანი არ დათმობს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და იბრძოლებს ბოლომდე. დიდი გამოცნობა არა სჭირდება, ვის წინააღმდეგ იბრძოლებს, რადგან აზერბაიჯანს და საქართველოს დამოუკიდებლობას ემუქრება მხოლოდ რუსეთი.**

ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა ჯაბა იოსელიანი დაცვის უფროსის, თამაზ ფანჩულიძის სასამართლო პროცესი. მისი „კლიჩკა" არის „წესრიგა". მე, რა თქმა უნდა, ძალიან უარყოფითი შეხედულება მაქვს „მხედრიონზე", მაგრამ ამ ორგანიზაციაში ძალზე მცირე, მაგრამ წესიერი, ვაჟკაცი ხალხიც იყო და ისიც მათ შორის არის თვით პროკურორმა ბაიდოშვილმა თქვა სასამარლოზე, რომ მე რომ დაცვა დამჭირდეს, ნამდვილად თქვენნაირ კაცს ავიყვანდიო. მას ბრალად ედება უკანონოდ იარაღის ტარება. სასაცილო ბრალდება არ არის, დაცვის უფროსს რომ იარაღი ექნებოდა, ეს არის გასაკვირი. „წესრიგამ" საბოლოოდ სასამართლოზე განაცხადა, რომ, როცა ეს მთავრობა საბრძოლო ოპერციებზე საომრად აგზავნიდა არავინ ეკითხებოდა, საიდან მქონდა იარაღიო. სასამართლომ მას ხუთი წელი მიუსაჯა.

11 მარტი

ეუყურებ მოსკოვიდან გადაცემა „სეგოდნიას", ღამის 11 საათია. გადაცემაში აჩვენეს ინტერვიუები რუს ჯარისკაცებთან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ არ უნდოდათ ომი ჩეჩნებთან. შემდეგ აჩვენეს, რომ რუსების პოსტზე რუსებმა ჩეჩნებს 6 ათას დოლარად მიყიდეს ტანკი, ბეტეერი და შემდეგ ერთად იქეიფეს – ჩეჩნებმა და რუსებმა.

თბილისში მიმდინარეობს **ლოთი (ვახტანგ) ქობალიას სასამართლო პროცესი.** ამ პროცესზე ის გამოყავთ, როგორც ბანდიტების მეთაური. მან განაცხადა (გაზ. „ახალი თაობა"), რომ ახალი დაწყებული იყო ომი აფხაზეთში, როცა დააკავა სოხუმიდან მომავალი ხუთი ავტობუსი „იკარუსი", რომელშიც ისხდნენ 64 საჩხერელი ჯარისკაცი, რომელთაც მოჰქონდათ უამრავი ნაძარცვი საქონელი და იარაღი. მე მათ ჩამოვართვი ეს ნაძარცვი საქონელი და იარაღი. და სოხუმელებს დავუბრუნე და მე ვარ ყაჩაღიო. საოცარია, მას დებენ ბრალს ყაჩაღობაში, რაშიც დიდად დაოსტატებულები იყვნენ, პირიქით, „მხედრიონი", დიდი ნაწილი, ე. წ. „საძმოების" და სხვები.

16 მარტი

გუშინ რუსეთის „სახელმწიფო სათათბირომ 25 ხმით მომხრე, წინააღმდეგ – 95, გაუქმებულად გამოაცხადა „ბელოვეჟსკის ხელშეკრულება" და იურიდიულად აღადგინა სსრ კავშირი. პრეზიდენტმა ელცინმა უარყოფითად შეაფასა სახელმწიფო სათათბიროს ეს გადაწყვეტილება და აღნიშნა, ამ გადაწყვეტილებით თავიანთ თავს აუქმებენო. უკრაინის პრეზიდენტმა **ლეონიდ კუჩმამ განაცხადა,** – „დუმის" გადაწყვეტილება ხიფათს უქმნის ისედაც სუსტ ინტერნაციულ პროცესებსო".

სომხეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ეს გადაწყვეტილება ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა".

აზერბაიჯანმა განაცხადა – გადაწყვეტილება არ ეხება აზერბაიჯანს, რომლის ხალხმაც ერთხელ უკვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და დაადგა დამოუკიდებლობის გზას.

ჩემი აზრით, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ გამოხატა ის, რასაც დღეს ფიქრობს რუსეთის მთავრობა, ამით აშკარად აჩვენეს, რომ სნგ სრულებითაც არ აკმაყოფილებს რუსეთსა და ცდილობს აღადგინოს სსრკ. საოცარია,

თვით რუსეთმა ჩეჩნეთს ვერაფერი მოუხერხა და როგორ აპირებს უკრაინის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის და ამერკავკასიის დაპყრობას.

ალბათ, უნდათ ჯერ რამდენიმე სახელმწიფო შეიყვანონ სსრკ-ში და ამ პირველ სახელმწიფოებში, ალბათ, ჩვენ ვიგულისხმებით. საქართველოში ისინი შეეცდებიან ისეთი პიროებები შექმნან, რომ ხალხმა განაცხადოს, აღარ გვინდა ამდენი უბედურება და ოლონდ სიმშვიდე იყოს, ყველაფერზე თანახმა ვართო.

დღეს საქართველოში სიმშვიდეა, აღარ არის ავტომატების სროლა და უბედურება. ეს რომ არ დაინახო, მტერი უნდა იყო შენი სამშობლოსი, მაგრამ ეკონომიკურად გაჭირვებაში იმყოფება საქართველოს მოსახლეობის 95%. მათი უმრავლესობა შიმშილობს. ამ გაჭირვების დროს, პირიქით, გამდიდრდნენ მთავრობის ნარმომადგენლები, მაკონტროლებელი ორგანოები, ნარმოებები გაჩერებულია, შსს-ში მუშაობს 80-ათასი პოლიციელი, რომელი ქვეყანა შეინახავს ამდენ პოლიციელს. პარლამენტში ახალგაზრდების ერთ ნაწილი ხვდება ამ გასაჭირს და მათი აქტიური გამოსვლები სხდომებზე საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგ. გია ბარამიძემ და მისმა მეგობრებმა ამ დღეებში გაილაშქრეს „საქენერგოში" შექმნილი სიტუაციის წინააღმდეგ, სადაც ვითომდაც რემონტზე დახარჯეს 10 მილიონი ლარი. ასევე გაილაშქრეს არჩილ გოგელიას წინააღმდეგ, რომელმაც ფაქტობრივად მხარი დაუჭირა „საქენერგოს" და არ გაუშვა ტელევიზიით ამ საკითხზე მათ მიერ ჩატარებული პრესკონფერენცია.

ძალიან მომეწონა, როდესაც მიშა სააკაშვილის და სხვების ინიციატივით შეიქმნა საპარალამენტო საგამომძიებლო კომისია. ფაქტობრივად ისეთი, რომლის შექმნასაც თავის დროზე ითხოვდა ირინა სარიშვილი, ამ კომისიის საათავეში ჩაუყენეს გია ბარამიძე.

17 მარტი

მეტად უარყოფითად შეაფასა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილება სსრკ-ს აღდგენის შესახებ ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა. მან განაცხადა – „1991 წლის აგვისტოს სწორედ ამ ძალებმა შეუშალეს ხელი ხელშეკრულების ხელმოწერას. ახლა ისევ ის ძალებია, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოსაც დაშლიან". უარყოფითად შეაფასა ეს გადაწყვეტილება მოლადვეთის პრეზიდენტმა სნეგურმაც.

გაზ. „შანსი" № 28 გამოქვეყნდა **ვახტანგ გოგუაძის სტატია სათაურით „შევადრნაძის ავტორიტეტი საქართველოსთან ერთად დნება".** ის წერს, **„ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათ კვლავ სპიკერობა, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდებოდი ამ პერიოდში, ამ კურსის პირობებში, მე ამ კურსს არ ვიზიარებ, ეს ჩემი კურსი არ არის... ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება „თანადგომა"** ძალიან საინტერესო გაერთიანება იყო. **პრეზიდენტის კანდიდატურას ვუჭერთ მხარს, ასევე ჩვენს გარდა კიდევ, რამდენიმე პოლიტიკური პარტია უჭერდა მხარს პრეზიდენტის კანდიდატურას და ძალიან ეფექტური პროპაგანდაც** განიეს, **მაგრამ მოხდა ერთი ასეთი რამ, ეს პარტიები მოისროლეს და ასე გამოუვიდა პრეზიდენტს, რათ მინდა თქვენი მხარდაჭერა. ერთი პარტია – „მოქალაქეთა კავშირი" და დანარჩენი** არ მაინტერესებს, **არ მჭირდებაო და აღმოჩნდა,** მივიღეთ **მონოპარლამენტი, ერთკაციანი პარლამენტი, რაც უნდა პრეზიდენტს ის იქნება. იქ რომ** მცირე **კამათია, ეს უბრალოდ თეატრია.**

შემდეგ გოგუაძე **სწორად შენიშნავს, რომ „ამ** პარლამენტის **ძალიან** დიდი **ნაკლია, რომ** არ **არიან** კომუნისტები, **ზვიადისტების** იმ **პარლამენტში** ყველა **შიგნით** იყო. **ამიტომ** ის **პარალმენტი ნერვებს** რომ **უშლიდა** ხალხს, **პრობლემები** გარეთ **კი** არ **დატოვა,** შიგნით **შემოიტანა,** მთელი **თავისი** სისაძაგლით, **სიმწავავით, საშინელებით.**

27 მარტი

28-30 მარტის გაზ. „მსგეფსი", ინტერვიუ ვახტანგ გოგუაძესთან.

კორესპოდენტი ეკითხება ლოთი ქობალიას სასამართლო პროცესის შესახებ.

ვ. გ. – „პირადად მე ქობალიას მოღალატეს ვერ ვუწოდებ, არ იზიარებდა იგი ხელისუფლების კურსს და ეს იყო". ვახტანგ გოგუაძეს აბსოლუტურად ვეთანხმები ამ საკითხში.

დიდი ამბებია მოსალოდნელი, რადგან 31 მარტის რეფერენდუმის თარიღი ახლოდება, ნინათ დღეანდელი ხელისუფლება ამ თარიღს სულ შიშის თვალით უყურებდა, რადგან ეშინოდათ ზვიადის მომხრეების. ახლა კი, პირიქით, ხელისუფლებამ ძალიან კარაგად გამოიყენა რეფერენდუმის შედეგები[1] და განაცხადეს, რომ ბელოვეჟევსკის ხელშეკრულება მათ არ ეხებათ, რადგან საქართველომ 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა რეფერენდუმი და 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა. აღმოჩნდა, რომ გამსახურდია მართალი იყო, როდესაც ჩაატარა რეფერენდუმი. ვახტანგ გოგუაძე სწორად წერს (სამწუხაროდ, მაშინ, როდესაც დაკარგა თანამდებობა, მ. ვ.) – „მას (გამსახურდიას მ. ვ.) ნამდვილად ჰქონდა დადებითი მომენტები, რომელთა არ დანახვა არ შეიძლება, მე ძალიან მენანება ეს კაცი".

29 მარტი

დღეს მოსკოვში ხელი მოაწერეს ე. წ. „ღრმა ინტეგრაციაზე" – რუსებმა, ყაზახებმა, ბელარუსმა და ყირგიზეთმა. 2 აპრილს რუსეთმა და ბელარუსმა უნდა მოაწერონ ხელშეკრულებას ხელი, რომლითაც ფაქტობრივად ბელარუსია და რუსეთი ერთიანდებიან, რაც არ უნდა დაარქვან ამას, რუსეთი იწყებს სსრკ-ს აღდგენას. ამ საქმეში უკრაინა თუ შეუშლის ხელს, თორემ დანარჩენებს, გარდა ბალტიისპირეთისა, ალბათ, რუსეთი ნელ-ნელა გაუსწორდება. რაც შეეხება საქართველოს, ის ვერ დაუდგება მას წინ, რადგან ხალხი იმდენად გაჭირვებულია, იმდენი ლტოლვილია და ამავე დროს შევარდნაძეს ფაქტობრივად დასაყრდენი არა ჰყავს ხალხში.

დღეს გაზ. „ახალ თაობაში" წერია, თუ როგორ გადანვა „მხედრიონმა" სოფ. დარჩელი და რა საშინელებას სჩადიოდნენ ისინი, ამას სხვა რომ ამბობდეს, არ გაგვიკვირდება, მაგრამ სწორედ ეს „მხედრიონი" იყო მთავარი დასაყრდენი შევარდნაძის და დღეს ვინც შევარდნაძის გარემოცვაშია, ყველა მათთან მეგობრობდა. დაუჭერიათ ზუგდიდის ყოფილი კომენდანტი პაიჭაძე, რუსთავის „მხედრიონის" უფროსის მოადგილე და კახეთის „მხედრიონის" უფროსი ქრისტესაშვილი.

სამწუხაროდ, ნინ დიდი ამბები გველის, მართალია, დავიღალე. აღარ მინდა ისევ დაიწყოს არეულობა. ისტორიაში იშვიათია, რომ იმპერია ხელახლა აღდგეს, მაგრამ არის მომენტები, როცა მოდის პიროვნება, რომელიც შემოიკრებს თავის გარშემო თანამზრახველებს, მისცემს იდეას და მაშინ ისტორიული კანონზომიერებანი, განსაკუთრებით რუსეთში[2], ნაკლებად მოქმედებს, ისევე როგორც იყო ლენინის და სტალინის ფენომენი.

31 მარტი

გუშინ უნივერისტეტში ჩატარდა ფილოლოგების მიერ მონყობილი შეკრება, რომელზედაც განიხილეს თურქული უნივერსიტეტის გახსნის საკითხი დუშეთში, ბაზალეთის ტბასთან. ამ ხელშეკრულებაზე ადრე ხელი მოუნერია ვიცეპრემიერს მარგიანს და განათლების სამინისტროს, მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე თავიდან წინააღმდეგი იყო, მაგრამ, როგორც „კაეკასიონში" ეწერა, მარგიანს ის თურქეთში წაუყვანია და მერე დათანხმებულა. ამ საქმეში, ძალიან სამწუხაროა, აქტიურ როლს თამაშობს **გურამ მამულია**, რომელიც აშკარად უჭერს მხარს თურქეთს. მის გარდა დამცველი ამ პროცესს არავინ ჰყავს. აღმოჩნდა, რომ ამ უნივერსიტეტში უნდა ისწავლოს ათი ათასმა თურქმა და 50 პექტარი გადაეცემა მათ 99 წლით. ეს, რა თქმა უნდა, გახლავთ პანთურქიზმის პოლიტიკის გატარება საქართველოში.

შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე **რომან მიმინოშვილი** სამი საათი მიმდინარეობდა შეხვედრა. ყველა ნინააღმდეგი წავიდა ამ უნივერსიტეტის გახსნისა. მნერალმა **რევაზ მიშველაძემ** სწორად აღნიშნა, რომ ამ სამი ნლის განმავლობაში ძლივს ერთად შევიკრიბეთ სხვადასხვა შეხედულებების ხალხი, ჩანს, რაღაც გამოღვიძება არისო.

[1] აქ აშკარა ჩენს გამსახურდიას გენიოსობა. მაშინ ბევრი ვერ ხვდებოდა, რა საჭირო იყო ეს რეფერენდუმი და 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა.

[2] ჩემი სიტყვები გამართლდა შემდგომში, პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთი ისევე ძლიერ სახელმნიფოდ აქცია.

გაზ. „7 დღე", ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან.

ი. ბ. „ხელისუფლების მცდელობა, რომ დღესვე კიტოვანს ან სხვა ქართველ პიროვნებებს გადააბრალონ ჯარების შეყვანის გადაწვეტილების მიღება, აბსურდია და დანაშაულებრივია ნებისმიერი კრიტერიუმით. აფხაზეთში ჯარების შეყვანა გადაწყდა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე თავმჯდომარეობდა, გადაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველასათვის ცხადი იყო ჯარის ენგურზე გადავლა გარდაუვალი ომი იქნებოდა. გადაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა, არძინბასთან შეთანხმება-შეუთანხმებლობის გარკვეულ საკითხს არავითარი აზრი არ ექნებოდა, გადაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ და თავად სახელმწიფოს მეთაურმა ყველაზე უკეთ იცოდა, არძინბა მისგან სრულიად უმართავი ფიგურა იყო. საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის პოზიცია მაშინ ავთანდილ იოსელიანი, გამოსვლით დაფიქსირდა სახელმწიფო საბჭოს 11 აგვისტოს სხდომაზე. ამ სხდომის სტენოგრამა, ალბათ შემოინახა. ბატონ იოსელიანის კატეგორიული, არგუმენტირებული გამოსვლა. შეიძლება საჭირო იყო პროტესტის რადიკალური ფორმა, საჭირო იყო უფრო აშკარად გამოხატული და მნვავე რეაქცია, რომელიც ჩვენთვის მართლაც არ დაფიქსირებულა. მაგრამ პოზიცია ნამდვილად გვქონდა, თუმცა ეს პოზიცია არავის გაუთვალისწინებია".

3 აპრილი

შევარდნაძე მკვეთრად საუბრობს ამ დღეს რუსეთზე და ამბობს საქართველოს შეუძლია რუსეთის გარეშე ცხოვრება, მაგრამ ჩემი აზრით, მონობაში გაზრდილი თაობა ვერ მოიპოვებს თავისუფლებას და საქმეს იქამდე მიიყვანს ისე გაამათრახებენ ჩვენ ხალხს, რომ ბოლოს იტყვიან, აღარ მინდა დამოუკიდებლობა, მომენატრა საბჭოთა კავშირში ცხოვრებაო. ხალხს წინათ კრიმინალები ანუხებდნენ, ახლა მოვიდნენ, „ჰალსტუხიანი ბანდიტები". საქართველოს შეუძლია რუსეთის გარეშე ცხოვრება, მეორე დღეს კი გრაჩოვს ხედებიან როგორც მონები. გაიგე ახლა, ამათ საერთოდ რა უნდათ და რა პრინციპი გააჩნიათ. (მ. ვ.).

8 აპრილი

გაზ. „შანსი" – **ინტერვიუ ვალერი კვარაცხელიასთან.**

კორ. – „როგორც პიროვნებაზე, რას იტყვით პრეზიდენტ გამსახურდიაზე და პრეზიდენტ შევარდნაძეზე. რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის".

ვ. კ. – „მსგავსება ის არის, რომ ორივე ისტორიული და ორივე რთული პიროვნებაა, ხასიათის თავისებურებებიდან შეიძლება ზოგიერთი მსგავსების დაძებნა, ვთქვათ, ამბიციურობა და საკუთარ პერსონებზე გადაჭარბებული წარმოდგენები, რაც შეეხება განსხვავებას, იგი უფრო თვალშისაცემია. **განსხვავებულია მათი ბიოგრაფიები და მსოფლმხედველობა. თუ პირველი ეროვნულ იდეებს ელოლიავებოდა, მეორე კოსმოპოლიტი იყო, თუ პირველი მორწმუნე ქრისტიანი იყო, მეორე ათეისტი გახლდათ, თუ პირველი უშუალოდ უპირისპირდებოდა მოწინააღმდეგეს, მეორე დაპირისპირებას მხოლოდ მაშინ გამოამჟღავნებს, როცა ყველაფერს მოაგვარებს ისე, რომ აუცილებელ გამარჯვებას მიაღწევსო.** ერთი სიტყვით დაკვირვებული კაცი მსგავსებასაც ბლომად ნახავს და განსხვავებასაც. არსებითი ეს არ არის, არსებითი ის გახლავთ, თუ რა შესძინა თავის ქვეყანას ერთმა ან რას შესძენს მეორე".

კორ. – „ როგორც ჩანს, თქვენი დამოკიდებულება შევარდნაძის პიროვნებისადმი რადიკალურად შეიცვალა".

ვ. კ. – „ყოველ შემთხვევაში, მე მას აღარ ვენდობი ისე ბრმად როგორც წინათ. მან დაპირებები ვერ შეასრულა".

კორ. – „რა, კონკრეტულად"?

ვ. კ. – **„ახსოვს ხალხს, იგი ამბობდა 2-3 წელიწადში ეკონომიკა აღორძინდებაო. იგი ბრძანებდა, რომ ერთი გოჯი ქართული მიწა არ დაიკარგებოდა, მაგრამ ერთმანეთის მი-**

ყოლებით დავკარგეთ შიდა ქართლი და აფხაზეთი. გვაიმედებდა, რომ ღირსეულად დავამთავრებდით აფხაზეთის ომს, მაგრამ ეს ომი სამარცხვინოდ წავაგეთ. იგი გვანუგეშებდა, რომ ლტოლვილებს ასევე ღირსეულად დავაბრუნებდით აფხაზეთში, მაგრამ აქაც განბილებულები დავრჩით. ასე რომ, დღეს იშვიათად ნახავ კაცს, შევარდნაძის მოღვაწეობის შედეგებით გულგატეხილი რომ არ იყოს. ამასთან დაკავშირებით დიდი გულისტკივილით წერდა ვახტანგ გოგუაძე. დღეს ჩვენ, მის თანამებროლებს გული, გვტკივა იმის გამო, რომ ასე შეირყა და შეილახა მისი ავტორიტეტი".

კორ. – „თქვენი აზრით, ეს ყველაფერი ერთი კაცის, შევარდნაძის ბრალია"?

ვ. კ. – „არა, მარტო მისი ბრალი არ არის. მაგრამ იგი ხშირად ისეთ ხალხთან თანამშრომლობს, ვისთან თანამშრომლობაც ქვეყნის მეთაურს არ ეკადრება. ხან ვითარებით ამართლებს ამას, ხან შეცდომას უწოდებს. შედეგი კი ყოველთვის ერთნაირად სავალალოა. მარტო იგორ გიორგაძეზე ლაპარაკი რად ღირს, თუ, რა თქმა უნდა, სწორია ის, რასაც დღეს პრეზიდენტი მასთან დაკავშირებით ამბობს".

ვალერი კვარაცხელია აქ სწორად შენიშნავს, კერძოდ მის საკადრო პოლიტიკაზე, საშინელებაა მისი საკადრო პოლიტიკა, აქაც მინიშნებით არის ნათქვამი იგორ გიორგაძეზე. **ჩემი აზრით, ის რასაც დღეს ყველაფერს გიორგაძეს აბრალებენ არ უნდა იყოს სწორი და არც მის მიერ უნდა ყოფილიყო 29 აგვისტოს ტერაქტი მოწყობილი. (მ. ვ.).**

გაზ. „მსგეფსი", 4-6 აპრილი – „როგორც ჩანს, ასეთი სახის შემომქმედები, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას გურამ პეტრიაშვილის და რეზო ამაშუკელის სახით დაებედა და ტრადიციად იქცა".

აბსოლუტურად სწორია ეს შენიშვნა. როგორც ადრე ნერვებს მიშლიდა გურამ პეტრიაშვილი, ასევე ნერვებს მიშლის რეზო ამაშუკელი (მ. ვ.).

გაზ. „დრონი", 5-9 აპრილი – მომეწონა **რამაზ კლიმიაშვილის წერილი „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს"**, რომელიც შეეხება შევარდნაძის კადრების საკითხს. კერძოდ, ის წერს, რომ 1993 წლის 29 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოში სანდრო კავსაძე გაიგზავნა, რომელიც საზღვარგარეთ ნამყოფიც არ იყო, არავითარი დიპლომატიური მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა და მოხსენება დაუწერია მის პოეტ მეუღლეს, მოხსენება ასე იწყებოდა – „მეგობრები, ჩავხედოთ ერთმანეთს სულში" და ამ კაცმა 27 ივლისს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, როცა სამხედრო ტექნიკა სოხუმიდან გაიყვანეს.

13 აპრილი

9 აპრილი თითქმის ნაიშალა ქართულ ცნობიერებაში. თვითონ ხელისუფლებამ აღნიშნა ეს დღე. **ხალხი იმდენად გაჭირვებულია, რომ აღარც 9 აპრილი ახსოვს და არაფერი აღარ უნდათ. ყოველიფე ეროვნული თვითონ ჩაკლა ამ მთავრობამ და ახლა ისევ თვითონ ცდილობს გამოაღვიძოს ეროვნული სული, რადგან აშკარად ეშინიათ, რომ რუსეთში ზაფხულში საპრეზიდენტო არჩევნებში არ გაიმარჯვოს გენადი ზიუგანოვმა, ამიტომ აქცენტი ამ ბოლო დროს გადაიტანეს დამოუკიდებლობის აღნიშვნებზე. კერძოდ, 31 მარტის რეფერენდუმის ხუთი წლისთავი იზეიმეს. 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის ხუთი წლისთავი.** მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გავლენა ხალხზე ძალზე მინიმალურია. შევარდნაძის კიდევ სჯერათ, დანარჩენების – არავისი.

ამავე დროს ზვიადის მომხრეებმა დროებით ჩაიარეს რუსთაველზე. მისასალმებელია, რომ მათ კიდევ შერჩათ იდეალები და რწმენა. საქართველო შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომ ხალხმა თქვას, ვიყოთ ისევ ერთად სსრკ-ში და აღარ გვინდა არაფერი. არადა ძალიან დიდია შანსი ზიუგანოვის გამარჯვებისა. არც არის გასაკვირი, ახლა რუსეთში ხუმრობენ, ელცინმა კომუნისტი შეაყვარა ხალხს, რასაც კომუნისტებმა ვერ მიაღწიესო 70 წლის განმავლობაში. ხალხმა რომ მხარი დაუჭიროს ზიუგანოვს, არც არის გასაკვირი, რადგან ამ თაობას ყველას ახსოვს რამხელა იმპერია ჰქონდათ და ახლა რუკას რომ უყურებენ, ფიქრობენ, როგორ დაკარგეს უკრაინა, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია, მოლდავეთი სულ რაღაც ხუთ წელიწადში.

23 აპრილი

გუშინ გადმოსცეს, რომ საჰაერო დაბომბვის დროს დაიღუპა ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი. გუშინ დაზუსტებული არ იყო ეს ცნობა, დღეს უკვე გადმოსცეს, რომ მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი იანდარბიევი. ეს დიდი დარტყმაა ჩეჩენი ხალხისთვის.

საქართველოს პარლამენტმა, როგორც იქნა, 16 აპრილს დაამთავრა აფხაზეთის საკითხის განხილვა. დადგენილებაში, რომელსაც ყველა პარლამენტარმა დაუჭირა მხარი – 187 მომხრე, წინააღმდეგი – არავინ, აღნიშნული იყო, რომ თუ 2 თვის განმავლობაში რაიმე არ შეიცვალა რუსეთის „სამშვიდობო ძალების" მანდატში, მათ უნდა დატოვონ საქართველო, ყველა ხელშეკრულება სეპარატისტულ ხელისუფლებასთან დადებული გაუქმდა. ამ დადგენილებას უარყოფითად შეხვდა არძინბა და განაცხადა – „რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქრთველო დაიწყებს ომსო".

ჩემი აზრით, ამ დადგენილების მნიშვნელობა ის არის, რომ პარლამენტში მოხდა ყველა ძალის შეთანხმება, მეტი **არაფერი, რადგან ეს დადგენილება არ იმუშავებს.**

შევარდნაძემ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ სოხუმი უნდა ჩაებარებინათ და გიორგაძეს რუსი გენერლების საშუალებით უნდოდათ საქართველოში ჩემს მაგივრად სხვა დაენიშნა, რომლის გვარსაც, სანამ ცოცხალი ვარ, არ ვიტყვიო.

ირინა სარიშვილმა გაზ. „7 დღეში" აღნიშნა, რომ „ეს პიროვნება მოსკოვში უნდა იმყოფებოდესო". დღევანდელ „ახალ თაობაში" **კიტოვანმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის ომის დროს სამთავროებო ჯარები სოფლებს რომ აიღებდნენ, მერე „მხედრიონი" ძარცვავდა ამ სოფლებსო.**

როცა ამ სიტყვებს ისმენ ადამიანი, არ შეიძლება, რომ არ გაგიჟდე. ამ ომში ხომ ყველაფერი იძარცვებოდა და იყიდებოდა. არ მიკვირს, მაგრამ, თუ აღებული სოფლებიც იყიდებოდა, ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ახლა აშკარაა, რატომ არ აიღეს ტყვარჩელი.

„ალია საქართველოში" № 48 – ინტერვიუ **გურამ შარაძესთან, სადაც ის აბსოლუტურად სწორად ამბობს, რომ „საერთოდ ყველა პრეზიდენტს საქართველოში მისი გარემოცვა ღუპავს".**

25 აპრილი

21 აპრილს შევარდნაძემ, ალიევმა და ტერ-პეტროსიანმა ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ურთიერთობის დოკუმენტს. შევარდნაძემ აღნიშნა, დაიმახსოვრეთ 21 აპრილიო.

გაზ. „ალია" № 49 – ინტერვიუ ვახტანგ გოგუაძესთან, რომელიც დღევანდელ პარლამენტზე ამბობს **„დღევანდელ პარლამენტში შევარდნაძეს ყველანაირი უფლებები აქვს, მან რომ თქვას თბილისს ატომური ბომბი დავარტყათო, კამათი მხოლოდ იმაზე გაიმართება, რომელ რაიონში უფრო აჯობებსო, ბატონო პრეზიდენტო.**

2 მაისი

არ შემეძლო წერა, რადგან გულის შეტევის გამო ვწევარ. 26 აპრილს გარდაიცვალა ჩემი მეგობარი, კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. ზანდი ბოცვაძე, რომელიც ძალიან მიყვარდა. ის სამი დღე ინვა საავადმყოფოში, გულმა შეანუხა, მერე სახლში გამოუშვეს, ისეთი არაფერი არ ჰქონდა და სახლში დილას გარდაიცვალა. ხალხი ვეღარ უძღებს ამდენ უბედურებას. საწყალი, ბევრ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს, რომ ოჯახი შეენახა. მთელი დღე მუშაობდა, აბა, რა უნდა ექნა, როგორც კათედრის გამგეს ჰქონდა ხელფასი 14 ლარი და 70 თეთრი, ეს არის 12 დოლარი. ხალხი საშინელ დღეშია.

დღ. „ალიაში" არის ინტერვიუ ვალერი კვარაცხელიასთან: სადაც ის წერს „დღეს ის სენი გეჭირს, რაც გამსახურდიას დროს იყო. მთელი ხელისუფლება ერთი კაცის ირგვლივ არის მოკრებილი. კარგი იქნებოდა, ეს რომ ლიდერის გარშემო არსებული გუნდი იყოს, მაგრამ მათი დიდი ნაწილის მთავარი მიზანია, ერთ პიროვნებას ასიამოვნონ, რათა თანამდებობები შეინარჩუნონ საქართველოში.

კორ. „ბატონი პრეზიდენტი არასოდეს გაქცევია პასუხისმგებლობას".

ვ. კ. – „სიტყვით კი. დამისახელეთ თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც მას თავის თავზე აეღოს პასუხისმგებლობა და რეალურად ეტვირთოს იგი. დაპირებები მრავლად ყოფილა, მაგრამ არ მახსოვს, აქედან რომელიმე მათგანი გამართლებულიყოს ან მას პასუხისგება მოჰყოლოდეს".

კვარაცხელია, ჩემი აზრით, სნორად შენიშნავს, რომ „თუ ომის დანყებაში ერთი პიროვნების გამო ყველა დამნაშავე ყოფილა, როგორც ახლა იკვეთება, ქვეყნის პირველ პირს ამის შესახებ მაშინვე უნდა ეყვირა და არა სამი წლის შემდეგ.

მესმის, რომ იმ დროს შევარდნაძე სრულად ვერ ფლობდა სიტუაციას, მაგრამ, თუ ხედავ, რომ უბედურება ხდება, რაც ქვეყანას დაანგრევს, შენი მორალური ვალია ამის თაობაზე ხმამაღლა განაცხადო. კაცი შენ თავთან მაინც უნდა იყო მართალი, მიუხედავად არსებული ნინააღმდეგობებისა თუ დაბრკოლებისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაგიჭერს და ირწმუნებს შენსას ხალხი".

სამწუხაროა, რომ კვარაცხელია საკმაოდ აქტიური მომხრე იყო შევარდნაძის და ახლა ასეთ რამეებს წერს. თუ ამას გულწრფელად აკეთებს მისასალმებელია, რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლება ირწმუნოს ჭეშმარიტება, მიუხედავად მისი წარსულისა.

საოცარი ხალხი ვართ. ქვეყანა უდიდესი გაჭირვებისაგან გმინავს, ხალხი ფაქტობრივად შიმშილობს, აღარ შემიძლია ჩამოვთვალო ის პრობლემები, რაც დღეს გაგვაჩნია და ამ დროს ისევ ნინ წამოსწიეს **ასლან აბაშიძის** პიროვნება.

სააგენტო „იბერიაზე" დაყრდნობით, გაზეთებმა გააერცელეს ინფორმაცია, რომ ასლან აბაშიძე კატეგორიულად ითხოვს აჭარაში საპრეზიდენტო მმართველობას, აჭარის სტატუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელს შევუშლით ნავთობსადენის მშენებლობასო.

აჭარის საინფორმაციო სააგენტომ უარყო ეს ჭორი. გაზ. „ახალ თაობაში", 3 მაისს ფრაქცია „აღორძინების" თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძემ** განაცხადა, რომ „ამას აკეთებს მოხელეთა ის ჯგუფი, რომლთაც არ სურთ მშვიდობიანი აჭარა".

კორ. – „სად არის ეს ჯგუფი".

ვ. ა. – „ეს ჯგუფი თბილისში ზის".

გუშინნინ გაზ. „მონიტორში" ნავიკითხე სტატია, სადაც ავტორი წერს, რომ საქართველოში არის 4 რეჟიმი – შევარდნაძის, არძინბასი, ჩიბიროვის და აბაშიძის. აბაშიძე მოხსენიებულია „ფაშად".

ისევ ვიმეორებ, ასლან აბაშიძემ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში, მე არ ვიცი რა მოხდებოდა, მაგრამ მან, ფაქტობრივად ერთმა კაცმა, და მერე თემურ შაშიაშვილმა ომი გამოუცხადეს ბანდიტებს, ყაჩაღებს, რომლებიც იყვნენ ხელისუფლების სათავეში. დღეს, როცა თბილისში ჭკუაზე გადასული შევარდნაძის მომხრეები მეუბნებიან – შევარდნაძეს არ ჰქონდა ძალა, ამიტომ ვერ იღებდა ხმას ბანდიტების და ყაჩაღების წინააღმდეგო, როცა გავიდა სამი წელი, ზურგი მოიმაგრა და ახლა უსნორდებაო. ამ დროს აგინებენ აბაშიძეს. საოცარია, სახელმწიფოს მეთაურს ძალა არ ჰქონდა, რომ ებრძოლა მათ წინააღმდეგ, ასლან აბაშიძე კი მათ ხუთი წელია ებრძვის და თურმე ჯერ უნდა გაჩერებულიყო, ბანდიტებს გაეძარცვათ აჭარა, ისევე როგორც გაძარცვეს მთელი საქართველო და მერე ამოეღო ხმა. მე ვეთანხმები კვარაცხელიას, რომ არ შეიძლება ყველა უბედურება გადაბრალო სხვას და შენ, სახელმწიფოს მეთაური, მთავარსარდალი, არ იყო არაფერში დამნაშავე. ისევე როგორც არ შეიძლება მარტო სახელმწიფოს მეთაური ყოფილიყო ყველაფერში დამნაშავე, სანამ ეს ტყუილები იქნება საქართველოს არაფერი ეშველება.

11 მაისი

7 მაისს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა დაიჭირა ყოფილი დეპუტატი და შევარდნაძის ყოფილი რწმუნებული **ვაჟა ხაჭაპურიძე.** ამჟამად ერთიანი კომუნისტური პარტიის ც.კ-ს წევრი.

გაზ. „რეზონანსის" დღევანდელ ნომერში წერია, რომ უშიშროების პრესსეკმძღვანელმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და დოკუმენტები, სადაც

ენერა – „თანამემამულეები, ქართველ ერს თავს დაატყდა ენით აუწერელი უბედურება. შევარდნაძის ხელისუფლებამ დაანგრია საქართველოს მთლიანობა და მოსახლეობა სილარიბის ზღვარზე მიიყვანა. კორუფცია და უსამართლობა გამეფდა ქვეყანაში. არჩევნების გაყალბებით „უკანონო" პრეზიდენტი ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა მოსახლეობა უარყოფითად განეწყო ერის ჭეშმარიტი მამულიშვილის, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის მიმართ, რომელსაც შეუძლია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სხვა პროგრესულ მოაზროვნე ლიდერებთან ერთად აღადგინოს ქვეყნის მთლიანობა და დაუბრუნოს საქართველოს ყოფილი ძლიერება, მოგინდებთ ყველა პატრიოტს, გაერთიანდეს ჯუმბერ პატიაშვილის და მისი თანამოაზრეების გარშემო, რათა ვამხილოთ და დავამხოთ დღევანდელი კაპიტულანტური და უზურპატორული ხელისუფლება".

ჩემი აზრით, ამ კაცის დაპატიმრება უკვე პოლიტიკური ანგარიშსწორებაა, ჯუმბერ პატიაშვილის ისევ ხსენება არ არის სწორი. ეს ის კაცი არ არის აჯანყება დაინყოს და ძალით დაამხოს ხელისუფლება. ძალიან სამწუხაროა, რომ აშკარა დაპირისპირებაა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. გია ჭანტურია მართლაც ერთი თავით მაღლა იდგა ყველაზე, ამიტომ იყო ასეთი მონოლითური ეს პარტია. ირინა სარიშვილმა მოიწვია 17-18 მაისს რიგგარეშე ყრილობა, რათა დაინიშნოს მთავარი კომიტეტის არჩევნები, რომლის უმრავლესობა მისი მომხრე არ არის.

12 მაისი

გაზ. „შანსი", 50 – ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან სათაურით „მე შევცვალი არძინბას".

ის იხსენებს, რომ, როცა სახელმწიფო მინისტრი იყო აფხაზეთში, კონტაქტზე მიდიოდა ლოთი (ვახტანგ) ქობალიასთან. კერძოდ, მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ნოდარ ნათაძე, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ ფიფია, თენგიზ დიხამინჯია. მოლაპარაკებები კარგად მიდიოდაო და ოქმსაც ხელი მოეწერებოდაო. დავთქვით, მეორე შეხვედრა, როცა ზუგდიდსაკენ მივფრინავდით ავიღე „საქართველოს რესპუბლიკა", სადაც საქართველოს პროკურორი ბრალდებას უყენებს გამსახურდიას. რაღა იმ დღეს დაბეჭდეს, თითქმის აწყობილი საქმე გაფუჭდა, ზუგდიდში რომ ჩავფრინდით 500 კაციანი ბრბო დაგვხვდა გარს შემოგვერტყნენ, ნოდარ ნათაძე კინაღამ გაპუტეს, ღმერთმა გადაგვარჩინა... მეორედ შევთანხმდით, ლოთი 120 კაციანი რაზმით გალში უნდა ჩამოსულიყო და ჩვენთან ერთად უნდა ებრძოლათ. ამ დროს პარლამენტში გამოვიდნენ ვიდეოპუტატები და სულ ყაჩაღი უწოდესო, ლოთიმ შემომითვალა, როგორ გენდოთო, – საქართველოში პოლიტიკა 4-5 კაცს თუ ესმის.

მაგრამ ერთ პრინციპულ საკითხში ვერასოდეს ვერ შევთანხმდი ედუარდ შევარდნაძესთან. ეს არის კადრები. ეს ციტატა იმიტომ მოვიტანე, რომ გოგა ხაინდრავა აბსოლუტურად მართალია, შევარდნაძის საკადრო პოლიტიკა არის საშინელება. შემდეგ გოგა წერს, რომ „შევარდნაძე დაქსაქსულ, სხვადასხვა სფეროებში შემძვრალ ყოფილ კომუნისტებს ეყრდნობოდაო, რომელთაც დღემდე აქვთ შემორჩენილი მისი შიში, მისი გავლენა, თან ეშინიათ, თან უყვართ და თანაც ერთადერთი საშუალებად მიაჩნიათ ისევ ფეხზე დადგომისა. ძალები არ იყო ერთ ხელში კონცენტრირებული, თუ არა მოენონებოდა, არ ასრულებდა კიტოვანი, ასევე ჯაბაც, ასევე შევარდნაძეც, მაგრამ პოლიტიკური გაქანების თვალსაზრისით, შევარდნაძე იმდენად გამოცდილი, ჭკვიანი და პროფესიონალი იყო, რომ დანარჩენთა ფატალური დასასრული მაშინვე ჩანდა. ძლიერი მოთამაშეა (შევარდნაძე) მაგრამ, პელე რომ იყო, რეგვენი რომ გეყოლება ათი, მსოფლიო ჩემპიონობის ვერ მოიგებ".

18 მაისი

მოსკოვში 16 მაისს ხელი მოეწერა მემორანდუმს „სამხრეთ ოსეთთან". ესწრებოდნენ – ელცინი, შევარდნაძე, ჩიბიროვი, გალაზოვი, პრიმაკოვი.

ეს დადებითი მოვლენაა. 17 მაისს მოსკოვში გაიმართა სნგ-ს ქვეყნების მეთაურთა თათბირი, **„აფხაზეთის საკითხზე" თითქმის ვერაფერს მიაღწიეს. აშკარაა, რომ რუსეთი აფხაზეთს არ დათმობს, კიდევ ორი თვით გაუგრძელ-**

დათ ვადა ე. ნ. „სამშვიდობო ჯარებს“ და ამავე დროს მუშაობა უნდა გაგრძელებულიყო მანდატზე. ახალი ვითომ ის არის, რომ ნაღმებისაგან გაიწმინდოს ტერიტორია, რომელიც მათ უკავიათ – სასაცილოა ამაზე ლაპარაკი.

19 მაისი

დღეს წავიკითხე 18 მაისის „საქართველოს რესპუბლიკა“, სადაც არის **ჯანსუღ ღვინჯილიას** სტატია „ნდობა“. ძალიან საინტერესო და გულით დაწერილი სტატიაა. ავტორი სნორად მიუთითებს, რომ „აჭარში პრობლემები არ არსო, ბრძანა ბატონმა ასლანმა, ოღონდ სხვაგან ნუ შექმნიან აჭარის პრობლემებს. ავტორი წერს „აჭარაში არც შეიძლება იყოს პრობლემები, ამას ინამებ, თუ იცი მისი წარსული, მისი სულისკვეთება, მისი უსაზღვრო სწრაფვა დედა-სამშობლოსკენ, ეს შესანიშნავი სტატია მოუწოდებს ქართველებს გაერთიანებისა და გონიერებისაკენ.

23 მაისი

18-19 მაისს ედპ-ს ყრილობაზე ირინა სარიშვილი-ჭანტურია ისევ აირჩიეს თავმჯდომარედ. მთავარმა კომიტეტმა მონაწილეობა არ მიიღო ამ ყრილობაში.

21 მაისს რუსთაველის თეატრში შეიკრიბნენ მთავარი კომიტეტის წევრები და მათი მომხრეები, ბოლოს ირინაც შემოსულა და უთქვამს, რადგან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით არის შეკრება, მე ვალდებული ვარ დავესწროო. აშკარად მოხდა განხეთქილება.

გუშინ ედპ-ს ახლად არჩეულმა მთავარმა კომიტეტმა გარიცხა პარტიიდან გია კობახიძე, მამუკა გიორგაძე, ვანო ხუხუნეიშვილი, გურამ გოგნიაშვილი, გურამ ჩახვაძე, კობა ჭუმბურიძე. პირადად არა მარტო ჩემთვის, არამედ მომავლისათვის ძალიან საწყენია მათი გათიშვა, რა ვქნა, ჩემი სიმპატია ისევ და ისევე ირინას მხარეზეა. თუ მომეცა შესაძლებლობა, უნდა შევხედე მას, ვესაუბრო და გავარკვიო, რა მოხდა, **რადგან ჩამოთვლილი ადამიანები არიან ღირსეული პიროვნებები.** რაც შეეხება საქართველოში შექმნილ სიტუაციას, აქ პალსტუხიანი ყაჩაღების ბატონობაა, დაიჭირეს „თბილარესის“ ეფერული ბადრი დარჩა. რომელიც რამდენიმე, ხანა მაზუთა ყიდის. საცალია. ეკონომიკის მინისტრმა **ლადო პაპავამ პურის კორპორაციას უნოდა ყველაზე კორუმპირებული. მაშინ როდესაც ანზორ ბურჯანაძე, ამ კორპორაციის პრეზიდენტი, არის შევარდნაძის დიდი ხნის მეკობარი, ყოფილი თერჯოლის რაიკომის მდივანი.**

ანზორ ბურჯანაძე ჩივის, რომ მას დებენ ბრალს. შევარდნაძემ განაცხადა, რომ იმ სისტემაში, რომელსაც თავად პაპავა ხელმძღვანელობს, უფროა გამჯდარი კორუფცია, ვიდრე პურ-პროდუქტების. ამდენად, მინისტრს ასეთი რამის თქმა არ ეკადრება“.

საინტერესოა, პრეზიდენტი ალაარებს ორი სისტემაა კორუმპირებულობას, ოღონდ აპპობა, რომ ეს სისტემაში ეფერი მეტია.

6 ივნისი

მნიშვნელოვანი მოვლენები ისევ მაფიის ეპირატესობით წარიმართა. **ბენზინის ფასი 35 თეთრიდან 60 თეთრამდე ავიდა.** უკვე ასახელებენ ახალი მაფიის ლიდერებს. მათ შორის პირველ ადგილზე გადის შევარდნაძის ძმისშვილი **ნუგზარ შევარდნაძე.** ის ჩემი კურსელი იყო.

ამავე დროს უნდა მოხდეს პურის ფასების ლიბერალიზაცია. იმდენად პარპაშობს მაფია, რომ პარლამენტი აღშფოთდა. უნდა აღვნიშნოთ, **რომ ზურაბ ჟვანია საკმაოდ პრინციპული პარლამენტის თავმჯდომარეა. მან განაცხადა, თუ არაფერს გვეკითხებიან, წავიდეთ შვებულებაშიო. მუშაობა დაიწყო პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის კომისიამ გია ბარამიძის ხელმძღვანელობით. მე მგონია, რომ ამ ახალგაზრდა კაცს ანუხებს ქვეყნის ბედი და უნდა სიკეთე გააკეთოს. ისევ ვიმეორებ, მიუხედავად ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებისა „მოქკავშირის“ მიმართ, იქ მაინც არის ძალზე მცირე პროგრესული ძალა.** ამ დღეს გაზ. „ივერია-ექსპრესში“ არის ინტერვიუ აკაკი ასათიანთან, მისი და ჩემი აზრები დაემთხვა ერთმანეთს. ის წერს, **„აბაშიძე და შაშიაშვილი ეს გამოკვეთილი რეგიონალური ლიდერები არიან. მათ რეგიონებში და ქვეყანაშიც თავიანთი**

საქმიანობით ავტორიტეტი მოიპოვეს, რაც თბილისში კონკურენტებს არ მოსწონთ.

9 ივნისი

ინტერვიუ „ალიაში" ასლან აბაშიძესთან. ინტერვიუში ეკითხებიან ბატ. ასლანს, თუ რატომ არის შლაგბაუმებით გადაკეტილი აჭარაში შესასვლელი. ბატ. ასლანი პასუხობს, „რომ კიტოვანის დავალებით გვარდია და სამხედრო ტექნიკა შემოვიდა, მათ ღია შლაგბაუმიც მოამტვრიეს, ხოლო გვარდია სასტუმრო „კურნილამდე შემოვიდა. იმ დროს ქალაქიდან 3 კმ დაშორებით სამთავრებო აგარაკზე თბილისიდან ჩამოსული უცხოელი სტუმრების, მიღება მქონდა, იქიდან თბილისთან სატელეფონო კავშირიდან არ იყო, ამიტომ დაუყოვნებლივ მივატოვე სტუმრები, სამსახურში დავბრუნდი სამ საათზე, კიტოვანს დავურეკე და გავაფრთხილე, რომ შემოსულ ტექნიკას და „გვარდიას" გავანადგურებდი და მთელი პასუხისმგებლობა მოსალოდნელ მსხვერპლზე ძირითადად მას დაეკისრებოდა... თუ კიტოვანი თვითმოქმედი იყო და თავის უახლოეს თანამზრახველებთან ერთად თვითონ გეგმავდა, თვითონ ახორციელებდა, ვიღაცასთან შეთანხმებით თუ შეუთანხმებლობით, დანარჩენ შემთხვევაში ყველაფერი მართვადი იყო, მართვის ეს მექანიზმი დღესაც მოქმედებს".

ყველაფერში ვეთანხმები ბატონ ასლანს. როდესაც ამ გაზეთს ვკითხულობდი იმავე დღეს გაზ. „ივერია-ექსპრესში" იყო ინტერვიუ როსტომ დოლიძესთან. როდესაც იწყებენ კამპანიას ბატონ ასლანის წინააღმდეგ, იმ წუთში იწყება ინტერვიუები როსტომ დოლიძესთან.

15 ივნისი

გუშინ პარლამენტის სხდომაზე უნდა განეხილათ კონტროლის პალატის ანგარიში, მისმა თავმჯდომარემ **რეზო შავიშვილმა** განაცხადა, **რომ ჯანმრთელობა დ** განათლება ხელს არ **უნყობს,** გააგრძელოს მუშაობა და ითხოვა გადადგომა. მან დატოვა პარლამენტი. ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. დღ. „კავკასიაში" წერია, რომ „იგი დარჩა ლამის ერთადერთ სახელმწიფო ჩინოვნიკად, რომელსაც ლაქა არ მოსცხებია. „რამაზ საყვარელიძემ წერს ამავე ნომერში, „რეზო შავიშვილი არა მხოლოდ უპატიოსნესი თანამდებობის პირია, არამედ უპატიოსნესი მოქალაქეა საქართველოშიო".

ჩემი აზრით, შავიშვილის წასვლა თუ მართლა გადაწყდა, ეს იქნება კორუფციის საბოლოო გამარჯვება, რადგან საქართველო ამჟამად იმყოფება ჰალსტუხიანი ბანდიტების ხელში. პრეზიდენტის გარემოცვაში არიან ხალხის სისხლისმწოველები, რომლებმაც ფაქტობრივად გაანადგურეს საქართველო. საქართველო გადაიქცა კორუფციის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სახელმწიფოდ. მათ არა აქვთ ელემენტარული ადამიანობა, ხალხი მათხოვრებად გადააქციეს. მე და ჩემმა მეგობარმა უნივერსიტეტში გამოვეცით წიგნი და იქიდან აღებულ ჰონორარს ვურიგებთ ჩვენს მასწავლებლებს, რომლებიც შიმშილისაგან იღუპებიან, როდესაც 100-100 ლარი გადავეცი პროფ. გერასიმე ფირცხალავას და პროფ. ვალერიან მაჭარაძეს, მათ ცრემლები წამოუვიდათ და მეც ვიტირე. ბატ. გერასიმემ მითხრა – შვილიშვილი გადამირჩინეთ, ოპერაციას ვერ ვუკეთებდიო და შეიძლებოდა მომკვდარიყო, 200 ლარი გადავეცი უდიდეს კაცს აკად. ოთარ ჯაფარიძეს, რომელსაც ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, 200 ლარი გადავეცი პროფ. ზანდი ბოცვაძის ოჯახს. ჩვენ რა გვაქვს, მე და ჩემს მეგობრებს, მაგრამ ჩვენ კიდევ მოსწავლეებს ვამეცადინებთ, ხოლო უფროს თაობას ამის საშუალებაც არა აქვთ. ამ დროს შევარდნაძის გარემოცვა ასიათასობით დოლარს შოულობენ და ერთ საქველმოქმედო საქმეს არ აკეთებენ. სამაგიეროდ კაზინოებში და რესტორნებში ხარჯავენ ათასობით დოლარს.

დღეს პურის ფასი განთავისუფლდა და ამით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ხალხი. საქართველოს დამოუკიდებლოების იდეა ამ ჰალსტუხიან ბანდიტებთან ერთად ქრება. თუ შევარდნაძემ დროზე არ მიიღო ზომები, გამწარებული ხალხი იტყვის, აღარ მინდა ასეთი თავისუფლებაო.

17 ივნისი

გუშინ გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები, **ბორის ელცინმა მოაგროვა 34% გენადი ზიუგანოვმა 32%.** განსაკუთრებით წარმატება ხვდა გენერალ **ალექსანდრე ლებედს.** რომელმაც დააგროვა 15%. მეორე ტურში გავიდნენ ელცინი და ზიუგანოვი. ამით მათ ამონურეს თავიანთი მომხრეების მხარდაჭერა. ახლა ყველაფერს გადაწყვეტს, თუ ვის დაუჭერს მხარს ლებედი.

გენ. ლებედის წარმატება მოულოდნელი იყო, მაგრამ პირადად ჩემთვის არ იყო მოულოდნელი, რადგან მისი რეიტინგი სულ უფრო და უფრო მატულობს, ის აქტიურად გამოდის კორუფციის წინააღმდეგ. ეს მან აშკარად აჩვენა, როდესაც, როგორც მე-14 არმიის უფროსმა, კორუმპირებული ამხილა მოსკოვის მომხრე სმირნოვის მთავრობა, ამავე დროს მან ამხილა უმაღლეს სამხედრო ეშელონებში მოკალათებული კორუფციული გენერლები. მან სახელი გაითქვა იმითაც, რომ თავიდანვე გამოვიდა ჩეჩნეთში ომის წინააღმდეგ.

ელცინმა უნდა დაინახოს, ისევე, როგორც შევარდნაძემ, თუ როგორ ეცემა პოლიტიკური მოღვაწის კარიერა, როცა მის ქვეყანაში იმარჯვებს კორუფცია და მაფია.

დღ. „დრონში" **მიშა სააკაშვილი** სწორად წერს – „ძირითად საშიშროებას ჩვენთვის წარმოადგენს ხალხი, რომლებმაც ხელისუფლებაში ყოფნისას კრედიტებით და სხვადასხვა გზებით აკეთეს ფულიო".

18 ივნისი

დღეს ელცინმა გენერალი ლებედი დანიშნა უშიშროების საბჭოს მდივნად და პრეზიდენტის თანაშემწედ უშიშროების დარგში, სამხედრო მინისტრობიდან გადადგა გენ. პავლე გრაჩოვი.

გენ. ლებედმა განაცხადა, რომ გრაჩოვის ახლობლები ცდილობდნენ მოეწყოთ გკჩპ[1] და მასთან ყოფილა ვარდიკო ნადიბაიძე. ეს აჩვენეს ნტვ-ში. ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ შევარდნაძემ მიულოცა ლებედს დანიშვნა. ლებედის მხარდაჭერა გადამწყვეტი იქნება ელცინისთვის და ის აუცილებლად გაიმარჯვებს.

ლებედი წესიერი კაცია. ხალხი მასზე დიდ იმედებს ამყარებს, ის დაპირდა ხალხს, რომ იბრძოლებდა კორუფციის და დამნაშავეობის წინააღმდეგ. ნეტავ ჩვენთანაც გამოჩნდეს ასეთი პიროვნება. **ჩვენთან პირიქით ხდება, რეზო შავიშვილს, ყველაზე წესიერ კაცს, უშვებენ თანამდებობიდან.**

გაზ. „ახალ თაობაში" წერია ლოთი ქობალიას **სასამართლო პროცესის შესახებ. ამ პროცესზე გამოვიდა ჩხოროწყუს მილიციის უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ სწორედ ლოთი ქობალია ეხმარებოდა ბანდიტების და ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში. სასაცილო არ არის, ამ დროს ქობალიას ასამართლებენ როგორც ბანდიტს.**

29 ივნისი

29 ივნისი, გაზ. „რეზონანსი", **ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან.**

ირაკლი წერს „ნიკო ლეკიშვილის მთავრობა კორუფციითაა დაავადებული. ყველა განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს კორუფცია, მაგრამ ისეთი მასშტაბით და ისე ღრმად, როგორც ეს დღეს საქართველოშია, მეტასტაზები გავრცელებულია ზედა რგოლებიდან ქვედამდე, მეეჭვება სადმე იყოს. ერთი პერიოდი საქართველო იყო ქურდული სახელმწიფო.

დღეს ქუჩაში სიწყნარეა, მაგრამ საშიში კორუფცია კვლავაც სახეზე გვრჩება".

ეს ციტატა იმიტომ მოვიყვანე, რომ აბსოლუტურად ემთხვევა ჩემ აზრს. წინათ თუ ვწერდი, რომ ამდენი ავტომატიანი ბანდიტი დათარეშობდა. ახლა ჰალსტუხიანი და ძირითადად ძველი კომუნისტი რაიკომის მდივნები იქცნენ გამგებლებად და მინისტრებად და უმონყალოდ ყველეფავენ სახელმწიფოს.

ირაკლი ბათიაშვილი გამოსულა პარლამენტის სხდომაზე და ასეთი რამ უთქვამს – „რეზონანსი" (29 ივნისი).

[1] საგანგებო შემთხვევების სახელმწიფო კომიტეტი. ასეთი კომიტეტი შეიქმნა 1991 წლის 19 აგვისტოს – მოსკოვში პუტჩის დროს.

– „გავა წლები და აღმოვაჩენთ, რომ ლეკიშვილი მავნებელი ყოფილა ქვეყნისთვის, ისევე როგორც ადრე, პრეზიდენტის მეგობრები კიტოვანი და იოსელიანი, სირცხვილია, ტოტალური კორუფციის ასეთი ხელმძღვანელის გაჩერება და ეს უნდა ითქვას“.

ამ სენსაციური განცხადების ფონზე, ენაჩავარდნილ დეპუტატებში ადა მარშანია, შეძახილით „ყორაღ ირაკლი, გაამხნევა ბათიაშვილი და ტაშით გააცილა იგი, ზეიკიძესთან ერთად“.

მე მაშინაც ვწერდი, რომ შევარდნაძე აგვიანებდა ბანდიტების განადგურებას, მართალია, მან ბევრი რამ იცის, მაგრამ ხალხი ვერ გაუძლებს ამდენს, არ შეიძლება ამდენი კორუფციის ატანა, ხალხს აღარაფრის სჯერა.

გაზ. „საქართველოში“ №25 (8 ივნისი) არის ვახტანგ გოგუაძის ინტერვიუ. ის წერს, „იგი პოლიტიკაში დიდი კაცია, მაგრამ საქართველოსათვის შეიძლება ისე აღმოჩნდეს ვით კატონმა თქვა კეისრის შესახებ: „Пусть прокляты его доблести, ибо они погубили мое отечество“. დიდი კაცი ან ააშენებს, ან დააქცევს ქვეყანას... თუ ბატონმა პრეზიდენტმა რადიკალურად არ გადასინჯა თავისი კურსი. საქართველოც დაიღუპება და თვითონაც“[1].

8 ივლისი

გრძელდება გაზ. „საქართველოში“ ინტერვიუ ვ. გოგუაძესთან. ერთი ეპიზოდი მომეწონა ამ ინტერვიუდან, როდესაც მას ეკითხებიან „თქვენ შევარდნაძის უპირველესი ფავორიტი იყავით“.

პასუხი – „შევარდნაძის უპირველესი ფავორიტი არის მხოლოდ შევარდნაძე, დანარჩენი მისი ფოვორიტების ფავორიტობა პეპელას ხანგრძლივობაა“.

28 ივლისი

დიდხანს აღარ ვწერდი, მაგრამ დღეს ღამით, 11 საათზე კისელიოვს მოჰყავდა ინტერვიუ იგორ როდიონოვთან, რომელიც დაინიშნა სამხედრო მინისტრად. როდიონოვმა აღნიშნა, რომ **„8 აპრილს ველაპარაკე იაზოვს[2] და ავუხსენი, რომ საჭირო არ არის არმიის გამოყენება. შემდეგ იაზოვმა დამირეკა და მითხრა, გადაწვეტილია დილამდე ჯარმა გაწმინდოს და ხელში აიღოს ობიექტები, რა თქმა უნდა, ეს იყო უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილება. მე მეგონა, რომ საბჭოების ყრილობაზე ამას იტყოდა გორბაჩოვი, მაგრამ ყველაფერი ამ არმიას შეაწმინდაო“.**

ჩემი აზრით, როდიონოვი სიმართლეს ამბობს. მართლა წინააღმდეგი იყო არმიის გამოყენების, რა თქმა უნდა, როდიონოვის ეს ინტერვიუ ნაწილობრივ ამართლებს ჯუმბერ პატიაშვილს, რადგან აშკარად ჩანს, რომ ეს იყო უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილება.

რაც შეეხება როდიონოვის დანიშვნას, შეიძლება უკეთესიც იყოს საქართველოსათვის, რადგან შეეცდება კარგი ურთიერთობა ჰქონდეს საქართველოსთან.

5 აგვისტო

წერისათვის არ მეცალა, ჩემი შვილი დიმიტრი სტუდენტი გახდა. ამ პერიოდში მომეწონა ინტერვიუ ლევან სანიკიძესთან გაზეთ „რაო“-ში, 82. „დღეს მაფიოზური, კლანური, პარტიული დაპირისპირებაა. **ყველა ცდილობს მოასწროს დიდი ლუკმის ხელში ჩაგდება, მერე ქვა-ქვაზე ნუ დარჩება საქართველოში. პასპორტში ქართველი არ ჩამიწერეს, რუსეთის მოქალაქეებს უწერიათ, ჩვენ არა, ჩვენმა ინტერნაციონალურმა „მოქ. კავშირმა“ მოიგონა ეს. ბატონი რეზო ამაშუკელისნაირები რომ იქნებიან მრჩევლებად, ასეთი სულელები, უკეთეს რას უნდა ელოდო. ქალაქელები ვართ, ქალაქელთა კავშირი უნდოდათ თავიდან შე-**

---

[1] მახსოვს ადრე, როდესაც ვახტანგ გოგუაძე სპიკერი იყო, პარლამენტის სხდომაზე შევარდნაძეს გაეხუმრა, თქვენ ოლიმპიური ჩემპიონი მეკოკიშვილივით მოგვიდათ, როდესაც ის ჩასულა თავის რაიონში, საგარეჯოში იქ ვიღაც სრულიად უცნობ კახელს წაუქცევია ოლიმპიური ჩემპიონი, თქვენც ასე ხართო, ბატონო ედუარდ. ამით უთხრა, რომ მსოფლიოს პოლიტიკოსი კი ხართ, მაგრამ, თქვენს პატარა სამშობლოში არაფერი გამოგდითო, შევარდნაძე გაკვირვებული უყურებდა ვახტანგ გოგუაძეს.

[2] სსრკ სამხედრო მინისტრი 1989 წელს, როცა 9 აპრილის ტრაგედია მოხდა თბილისში.

ექმნათ, მერე მიხვდნენ, რომ ასე არ ივარგებდა და მოქალაქეთა დაარქვეს. ანტინაციონალური კავშირია მოქალაქეთა კავშირი".

8 აგვისტო

ჩეჩნეთში საოცარი ამბები ხდება. იმ დროს, როდესაც რუსები ფიქრობდნენ, რომ ჩეჩნები დაამარცხეს, მათ გროზნო აიღეს, ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქის ცენტრში. საოცარი ხალხია.

8 სექტემბერი

მართლაც საოცარი ამბები ხდება, ჩეჩნებმა, ფაქტობრივად, მთელი გროზნო დაიკავეს. დაიღუპა 500 რუსი ჯარისკაცი, რუსეთს ორი გამოსავალი აქვს, ან მოსპოს ჩეჩნები ავიაციით, რაც ვერ მოახერხა, ან კიდევ წავიდეს დათმობაზე. აქ დიდი როლი ითამაშა ლებედმა, რომელსაც არ ჰქონდა გასვრილი ხელები ჩეჩენი ხალხის სისხლში და ამასთან მოლაპარაკებაზე წავიდა იანდარბიევიც და მასხადოვიც. მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. შემდეგ ხელი მოაწერეს პოლიტიკურ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, რუსეთის ჯარები უნდა გასულიყვნენ ჩეჩნეთიდან, ხოლო ჩეჩნეთის სტატუსი უნდა განეხილათ 2001 წელს. ელცინი მძიმედ არის ავად და ოპერაცია უნდა გაუკეთონ სექტემბერის ბოლოს. ომი ფაქტობრივად შეწყდა. ჩეჩნები გამარჯვებას ზეიმობენ. ეს ხალხი მართლა ღირსია თავისუფლების, ვნახოთ, არა მგონია, რუსეთმა ასე ადვილად გაუშვან ხელიდან, რადგან ამით დაინყება რუსეთის დაშლა. აშკარაა, რომ რუსეთის გავლენა კავკასიაზე შესუსტდა, ეს რუსეთის დიდი მარცხია. ქართველები ფრთხილად უნდა იყვნენ, მაგრამ აშკარაა, შევარდნაძე ალბათ, წლის ბოლოსათვის შეცვლის თავის პოლიტიკურ კურსს, რადგან თვითონ რუსეთი თავისი ნებით არასოდეს დაგვიბრუნებს აფხაზეთს და სამაჩაბლოს. რაც შეეხება საქართველოს, აქ მინისტრები ისევ მდიდრდებიან, სიწყნარეა, ნამდვილად აღარ არის ბანდიტიზმი. სახელმწიფო თანდათან ემსგავსება სახელმნიფოს. საკმაოდ გონიერად გამოიყურება ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე და განსაკუთრებით საკაშვილი, მიხარია, რომ ახალგაზრდობას აწუხებს საქართველოს ბედი.

11 სექტემბერი

კარაულოვის ინტერვიუ ასლან აბაშიძესთან.

ბატ. ასლანი ამბობს, რომ „სამტრედიასთან ჯარი შეჩერდა და გადაწყვიტეს ორივე ავტონომია მოესპოთ, მე იმნაძის თავდასხმის შემდეგ ყველა ფორმირება განვაიარაღე აჭარაში".

ტელეფონზე დამირეკეს და ინტერვიუს ნაწილი ვერ ჩავწერე.

20 სექტემბერი

19 სექტემბერს ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ ბოლოდროინდელი არჩევნები აფხაზეთში საქართველოს აიძულებს სერიოზული კორექტივები შეიტანოს რუსეთთან ურთიერთობაში, მათ შორის გადახედოს რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და საქართველოში ბაზების დარჩენის მიზანშეწონილობას. მეორე დღეს ამ განცხადებას მხარი დაუჭირა ნიკო ლეკიშვილმა. იმავე დღეს პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა, „იყო ბევრი შეთანხმება, მაგრამ საბოლოოდ მიეიღეთ ტრაგედია აფხაზეთის და იმისთვის, რომ იგი არ განმეორდეს შეთანხმებები უნდა შესრულდეს". აშკარაა, რომ ჩეჩნეთის ამბებმა დიდი როლი ითამაშეს, აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთი ისეთი დაუმარცხებელი აღარ არის.

„სამხრეთ ოსეთში" დაინიშნა პრეზიდენტის არჩევნები, აფხაზეთში – პარლამენტის არჩევნები, **რუსეთი იწყებს ახალი ტალღის აგორებას საქართველოში.**

ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ეჭვი გამოთქვა, თუ რატომ შემოტრიალდა ხელისუფლება ასე უცებ. ირინამ განცხადებაც გააკეთა, რომ ასლან აბაშიძე და მე სხვადასხვა ორიენტაციის ხალხი ვართ, მაგრამ ის ყოველთვის ჭკვიანურ ნაბიჯებს

დგამსო (აღარ მახსოვს, გაზ. „ალია" იყო თუ „დილის გაზეთი", მ. ვ.).

გუშინ კარდიოლოგიის ბავშვთა ცენტრის გახსნაზე ვიყავი. **მოვიდა შევარდნაძე და საკმაოდ ახლოს იდგა ჩემთან. დიდი ხანია ასე ახლოს არ მინახავს, გავშტერდი. მე ფაქტობრივად ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი, ის რომ ახლოს ვნახე, მერე ვნახე, როცა ჩემმა მეგობარმა ზვიად მოსაშვილმა მოიყვანა მისი ქალიშვილი მანანა ცოლად და ამჟამად მესამედ ვნახე ასე ახლოს. სახეზე აბსოლუტურად არ არის შეცვლილი, სახე ისე აქვს გადატკეცილი როგორც ჰქონდა ამ 30 წლის წინათ.** ისე, ამ რამდენიმე ხნის წინ, გაზ. „შანსში" დაიბეჭდა გველესიანის სტატია – „შევარდნაძე რომ გაიგო, შევარდნაძე უნდა იყოო"

ისევ მიმდინარეობს საზიზღარი კამპანია აჭარის არჩევნებზე. როსტომ დოლიძე გამწარებულია, რომ დაპატიმრებულმა ასანიძემ ბრალი დასდო მას, როტომ დოლიძემ დამავალა აბაშიძის მოკვლაო, როსტომ დოლიძე აცხადებს, რომ აბაშიძეს უნდა აჭარა გამოყოს საქართველოდანო.

27 სექტემბერი

დღეს შესრულდა სამი წელი სოხუმის დაცემიდან, ეს დღე ერთ-ერთ უდიდეს უბედურების დღედ შევა საქართველოს ისტორიაში. გუშინ გაიმართა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია. სიტყვით გამოვიდა შევარდნაძე, „აფხაზეთი რომ არ ყოფილიყო, არც ჩეჩნეთი იქნებოდა და განაცხადა – თუ რუსეთი კორექტივებს არ შეიტანს პოლიტიკაში, საქმე ჩეჩნეთით არ დამთავრდება" – აშკარაა, რომ რუსეთს, როგორც ადრე, გაგონებაც არ უნდა აფხაზეთის დაბრუნებაზე.

დღეს დედა ენის ძეგლთან აფხაზეთიდან ლტოლვილებმა მიტინგი გამართეს, შემდეგ ნამოვიდნენ პარლამენტისაკენ, მაგრამ პოლიციამ არ გაუშვა. გული მიკვდება მათ რომ ვუყურებ.

29 სექტემბერი

აჭარაში დამთავრდა არჩევნები, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა „აღორძინებამ", მართალია, „აღორძინება" კავშირში იყო „მოქალაქეთა კავშირთან", მაგრამ ეს რევერანსი აბაშიძემ გაუკეთა შევარდნაძეს, თორემ „მოქ. კავშირი" აჭარაში მიიღებდა 0%. რესპუბლიკელები ყვირიან, დიდი ფალსიფიკაცია მოხდაო, მაგრამ **აკაკი ასათიანმა სწორად თქვა, ასლან აბაშიძეს არ სჭირდება ფალსიფიკაცია, რადგან მას ისედაც ენდობიანო. თბილისში ისევ კბენენ აბაშიძეს, მაგრამ გასაოცარი იქნებოდა აჭარას რომ ხმა არ მიეცა აბაშიძისათვის და მისი პარტიისათვის. ამ წლების განმავლობაში რა უბედურებაც დატრიალდა საქართველოს ყველა კუთხეში, გარდა აჭარისა, ხომ უყურებდნენ ისინი ამას, ეს რომ არ დაინახო, მაშინ იდიოტი უნდა იყო. მე თვითონ, ამას რომ ვწერ, სიდედრის სახლში ვცხოვრობ ისევ, რადგან ჩემს ახალ სახლში ორჯერ დამაყაჩაღეს. ავიღე და გავყიდე ის ბინა, სადაც ჩემ შვილებს შიშისაგან აღარ უნდოდათ ცხოვრება და ახლა არც ვიცი, სად არის ჩემი წიგნები, სადა მაქვს დარიგებული და შენახული, არც კაბინეტი მაქვს და არც კუთხე, რომ ჩემთვის ვიმუშავო. ისევ ვიმეორებ, ასლან აბაშიძე პირადად თვალით არ მინახავს და, რა თქმა უნდა, არავითარი დაინტერესება არა მაქვს, გარდა მისი პატრიოტული მოღვაწეობისა, რასაც მე ვხედავ ამ წლების განმავლობაში.** მე, რომელმაც ამდენი უბედურება ვნახე თბილისში, ასეთი პიროვნება გამოჩენილიყო და დაეცვა ჩემი ქალაქი, ვის მივცემდი ხმას, რა თქმა უნდა, აბაშიძეს. თუ რამე არ მომწონდა შევარდნაძის, კიდევაც მიწერია. თავიდანვე თავზე დაგვასვა ვინც საქართველოში ბანდიტი და მკვლელი იყო. არა, ასე იყო საჭიროო, მეუბნებიან მისი მომხრე „კარვის კაცები", ანუ როგორც მათ ვუწოდებდი, რეზო ამაშუკელის ტიპის „ფილარმონიის ლომები", გამაგიჟებენ, აუცილებლად უნდა აეფეთქებინათ, რომ მათთვის ბოლო მოეღო, მაგრამ რომ არ გადარჩენილიყო 29 აგვისტოს, ნუთუ ესეც გამოთვალა, რომ აუცილებლად ასცდებოდა ნამსხვრევებიო. მაგრამ, ვთქვათ, მოეკლათ, დღეს ხომ საქართველოში იქნებოდა უფრო დიდი უბედურება. აქედან ელემენტა-

რული დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, ჯობდა, რა თქმა უნდა, ადრე გაენადგურებინა ისინი, ამით რამდენი ქართველი გადარჩებოდა სიკვდილს, დაყაჩაღებას, გაუბედურებას. რას არ ეუბნებოდა ასლან აბაშიძე, ბოლო მოეღო ამ ბანდიტებისათვის. ახლაც კი წერს ის გაზ. „მეოთხეში" 30 (27 სექტემბერი), იმიტომ არ ჩავდივარ, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უსაფრთხოება არ არის დაცული, როცა ამას ამბობდა ადრე ბატ. ასლანი, თბილისში შევარდნაძის მოხელეები იცინოდნენ, რეებს ამბობს აბაშიძეო. ეს ის დრო იყო, როცა შევარდნაძე ჯაბა იოსელიანს მიმართავდა – „საქართველოს დიდი რაინდოო", ხოლო გია ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ, რამდენიმე დღეში, გენერალ-ლეიტენანტობა მისცა იგორ გიორგაძეს. მაშინ როგორ ჩამოვიდოდა აბაშიძე შევარდნაძესთან იმ თბილისში, სადაც თვით შევარდნაძეს აფეთქებენ. ვინ დაიცავდა აბაშიძეს.

შევარდნაძეს ახლა ჰალსტუხიანი ყაჩაღები ჰყავს, რომლებიც არანაკლებ საშიშები არიან, ვიდრე ძველი ბანდიტები. ისინი თოფით არ დადიან, მაგრამ უდიდეს ზიანს აყენებენ სამშობლოს, მე ბოლმით არასოდეს ვწერ, ადრე დანერილი მაქვს, თანამდებობის ინტერესი არასოდეს მქონია და არც მექნება, იმასაც ვწერ, როგორ შეიძლება შეადარო დღევანდელი დღე ადრინდელს. დღეს შუაღამემდე მუშაობს ტაქსი, რესტორანი, ხალხი სეირნობს, სიმშვიდეა, ტყვიის გასროლის ხმა არ ისმის. მაგრამ მინდა, რომ ის უბედურება რაც ხდება, კორუფცია, ხალხის ხარჯზე გამდიდრება. დროზე გამოსწორდეს და თუ შევარდნაძე დროზე არ მოუვლის ამ საკითხს და ისევ იმ ტემპებით შეეცდება ამის გამოსწორებას, რომელი ტემპებითაც ის ბანდიტებს ებრძოდა, საქართველო დაიღუპება. მოვიყვან ერთ მაგალითს მაგ. „ალიაში", რომ ანდრიაძემ (საქმეთა მმართველი. დღეს ჰქვია რაღაც სახელმწიფო უზრუნველყოფის უფროსი, მ. ვ.) 100 ვოლვო უნდა შეისყიდოს თანამდებობის პირებისთვის, რომელიც ჯდება 3 მილიონი დოლარი მაშინ, როცა ხალხი შიმშილობს, გამგებლები გაზ. 31-ით დაჰქრიან და ცდილობენ როგორმე მეტი წაართვან სახელმწიფოს.

სამწუხაროდ, პოლიციაც გთავხედდა და ხშირად „მხედრიონის" ადგილს იკავებს. რა თქმა უნდა, მათთან შედარებით უფრო კულტურულები არიან.

14 ნოემბერი

დიდი ხანია არაფერი დამიწერია, მინდა აღვნიშნო გენ. ალექსანდრე ლებედი გაანთავისუფლეს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან. რუსეთი კორუფციის ჭაობშია ჩაფლული. ლებედი ოფიციალურად ელცინმა გაანთავისუფლა, მაგრამ მაშინ ელცინი მძიმე ავადმყოფი იყო, მას ახლახანს, 5 ნოემბერს გაუკეთეს გულის ოპერაცია. საქართველოშიც მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. აფხაზები ემზადებიან პარლამენტის ასარჩევად. რუსები – პრეზიდენტის.

ამ რამდენიმე ხნის წინ ქსნის კოლონიაში გარდაიცვალა ვალერი ფისუნი კიტოვანთან ერთად რომ მიუსაჯეს ციხე.

დღეს გაზეთ „საქართველოში" ირინა სარიშვილმა განაცხადა, კიტოვანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო.

20 ნოემბერი

გუშინ სასამართლომ ლოთი (ვახტანგ) ქობალიას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, ზვიად ძიძიგურს – 13 წელი, ბოკუჩავას – 15, ნუგზარ მოლოდინაშვილს – 7 წელი. რა თქმა უნდა, ეს არის გამარჯვებული მხარის მიერ ანგარიშსწორება დამარცხებულ მხარეზე. თორემ არცერთი მათგანი რომ ბანდიტი არ არის, ეს ყველასათვის ცნობილია, ქობალიას, ისევ ვიმეორებ, არ ვიცნობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის ნესიერი კაცია. შეიძლება ვცდები, მაგრამ ის ჩათრეული აღმოჩნდა იმ პოლიტიკურ ავანტიურაში, რომელმაც განსასჯელის სკამამდე მიიყვანა. მას არ უნდოდა ქართველის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ობიექტურად, როცა თბილისზე დაიძრნენ, ეს ამას ნიშნავდა და სხვას არაფერს, მას აშკარად უნდოდა ეომა აფხაზეთში, მაგრამ ამის საშუალებას არცერთი მხარე არ აძლევდა. ძალიან მიჭირს წერა,

მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მას დახვრეტა ნამდვილად არ ეკუთვნის. საერთოდ მიმაჩნია, რომ ყველა, ვინც იარაღით მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, მნიშვნელობა არა აქვს ვის მხარეზე მონაწილეობდა, ისინი უნდა ჩამოცილდნენ პოლიტიკურ ასპარეზს და ადგილი დაუთმონ ისეთ ხალხს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ომში და მაშინ მოხდება ნამდვილი შერიგება და საქართველო გადარჩება, რადგან შევარდნაძის გარემოცვა არასოდეს დაუშვებს, რომ მოხდეს ნამდვილი შერიგება.

ბორის ელცინი დღეს ოპერაციის შემდეგ პირველად აჩვენეს. საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. დღ. 23 ნოემბრის „კვირის ფოსტაში" ინტერვიუა ირინა სარიშვილთან. მართალია, ირინა ისეთი აქტიური აღარ არის, რადგან დროც ასეთია, მაგრამ მისი ნათქვამი ყოველთვის საინტერესოა. აქ მან სურვილი გამოთქვა რომ თუ ქალაქის მერის არჩევნები გაიმართება, ის მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ დანიშვნაზე უარს იტყვის. პრეზიდენტის გარემოცვიდან ჯერჯერობით ასეთი არგუმენტი ისმის, თურმე, თბილისის მოსახლეობა მზად არ არის მერის ასარჩევად... „თუკი ჩვენ ვენდეთ საქართველოს მოსახლეობას და ხუთი წლით პრეზიდენტის კანდიდატი შევთავაზეთ, რის შემდეგაც მოსახლეობამ ასეთი ბრძნული არჩევანი გააკეთა, მაშინ ხალხს თბილისის დონეზეც არ უნდა გაუჭირდეს არჩევანი".

კითხვა „როგორ შეაფასებდი ქალაქს დღევანდელი მერის მოღვაწეობას". ირინა პასუხობს, რომ „ახლანდელს ვერ ვაფასებ, რადგან მგონია, რომ წინანდელი ქალაქის მერი არ შეცვლილა დღევანდელი მერის სახელი და გვარი კი ცოტამ იცის".

1 დეკემბერი

აფხაზებმა ჩაატარეს არჩევნები, გალში პარტიზანები შეიჭრნენ და იყო აფეთქებები, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ არჩევნები ჩაეტარებინათ. ჩატარდა პლებიცისტი. რა თქმა უნდა, ლტოლვილმა თქვეს, რომ ეს უკანონო იყო. აფხაზეთის არჩევნები დაგმო გაერომ, ეუთომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

30 ნოემბერი, გაზ. „ალიაში" არის ქეთი ხატიაშვილის სტატია, – „აჭარა პროვოკაციების გზით საქართველოს დაქუცმაცებას აკანონებს". სტატია ასე იწყება – „თავისუფალი ზონის მოთხოვნით აჭარა საქართველოს აქუცმაცებს და პრაქტიკულად რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებს... აჭარაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა სხვა დაინტერესებული რეგიონებისათვის პრეცენდენტი გახდება და მაშინ საქართველოს დაშლას (რისკენაც ბათუმი ასე ჯიუტად მიილტვის) წინ ვერაფერი დაუდგება – აფხაზეთი[1], სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთ ოსეთი ასეთივე პრეტენზიების რეალური კანდიდატები გახდებიან".

ამ სტატიამ შემზარა, ნუთუ შეიძლება დაადანაშაულო მთელი რეგიონი და ასეთი შეურაცხყოფა მიაყენო. არ მესმის ასეთი დანაშაულის ჩადენა, რა თქმა უნდა, ეს შეკვეთილი სტატია არის მიმართული ასლან აბაშიძის წინააღმდეგ. ეს წინა პირობაა იმისა, რომ გზა გაეხსნათ იმ მაფიოზებს, რომლებსაც დიდი ხანია უნდათ ხელში ჩაიგდონ ეს კუთხე.

3 დეკემბერი

ძალიან გული მტკივა, რომ გია ჭანტურია ცოცხალი აღარ არის. ორი წელი გავიდა მისი დაღუპვიდან. ის დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამდენს არ გაბედავდნენ ეს ჰალსტუხიანი ყაჩაღები: რა თქმა უნდა, ისევ ვამბობ, დიდი ცვლილებებია ამ ორ წელიწადში. იმ დროს ბანდიტები თავისუფლად დათარეშობდნენ და ქალაქი მკვდარი იყო. შუქი ახლაც არ არის ფაქტობრივად, რაც შეეხება უნივერსიტეტს, სულ არის შუქი, ეს უფრო **როინ მეტრეველის დამსახურებაა. სწორედ დღეს ვესაუბრე და აღმოჩნდა, რომ მეორე კაბელი გაიყვანა და ამიტომ არის შუქი და მალე გათბობაც გვექნება, რადგან ააშენებინა დანადგარი, რომელიც იმუშავებს სალიარზე. ისე, უნდა აღვნიშნო, რომ როინ მეტრეველი ძალიან უვლის უნივერსიტეტს, ის რომ არ ყოფილიყო ამ წლებში რექტორი, უნივერსიტეტი**

[1] 12 წელიწადი გავიდა და წელს პრეზიდენტმა შესთავაზა აფხაზებს თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა გალსა და ოჩამჩირეში.

სულ დაინგრეოდა. თან პრორექტორი ჰყავს სამეურნეო დარგში არაფრის გამკეთებელი, რა ქნას – მისი მეგობრის ძმა არის და მის მოვალეობასაც თვითონ ასრულებს. ხუთი წელი გავიდა და როინ მეტრეველი აშკარად მოერგო უნივერსიტეტს.

ამ რამდენიმე დღის წინ ელცინმა ხელი მოაწერა ორი უკანასკნელი ბრიგადის – 205 საარმიო და 101 შინაგანი ჯარის ჩეჩნეთიდან გაყვანის შესახებ. დღეს ასლან მასხადოვმა ბრძანა ხელი არ შეეშალათ მათი გაყვანისათვის. 1994 წელს დუდაევს უთქვამს, რუსები შემეხვეწებიან დერეფანი რომ გავხსნა და გაეუშვა აქედანო.

კუზბასში მეშახტეების გაფიცვა დაიწყო და მოითხოვეს მთავრობის გადაყენება – რუსეთში დიდი ამბები იწყება.

გაზ. „საქართველოში" დაიწყო ჯუმბერ პატიაშვილის პასუხების გაცემა, რომელიც დაუსვა მას გაზეთმა, საინტერესოა ის, რომ პირველად პირდაპირ დასდო ბრალი გუმბარიძეს, სპეციალურად კგბ გაიყვანა 9 აპრილს საათნახევრით ადრეო. ეს მართალია, რადგან მეც მახსოვს, რომ 9 აპრილს შემხვდა ნაცნობი კგბ-ს თანამშრომელი, რომელიც მიდიოდა დემონსტრაციიდან მაშინ, როდესაც სულ იქ იმყოფებოდა.

4 დეკემბერი

ლისაბონში მიმდინარეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უამღლესი დონის შეხვედრები. სიტყვა წარმოთქვა **შევარდნაძემ** საკმაოდ კარგი და აღნიშნა, რომ **„ჩვენ ვაშოშმინებთ, ველოლიავებით დანაშაულებრივ რეჟიმებს... ჩვენ მათ ნებას ვართ დაყოლილნი და ულტიმატუმს ყოველთვის ვუსრულებთ, ჩვენ თვალს ვხუჭავთ ეთნიკური წმენდისა და ტერიტორიათა მიტაცების შედეგების მცოცავი ლეგიტიმაციის ტრაგიფარსზე, ისინი რომ აწყობენ".**

თბილისში ისევ პოპულარულია აჭარის თემა, რადგან იხილება კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ.

გაზ. „კავკასიონში" არის სტატია სათაურით, „შანტაჟი აჭარულად თავისუფალი ეკონომიკური ზონა ბათუმისთვის თუ სოხუმისთვის" – ავტორი სოზარ სუბელიანი, ჩემი სტუდენტი იყო, ისტორიკოსი, ძალიან კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ ნუთუ მან არ იცის, რომ ასე წერა არ შეიძლება

გაზ. „ახალ თაობაში" ვახტანგ კალანდაძის სტატიაა სათაურით „შოვინისტი ზატულინის გეგმა აჭარაში ხორციელდება".

ნუთუ ჩვენ ჟურნალისტებს არ ესმით, რომ ამ სტატიებით გულს ტკენენ იქაურ მცხოვრებლებს, არ ვამბობ ყველას, მაგრამ, 10% რომ იყოს, ამის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ასლან აბაშიძეს 10% კი არა აჭარის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს. ეს ნიშნავს, რომ წყალში ჩაუყრიათ აჭარლებს სამასწლოვანი ბრძოლა დედასამშობლოსთან შესაერთებლად.

11 დეკემბერი

„Час Пик" - ინტერვიუ შევარდნაძესთან. ამ ინტერვიუში მომეწონა ის, რომ, როდესაც შევარდნაძეს გაახსენეს 27 სექტემბერს წაკითხული მოხსენებიდან, სადაც მან განაცხადა – „რომ არ ყოფილიყო აფხაზეთი, არ იქნებოდა ჩეჩნეთი", **შევარდნაძემ უპასუხა, როგორ შეიძლებოდა რამდენიმე აფხაზს მოეგო ომი ჩვენთვის და აღნიშნა, რომ ათასობით რუსეთის მოქალაქე მონაწილეობდა მათ კონფლიქტში და ვინ, აიარაღებდა მათ, თუ არა რუსეთი.**

რაც შეეხება აჭარის საკითხს, როგორც იქნა **ლევან სანიკიძემ**, გაზ. „შანსში" პასუხი გასცა იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ათას საშინელებას წერდნენ აჭარაზე და მის ხელმძღვანელზე და თხოვა თავი დაენებებინათ ასეთი სტატიების წერისთვის. პარლამენტში გაერთიანდა „აღორძინება" და ფრაქცია „ამომრჩეველი". მათთან გადავიდა **ნესტან კირთაძე**. დღევანდელ „ახლა თაობაში" ის წერს, „თავი დაანებონ ასლან აბაშიძის საფრხობელად გადაქცევასო".

14 დეკემბერი

12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი გენადი სელეზნიოვი. სანამ სელეზნიოვი სიტყვას იტყოდა, მამუკა გიორგაძის ჯგუფმა, რომელთა ფრაქციას დაერქვა „სახალხო-ეროვნულ-დემოკრატიული

პარტია" დატოვა დარბაზი. სელეზნიოვის სიტყვაზე სარიშვილმა შენიშნა (დილის გაზეთი 13 დეკემბერი) „გამოსვლა ისეთივე იყო, როგორც რუსეთის პოლიტიკაა. ზურაბ ჟვანიამ სწორად შენიშნა, რომ „სელეზნიოვის მოხსენებამ დაგვანახა, რამდენი გაურკვეველი საკითხი არსებობს რუსეთსა და საქართველოს შორის. სარიშვილმა თქვა, მე ჟვანიას რეპლიკას დავუკარი ტაშიო.

შეიძლება ვერ გადმოვეცი ზუსტად, მაგრამ საკმაოდ ვაუკაცური რეპლიკა უნდა ყოფილიყო.

15 დეკემბერი

13 დეკემბერს ზურაბ ჟვანიამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც მან საკმაოდ ღიად და აქტიურად შეაფასა სელეზნიოვის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ „სელეზნიოვის გამოსვლა პარლამენტში მისთვის სრულიად გაუგებარი იყო (გაზ. „ახალი თაობა", 14 დეკემბერი).

ჟვანია ასევე შეეხო ნატოს გაფართოების საკითხს და აღნიშნა, რომ საქართველოს ნატოს მხრიდან არავითარი საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება რუსეთს, დროა შეეგუოს იმ აზრს, რომ ეს ობიექტური პროცესია, ეს არის ფაქტი, რომელიც მოხდება ახლო მომავალში და შეიქმნება არა მარტო ევროპის უსაფრთხოების სისტემა, არამედ მთლიანად მსოფლიოს უსაფრთხოების სისტემები". ასევე უარყოფითად შეაფასა რუსეთის სამშვიდობო ძალების მოქმედება. მან თქვა, მათ უნდა შეენარჩუნებინათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი და შეექმნათ ლტოლვილთა დაბრუნებისათვის უსაფრთხოების გარანტია, არცერთი მოთხოვნა მათ არ შეაპარულეს".

25 დეკემბერი

ამ რამდენიმე დღის ნინ გართულდა მდგომარეობა აჭარაში, რაზედაც გული მიგრძნობდა. ბათუმის ქუჩებში გამოვიდა ჯავშანტექნიკა.

ამას სხვადასხვა მიზეზით ხსნიდნენ, რომ თითქოს ეს იყო გეგმაზომიერი სამხედრო ვარჯიში, მერე გავრცელდა ცნობა, რომ 12 კაციანი ტერორისტული ჯგუფი არისო შემოსული აჭარაში. აშკარაა, რომ რაღაც ხდება.

23 დეკემბერს შევარდნაძე მთავრობასთან ერთად ჩავიდა ბათუმში, სადაც შედგა საქართველოს მთავრობის გამსვლელი სესია. ძალიან მომეწონა შევარდნაძის სიტყვა – „აჭარა საქართველოს მთლიანობის მთავარი დასაყრდენია, ეს ყველამ უნდა იცოდეს. წარმოუდგენელია, რომ აქ წარმოიშვას სეპარატისტული მთავრობა, ამიტომ ჩვენ ხელოვნურად არ უნდა ექმნიდეთ პრობლემებს (გაზ. „კავკასიონი" №228 – 25 დეკემბერი).

ის, რაც თქვა შევარდნაძემ, თითქმის ასევე მიწერია „საქართველოს ისტორიაში", რომელიც ახლახანს გამოვიდა, სადაც ერთ-ერთი თავი „აჭარის დაბრუნება დედასამშობლოსთან" ჩემი დაწერილია.

1997 წელი

23 იანვარი

მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ის, რომ ირაკლი მენაღარიშვილი ავთო იოსელიანთან ერთად ჩაფრინდა გაგრაში და მოლაპარაკება ჰქონდა ვლადისლავ არძინბასთან, სოკრატ ჯინჯოლიასთან და კონსტანტინე ოზგანთან. არ შეიძლება არ აღვნიშნო, ირაკლი მენაღარიშვილი საკმაოდ კარგი საგარეო საქმეთა მინისტრი გამოდგა, მე მას ძალიან ვაფასებდი 9 აპრილის შემდეგ, როგორც ძალზე კარგ ჯანმრთელობის მინისტრს და ძალიან კარგ ქართველს, რომელიც ვაუკაცურად იქცეოდა იმ პერიოდში, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როდესაც ჩიკვაიძის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა მენაღარიშვილი, თუმცა ის საკმაოდ აქტიურად ჩაება მუშაობაში და ძალიან კარგი საგარეო საქმეთა მინისტრი დადგა.

ახალი წლის წინ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ბრძოლას უცხადებდა კორუფციას.[1]

ვნახოთ,[2] ეს ფაქტი მისასალმებელია. მართლაც საოცარია, თვითონ ასეთი წესიერი კაცია, რაც არ უნდა დასწამონ და ბევრი რამ, რასაც ამბობენ, მართალია, მაგრამ მას რომ ქრთამი აეღოს, არ გამიგია, მოყოლებული რაიკომის პირველი მდივნობიდან. მე მის ოჯახს საკმაოდ კარგად ვიცნობ, მისი სიძე ზვიად მოსაშვილი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. მას და მანანას საკმაოდ უჭირდათ. მე ძალიან კარგად ვიცნობ შევარდნაძის ვაჟს პაატას, ასევე უნესიერეს ბიჭს, რომელსაც ცხოვრებაში ზედმეტი არაფერი ჰქონია, როდესაც თვითონ მთელი ცხოვრება ასე იარა, გაგიკვირდება, გარშემო სულ მექრთამეები ახვევია.

გუშინწინ კახა თარგამაძე გამოვიდა და თქვა – მეორე ეტაპს ვინყებთ, პირველში „მხედრიონი" და ბანდიტები იგულისხმება. მეორე ეტაპზე, ალბათ, გულისხმობს კორუმპირებულების წინააღმდეგ ბრძოლას. პირველ ეტაპზე რაც გააკეთა კახა თარგამაძემ მართლაც დიდი დამსახურება აქვს, რადგან კორუფციაზე როცა ინყებს ლაპარაკს, სასაცილოა, რადგან ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროა, აქ კაცი არ ინიშნება თანამდებობაზე, რომ ქრთამი არ აიღონ. ეს იგივეა ჯაბა იოსელიანი რომ დანიშნეს დამნაშავეობის და ბანდიტიზმის „წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის" თავმჯდომარის მოადგილედ. თურმე „მხედრიონს" უნდა ებრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, ასევე იბრძოლებს შინაგან საქმეთა სამინისტრო კორუფციის წინააღმდეგ.

ამ წლის ამბებიდან მინდა აღვნიშნო, რომ ელცინი ისევ ავად არის. ახლა ფილტვების ანთება აქვს, მაგის საქმე წასულია. რაც შეეხება ჩეჩნეთის მოვლენებს, 5 იანვარს უკანასკნელმა რუსმა ჯარისკაცმა დატოვა ჩეჩნეთი. ჩეჩნეთი 27 იანვარს ემზადება პრეზიდენტის ასარჩევად. ფაქტობრივად, ჩეჩნეთი დამოუკიდებელი გახდა. რუსეთი, რა თქმა უნდა, ასე მალე არ შეეგუება ამას, მაგრამ ჯერ ძალა არა აქვს, ამ ეტაპზე მხოლოდ აღვიეებს შუღლს კაზაკებსა და ჩეჩნებს შორის. საოცარი ხალხია ჩეჩნები. შამილ ბასაევმა სწორად უთხრა ქართველ დეპუტატს (გვარი არ მახსოვს, სპორტსმენია, მ. ვ.) „თქვენ დამოუკიდებლები ხართ, მაგრამ არა თავისუფლებიო", საოცარი სიტყვებია.

20 იანვარი

დღეს ეკანია ჩავიდა ცხინვალში. რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ პირდაპირი კონტაქტები იწყება, მანამდე მათი პარლამენტის თავმჯდომარე ძუგაევი იყო ჩამოსული და შეხვდა შევარდნაძესაც. ეკანია ცხინვალში შეხვდა ლუდვიგ ჩიბიროვს. საერთოდ, 1996 წელს ეურნალისტთა კონკურსზე ეკანია დაასახელეს საუკეთესო პოლიტიკოსად საქართველოში. მე სწორად აღვნიშნე, როდესაც ეკანია დაინიშნა პარლამენტის თავმჯდომარედ, რომ მისი დანიშვნა მართლაც მისასალმებელი იყო, ასევე სწორად აღვნიშნე, რომ ვახტანგ გოგუაძე არ გამოდგებოდა პარლამენტის სპიკერად. ამ რამდენიმე დღის წინ გაზ. „მონიტორში" თვითონ გოგუაძემ აღნიშნა, შევარდნაძემ მითხრა, რატომ იყავიო შეყვანილი „ხსნის კომიტეტში"-ო (რომელიც უნდა მოსულიყო შევარდნაძის მკვლელობის შემდეგ, მ. ვ.). პირადად მე არავითარ შემთხვევაში

[1] სასაცილო აღმოჩნდა მისი განცხადება, რადგან მაშინ კორუფცია ბავშვობის ასაკში იყო, ამის შემდეგ კი გაძლიერდა.

[2] მე კიდევ მჯეროდა მისი, ჩემდა საუბედუროდ, მ. ვ.

არ დავიჯერებ და უაზრობადაც მიმაჩნია იმაზე საუბარი, რომ **გოგუაძე რაიმე შეთქმულებაში მონაწილეობას მიიღებდა. მართალია, ვამბობდი, რომ ის როგორც სპიკერი არ გამოდგა, მაგრამ ის ძალზე წესიერი კაცია. მისი უბედურება ის არის, რომ პოლიტიკაში არ უნდა წასულიყო, მის ორიენტაციას ვერ გაიგებ, ვის მხარეზე იყო. ჯობდა ყოფილიყო ისევ უნივერსიტეტში, სადაც შესანიშნავად კითხულობდა ლექციებს.**

ამ დღეებში საქართველოს დელეგაცია **ნიკო ლეკიშვილის** ხელმძღვანელობით იმყოფებოდა მოსკოვში დსთ-ს მთავრობათა მეთაურთა შეხვედრაზე. ქართულმა დელეგაციამ ხელი არ მოაწერა აზერბაიჯანთან, უზბეკეთთან და თურქმენეთთან ერთად ეკონომიკური ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების დოკუმენტს. ვნახოთ, რა იქნება, კონფრონტაცია აშკარად სახეზეა, სწორედ აქ არის საჭირო, რომ ერი ერთად იყოს შეკრული, რადგან რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოში დაიწყოს არეულობა, არადა შევარდნაძეს ძალიან ბევრი უახლოესი თანამშრომელი ისევ ვერ სწავლობენ ჭკუას, მათთვის მთავარი ფულის კეთებაა. **ახლა ქალაქის მერიამ გამოაცხადა, რომ, ვითომ ქალაქის სისუფთავეზე ზრუნავენ და იწყებენ ბრძოლას გარემოვაჭრეების წინააღმდეგ. სინამდვილეში მერიას უნდა დეზერტირების ბაზართან არსებული დიდი ბაზრობა მოსპოს, რადგან მათ ფული სხვა ბაზრობებში ჩადეს. მოკლედ, მაფია თარეშობს როგორც უნდა.** ამ ბაზრობაზე ძირითადად სანყალი ლტოლვილები არიან აფხაზეთიდან. მერია იმაზე არ ფიქრობს, რომ აგორდება უკმაყოფილო ხალხის ტალღა. დაიწყებენ სანყალი ლტოლვილები და მერე შეუერთდებათ ბანდიტები და ყველა ხელმოცარული ადამიანი. მერია თვითონ არის კორუფციის წყარო. როგორ შეიძლება ასეთმა დანესებულებამ დაამყაროს წესრიგი. ძალიან ბევრს დაავიწყდა 1989 წელი, როდესაც გამწარებული ხალხი როგორ დაერია შავ ვოლგებში მჯდარ ჩინოვნიკებს და ურტყავდნენ.

23 იანვარი

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ განიხილა **ბორის ელცინის** საკითხი, რათა ის გადადგეს პრეზიდენტობიდან. ისევ ვიმეორებ, დიდი ამბებია მოსალოდნელი. თუ ახალი არჩევნები დაინიშნა, **იური ლუჟკოვი**, მოსკოვის მერი, და **ალექსანდრე ლებედი** იქნებიან მთავარი პრეტენდენტები პრეზიდენტობაზე.

გუშინ შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა. თავმჯდომარედ დაინიშნა **ლევან ღვინჯილია.** ეს ღონისძიება მართლაც აუცილებელია, რადგან ქართული ენა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. **შევარდნაძემ სწორად თქვა, რომ „ენის დაცვა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკის პირობებშია შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში ნებაყოფლობით ჩავაბარებთ იმას, რაც ჩვენმა წინაპრებმა ბრძოლით შეინარჩუნეს, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ახალმა თაობამ ენის დაცვის ინტერესი დაკარგოს.**

24 იანვარი

შევარდნაძემ გამართა ყოველწლიური თათბირი სამართალდამცავ ორგანოებთან, ამ თათბირს ესწრებოდნენ რწმუნებულები, გამგებლები. **მთავარი თემა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაა. ნეტავ ვინ უნდა ებრძოლოს ამ კორუფციას? ვინც იქ იყვნენ 99% თვითონ არიან კორუფციის მამებიც და მოთავეებიც. ეს იმას ჰგავს წინათ რომ შევარდნაძის გვერდით იჯდა ჯაბა იოსელიანი და უნდა ებრძოლათ დამნაშავეობის წინააღმდეგ. შევარდნაძემ უნდა იბრძოლოს იმ სუფთა ხალხით, რომელნიც არიან საქართველოში. მჯერა, რომ ამ დიდ საქმეს გააკეთებდა ირინა სარიშვილი და თუნდაც მასთან ყოფილიყვნენ გია ბარამიძე, მიშა საკაშვილი და კიდევ შეიძლება მოიძებნოს ბევრი** სუფთა ადამიანი. რასაც ვფიქრობდი, რომ შეიძლება მოხდეს გაზ. „ახალ თაობაში“ ნავიკითხე, სადაც ლტოლვილებმა მეტრო „დელისთან“ დაიწყეს შიმშილობა და განაცხადეს – **„გვირჩევნია იქ აფხაზებმა დაგვხოცონ, ვიდრე აქ ქართველებმა ამოგვხადოს სულიო, მერე განაცხადეს,**

„თანახმა ვართ აფხაზეთის მოქალაქეობაზე და რომ გვცოდნოდა ასე ვიცხოვრებდით თბილისში, საერთოდ არ ჩამოვიდოდითო... ერთადერთი რითაც მთავრობა გვეხმარება , ეს ჩვენი ნეკროლოგების ტელევიზიით გამოცხადებაა. სამი წელი ჩვენით ვირჩენდით თავს, დღეს ესეც მოგვისპესო".

28 იანვარი

გუშინ ჩეჩნეთში ჩატარდა პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები. გაიმარჯვა **ასლან მასხადოვმა,** რომელიც იყო ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი. ყოფილი სსრკ-ის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი. მან ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციები განახორციელა და თავი გამოიჩინა საკმაოდ კარგად, როგორც პოლიტიკოსმა და დიპლომატმა. **ალექსანდრე ლებედი** მიესალმა მის დანიშვნას. მან თქვა – „მასხადოვს უნდა ეომა, როცა მის ხალხს ულეტდნენ და ანადგურებდნენ. მეც 24 საათი იმის ფიქრში ვიქნებოდი, რომ სამაგიერო გადამეხადაო".

მოსკოვი, ჩემი აზრით, ტყუილად ფიქრობს, რომ მასხადოვი დათანხმდება, ჩეჩნეთი რუსეთის სუბიექტი იყოს. სასაცილოა, მაშინ რა საჭირო იყო ამდენი მსხვერპლი – ჩეჩნებს დაეღუპათ 100 ათასამდე ადამიანი. რუსეთი ამ მდგომარეობამდე სწორედ მისმა პოლიტიკამ მიიყვანა. ვითომ დემოკრატობანას თამაშობდნენ, მაგრამ, როცა აფხაზეთის საკითხი დადგა, მშვენივრად ისროდნენ ბომბებს და ავიწყდებოდათ, რომ რიგში ჩეჩნეთი დადგებოდა, შემდეგ ინგუშეთი, მერე ბალყარეთი, დაღესტანი, თათრეთი და ა. შ. დაინყებოდა რუსეთის დაშლა. ამ ხელისუფლების ხელში ეს ნამდვილად მოხდება, რადგან რუსეთში ხელისუფლება ფაქტობრივად არ არსებობს. დღეს ელცინი კრემლში მიიყვანეს სამი საათით. მაგრამ, ეტყობა, ისეთ დღეშია ტელევიზიით არ აჩვენებენ. სასაცილოა, ასეთ რამეებს აკეთებდნენ ლეონიდ ბრეჟნევის, იური ანდროპოვის და კონსტანტინე ჩერნენკოს დროს. რუსეთში მძვინვარებს მაფია, **რას შეუძლია რუსეთის გადარჩენა. რა თქმა უნდა, იგი შეიძლება გადარჩეს, თუ ელცინი აღარ იქნება პრეზიდენტი. მან ამონურა ფიზიკურად და გონებრივად თავისი შესაძლებლობა და მოვა ენერგიული პიროვნება, რომელსაც გაპყვება ხალხი. ასეთი ამ პერიოდში გახლავთ ალექსანდრე ლებედი ან იური ლუჟკოვი. ლებედი პრეზიდენტიც გახდება, თუ არ მოკლეს[1]. შეევარდნაძემ აშკარა შეცდომა დაუშვა, როდესაც ელცინს მხარი დაუჭირა ჩეჩნეთის ომში.**

9 ს. 30 წუთზე „ნტვ-ში" იყო პირდაპირი ინტერვიუ სახელმწიფი სათათბიროს სპიკერთან **გენადი სელეზნიოვთან** და ახლად არჩეულ ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტთან **არსანოვთან.** რასაც ვნერდი, ზუსტად იმაზე იყო საუბარი. სელეზნიოვმა თქვა, „დავიწყეთ მოლაპარაკება ჩეჩნეთთან უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ და ა. შ. **არსანოვმა უთხრა, რომ ჩვენ 1991 ნლიდან გვაქვს დამოუკიდებელი რესპუბლიკა იჩკერია და არაფერი სათხოვარი არა გვაქვს რუსეთთან.** ჩვენ ვთხოვეთ ევროკავშირს და გაეროს, რომ ვეცანით როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და არა რუსეთს, რომელმაც 1944 წელს გადაგვასახლა შუა აზიაში და 1994 წელს ჯარები შემოიყვანა ჩეჩნეთში და ომი დაგვინყო. სელეზნიოვმა თქვა, ახლა ცხელ გულზე საუბრობთ, გავა დრო და მოვილაპარაკებთო.

არსანოვმა უპასუხა – ორი წელინადია ვიბრძვით და შიმშილით არ მოვმკედარვართ და არც ვაპირებთ არაფრის თხოვნას, მაგრამ რუსეთმა რაც ზარალი მოგვაყენა, უნდა აგვინაზღაუროსო".

საოცარი ხალხია, არსანოვი ისე ამაყად იჯდა გესიამოვნებოდა. მართლა შემშურდა. შამილ ბასაევმა სწორად გვითხრა, დამოუკიდებლობა გაქვთ, მაგრამ თავისუფლები არა ხართო, მართლაც, ისინი ოფიციალურად არ არიან დამოუკიდებლები და დიდხანს არავინ არ ცნობს მათ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათ ეს სრულებითაც არ ანაღელებთ, ისინი თავისუფლები არიან.

[1] ლებედი შემდგომში გაურკვეველ ვითარებაში დაილუპა ავიაკატასტროფაში.

29 იანვარი

29 რიცხვის გაზ. „კაპიტალში“ ზუსტად ის წერია, რასაც მე ვწერდი, ქალაქის მერიის გადაწყვეტილება, „ის რომ მათ ქალაქების ქუჩების არაეთიკური და სანიტარული მდგომარეობა აწუხებთ, სათვალავშიც არ არის ჩასაგდები, რადგან აშკარაა, რომ ამავე დროს იოტის ოდენადაც არ აწუხებთ ასობით ადამიანთა ულუკმაპუროდ დატოვება. აქ აშკარად სხვა მიზეზია საძებარი“.

1 თებერვალი

რაც დღეს ქალაქის მერიამ განახორციელა, ამას რა დავარქვა, არ ვიცი, სადამსჯელო ოპერაცია თუ რუსეთი რომ ატარებდა XIX საუკუნეში ეგზეკუციებს. მგლები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ქალაქის მერიის თანამშრომლები, გამოწყობილნი 500 დოლარიან პალტოებში, სიცივეში გაყინულ ადამიანებს, რომლებიც დღეში ერთ თუ ორ ლარს შოულობენ – ქალაქის ინტერესებზე ელაპარაკებიან. საშინელებაა, აჩვენეს ტელევიზიით ეს გატანჯული ჩემი თანამოძმეები, გასაწყლებული ხალხი, რომელთაც ბანდიტები ეუბნებიან, შიმშილით მოკვდითო – არა არ შერჩებათ, მოვა დრო და ყველას გაუხსენებენ.

ძალიან მომეწონა და დროული იყო გაზ. „კავკასიონში“ კოკა-კოლას პრეზიდენტის თემურ ჭყონიას განცხადება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენია. ის წერს – „სამწუხაროდ, საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და ჩვენ ვერ მივცემთ თავს უფლებას ავკრძალოთ გარე ვაჭრობა, რომელიც მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ერთადერთი შემოსავლის წყაროა“.

5 თებერვალი

„დელისთან“ ისევ გრძელდება გარემოვაჭრეთა მჯდომარე აქცია.

გუშინ პარლამენტის შენობასთან მოვიდა ეს საწყალი ხალხი, ისინი შიმშილობით იმუქრებიან, წარმომიდგენია ამაზე როგორ ინერვიულებს ეს მთავრობა, რომელიც მთელ საქართველოს აშიმშილებს.

გუშინ პარლამენტის სხდომაზე **ზურაბ ჟვანიამ** სწორად განაცხადა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ხშირად სარგებლობს პრეზიდენტის ავტორიტეტით და შანტაჟს ეწევიან. ისინი ხშირად პარლამენტს აბრალებენ ყველაფერს. საქმე შეეხებოდა დეკემბრის ბოლოს პარლამენტს რომ მიაღებინეს კანონი, რომლის მიხედვითაც, საზღვარგარეთიდან შემოსული მანქანები 54%-ით იბეგრებოდა და ეს დღეები გაიძახოდნენ, რა ვქნათ, პარლამენტმა მიიღო კანონიო. აღმოჩნდა, რომ, პირიქით, 30%-იანი აქციზი შემცირდა 15%-ით, მაგრამ მერე საბაჟომ მიიღო გადაწყვეტილება რომ დღგ დაემატება კერძო პირებისათვის, რომლებიც მას იყენებდნენ საკუთრებად – **მოკლედ, განუკითხაობაა – აღმასრულებელი ხელისუფლება, მერია, გამგებლები, საგადასახადოები, ძალოვანი სტრუქტურები ძირითადად ბანდიტებით არიან დაკომპლექტებული.**

7 თებერვალი

სამი დღის განმავლობაში საქართველოს დელეგაცია შევარდნაძის მეთაურობით იმყოფებოდა ოფიციალურ ვიზიტად საფრანგეთში. კარგი შეხვედრა მოუწყეს პარიზში. დღეს **როინ მეტრეველმა,** რომელიც ასევე იმყოფებოდა პარიზში, რექტორატზე გველაპარაკა ამ ვიზიტზე. მან აღნიშნა, რომ ძალიან დიდი იყო ინტერესი და პატივისცემა ედუარდ შევარდნაძის მიმართ, მას უყურებენ როგორც ფაქტობრივად ევროპის გადამრჩენს. ამ დროს ჩემმა მეგობარმა **ავთო წერეთელმა ჩაილაპარაკა, ევროპა კი გადაარჩინა, მაგრამ ჩვენ კი დაგვლუპაო, ყველას გაგვეცინა.** მართლაც, საოცარია, ასეთი დიდი პოლიტიკოსი, ასეთი პატარა ქვეყნის ხელმძღვანელია და რა მძიმე მდგომარეობაში ვართ.

გაზ. „კაპიტალში“ არის ინტერვიუები გაჭირვებულ ხალხთან, რომლებსაც მოუსპეს ყველაფერი, რომელთაც დაერივნენ მერიის მგლები. ერთ კაცს უთქვამს, ექვსი შვილის მამა, „იძულებული ვარ, ჩემი ექვსი შვილი დავმარხო იმის გამო, რომ მათი გამოკვების საშუალება

დღეს მომისპესო". ერთმა ქალმა კი განაცხადა, „ბარემ მოეშვირათ ავტომატი და ყველა ერთად დავეხოცეთო, დაბალი ფენის წარმომადგენლები დაიხოცებიან, საშუალო ფენამ სიკვდილს თვალებში უნდა უყუროს, ხოლო მაღალი ფენა იცხოვრებს და ყოველივე ამას ზემოდან გულცივად გადმოჰყურებს.

ეს ამონაწერი იმიტომ მომაქვს, რომ თითქოს **საქართველოში ინყება ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და ამ დროს სპობენ ყველაზე გაუბედურებულ ხალხს. ბოდიში ამ შედარებაზე, მაგრამ „დვორნიაშკა" ძაღლები უფრო პატივში არიან თბილისში, რომლებსაც ყურადღებას არავინ აქცევს, ჯგუფ-ჯგუფად დადიან ქალაქში და ხალხს კბენენ, მერე ამბობენ, როგორ შეიძლება, მათი დახოცვა არაპუმანურია, ამ დროს იგივე ხალხი სანყალ ლტოლვილებს შიმშილით ხოცავს, ამას მართლა ჯობია ესროლონ და მოსპონ.**[1]

გვიან ღამით გაზ. „დრონს" ვკითხულობდი და იქ არის ინტერვიუ ირინა სარიშვილ-ქანტურიასთან. ჩვენი აზრები ემთხვევა. ის წერს, „ჯიხურებიდან ამოღებული სერიოზული შემოსავალი სნორედ ხელისუფალთა ჯიბეებში ნაწილდებოდა... როგორც ჩანს, დღეს ის შემოსავალი და ამდენად ქალაქის ხელმძღვანელობის დაინტერესება, ამოინურა და ჯიხური მხოლოდ იმ კონკრეტული ადამიანის ინტერესებში დარჩა, ვისაც მისი მეშვეობით 10 ოჯახი ჰყავს გამოსაკვები. ამ ფონზე გადანყდა ქალაქის იერის გალამაზება. **არაეთიკური შედარებაა, მაგრამ ეს დაახლოებით იმას ჰგავს, დაუბანელ ტანზე ახალი ტანსაცმელი რომ ჩაიცვა.** რატომ ბაზრობები არ აღიკვეთა, იმიტომ, რომ ისინი დღესაც ძალიან დიდი შემოსავლის წყარო გახლავთ ძალიან სერიოზული ნრეებისათვის. როცა კორესპონდენტი ეკითხება კლანების შესახებ, ირინა პასუხობს, რომ „სხვათა შორის, პრეზიდენტი როცა დარწმუნდა, მის მეგობრებს კანონიერებასა და წესიერებისაკენ ეელარ მოაბრუნებდა, აღარ აპატია მათ, წესით, თავისი იმიჯის სასარგებლოდ ახლობელთან მიმართებაშიც არ უნდა გადაუხვიოს".

ჩემი აზრით, ირინა სარიშვილი რომ თბილისის მერი იყოს, მართლაც კარგ საქმეებს გააკეთებდა და ეს შევარდნაძისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. ვნახოთ, იქნებ დადგეს ამის დროც. ისე, ბოლო ხანს ცოტა სასიკეთო პირი უჩანს, რადგან **პარლამენტი ყვანიას მეთაურობით და განსაკუთრებით მიშა საკაშვილი საკმაოდ უტევენ აღმასრულებელ ხელისუფლებას.**

8 თებერვალი

დღეს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. შეეიკრიბეთ თსუ-ს ეზოში, ეკლესიაში, დავანთეთ სანთლები. მერე გადავედით მეორე კორპუსში, სადაც აღდგენილ იქნა ფიზიკის დიდი აუდიტორია, რომელიც დამწვარი იყო. მართლაც, შესანიშნავად არის გაკეთებული, გული გაგინათდება. არ შეიძლება არ აღენიშნო, რომ რექტორმა როინ მეტრეველმა დიდი როლი ითამაშა. მან თავისი ავტორიტეტით მოიზიდა სასწავლებელში სახსრები, მუშახელი და ა. შ. აღსანიშნავია ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის ჯემალ მებონიას დამსახურებაც.

გაზ. „რეზონანსში" ვკითხულობ – ჯიხურების ომი გრძელდება, ძირითადად იქ აფხაზეთიდან ლტოლვილები მუშაობენ. ხალხი ისეა გამწარებული, რომ მოითხოვეს „საქართველოს პრეზიდენტად ელადისლავ არძინბას დანიშვნას, ის ნამდვილადს გვიშველისო".

გუშინ პარლამენტის სხდომაზე დაიწყო ბიუჯეტის განხილვა. ძალიან კრიტიკული და საინტერესო იყო – **სარიშვილის, საკაშვილის, ბარამიძის, ონოფრიშვილის, შარაძის** გამოსვლები.

სარიშვილმა აღნიშნა, რომ მერიას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და პროკურატურას არასამთავრობო კლანები აკონტროლებენ, ხოლო ბენზინის მაფიას პრეზიდენტის გარემოცვა. „ეჭვი არ მეპარება, რომ პრეზიდენტი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაინდობს, არც სხვას და არც თავისას". აქ ირინამ აშკარად მიუთითა მის ძმისშვილზე ნუგზარ შევარდნაძეზე, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა ბენზინის შემოტანას საქართველოში. აშკარაა, რომ შევარდნაძემ უნდა მიიღოს ზომები, თორემ პალსტუხიანი ყაჩაღები დაანგრევენ ახლად შექმნილ სახელმწიფოს. სწო-

[1] გაოგნებული ვიყავი როცა იგივე განმეორდა ათი წლის შემდეგ მიხეილ საკაშვილის პრეზიდენტობის დროს.

რად უთხრა გურამ ფანჯიკიძემ,[1] რომ 12 საათი უკვე შესრულდა და დრო აღარ ითმენსო.

14 თებერვალი

12 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა **ნატოს გენერალური მდივანი ჰავიერ სოლანა. რა არის ცხოვრება, მე, რომელიც აღვიზარდე საბჭოთა კავშირში, ამას წარმოვიდგენდი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდოდა ნატოს გენერალური მდივანი.**

ამავე დღეს ჩეჩნეთში ზეიმი იყო, რადგან დღეს გახლდათ ასლან მასხადოვის ინაუგურაციის დღე. ეს ხალხი მართლაც ღირსია თავისუფლების.

პარლამენტის სხდომაზე ჯერჯერობით ვერ მიიღეს ბიუჯეტი, რომელიც, როგორც სნორად შენიშნეს, ემსახურება არა ხალხის, არამედ კლანების ინტერესებს.

ამ დროს პარლამენტის წინ აფხაზეთიდან ლტოლვილები იყვნენ შეკრებილნი. მისასალმებელია, რომ მათთან ჩავიდა **გია ბარამიძე**, რომელიც მათ ადამიანურად დაელაპარაკა და აღუთქვა დახმარება.

დღეს შევარდნაძე კიევში იმყოფებოდა, შევარდნაძე მართლაც ეძებს გამოსავალს, რადგან რუსეთიდან სიკეთე არ ჩანს.

15 თებერვალი

გაზ. „ახალი თაობა", ინტერვიუ **გია კობახიძესთან** სათაურით „ჟონგლიორობას და მტერთან ლაქუცს თავი უნდა დავანებოთ".

გია ძირიადად საუბრობს ევროკავშირის გენერალური მდივნის ჰავიერ სოლანას ვიზიტზე და აღნიშნავს – „ცხოვრება გვიჩვენა, რომ ორმაგი სტანდარტებით საქმიანობა შედეგს ვერ მოგვიტანს, მაგრამ, ეტყობა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და საქართველოს პრეზიდენტმა ახალი სიურპრიზი შემოგვთავაზა – სოლანას ვიზიტამდე რამდენიმე ხნით ადრე მან განაცხადა, რომ ევროკავშირის გაფართოებას უფრო მიესალმება, ვიდრე ნატოს გაფართოებას... ეტყობა, კიდევ ერთხელ სცადა მოეგო გული რუსეთისათვისო. ჩემთვის გაუგებარია, ამგვარი ტაქტიკით პრეზიდენტი ვის და რას აბალანსებს, მაგრამ, ცხადია, რომ საქმე წინ არ მიდის, დროა ჟონგლიორობას და მტერთან ლაქუცს თავი დავანებოთ და გავაკეთოთ გონიერი არჩევანი. ამგვარ დამოკიდებულებას არც რუსეთი დაგვიფასებს და ნატოს კეთილგანწყობასაც დიდი კითხვის ქვეშ დავაყენებთო".

ჩემი აზრით, მართლაც, ძალზე დიდი პრობლემაა, რა თქმა უნდა, ამას შევარდნაძე რუსეთის სიყვარულით არ აკეთებს, **მაგრამ აშკარად ეშინია, რომ იმპერიის რღვევის დროს მის ნანგრევებში არ მოჰყვეს საქართველო. მაგრამ, როგორც პროფესიით ისტორიკოსმა, შევარდნაძემ უნდა იცოდეს, რომ მისი ლავირება და ბალანსირება შეიძლება მობეზრდეს ორივე მხარეს და დამთავრდეს ტრაგედიით, როგორც დამთავრდა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ტრაგედიით ძეგამში 1605 წლის 12 მარტს. რაც შეეხება რუსეთს, ელცინი ფაქტობრივად არ ჩანს, რადგან მას აშკარად არ შეუძლია მუშაობა, მას ხან რადიოთი ალაპარაკებენ, ხან შორიდან ტელეეკრანებიდან აჩვენებენ.** როგორც გენ. ლებედმა განაცხადა (გაზ. „ახალი თაობა") „რუსეთს დღეს მართავს ოლიგარქია და რუსეთის პრეზიდენტის რეგენტი ანატოლი ჩუბაისი. არადა, სახელმწიფო სათათბირომ აღარ იცის, რა ქნას, რადგან რუსეთის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ავადმყოფობის გამო პრეზიდენტის გადაყენებას, ელცინი არც აპირებს გადადგომას. რაც შეეხება მის გარშემო არსებულ პიროვნებებს, ისინი არ მისცემენ საშუალებას, რომ გადადგეს, რადგან დაკარგავენ ყველაფერს.

[1] აღსანიშნავია, რომ ბატ. გურამ ფანჯიკიძემ სხვა ე. წ. „კარის ინტელიგენციისაგან" განსხვავებით, ძალზე დადებითი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. მან წერილით მიმართა შევარდნაძეს, რომ დრო აღარ ითმენდა, თორემ კორუფცია დალუპავდა საქართველოს.

17 თებერვალი

დღეს გაზ. „საქართველოში" დამთავრდა ინტერვიუ ნუგზარ ფოფხაძესთან – ყოფილ ცეკას მდივანთან, რომლის სახელი განსაკუთრებით დაკავშირებული იყო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებთან. არ მინდა გავარჩიო მისი ინტერვიუები, ჯერ ერთი, ყველა ნიუანსი ამ მოვლენის შიგნით რაც ხდებოდა, მე არ ვიცი, ამიტომ თავს ვიკავებ. მაგრამ ერთი მთავარი არ მომეწონა ამ ინტერვიუდან, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს არის პასუხისმგებლობიდან თავის არიდების კლასიკური ნიმუში.

დღეს მეტრო „დელისთან" შეწყდა აქცია. აფხაზეთიდან ლტოლვილებს ნება დართეს, რომ ისევ ეკაჭრათ.

20 თებერვალი

გუშინწინ ვიღაცამ გააჩინა ხანძარი პირველი კორპუსის მეორე სართულზე. მეხანძრე პეტრე შემთხვევით იყო ამოსული მეორე სართულზე და მე და პეტრემ ერთად ჩავაქრეთ ეს ხანძარი.[1]

ზუსტად ერთი კვირით ადრე პირველ სართულზე გააჩინეს ცეცხლი. მაშინაც პირველად მე გავიქეცი ვაკის სახანძროში და მოვიყვანე სახანძრო მანქანები. დღეს მესამე სართულზე, პირველ კორპუსში, სპეცსახსრების ბუღალტერიასთან გააჩინეს ცეცხლი. გავგიჟდები, აშკარაა, რომ ვიღაცას ამჟამად უნდა დანვას პირველი კორპუსი, ისევე როგორც დანვეს მეორე კორპუსი.[2]

[1] არადა საზიზღრად იყო ჩაფიქრებული. ცეცხლი მოუკიდეს კავკასიის ისტორიის კათედრის კარებს, ყოფილი კომკავშირის კომიტეტის ოთახს, სადაც კარები ძველებური ტყავისაგან იყო ბურბუშელებით საკეს, ცეცხლი წავიდა მაღლა, სადაც იყო ფიცრები და ზემოთ ბიბლიოთეკა. რამდენიმე წუთი, დაახლოებით 15 წუთი უნდოდა, რომ პირველი კორპუსი აღარ იქნებოდა. საბინელება ის იყო, რომ იმ დროს საღამოს სწავლა არ იყო, მე ვიმყოფებოდი შემთხვევით, როგორც მოსამზადებელი ცენტრის ხელმძღვანელი.

[2] ამ საკითხზე თათბირი ჩატარდა რექტორატში და თქვეს, აღმოვაჩინოთ ის პიროვნება, ვინც ყველა ამ ხანძრის დროს იქ იმყოფებოდა. მე გამეცინა და ვუთხარი, მაშინ მე დამიჭირეთ, რადგან ყოველთვის მე ვიყავი ამ ხანძრების

შევარდნაძე კიევის შემდეგ ბაქოში იმყოფებოდა. აშკარაა, რომ ყალიბდება ანტირუსული კოალიცია, რომელში შეევლენ უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი და მათ ალბათ შეუერთდება შუა აზიის რომელიმე რესპუბლიკა.

დღეს გაზ. „საქართველოში" არის პარტია „თავისუფლების" საკოორდინაციო ბიუროს განცხადება – „თბილისში სავაჭრო ჯიხურების ადმინისტრაციული მეთოდებით აღება ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო, რადგან საარსებო წყაროს გარეშე დარჩა დაახლოებით 200 ათასამდე ოჯახი, რომლებიც მზად არიან ქუჩაში გამოსასვლელად". ზუსტად ის თქვეს, რასაც თავიდან ვამბობდი, ტკინი არა აქვთ არც მთავრობას და არც ქალაქის მერიას. ასეთ ხალხთან როგორ მუშაობს შევარდნაძე.

ამავე გაზეთში აკაკი ბაქრაძე წერს – „თავად კორუმპირებულები გაჰკივიან – არიქა დასცხეთ კორუფციასო".

22 თებერვალი

გაზ. „ალია", სადაც დაბეჭდილია **ირინა** სარიშვილის გამოსვლა პარლამენტში – „იმისათვის, რომ მომავალში გაოცებულმა პარლამენტმა არ თქვას, ეს რა იხილა ჩემმა თვალებმა, ეს რა მოისმინა ჩემმა ყურებმა, ჩემს ქვეყანში რეები ხდებაო".

ირინა სარიშვილ-ჭანტურიამ ბევრ ისეთ თემაზე ილაპარაკა, რაც ისედაც „ყველამ იცოდა", მაგრამ ხმამაღლა ნაკლებად ამხელდნენ... შემოწმდეს შინაგან საქმეთა მინისტრის, **კახა თარგამაძის** კავშირი ბენზინის მაფიასთან ანუ იგორ გიორგაძის მემკვიდრეობასთან, შემოწმდეს სოფლის მეურნეობის მინისტრის, **ბაკურ გულუას** კავშირი გამოყოფილ კრედიტებთან ანუ ავთანდილ მარგიანის მემკვიდრეობასთან. – დაბოლოს, შემოწმდეს პროკურატურა, რომელსაც მემკვიდრეობა არ რგებია, მაგრამ ამ ყველაფერს ხელს აფარებს".

გუშინ ტელევიზიით იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, სადაც უარყოფილი იყო ეს ბრალდებები – ჩემი აზრით, ისევ ძველი

დროს-მეთქი. ერთი წლის შემდეგ დაიჭირეს ვინც ცეცხლს უკიდებდა (მ. ვ.).

სიმღერაა, როგორ შეიძლება თვითონ სამინისტრო უარყოფდეს, მე დამნაშავე არა ვარო, სასაცილოა. (მ. ვ.).

23 თებერვალი

დღეს კვირაა და შემთხვევით ვიყიდე გაზ. „ახალი თაობა". მეგონა, დღეს გაზეთები არ გამოდიოდა და ნავიკითხე ინტერვიუ **ირინა სარიშვილ-ჭანტურიასი.**

დაწვრილებით იმიტომ გადმოვცემ, რომ საოცრად ემთხვევა ჩვენი აზრები, მე დავამთავრე წინა დღის **ჩანაწერი „სასაცილოა", ის რომ სამინისტრო უარყოფს, მე დამნაშავე არა ვარო. ირინა წერს – „ის რომ შსს სამინისტრომ თავად შეამოწმა საკუთარი თავი – ეს ყველაზე სასაცილოა".**

სწორად შენიშნავს ირინა, რომ „შსს პრესცენტრის ეს განცხადება ბევრს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ 3-4 წლის წინათაც სხვადასხვა უნყებანი, მათ შორის „მხედრიონიც" და სიგარეტთან დაკავშირებით უშიშროებაც უარყოფდა ამას... რაც შეეხება კვირაიას და ბაკურ გულიას, ისინი შედარებით გონივრულად იქცევიან და თავის შეკავებასაც ამჯობინებენ". მართალია ირინა, რადგან დღეს საღამოს ვიდეოპატრულში გამოიყვანეს **ზურაბ ჩხაიძე** – კორუფციისა და დამნაშაეობის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს უფროსი და იგივე გაიმეორა.

3 მარტი

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებას გამოეხმაურა **კახა თარგამაძე,** მან გააკეთა განცხადება, რომ – „ქალბატონი ირინას საქციელი შეიძლება შეფასდეს როგორც აკვიატებული, იაფფასიანი პოპულიზმი, დემაგოგია და ცილისწამება საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით. ქალბატონ ირინას თუ აინტერესებს, რატომ არ მიმართა სასამართლოს. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში ჩემი მოპასუხე აღმოჩნდებოდა ქალბატონი და ჩემმა მამაკაცურმა ღირსებამ ამის უფლება არ მომცა.

მზად ვარ, ჩემი სულგრძელობიდან გამომდინარე, ვთხოვო ქალბატონ ირინას, ხაზს ვუსვამ ამ მდგომარეობას, წარმოადგინოს მისთვის სასურველ უწყებაში დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებენ თითქოსდა ჩემს მონაწილეობას კანონსაწინააღმდეგი ქმედებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვითხოვთ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე კანონით დაგენილი წესით" (საქ. რესპუბლიკა, 28 თებერვალი).

28 თებარვალს გაზ. „კავკასიონში" ინტერვიუ **ნიკო ლეკიშვილთან.** მანამდე მან გამოაქვეყნა თავისი შემოსავლები, ეს ფაქტი ნამდვილად მისასალმებელია და არც მალავს, რომ ის მდიდარია, განსხვავებით სხვებისგან, **რომლებიც თურმე ცხოვრობენ თავიანთი სოფლად არსებული მინის შემოსავლებით, ის წერს მეცინება, როცა ხელისუფლების წარმომადგენელი ამბობს, რომ სოფლიდან მშობლები ლობიოს და ქათამს მიგზავნიან და ამით ვცხოვრობთო. ეს უკვე ანეგდოტების სიტუაციაში მიდის, ამ საკითხზე კომენტარი მიჭირს.**

გუშინ ფრაქცია „აფხაზეთმა" – **გერმანე ფაცაციამ, გენო კალანდიამ, ბორის კაკუბავამ, ალექსანდრე გვაზავამ, გია ჯიქიამ** დაიწყეს ყოფილი „იმედის" შენობაში შიმშილობა ლოზუნგით – გაიყვანონ რუსებმა ჯარები აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან. ჩემი აზრით, დიდი ამბებია მოსალოდნელი. თუ ხელისუფლებამ დროზე არ მიიღო ზომები, აქ ჩამოვა დიდი ნაწილი ლტოლვილებისა, მათ შეუერთდებიან ამ მთავრობით უკმაყოფილო დიდი მასა და მათი შეჩერება ძალიან ძნელი იქნება.

5 მარტი

დღეს მამაჩემის დაბადების დღეა, ძალიან მენატრება, მართლა ძალიან კარგი კაცი იყო. 5 მარტს, 1953 წელს გარდაიცვალა სტალინი, კომუნისტებმა ჩაატარეს მიტინგი, უზარმაზარი მიტინგი იყო მოსკოვში. საოცარია სტალინის ფენომენი.

უკვე მეოთხე დღეა გრძელდება დეპუტატების აქცია იმედის შენობაში, სულ შიმშილობს 11 დეპუტატი, მათ შორის 79 წლის კაცი საშა

ჯიქია, ბორის კაკუბავამ გაზ. „ახალ თაობაში" განაცხადა, რომ, თუ ათ დღეში არ გადაწყდა ეს საკითხი ამ აქციაში ერთი მილიონი ადამიანი მიიღებსო მონაწილეობას. **მამუკა გიორგაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ აპირებს პარლამენტის სხდომაზე შეიტანოს პროექტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი გამოცხადდეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად.** მართლაც, რა ქნან ამ დეპუტატებმა, ოთხი წელი გავიდა, შედეგი არ ჩანს, **რუსეთი რომ არ დათმობდა ამ ტერიტორიას,** ამასაც რა ფიქრი უნდოდა.

დღეს გაზ. „კავკასიონში" არის ინტერვიუ **მიშა სააკაშვილთან.** მართლაც ბრწინვალე ახალგაზრდაა, მიხარია, რომ ასეთი ახალგაზრდები კიდევ არიან, მე სულ ვაკრიტიკებ შევარდნაძეს მისი საკადრო პოლიტიკის გამო, მაგრამ ასეთი ახალგაზრდა კადრებისადმი მისი მხარდაჭერა მისასალმებლია, თუმცა მეშინია, რაიმე არ უყონ, არ მოკლან. მართალია, ის დრო აღარ არის, მკვლელებს რომ უგზავნიდნენ, მაგრამ ის ძალიან უშლის ხელს ძალოვან სტრუქტურებში მოკალათებულ ბანდიტებს.

სააკაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში „ტიპური ქართული მოვლენა ჩამოყალიბდა – ორი საქმოსანი ასაქმებს ათ ნილოსანს... უნდა გამოვაცალოთ ბერკეტი მთავრობას.

სააკაშვილი შევარდნაძეზე ამბობს, რომ „იგი არის დამფუძნებელი ახალი ქართული სახელმწიფოსი, ისევე როგორც ჯორჯ ვაშინგტონი იყო ამერიკისათვის და ათათურქი თურქებისათვის"[1].

9 მარტი

გრძელდება მოშიმშილეთა აქცია „იმედის" შენობაში, ძირითადად ასაკობრივი ხალხი მონაწილეობს. გული გტკივა, როდესაც მათ უყურებ.

გაზ. „7 დღეში" № 10 არის ინტერვიუ ირინა **სარიშვილი-ჭანტურიასთან,** სადაც მან კახა თარგამაძეზე თქვა, რომ „კახა თარგამაძის აქტივობა გამოწვეული იყო მხოლოდ ხმაურის ასატეხად... მე არ მიკვირს, რატომ ერიდებიან სასამართლოში ამ საქმის აღძვრას, ვიცოდი, იქნებოდა მუქარა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, არ იჩივლებდა. თარგამაძეს კიდევ აქვს ერთი კვირა მოსაფიქრებლად. აპირებს თუ არა საქმის სასამართლოში აღძვრას, თუ არა, მაშინ ეს დოკუმენტები თავისი ნომრებით და საოქმო ჩანაწერებით გამოქვეყნდება. თუმცა ეს შედეგს მაინც არ გამოიღებს.

სამწუხაროდ, კახა თარგამაძემ თავისი ხმაურით, თავისდაუნებურად, მფარველობა გაუწია უშიშროების სამინისტროს, რომელმაც ოსტატურად მოახერხა დარჩენილიყო ჩრდილში. მისი ხელმძღვანელი ჩვენთვის გაცილებით საშიშ ძალას წარმოადგენს, ვიდრე სხვები, რომლებიც ასევე დავასახელე. სიგარეტის მაფია უშიშროების სამინისტროსთან დაკავშირებით არ არის იგორ გიორგაძისგან მიღებული ერთადერთი მემკვიერეობა, მემკვიდრეობით მიღებული იდეოლოგია და იმ ქვეყნის სამსახური, რომელსაც მისი წინამორბედი ემსახურებოდა".

დამავიწყდა ჩამეწერა, რომ 6 მარტს რუსეთის ფედერალურ კრებაზე სიტყვით გამოვიდა **ბორის ელცინი.** პროგრესი აშკარად სახეზეა, თუ ადრე ელცინი უბადრუკ მოხუცს წაგავდა, ახლა დაახლოებით ისევე ის ელცინი იყო; მაგრამ ელცინი რუსეთს ველარ უშველის, მისი დრო ნავიდა, **გუშინ მან ჩერნომირდინის პირველ მოადგილედ დანიშნა ანატოლი ჩუბაისი, რომელიც არ უყვარს რუსეთს და თვითნაც არ იცნობს რუსეთის ბუნებას**[2]. რუსეთს სჭირდება ახალი სიო, რომ დროებით შეაჩეროს იმპერიის ნგრევა, ასეთი პიროვნება შეიძლება იყოს ლებედი[3], თუ იქამდე არ მოკლეს.

ლებედმა აღნიშნა, რომ რუსეთი შეეცდება გაამწვავოს მდგომარეობა აფხაზეთის და ყარაბახში, რათა ძირითადი ყურადღება იქით იყოს გადატანილი.

7 მარტს შესრულდა ხუთი წელი შევარდნაძის

[1] დღეს მიხეილ სააკაშვილი ამბობს, 2003 წლამდე საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდაო (მ.ვ.).

[2] რუსეთში ამ დროს ასეთი ფრაზა არსებობდა რომ, „პარვარდის ბიჭებმა" დალუპეს რუსეთი. საქმე ისაა, რომ ამ ახალგაზრდებმა რუსეთში არ გაატარეს თავიანთი ახალგაზრდობის წლები და არ იცნობენ რუსეთს, რომელსაც ყოველთვის გაარჩნდა თავისებურებანი ევროპისაგან განსხვავებით. ისინი სწავლობდნენ საზღვარგარეთ, ძირითადად აშშ-ში, პარვარდის უნივერსიტეტში.

[3] აშკარად ეგრძნობდი, რომ ალექსანდრე ლებედი დაილუპებოდა

თბილისში ჩამოსვლისა. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვაქვს წართმეული აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი", ხალხი შიმშილის პირასაა. მე პირადად ვთვლი, რომ, როგორც რუსები ამბობენ, „мало бить и хуже". დიახ, უნდა შეეხედოთ რეალურად, რა სურდა რუსეთს. ჩვენ ვიცოდით ტაჯიკეთის მაგალითი, არადა ზუსტად იმ სცენარით მივდიოდით. დღესაც იქ კატასტროფული მდგომარეობაა, არ შეიძლება, არ დავინახოთ პროგრესი, აღარ ისმის იარაღის ჟღარუნი, არ არის ხოცვა-ჟლეტა, შეიარაღებული ბანდები, ფულადი ერთეული ლარი სტაბილური გახდა. შეცდომები ბევრი ჰქონდა, თუნდაც დღეს ჰალსტუხიანი ბანდიტების თარეში საქართველოში, როდესაც უმეტესობა შიმშილის პირასაა, ისინი კი სასახლეებს იშენებენ. კიდევ ვიმეორებ, რა ნერვები აქვს, როგორ შეუძლია შეეგუოს ასეთ ხალხს. ღმერთო, ხელი მოუმართე მას, **თუ შეძლებს ამ ჰალსტუხიანი ბანდიტების განადგურებას, აღადგენს საქართველოს იურისდიქციას აფხაზეთსა და შიდა ქართლში, მართლაც ის იქნება პრეზიდენტი, რომელმაც შექმნა ახალი ქართული სახელმწიფო, რომლის სურვილიც მას აქვს**[1].

16 მარტი

შიმშილობა გრძელდება „იმედის" შენობასთან, მთავრობა არავითარ რეაგირებას არ ახდენს, **ზურაბ ჟვანია** ამერიკაშია ვიზიტით.

14 მარტს ჩრდილოეთ კავკასიაში შევარდნაძემ გააგზავნა **ნადიბაიძე**, რომელიც შეხვდა **აუშევს, ინგუშეთის პრეზიდენტს** ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩრ. კავკასია ფაქტობრივად გადაწყვეტს აფხაზეთის საკითხს, რადგან რუსეთს ამჟამად ძალა არ გააჩნია, მან რომ მოინდომოს, რა თქმა უნდა, ეს აბსურდია, მაგრამ, რომც მოინდომოს, აფხაზეთს ვერ დაუბრუნებს საქართველოს.

თავის დროზე შევარდნაძე შეცდა, როდესაც ფაქტობრივად მხარი დაუჭირა რუსეთის აგრესიას ჩეჩნეთში. მას ეგონა, რომ რუსეთი ადვილად მოუღებდა ბოლოს ჩეჩნეთს.

გაზ. „მერიდიანი" № 19, სათაურით „კრემლის პატარძლობაზე სომხეთი უარს აცხადებს" ავტორი ვახტანგ სამადაშვილი წერს – „მართლია გუდაუთასა და ბათუმში დისლოცირებული რუსული ბაზები დიდ დაბრკოლებას ქმნიან აფხაზეთსა და აჭარის რეგიონებზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელების თვალსაზრისით, მაგრამ მათი მორჯულება ადვილია".

გაგიჟდა კაცი, ისე წერს, თითქოს არძინბა და აბაშიძე ერთი და იგივე ყოფილან.

20 მარტი

შიმშილობა გრძელდება. მოშიმშილეებთან მოლაპარაკებას ანარმოებს **ზურაბ ჟვანია** და **მიშა სააკაშვილი.**

დღეს პარლამენტმა ამის შესახებ განცხადება მიიღო, ზუსტად არ ვიცი, ხვალ გავიგებ.

რაც შეეხება პარლამენტის დღევანდელ სხდომას, ირინა სარიშვილი გამოვიდა, უშიშროების სამინისტრო დაადანაშაულა, ამას ხვალ ზუსტად გავიგებ, მაგრამ შინაარსი უკვე ცნობილია, რადგან გაზ. „რეზონანსში" ირინამ განაცხადა, რომ იმას, რაც ხდება, ამაზრზენი სპექტაკლიაო და მთავარი მომქმედი პირი ეს არის უშიშროების სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა და როგორც მინიმუმ უშიშროების მინისტრი. მისი თქმით, რუსეთის სადაზვერო სამსახურის მთავარი პლაცდარმი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში არის უშიშროების სამინისტრო". სარიშვილმა ისიც თქვა, რომ შიმშილობის დაწყებამდე **ბორის კაკუბავამ**, რომელიც დღეს მოშიმშილეთა აქციაშია გაერთიანებული, ასეთი ფრაზა წარმოთქვა, რა დროს ძალისმიერი სტრუქტურების კორუფციაზეა საუბარი, ეს ის სტრუქტურებია, რომლებმაც აფხაზეთი უნდა დაგვიბრუნოსო, არადა, სარიშვილის თქმით, სწორედ კორუმპირებულმა სტრუქტურებმა დაკარგეს აფხაზეთი, არეულობის დაწყების პერსპექტივა კი, სარიშვილის აზრით, რეალური – „აქ გვყავს ჯიხურებიდან დაყრილი ხალხი, მომატებული სატელეფონო ტარიფები" (სწორედ ამის შესახებ ვწერდი. (მ. ვ.).

არეულობა ყველაზე მეტად აწყობს რუსეთს, ამიტომ საჩქაროდ უნდა გადაწყდეს ეს კონფლიქტი, უნდა მოხდეს დათმობა მოშიმშილეთა მიმართ პარლამენტის მხრიდან, თორემ უბედურე-

[1] მე ისევ ილუზიებში ვარ მ. ვ.

ბა მოხდება, ამას უნდა მიხვდნენ მოშიმშილეები, რომელთა უმრავლესობა სპეტაკი ხალხია.

21 მარტი

საღამოს პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა **ზურაბ ჟვანია**. მან თქვა, რომ ერთი საათის წინ აქცია შეწყდა და მადლობა გადაუხადა მოშიმშილეებს, რომ ისინი გაგებით მოეკიდნენ პარლამენტის გადაწყვეტილებას და რომ ჩაიშალა ზოგიერთების განზრახვა, რომლებსაც სურდათ დესტაბილიზაცია შექმნათ საქართველოში. მართლაც, მისასალმებელია ეს ფაქტი და მინდა აღვნიშნო **ზურაბ ჟვანიას** და **მიშა სააკაშვილის** დიდი **როლი ამ საქმის მოგვარებაში**.

ამიტომ არის, რომ არ შეიძლება იმ პარტიული (კომუნისტების, მ. ვ.) მუშაკების დანიშვნა, რომლებიც ფაქტობრივად ბავშვობიდან კაბინეტებს არიან მიჩვეულები და სანამ წიხლს არ ჰკრავ, არ გამოვლენ. თვით შევარდნაძემ დღეს მთავრობის სხდომაზე განაცხადა, როდესაც ფრიდონ ინჯიას (კავშირგაბმულობის მინისტრი, მ. ვ.) საკითხს იხილავდნენ სატელეფონო ტარიფების მომატების შესახებ, ინჯიამ პოლიტიკური შეცდომა დაუშვა. აბსოლუტურად სწორია შევარდნაძე, რადგან აქ არა მარტო ეკონომიკა არის მთავარი, არამედ პოლიტიკა, როგორ შეიძლება, ხალხს პენსია 8 ლარი აქვს დ ტარიფებს ზრდი და იწვევ ხალხის უკმაყოფილებას ზუსტად იმ დროს, როდესაც მოშიმშილეთა აქცია მიმდინარეობს.

ზურაბ ჟვანიას შემდეგ გამოვიდა **ირინა სარიშვილი**, მან, როგორც ცნობილია, გუშინ პარლამენტის სხდომაზე ბრალი დასდო **კვირაიას** კორუფციაში და რუსეთის აგენტობაში, პარლამენტის წევრებმა მოსთხოვეს წარმოედგინა დოკუმენტები. ამიტომ მან დღეს განაცხადა, რომ დოკუმენტებს გადასცემს პარლამენტის კომისიის, რომელსაც **მიშა ოსაძე** ხელმძღვანელობს. ეს ოსაძე კგბ-ს ყოფილი გენერალია, რომელიც ზეიკიძის საქმეს იძიებს, რომელიც ძალზე წესიერი კაცია.

დღეს გამოაცხადეს, საღამოს „ვიდეოპატრულში", რომ ის პირები, რომელიც თავს დაესხნენ ორ მანქანას, რომლითაც გადაპჭონდათ 650 ათასი დოლარი, დააპატიმრეს. ეს ამბავი მოხდა რამდენიმე დღის წინ აეროპორტის გზაზე. მაშინ გავრცელდა ხმა, რომ ეს ფული ეკუთვნოდა ვახტანგ რჩეულიშვილის მამას, **შალვა რჩეულიშვილს,** ცნობილ ადვოკატს. ბატ. შალვამ განაცხადა, რომ ის მხოლოდ ადვოკატია იმ ფირმის, რომელსაც ეკუთვნოდა ეს თანხა. ამაზე პარლამენტი სხდომაზე პროტესტი განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა. ეს ფირმა აღმოჩნდა „ომეგა", რომელმაც გაზ. „მოქალაქეში" გამოაქვეყნა განცხადება, რომ მათ ეს ფული ოფიციალურად ჰქონდათ და საზღვარგარეთ უნდა გაეგზავნათ, რადგან მათი კომპანიონები არიან საზღვარგარეთ.

დღეს **კახა თარგამაძე** გამოვიდა და თქვა, 700 ათასი ამოღებულია და უფრო მეტი უნდა იყოსო, დაჭერილია 4 პოლიციელი, მათ შორის ერთი ვიცე-პოლკოვნიკი, ერთი კაპიტანი, ერთი ლეიტენანტი, ოთხი ფირმა „ელიზის" თანამშრომელი, მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „ომეგა" წესიერი ფირმაა და ბიუჯეტში კარგად იხდისო – აშკარაა, ამ ფირმის უკან დიდი ძალა დგას (მ./ვ.).

სულ დამავიწყდა, დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში" შოთა კვირაიას უზარმაზარი წერილია სურათით და ცნობილი ხალხის ჭაბუა ამირეჯიბის, ნანი ბრეგვაძისა და სხვების გამონათქვამებია კვირაიაზე. საოცარია, ამ კვირაიას გარშემო ხალხი არა ჰყავს, რომ ერჩიათ ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან ეს კვირაიასთვის სრულიად არ არის სასარგებლო, რადგან ხალხი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს დიდი თანამდებობის პირების დამცველ სტატიებს, განსაკუთრებით ხელოვნების მუშაკთა მიერ დაწერილს, რადგან ყველამ იცის, რომ ეს არ არის ბუნებრივი და არის შეკვეთილი, უფრო სწორად, თხოვნით მივმართე მათ და მათაც უარი ვერ უთხრეს უშიშროების სამინისტროს. ასეთი გამონათქვამები იყო თავის დროზე ოთარ ქვილითაიაზე, ნოდარ კაკულიაზე, თენგიზ კიტოვანზე, ჯაბა იოსელიანზე, იგორ გიორგაძეზე – ეტყობა, კვირაიას რიგიც დადგა (მ. ვ.).

ღამის 12 საათზე კემეროვოში **ალექსანდრე ლებედმა** განაცხადა, რომ ამ წელსვე გახდებოდა რუსეთის პრეზიდენტი, როდესაც ჰკითხეს – როგორ? მან უპასუხა, რომ „ჩემი თანამემამულეების 80%-ზე მეტი არიან სიღარიბის ზღვარზე

და რომ ხელისუფლების „კრიშა“ ან თვითონ დაინგრევა, ან ხალხი დაანგრევსო.

სამწუხაროდ, მახსენდება 1917 წლის მოვლენებო, როცა **კერენსკის**[1] ძალაუფლება ფაქტობრივად არ არსებობდა და როგორც ლენინმა თქვა, ეგდო მიწაზე. 27 მარტს საერთო გაფიცვა დაიწყო რუსეთში, ისევ ვიმეორებ რუსეთს გადაარჩენს გენერალი ლებედი.

23 მარტი

გადაცემა „იტოგში“ ევგენი კისელიოვს მიჰყავს ინტერვიუ სოლჟენიცინთან[2]. სოლჟენიცინმა თქვა, რომ თებერვლის რევოლუცია მოხდა, რადგან დიდი განხეთქილება იყო ხელისუფლებასა და ხალხს შორისო, ახლა კი უფრო მეტია ეს განსხვავება ერთი მხრივ, ენ – კუჩკა-გრაბიტელებსა[3], ხელისუფლებასთან ერთად და მეორე მხრივ, ხალხს შორის. როგორ შეიძლება რუსეთის მოსახლეობის 1 თუ 2 პროცენტის ბანდიტებმა ხელში ჩაიგდეს მთელი რუსეთის სახალხო ქონება.

კისილიოვი – „რას იტყვით იმის შესახებ, რომ დაიწყო კამათი ახალი რუსული იდეის შესახებ“.

სოლჟენიცინი – „ბრძანებით რომ სეიქმნას ე.წ. „ნაციონალური იდეა“ სასაცილოა, ის თვითონ უნდა მომწიფდეს“.

კისილიოვი – „რას იტყვით, რომ ახლა დააწინაურეს ნემცოვი და ორი კაცი დაასახელა, არ მახსოვს (მ. ვ.)“.

სოლჟენიცინი – „მე ვთვლი, რომ რუსეთს, რომელიც ამხელა ტერიტორია აქვს, სჭირდება ცენტრალური ხელისუფლება, ამიტომ წინააღმდეგი ვიყავი გუბერნატორების დანიშვნის. ახლა ვამბობ, რომ ჩვენ გვაკლია სახალხო თვითმმართველობა, მე შემოვიარე 26 გუბერნია, ვნახე ნიჭიერი, ინიციატივიანი ხალხი, საჭიროა ერობები“ (ზუსტად ამას ამტკიცებდა თავის დროზე ნიკო ნიკოლაძე, მ. ვ.).

კისილიოვი – „რატომ აგრძელებთ განმარტოებით ცხოვრებას, როგორც გქონდა ამერიკაში“.

სოლჟენიცინი – „პირველად რომ ჩამოვედი, ერთი წლის განმავლობაში თავისუფლად აშუქებდნენ ჩემს ნალაპარაკევს, მაგრამ, ელადი-ვასტოკში პრესკონფერენციაზე გამოსვლის შემდეგ აღარ აშუქებენ“.

ჟურნალისტი შეეკითხა – გალაპარაკებენ სიმართლეს თუ არა. მე ვუთხარი, რომ მჯერა ვილაპარაკებ სიმართლეს და არა მჯერა, რომ ყოველთვის მალაპარაკებენ, მაგრამ, როდესაც შემდეგ შევეხე რამდენიმე საკითხს, მათ შორის ჩეჩნეთის საკითხს, ამის შემდეგ აღარ აშუქებენ ჩემ ნალაპარაკევსო“.

ბევრი რამ ვერ ჩავიწერე ამ ინტერვიუსი, მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთშიც იგივე პროცესებია, რაც საქართველოში. კერძოდ, ე. წ. ხიშნიკება ანუ მტაცებლები როგორ არიან გაერთიანებული ხელისუფლებასთან.

25 მარტი

დღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი კიევში შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას აზერბაიჯანის ნავთობის მოწოდებაზე საქართველოს გავლით უკრაინაში, იქიდან კი ევროპაში. მოსკოვიდან საინფორმაციო გადაცემა „ვესტიმ“ გადმოსცა, რომ ეს შევარდნაძის მეშვეობით მოხდაო, ალიევმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ალბათ, ხელს შეგვიშლიანო ამ პროექტის განხორციელებაში, მაგრამ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ამ ხელშეკრულებით ჰაიდარ ალიევი, ედუარდ შევარდნაძე, ლეონიდ კუჩმა ფაქტობრივად განზე ტოვებენ რუსეთს. ეს გადაწვეტილება თვით რუსეთმა დააჩქარა თავისი იმპერიული აზროვნებით, აღმოჩნდა, რომ როდესაც რუსეთი აზერბაიჯანთან მოლაპარაკებას ანარმოებდა, თურმე, სომხებს ტანკებს ანდიდა. რუსეთი შეეცდება არეულობა გამოიწვიოს ამიერკავკასიაში ან შევარდნაძე და ალიევი მოიშოროს, რადგან უკრაინას ვერაფერს უზამენ.

---

[1] დროებითი მთავრობის თავმჯდომარე.

[2] ცნობილი მწერალი და დისიდენტი.

27 მარტი

დღეს რუსეთის ყველა ქალაქში გაიმართა დემონსტრაციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2 მილიონმა ადამიანმა, ამდენი მონაწილე რუსეთში არ ყოფილა 1905 წლის შემდეგ. რუსეთი რევოლუციის ზღურბლზეა. მთავრობა მთლიანად უსუსურია.

რაც შეგვეხება ჩვენ, აქაც საშიში ვითარებაა, დღეს შიმშილობა დაიწყო **ირაკლი წერეთელმა,** აქაც დაიღალა ხალხი უშუქობით, სილატაკით, მაგრამ ახლა დესტაბილიზაცია დაღუპავს საქართველოს. რა თქმა უნდა, ისევე როგორც რუსეთს საქართველოს მთავრობის ნდობა მოსახლეობაში ნულის ტოლია. დღ. „კავკასიონში" **ინტერვიუ მიშა საკაშვილთან, მანაც ის თქვა, რაც მე ადრე აღვნიშნე „ვიღაცას რომ ფული გაეკეთებინა ხალხი ბაზრობაზე შეჰყარეს, ჯიხური, რომლითაც ლტოლვილი ლუკმა პურს ჭამდა, მის უკან მდგარი ჩინოვნიკის მიერ პრივატიზირებული მაღაზიის კონკურენტი გახდა".**

დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა იყო მოსკოვში – როგორც გადმომცეს, ქართული დელეგაციის წინადადება მიიღესო აფხაზეთზე.

ხვალ გაიმართება სახელმწიფო მეთაურების შეხვედრა, ვნახოთ, რა იქნება, რა თქმა უნდა, რუსეთის ე. წ. „სამშვიდობო ჯარების გადაადგილება ბევრს ვერაფერს შეცვლის, მაგრამ შევარდნაძისთვის დიდი გამარჯვება იქნება, რადგან სალაპარაკო ექნება აფხაზეთიდან დევნილებთან, თუ არადა, რა გააჩერებს ამ არეულობას, არ ვიცი.

ღამით გადაცემა „ვესტნიკში" გადმოსცეს მერრის განცხადება, რომ ოპოზიციონერმა ძალებმა გამოიყვანეს ხალხი, ისინი, ვისაც ავუკრძალეთ გარე ვაჭრობა, კეტავენ ქუჩებს და აწყობენ მიტინგებს მერრისთან და რომ საჭიროა შევინარჩუნოთ სტაბილიზაციაო. სასაცილოა, ხალხი გააუბედურეს, თვითონ კარგად არიან და თქვენ გაჩერდით, ხმა არ ამოიღოთ, შიმშილით მოკვდითო.

29 მარტი

გუშინ მოსკოვში გაიმართა დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა. ყველაზე მთავარი, რაც გვაინტერესებს, ეს აფხაზეთის საკითხია.

გუშინ ღამით მოსკოვის ვერცერთ არხს ვერ ვუყურე, რადგან შუქი არ იყო. ღამით 9 ს. 30 წუთზე ვუსმენდი ირაკლი მენაღარიშვილს, ვატო აბაშიძეს და მესამეს არ ვიცნობ.

მენაღარიშვილი ძალიან რიხიანად ლაპარკობს, მაგრამ არაფერი შეცვლილა, რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნას აფხაზეთში ვადა გაუგრძლდა 31 ივლისამდე. საუბარი იყო იმაზე, რომ თითქოს ერთი თვის ვადაში უნდა განხორციელდეს ოპერაცია, **რომლის მიხედვითაც, ე. წ. „სამშვიდობოების" მოქმედების არეალი უნდა გაფართოვდეს მთელ გალის რაიონში. რა თქმა უნდა, აქედან არაფერი გამოვა. ეს ახალი ტყუილია. შევარდნაძე, ცდილობს, დრო მოიგოს, რომ რაღაცით დააშოშმინოს აფხაზეთიდან დევნილები, რათა არ მოხდეს არეულობა, რომელიც აწყობს რუსეთს, რადგან, თუ არ მოხდა არეულობა, ამიერკავკასიაში დაიწყება ნავთობსადენის მშენებლობა და როდესაც დაიხარჯება მილიონები და მილიარდები, მერე რუსეთი ეელარაფერს გააკეთებს.** სამწუხაროდ, საქართველოში იმდენია უკმაყოფილო, რომ ალბათ მალე, აპრილში, დაიწყება შიმშილობები, დემონსტრაციები და დასჭიდება დიდი ძალისხმევა, რომ აიცილოს არეულობა. ქართულ ზღაპრებში რომ არის, მარჯვნივ ნახვალ, მოგკლავენ, მარცხნივ წახვალ, მოგკლავენ. ასე არის **შევარდნაძეც.** ომი რომ დაიწყოს აფხაზეთში, არაფერი გამოუვა, რადგან ამისათვის არც მომზადებულან და საქართველო დაიღუპება, არ დაიწყოს ომი და არ მოითხოვოს რუსების ჯარების გადაყვანა, და დაიწყება არეულობა და დამოუკიდებელი საქართველო შეწყვეტს არსებობას. რა თ ქმა უნდა, არსებობს ოქროს შუალედი, რათა აიცილოს ორივე უბედურება, მაგრამ იმ მთავრობით, იმ ხალხით, რომელიც მას ახვევია (**მე არ ვლაპარაკობ რამდენიმე კაცზე, ესენი არიან ზურაბ ჟვანია, მიშა საკაშვილი, გიორგი ბარამიძე, მ.ვ.**) ეს შეუძლებელია, მათ არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნიათ ხალხში და გაიგივებულნი არიან კორუფციასთან და მა-

ფიასთან. გადარჩენა შეიძლება, თუ შევარდნაძე შეკრავს წესიერი ადამიანების გუნდს, რომელთაც გავლენა აქვთ ხალხში, მიუხედავად პარტიულობისა და ისინიც დაანებებენ პარტიული ნიშნებით დაპირისპირებას, მაშინ შეძლებენ გააერთიანონ ერი. აი, მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ დამოუკიდებელი საქართველო გადარჩეს. ვინ არის ეს ხალხი, უპირატესად, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, მე იმ სამ პიროვნებას აქაც ვთვლი, რა თქმა უნდა, გია კობახიძე, მამუკა გიორგაძე, ვანო ხუხუნეიშვილი, ივლიანე ხაინდრავა, დავით ბერძენიშვილი, ნოდარ ნათაძე, აკაკი ასათიანი, ირაკლი წერეთელი, თედო პაატაშვილი, კოსტავას საზოგადოება, გამსახურდიას საზოგადოება – ბოჭორიშვილი, სოსო სიგუა, გერმანიიდან უნდა ჩამოვიდეს ელიზბარ ჯაველიძე, უნდა გაათავისუფლონ ქობალია და მთლიანად, ე. წ. დაუმორჩილებლობის კომიტეტი. უნდა გამოვიდეს დიდი ამინისტია, გაათავისუფლონ ყველა, გარდა კაცის მკვლელებისა და დასდონ სიტყვა, რომ იბრძოლებენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ამის შემდეგ, ვინც გაბედავს ღალატს, მოხდეს მისი და მათი ოჯახების შეჩვენება და გაძევება საქართველოდან, ყველა, ვინც საქართველოს ქონებას გაანიავებს,. მათაც ასევე უნდა მოექცნენ[1]. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, უდიდეს როლს ვანიჭებ ბატონ ასლან აბაშიძეს, რომელსაც, კიდევ ვიმეორებ, საერთოდ არ ვიცნობ, არავითარი კავშირი მასთან არ მქონია, მაგრამ მისმა ცხოვრებამ დამახახა, რომ ის საქართველოს ერთიანობის დიდი დამცველია და პრაქტიკულად თავისი სწრაფი და უკომპრომისო გადაწვეტილებები საქართველოს ერთადერთი კუთხე გადაარჩინა იმ უბედურებას, რაც დაატყდა თავს საქართველოს. თემურ შაშიაშვილს პატივს ვცემ.

ვიმეორებ, ის არის წესიერი კაცი, ძალიან უყვარს საქართველო და ისევ ვიმეორებ, მან დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა, როდესაც „მხედრიონი“ არ გააჭაჭანა ქუთაისში და ახლაც აშკარად იბრძვის „პაგონიანების“ წინააღმდეგ. ის სწორად ამბობს, რომ გამგებლებს იმდენი ძალაუფლება არა აქვთ, როგორც „პაგონიანებს“. მართლაც, შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოში გადაიქცა დიდ მონსტრად. წინათ სულ იმას ვნატრობდი, როდის გაძლიერდებოდა პოლიცია, ახლა ის არა მარტო დამწიფდა არამედ უკვე ლპობა დაიწყო. კვირაია კი ისევ აგრძელებს პარადომანიას. დღეს ტელევიზორი ვუყურე როგორ ესწრებოდა სპეცნაწილის „ომეგას“ წვრთნას. ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მისნიტრი რომ იყო, მაშინ უყვარდა პარადები და ბათქა-ბუთქი. ვისაც ვიცნობდი უშიშროებაში და წესიერი ხალხი იყო, ყველა გადავიდა სამთავრებო დაცვაში ვახტანგ ქუთათელაძესთან. აქაც უნდა მოვიდნენ ახალგაზრდები. მე გია ბარამიძე დამავიწყდა, კარგი ბიჭია მიხეილ მაჭავარიანი. იუსტიციის მინისტრი უნდა გახდეს, როცა რეფორმების კანონებს მიიღებს, მიშა სააკაშვილი[2]. ვიმეორებ, შევარდნაძეს სჭირდება გუნდი. არ მიყვარს, როცა ამბობენ, აუცილებლად ერთპარტიული უნდა იყოსო, ჩემი აზრით, გუნდი ნიშნავს, რომ დაანინაურო ნიჭიერი ადამიანები და შენი მეთაურობით გაიყოლიო. მაგალითად, ჩვენთან უნივერსიტეტში, როდესაც როინ მეტრეველი მოვიდა (ადრე, მის მოსვლამდე სანამ აკად. ნოდარ ამაღლობელს[3] აირჩევდნენ), სულ ვამბობდი, რომ უნივერსიტეტში რექტორი უნდა ყოფილიყო როინ მეტრეველი, მაგრამ, როცა მოვიდა დავეჭვდი, რადგან არ იყო არჩეული, ის უფრო დანიშნულია გამსახურდიას მიერ. თან ვიფიქრე, პარტიული სულისკვეთება არ მოიტანოს-მეთქი უნივერსიტეტში. მაგრამ მან თანდათან ბრწყინვალედ აუღო ალღო უნივერსიტეტს, გაიცნო ხალხი დაახლოებით ორი წლის განმავლობაში (უბედური დრო იყო, მ.ვ.) და ისე შექმნა კოლექტივი, რომ ახლა მეორე არჩევნებზე ყველა ფაკულტეტმა – გარდა ჟურნალისტიკისა, ისევ წამოაყენა მისი კანდიდატურა. აქ არავითარი შიში არა არის – მაგ. ფიზიკის ფაკულტეტს ასე ვერ შეაშინებ, მაგათ მეტრეველი კი არა, შევარდნაძე ვერ შეაშინებს, მართალია, სუსტი მხარეც აქვს მეტრეველს, მას თანამდებობებზე ჰყავს ზოგიერთი ისეთი ხალხი, რომლებსაც არ უყვართ უნივერსიტეტი. მაგალითად, პრორექ-

[1] ისევ ილუზიებში ვიყავი.

[2] ჩემი სიტყვები გამართლდა და მიშა სააკაშვილი მოგვიანებით გახდა იუსტიციის მინისტრი.

[3] ნოდარ ამაღლობელი ერთ-ერთი საუკეთესო რექტორი იყო და მას საოცრად უყვარდა უნივერსიტეტი.

ტორი სამეურნეო დარგში, პატიოსანი კაცია, მაგრამ, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდია მთელი უნივერსიტეტი, მაგრამ, ეტყობა, მეორე არჩევნებამდე აცლის[1].

ამ ბოლო დროს მოვუხშირე ნერას, ყოველთვის ასე ხდება, როცა ახლოვდება ახალი მოვლენები, რომელსაც წინასწარ ვხედავთ, როცა ამას ვწერდი „ვესტიში" 10 საათზე აჩვენეს სოხუმი, სადაც არძინბამ ჩაატარა პარლამენტის სხდომა და განაცხადა, რომ სამიტის გადაწყვეტილება არ არის სწორი და არ შეასრულებს მათ გადაწყვეტილებას.

30 მარტი

„საქართველოს რესპუბლიკში" დაიბეჭდა დოკუმენტები, რომლებსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში. იქ წერია, რომ ერთი თვის განმავლობაში ორივე მხრესთან შეთანხმება მოხდეს ოპერაციის ჩატარებაზე – რა თქმა უნდა, არაფერი არ განხორციელდება (მ. ვ.).

2 აპრილი

ისევ მიშა საკაშვილი, ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, მაგრამ დღეს გამაოგნა იმან, რომ თბილისელები ფილარმონიაში შეიკრიბნენ. 10 საათზე და 30 წუთზე საღამოს ტელევიზიით მოვუსმინე დემურ მიქაძის გამოსვლას ფილარმონიაში. მან აღნიშნა, რომ უამრავი ლტოლვილია აზერბაიჯანსა და სომხეთში, მაგრმ ვერსად ვერ ნახავთ, იმას, რაც ხდება თბილისში, რომ ლტოლვილები არაფერს აკეთებენ, დადიან თბილისში და ცხოვრობენ სასტუმროებშიო, ამას მოპყვა დარბაზიდან ტაში. ამან გამაოგნა, თურმე ამდლიან, რომ საცოდავი ხალხი, მოცილებული თავიანთ კარ-მიდამოს, შეწუხებულნი შიმშილით, უსახსრობით, თურმე, სასტუმროებში ცხოვრობენ.

ხვალ პარლამენტის სხდომაა დანიშნული და ამავე დროს აწყობენ მიტინგს. ამის ეშინიათ, მაგრამ ფილარმონიაში ასეთი შეკრებები აღრმავებს ამ წინააღმდეგობას, შემდეგ გოგა ხაინდრავა გამოვიდა – „ქართველთა შორის დაპირისპირებამ დაგვღუპაო (საინტერესო ინტერვიუ იყო მისი „კვირის პალიტრაში"). ამის გაკეთება უნდოდათ ჩეჩნეთში, მაგრამ მათთან ვერ შეძლებს და ამიტომ გაიმარჯვეს მათ. ჩვენ ეს ვერ გავაკეთეთ და დავმარცხდით.

– ნუ ვაშინებთ ერთმანეთს, რადგან, თუ მასა გამოვიდა, ბატონი დემური ვერაფერს უზამს. ნუ ვაყალიბებთ კერპებს. თბილისის ომი გამოიწვია შეურაცხყოფამ, არა პოლიტიკამ, არამედ მთავრობის სასახლეში მოთავსებულმა ხალხმა, ნუ ვაყენებთ ერთმანეთს შეურაცყოფას, ნუ აფრიალებთ ჩეჩნეთის დროშას, მათმა ჩარევამ დაგვაკარგვინა აფხაზეთი. თქვენი დები და დედები გააუპატიურეს და თავები დააჭრეს.

გერმანე ფაცაცია – „მიჭირს საუბარი იმ ქართველებთან, რომლებიც იქცნენ დევნილებად. ჩვენი სურვილი იყო, რომ გავერთიანებულიყავით და როცა აფხაზეთის დეპუტატია გაერთიანდა, მერე წარვდექით დევნილ მოსახლეობასთან და მათგან მივიღეთ მანდატი. მე არ მინდა რომ დაგიპირისპირდეთ. ამ ხალხს არ სჯერა, რომ ამ გზით შეიძლება დავიბრუნოთ აფხაზეთი (დარბაზში ქალების ჭაჭყანი გაისმა , მ.ვ.)".

როინ მეტრეველი – „გამიჩნდა სურვილი, და მეთქვა, რომ დღეს საქართველოში ყველა ლტოლვილია, ჩვენ ერთად ვართ. აქ ლაპარაკია სხვა რამეზე და, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ წინ დავაყენოთ ჩვენი თავი (კიდევ კარგი, რომ გამოვიდა, ცრემლები მომადგა, კიდევ კარგი, თორემ გული გამისკდებოდა, მ. ვ)".

ოთარ მეღვინეთუხუცესი – „ორ გზაზე იყო ლაპარაკი, ერთი, რასაც დავადექით, ეს ქვეყნის გზას ჰგავს, მეორე – როცა რაღაცას დაიკვეხნი, იმის ძალა უნდა მოგვდეედეს, მე ვერ დავივიწყებ ჩეჩნებმა რა ქნეს, მაგალითად ნუ მოვიყვანთ, რისი შნოთი რას ეჭიდავები. არ გვაპატიეს, რომ გვინდოდა თავისუფლება – გამოვალთ სუფეველანი, რითი გამოვიდეთ, თოფებით? ვინც ბანკში ფული ჩაანყო ახლა იარაღს იყიდიან. იმდენი მაგალითი გვაქვს, რომ ქართველი იარაღს ართმევდა ქართველს, საჭიროა მშვიდობა".

ნათელა ჭოხონელიძე – „ექვსი ნელინადია ლტოლვილები და ჩვენ ერთად ვცხოვრობთ (სახლი დაენგრა მთაწმიდნაზე, მ. ვ.), მაგრამ,

[1] ამკარად შევცდი, რადგან საკმაოდ დიდი ხანი იმუშავა.

რასაც გვინდა გავაკეთებთ, ამის საშუალებას **არ მივცემთ მათ. რუსთაველზე უნდა აიკრძალოს მიტინგები და დემონსტრაციები (ტაში, მ. ვ.)".**

ვახტანგ სართანია – „მთლიანად ვეთანხმები როინ მეტრეველის გამოსვლას. ჩვენ მომხრე ვართ სტაბილურობის".

ზურაბ ერქვანია – „აფხაზეთის დაბრუნებისათვის მთავარი განგებაა. თბილისმა ბევრ რამეს გაუძლო, უნილადა თავის თანამოძმეს უკანასკნელი ლუკმა".

ვახტანგ რჩეულიშვილი – „ყოველთვს სწორ ნაბიჯებს არა ვდგამთ. საერთო გზა უნდა ვნახოთ. მართალია, მეც არ მჯერა იმ სამიტის გადაწყვეტილების, მაგრამ სხვა გზა არ ჩანს, ომის გზა უპერსპექტივოა (ამაში სწორია, მ. ვ.), ეს არის სასაფლაოზე გავუშვათ 18-25 წლის ბიჭები, სხვა გზები უნდა ვეძებოთ".

ღამის 12 საათზე ტელევიზიით გამოვიდნენ – **მამუკა გიორგაძე, მიშა სააკაშვილი, გია ბარამიძე.**

მიშა სააკაშვილი მეთაურობდა ინტერფრაქციულ ჯგუფს, რომელიც 20 დღეს მუშაობდა ამ საკითხზე. შემუშავდა კონცეფცია, რომელიც ეფუძნებოდა სახალხო ფრაქციის პროექტს.

მამუკა გიორგაძე – „ჩვენ საკითხებს ვსვამთ გლობალურად. ოთხი წელი დაგვჭირდება, რომ მივსულიყავით კონსესუსამდე. გაყინული არასტაბილურობა საშიშია. უნდა გაინმინდოს ხელისუფლების ყველა შტო" (აბსოლუტურად სწორია, მ. ვ.).

მიშა სააკაშვილმა გაიხსენა ისევ ჯიხურების დანგრევის ამბები, როდესაც სანაცვლოდ სახელმწიფო დევნილებს არაფერს აძლევს და სასიკვდილოდ უშვებს.

3 აპრილი

რა ვქნა, ჩემი სიტყვები ისევ მართლდება. დღ. „რეზონანსში" სათაურით „ფილარმონიას კარვებიანი ქალები აკლია", გაიხსენეს გამსახურდიას დრო, მაშინაც ასე იყო. კოსტავას ქუჩა ავტობუსებით იყო სავსე, რომლითაც მოუყვანიათ ფილარმონიაში ხალხი.

6 აპრილი

ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. 4 აპრილს პარლამენტმა მიიღო – ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელმაც დააკმაყოფილა ყველა ოპოზიციური პარტია და უმრავლესობაც. როგორც აღვნიშნე, ამ კონცეფციას დაედო საფუძვლად „სახალხო ფრაქციის" მიერ შემუშავებული პროექტი, წინააღმდეგი წავიდა ხუთი კაცი. იმ ხუთი კაციდან ერთი გახლდათ **ვახტანგ რჩეულიშვილი,** რადგან რუსეთზე ცუდი რამეები ეწერაო. უნდა აღვნიშნო **ზურაბ ყვანიას, მიშა სააკაშვილის, გია ბარამიძის და მიხეილ მაჭავარიანის დამსახურება.**

დღ. „შანსში" **ირაკლი წერეთელმა** აღნიშნა, **რომ „ყვანია არის, ძალიან ჭკვიანი, კონსტრუქციული პიროვნება, საქართველოს ასეთი თავმჯდომარე არ ჰყოლია, ერთადერთი ნაკლი აქვს ის, რომ „მოქალაქეთა კავშირის წევრია, მაგრამ, ეს მოქალაქეთა კავშირიც არ არის დიდი უბედურება, თუ ყვანიას მხარეზე გადავა მისი ყველა წევრიო".**

გაზ. „ივერია-ექსპრესში" **ირაკლი ბათიაშვილმა** თბილისელთა შეკრებაზე თქვა – „ამას ზვიად გამსახურდია აკეთებდა, რითაც მიტინგს მიტინგით პასუხობდა".

გია მჭედლიძე – „ეს კომუნისტური მეთოდი იყო".

გია გვაზავა – „ჩვენი აზრით, ასეთი შეკრებები უფრო გამოინვევეს დესტაბილიზაციას"

მიხეილ სააკაშვილი „დემურ მიქაძის განცხადებას პროვოკაციულად ვაფასებ. იქ (ფილარმონიაში მ. ვ.) ნამდვილი პროვინციალიზმის ზეიმი იყო".

8 აპრილი

დღ. „რეზონანსში" ინტერვიუა **ირინა სარიშვილთან. კორ.** – „არსებობს აზრი, რომ ძალოვან მინისტრებთან დაპირისპირებით თქვენ პრეზიდენტის პოლიტიკას ახორციელებთ". **ირინა** – „საერთოდ არ მაინტერესებს და არც არასოდეს დავინტერესებულვარ პრეზიდენტის პოზიციით. ხანდახან ჩვენი მოსაზრებები ემთხვევა, ხან-

დახან ორი და სამი წლის შემდეგ ემთხვევა ხოლმე, თუ ვინმე ამას ქულების დაწერას უწოდებს, ძალიან შემცდარა, ყველამ ძალიან კარგად იცის, რა დაუჯდა საქართველოს ასეთი დაგვიანებული დამთხვევები.

9 აპრილი

ეჰ, რა ხდებოდა ამ რვა წლის წინათ, მაშინ მართლა შოკი იყო. როგორ დასტიროდა ქართველი ერი 14 დაღუპულ ადამიანს, მერე კი, ისე შეაჩვიეს ერი სიკვდილს, რომ 30 ათასი დაიღუპა და არავინ მოთქვამს.

დილით შევარდნაძემ ყვავილები მიიტანა რუსთაველზე. 1 საათზე მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა პარლამენტთან. მეტი ჯერ არაფერი ვიცი.

დღეს ბევრს საუბრობენ საქართველოს ფედერალურ მოწყობაზე. მაგრამ სიმართლე მინდა ვთქვა, მეშინია, რადგან კუთხურობა ისეა გამჯდარი საქართველოში, რომ ამ ფედერაციულ მოწყობას დრო სჭირდება. მაგალითად, მოვიყვან 8 აპრილს „რეზონანსში" დაბეჭდილ სტატიას სათაურით, „კახეთი წერილს ამზადებს". ეს შეეხებოდა თელავში გამართულ ფეხბურთის მატჩს, რომელის დროსაც სტადიონზე მოხდა არეულობა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თელავის გუნდს ქულა ჩამოაკლო. ამის გამო თელაველებმა გადაწყვიტეს საპროტესტო წერილის დაწერა. „რეზონანსის" კორესპოდენტი ესაუბრა მათ მწვრთნელს ჯონი ჯანელიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი ინცინდენტი მოხდა საქართველოს რამდენიმე ქალაქში და წესით ადგილობრივი გუნდები უნდა დასჯილიყვნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ეს არ მოხდა. მაშინ ვსვამთ კითხვას, რატომ ისჯება ერთი და არ ისჯება სხვა ისეთივე დანაშაულისათვის, ეს ხომ უსამართლობაა!

კორ. – „რა შინაარსის იქნება წერილი და საერთოდ, რას მოახსენებთ ფეხბურთის ფედერაციას".

ჯ. ჯ. – წერილს ექნება ულტიმატუმის ხასიათი, კერძოდ, მასში აღნიშნული იქნება, რომ **თუ არ აღდგება სამართლიანობა, კახეთი გავა ჩემპიონატიდან და საკითხი შეიძლება ისე დადგეს, რომ საერთოდ კახეთის რეგიონის გუნდები ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარს იტყვიან".**

მართლაც, საოცარია, რომ კახეთი გამოვა საქართველოს ჩემპიონატიდან, სად აპირებს მიიღოს მონაწილეობა. საინტერესო ის არის, რომ აქ თელავის გუნდზე კი არ საუბრობს, არამედ მთლიანად კახეთის რეგიონის გუნდებზე" (მ. ვ.).

გაზ. „კაპიტალში", 8 აპრილი № 16 არის ინტერვიუ მიშა საკაშვილთან, **„აპარატი ისე დაიჟანგა, რომ არა მოქმედ თანამდებობის პირებს, ყოფილებსაც ეველარ აფარებენ ხელს... ყოველმა თანამდებობის პირმა კარგად იცის, რომ ხვალ თვითონ იქნება „ყოფილი" და შესაძლებელია მასაც მიადგნენ. ჩვენ ხალხის მხარდაჭერის იმედი გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიქნებით პარლამენტში კომკავშირული ასაკის უტოპისტთა ჯგუფი, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით ქვეყნის შეცვლის ილუზია ექნება".**

ჩემი აზრით, შევარდნაძე აუცილებლად გვერდით უნდა დაუდგეს ამ ახალგაზრდებს, თორემ შეჯახება გარდაუვალია „მოქალაქეთა კავშირში". აქ აშკარად შეიმჩნევა დაპირისპირება „მამებსა" და „შვილებს" შორის. მამები მთლიანად თუ არ არიან კორუმპირებულები, შეგუებულნი მაინც არიან, ხოლო ამ ახალგაზრდობას არ უნდა მოითმინოს ამდენი უბედურება. ამ ახალგაზრდების გამო შეიძლება შთაბეჭდილება შემეცვალოს „მოქალაქეთა კავშირზე", რომელიც დასაწყისში რა უბედურება იყო, ვერ გაიგებდი. სანამ რეზო ამაშუკელის ტიპის ხალხი არ მოშორდება ამ პარტიას, მათ არაფერი ეშველებათ.

ამავე გაზეთებში არის ინტერვიუ **გოგი ხოშტარიასთან** სათაურით „ზვიადის ცხოვრება ქვეყნისათვის შეწირული კაცის ბიოგრაფიაა".

საოცარია, ამას წერს კაცი, რომელიც ზვიადმა რომ გაანთავისუფლა საგარეო საქმეთა მინისტრობიდან, მისი ოპოზიცია გახდა და სინანულით აღნიშნავს, რომ ეს შეცდომა იყო.

ამავე გაზეთში არის ინტერვიუ **თამრიკო ჩხეიძესთვის.** ეს ის პიროვნებაა და დასაფასებელიც იმის გამო, რომ თავისი შეხედულებებისათვის არ უღალატია. როგორც ამბობდა ადრე, ასევე ამბობს ამ მთავრობის დროსაც, რომელთანაც საკმოდ გართულებული ურთიერთობები აქვს. ის

ზვიადზე წერს, რომ „მტრის ხატის შექმნის ოსტატი იყო, გარკვეული იმპულსის შეტანა შეეძლო ხალხში".

ჩემი სიტყვები მართლდება „მოქალაქეთა კავშირის" შესახებ. ღამით ვკითხულობ გაზ. „კავკასიონს. გაიმართა „მოქ. კავშირის" ფრაქციის სხდომა, რომელსაც დაესწრო ზურაბ ჟვანია, მან განაცხადა, რომ „ყალიბდება ვითარება, როცა რეალური ძალაუფლება და პოლიტიკური გადაწყვეტილებები რომელიმე პოლიტიკური პარტიის ხელში კი არ არის, არამედ კლანების, თან მათი გაძლიერების პროცესი მიდის, რაც არ უნდა გადავწყვიტოთ, რეალური ბერკეტები მაინც ცალკეული ჯგუფების ხელში იქნება...

... მე, როგორც დეპუტატი, ჩემს და პოლიტიკური გუნდის მიმართ გამოწვევად აღვიქვამ, რომ ამ პრინციპის დემონსტრირება ხდება – „რა ბიჭებიც არ უნდა იყოთ, რაც არ უნდა აკეთოთ, რა თანამდებობებიც არ უნდა გქონდეთ – ქარავანი საითაც მიდიოდა, ისევ იქით დადის და წავა კიდეც... საერთოდ ორგანიზებული კამპანიის თავდასხმების ობიექტები ხდებიან ის ადამიანები, რომლებიც რეფორმების პროცესს ახორციელებენ".

მიშა საკაშვილმა აღნიშნა, რომ „რაც გასულ წელს სიმპათიები მოვიპოვეთ, 2-3 თვეში მთლიანად დავკარგეთ, ჩვენ აღმოვჩნდით მოლაპარაკე ფრაქცია, რომლის დოკუმენტები არ ხორციელდება".

ელენე თევდორაძემ (შესანიშნავი ადამიანი და ქართველ „დედა ტერეზად" მონათლული მ. ვ.), „ერთმა მინისტრმა თავის კაბინეტში მაგიდას სულ მუშტები ურტყა და მითხრა, რომ ჩვენ, დეპუტატები ორ წელინადში აღარ ვიქნებით, თვითონ კი მინისტრებად დარჩებიან, რადგან არ-ჩევნების ბედი მის კაბინეტში წყდება".

მიხეილ მაჭავარიანი – „მტრებს მეტს აღარავის ვიძენ, ჩემი მტრები კი სხვებთან მეგობრობენ პარლამენტში".

სწორედ დღ. „კავკასიონში" არის ინტერვიუ თბილისელებთან, თუ რას ფიქრობენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. რა თქმა უნდა, ყველას შეაფსება იყო უარყოფით. ისინი ძირითადად აცხადებდნენ – „ვითომ დავიწყეთ ბრძოლა, ხალხს ატყუებენ, რის ბრძოლა, „სათავიდან იწყება ყველაფერი და ამ საქმეს არაფერი ეშველება, კორუფციას ვინც უნდა ებრძოლოს, თვითონ არის კორუმპირებული".

გამომრჩა, რომ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის სხდომაზე ჩააგდეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ნოდარ ჯავახიშვილის კანდიდატურა, რომელსაც ირჩევდნენ ეროვნული საბჭოს წევრად. ჩემი აზრით, ეს იყო პარლამენტის უდიდესი შეცდომა, შეცდომა კი არა, არამედ გამიზნული დანაშაული, ჩანს, ამის უკან დგას „მოქალაქეთა კავშირის" კორუმპირებული ნაწილი. ამ კაცმა უდიდესი როლი ითამაშა ქართული ლარის განმტკიცებაში...

შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ მას ძალიან კარგად უნდა სცოდნოდა, როგორ არ უყვარდათ ის მის მოქალაქე აფერისტებს. ამაზე გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრა ირინა სარიშვილმა.

15 აპრილი

ამ რამდენიმე დღის წინ გერმანე ფაცაცია, თორნიკე ფიფია და პარლამენტარი ბიძინა გიორგობიანი იყვნენ ჩეჩნეთში.

თორნიკე ფიფიამ განაცხადა, რომ (ივერიაექსპრესი, 15 აპრილი) ის შეხვდა ასლან მასხადოეს და რომ ჩვენი აზრები დაემთხვა ერთმანეთს... „აზრები იდენტური იყო".

გუშინ, 14 აპრილს, დედაენის დღისადმი მიძღვენილი მიტინგი გაიმართა უნივერსიტეტში, რომელიც გახსნა რექტორმა როინ მეტრეველმა. ახალგაზრდობა დალოცა უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II.

„მოქალაქეთა კავშირის" ფრაქციამ გუშინ პრეზიდენტს მოსთხოვა გადააყენოს ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან დავით იაკობიძე, რომელსაც ბრალი დასდეს, რომ თურქმენეთის გაზზე უკანონოდ გასცა 421 ათასი დოლარი.

12 მაისი

დღეს მოსკოვში ჩაფრინდა ასლან მასხადოვი, ელცინმა და მასხადოვმა ფაქტობრივად ხელი მოაწერეს დაზავებას. რუსეთი იძულებულია

გაატაროს ნავთობი აზერბაიჯანიდან. თუ მთლიანად მთელი ნავთობი წამოვა საქართველოზე, ეს რუსეთისთვის კატასტროფაა, რადგან ამას მოჰყვება შუა აზიაც. კერძოდ ყაზახეთი. რუსეთი შეეცდება მერე გადაუხადოს სამაგიერო ჩეჩნეთს[1].

რაც ეეხება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, დავით იაკობიძე გადადგა ფინანსთა მინისტრობიდან და მინისტრად დაინიშა ახალგაზრდა **მიშა ჭკუასელი**[2], ამავე დროს, გაზ. „ახალ თაოაბში" გამოაქვეყნა ინტერვიუ იგორ გიორგაძესთან, სადაც მან ჭანტურიას და ხაბეიშვილის მკვლელობაში ბრალი დასდო შევარდნაძეს. სოციალ-დემოკრატების პარტიის თავმჯდომარემ, გურამ მუჩაიძემ იგორ გიორგაძე დანიშნა მოსკოვის ფილიალის სოც.-დემოკრატების თავმჯდომარედ.

დღ. „კვირის პალიტრაში" არის ინტერვიუ ირინა სარიშვილთან, სადაც ის წერს, რომ ღამით, 3 საათზე კვირაია ეწვია სამი ავტომატით შეიარაღებულ დაცვასთან ერთად და მოიტანა შამპანურები და თითქოსდა ამცნო გია ჭანტურიას მკვლელების შესახებ, მაგრამ საუბარი ძალიან დაძაბულად წარიმართა. ირინამ აღნიშნა, რომ „კვირაიას მოსვლის მთავარი მიზანი იყო გაერკვია, ხომ, არ ვეჭქობდი პირადად მასზე. ამან უკიდურესად დაძაბა მდგომარეობა... ვფიქრობ, გარკვეულ პათოლოგიასთან[3] გვაქვს საქმე".

არ ვიცი, ამ მთავარობას ძალიან უნდა, რომ ხალხი აბუნტდეს უნივერსიტეტში, **მოვიდა ბრძანება, რომ 10%-ით შემცირდეს პროფ. მასწავლებელთა შტატები უნივერსიტეტში. ამ დროს „მოქ. კავშირი" მოსახლეობას პირდებოდა ერთ მილიონ სამუშაო ადგილს. უნივერსიტეტში ხალხი ისედაც გატანჯულები არიან. მე, პროტესტის ნიშნად, განვაცხადე, როგორც დეკანის მოადგილე, არ მივიღებ მონაწილეობას ამ შემცირებებში (როგორც მოადგილეს, მე მევალებოდა, რომ ჩამეტარებინა შემცირება, მ. ვ.). რა ეკონომია უნდა ნახოს სახელმწიფო ბიუჯეტმა, თუ მე შევამცირებ თანამშრომლებს, რომელთა ხელფასი არის 6 ლარი, მაშინ, როდესაც საქართველოში 100 ათასი პოლიციელია, რომელთა ყველაზე დაბალი ხელფასი არის 60 ლარი, გარდა იმისა, რასაც ხალხს ართმევენ. ასეთი მდგომარეობა იყო ამ ორი წლის წინ, როცა ოთარ ფაცაციას პრემიერ-მინისტრობის დროს მოხდა 30%-იანი შემცირება. მაშინააც განვაცხადე, რომ სირცხვილია პროფესურა გავყაროთ უნივერსიტეტიდან, ფაქტობრივად ვიმეტებთ სასიკვდილოდ, და ამ დროს „მხედრიონი" გახდა სახელმწიფო სტრუქტურა როგორც „მაშველთა კორპუსი" და სწორედ მათ მინისტრთა საბჭომ გამოუყო 1072 შტატი.**

დღეს რექტორატზე რექტორმა როინ მეტრეველმა განაცხადა, ეს მთავრობის გადაწვეტილება არ არის სწორი და ეცდება არ მოხდეს ეს შემცირებაო. მხოლოდ ითხოვა, რომ, თუ არიან ისეთები, რომლებიც საერთოდ არ დადიან სამსახურში, ისინი გაგვენთავისუფლებინა.

13 მაისი

დღეს პარალმენტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრად დაამტკიცეს 25 წლის მიხეილ ჭკუასელი, ყოფილი გურიის რწმუნებული. ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ, მე პირადად მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დაწინაურდეს ახალგაზრდობა. მიშა ჭკუასელი საკმაოდ ჭკვიანი ბიჭი ჩანს და ვუსურვებ, რომ წარმატებით გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას.

17 მაისი

დღეს ყაზახეთის პრეზიდენტმა ალმა-ატაში მიიწვია რუსეთის საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები და ძალიან მკვეთრი განცხადებები გააკეთა – კერძოდ, ეს შეეხებოდა რუსეთ-ბელარუსის შეთანხმებას. მან განაცხადა, რომ ამით დსთ ინგრევა. ან რა საჭირო იყო, რომ დსთ-ს ქვეყნების საბჭოს თავმჯდომარე მუდმივად რუსეთის პრეზიდენტი იყოს და რომ ყველა ხელმძღვანელი ორგანო მოსკოვშია, ან რად უნდათ, რომ რუსეთის ჯარები ჰყავდეთ სომხეთში, ტაჯიკეთში, დნსნისპირეთში. ეს იმიტომ, რომ

[1] ჩემი სიტყვები გამართლდა 1999 წელს.

[2] ის მუშაობდა რწმუნებულად გურიაში და გეგმა შეასრულა 49%-ით.

[3] ამ ტერმინს ხშირად ხმარობდნენ ისინი, ვინც ახლოს იცნობდა კვირაიას.

მეზობელი ქვეყნების საქმეებში ჩაერიოსო, რა საჭიროა, რომ ჩვენს საზღვრებზე დგანან კაზაკები და „კრაბახორები“, რომლებიც სინჯავენ, თუ რა მიაქვთ ქალებს ნათესავებთან.

რაც შეეხება საქართველოს, გუშინ ელენე თევდორაძემ მკვეთრი განცხადებები გააკეთა. ქალ. ელენე ძალზე სათნო და კეთილი ქალბატონია, რომელიც ქართველი დედა ტერეზასავით პატრონობს პატიმრებს. ბოლო პერიოდში მან ინახულა **თამაზ ელიზბარაშვილი, ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტი, რომელიც პირველად დაპატიმრებული იყო თითქოსდა იარაღის ტარების გამო.**

საქმე შემდგომში გახლდათ, ამ რამდენიმე ხნის წინ აეროპორტის გზაზე თავს დაესხნენ მანქანას, საიდანაც გაიტაცეს მილიონი დოლარი. თავდამსხმელები დააკავეს, რამდენიმე პოლიციელი და ფირმა „ელიზის“ ყოფილი ორი თანამშრომელი და, თუ არ ვცდები, თამაზ ელიზბარაშვილის ნათესავები, ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ბატატუნაშვილი. ფული იყო ფირმა „ომეგასი“, რომლის ადვოკატი იყო შალვა რჩეულიშვილი, ვახტანგის მამა. ხმა გავრცელდა, რომ ორი სამინისტრო, შინაგან საქმეთა და უშიშროების დაეჯახაო ერთმანეთს. თამაზ ელიზბარაშვილი დააკავეს იარაღის ტარებისათვის, სასაცილო ფაქტია, მაგრამ მერე ბატატუნაშვილმა დაადო ხელი თამაზის ბიძაშვილს, ელენე თევდორაძემ ინახულა ეს ბატატუნაშვილი. მას ფიზიკური ძალდატანების ნიშნები არ ჰქონდა, მაგრამ თევდორაძემ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიურად აშკარად შეშინებული იყოო, ამაზე პირველი არხის წამყვანმა კვიტაიშვილმა ბრალი დასდო თევდორაძეს, თვითონ მოანერაო ხელი, რომ ბატატუნაშვილზე ფიზიკური ძალდატანება არ ყოფილა. გუშინწინ გაზ. „მოქალაქეში“ დაიბეჭდა სტატია თევდორაძის საწინააღმდეგოდ. თევდორაძემ სწორად აღნიშნა, რომ ის „მოქალაქეთა კავშირის“ წევრია და მათი პარტიის გაზეთი ბეჭდავს მის საწინააღმდეგოს. გაზეთის რედაქტორმა მეტრეველმა განაცხადაო, რომ ორი ცნობილი პიროვნება იყოო ჩემთან და იმიტომ დავწერეო. პარლამენტის წევრებმა მოსთხოვეს, დაესახელებინა ეს ორი პიროვნება. და ქალ. ელენემ დაასახელა გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **თამაზ წივნივაძე** დ მეორე ვერ გავიგონე.

ქალ. ელენემ დღეს გაზ. „ალიაში“ განაცხადა, რომ შეხვდა ბატატუნაშვილს და მან თქვა, რომ ცემეს და ფსიქოლოგიურად აშინებენ, ამიტომ დაწერა, თორემ თამაზი არაფერ შუაში არ არისო. ჩემი აზრით, აქ არის ბრძოლა ორ ფირმას შორის, რომელთა უკან დიდი ძალები დგას.

უკვე იწყება ოფიციალური სახელმწიფო ბანდიტობა. **ქალ. ელენემ განაცხადა, რომ მასზე ორჯერ სცადეს თავდასხმა.**

ღმერთო ჩემო, რეები ხდება, სულ ვწერდი იმ ავტომატიან ყაჩაღებზე, ახლა უარესი ხდება. **ემუქრებიან ერთ-ერთ უპატიოსნეს და სათნო ადამიანს და ახლა ჟვანიამ და მისმა მეგობრებმა თუ არ დაიცვეს, მათი ავტორიტეტი ძალზე დაეცემა. ჯერჯერობით ისინი გაჩუმდნენ, როცა კახა თარგამაძემ, მუშტები უქნია ქალ. ელენეს და უთხრა, ჩვენი არჩეულები ხართო. თარგამაძე კარგი ოპერატიული მუშაკი იყო, მაგრამ მისი ბრალი კი არ არის, რომ ასე გათავხედდა, ეს შევარდნაძის ბრალია და იმ სისტემის, რომელიც მან შექმნა. ერთი უკიდურესობიდან, მეორეში გადაერთვნენ, ახლა უარესი სახელმწიფო იქმნება. დღეს ქალ. ელენეს მოუღებენ ბოლოს, მერე – სააკაშვილს, ბარამიძეს, მერე – ჟვანიას.** ვერ ვიტან ადამიანთა დაჩაგვრას. არ შეიძლება პოლიტიკა მთლიანად დაბალანსებული იყოს ავტომატიან და ჰალსტუხიან ბანდიტებს შორის. **წინათ ამბობდნენ, შევარდნაძეს ძალა არა აქვს კიტოვანისა და იოსელიანის წინააღმდეგო, ახლა რაღა უშლის ხელს – ხალხი სიცივით და შიმშილით კვდება. მის გარემოცვას კი იმდენი აქვს მოპარული და ისევ იმდენს იპარავენ, რომ მთელ საქართველოს ეყოფოდა მათი ქონება.**

18 მაისი

გუშინ არ ვიცოდი, რადგან გაზ. „კავკასიონი“ არ მქონდა წაკითხული, იქ წერია, რომ გაზეთის რედაქტორთან მისულან თამაზ წივნივაძე და ზაზა ჭილაძე.

ამავე გაზეთში არის რედაქტორის სტატია სათაურით „ერთი მამალი ამდენ დედლებში", რომელიც არის მიძღვნილი რეზო ამაშუკელისადმი, სტატიაში სწორად წერია, რომ კულტურის მინისტრის მოადგილეს არ ეკადრება ლანძღვა და უხამსი ლაპარაკი. მე სწორად დავარქვი – **რეზო ამაშუკელი არის „ფილარმონიის ლომი", მაგრამ თან უკუდო და ამპარტავანი, რომელიც, თურმე, აცხადებს, რომ „საქართველოში არის ხალხი, რომელიც მიცნობს და ჩემს გვერდით დადგება, თუ საჭირო იქნება, მე კიდევ შევძლებ ამ ქალაქის ფეხზე დაყენებასო". სასაცილოა, რა თქმა უნდა, მისი სიტყვები. მას პრესის წარმომადგენლებისათვის უწოდებია „უხამსები", „დაუბანელები" „ნიგნი არა აქვთ წაკითხული", „ასეთ ხალხს ჭკვიანი, განათლებული ადამიანები აღიზიანებსო".**

გაზ. „კავკასიონი" წერს, რომ „ბოროტება სიმახინჯიდან იწყება".

ამავე გაზეთში არის სტატია სათაურით „დევნილთა კავშირი მშვიდობიანი დაზავების მომხრეა", ამ კავშირის ლიდერი ისტორიკოსი მურმან ბერია სწორად შენიშნავს, რომ „სამოქალაქო ომი უსისხლოდ უნდა დამთავრდეს". მან გააკრიტიკა ხელისუფლების ის ნაწილი, „რომლებიც აფხაზებს მხოლოდ ძალის ენის ესაუბრებიან".

დღევანდელ „ახალ თაობაში" წერია, რომ ის ორი პიროვნებაა, რომლებიც იყვნენ რედაქტორ მეტრეველთან, ყოფილან როსტომ ჩხეიძე და თამაზ ნივნივაძე. ქალ. ელენემ აღნიშნა, რომ ბოდიშს უხდის ოთარ ჭილაძეს და მის შვილს ზაზას, რადგან მან დაასახელა ზაზა ჭილაძე.

დღ. „ახალ თაობაში" მომეწონა ირინა სარიშვილის ერთი გამონათქვამი ჯაბა იოსელიანზე.

– „მან განადგურა ერთი თაობა იმ აბსოლუტურად გაუგებარი ფსიქოლოგიით, რომელსაც ქურდული ჰქვია, არც ნითელ-ზონური, რაღაცა შუაშია, ამას, დამატებული ნამლის პრობლემა".

გაზ. „ალიაში" არის ინტერვიუ რეზო **ამაშუკელთან,** სადაც ის წერს, **მოახალგაზრდო მოხუცებმა იციან, რომ ძველი ბიჭი ვიყავიო. სიცილი ამიტყდა ეს ხომ წავიკითხე. მე მასზე ახალგაზრდა ვარ და ჩემი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ქუჩაში მაქვს გატარებული. იმ თაობაზე, რომელზედაც ის საუბრობს, მისი ძველი ბიჭობა იმაში გამოიხატებოდა რომ, მეგობრობდა მართლა საოცრად ვაჟკაც და თბილისში ცნობილ კაცთან ლერი გამრეკლიძესთან და ასევე ვაჟკაც ელიზბარ ჯაველიძესთან, მაგრამ მისი ძველი ბიჭობა კაცს არ გაუგონია.**

მოკლედ, ბატონი რეზო დარდიმანდობს. ამ ინტერვიუში ის წერს, **„იყო დრო, როცა ინტელიგენციას შეეშინდა, გაჩუმდა და აბსოლუტურად მარტო დავრჩი, ყველა წინ იხედებოდა".**

შემდეგ ტრაბახობს, კაზინოშიც დავდივარ, წაგებით 300 ლარზე მეტი არ წამიგიაო". საოცარია, ხალხი შიმშილით კვდება, ეს კაზინოში ერთობა, ერთი ლარი რომ მისცეს ვინმე გაჭირვებულს, ერთი დღის შიმშილობას გადაარჩენს,. მაგრამ მისთვის, რა არის 300 ლარი, მას ჰგონია, რომ ცოტა თქვა".

24 მაისი

დღეს ტელევიზიით გადაცემა „ვრემიაში" არის ინტერვიუ **იგორ როდიონოვთან,** ის გუშინწინ გაათავისუფლეს სამხედრო მინისტრის პოსტიდან, მასთან ერთად გაათავისუფლეს გენერალური შტაბის უფროსი სამსონოვი. სამხედრო მინისტრად დაინიშნა როდიონოვის მოადგილე გენერალი სერგეევი, ხოლო გენერალური შტაბის უფროსად – გენერალ-პოლკოვნიკი კვაშნინი, რომელიც მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლად. ის აქტიურად იბრძოდა ჩეჩნეთის ომში.

დღეს ჩემმა სტუდენტებმა მოაწყვეს კონფერენცია აფხაზეთის შესახებ. ძალიან კარგი გამოსვლები იყო. **ესწრებოდა რეზო მიშველაძე. სიტყვით მეც გამოვედი და ვთქვი, რომ საჭირო იყო გაერთიანება, მოვიყვანე რობაქიძის სიტყვები და გავახსენე, რომ ომი მარტო** რუსეთის გამო არ წავაგეთ და რომ დავმარცხდით აგრეთვე ჩვენი დაპირისპირებულობისა დ მთავრობის დანაშაულებრივი შეცდომების გამო. „ნტვ"-ში გადმოსცეს, რომ თალიბებმა აიღეს გენერალ დუსტუმის მთავარი ქალაქი და ფაქტობრივად მთელ ავღანეთს დაეპატრონენ. ისინი მიუახლოვდნენ უზბეკეთს, ეს კი უდიდეს საფრთხეს უქმნის რუსეთს, ფაქტობრივად, შუა აზია უკვე იკარგება რუსეთისათვის.

26 მაისი

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. ეს დღე თითქმის აღარავის ახსოვს. მთავრობა ცდილობს ისევ გააღვივოს ქართველ ხალხში ის ეროვნული სული, რომელიც თავადვე ჩაკლა. ჩემთვის ძნელია ნასვლა რესპუბლიკის მოედანზე, მართალია, იქ დავით აღმაშენებლის ძეგლი დადგეს, მაგრამ, ჯობია სხვა დროს ვნახო, **რადგან დღეს ამ ძეგლის გახსნაზე ის ხალხი იქნება ტრიბუნაზე, ვინც იბრძოდა, რომ ეს დღე არ ჩატარებულიყო და ეს ხალხი სიტყვა საქართველოს არ ხმარობდა და საქართველოს მაგივრად ამბობდნენ რესპუბლიკას და, რა თქმა უნდა, გულისხმობდნენ, სსრ კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკას, რომ ვინმეს არ ეთქვა მათზე ეროვნული არისო.**

ერთადერთი, ზვიად გამსახურდიას მომხრეებს ახსოვთ ეს დღე, მაგრამ ის, რაც აჩვენა „რუსთავი 2"-მა, საშინელებაა. პოლიციანროგორ ურტყამდა ქალებს და კაცებს და როგორ ყრიდნენ მათ მანქანებში. როგორ შეიძლება ასე მოეპყრო ქალებს, რას ფიქრობს ელდარ შენგელაია, როცა ამას უყურებს, მე ყოველთვის მის მხარეს ვიყავი, როცა ზვიადის ქალები მას ესხმოდნენ უსაფუძვლოდ და თანაუგრძნობდი, მაგრამ ახლა „ომონის" გამოყენება ამ სანყალი ქალების წინააღმდეგ ჩემთვის ამაზრზენია. ნუთუ უნდა სცემო ქალი, რომელსაც სჯერა, რომ ის მართალია. „ელიზის" და „ომეგას" დაპირისპირება გრძელდება. ის თანდათან სულ მაღალ ეშელონებს მოიცავს. პატივცემულმა შალვა რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ „ელიზის" უკან გია ბარამიძე და მიშა სააკაშვილი დგანანო. ეტყობა, ამ ახალგაზრდების წინააღმდეგ დიდი შეტევა იწყება. მე ისევ მაკვირვებს შევარდნაძის პოზიცია, რომ მკაცრად არ სთხოვს გაარკვიონ, ბოლოს და ბოლოს, ვინ დგას „ომეგას" უკან, რად მიჰქონდათ 1 მილიონი დოლარი, ვინ დგას „ელიზის" უკან და საერთოდ, რა ხდება.

შალვა რჩეულიშვილის ინტერვიუ იყო გუშინდელ „ახალ თაობაში", დღეს გაგრძელებაა ამ ინტერვიუსი. ამავე ნომერში არის ინტერვიუ მიშა მაჭავარიანთან. მან თქვა, რომ „შეიძლება ითქვას, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ რჩეულიშვილებს, იმის განხორციელება დაიწყეს და ფართო ნაბიჯებით სელა, როცა ადამიანი გასვრილია, იგი ცდილობს გასვაროს სხვებიც".

მაჭავარიანი შემდეგ შენიშნავს, რომ იწყება არჩევნები და სოციალისტურ პარტია უნდა გასვაროს „მოქალაქეთა კავშირი", რომლის გენერალური მდივანიც ის არის. „შალვა რჩეულიშვილის მხრიდან ჩვენსკენ ტალახის სროლას ნინ უძღოდა თემურ შაშიაშვილის განცხადება, რომ, თითქოს, ბარამიძე ლაჩარია (დაძაბულობა შაშიაშვილს და მოქკავშირს შორის?)...რაც შეეხება ბრალდებებს, ის სცილდება პირად შეურაცხყოფას და პარტიის შეურაცყოფაში გადადის... ჯობია რჩეულიშვილმა მიხედოს ბიზნესს... მომავალში ვახტანგ რჩეულიშვილს ვურჩევ, რომ ჩვენთან ჭიდილის დროს მშობლებს ნუ დაიხმარებს. თუ ჩვენთან ბრძოლა არ შეუძლია, არ არის საჭირო მამიკოს მოყვანა, ამ ასაკიდან ვახტანგ რჩეულიშვილი დიდი ხანია გამოვიდა.

27 მაისი

დაპირისპირება გრძელდება, გია ბარამიძემ შალვა რჩეულიშვილს „რეზონანსში" ნაძირალა უნოდა.

„ახალ თაობაში" შალვა რჩეულიშვილმა დასცინა მიხეილ მაჭავარიანს „მე მაჭავარიანებს მხოლოდ კომპოზიტორებს ვიცნობო". დღეს შევარდნაძე გამოვიდა პარლამენტის სხდომაზე. ის იყო კონსტიტუციით გათვალისწინებული პრეზიდენტის გამოსვლა არ მინდა საზოგადოებამ წარმოიდგინოს, რომ ძირითადად ვხმარობ სიტყვას „შევარდნაძეს" და არ ვასახელებ როგორც პრეზიდენტს. ეს არ ნიშნავს, რომ არ ვაღიარებ მას პრეზიდენტად. რა თქმა უნდა, ვაღიარებ და პატივს ვცემ როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ არ ვხმარობ ამ სიტყვას, რადგან შევარდნაძეში მე ეგულისხმობ ყოველთვის ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც ვიცნობდი როგორც საქართველოს თავკაცს. რა მნიშვნელობა აქვს ც.კ-ს პირველ მდივანს, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარეს თუ პრეზიდენტს უნოდებენ. მოგვნონს თუ არ მოგვნონს, 25 წელიწადია ის ლიდერია საქართველოს უახლეს ისტორიაში, ამიტომ მის ტიტულებს არ ვასახელებ (მ. ე.).

და თუ ვაკრიტიკებ, მინდა, რომ უკეთესი პრეზიდენტი იყოს, რომ მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით დადებითად დამთავრდეს. შემდგომში ისტორიკოსებს შორის დიდი კამათი გაიმართება მისი მოღვაწეობის შესახებ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ შემდგომში, პირიქით, ზვიად გამსახურდიამ დაჩრდილოს მისი პიროვნება.

დამავინყდა მეთქვა, ჩამოსული იყო უკრაინის სამხედრო მინისტრი ალექსანდრე კუზმინი, რაც ძალზე მისასალმებელია.

დღეს პარიზში ბორის ელცინმა ხელი მოაწერა რუსეთის ნატოსთან ურთიერთობას. **ამავე დღეს შეიკრიბნენ ბალტიისპირეთის, პოლონეთის და უკრაინის პრეზიდენტები** – აშკარაა, ეს მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ.

29 მაისი

დღეს შევარდნაძემ მიიღო ჩეჩნეთის კულტურის მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივანი, ცნობილი საველე მეთაური **აჰმედ ზაკაევი.** ძალიან ვაუკაცი კაცია, აშკარაა დაახლოება ჩეჩნეთთან, რადგან ორივეს ამჟამად ერთი მტერი ჰყავს.

1 ივნისი

პარლამენტში მიიღეს დადგენილება, რომ, თუ 31 ივლისამდე არ შესრულდება დსთ-ს სამიტის გადანყვეტილება, რომლის დროსაც რუსეთის ჯარები უნდა გადაადგილოს ლაღიძამდე, მაშინ მათ უნდა დატოვონ საქართველო. „აფხაზეთის" დეპუტაცია წინააღმდეგი წავიდა, რადგან ისინი მოითხოვდნენ მათ უპირობო გაყვანას. ვახტანგ **რჩეულიშვილმა კი მოითხოვა, რომ საერთოდ საქართველო გამოსულიყო დსთ-დან მაშინ,** როდესაც ვახტანგ რჩეულიშვილი პირველი მომხრე იყო დსთ-ში შესვლისა. ირინა სარიშვილმა მას „ჭრელი პეპელა" უწოდა. 31 მაისის გაზ. „დილის გაზეთში" ირინამ განაცხადა, რომ – რუსებს ანყობთ ამჟამად გასვლა, რადგან პასუხისმგებლობა მოეხსნება, ძნელი სათქმელია, რას ეყრდნობით. აფხაზებს ომი არ უნდათო. გასაგებია, ომში გამარჯვებულთ რომ ომი არ უნდოდეთ, მაგრამ, ვიცი კი რა სურვილი გაუჩნდებათ მათ ხვალ, როცა რუსეთის ბაზები, სასაზღვრო ჯარები რჩება საქართველოში, როცა გარკვეული არ არის კრიტიკულ ვითარებაში, რას მოიმოქმედებენ ჩვენი ძალისმიერი სტრუქტურები, რა მოტივით გაგვყავს სამშვიდობო ძალები.

მამუკა გიორგაძე – „უმრავლესობის გააქტიურებას პრეზიდენტის ანალიტიკურმა სურვილმა დაუდო საფუძველი, ამ დადგენილებაში უნდა იყოს დაფიქსირებული, ვინ იღებს პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე". **ირაკლი ბათიაშვილმა** განაცხადა, რომ – „საკითხი უნდა დაისვას ასე, რა სარგებლობა მოაქვს დსთ-ს საქართველოსათვის პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. უნდობლობა უნდა გამოვუცხადოთ მიზეზს და არა შედეგებს". ჩემი აზრით, ქვეყანაში, სადაც შიდა პოლიტიკა მოგვარებული არ არის, არ შეიძლება რაიმე წარმატება იყოს საგარეო პოლიტიკაში. ეს აშკარად ჩანდა ბიუჯეტის განხილვის დროს. აზრზე არ არიან, სად წავიდა ათეული მილიონობით დოლარი, ქვეყანაში ბატონობს მაფია რომელიც ომის შემთხვევაში გადაერთვება იარაღით ვაჭრობას და სხვა მაქინაციებზე. სარიშვილის არ იყოს, არცერთი ძალოვანი სტრუქტურა ეროვნული არ არისო, ვის იმედზე არიან, საოცარია. ახლა მივიღეთ უნივერსიტეტში ფინანსთა სამინისტროდან პრეზიდენტის განკარგულება საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა 10 % შემცირების შესახებ. ნორმალური ადამიანი შეიძლება გაგიჟდეს. უნივერსიტეტში მეცნიერ-თანამშრომლებს 6-8 ლარი აქვთ ხელფასი, მათი შემცირებით. რა მოგება ექნება სახელმწიფოს, არ მესმის, გუშინ გაზ. „საქართველოში" იყო სტატია, სადაც მაგალითი იყო მოყვანილი, რომ ლაბორატორია „ორიონში" 9 მეცნიერი თანამშრომელია, რომელთა მთლიანი ხელფასი 126 ლარს შეადგენს, რომელიც უდრის პოლიციელის ერთი თვის ხელფასს. **სახელმწიფო, რომელიც არ უფრთხილდება მეცნიერებს, განათლებას და პყავს 100 ათასამდე პოლიციელი, როგორ შეიძლება ასეთი სახელმწიფოს ნდობა. 25 მილიონი ლარი იხარჯება პერსონალურ მანქანებზე. მე გამახსენდა სამი წლის წინანდელი ამბავი, როდესაც უნივერსიტეტში იყო შტატების შემცირება და ამ დროს 1072 შტატი მისცეს „მხედრიონს",**

მაშინ მე კათედრის გამგეების თათბირზე განვაცხადე. რომ ბანდიტებს აძლევდნენ შტატებს და მეცნიერებს ყრიდნენ ქუჩაში[1].

2 ივნისი

გუშინწინ კისლოვოდსკში შეიკრიბნენ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები. აქ იყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, ჩეჩნეთის, სტავროპოლის მხარის წარმომადგენლები. თათბირს ესწრებოდა რუსეთის ეროვნებათაშორისი საქმეთა მინისტრი **მიხაილოვი**, საქართველოს მხრიდან ესწრებოდა **ნიკო ლეკიშვილი**. აქალინიშნულ იქნა, რომ კავკასიელებმა თვითონ უნდა მიხედონ თავიანთ თავს. გადაწყდა შექმნილიყო საკოორდინაციო ცენტრი, ჩეჩნეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა **მოვლადი უდუგოვმა** განაცხადა, რომ საკოორდინაციო ცენტრი უნდა ყოფილიყო თბილისში, შემდეგ მან კონფერენციაზე აღნიშნა, რომ საქართველო ჩეჩნეთის სტრატეგიული მოკავშირეა.

დღეს შევარდნაძემ მიიღო მასხადოვის პირადი წარმომადგენელი კუტაევი, აშკარა დაახლოება დაიწყო საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის, თუმცა მართალი ყოფილა ამ საკითხში ზვიად გამსახურდია.

27 მაისს პარიზში ჩავიდა ელცინი და ხელი მოაწერა ნატოს და რუსეთის შეთანხმებას, რუსეთის პრესაში დიდი ამბავი ატყდა, ეს არისო რუსეთის დიპლომატიის მარცხი, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ რეალობას, რადგან რუსეთს არ შეუძლია უკვე შეაჩეროს აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სწრაფვა, შევიდნენ ნატოში და, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მალე მოხდება, იმისდა მიუხედავად, რუსეთს ეს სურს თუ არა.

გუშინწინ ელცინი ჩავიდა კიევში და როგორც იქნა, მიღწეული იქნა შეთანხმება სევასტოპოლზე, რომელიც 20 წლის იჯარით რუსეთს გადაეცა.

დღევანდელ გაზ. „შანსში" არის სტატია „გავა ეს ჩვენი პოლიცია".

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვითომ მოკვლევა ჩაატარა და განცხადება გააკეთა, რომ „ამ შეხლა-შემოხლაში, სამწუხაროდ, მოხვდა რამდენიმე ჟურნალისტიც. ზოგიერთ გაზეთში დაიბეჭდა, თითქოს პოლიცია მათ მიმართ იჩენდა აგრესიულობას და არ აძლევდა მომხდარის დაფიქსირების საშუალებას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება... შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა სამსახურებრივი მოკვლევა, ფაქტობრივად, მათ შორის ვიდეომასალების ანალიზით, დადგინდა, რომ პოლიცია მოქმედებდა კანონის სრული დაცვით". სწორედ ამ განცხადების შესახებ გაზ. „შანსი" წერს „ყოველი სიტყვა ამ განცხადებიდან არის სიყალბე და სამარცხვინო ტყუილი, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ ტექსტის შემადგენელ რუს გენერლებსაც შეშურდებოდათ".

მართლაც, საოცარია. მთელმა მსოფლიომ უყურა ამ კადრებს და ნამდვილად სასაცილოა შსს-ს განცხადება.

დღევანდელ გაზ. „შანსში" წერია, რომ დააკავეს პარლამენტის აგრარული კომიტეტის მდივანი ვალერი **კურცხალია**, რომელიც შესულა **როზა ლორთქიფანიძის**, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის, სახლში, საიდანაც მოუპარავს 20000 დოლარი და სხვადასხვა სამკაული, როდესაც დაიჭირეს, ამოუღეს 10800 დოლარი და 30 ოქროს ჯაჭვი. შვიდი ოქროს ბეჭედი.

გაგიჟდება კაცი, რა პარლამენტი გვყავს და საიდან უნდა ჰქონდეს **პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს 20000 დოლარი და ამდენი სამკაული.**

„საქართველოს ხმაში" ინტერვიუა **სოსო ალავიძესთან.** მან განაცხადა, რომ აკრედიტაცია უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტებს და ფაქტობრივად **გაამართლა 26 მაისის დარბევის ფაქტი. საოცარი ის არის, რომ თვითონ სოსო ალავიძეს დამთავრებული აქვს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.**

შემდეგ იყო ინტერვიუ ელენე თევდორაძესთან. საოცრად კარგი ქალბატონია. მან თქვა,

---

[1] რას წარმოვიდგენდი, რომ ათი წლის შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილის დროს მომენატრებოდა 1997 წელი, რადგან უნივერსიტეტში მთლიანად გააუქმეს მეცნიერ-თანამშრომელთა შტატები, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა 70-80% გაყარეს უნივერსიტეტიდან, მათ შორის მეც.

რომ 26 მაისის ამბები საშინელება იყო, დამჯდარ ქალებს კინაღამ მანქანებით გადაუარესო.

დღ. „რეზონანსში" წავიკითხე, რომ გადადგა ვარდიკო ნადიბაიძის პირველი მოადგილე ჯონი ფირცხალაიშვილი. მასსა და ნადიბაიძეს შორის უთანხმოება მოხდა 24 მაისს, სამხედრო აღლუმის მომზადების დროს. ამიტომ აღლუმის სარდლად დაინიშნა არა ფირცხალაიშვილი, არამედ გენერალი ბაიაძე. ნეტავ შევარდნაძე ამ არმიის იმედზეა? ირინა სარიშვილს უთქვამს, რომელი ჯობია, ლომებს სათავეში ცხვარი ედგათ თუ პირიქითო, გუშინ აფხაზეთიდან დევნილებმა მოაწყვეს მიტინგი, გადაწყვიტეს 7 ივნისს მოაწყონ გრანდიოზული მიტინგი და შეიძლება მოითხოვონ მთავრობის გადადგომა.

5 ივნისი

დღეს „ალიაში" არის ინტერვიუ **ასლან აბაშიძესთან,** რომელმაც უარყოფითად შეაფასა **26 მაისის „ზვიადისტების" დარბევა და მისი განაცხადი იყო აბსოლუტურად სწორი.**

ქალაქის პოლიციის უფროსმა **სოსო ალავიძემ განაცხადა, რომ მთავრობის სასახლეში უნდოდათ შეჭრა. ეს განცხადება მართლა სასაცილოა, თითქოს მან აღკვეთა ახალი სახელმწიფო გადატრიალება.**

დღ. „ახალ თაობაში" არის აფხაზეთის „ჰელსინკის კავშირის" ხელმძღვანელის დავითაიას განცხადება, სადაც ის წერს, **„ვაი, იმ ხელისუფლებას, ვისაც ასი ადამიანის ეშინიაო".**

6 ივნისი

გაზ. „ივერია-ექსპრესში" დაიბეჭდა აჭარის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება, რადგან „ივერია-ექსპრესის" გამოკითხვით, საქართველოში რუსეთის ინტერესების ყველაზე მეტად დამცველი **ასლან აბაშიძე** აღმოჩნდა, იგორ გიორგაძის და პანტელეიმონ გიორგაძის შემდეგ.

აჭარის პრესსამსახურის განცხადებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, რადგან ისინი სწორად შენიშნავენ – „მიგვაჩნია, რომ „გაზ. „ივერია-ექსპრესის" მიერ ჩატარებული ე. წ. „ექსპრეს-გამოკითხვა" არის მორიგი პროვოკაცია, რათა მავანთა და მავანთა მიერ აგორებული რუსეთის საწინააღმდეგო კამპანიის ფონზე მოახდინოს აჭარის ლიდერის დისკრეტიზაცია საზოგადოების თვალში და უფრო მეტიც, გააღვივონ ერთა შორის შუღლი და უთანხმოება. ისტორიულად ასე იყო და არის რომ, ანტირუსული კამპანიის ისტორიას საქართველოსთვის სიკეთე არასოდეს მოუტანია".

ამის საპასუხოდ „ივერია-ექსპრესმა" გადმობეჭდა ასლან აბაშიძის ინტერვიუ – „რუსმა მეფემ იცოდა, სად უნდა ჩაედო ფული", რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „Россия и мир"[1]-ში.

აქ ისეთი არაფერი წერია. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ გვარდიელებს უნდოდათ[2] დაერბიათ აჭარა (რაც აბსოლუტურად მართალია, მ. ვ.), რაც შეეხება აჭარის შემოერთებაში რუსეთის დადებით როლს, აქ სადავო არაფერია. ჩემი აზრით, ისევ ვიმეორებ, ძალიან უნდათ ასლან აბაშიძის მოცილება.

8 ივნისი

7 ივნისის გაზ. „ახალ თაობაში" არის შევარდნაძის ინტერვიუ დავით-გარეჯის კომპლექსის შესახებ.

თუ წინათ რუსეთის ჯარი აზიანებდა ამ შესანიშნავ კომპლექსს, ამჟამად ქართული ჯარი აზიანებს მას. რა შეღავათია, ძალიან გამეხარდა, რომ დათო ტურაშვილი ისევ ჩაება ამ კომპლექსის გადარჩენის კამპანიაში. სამწუხაროდ, ჯერ არაფერი გადაწყდა.

10 ივნისი

დღევანდელ „ივერის-ექსპრესში", რუბრიკა „ალტერნატივა", არის **დათო ტურაშვილის** სტატია. ისევ ვიმეორებ, ძალიან გამეხარდა, რომ დათო ტურაშვილი ისევ ის რჩება, რომელსაც მე

---

[1] ეს გაზეთი ეკუთვნის მოსკოვის სამხედრო ოლქს.

[2] აქ არის საუბარი კიტოვანის მცდელობაზე, რომ შეჭრილიყო აჭარაში.

ეიცნობდი, რომელიც ვერ გააფუჭა არსებულმა ხელისუფლებამ.

დღევანდელ სტატიაში დათოს გარჩეული აქვს აფხაზეთის მოვლენები ძალიან კარგად. ამ სტატიაში ის იხსენებს, რომ მერაბ კოსტავა ამბობდა – „ჩვენ აუცილებლად და მაინც გავკვალავთ ბილიკებს მათი გულებისკენო, მაგრამ დღეს ამის მიღწევა გაცილებით რთული იქნება, ვიდრე მაშინ, როცა **მერაბ კოსტავა** ამას ამბობდა. ორივე მხარისათვის ძნელი წარმოსადგენია იმ სისხლის დაკინყება, რომელიც დაიღვარა. პირადად ჩემთვის ცხადი იყო ჩვენი მომავალი მარცხი“.

13 ივნისი

გუშინ დათო ტურაშვილი შემხვდა და გადავკოცნე. ვუთხარი, რომ ძალიან მიხარია, ისევ რომ დაუბრუნდა აქტიურ ცხოვრებას, მას ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია საქართველოსთვის.

დღ. „ახალი თაობა“. გუშინ გაიმართა მიხეილ ოსაძის კომისიის სხდომა, რომელსაც **ირინა სარიშვილი** და **ირაკლი ბათიაშვილი** ესწრებოდნენ.

სხდომაზე გამოვიდა უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი **გელა სულაძე**, რომელმაც განაცხადა, რომ ის დაატაპტიმრეს და აიძულეს **ელდარ გოგოლაძეზე** მიეცა ჩვენება, რომ მან იცოდა 29 აგვისტოს ტერაქტის შესახებ. ელდარ გოგოლაძე იყო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის და შემდეგ ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი.

„გოგოლაძემ საპარლამენტო კომისიას უთხრა, რომ არ შეიძლებოდა შოთა კვირაიას და ავთანდილ იოსელიანს, არ სცოდნოდათ, რომ მზადდებოდა ტერორისტული აქტი“.

„მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტმა **აკაკი მიქაძემ** აღნიშნა, რომ შოთა კვირაია არცთუ ძალიან სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურება. მიქაძე რამდენჯერმე აპირებდა ამ თემაზე პრეზიდენტთან გასაუბრებას და უდანაშაულოდ დაკავებული ხალხის გათავისუფლებას, მაგრამ ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს არ ეყო იმის ვაჟკაცობა, სიმართლე მოეხსენებინა პრეზიდენტისათვის. „მე ძალიან მწყინს, რომ აშკარა ტოტალური შიშია სიმართლის თქმისა პრეზიდენტის წინაშე, მე ზნეობრივად დაკოდილ პიროვნებებს შევხვდიო“.

ჩემი აზრით, აკაკი მიქაძე სავსებით მართალია, პრეზიდენტს მართლაც ასეთი ხალხი ახვევია.

ირინა სარიშვილმა განაცხადა, „რამდენიმე წლის წინ **კვირაიამ** მოსკოვში მანქანით გაიტანა და მოკლა ქალი, რაზეც მისთვის პასუხი არ მოუთხოვიათ“.

გუშინ პარლამენტში **ვახტანგ რჩეულიშვილმა** „მოქალაქეთა კავშირს“ კორუფციის ბუდე უწოდა, რაზეც ჟვანია საკმაოდ გაბრაზდა და უთხრა, კორუმპირებულები თქვენს პარტიაში მოიკითხეთო.

24 ივნისი

გამოქვეყნდა დოკუმენტები, სადაც აშკარად ჩანს, როგორ უსმენდა უშიშროების სამინისტრო გაზ. „საქართველოს“ რედაქტორს **ნოდარ გრიგალაშვილს**. ნოდარმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა შოთა კვირაიას. თუ ეს დადასტურდა, მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტია. დღეს „კავკასიონში“ გამოქვეყნდა შოთა კვირაიას წერილი, რომელიც უარყოფდა მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს. გუშინ შევარდნაძემ მკაცრი შეფასება მისცა ამ ფაქტს. მან განაცხადა, რომ „თუკი გაზეთების რედაქტორების სატელეფონო საუბრების არასანქცირებული მოსმენა დადასტურდა, გადაწყვეტილება არა მხოლოდ პრინციპული, არამედ სასტიკიც იქნება“.

ამავე ნომერში აკაკი მიქაძემ აღნიშნა, რომ კვირაიამ ზუგდიდში ხალხი დახოცა, ავტომატი მისთვის ნაურთმევია ნიკა კვეზერელს და უთქვამს „ჩვენს ოპერაციაში რატომ ერევიო“. სწორედ ეს კვეზერელი ჰყავს დაპატიმრებული კვირაიას.[1] ამავე დროს მიქაძემ ბრალი დასდო მას ხე-ტყის გატანაში. სპორტის ოპერაციებში, აღარ შემიძლია კითხვა, ჭკუაზე აღარ ვარ. ხალხი

[1] ნიკა კვეზერელი იყო სპეცჯგუფ „ომეგას“ ხელმძღვანელი, რომლებმაც სტაჟირება გაიარეს აშშ-ში. ის შენანიშნავი ახალგაზრდა იყო, რომელმაც რამდენიმე წელიწადი კვირაიასთან ინკინდენტის გამო ციხეში გაატარა.

შიმშილობს და ამ დროს რეები ხდება საქართველოში. ვისი იმედი უნდა გქონდეს.

ამავე დროს ნომერში არის სტატია, თუ რა ხდება სამხედრო სამინისტროში, სადაც დააპატიმრეს კომერციული სამსახურის უფროსი აკაკი ჯავახიშვილი და ისეთი რამეები აქვს გაკეთებული, ვერ ჩამოვთვლი.

პრორექტორ თემურ ხუროძესთან თათბირზე სამხედრო კათედრის გამგემ, ზამბახიძემ განაცხადა, რომ, როცა ჩვენ სტუდენტებს ვაგზავნიდით ერთთვიან შეკრებებზე, თურმე, იქ არც ფეხსაცმელი აქვთ და არც საჭმელი, არც ნყალი. როდესაც ეს მოვისმინე, კინაღამ გავგიჟდი, სად უშვებთ ბავშვებს, არაფერს ვჩივი, ერთმანეთი არ დახოცონ ამ პირობებში. იურისტების დეკანის მოადგილე რომან შენგელიაც გაგიჟდა, როდესაც ეს მოისმინა და მანაც იყვირა, რა, ბავშვებს დასახოცად ვუშვებთო.

დღეს საღამოს ტელევიზიით აჩვენეს, რომ ორი ახალგაზრდა გამოიქცა ჯარიდან და თან ავტომატები წამოიღეს. ნადიბაიძეს ეს ამბები სულ არ ადარდებს, ის რუსეთის კაცია და ფეხებზე ჰკიდია ქართველი ახალგაზრდობა. ისევ აგეიანებს შევარდნაძე, მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ ზომებს მიიღებს და თუ არ მიიღო ზომები, მღელვარებები დაინყება შემოდგომაზე.

გაზ. „საქართველოში" სათაურით „დროა ეს პოლიტიკური სპექტაკლი დამთავრდეს" დაიბეჭდა სტატია. გული შემინუხდა, როცა ნავიკითხე. ნერილის ავტორები მიმართავენ პრეზიდენტს და აქებენ შოთა კვირაიას. „და მაშინ, იმ ძნელბედობის ჟამს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში მოვიდა თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ჭეშმარიტი პროფესიონალი, ხალხისა და ხელისუფლების ერთგული ბატონი შოთა კვირაია, ეს იყო შემბრუნების მომენტი არა მარტო სამინისტროს, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა, დიდი პრაქტიკული გამოცდილების, შინაგანი ერუდიციის, პროფესიული ნიჭის ნყალობით... ველარ ვნერ, რა საშინელებაა. ისევ ძველი დრო ხომ არ არის, ნუთუ არ ესმით, რომ, თუ დამტკიცდა, რომ მართლა უსმენდნენ სატელეფონო ზარებს, მაშინ რაღა უნდა თქვან, არადა ხელს აწერენ – ქაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, ანანსულ ჩარკვიანი, არჩილ სულაკაური, რამაზ ჩხიკვაძე და ხელოვნების, კინოს და ესტრადის ცნობილი მოღვაწეები. მესმის, რომ ეს ნერილი მათი დაწერილი არ არის, მათ ის გამზადებული მიუტანეს და უარი არ უთხრეს, რომ ხელი მოეწერათ. ძალიან გამეხარდა, რომ ბატონ როინ მეტრეველის ხელმოწერა არ იყო. ძალზე კარგი ნერილი დაწერა ნოდარ გრიგალაშვილმა – „ბევრ მათგანს მართლა დიდ პატივს ვცემ და სამწუხაროა, რომ ისეთ ტექსტზე მოგინდათ ხელმოწერა, რომლიდანაც ავადსახსენებელი რეჟიმის სუსხი იგრძნობა.

– „მე მივმართავ იმ მწერლებს, რომლებიც პრეზიდენტისადმი მიმართვას აწერენ ხელს. ძვირფასო უფროსო კოლეგებო, თქვენ ბრძანდებითსაქართველოსმწერალთაკავშირისპრეზიდიუმის წევრები. ამ პრეზიდიუმის წევრი მეც გახლავართ. თქვენ არათუ დაიცავით თქვენი წევრი, რაც პრეზიდიუმის პირდაპირი მოვალეობა იყო, არათუ აღშფოთდით იმ უმსგავსობის გამო, რაც რედაქტორისა და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრის უკანონო მოსმენაში გამოიხატება, არამედ, პირიქით, ძიების დამთავრებამდე მხარს უჭერთ უშიშროების მინისტრს. ამით აპრიორულად აცხადებთ, რომ თვით ფაქტი „მოსმენებისა" არ გაინტერესებთ.

თქვენთვის მთავარია, არავინ შეეხოს თქვენს მეგობარ მინისტრს, თუნდაც მას პარლამენტარები მკვლელობაში სდებდნენ ბრალს – „მე მახსოვს, როგორ ადიდებდით იგივე გიორგაძეს, როცა ის თანამდებობაზე იჯდა. „მე მწარედ ვაკრიტიკებდი სწორედ იმ გიორგაძეს მაშინ, როცა ის სუკის შეფი იყო".

5 ივლისი

სიმართლე გითხრათ, აღარც მინდოდა და არ დავწერე, რა ხდებოდა ამ პერიოდში. კერძოდ, ე. ნ. „კვირაიას საქმის" გამო, რადგან ამ „ინტელიგენციის ჯგუფის" მიერ გამოქვეყნებულ წერილს მოჰყვა ე. ნ. „მშრომელების" წერილები. კერძოდ, სოფ. კაჭრეთის მშრომელების და სხვების. თავი მეზიზღება, როცა ასეთ რამეებს ვკითხულობ. ნუთუ ისევ ის მეორდება, ნუთუ ამ ხალხს ჭკუა ვერ ასწავლა ვერც სსრკ-ის 70-იანი წლების შავბნელმა ხანამ და ვერც გამსახურდიას დროს მშრომელების წერილებმა,

მახსოვს გამსახურდიას დროს გურჯაანის პროფტექნიკურმა კოლექტივმა როგორ დაგმო უნივერსიტეტის საქციელი. მოკლედ, იმდენი საზიზღარი წერილი გამოქვეყნდა, რომ არ მინდოდა მათი ამოწერა.

პარლამენტმა დახურული სხდომა მოიწვია 27 ივნისს. **შოთა კვირაია** შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში მოათავსეს.

დღ. „ალიაში" არის ინტერვიუ საავადმყოფოდან კვირაიასთან, სადაც ის ამბობს, რომ უამრავი მხარდაჭერა ჰქონდა და მოსდიოდა წერილები ინტელიგენციისა და მუშებისაგან. მარტო ამის გამო არის გასათავისუფლებელი კვირაია, რომ ისევ ძველი მეთოდებით გამოყოფს ინტელიგენციას და მუშებს. აღარ ესმის, რომ ყველა დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეები ვართ და არა მუშები, გლეხები, კოლმეურნეები, ბრიგადირები და ა. შ.

დღეს საღამოს ტელევიზიით **ჯულიეტა ვაშაყმაძემ** გამოაცხადა, რომ კვირაიამ ითხოვა გადადგომა და პრეზიდენტმა დაკმაყოფილა მისი თხოვნა. **შევარდნაძე, ალბათ, ისევე, როგორც ყველა გადაყენებულ პირს, კვირაიასაც რაიმე საპატიო თანამდებობას შესთავაზებს.**

რაც შეეხება პოლიტიკურ მოვლენებს საქართველოში, **ჩამოსული იყო ბორის ბერეზოვსკი.** უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე **ბატურინი,** თავდაცვის საბჭოს მდივანი. ამას მოპყვა **ზურაბ ჟვანიას ჩასვლა გუდაუთაში** და მისი მოლაპარაკება **არძინბასთან.** შედეგებზე ზურაბ ჟვანია არ საუბრობს.

ჟვანია ნამდვილად ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდა და თანდათან **იზრდება** მისი **რეიტინგი, მე თავიდანვე მაღალი აზრის ვიყავი მასზე, მაგრამ უნივერსიტეტში ბევრს არ სჯერა მისი.**

6 ივლისი

დღ. „ახალ თაობაში" ირინა სარიშვილს ეკითხებიან – „შეტევები შს მინისტრ კახა თარგამაძით დაინყეთ, რა ბედი ეწევა მას უახლოეს მომავალში?"

ი. ს. – „მე ჯერჯერობით მეხსიერებას არ ვუჩივი, ამიტომ კარგად მახსოვს, ვინც ჩამოვთვალე მაშინ – კახა თარგამაძე, ბაკურ გულუა და, რაც მთავარია, გენპროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი".

დღ. „შანსში" ინტერვიუა **თორნიკე ფიფიასთან.** აქ არის ფრაზა, რომელსაც მე ხშირად ვიმეორებ **შევარდნაძის** კადრების შესახებ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ის ამბობს, „მე უფრო მაოცებს, რატომ ჰგონია შევარდნაძეს, რომ, როცა მის გარშემო ამდენი სიბინძურე ამოტივტივდება, მასაც არ გასვრის. ხალხი შტერი ხომ არ არის. შე კაი კაცო, შენი დანიშნული თუ ერთი უვიცია, მეორე არაპროფესიონალი, მესამე აგენტი და მოღალატე, რაღა შენ აღმოჩნდი უმწიკვლო და შეურყვნელი იმ გარემოცვიდან, რომელიც თავად შექმენი". ფიფიას ნათქვამში სრული სიმართლეა. მართალია, ის (შევარდნაძე, მ. ვ.) ნამდვილად არ არის გასვრილი არავისთან და ამას, ვიმეორებ, ამტკიცებს მისი ცხოვრება, მაგრამ ამდენი დამნაშავე ხომ მისი დანიშნულია. წინათ ამართლებდნენ, ხან ჯაბა ნიშნავსო, ხან კიტოვანი, მაგრამ მერე რაღა უშლიდა ხელს, ისეთი რამეები მესმის, რომ თმები ყალყზე დაგიდგება, არც მალავენ, პირდაპირ ეაჭრობენ. ახლახან ერთი ჩვენი ნაცნობი ქალაქ თბილისის მერმა გააგზავნა ერთ სამმართველოს უფროსთან, რომ დახმარებოდა უმწიკვლოდ. იმ ნაგლმა კი ფული მოთხოვა და თან ეუბნება, უფროსებს ხომ უნდა მივცეო. ამ დროს უფროსი ქალაქის მერია, ე. ი. ის არ მალავს. ქალაქის მერი არ არის ასეთი გასვრილი, რომ ის ამ თანხას იღებდეს ამ სამმართველოს უფროსისგან. მაგრამ იმას ისეთი მფარველები ჰყავს, სულ ფეხებზე ჰკიდია ქალაქის მერი. ეს ერთი პატარა ეპიზოდია. ეაჭრობა გაჩალებულია შინაგან საქმეთა სამინისტროში და საერთოდ ყველგან, როგორ არ იცის შევარდნაძემ, როგორ ღალატობენ მას, მის ზურგს უკან რას აკეთებენ. როგორ არ იცის შევარდნაძემ, რომ კვირაიამ უშიშროებაში თუ ვინმე ნესიერი და გამოცდილი მუშაკი იყო, უშიშროების სამონისტროდან ყველა გაყარა ან თვითონ გაიქცნენ, ძირითადად ვახტანგ ქუთათელაძესთან,[1] რომელიც მართლა ჭკვიანი კაცი ჩანს. ვისაც მე ვიცნობდი ნესიერ კაცს უშიშროებაში, ყველა მასთან მსახურობს.[2]

---

[1] ვახტანგ ქუთათელაძე – პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო დაცვის უფროსი.

[2] ზაზა შუბითიძე, გოგი მაჭავარიანი, გიორგი ზედელაშვილი.

11 ივლისი

დღ. „ივერია-ექსპრესში" არის დათო ტურაშვილის სტატია, რომელიც ეძღვნება **ირაკლი კაკაბაძის დაბრუნებას ამერიკიდან,** სადაც ის 7 წელინადი ცხოვრობდა. **ირაკლი მახსოვს, საკმაოდ აქტიური ახალგაზრდა იყო ამ შვიდი წლის ნინ.**

ამ სტატიაში დათო სწორედ ჩვენი ინტელიგენციის საკითხს ეხება. ის წერს, – **„ვისაც დღეს ჩვენი ხელისუფლება ინტელიგენციას უწოდებს, სინამდვილეში ინტელიგენციასთან საერთო არაფერი აქვს და ასეთი ადამიანი ჩემთვის ბაჩანა ბრეგვაძეა და არა ისინი, ხელისუფლების სახოტბო წერილებს ასე მონდომებით რომ წერენ".**

ქართული კულტურის მართლაც სახელოვან მოღვაწეთა ამასწინანდელი წერილი შოთა კვირაიას დასაცავად არა მარტო საქართველოს, მთელი კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა და პრობლემა ის კი არ არის, რომ შოთა კვირაიაა უშიშროების მინისტრი უბედურება ისაა, სულერთი რომ არის, ვინ იქნება ამ თანამდებობაზე".

შემდეგ დათო წერს, რომ **„ვინ უნდა ააშენოს ახალი ქვეყანა, თუ არა ახალმა თაობამ".**

მეც სულ ამას ვწერდი, ახალმა თაობამ უნდა ააშენოს ახალი საქართველო, მაგრამ თვითონ ჩვენმა თაობამ და უფრო სწორად უფროსმა თაობამ. რა უქნეს ამ შესანიშნავ თაობას, რომელიც დათოსდროინდელი თაობა იყო. ზოგს იარაღი მისცეს, ზოგს ნარკოტიკი, ზოგს თანამდებობა. ზოგიერთი გადარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ პერიოდში დატოვეს საქართველო და სწორედ ასეთ კაცზე წერს დათო და მის სიტყვებზე ცრემლები მომდის, „ირაკლი[1] ზუსტად ისეთი დაბრუნდა, როგორიც იყო და ისევე უყურებს სამყაროს, როგორიც წავიდა. ჩვენ დავხვდით საშინელებები, გადაგვარებულები, სევდიანები, გაბოროტებულნი. ის კი ზუსტად ისეთია, როგორც ომამდე, ლამაზი და კეთილი, საესე სითბოთი და იმედით, ზუსტად ისეთი, თბილისის ქუჩებში რომ ვიდექით, არავინ გვკლავდა და სამშობლო გვიყვარდა".

[1] ირაკლი კაკაბაძე.

12 ივლისი

გუშინ გაზ. „მიმომხილველში" გამოქვეყნებული იყო დოკუმენტი, სადაც 1992 წელს რუსულ გაზეთში ინტერვიუს იძლევა კვირაია, განსაკუთრებით ნანობს სსრკ-ის დანგრევას. ამას გარდა, მას ბრალად სდებენ, რომ, როდესაც 1994 წელს ვიცე-პოლკოვნიკი აფაქიძე მოიტაცეს და ჯაბას მიგვარეს, რადგან მას ტელევიზიით მოუსმინეს, როცა აფაქიძე ზუგდიდს ელაპარაკებოდა, სადაც მან ცუდად მოიხსენია „მხედრონი". ამის გამო აფაქიძეს 300 ათასი დოლარი მოსთხოვეს, მერე ცემეს. კვირაია ახლად დანიშნული იყო მინისტრად. აფაქიძემ მას მიმართა საჩივრით. საღამოს კვირაიამ უთხრა აფაქიძეს, „300 ათასი 50 ათასამდე ჩამოვაყვანინე და მეტი არაფერი შემიძლია გავაკეთოო".[3]

სამწუხაროდ, 12 ივლისიდან ჩანაწერი 1998 წლამდე ვერ ვიპოვე სახლში. ამიტომ პრესის საშუალებით გადავწყვიტე აღმედგინა ეს პერიოდი. ძირითადად მნიშვნელოვან საკითხებს შევეხები.

1. აფხაზეთის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია ამ პერიოდში, რადგან ხუთი წელი შესრულდა, რაც დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტი.

2. საკმაოდ გამწვავედა ურთიერთობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ასლან აბაშიძესთან.

ჯერ კიდევ 1 ივლისს გაზ. „რეზონანსთან" ინტერვიუში ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ, თუ **„რუსი მშვიდობისმყოფელები დარჩენილი ერთი თვის განმავლობაში მანდატით დაკისრებულ ვალდებულებებს არ შეასრულებენ „გამორიცხულია, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ შეასრულოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით".**[1]

ამავე გაზეთში წერია, რომ ოპოზიციის მიზანია დაამტკიცოს „ხელისუფლებამ კვირაიას ირგვლივ სკანდალი იმიტომ ატეხა, რომ მერე თქვას,

[1] ზუსტად 11 წელინადი გავიდა და ისევ ამ 204 თემაზე მიმდინარეობს კამათი პარლამენტში ელდარ შენგელაიას ფილმში „ცისფერი მთები" მახსენდება, როდესაც მოითხოვდნენ გაიტანეთ ეს სურათი ოთახიდანო და ბოლოს და ბოლოს როცა არ გაიტანეს ოთახის კედელი ჩამოინგრა და თან მოყვა ეს სურათი. სამწუხაროდ ჩვენც ასე არ დაგვემართოს და არ მოვყვეთ ამ ნანგრევებში.

რა დროს ჯარების გაყვანაა, საშინაო საქმეები ვერ მოგვიგვარებიაო".

ივლისის შუა რიცხვებში **შევარდნაძე** გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

20 ივლისი, გაზ. „რეზონანსი".

ამერიკამ საქართველოს 100 მილიონი გამოუყო.

შევარდნაძე კლინტონთან შეხვედრით კმაყოფილია. პრეზიდენტების საუბარი, დაგეგმილი 30 წუთის ნაცვლად, ერთი საათი გაგრძელდა. **აშშ-ის კონგრესის აზრით, ვაშინგტონი აფხაზეთში ისეთივე აქტიური უნდა იყოს, როგორც ბოსნიაში. სენატმა დაამტკიცა საქართველოსათვის 100 მილონი დოლარის გამოყოფის პროექტი.**

8 ივლისს თეთრ სახლში საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტებმა აფხაზეთის საკითხი განიხილეს. პროტოკოლის თანახმად, ვიზიტის მთავარი მოვლენა დილით უნდა გამართულიყო და მხოლოდ ნახევარის საათით შემოფარგლულიყო. თუმცა, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, შეხვედრამ საღამოს 6 საათისათვის გადაიწია.

აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენციაში შევარდნაძის მისვლამდე 1 საათით ადრე, თეთრ სახლზე კლინტონის ვერტმფრენი დაეშვა. ზაფხულის უმეტეს ნაწილს იგი კემპ-დევიესში ატარებს. კლინტონი საქართველოს პრეზიდენტს ოვალური კაბინეტის ზღურბლზე დახვდა. შევარდნაძესთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი**, ელჩი **თედო ჯაფარიძე**, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **რევაზ ადამია**, სახელმწიფო კანცელარიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი **გელა ჩარკვიანი**, მოლაპარაკებამ თითქმის **ერთ საათს** გასტანა.

შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე შევარდნაძემ განაცხადა, რომ **იმედი აქვს ოფიციალური ვაშინგტონი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. მისი თქმით, რუსეთმა აუცილებლად უნდა მიიღოს** მონაწილეობა სამშვიდობო პროცესის გაფართოებულ ფორმაში.

შევარდნაძის კმაყოფილება იძლევა საფუძველს, რომ გაეროს უშიშროების საბჭო საქართველოსათვის მისაღებ ვარიანტს დაამტკიცებს. **გენერალურ მდივან კოფი ანანთან** შეხვედროს შემდეგ, დაგეგმილია შევარდნაძის გამოსვლა უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე.

რევაზ ადამიას განცხადებით, გაეროს გადაწყვეტილებაზე შესაძლოა, სერიოზული გავლენა იქონიოს ევროპის ქვეყნების მზადყოფნამ აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობაზე. **საბერძნეთის ოფიციალური** განცხადება, **რომ** მზად არის გაეროს ეგიდით იმოქმედოს აფხაზეთში, ადამიას აზრით, ნატოს ქვეყნების დაინტერესების ზრდაზე მიუთითებს.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა **კომიტეტის თავმჯდომარის ბენჯამინ გილმანის განცხადებით, ვაშინგტონმა თავის თავზე უნდა აიღოს სამშვიდობო პროცესის მთავარი პოლიტიკური კოორდინატორის ფუნქცია.**

კომიტეტმა უკვე დაიწყო კავკასიური კონფლიქტებისა და მათ მოგვარებაში აშშ-ის დახმარების შესაძლებლობის განხილვა. ერთ-ერთი პირველი დასკვნის თანახმად, რუსეთის **მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მონოპოლიზაცია დაუშვებელია.** მოსკოვი ამ პროცესში მხოლოდ ერთი მონაწილის როლს უნდა დასჯერდეს.

კომიტეტის წევრებს მიაჩნიათ, რომ ამერიკამ ისეთივე აქტიური და საკვანძო როლი უნდა შეასრულოს კავკასიური კონფლიქტების მონესრიგებაში, როგორც ეს ბოსნიაში გაკეთდა. მიმომხილველთა აზრით, ეს განცხადება რუსეთის საყურადღებოდ გაკეთდა. როგორც ჩანს, ამერიკის მთავრობა მზად არის გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგას კავკასიაში. **ვაშინგტონში კარგად ხედებიან, რომ ყარაბახის დათმობის შემდეგ, რუსეთი** მთელი ყურადღების კონცენტრაციას **აფხაზეთზე მოახდენს.** თუმცა, თეთრ სახლსა და კონგრესში მიაჩნიათ, რომ მათ ხელში სერიოზული კოზირი უჭირავთ. სენატის ლიდერების აზრით, **ნავთობსადენი და შავი ზღვის** პორტები **საკმარისი ფაქტორია იმისათვის, რომ ამერიკამ სამხრეთ კავკასია და, პირველ** რიგში, **საქართველო, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების განსაკუთრებულ** სფეროდ **გამოაცხადოს.**

სენატის საგარეო ასიგნებათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, მიჩ მაკკონელის განცხადებით, საქართველოს გამოეყო 100-მილიონიანი დახ-

მარება. ეს არის სახელმწიფო ასიგნება, რომლის განკარგვა უშუალოდ საქართველოს მთავრობის პრეროგატივა იქნება. ფინანსთა მინისტრ ჭკუასელის თქმით, დახმარების მიზნობრივ მიმართულებებს სენატი და საქართველოს მთავრობა უახლოეს ხანებში განსაზღვრავენ.

გიორგი სანაია

სპეციალურად „რეზონანსისათვის" ვაშინგტონიდან.

22 ივლისი გაზ. რეზონანსი – შევარდნაძე აფხაზეთში გაეროს ძალების სასწრაფო შესვლის მომხრეა

ესენგე საქართველოს ისევ ყელში ეჩხირება

საქართველოს პრეზიდენტმა, **ედუარდ შევარდნაძემ** 21 ივლისს ნიუ-იორკში გაეროს შტაბ-ბინაში გაეროს გენერალურ მდივან კოფი ანანთან **შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანის იდეამ კოფი ანანის დადებითი გამოხმაურება ჰპოვა. „ბუნებრივია, რომ ეს ნაბიჯი გარკვეულ თანხებს, სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ცვლილებებს მოითხოვს, მაგრამ გაეროს სამშვიდობო მისია აფხაზეთში, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს"**, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს შტაბბინაში ჟურნალისტებთან საუბრისას. მან დასძინა, რომ აფხაზეთის პრობლემა გადაჭრილად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც 300 ათასი ლტოლვილი აფხაზეთში თავიანთ სახლებს დაუბრუნდება.

კოფი ანანის განცხადება, რომგაეროს სამშვიდობო ძალების აფხაზეთში შეყვანის საკითხს უსაფრთხოების საბჭო მას შემდეგ განიხილავს, რაც ესენგეში შემავალი **სახელმწიფოები ესენგეს სამშვიდობო ძალების შეცვლის გადაწყვეტილებას მიიღებენ.**

საქართველოსა და აფხაზეთის მხარეებს შორის 23-25 ივლისს ჟენევაში დაგეგმილი მოლაპარაკების თაობაზე ედუარდ შევარდნაძემ განმარტა, რომ შეხვედრა **„საქართველოს მეგობართა ჯგუფის" თანდასწრებით წარიმართება, რომელიც შეერთებულ შტატებს, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიასა და რუსეთს აერთიანებს.** „ჟენევის შეხვედრა არ იქნება მხოლოდ ერთი ეპიზოდი. საერთაშორისო ექსპერტთა სპაციალური ჯგუფი პრობლემაზე მუშაობას განაგრძობს, მანამ საკითხი საბოლოოდ არ მოგვარდება", – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას მიერ 21 ივლისს გაკეთებული განცხადების თაობაზე, რომ ის გაეროს ძალების აფხაზეთში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგია, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავისი ქარტიით უნდა იხელმძღვანელოს, აფხაზთა ლიდერი რას იტყვის, ეს მხოლოდ მისი საქმეა".

დათო ბაძრაძე

რა თქმა უნდა, ის რასაც შევარდნაძე გაიძახოდა, რომ რუსეთის სამშვიდობო ჯარები გაეროს სამშვიდობო კონტინგენტით ჩაენაცვლებოდა, ეს იყო დროის გაყვანის ტაქტიკა, რადგან ეს უნდა გადაეწყვიტა გაეროს უშიშროების საბჭოს, სადაც რუსეთს „ვეტოს" უფლება გააჩნია (მ. ვ.).

გაზ. „რეზონანსი"

ნადარეიშვილი შევარდნაძის მცდელობებს პესიმისტურად უყურებს აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ნაწილების გადაყვანა ზუგდიდში.

„31 ივლისისთვის, როცა იწურება რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადა აფხაზეთში, ზუგდიდშივე მოხდება ავტონომიის სხვა ძალოვანი სტრუქტურების ბაზირება", – განაცხადა აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **თამაზ ნადარეიშვილმა.**

მისი თქმით, „რუსეთის სამშვიდობო ძალების ადგილი უნდა დაიკავონ აფხაზეთის ძალოვანმა სტრუქტურებმა და ჩვენ მზად ვართ მოცემული ამოცანის შესასრულებლად, თუკი საქართველოს მთავრობა მიიღებს შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას".

ნადარეიშვილი პესიმისტურად უყურებს რუსეთის სამშვიდობო ძალების შეცვლის პერსპექტივას გაეროს სამშვიდობო კონტინგენტით. **„ამას ძალზედ დიდი დრო დასჭირდება – ჯერ**

გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს და მიიღოს ეს წინადადება, შემდეგ გამონახოს დაფინანსების წყარო, შეარჩიოს კონტინგენტი, ჩვენ კი უახლოეს მომავალში უნდა ვიყოთ აფხაზეთში", – განაცხადა მან (პრაიმ-ნიუსი).

ახალი თაობა 22-23 ივლისი

საქართველოს ამერიკა მართავს

ვახტანგ გოგუაძეს კი თბილისის მერობა არ უნდა, რადგან წყევლის ეშინია

დეპუტატ ვახტანგ გოგუაძეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ

თამარ ასლანიკაშვილი

„31 ივლისი დიდი ხანია პოლიტიკური მსჯელობის სამიზნე გახდა. თქვენ რას ფიქრობთ?"

– „არა მგონია, ეს რაღაც განსაკუთრებულს ნიშნავდეს. პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეეძლო ეთქვა, რომ მე ვწყვეტ სამშვიდობო ძალების უფლებამოსილებას აფხაზეთში და მოვითხოვ ამ საკითხის თანამეგობრობის კომპეტენციაში დაყენებასო. ეს საკითხი შეიძლება ერთ კვირაში გადანყდეს. ბევრს ეს დაახლოებით იგივე ჰგონია, რაც დისლოცირებული ჯარები. ამ დროს სამშვიდობო ჯარები სულ 2500 კაცამდეა და პრობლემას არ წარმოადგენს მოიხსნან ის სამკლაური, გაეროს ეგიდით რომ უკეთიათ, გადაეიდნენ გუდაუთაში ან სხვაგან. არაფერი განსაკუთრებული ეს არ არის, ამიტომ მიმაჩნია, რომ 31 ივლისს არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება".

– „ვთქვათ, გაიყვანეს რუსეთის სამშვიდობო ჯარი, თქვენი პროგნოზი როგორია"?

– „პროგნოზს ყოველთვის აქვს რამდენიმე ვარიანტი. თუ გაიყვანენ ჯარს, ჩვენი ხელისუფლების წინაშე დგება ასეთი საკითხი, შევიდეს თუ არა აფხაზეთში ძალით, რისი კონსტიტუციური უფლებაც მას აქვს. მაგრამ რა იქნება რეალური შედეგი. მასხადოვი, ისევე როგორც დუდაევი, გამოაცხადებს: **„არც ერთი ჩემი ჯარისკაცი აფხაზეთში". სინამდვილეში კი, კარგად შეიარაღებული 5 ათასამდე მებრძოლი ისევ გამოჩნდება აფხაზეთში, როგორც ადრეც გამოჩენილა. აქ რომ იყვნენ, კაზაკები კი ამბობდნენ, აღარ ვიომებთ აფხაზეთშიო, მაგრამ ისინი თუ არა, სხვა კაზაკები იომებენ და აღმოჩნდება, რომ პატარა აფხაზეთის დასაცავად გაცილებით დიდი არმია გამოჩნდება, ვიდრე ჩვენთვის, რადგან საქართველოს მოკავშირე არავინ ჰყავს".**

– „რატომ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ პრეზიდენტის უცხოეთში ვიზიტებს არანაირი შედეგი არ მოჰყვება"?

– „ამერიკაში რომ მიდიოდა ბატონი შევარდნაძე, რაღაც საოცრებას ელოდნენ. ამერიკა ამას გვპირდება, იმას გვპირდებაო. სინამდვილეში ამერიკა გვპირდება იმას, რასაც 1992 წელს გვპირდებოდა, შედეგსაც იგივეს მივიღებთ, რაც მაშინ მივიღეთ. რეალურად არ უნდა ვიცოდეთ, როგორ არის ეს სივრცეები განაწილებული? **ამერიკა როგორ შემოიყვანს ჯარს აფხაზეთში, ვეტოს უფლება რუსეთს აქვს. თუ მსოფლიო ომის დაწყება გსურს, კი, მაგრამ ამერიკას არ სურს მსოფლიო ომის დაწყება.** ვთქვათ, გავიდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები აფხაზეთიდან, ვთქვათ დაიწყო ომი, ერთ კვირას შეგიშვებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, გაბრძოლებენ, შემდეგ დაიწყება ძლიერი კონტრშეტევა, **დაგვრჩება უკან ზუგდიდი, ხობი, სენაკი, ფოთი, შესაძლოა სამტრედიაც და ქუთაისიც. ჩვენ ჭკუა მაინც არ ვისწავლეთ. ჩვენ პოლიტიკურ ცნობიერებაში ისეთივე სიბნელეა, როგორიც იყო".**

– „თქვენ პრეზიდენტს ადანაშაულებთ"?

– „მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი რადიკალურ ნაბიჯებზე წავიდა, ამ შემთხვევაში არ ეამტყუნებ, რადგან იგი ყველაფერს ცდილობს, თავისი საერთაშორისო ავტორიტეტის გამოყენებით რაღაცას მიაღწიოს. **მას სურს, რუსეთის სივრცისგან მოწყვიტოს საქართველო. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, პირველი დღიდანვე ამისთვის იბრძოდა. ერთხანს მეგონა, რომ ნაციონალისტების, ეროვნული პატრიოტების ეშინოდა. და მე მას ვუთხარი, თქვენ თუ გეშინიათ ბატონო ედუარდ, მე ჩემზე გამოვაშვებინებ ჩვენს პატრიოტებს შხამს, თქვენ კი რეალური პოლიტიკა გაატარეთ რუსეთთან მიმართებაში. რუსეთთან ჭიდილი კარგს არაფერს მოგვიტანს,** ბრძოლას რომ იწყებ, გამარჯვების შანსი ხომ უნდა გქონდეს-თქო. დამარცხებისათვის ბრძოლა საქართველომ მოიგონა. მერე აღმოჩ-

ნდა, რომ შევარდნაძის პოლიტიკური გათვლები ცოტა რადიკალური იყო. მე ხშირად ვეუბნებოდი რადიკალურ ოპოზიციას, თქვენ მონაგონი ხართ შევარდნაძესთან შედარებით იმ რადიკალური განწყობილების მხრივ, რომელიც მას აქვს რუსეთის მიმართ. დიდი ხანია, შევარდნაძე რუსეთის კაცი აღარ არის. **იგი მაქსიმალურად დასავლეთის კაცია,** გინდა ღიად, გინდა ფარულად. შეიძლება ახლა შევარდნაძემ მთელი აგვისტო არ მოაწეროს ხელი ამ საკითხს, მაგრამ, რა თქმა უნდა, დათანხმდება, რომ რუსეთის ჯარებს მანდატი გაუგრძელდეთ. თუ არ დათანხმდება, თუ ომს დაუწყებს, ვინ იქნება მისი მოკავშირე? ჩვენი ხელისუფლება არ მალავს, რუსეთის შემდეგ თურქეთის გავლენის ქვეშ რომ სურს ყოფნა. აი, აქ დამთავრდება თქვენი ეროვნულობა".

– „თქვენ ისეთი სურათი დახატეთ, რომ ყველაფერი განწირულია, აღარც აშშ-ს იმედი უნდა გვქონდეს და აღარც არავის".

– „ამერიკის ინტერესებში არ არის ის, რომ საქართველოს აფხაზეთი დაუბრუნდეს. პირიქით, მის ინტერესშია ის, რომ კავკასია მოწყვიტოს რუსეთს, ამისათვის საქართველო უნდა მოწყვიტოს რუსეთს. საქართველო რომ მოწყვიტოს რუსეთს, თავის მხრივ, რუსეთ-საქართველოს რკინიგზა უნდა დაიჟანგოს, უნდა გაქრეს კავშირი ჩვენს ნამდვილ ეკონომიკურ მოკავშირესთან. ამერიკას ოსებისა და აფხაზების ხელით სურს, ჩვენი რუსეთთან კავშირის ჩაკეტვა. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, აშშ-ის ინტერესებს უფრო შეესაბამება, ვიდრე რუსეთის".

– „არ შეიძლება გამოიძებნოს რაღაც გზები აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლის შემდეგ მშვიდობის შესანარჩუნებლად"?

– „მე ვერ ვხედავ. რუსები ჩემი ფსიქიკური აჩემება კი არ არის, ეს ისტორიით მრავალგზის დადასტურებული ფაქტებია. პლატონის ცნობილი გამოთქმაა: „ორი უბედურებიდან, უმცირესი უბედურება". როცა სხვა გზა არ არის, შედარებით იოლი და რეალური უნდა აირჩიო. **ვიმეორებ, აშშ-ს ინტერესებში არ არის ჩვენ აფხაზეთი დაგვიბრუნოს. ახლაც სიტყვიერი დაპირების გარდა არაფერო იქნება".**

– „და მაინც, როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამერიკიდან დაბრუნებული პრეზიდენტი"?

– „მე ვფიქრობ, რომ რეალურ ანალიზს გაუკეთებს ყველაფერს. რუსეთის სამშვიდობო ჯარი რომ გაიყვანონ და ნახევარი საქართველო კიდევ ნაგვართვან, ეს კარგ საქმეს არც ხელისუფლებას მოუტანს".

– „გამოსავალს ბევრი საბერძნეთის, უკრაინისა თუ თურქეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებაში ხედავს".

„იცით რა, შარშანწინ მოსკოვში შავი ზღვის ასამბლეის გასვლითი სხდომა ჩატარდა. წევრად უნდა მიგვეღო საბერძნეთის საპარლამენტო დელეგაცია. შვიდმა ქვეყანამ დადებითი ხმა მივეცით. თურქეთის დელეგაციამ თავი მოიკლა, კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. ძალიან მკაცრად შეეპასუხნენ **სელეზნიოვი** და **შუმეიკო.** მე ორჯერ გამოვედი სიტყვით, მოვეფერე თურქეთს, როგორც მეზობელ ქვეყანას და ვუთხარი, არა ხართ სწორი-თქო. იცით, რა მდგომარეობაა საბერძნეთსა და თურქეთს შორის. ამდაგვარი განცხადებებით ქართველები კიდევ ერთ უნდობლობას თესავენ. რა პოლიტიკაა, ორივეს რომ ეპატიჟები? იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ **საბერძნეთი მართლა იომებს შენი გულისთვის. ანდა უკრაინა მართლა შეიყვანს ჯარს აფხაზეთში? რომც შეიყვანონ, აფხაზები დათანხმდებიან? ანდა ახლა მოლაპარაკება რომ იწყება ჟენევაში, აფხაზების თანხმობა არ არის საჭირო? თქვენ გგონით, ის, ვინც საერთაშორისო დემოკრატიის სახელით გამოდის, აფხაზეთის პოზიციას ნაკლებად ცნობს? მარტში შევარდნაძეს ნიუ-იორკში ტრიუმფალური შეხვედრა მიუძღვნეს. მეორე დღეს ჩვენმა პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც გაუქმდა აფხაზეთის უზენაესი საბჭო. მაშინვე ნიუ-იორკში ჩვენს ხელისუფლებას წინა დღით რომ თან ჰყვებოდნენ, იმავე ძალებმა უკმეხი ტონით ჰკითხეს, ეს რა გააკეთეთო. ჩვენ ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, შევეხვეწოთ ამერიკას: ძმაო, ამერიკა, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ შენი პოლიტიკა მე მსპობს. 200 დოლარი თუ მიჯდება შენი კრედიტით ხორბალი, მომეცი ეს კრედიტი და 80 დოლარად ვიყიდი სტავროპოლში უკეთეს ხორბალს-თქო,**

მაგრამ კარგა ხანია, საქართველოს ამერიკა და დასავლეთი მართავს".

გმადლობთ საუბრისთვის.

23 ივლისი — „რეზონანსი"

რუსეთის სამშვიდობო ძალები აფხაზეთიდან ჯერ არ გავლენ

შევარდნაძეს კოლეგებთან მოთათბირება სჭირდება

აშშ-დან საქართველოში მომავალ პრეზიდენტს გაეროს გენერალური მდივნის რეკომენდაციები დაენია. კოფი ანანის აზრით, ჯერჯერობით, მიზანშეუწონელია აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანა. გენერალური მდივნის რეკომენდაციების თანახმად, გაეროს მომავალი წლის 31 იანვრამდე ესენგეს ჯარებისათვის მანდატის გაგრძელება სასურველად მიიჩნია.

თბილისის აეროპორტში გამართულ ბრიფინგზე შევარდნაძემ განაცხადა, რომ არ გადაუწყვეტია აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის საკითხი. გაეროს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიუთითა, რომ გაეროს გადაწყვეტილებები დონეზე დარჩა. **შევარდნაძის განცხადებით, ორგანიზაცია, პრაქტიკულად იგივეს იმეორებს აფხაზეთთან მიმართებაში, რასაც კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის დაწყებისას ამბობდა.**

გაეროში ასშ-ის მუდმივი წარმომადგენლის მკვეთრი განცხადებით, ვაშინგტონი არ დაუშვებს საქართველოში საომარი მოქმედებების განახლებას. უპირველეს ყოვლსა იმიტომ, რომ სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიული მნიშვნელობის კასპიის ნავთობმა უნდა გაიაროს.

გიორგი სანაია

24 ივლისი

შევარდნაძე ხალხს ვეღარ შეაჩერებს

აფხაზეთთან მიმართებაში ამერიკის ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა

აფხაზეთთან მიმართებაში ამერიკაში არაფერი შეცვლილა, განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ. მისი თქმით, ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. იგი იმუქრება, რომ პარტიზანული მოძრაობა აღმავალი ხაზით განვითარდება და ხალხს ვეღარ შეაჩერებს. პარტიზანული მოძრაობის მკვეთრი გააქტიურების შეჩერება მხოლოდ მოვლენების საქართველოს სასარგებლოდ ფორსირებულ განვითარებას შეუძლია.

ჟურნალისტებთან შეხვედრის დასაწყისშივე შევარდნაძემ უარი განაცხადა, პასუხი გაეცა კითხვაზე რუსეთის სამშვიდობო ძალების 31 ივლისს აფხაზეთიდან გასვლის თაობაზე. მისი თავშეკავება ჟენევის კონფერენციის მიმდინარეობით აიხსნება. გაფართოებული მანდატით მოლაპარაკებები კი მოულოდნელად გადაიდო. რუსეთის საშუალებების ცნობით, შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ დაიგვიანა. საქართველოს დელეგაცია ჟენევაში ნიუ-იორკიდან გაეროში შეხვედრის შემდეგ გაემგზავრა.

ოფიციალურ თბილისს მოლაპარაკებებზე საგარეო საქმეთა მინისტრი მენაღარიშვილი, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ადამია და პრეზიდენტის თანაშემწე ლევან ალექსიძე წარმოადგენდნენ. ჟენევის მოლაპარაკებების შემდეგ, ალბათ, ყველგან დაისმება აქცენტი რუსეთის სამშვიდობო ჯარებისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მომავალ პერსპექტივებზე.

ჟენევაში გამგზავრებამდე მათ თავი შეიკავეს მოსალოდნელ შედეგებზე საუბრისაგან. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა ჟენევის შეხვედრებზე. 23-25 ივლისს დაგეგმილი მოლაპარაკებების შემდეგ, შევარდნაძე ოფიციალურად აცხადებდა რუსეთის ჯარების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებას. სეპარატისტთა დელეგაცია „პირველი ვიცე-პრემიერის", **კონსტანტინე ოზგანის,** „საგარეო საქმეთა მინისტრის", **სერგეი შამბასა** და „გენერალური პროკურორის" შემადგენლობით მოლაპარაკების პირველ დღეს არ გამოცხადდა. მათი დაგვიანების თაობაზე ცნობილი გახდა შეხვედრის დაწყებამდე ოცი წუთით ადრე.

21 ივლისს არძინბამ განაცხადა, რომ წინააღმდეგია სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გა-

ფართოებისა. როგორც ჩანს, იგი ასევე არ ეთანხმება მრავალმხრივ მოლაპარაკებებს საქართველოს მეგობარი ქვეყნის ჯგუფის მონაწილეობით. აფხაზ სეპარატისტთა მორიგი გაჯიუტების საპასუხოდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ასეთ პირობებში მოლაპარაკებების გაგრძელება ძალზე ძნელია. პარტიზანულმა დაჯგუფებამ „თეთრი ლეგიონი" 23 ივლისს გაავრცელა მიმართვა რუსეთის სამხედრო კონტინგენტისადმი, რომელშიც კატეგორიულად აფრთხილებს მათ, რომ სეპარატისტების დახმარების შემთხვევაში ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადავლენ. თავის მხრივ, შევარდნაძემ დასძინა, რომ პარტიზანული მოძრაობა აღმავალი ხაზით მიმდინარეობს. „მართალია, ეს ხელს შეუშლის კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს, მაგრამ მე გამწარებულ ხალხს ვეღარ შევაჩერებ", დაამატა პრეზიდენტმა.

ვითარების გამნვავება კი, შევარდნაძის აზრით, დესტაბილიზაციით ემუქრება არა მარტო საქართველოს აფხაზეთიანად, არამედ მთელ სამხრეთ რუსეთს. პრეზიდენტს, ალბათ, გაუჭირდება უახლოესი პროგნოზების გაკეთება, ვინაიდან ჟენევის კონფერენციის ერთადერთი შედეგი შესაძლოა, მხოლოდ შუალედური გადაწყვეტილების მიღება იყოს.

შევარდნაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას 2000 წლამდე აპირებს. პრეზიდენტის ვარაუდით, პრობლემის გადაწყვეტა შემდეგი სცენარით უნდა განვითარდეს:

აფხაზეთის სტატუსზე მსჯელობა მხოლოდ გაეროს რეზოლუციებისა და წესდების საფუძველზე უნდა წარიმართოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კი 17 რეზოლუცია აქვს მიღებული აფხაზეთთან დაკავშირებით. შევარდნაძის აზრით, ლტოლვილების დაბრუნებაც გაეროს კლასიკური მრავალეროვანი ძალების დახმარებით უნდა განხორციელდეს. საქართველოს პრეზიდენტს მნიშვნელოვნად მიაჩნია ასევე გაეროს ეგიდით პოსტკრიზისული ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევა. ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია გაეროს მიერ აფხაზეთის ტერიტორიის განაღმვა. შევარდნაძის განცხადებით, ეს გადაუდებელი ღონისძიებაა, რომელმაც ყოველდღიურად შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს.

გიორგი სანაია

27 ივლისი

რა თქმა უნდა, ჟენევის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. (მ. ვ.)

გაზ. „რეზონანსი" – 27 ივლისი

არძინბა საქართველოს მეგობრებს თავისი მეგობრებით ემუქრება, ჟენევაში მოლაპარაკებები კი ჩაიშალა

ჟენევის მოლაპარაკებები ჩაიშალა. მხარეები პრინციპულ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ. გუშინვე პრეზიდენტთან არსებულმა უშიშროების საბჭომ არარსებულ შედეგებზე იმსჯელა. არძინბა საქართველოს მეგობრებს თავისი ჩრდილოკავკასიელი მეგობრებით დაემუქრა.

გუშინ ჟენევის საერთაშორისო კონფერენციამ, შეთანხმების მიუღებლობის გამო, მუშაობა შეწყვიტა. გაეროს გენერალური მდივნის **კოფი ანანის** განცხადებით, ქართული და აფხაზური მხარეები ვერ შეთანხმდნენ პრინციპულ საკითხებზე. მისი თქმით, ამ ეტაპზე მოლაპარაკებების გაგრძელებამ აზრი დაკარგა. მომავალი შეხვედრა ანანმა 4 სექტემბერს დანიშნა. მანამდე, გენერალური მდივნის დავალებით, თბილისმა და სოხუმმა სერიოზულად უნდა იმუშაონ გაეროსა და მეგობარი ქვეყნების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებზე.

საქართველოს დელეგაცია გუშინ გვიან ღამით უნდა ჩამოსულიყო თბილისში. სავარაუდოდ, ირაკლი მენაღარიშვილი, რევაზ ადამია და ლევან ალექსიძე პრეზიდენტს უნდა შეხვედროდნენ. მათ დეტალურად უნდა გააცნონ შევარდნაძეს ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების ყველა ასპექტი.

ჯერჯერობით ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. **არაოფიციალური წყაროებით ცნობილი გახდა, რომ მოლაპარაკებათა პროცესში რუსეთმა ნეგატიური როლი ითამაშა.** მათი წაქეზებით არძინბამ განაცხადა, რომ საქართველოს მეგობართა ჯგუფთან ერთად, გაფართოებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა აფხაზეთის მეგობრებმაც უნდა მიიღონ. იგი აპირებს, სთხოვოს ჩრდილოკავკასიელებს, შექმნან „აფხაზეთის მეგობართა ჯგუფი". სეპარატისტთა ლიდერი იმედოვნებს, რომ ამ ჯგუფს იგივე სტატუსი

ექნება ჟენევაში, როგორიც საქართველოს მეგობრებს: აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, გერმანიას და საფრანგეთს.

ბიორგი სანაია

28 ივლისი – „რეზონანსი“

ჟენევიდან ქართველები ცარიელი პორტფელებით დაბრუნდნენ

აფხაზები მსოფლიოს დუელში რუსული „ვარიშკებით“ ინვევენ

რუსი მშვიდობისმყოფელები მშვიდობისმყოფელები არ არიან

ჟენევიდან ქართული დელეგაცია ხელცარიელი ჩამოვიდა. ამ კვირაში გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხს განიხილავს. უახლოეს დღეებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **მედლინ ოლბრაიითი** და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგენი პრიმაკოვი** აფხაზეთზე იმსჯელებენ. საქართველოს ხელისუფლება, ერთი შეხედვით, მტკიცედ დგას. საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთში დარჩენის წინააღმდეგია.

ქართული დელეგაციის წევრების ცნობით, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამი იდეა წამოაყენა: იმ სფეროების გავლენის გაძლიერება, რომლებზეც შესაძლოა, მიღწეული იყოს შეთანხმება; კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების და მომავალი მუშაობის მექანიზმები.

ბუნებრივია, წინა პლანზე, ძირითადი სფეროების განსაზღვრისას, წამოიწევს აფხაზეთის სტატუსის საკითხი. საქართველოს ხელისუფლება, ტრადიციულად, სთავაზობს სეპარატისტებს ფართო ავტონომიას. რუსეთი, ეტყობა, ჯერჯერობით, მზად არ არის პასუხის გასაცემად. ამას მოწმობს მოსკოვის მკვეთრად აგრესიული პოზიცია ჟენევის კონფერენციის მიმართ. რუსეთის დელეგაციის განცხადებით, ისინი ვარაუდობენ, რომ ამ კონფერენციაზე ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საკითხებს განიხილავდნენ და არა „სტატუსურ-პოლიტიკურს“. მოლაპარაკებებზე გამოთქმულ ნებისმიერ წინადადებას რუსები აფხაზების ნაცვლად პასუხობდნენ: „ეს აფხაზეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამიტომ მათი დელეგაცია მხარს არ დაუჭერს“.

რაც შეეხება „აფხაზეთის მეგობართა“ გამოჩენას ამ ფორუმზე, მას საერთაშორისო სამართლის ექსპერტები აბსურდად მიიჩნევენ. მოლაპარაკებებში მონაწილეობენ მხოლოდ დაპირისპირებული მხარეები, მათგან ერთ-ერთი, საქართველო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტია; გაეროს უშიშროების საბჭოს ოთხი წევრი – აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი; გაეროს წევრი გერმანია და კონფლიქტის მოგვარებაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციები – გაერო და ეუთო.

ჟენევის კონფერენციაზე მიღებულ ერთადერთ განცხადებაში ნათქვამია, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა **უნდა იხელმძღვანელონ 13 იანვარს დადებული შეთანხმებით იარაღის გამოუყენებლობის თაობაზე. კონფერენციის მონაწილეთა აზრით**, ეს დოკუმენტი ხელს შეუწყობს სტაბილურობის შენარჩუნებას აფხაზეთში.

მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს 31 ივლისის შემდეგ მანდატი გაუგრძელოს რუსეთის სამშვიდობო ძალებს. ამ მოსაზრებას ეთანხმება ირაკლი მენაღარიშვილიც. მისი თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტროს შემუშავებული აქვს გეგმა, რომლის თანახმად, უნდა გამოიძებნოს ახალი მექანიზმები რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

სავარაუდოა, რომ ქართველთა გამბედაობა, რომელსაც ისინი პირველად იჩენენ ოთხი წლის განმავლობაში, განაპირობა კოფი ანანის განცხადების მიღმა დამალულმა დიპლომატიამ. **გენერალური მდივანი საქართველოს ხელისუფლებას მოუნოდებს, გაუგრძელოს რუსეთის სამშვიდობო ძალებს მანდატი. მენაღარიშვილის პირადი მოსაზრებით** კი, მათ ვადა არ უნდა გაუგრძელდეთ. ასეთ ვითარებაში, ანანის განცხადება მიმზიდველია იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს მომავალში გადაიდგემება რეალური ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. თუ ასე არ მოხდა, საქართველოს რუსეთთან პოზიციების დაფიქსირება მკვეთრად მოუწევს. უახლოეს დღეებში დასავლეთის მიერ ხელშესახები მიღწევების არარსებობის შემთხვევაში, ალბათ, საქართველოში დაძაბულობა

იმატებს, დაიწყება საპროტესტო აქციები, შეიქმნება დესტაბილიზაციის საფრთხე.

თავდასხმისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თამჯდომარის რევაზ ადამიას განცხადებით, მას შემდეგ, რაც რუსეთის სამშვიდობო ძალები აფხაზეთში ყოფნის ლეგიტიმურ საფუძველს დაკარგავს, საქართველოს ხელისუფლებას მოლაპარაკებისათვის ახალი საშუალებები უჩნდება. მან კომენტარს თავი აარიდა იმ მოტივით, რომ მოქმედებათა შემდგომი გეგმა ქვეყნის მომავალი ტაქტიკაა.

მიმომხილველთა აზრით, ოფიციალური თბილისი, სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის შენყვეტის შემდეგ აფხაზეთში მათი ყოფნის არალეგიტიმურობით აპირებს მანიპულირებას. არ არის გამორიცხული, რომ მომავალ მოლაპარაკებებზე სექტემბერში ჟენევაში საქართველოს ხელისუფლებამ რუსი მშვიდობისმყოფელები ოკუპანტებად გამოაცხადოს. თუმცა, გასათვალისწინებელიასამშვიდობოძალებისსარდლობის განცხადებაც. მათი თქმით, საჯარისო ნაწილები უკვე მზად არიან დატოვონ კონფლიქტის ზონა, ვინაიდან ჩაატარეს რამდენიმე საწვრთნელი მანევრი პოსტების მოხსნასა და ტექნიკის გადატანაზე. ამ პროცესს მხოლოდ ხუთი-ექვსი კვირა დასჭირდება.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ **ჟენევის კონფერენციაზე ქართულმა დელეგაციამ კიდევ ერთხელ წამოსწია გაეროს მეშვიდე მუხლის საკითხი. ეს დოკუმენტი კონფლიქტის მოგვარებაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს. თუმცა, თავად გაერო და მეგობართა ჯგუფი არ ჩქარობს აფხაზეთში ძალის გამოყენებას. მათი განცხადებით, ჯერ კიდევ არის ერთი შანსი, რომელმაც შესაძლოა, პრობლემა მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით მოაგვაროს.**

„რამდენი დრო დარჩა აშშ-ს რეგიონში თავისი პოლიტიკის გასააქტიურებლად და რომელი ქვეყნები არიან ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი?" – ჰკითხა ერთ-ერთმა გავლენიანმა სენატორმა, სემ ბრაუნბექმა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილ დირექტორს და ამჟამად ერთ-ერთი წამყვანი ეროვნული უსაფრთხოების კვლევათა ცენტრის ხელმძღვანელს, გენერალ უილიამ ოდომს. მან უპასუხა, რომ უსახლოესი 3-4 წელი კრიტიკული იქნება აშშ-ის პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. სხვა გავლენიანმა პოლიტიკურმა ექსპერტმა, მარტა ოლკოტმა უფრო მცირე ვადა, 1,5-3 წლამდე დაასახელა. **ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნებიდან აღინიშნა აზერბაიჯანი და საქართველო.**

როგორც ჩანს, ამერიკა დღეს სერიოზულად შეშფოთებულია იმით, რომ პერსპექტიულ რეგიონზე გავლენის მოსაპოვებლად შესაბამისად „იბრძვის". მაგრამ აკეთებს კი ის სერიოზულ ნაბიჯებს, რათა ასეთი გავლენა დაამკვიდროს, თუნდაც საქართველოში? აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში აშშ-მა უფრო მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს რეგიონში რუსეთის „კონკურენციის" დასაძლევად. რუსეთი კვლავინდებურად ბატონობს აფხაზეთის საკითხის „მოგვარებაზე", ანუ პროცესს სულ უფრო უკან წევს. ამით კი რეგიონში ამერიკული კაპიტალის შემოსასვლელად აუცილებელი სტაბილურობა და უსაფრთხოება ვერა და ვერ იქმნება. აფხაზეთის კონფლიქტის პერმანენტული ფეთქებადობა, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება შენარჩუნებული, თუკი დაინტერესებულ მხარეთაგან იმან, რომლისკენაც დღეს საქართველო მიილტვის, ანუ აშშ-მა წონასწორობის თასი ერთხელ და სამუდამოდ, თავისკენ არ გადმოხარა.

გიორგი სანაია

დასავლეთი რუსეთთან შეკრულია

მიაჩნია **გერმანე ფაცაციას** და იგი ოკუპანტებთან ომს იწყებს

ლტოლვილთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მრავალრიცხოვან საპროტესტო შიმშილობათა ინიციატორი, ფრაქცია „აფხაზეთის" ლიდერი **გერმანე ფაცაცია** კონფლიქტის მოგვარებაში საერთაშორისო ძალების ჩართვის წინააღმდეგია. მისი აზრით, რუსეთი დასავლეთს თავის ინტერესებს კარნა ხობს. **„თუ 31 ივლისის შემდეგ რუსმა ოკუპანტებმა კონფლიქტის ზონა არ დატოვეს, ჩვენ მათ წინააღმდეგ ომს დავიწყებთ", – განუცხადა რეზონანსს"** გერმანე ფაცაციამ.

„რ" – „როგორ აფასებთ საქართველოს პრეზიდენტის ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ვიზიტის შედეგებს. თქვენი აზრით, მოიძებნა თუ არა გამოსავალი „აფხაზეთის ჩიხიდან?"

გ. ფ.– „საქართველომ რუსეთთან ამბორის, ახალი რომანის გასასრულებლად ამერიკას სთხოვა შუამავლობა. ასეთი ინსტიტუტი ოდითგანვე არსებობდა საქართველოში, მას მაშვლობა ერქვა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამერიკას დავეკითხეთ, თუ როგორ უნდა წარვმართოთ რომანი რუსეთთან. თუ ამერიკამ თქვა, გააგრძელეთ ასეო (მე ზუსტად არ ვიცი, რა თქვა ამერიკამ), მაშინ, საერთოდ, რა აზრი ჰქონდა იქ წასვლას, ვერ გამიგია".

„რ" – „რა აზრის ხართ აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩართვის შესახებ"?

გ. ფ. –„კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია უკვე მოხდა. ამის შედეგია სწორედ, რომ საქართველოს მისი ტერიტორიები მოეკვეთა, ღრმად გნამდეთ, რომ დღეს კონფლიქტის ფორმატის ინტერნაციონალიზაციაზე საუბარი ისევ და ისევ რუსეთის კარნახით ხდება. **რუსეთი არის და ყოველთვის იქნება დაინტერესებული მხარე.** სწორედ ამიტომ იყო, რომ გაეროში ამგვარ ინტერნაციონალიზაციას თვით რუსეთის წარმომადგენელიც კი მიესალმა. რუსეთი სტრატეგიულ ინტერესს არ კარგავს საქართველოში, სამაგიეროდ, საბოლოოდ მოიპოვებს ალიბის, რომ მას არ დაუპყრიხარ. ამით ხდება საერთაშორისო აღიარება იმისა, რომ შენ დაგიპყრეს და ეთნონმენდა მოგიწყვეს აფხაზებმა, **რუსი კი არაფერ შუაშია.** ჩვენს მიერ ცნობიერად ამგვარ ანკესზე ნამოგება და ასეთი გეგმის დასტური სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების ღალატად მიმაჩნია".

„რ" – „თქვენ მიგაჩნიათ, რომ რამდენიმე სახელმწიფოს სამშვიდობო კონტინგენტი არ შექმნის პირობებს ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებისათვის"?

გ. ფ. – „საერთაშორისო კონტინგენტის შეყვანის შემდეგ ისევ დაიწყებენ ლაპარაკს, რომ, აი, შეიქმნა პირობები ლტოლვილთა დასაბრუნებლად, მაგრამ, სად ვბრუნდებით? ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რუსეთის ინტერესები მის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე იურიდიულადაც იყოს დაცული; **რომ სწორედ ამან მიიღოს ინტერნაციონალური ხასიათი და ყველაფერი საერთაშორისო სამართლით გაფორმდეს. ამიტომ ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ მიმდინარეობს მიტაცებული ტერიტორიის იურიდიულად გაფორმება ჩვენივე დასტურით და ამაში საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართვით".**

„რ" – „თქვენი თქმით, ფაქტობრივად, ისე გამოდის, რომ თუნდაც საერთაშორისო ძალები ჩადგნენ კონფლიქტის ზონაში, მათ უკან მაინც რუსეთი იდგება"?

გ. ფ. – „ეს ხდება რუსეთის ხელდასმითა და კარნახით".

„რ" – „იურიდიულად როგორ ფორმდება ასეთი კარნახი"?

გ. ფ. – „აი, მაგალითად, რუსმა თქვა: ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭო მიიღებს, როდესაც მისი წევრი სახელმწიფოების კონტინგენტის გაგზავნაზე მიდგება ჯერი, მზად ვართ, ვეტო დავადოთო".

„რ" –„ე. ი. კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია, რომელსაც, თქვენი თქმით, არანაირი სარგებლობა არ მოაქვს, ისედაც განწირულია"?

გ. ფ. – „რუსეთი ვეტოს დაადებს იმ შემთხვევაში, თუ ეს უშიშროების საბჭომ აიღო და თავის პრეროგატივად აქცია. საქმეც ისაა, რომ იქ ამ ინტერნაციონალური ჯარების ჩაყენება არც იქნება საჭირო. აქ ლაპარაკია გაეროს კონტინგენტზე და გაეროს ფორმატზე. აქ ორი ვარიანტია: უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების კონტინგენტები და გაეროს კონტინგენტები; გაეროს კონტინგენტი სხვა არის. გაეროს ჰყავს თავისი ჯარები, მაგრამ უშიშროების საბჭოში სულ რამდენიმე სახელმწიფო შედის, მათ შორის რუსეთი. მასში შემავალ უშიშროების საბჭოში ნებისმიერ წევრს აქვს ვეტოს უფლება. რუსეთმა, მშვენივრად იცის, რომ ვეტოს უფლებას არავინ გამოიყენებს მის გარდა. ამდენად, ჩვენ არანაირად არ უნდა გვქონდეს დასავლეთის იმედი, **რადგან დასავლეთი მაინც ეთამაშება რუსეთს, ჩვენ კი არ ვახსოვართ".**

„რ" – „მიგაჩნიათ თუ არა, რომ მსოფლიოს უძლიერესთა შვიდეულში მერვე წევრად რუსეთის შეყვანა რუსეთთან გარიგებების ერთ-ერთი ეპიზოდია, თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველო რომელიმე მომდევნო ან უკვე მომხდარი გარიგების მსხვერპლი ან თანამონაწილე"?

გ. ფ. – „ის, თუ როგორი გარიგება მოხდა ან რამდენად მონაწილეობდა ამ გარიგებაში ჩვენი ხელისუფლება, ამას შემოდგომისთვის გა-

ვარკვევთ. 1 აგვისტოდან რუსებს ვადა ეწურებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ არ გავლენ, ოკუპანტებად ჩაითვლებიან. მაშინ ღირსების მატარებელი სახელმწიფო იწყებს თავის ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენას. ანუ, უნდა აიძულო რუსი, რომ დატოვოს შენი ტერიტორია, თავი მოაჭრა, ესროლო, გადაბუგო და ა. შ. და თუ ამის გამკეთებელი არ ხარ, გამოდის, რომ ტერიტორია შენი დასტურითაა მოკვეთილი".

„რ" – „პირადად თქვენი ფრაქცია რას აპირებს?

გ. ფ. – „პირადად ჩვენ ვაპირებთ ომს".

„რ": გაქვთ თუ არა მოფიქრებული საომარი მოქმედებების ნარმოების ორგანუზებული მექანიზმი?

გ. ფ. – „ჩვენ ყრილობა გადავდეთ, რათა გვენახა, როგორი იქნება დამპყრობელი „მშვიდობისმყოფელი" უკვე ოკუპანტის ტიტულით. თუკი, მაპატიეთ და, კიდევ ერთხელ გადაგვაფურთხეს, და მათ ვადა გაუგრძელეს, უნდა ვაღიაროთ, რომ გვყავს გამყიდველი ხელისუფლება. ყრილობის გადაწყვეტილების შემდეგ, ჩვენ ჩვენივე რესურსებით ვინყებთ ომს.

„რ" – „თქვენ და ბატონ ნადარეიშვილს ერთიანი გეგმა გაქვთ შემუშავებული"?

გ. ფ. – „ჩვენი პოზიციები არასოდეს ყოფილა განსხვავებული".

ბორის კაკუბავა: – „განა შევარდნაძემ არ იცის, რომ აფხაზეთის პრობლემა ვაშინგტონში, ნიუ-იორკში და ჟენევაში არ გადაწყდება. აფხაზეთის დაბრუნება შევარდნაძის კაბინეტში წყდება".

„რ" – „თქვანი აზრით, რუსეთის ფაქტორი არაფერს ნიშნავს? როგორ ხდება პრობლემის გადაწყვეტა კაბინეტში"?

ბ. კ. –შევარდნაძე არ იქნებოდა პრეზიდენტი, რომ არ დაკარგულიყო აფხაზეთი და სამაჩაბლო, თორემ მოლაპარაკებები და ჟენევები, ეს სულ თამაშია".

„რ" – „რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს მიერ ნამოწყებულ საომარ მოქმედებებს"?

ბ. კ. – „ვის ნინააღმდეგ ვინყებთ ომს, რა თქვა, ბატონმა გერმანემ"?

გ. ფ. – „ოკუპანტების ნინააღმდეგ, იმათ მოვაჭრით თავს-თქო, გითხარით.

ესაუბრა ლიკა ბასილაია

9 აგვისტო

დევნილთა ყრილობა, რომელიც 25 ივლისს უნდა გამართულიყო, გაიმართა 8 აგვისტოს (მ. ვ.).

გაზ. „რეზონანსი" – 9 აგვისტო

დევნილები აფხაზეთში დაბრუნებას

ქვითა და ფინლით აპირებენ

გუშინ თბილისში დევნილთა ყრილობა გაიხსნა. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ვერ იტევდა დელეგატებს. ყრილობის პირველი დღე, ძირითადად, პოლიტიკურ მოხსენებებს დაეთმო. დღეს კი დელეგატებმა უნდა მიილონ რეზოლუცია „აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ", რომლის თანახმად ორივე რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად უნდა გამოცხადდეს, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა კი უნდა დატოვონ როგორც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ასევე მთელი საქართველო.

საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარის, გერმანე ფაცაციას თქმით, ყრილობა დევნილთა საპროტესტო აქციის მესამე, გადამწყვეტი ეტაპია. „თუ ჩვენ რეზოლუციის პროექტი უცვლელად მივიღეთ, – განაცხადა მან „რეზონანსის" კორესპონდენტთან საუბარში, – მაშინ ჩვენვე განვსაზღვრავთ მოძრაობის წესებს". პარლამენტარი აცხადებს, რომ დევნილებს შესწევთ ძალა, თავიანთი მიწა-წყალი საქართველოს ხელისუფლების დახმარების გარეშე დაიბრუნონ. როგორ მოვერევი დამპყრობელს? ქვით, ფინლით, ნაჯახით თუ ცეცხლსასროლი იარაღით, საერთაშორისო ნორმების თანახმად, ამის უფლება მაქვს", – დასძინა ფაცაციამ.

აღსანიშნავია, რომ, რეზოლუციის პროექტის თანახმად, თუ დევნილთა მოთხოვნებს საქართველოს ხელისუფლება ერთი თვის ვადაში არ შეასრულებს, დევნილი მოსახლეობა ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს გაემიჯნება და მას მოსალოდნელ შედეგებზე პასუხიმგებლობას დააკისრებს.

რა შეიძლება იგულისხმებოდეს მოსალოდნელ შედეგებში? უპირველეს ყოვლისა, ახალი სისხლისღვრა, რომელიც შეიძლება, გამოიწვიოს დევნილთა არაორგანიზებული ნაკადის აფხაზეთში შესვლამ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აზრთა ერთიანობა დევნილთა ლიდერებს შორისაც არ არსებობს. მათ აფხაზეთში დასაბრუნებელი სამოქმედო პროგრამები, თუკი პრაქტიკაში ასეთი რამ არსებობს, განსხვავებული აქვთ. თუ ფაცაცია ქვითა და ფინლით შეიარაღებული რაზმით აპირებს არძინბას დამარცხებას, ნადარეიშვილი დევნილებს ჰპირდება აფხაზეთში შეძღოლას, მაგრამ გარკვეული, ჯერჯერობით უცნობი, ვადის გასვლის შემდეგ. „არავის შეექმნას ილუზია, რომ ყრილობა მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც პირდაპირ აფხაზეთში დაგვაბრუნებს", – აღნიშნა მან. რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ვახტანგ ყოლბაიას, მას მოსკოვის სამიტის იმედი აქვს, რომელიც სექტემბერში უნდა გაიმართოს. „გამოსავალი ჩვენი ერთიანობაა, – აღნიშნა ყოლბაიამ, დევნილებისა და ხელისუფლების ყველა შტოს ერთიანობა".

რაც შეეხება ყრილობას, მისი გუშინდელი სხდომის მთავარი თემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც რუსეთის, დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კრიტიკა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ **ნადარეიშვილმა გააკრიტიკა არა მარტო რუსეთის, ასევე თურქეთის ქმედებანიც.** აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ცნობით, ბოლო დროს სოხუმში 70-მდე თურქული გემი შევიდა, რომელიც დატვირთული იყო იარაღითა და ნარკოტიკებით. მისი თქმით, აფხაზეთი იქცა საერთაშორისო ნარკობიზნესის ცენტრად.

ყრილობის სრული შემადგენლობა რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვდა. „ამ ჯარების გასვლის შემთხვევაში, მიუღებელია, ისინი გაეროს სამხედრო ნაწილებმა შეცვალონ", – განაცხადა ნადარეიშვილმა. მისი თქმით, მდგომარეობიდან გამოსავლის საუკეთესო საშუალება იქნება ის, რომ რუსეთის მშვიდობისმყოფელების მიერ დატოვებული ტერიტორია საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ნაწილებმა დაიკავონ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინათ, ზუგდიდში ყოფნისას, ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ თუ 31 აგვისტომდე საქართველოს ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, აფხაზეთის ძალოვან სტრუქტურებს შესწევთ ძალა, იარაღის ძალით დაბრუნდნენ აფხაზეთში. „რუსეთის სამშვიდობო ძალები იცავენ იმას, რაც დაიპყრეს", – განაცხადა თამაზ ნადარეიშვილმა. მისი თქმით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები უნდა გადაისინჯოს.

ექსპერტთა აზრით, არსებობს ეჭვი, რომ მსგავსი განცხადებები დევნილთა მორიგი იმედით „გამოკვებას" უფრო წააგავს. **საქართველოს ხელისუფლება, ხედავს რა თავის უსუსურობას კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ესენგეს ქვეყნების მეთაურთა მომავალ სამიტს ელოდება, რომელზეც, უკვე მერამდენედ, სხვა უამრავ საკითხთან ერთად, ამ საკითხსაც განიხილავენ.** რაც შეეხება ასეთ მასობრივ ყრილობაზე გაკეთებულ მკვეთრად უარყოფით განცხადებებს რუსეთის, დასავლეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით, ეს შესაძლოა, გარკვეულ შანტაჟს უფრო წააგავს. როგორც ჩანს, საქართველოს ხელმძღვანელობა ამით სათადარიგო ნაბიჯს დგამს, რათა რუსეთს მეტი დაათმობინოს, დასავლეთს კი აფხაზეთის ნარკობიზნესისა და იარაღის სატრანზიტო ცენტრად მოხსენიების გზით, ამ პროცესში აქტიურად ჩართვა გადაანყვეტინოს.

გიორგი კალანდაძე

23 აგვისტო – „ახალი თაობა"

სააკაშვილს მოსკოვის არ სჯერა

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ რუსეთის გააქტიურება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, გამოწვეულია მისი სურვილით, „გამორიცხოს დასავლეთი კონფლიქტის მოწესრიგების პროცესიდან".**

– „რუსეთი იმდენჯერ დაპირდა დევნილებს საკუთარ სახლებში დაბრუნებას, **რომ მე ნაკლებად მჯერა მისი ახალი დაპირების", განაცხადა სააკაშვილმა.**

მისი თქმით, საქართველომ „ხელი არ უნდა მოაწეროს მოსკოვში უმნიშვნელო დოკუმენტებს, რომლებშიც კონკრეტულად არაფერზეა საუბარი, ისევე, როგორც რუსეთის საგარეო

საქმეთა სამინისტროს მიერ უკვე მომზადებულ დოკუმენტში".

– „ჩვენთვის მთავარია ისეთი რეალური მექანიზმის შექმნა, ანუ – ადმინისტრაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელსაც დევნილები უპირობოდ მიენდობიან", – დასძინა ააკაშვილმა.

პრაიმ ნიუსი

10 აგვისტო – „რეზონანსი"

დევნილებმა საკმაოდ რადიკალური რეზოლუცია მიირეს და აბსოლიტურად სწორი იყვნენ, რადგან დაიღალნენ ამდენი ტყუილებით. მათ ერთი თვის ვადა მისცეს ხელისუფლებას 10 აგვისტოს მაგრამ, გაზეთი რეზონანსი გვატყობინებს „თუკი თბილისი საქართველოს სხვა რეგიონებში კვლავაც იგნორირებას გაუწევენ დევნილთა ინტერესებს, მაშინ დევნილები, დაბრუნდებიან რა საკუთარ სამშობლოში, ჩამოაყალიბებენ იქ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც არავის არ დაემორჩილება", – აღნიშნა აფხაზეთიდან დევნილტა საბჭოს თავმჯდომარემ, მურმან ბერაიამ.

აღსანიშნავია, რომ ყრილობა გამოირჩეოდა საკმაოდ მკვეთრი და არაკეთილგანწყობილი განცხადებებით. წყალტუბოში მცხოვრები შაოსანი ქალბატონი დაემუქრა ქვეყნის ხელისუფლებას, რომ თუ ერთი თვის ვადაში რუსეთის ჯარი აფხაზეთიდან არ გავა, მაშინ 3 ათასი შაოსანი თბილისის მიმართულებით დაიძვრება.

15 აგვისტო – „რეზონანსი"

დევნილების ამ პრინციპულმა პოზიციამ შევარდნაძე და რუსეთიც მიახვედრა, რომ იმ მეთოდებით, როგორც ოთხი წლის განმავლობაში მოქმედებდნენ, ვეღარ გაგრძელდებოდა. ამიტომ საჭირო იყო უფრო არაორდინალური მოქმედებები, რითაც დაანახებდნენ დევნილებს, რომ რაღაც კეთდება მათ დასაბრუნებლად. (მ. ვ.)

შევარდნაძე და არძინბა თბილისში ინტენსიური შოკური თერაპიის კურსს გადიან

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი პრიმაკოვმა საქართველოს ლიდერებს „სიურპრიზი" მოუწყო – თვითმფრინავმა ტუ-134-მა პრიმაკოვთან ერთად თბილისში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებიც ჩამოიყვანა. საქართველოს პრეზიდენტი სტუმრებს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში შეეგება, სადაც მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა მოლაპარაკებები ედუარდ შევარდნაძესა და ვლადისლავ არძინბას შორის.

გვიან ღამით გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სავარაუდოა, დღესვე ხელი მოეწეროს ერთობლივ განცხადებას, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია ამ დოკუმენტში არსებული საკითხები.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა, რომელიც თბილისს, 1991 წლიდან მოყოლებული, პირველად ეწვია, აღნიშნა, რომ შევარდნაძესთან შეხვედრა მასში ოპტიმიზმის საფუძველს ბადებს. „ჩვენ ჩამოვედით თბილისში, რათა ბოლო მოვუღოთ კონფრონტაციას ქართველებსა და აფხაზებს შორის. ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ურთიერთგაგების გზები და შეხების წერტილები. დღეს გამართული მოლაპარაკებები ამის საფუძველს გვაძლევენ", – დასძინა მან.

შევარდნაძისა და არძინბას შეხვედრა დაემთხვა 1992 წელს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღეს. „ეს დიდი მოვლენაა, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, – რომ საქართველოსთვის ასეთ მძიმე დღეს გაიმართა გულახდილი, პატიოსანი და კარგი დიალოგი".

აღსანიშნავია, რომ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების ერთმა ნაწილმა და აფხაზეთიდან დევნილებმა არძინბას ვიზიტი თბილისში და მისი ვადის ამ თარიღთან თანხვერდნა უარყოფითად შეაფასეს. **„პრიმაკოვის, როგორც რუსეთის პოლიტიკის სიმბოლოს, მიერ არძინბას სტუმრად ჩამოყვანა თბილისში, ცინიზმი ა", – მიიჩნევს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია და არძინბას ვიზიტს „საქართველოს მოსახლეობისთვის სილის განვნის ტოლფასად" აფასებს.**

სააგენტო „ბიეს-პრესისთვის" კარგად ინფორმირებული წყაროსაგან ცნობილი გახდა,

რომ ვლადისლავ არძინბას თბილისში სტუმრობის შესახებ მხარეები, რამდენიმე დღის წინათ სოჭში შეთანხმდნენ, სადაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ისვენებდა. თუმცა უკანასკნელ მომენტამდე ეს ცნობა გასაიდუმლოებული იყო, რადგან იყო საშიშროება, არძინბას მოულოდნელად შეთანხმება დაერღვია.

პრიმაკოვმა „შვებით", ალბათ, მაშინ ამოისუნთქა, როდესაც შევარდნაძე და არძინბა განმარტოვდნენ პირისპირ სასაუბროდ. „ეს მეტ შედეგს გამოიღებს, – აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, – ამით კიდევ ერთხელ ვამტკიცებთ, რომ რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობს კონფლიქტის მოსაგვარებლად. მათ, ვისაც ამისი არ სჯერა, ცდებიან".

შევარდნაძესა და არძინბას შორის მოლაპარაკება 13 საათზე დაიწყო. მისმა პირველმა რაუნდმა ორ საათს გასტანა. სადილის შემდეგ გაიმართა გაფართოებული შეხვედრა, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, **ზურაბ ჟვანია**, საგარეო საქმეთა მინისტრი, **ირაკლი მენაღარიშვილი**, რუსეთში საქართველოს ელჩი, **ვაჟა ლორთქიფანიძე**, აფხაზ სეპარატისტთა მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, **სერგეი შამბა** და ვლადისლავ არძინბას „პირადი ნარმომადგენელი საქართველოსთან მოლაპარაკებებზე", პროკურორი, **ანრი ჯერგენია**. შეხვედრის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. 20 საათისთვის განახლდა **პირისპირ მოლაპარაკება, რომელიც შუაღამისას ბრიფინგით დასრულდა.**

საქართველოს პარლამენტის საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, კახა ჩიტაიას ცნობით, დღეს შევარდნაძე და არძინბა ერთობლივ კომუნიკეს მიიღებენ, რომლის მუხლებიც, საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ორივე მხარესთან შეთანხმებულია.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებას ესწრებოდა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის პრეზიდენტი **გია ჭანტურია**.

„რეზონანსის" ცნობით, მოლაპარაკებების დროს ყურადღება გამახვილდა კასპიის ნავთობსადენის აფხაზეთის ტერიტორიაზე გაევლის საკითხზე. საქართველოს მხარის ამ შეთავაზებამ აფხაზებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთი ნაწილი მიჩნევდა, რომ ეს არის საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის ყიდვა. დანარჩენებმა კი ამ პროექტის განხორციელება რეალურად აღიქვეს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ **ედუარდ შევარდნაძემ აფხაზეთის მხარეს აღუთქვა, რომ ყველა გლობალური პროექტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდება აფხაზეთის მონაწილეობასაც გულისხმობს.**

კონფიგურაციული წყაროს ცნობით, პრიმაკოვმა არძიმბა იმიტომ ჩამოიყვანა თბილისში, რომ შეეპირდა: „თუ შენ დღეს საქართველოში ჩამომყვები, ჩვენ შეეცდებით, დადებითად გადავწყვიტოთ აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნის საკითხი"

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე ოფიციალურმა პირებმა კომენტარისაგან თავი შეიკავეს. დამოუკიდებელმა ექსპერტებმა კი გამოთქვეს ეჭვი, რომ არძიმბას თბილისში ჩამოსვლით ქართლ-აფხაზური დიალოგი უფრო შედეგიან ვერ გახდება. თბილისში არძიმბა რუსეტის საგარეო მინისტრმა ჩამოიყვანა. შესაძლოა, რუსეთის გააქტიურება რეგიონში დასავლეთის ფაქტორის გაზრდამ გამოიწვია. იქცევა თუ არა გუშინდელი შემთხვევა რუსეთის მიერ გათამაშებულ ფარსად, ახლო მომავალში შევიტყობთ.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: დაჯავშნულ მერსედესზე, რომლითაც კრნანისში ვლადისლავ არძინბა მიიყვანეს, ერთ მხარესა – **რუსეთის, მეორეზე კი საქართველოს ეროვნული დროშები იყო მიმაგრებული. როდესაც სამთავრობო რეზიდენციასთან ავტომანქანა შეჩერდა, არძინბას იმ კარებიდან მოუნია გადასვლა, რომელსაც საქართველოს დროშა ამშვენებდა.**

გიორგი სანაია

გიორგი კალანდაძე

15 აგვისტო – „ახალი თაობა"

„არძინბას ვიზიტი

სირცხვილი და თავის მოჭრაა"

ვლადისლავ არძინბას გუშინდელ ვიზიტს **„საქართველოს მოსახლეობისთვის სილის**

განვნის ტოლფასად" მიიჩნევს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

როგორც ედა-ის ლიდერმა პრაიმ-ნიუსს გა-ნუცხადა, „ვლადისლავ არძინბას მიღება სტუმ-რის სტატუსით, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, საქართველოსთ-ვის სირცხვილი და თავის მოჭრაა".

– პრიმაკოვის, როგორც რუსეთის პოლიტიკის სიმბოლოს, მიერ არძინბას ჩამოყვანა თბილისში, ცინიზმია. **აფხაზეთში დაბრუნებული არძინბა იტყვის, რომ სტუმრად იყო საქართველოში, რომელსაც ცნობს, როგორც სახელმწიფოს აფხაზეთის გარეშე, – თქვა სარიშვილმა-ჭან-ტურიამ.**

სარიშვილი-ჭანტურია ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მისი აზრით, აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთ მთავარ დამბაჩავესთან მოლაპარაკების გამართ-ვის შედეგის მიღწევაზე, საუბარიც კი ზედმეტია.

– „მე არ ვიცი, რა შედის არძინბა-პრიმაკოვის ვიზიტის პროგრამაში. შესაძლებელია, საქართ-ველოს ღირსშესანიშნავი ადგილების დათვა-ლიერებაც სურდეთ, მაგრამ 14 აგვისტო, რუსე-თის მიერ ზუსტად შერჩეული თარიღია", – **თქვა სარიშვილმა-ჭანტურიამ.**

ᲞᲠᲐᲘᲛ-ᲜᲘᲣᲡᲘ

16 აგვისტო

„აფხაზეთი ვერასოდეს იქნება დამოუკიდე-ბელი" – **განაცხადა პრიმაკოვმა**

საქართველოს ხელისუფლებაში კი ბლოკადის მოხსნაზეც ფიქრობენ

არძინბამ ღამე თბილისში გაათენა და გუშინ დილით, 11 საათზე, გუდაუთაში გაფრინ-და. მისი თანმხლები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი კი, აფხაზთა ლიდ-ერის დაბინავების შემდეგ, ადლერიდან მოსკ-ოვში დაბრუნდა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ კი, გუშინვე გააგრძელა ჩვეულებრივი სამუშაო დღე. სახელმწიფო მინისტრი ლეკიშვილი ოთხშა-ბათს აფხაზეთში ჩავა. მხარეები მოლაპარაკებით კმაყოფილნი დარჩნენ. საბოლოო ჯამში კი, აფხ-აზეთის კონფლიქტში სტატუს-ქვო შენარჩუნდა.

არძინბას მოულოდნელი ვიზიტი აფხაზეთის ომის დაწყების ხუთი წლისთავს დაემთხვა. ამან მოლაპარაკებებს ემოციურობა შეპმატა. 1994 წლიდან შევარდნაძე და არძინბა ერთმანეთს არ შეხვედრიან. მას შემდეგ ქართველები და აფხა-ზები ომის შედეგებს იმკიან. დაცარიელებულ აფხაზეთში მოსახლეობა შიმშილის პირასაა მისული. 300 ათასამდე ქართველი ლტოლვილად იქცა. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ არძინბამ და შევარდნაძემ პირველად ისაუბრეს შუამავლის გარეშე. ორთავენი ამტკიცებენ, რომ ხანგრძლივი პირისპირ შეხვედრა ურთიერთნდო-ბას გაზრდის.

ერთობლივ განცხადებაზე ხელმოწერის ცერ-ემონიალის შემდეგ, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, **პრეზიდენტმა შევარდნაძემ, აფხაზთა ლიდერმა არძინბამ და რუსეთის სა-გარეო საქმეთა მინისტრმა პრიმაკოვმა შემა-ჯამებელი ბრიფინგი გამართეს. მხარეებმა თავიდანვე აღიარეს, რომ რამდენიმე პრინ-ციპულ საკითხზე ჯერ კიდევ არსებობს საერ-რიოზული უთანხმოებები. არც შევარდნაძეს, არც არძინბას არაფერი დაუკონკრეტებიათ. სეპარატისტთა საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით,** ლტოლვილთა დაბრუნებაზე ერ-თიანი აზრი არ არსებობს, ამიტომაც ეს საკითხი არ წამოწეულა. უკომპრომისობის გამო კვლავ ღიად რჩება აფხაზეთის სტატუსის საკითხი.

შევარდნაძემ ხელმოწერილ დოკუმენტს ეტა-პობრივი მნიშვნელობა მიანიჭა, ხოლო მოლაპარ-აკებებს დიდი პოლიტიკური მოვლენა უწოდა. მას მიაჩნია, რომ მთავარი შედეგი ფსიქოლოგი-ური ბარიერის გადალახვაა. არძინბამაც პრაქ-ტიკულად იგივე განაცხადა, თუმცა ამაყი ტონით დაამატა: „შეხვედრა გაზრდის ნდობას ხელმძღ-ვანელებს, სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის". **აფხაზთა ლიდერი მყარად დარწმუნებულია, ვრომ მხარეები იპოვიან პრობლემის მოგვარების გზებს, მათ შორის ლტოლვილების დაბრუნებისა** და ნორმალური ცხოვრების აღდგენისათვის.

შუამავლად გამოსულმა პრიმაკოვმა, თავ-ის მხრივ განაცხადა, რომ რუსეთი მაქსიმალუ-რადაა დაინტერესებული აფხაზეთის კონ-ფლიქტის მოგვარებით. „რუსეთს სხვა მოსაზ-რება არ გააჩნია", – დააკონკრეტა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

გასათვალისწინებელია, რომ არძინბას ვიზიტს ხაზგასმულად თან ერთვოდა რუსეთის, როგორც ერთადერთი შუამავლის, ფაქტორი. ეს დაფიქსირდა კიდეც ერთობლივ განცხადებაში. მხარეები მადლიერებით აღნიშნავენ რუსეთის როლს კონფლიქტის მოგვარებაში. მათ მიაჩნიათ, რომ პირდაპირი კონტაქტის პარალელურად, პრობლემის დარეგულირება შესაძლებელია რუსეთის შუამავლობითა და დახმარებით.

არძინბას თბილისში ჩამოსვლა უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. ერთი მხრივ, სეპარატისტთა ლიდერის ვიზიტი სერიოზული გარღვევაა პრობლემის გაყინულ პროცესში. პრაქტიკულად შესრულდა დასავლეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები – სცენაზე პირისპირ კვლავ ძველი მოქმედი გმირები დარჩნენ. 14-15 აგვისტოს არძინბას პარალელურად, თბილისში **იმყოფებოდა აშშ-ის ლამის ნახევარი კონგრესი. არც ერთ მათგანს სურვილი არ გამოუთქვამს თუნდაც მეთვალყურის სახით დასწრებოდა კრწანისში მიმდინარე მოვლენებს. მათ საშუალება მისცეს ორ დაპირისპირებულ და მესამე შუამავალ მხარეს დამოუკიდებლად ეწარმოებინათ თავიანთი პოლიტიკა. იგივე ითქმის თბილისში აკრედიტებულ გაეროსა და ეუთოს ოფისებზე.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთმა შეგნებულად დაუთმო რუსეთს სამოქმედო სივრცე. მას რეგიონში ერთადერთი ინტერესი ამოძრავებს. ევროპასა და ამერიკას ნავთობსადენის გაყვანისათვის სტაბილური კავკასია სჭირდება. შევარდნაძე-არძინბას მოლაპარაკებათა ილუზოლური შედეგი დასავლეთის მომგებიანი არ უნდა იყოს. თბილისში არ გადაწყვეტილა საკვანძო საკითხები – ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება, არ გარკვეულა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის მონახაზები. ეს ორი ფაქტორი კი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიორის, რომელიც აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის ძლიერ იურიდიულ ბერკეტს ქმნის. ორ თანაბარუფლებიან სუბიექტს შორის ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთს არ ავალდებულებს, საქართველოს შემადგენლობაში დარჩეს.

რუსეთი ასეთ სიტუაციაში დროს იგებს, აფხაზები კი მოდიან პირდაპირ კონტაქტებზე, რადგან ომი მათ არც ერთ შემთხვევაში არ აწყობთ. **რუსეთი მიხვდა, რომ კარგავდა საქართველოს და, შესაბამისად, სამხრეთ კავკასიას. იგი იძულებული იყო გაეაქტიურებინა თავისი სამშვიდობო შუამავლობა.** იმავდროულად, აფხაზები, ფაქტობრივად, რუსებთან ერთად გააგრძელებენ დროის გაჭიმვას და უარის თქმას საკვანძო საკითხების თბილისთან ერთად შეთანხმებაზე. თუკი თბილისი გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას გაწელილი დრამის დასრულებას გადაწყვეტს, დასავლეთი, ფაქტობრივად, მზად არის თავის ჯარებს გადასცეს სამშვიდობო ფუნქცია, ან სხვა ფორმით უფრო მძლავრად დამკვიდრდეს რეგიონში. ამით აიძულებს რუსეთს, უარი თქვას კიდეე ერთ უმნიშვნელოვანეს გავლენის სფეროზე.

პირველი პირისპირ მოლაპარაკებების შედეგებზე დასავლეთის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია. მომავალ კვირაში თბილისში ჩამოდის აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში. სავარაუდოა, რომ იგი ოფიციალური ვაშინგტონის პოზიციას დააფიქსირებს.

ლიკა ბასილაია

21 აგვისტო – „რეზონანსი“

დღეს აფხაზეთის ხელისუფლება შეიძლება გადადგეს

„ცენტრალური ხელისუფლება „ქურდულად“ იქცევა“, – მიაჩნია დეპუტატ ფაცაციას.

ჟვანიამ ოპოზიციას უნიათობა დააბრალა

„შევარდნაძე ისე ექცევა აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას, როგორც ელცინი – დოკუზავგაევს“, – **აცხადებს გერმანე ფაცაცია. არძინბას შემდეგ ლტოლვილი ხელისუფლება უაღრესად განაწყენებულია. ფრაქცია „აფხაზეთის“ ლიდერის თქმით,** თანამდებობიდან გადადგომითა და „ხელისუფლების კრიზისის“ მოწყობით დევნილები ეცდებიან აიძულონ ცენტრი აფხაზეთის საკითხის მიმართ პოლიტიკური კურსი შეცვალოს. **ზურაბ ჟვანიას თქმით, აფხაზეთის მთავრობა მოლაპარაკებებში იმიტომ არ მონაწილეობს, რომ ოფიციალური თბილისის პოლიტიკას არ იზიარებს.**

„გუშინ პარლამენტში აფხაზეთის ორმა სახელისუფლო შტომ, უზენაესმა საბჭომ და მინისტრთა კაბინეტმა, ზურაბ ჟვანიას განუცხადა, რომ დევნილი ხელისუფლება გადადგება, თუ ოფიციალური თბილისი არ შეცვლის პოლიტიკას აფხაზეთთან მიმართებაში.

თუმცა შეხვედრისას ნათელი გახდა, რომ გადადგომის თაობაზე ერთიანი პოზიცია აფხაზეთის დევნილ ლიდერებს არ გააჩნიათ. „ვიბრძოლოთ ბოლომდე ჩვენი იდეების გასატარებლად, თუ დავყაროთ ფარ-ხმალი, გადავდგეთ და მივცეთ სხვებს დევნილთა და ქვეყნის ბედი ისე განაგონ, როგორც თავად მოესურვებათ? – აფხაზეთის მთავრობა დილემის წინაშე დგას. „თუ თქვენ გადაწყვეტთ თქვენი სტრუქტურების ლიკვიდაციას, ეს იმას ნიშნავს, რომ არძინბას მთავრობის ლეგიტიმურობას ვაღიარებთ" – განუცხადა „პროტესტანტებს" ზურაბ ჟვანიამ.

რაც შეეხება ოპოზიციონერთა შეკითხვას, შეცვლის თუ არა ხელსუფლება, მათი თქმით, „ქვეყნის ერთიანობისთვის დამღუპველ პოლიტიკურ გეზს", მათ ზურაბ ჟვანიასგან მინიშნებითი პასუხი მიიღეს: „თქვენ მოითხოვდით პირდაპირი კონტაქტები დაგვემყარებინა აფხაზეთის დღევანდელ ლიდერებთან, ხელისუფლებამ ეს გააკეთა, მაგრამ თქვენ კვლავ უკმაყოფილონი ხართ, ამდენად, ვიტყოდი, რომ უნიათო ოპოზიციაა და არა ხელსუფლება, რადგან ასე სწრაფად იცვლის შეხედულებებს". მისივე თქმით, დღეს რეალური ძალაუფლება აფხაზეთში ვლადისლავ არძინბას ხელშია და, ამდენად, იძულებულნი ვართ, მასთან ვანარმოოთ მოლაპარაკება".

თამაზ ნადარეიშვილი მოითხოვს, რომ „ჟენევის, ნიუ-იორკის თუ მოსკოვის მოლაპარაკებებში აფხაზეთის ერთადერთი ლეგიტიმური მთავრობა უფრო აქტიურად ჩართონ, რადგან ბორის კაკუბავას თქმით, „იქ ჩუმად ისეთ დოკუმენტებს ანერენ ხელს, რაც ქვეყნის ღალატის ტოლფასია". გერმანე ფაცაცია კი მიიჩნევს, რომ „ყველაფერი ქურდულად წყდება, ფაქტობრივად, უკვე გადაუწყვეტიათ კიდეც, ჩვენ რაღად გვინდა ასეთ მოლაპარაკებებში მონაწილეობა!"

ჟვანია არ ეთანხმება ოპოზიციონერთა მოსაზრებას, რომ მოლაპარაკებათა პროცესში სასიკეთო არაფერი მომხდარა. მისი თქმით, დღეს არძინბა თანახმა არის, აფხაზეთი საქართველოს ე. წ. „საერთო სახელმწიფოს" შემადგენლობაში დარჩეს, სადაც საერთო ეკონომიკურ არეალში ერთიანი საბაჟო და საგადასახადო სისტემა იმუშაებს, ერთიანი თავდაცვის და საგარეო პოლიტიკა გატარდება. „გვინდა მერე ჩვენ ასეთი „საერთო სახელმწიფო?" – იკითხა კაკუბავამ. „როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან ტერმინები „ერთიანი" და „საერთო"! – აღშფოთდა ფაცაცია. „პირადად თქვენ, ბატონო ზურაბ, დათანხმდებოდით ასეთ „საერთო სახელმწიფოს შექმნას?" – დასვა პროვოკაციული შეკითხვა ერთ-ერთმა დევნილმა ხელისუფალმა. „სრულიად ახალ და საკმაოდ საინტერესო რამეს გვატყობინებთ, ბატონო ზურაბ, – გულახდილად მოინონა „ახალი პროექტი", მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ლონდერ ცაავამ** (პროექტი დიდი ხანია არსებობს და, ფაქტობრივად, „დაძველდა" კიდეც).

„სწორედ იმიტომაც არ მოვაწერეთ ხელი ასეთ დოკუმენტს, რომ არ მოგვწონს", – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ და კვლავ მოუწოდა კოლეგებს თანამშრომლობისკენ: „მე არ მეგულება რაიმე სხვა ძალა თუ ხელისუფლება, რომელიც თქვენზე უკეთ გაართმევს თავს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს". მან იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკვანძო საკითხებში აფხაზთა პოზიცია დღეს ურყევია, და რომ ორმხრივი დიალოგის გააქტიურების მომხრეა. ზურაბ ერქვანიას აზრით, „როდესაც საუბარია ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახვაზე, საჭიროა შერიგდეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველი და აფხაზი მოსახლეობა და არა ჩვენ და არძინბა და მისი თანამოაზრეები, რომელთაც კომპრომისზე წასვლა არ შეუძლიათ".

ფრაქცია „აფხაზეთის" შეურიგებელ პოზიციას მთლიანად მხარს უჭერს „სახალხო" ფრაქცია. პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გიორგი კობახიძის თქმით, მისაღები იქნებოდა, თბილისში არძინბა საერთაშორისო ორგანიზაციებს ან „მეგობარ სახელმწიფოებს" რომ ჩამოეყვანათ. ფრაქციის წევრის, ალექსანდრე ჯიქიას თქმით, არძინბას ჩამოყვანით, **რუსეთმა კვლავ დაუმტკიცა ყველას, რომ გავლენის სფეროს დაკარგვას არ დაუშვებს. „ამერიკელებმა რეალური დახმარება აღგვითქვეს, ჩვენ კი პირი ისევ**

რუსეთისკენ ვიბრუნეთ!" – განაცხადა მან. მისივე თქმით, აღმაშფოთებელია, რომ ჩავიხუტეთ მტერი, რომელიც დანაშაულს არ ინანიებს". აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება დღეს გადაწყვეტს, გადადგეს თუ არა უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მსვლელობისას.

ლიკა ბასილაია

1 სექტემბერი

მარტო არძინბას ჩამოსვლა, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილებდა დეევნილებს. ამავე დროს შევარდნაძემ რუსეთსაც აგრძნობინა, რომ საქართველოსაც შეუძლია კავშირი დაამყაროს ჩეჩნეთთან. ამიტომ 30 აგვისტოს ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ჩამოვიდა თბილისში. მას აეროპორტში დახვდნენ ნიკო ლეკიშვილი და ზურაბ ჟვანია, რის შემდეგ ის კრნანისის რეზიდენციაში შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს. მან მანამდე განაცხადა, რომ მიესალმება კასპიის ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებას და რომ იგი თბილისში აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მისეული გეგმით ჩამოვიდა.

გუშინ პრეზიდენტები ახმეტაში იყვნენ.

31 აგვისტო – „რეზონანსი"

ჩეჩენთა დეილეგაცია არ მალავს, რომ საქართველო მათთვის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც შავ ზღვაზე, შესაბამისად, ევროპაზე გასვლას განაპირობებს. ჩეჩნეთი მიესალმება საქართველოზე კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას. ამასთან, გროზნო აპირებს საკუთარი ნავთობის მარაგიც საქართველოზე გავლით გაატაროს. ამ საკითხს მასხადოვი აფხაზეთის პრობლემას უკავშირებს.

მასხადოვისეული გეგმის თანახმად, ჩეჩნურმა ნავთობმა აფხაზეთზე უნდა გაიაროს. ოფიციალური გროზნო, ანუ როგორც თავად უწოდებენ – ჯოჰარყალა, არ აპირებს შეცვალოს ეს მარშრუტი. მასხადოვი ეცადა დაერწმუნებინა შევარდნაძე, რომ გროზნო-სოხუმის მარშრუტი ორივე **მხარისათვის მისაღებია, „ჩვენ არც ისე მდიდრები ვართ, რომ ჩვენი ნავთობი საქართველოს სხვა პორტებით გადავზიდოთ. ფოთი, სუფსა და ბათუმი გაცილებით უსაფრთხო და უპრობლემო ნავსადგურებია. თუმცა ნავთობის სოხუმზე გატარებით ჩვენ გვინდა მოვიმადლიეროთ საქართველოს ხელისუფლება. ჩვენ შეგვიძლია დაგაბრუნებინოთ აფხაზეთი",** – პირდაპირ განაცხადა ჩეჩნეთის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა.

ჩეჩნეთში სპეციალისტებმა, როგორც ჩანს, უკვე დაითვალეს გროზნო-თბილისის ნავთობსადენის ფინანსური ასპექტები. წინასწარი მარშრუტის თანახმად, მილმა კასპიის ნავთობსადენის სიახლოვეს, მის პარალელურად უნდა გაიაროს. მშენებლობაში კაპიტალდაბანდებებს ჩეჩნები ევროპიდან მოელიან. სწორედ ამ ინვესტიციებს მიეძღვნება მასხადოვის ვიზიტები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. თავად რუსი მიმომხილველები აღიარებენ, რომ მასხადოვის ვოიაჟების ნარმატება რეალურია.

დამოუკიდებელი ექსპერტების გაანგარიშებით კი, **გროზნო-სოხუმის შემაერთებელი პროექტის ღირებულება თითქმის უტოლდება გროზნო-ფოთისა და გროზნო-სუფსის მარშრუტების ღირებულებას.** საქართველოს ხელისუფლებაში ჯერ კიდეე არ გადაუწყვეტიათ, რომელ მარშრუტს მიანიჭონ უპირატესობა. არსებობს მოსაზრება, რომ აფხაზეთზე ჩეჩნური ნავთობის ტრანსპორტირება მოსკოვთან არის შეთანხმებული. ამ არგუმენტს იმით ასაბუთებენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოო მოგვარება ერთხელ და სამუდამოდ მიებმება ჩეჩნეთის პრობლემას. ამასთან, რუსეთს ყოველთვის შეეძლება, ზენოლა მოახდინოს აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებაზე და აიძულონ იგი, შანტაჟი მოუწყოს ჩეჩენ მენავთობეებს.

საქართველოს ხელისუფლებაში მიაჩნიათ, რომ ჩეჩნური ნავთობი აფხაზეთზე მხოლოდ მას შემდეგ გაივლის, რაც საბოლოოდ მოწესრიგდება კონფლიქტი. ლეგიტიმური საფუძველი ახალი ნავთობსადენისათვის ოფიციალურმა თბილისმა, ანუ პარლამენტმა უნდა მომაზადოს. მშენებლობა დაიწყება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გარკვევისა და ლტოლვილთა დაბრუნების შემდეგ. აქედან გამომდინარე, თბილისში იმედი აქვთ, რომ ნავთობსადენის უსაფრთხოების ბერკეტები თბილისში დარჩება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გროზნოსოხუმის ნავთობსადენის მშენებლობა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყება, რაც კასპიის პირველი საცდელი ნავთობი ახალი ალტერნატიული მარშრუტით აფხაზეთზე გაივლის. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ შემუშავებული ალტერნატიული ვარიანტის თანახმად, რუსეთის პორტი ნოვოროსიისკი აფხაზეთზე გავლით სახმელეთო მილსადენით სუფსას და შემდეგ თურქულ პორტ ჯეიჰანს დაუკავშირდება. ამ გეგმის განხორციელებაზე მოლაპარაკებები არძინბასთან ჯერჯერობით არ დამთავრებულა. უცნობია მისი მიმდინარეობის კონკრეტული ასპექტებიც.

2 სექტემბერი

გაზ. „ახალ თაობაში" 2 სექტემბერს მომეწონა **აკაკი ასათიანის** ნათქვამი

„არც შევარდნაძეა ქართველი და არც არძინბა – აფხაზი, ორივე ბედკრული რუსეთის შვილია"

22 სექტემბერი – „რეზონანსი"

ქართულ-აფხაზური ეაჭრობა გრძელდება

დღეს თბილისი აფხაზთა „პრემიერს" გაისტუმრებს

„პრემიერი" ბაგაფში თბილისში ავტორიტეტული სეპარატისტებით დაკომპლექტებული დელეგაციით ჩამოვიდა. მასთან ერთად მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ „ვიცეპრემიერი", სისხლის სამართლის დამნაშავე და საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების ძებნილი **კონსტანტინე ოზგანი** „აფხაზკავშირგაბმულობის ხელმძღვანელი **ედუარდ ფილია;** „ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორი ხუტა ჯინჯოლია; რკინიგზის გენერალური დირექტორი **სამამბა** და საზღვაო პორტის გენერალური **დირექტორი არძინბა.**

მოკლე ბრიფინგის დასასრულს ბაგაფშმა **თავი „აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად"** წარმოადგინა. კითხვაზე, ფორმულირებაში იგულისხმება დამოუკიდებული სახელმწიფო თუ საქართველოს ნაწილი, მან განაცხადა – „გააჩნია, ვინ როგორ აღიქვამს".

ქართულ მხარეს მოლაპარაკებებზე სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობდა. პირველი რაუნდი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ორ საათს გაგრძელდა. 14 საათისათვის ბაგაფში და მთელი დელეგაცია პრეზიდენტმა შევარდნაძემ სახელმწიფო კანცელარიაში მიიღო. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

დღის მეორე ნახევარში განახლებული მოლაპარაკებები გვიან საღამოს დამთავრდა. ინფორმირებული წყაროს ცნობით, მთელი დრო, ტრადიციულად, ერთობლივი დოკუმენტების შეთანხმებას მოხმარდა. ბაგაფშის ცნობით, პროტოკოლში დაფიქსირებულია განხილული სფეროები და შემდგომში ჩასატარებელი სამუშაოები. მისი თქმით, შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ადგილებზე შეისწავლის ტრანსპორტის პრობლემატურ საკითხებს. „პრემიერმა" ისიც დასძინა, რომ ეს ჯგუფი გადაამოწმებს მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისწორედ. ამასთან, ლეკიშვილის ცნობით, სამუშაო ჯგუფმა უნდა მოაგვაროს სატრანსპორტო სქემის პრობლემა. ტრანსპორტის მინისტრ ადეიშვილის თქმით, ერთობლიობაში უნდა შემუშავდეს სარკინიგზო, საპორტო და საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის რეალური სურათი.

მხარეები კატეგორიულად ვერ შეთანხმდნენ კავშირგაბმულობის საკითხებზე. აფხაზები კვლავინდებურად დაჟინებით მოითხოვენ 15 აპრილამდე მდგომარეობის აღდგენას, რაც რუსეთის კავშირგაბმულობის სივრცეში მათ დაბრუნებას ითვალისწინებს. თბილისი ერთმნიშვნელოვნად უარს ამბობს ამ დათმობაზე და სანაცვლოდ სთავაზობს საქართველოს გავლით სატელეფონო ხაზების განუსაზღვრელ რაოდენობას.

სწორედ ამ პრინციპული საკითხის გამო ერთი კვირის წინ ბაგაფშმა ეჭვის ქვეშ დააყენა თბილისში დაგეგმილი მოლაპარაკებების გამართვა. 18 სექტემბერს მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ კომუნიკაციებზე შეუთანხმებლობა გამოსავლის ძიების აუცილებლობას ქმნის და მოლაპარეკებათა პროცესს ეს პრობლემა ვერ შეაჩერებს.

ლეკიშვილმა და ბაგაფშმა ერთხმად აღნიშნეს ენერგეტიკაში მიღწეული წარმატებები. სახელმ-

ნიფო მინისტრის თქმით, მიღწეულია გარკვეული შეთანხმება ენგურჰესზე ვარდნილი კაშხლის თაობაზე. აფხაზების „პრემიერის" განცხადებით, სასურველია ასეთივე წარმატების მიღწევა სხვა საკითხებში, როგორიც ენერგეტიკის სფეროში გვაქვს.

გიორგი სანაია

28 სექტემბერი

27 სექტემბერი რომ მოდის სულ ცრემლები მომდის, მენატრება ჩემი სოხუმი, გაგრა, ლესელიძე. ღმერთო, თურმე, ადრე რა ბედნიერები ვიყავით. ხშირად ჩემი თავი სიზმარში მგონია.

28 სექტემბერი – „რეზონანსი"

აფხაზეთში გაციებული ქართული
კერები სიმბოლურად გაათბეს

დაბრუნების გზები კი ურთიერთგამომრიცხავია

გუშინ საქართველოში აფხაზეთის დროებითი დაკარგვისა და ქართველთა გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნა. თბილისში, ვაკის პარკში ამ დღისადმი მიძღვნილი მიტინგი გაიმართა. აქცია საღამოს კოცონის დანთებით დასრულდა, რაც მის ორგანიზატორთა თქმით, სიმბოლურად აფხაზეთში გაციებული კერების გათბობას ნიშნავს.

„ხსოვნისა და იმედის დღე" თბილისიდან ენგურამდე კოცონების დანთებით აღინიშნა. დედაქალაქში, ვაკის პარკში სოხუმის დაცემის მეოთხე წლისთავისადმი გამართულ აქციაში 1000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მიტინგის წინ ორგანიზატორებმა ყვავილებით შეამკეს სახელმწიფოროების აღდგენისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალური დაფა.

„ოთხი წლის წინათ, ამ დღეს ჩვენ სოხუმი დავტოვეთ. დღეს უნდა მოვიგონოთ ყველა ის მებრძოლი თუ მოქალაქე, ვინც შეეწირა ამ უბედურებას ომის დროს და მას შემდეგ, რაც სეპარატისტები აკონტროლებენ აფხაზეთს. ეს დღე უნდა იყოს სევდანარევი ოპტიმიზმის დღე, სანამ სოხუმში არ დაებრუნდებით", განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ.

მისი თქმით, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. „აფხაზეთის დასაბრუნებლად ეკონომიკური რეფორმები ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ძლიერი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი უზრუნველყოფს ჩვენი ინტერესების დაცვას. საქართველო არასოდეს დათმობს აფხაზეთს. უნდა მივყვეთ აღებულ კურსს და დაბრუნების საკითხი უახლოეს მომავალში გადაიჭრება", – აღნიშნა ბარამიძემ.

თამაზ ნადარეიშვილის პოზიცია აფხაზეთის დაბრუნების საკითხში უცვლელი დარჩა. „ერთადერთი სწორი გზა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის – ძალისმიერი გზაა. როდესაც სრულიად საქართველოში მომწიფდება ეს აზრი, მაშინ აფხაზეთსაც დავიბრუნებთ. რაც შეეხება დევნილთა დაბრუნებას, ჯერ პოლიტიკური საკითხი უნდა გადაწყდეს. მათ უნდა იცოდნენ, სად და ვისთან ბრუნდებიან. თუ აფხაზეთში სხვა სახელმწიფოს სახელით დაგვეულაპარაკებიან, მაშინ დევნილთა დაბრუნება არ მოხდება", – განაცხადა ნადარეიშვილმა.

დევნილთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის აზრით, ეს დღე ტკივილის, ტრაგედიისა და ქართველთა გენოციდის დღეა. „გენოციდი უფრო ადრე, გაგრის დაცემით დაიწყო, ხოლო სოხუმში მან პიკს მიაღწია. ამიტომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა კარგად უნდა იცოდნენ, თუ რა მოხდა აფხაზეთში 1993 წლის 27 სექტემბერს. სამშვიდობო პროცესმა ვერაფერი მოგვიტანა. პერსპექტივებს ვერც დღეს ვხედავ, ამ შეხვედრებითა და ვიზიტებით. ამიტომ მხოლოდ ძალის გამოყენებით შევძლებთ იურისდიქციის აღდგენას ამ ძირძველ კუთხეში", – დასძინა ნადარეიშვილმა.

„რეზონანსის" კორესპონდენტთან საუბარში მან იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო 27 სექტემბერს იგი სოხუმში შეხვდება. ღონისძიება საღამოს კოცონის დანთებით დასრულდა. ანალოგიური აქციები გუშინ საქართველოს მრავალ ქალაქში ჩატარდა. 200-მდე კაცი, მიუხედავად ცუდი ამინდისა, სანთლებით ხელში ენგურის ხიდს მიადგა. რუსმა სამშვიდობოებმა ისინი ხიდზე არ გაატარეს და არც რაიმე განსაკუთრებული ინტერესი გამოუმჟღავნებიათ აქციის მონაწილეებისადმი.

ვასო კაპანაძე
რიჩარდ გულია
მირიან ლეგანიძე

23 ოქტომბერი

22 ოქტომბერი – „რეზონანსი"

რუსებს აფხაზეთიდან ჯერ არ „გაყრიან"

ელცინს კი კიშინიოვში ბრეჟნევის საწოლზე დააძინებენ

დღეს საღამოს კიშინიოვში ესენგეს პრეზიდენტთა სამიტი დაიწყება. მოლდოვა სერიოზულად მოემზადა 12 პრეზიდენტის მისღებად. ადგილობრივი უშიშროების რძანებით, კიშინიოვის ცენტრი მოსახლეობისათვის დახურული ზონა იქნება. მოსახლეობას კი აივნებზე გამოსვლა აეკრძალა. პრეზიდენტ ელცინს მოლდოველები ბრეჟნევის საწოლზე დააძინებენ. **საქართველოს პრეზიდენტი არ აპირებს რუსეთის „მშვიდობისმყოფელთა" საკითხის განსახილველად გამოტანას.**

23 ოქტომბერი – „რეზონანსი"

შევარდნაძემ მხოლოდ გაციების გამო არ გადადო ვიზიტი კიშინიოვში პრეზიდენტი დღეს ჩავა

გუშინდელის ნაცვლად, შევარდნაძე კიშინიოვში დღეს გაფრინდება. ნახევრად ოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტმა თავისი ვიზიტი ავადმყოფობის გამო გადადო. თუმცა იმავე დღეს იგი სამსახურში გამოცხადდა. პრეზიდენტის პრესმდივნის ცნობით, ვიზიტის გადადება სამიტის პროგრამაში ცვლილებამ გამოიწვია. ავადმყოფობის გამო კიშინიოვში არ ჩავა თურქმენეთის პრეზიდენტი ნიაზოვიც.

აბაშიძის თქმით, შევარდნაძის ვიზიტის გადადების მთავარი მიზეზი ავადმყოფობა არ არის. „პრეზიდენტი კვირის შემდეგ გაციებულია. ამის მიუხედავად, მას არ გაუცდენია არც ერთი ღონისძიება", – განუცხადა პრესმდივანმა „რეზონანსს". ამასთან, პრეზიდენტის პირადი ექიმი, ცნობილი კარდიოლოგი მერაბ ბოხუა ამჟამად თამაზ ნადარეიშვილს გერმანიაში სამკურნალოდ ახლავს.

11 ნოემბერი – „რეზონანსი"

ვიდრე ჩვენს გამაუპატიურებელს ვეტყვით „სიამოვნება მოგვანიჭე", არაფერი გამოვა, მიაჩნია პარლამენტარ გერმანე ფაცაციას

დღეისათვის დაგეგმილმა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა ყრილობამ პოლიტიკოსები ერთმანეთს დაუპირისპირა. დევნილთა პოლიტპარტიების საკოორდინაციო საბჭოს განუდგა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება. მათთან აღარ არის პარლამენტარი, ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარე **გერმანე ფაცაცია.** განდგომილები კი ერთმანეთის მონინააღმდეგე მხარეებად იქცნენ.

„რ" – „რადიკალები მიიჩნევენ, რომ საკოორდინაციო საბჭო პრეზიდენტ შევარდნაძის შექმნილია"...

„გ. ფ." – „რადიკალების გასაგონად ვამბობ, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. აფხაზეთს ვერანაირად ვერ დაიბრუნებთ, თუ არ გაერთიანდებით. ამ საბჭოს თავიდან არ გაეკარა აფხაზეთის ეგრეთ წოდებული ლეგიტიმური ხელისუფლება, თავისი ყველა ატრიბუტით".

შევარდნაძეს არ სჭირდება დამატებითი ინსტიტუტის შექმნა, რადგან მან უკვე შექმნა ისეთი, რომელიც ყველა სხვა ინსტიტუტებს გააბითურებს. გუშინდელ რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა მკვეთრ კონცეპტუალურ ჩარჩოებში მოაქცია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო. მან ეგრეთწოდებული უწოდა საბჭოს, რომელმაც აგვისტოში დევნილთა ყრილობაზე შევარდნაძეს ვერდიქტი გამოუტანა. მაშინ ამ ვერდიქტს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომაც დაასვა თავისი ბეჭედი.

„რ" – „გულისხმობთ იმას, რომ თამაზ ნადარეიშვილმა რეზოლუციას ხელი მოაწერა"?

„გ. ფ." – „რა თქმა უნდა, დღეს კი საპირისპირო განცხადებებს აკეთებს. ამ ხნის მანძილზე პიროვნულად არასოდეს შევხებივარ და არც ახლა ვაპირებ. ვაკრიტიკებ მხოლოდ კონცეფციას. ყველას ერთი რამ ავიწყდება, დღეს შეიძლება რამე თქვა და ეს შეგრჩეს, მაგრამ ხვალ უსათუოდ მოგკითხავენ. ისინი მიუჩოჩდნენ შევარდნაძეს და მისი ქოლგის ჩრდილში თავს მშვენივრად გრძნობენ".

„რ“ – „ბოლო ყრილობიდან სამი თვე გავიდა, მაგრამ თქვენი მოთხოვნა – სამშვიდობო ძალების გაყვანა არ შესრულდა. თქვენი მხრივ არ შეასრულეთ პირობა, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას იმ ზომამდე მიიყვანდით, რომ ხელისუფლება ნებით გადადგებოდა. ახალი ყრილობის წინ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ ყრილობა დეკემბერში სამიტის წინ უნდა ჩატარდეს, რათა პრეზიდენტს ხალხის სახელით საუბრის საშუალება მიეცეს.

„გ. ფ.“ – „პრეზიდენტს ხალხის სახელით ლაპარაკის საშუალება შვიდჯერ გააჩნდა. ყოველთვის საჩინო იყო პოლიტიკური დაპირისპირება რადიკალ ნადარეიშვილსა და შევარდნაძის აპოლოგეტ ერქვანიას შორის. შევარდნაძის წყალობით საქართველოს ტერიტორიის ერთი მესამედი კიდევ რომ ჩამოეჭრას, ერქვანია გამოვა და თავისი დემაგოგიით იტყვის, ეს დემოკრატიის აღმშენებლობის ამ ეტაპზე აუცილებელი იყოო. ნადარეიშვილს, რომელიც შევარდნაძეს თვითონ გაემიჯნა და დაუპირისპირდა, ახლა მისი იმედი აქვს. ჰგონია, შევარდნაძე სამიტზე რადიკალურად დააყენებს საკითხს ფაქტობრივი ოკუპანტის გაყვანის თაობაზე. ისე ჩემი მტერი არ იქნა, შევარდნაძემ ოკუპანტს ოკუპანტი უწოდოს და მოყვარეს – მოყვარე. ნადარეიშვილისგან განსხვავებით, ერქვანია ყრილობის გამართვას სამიტის შემდგომ მოითხოვს, რადგან იცის – ნებისმიერ შემთხვევაში შევარდნაძე რუსებს მანდატს გაუგრძელებს. საერთო ჯამში ეს არის ორი ხმა, რომელიც პოლიტიკურ პოლიფონიას თუ არ ქმნის, ოპერა ლაკას მაინც მღერიან. ამის დანახვას განსაკუთრებული მახვილი თვალი არ სჭირდება“.

„რ“ – „შევარდნაძესთან ერთხელ უკვე დაპირისპირებული აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება დღეს აცხადებს, რომ პრეზიდენტმა კიშინიოვის სამიტზე მანდატის გაგრძელებას ხელი არ მოაწერა და ესეც საკმარისია, რომ მისი გადადგომა არ მოითხოვონ".

„გ. ფ.“ – „თუ ფაქსიმილიაზეა ლაპარაკი, არ ვიცი, პრეზიდენტმა რაზე არ მოაწერა ხელი. პარლამენტის 30 მაისის დადგენილებით, რომლისაც არ მწამს, რუსეთის სამშვიდობო ჯარებს მანდატის დრო 31 ივლისს გაუვიდათ. ნადარეიშვილის მტკიცება, რომ შევარდნაძეს მანდატი არ გაუგრძელებია, ტყუილია. მაშ იქ ოკუპანტები ვისით არიან. მართალია, ხელი არაფერზე მოაწერა, მაგრამ ხომ დაფიქსირდა რიცხვი 31 იანვარი. საკოორდინაციო საბჭოს განეუცხადე, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ სოლიდურ პარტიზანულ მოძრაობაშია. საკოორდინაციო საბჭოს გავემიჯნე იმისთვის, რომ ორჯერ განხილული გეგმა, თუ როგორ უნდა აგვერჩია უფლებამოსილი საბჭო, რომელიც თავის მხრივ ლიდერს აირჩევდა და ხალხს გაუძღვებოდა, ყრილობის დღის წესრიგში არ ჩართეს. ამიტომ ვთქვი, რომ ხელს არ შეგიშლით, მაგრამ შინაგანად ემიგრაციაში მყოფი, შეგხედავთ რას გააკეთებთ“.

„რ“ – „არის მოსაზრება, რომ საკოორდინაციო საბჭოს ხელისუფლების დამხობა სურს და ამის დამამტკიცებელ არგუმენტად ყრილობის რეზოლუცია მოჰყავთ. მიაჩნიათ, რომ ამგვარი განცხადებები სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება“.

„გ. ფ.“ – „არამც და არამც. იმ რეზოლუციაში სიტყვასიტყვით ეწერა, რომ თუ ხელისუფლება ყრილობის რეზოლუციას ერთი თვის მანძილზე არ შეასრულებდა, მაშინ დევნილი მოსახლეობა უპირისპირდება და ემიჯნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება უნდა დავამხოთ. ჩვენ მათ ვემიჯნებით და მეტი არაფერი. დაუმორჩილებლობას ვუცხადებდით, დაუმორჩილებელი ადამიანი კი ყველაფერს აღნევს და სახლებში დასაბრუნებლად როგორმე იარაღსაც ვიშოვით.

„რ“ – „გენერალური პროკურორის მოადგილის ანზორ ბალუაშვილის სატელევიზიო ინტერვიუდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკოორდინაციო საბჭოს ხელისუფლება დესტრუქციულ ძალად თვლის, თითქოს მას დესტაბილიზაცია სურს“.

„გ. ფ.“ – „ასეთი სისულელეები აუტანელია. ხელისუფლებას არ ვამხობთ და, მით უმეტეს, არსად არ ვაგდებთ. იქამდე დაგიპირისპირდები, იქამდე არ მოგასვენებ, იქამდე ვიქნები შფოთისთავი, სანამ უმთავრეს პრობლემას არ გადავნყვეტ. წინაალმდეგ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ ხელისუფლება მძლავრ ნაბიჯებს არ დგამს, რადგან ამის თავი არა აქვს. მგონია, რომ შენ გააკეთე პოლიტიკური ბარიერი, მიიღე ხელისუფლება და ჩააბარე ტერიტორიები. თუ შევარდნაძე ამ ეჭვს გამიფანტავს, მუხლს მოვუყრი და ბოდიშს მო-

ვუხდი – რა სულელური ეჭვი გამოჩნდა. აფხაზეთის დასაბრუნებლად სახელმწიფოებრივი კურსი უნდა გატარდეს.

ვიდრე ჩვენს დამპყრობელს სტრატეგიულ პარტნიორს ვუწოდებთ, ვიდრე ჩვენს გამაუპატიურებელს ვეტყვით – სიამოვნება მოგვანიჭე, ვიდრე უღვთოობას და უგზოობას სტაბილიზაციას ვუწოდებთ, არაფერი არ გამოვა. ჩვენი მიზანია, ხელისუფლებამ აფხაზეთი დაგვიბრუნოს ან მივიყვანოთ სახელისუფლებო კრიზისამდე".

ხათუნა ბინაძე

12 ნოემბერი „რეზონანსი"

დევნილებმა შევარდნაძეს მოღალატე უძახეს სწორია, – ბანს აძლევდნენ მათ დარბაზიდან

გუშინ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ლტოლვილთა ყრილობა არ შედგა. დეპუტატმა ბორის კაკუბავამ და რამდენიმე ასეულმა ლტოლვილმა თავიანთ თავშეყრას „შეკრება" უწოდეს და პრეზიდენტის გადადგომა, ხელისუფლებისათვის უნდობლობის გამოცხადება და აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოითხოვეს. მათ პრეზიდენტ შევარდნაძეს გამყიდველი, ცომაიას, შუკვანსა და ნიკოლაძეს კი პოლიტპატიმრები უწოდეს.

დევნილთა მეორე ყრილობა 11 საათზე უნდა დაწყებულიყო. ფილარმონიასთან ჩვეული სცენარი გათამაშდა: პოლიციელები დელეგატებს სჭარბობდნენ. ფრაქცია „აფხაზეთის" დეპუტატ კაკუბავას განცხადებით, **მათ მერია ყრილობის მონვევის შესახებ 15 დღით ადრე გააფრთხილეს. ამიტომ მან პოლიციელებს დევნილების ფილარმონიაში შეშვება მოსთხოვეს. თავად სამართალდამცავებმა კი თქვეს, რომ ამის შესახებ ოფიციალური შეთანხმება არ ყოფილა. მათ ცოცხალი ჯაჭვი კიდევ უფრო შეაეიწროვეს და ლტოლვილებს ფილარმონიაში შესვლის ყოველგვარი შანსი მოუსპეს. კაკუბავა და საკოორდინაციო საბჭოს სხვა წევრები მოვლენების განვითარებას ორი საათის განმავლობაში ელოდნენ. დევნილებს თავიანთი სიმცირე უკვირდათ.** კაკუბავამ ეს ხელისუფლებას გადააბრალა და განაცხადა, რომ ხელისუფლებამ დევნილებს თბილისში ჩამოსასვლელი გზები ჩაუკეტა.

პოლიციელებმა დევნილებს ყრილობის მოწყობა ოფიცერთა სასახლეში შესთავაზეს. კაკუბავა გამოსავალს ეძებდა და ღელავდა: „თუ არ შემიშვეს, სოხუმში ნავალ", – განაცხადა მან. თუმცა ღია ცის ქვეშ დგომას ან სოხუმში დაბრუნებას, მაინც ოფიცერთა სასახლეში შეკრება ამჯობინა. დევნილთა ნაწილმა მას ცუდი ორგანიზატორი უწოდა და ხელისუფლების მიერ გამოყოფილ ავტობუსებში არ ავიდა. ამასობაში, დელეგატები კაკუბავას ოპერასთან ელოდნენ, სხვები კი მეტრო „გოცირიძესთან" იყვნენ. დევნილთა ყველა სავარაუდო „სამიზნეს" კი მრავალრიცხოვანი პოლიციელები აკონტროლებდნენ.

კაკუბავას და საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა ოფიცერთა სასახლემდე დიდი დანაკარგებით ჩააღწიეს. ოფიცერთა სასახლეში **2551 დელეგატის ნაცვლად დაახლოებით 700 შეიკრიბა.** მათი თანამოაზრე, ქართველ ნაციონალისტთა ერთობის ლიდერი, **გია მამალაძე** და საკოორდინაციო საბჭოს წევრი **დემურ დარსალია** პოლიციამ მცირე ხნით დააკავა.

კაკუბავამ საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან და ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან: გიორგაძესთან, ნათაძესთან, ბოჭორიშვილსა და ჩხეიძესთან მოილაპარაკა. საბოლოოდ კი გადაწყვიტა, რომ დელეგატების სიმცირის გამო ყრილობის გადაწყვეტილება არაკანონიერი იქნებოდა და თავშეყრას „შეკრება" უწოდა.

კაკუბავამ შევარდნაძეს „უკბინა": „თურმე ის, ვინც აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანას მოითხოვს, რუსეთის აგენტია. შევარდნაძე კი დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსია. თურმე მამათში დაბადებულ კოფი ანანს რუსი ჯარისკაცების საქართველოდან წასვლა უნდა". კაკუბავამ შევარდნაძე რუსი მშვიდობისმყოფელებისთვის მანდატის თვითნებურ გაგრძელებაში დაადანაშაულა.

ამასთან, მისი საქართველოში დაბრუნების ისტორია გაიხსენა და აღნიშნა: „ნახევარი საქართველო გაწყვიტა და დაკარგა... **ის ჯარი, რომელიც სამეგრელოში დგას, მხოლოდ ადგი-**

ლობრივი მოსახლეობის დათრგუნვას ემსახურება“.

მან შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნის მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა, რადგან, მისი თქმით, პრეზიდენტი მაინც არ გადადგება. ამ საკითხს სიტყვით გამოსული ოპოზიციონერები დროდადრო უბრუნდებოდნენ. მაგალითად, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა, **ირაკლი ნერეთელმა შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა აუცილებლად მიიჩნია.** მისი აზრით, პრეზიდენტის გადადგომა და დესტაბილიზაცია ერთმანეთს არ უკავშირდება. სამაგიეროდ, ეს ეროვნული ძალების სახელმწიფოს სათავეში მოსვლის ერთადერთი შანსია.

შეკრების მონაწილეთა მოთხოვნები გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ, ნოდარ ნათაძემ ჩამოაყალიბა: საქართველომ ესენგედან გამოსვლა და რუსეთის ჯარების გაყვანა უნდა მოითხოვოს. **გამსახურდიას „ჩამოგდებას“ კი სახელმწიფო დანაშაულის ფორმულირება უნდა მიეცეს.**

რაც დრო გადიოდა, შევარდნაძის მისამართით „გამყიდველისა“ და „მოღალატის“ შეძახილები მით უფრო ხშირად ისმოდა. „სწორია, სწორი“, – მათ მხარს უბამდნენ ლტოლვილები. გამომსვლელებმა ზვიადისტებს: ცომაიას, შუკვანსა და ნიკოლაძეს პოლიტპატიმრები უწოდეს...

სიტყვით გამოსულთა შორის ყველაზე ლოიალური ფრაქცია „სახალხოს“ ლიდერი, მამუკა გიორგაძე ჩანდა. მას მოღალატე არავისთვის უწოდებია, თუმცა აღნიშნა, რომ ხელისუფლების პოლიტიკა დაკარგული ტერიტორიების აღდგენისაკენ მიმართული არ არის.

ოპოზიციური პარტიების ლიდერთა სიმრავლის მიუხედავად, შეკრებას ფრაქცია „აფხაზეთისა“ და საკოორდინაციო საბჭოს სხვა ლიდერები – გერმანე ფაცაცია და თემურ ფიფია არ ესწრებოდნენ. როცა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ფაცაციას არყოფნა შენიშნა, კაკუბავამ მას „პროვოკატორი“ უწოდა და ხალხს ფაცაციას გამოჩენას შეეპირდა. თუმცა დანაპირები არ აუსრულდა, ფაცაცია მაინც არ მოსულა. თემურ ფიფიამ, რომელიც ოფიცერთა სახლის ირგვლივ ტრიალებდა, ღონისძიებას შარჟი უწოდა და თქვა: „მხარს არ ვუჭერ, მაგრამ სოლიდარობას ვუცხადებ. ქუჩაში რომ ოცი ლტოლვილი შეიკრიბოს, მე მათ გვერდით უნდა დავდგე“.

შეკრების მონაწილეებმა კი რეზოლუცია მიიღეს, სადაც პირველი ყრილობის გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს და ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადეს. მათ მეორე ყრილობა ერთი თვით გადადეს.

მირიან ლებანიძე

16 ნოემბერი – „რეზონანსი“

ხვალ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ახალი რაუნდი იწყება

ნადარეიშვილი ჟენევაში არ წაიყვანეს

აფხაზეთის უკანონო ხელისუფლების მეთაური მონაწილეობას მიიღებს გაეროს ეგიდით გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში, რომელიც 17 ნოემბერს ჟენევაში გაიმართება. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი ჟენევაში კვლავინდებურად, კონსულტანტის სტატუსით მიემგზავრება. ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრებმა, გვაზავამ და ყოლბაიამ ჟენევაში მიმავალი ქართული მხარის დელეგაციის შემადგენლობა გააპროტესტეს.

„ვლადისლავ არძინბა 17 ნოემბერს ჟენევაში მიემგზავრება“, – **განაცხადა „მოქალაქეთა კავშირის“ პრესკონფერენციაზე გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის უკანონო ხელისუფლების მეთაური მონაწილეობას მიირბს გაეროს ეგიდით გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში.**

ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრებმა, გვაზავამ და ყოლბაიამ, ჟენევაში მიმავალი ქართული მხარის დელეგაციის შემადგენლობა გააპროტესტეს: აფხაზეთის ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი ჟენევის პროცესზე, დავით ღვაძაბია, კვლავინდებურად, კონსულტანტის სტატუსით მიემგზავრება. არადა, ყოლბაიას თქმით, პარლამენტის დადგენილება მოითხოვს, ორმხრივი შეხვედრებისას, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება მხოლოდ ნამდვილი, კანონიერი სტატუსით წარდგეს.

17 ნოემბერი – „რეზონანსი“

ნადარეიშვილი მოლაპარაკებების ჩაშლას აპირებს

საქართველო ევნევაში ახალი ინიციატივების პროექტს ჩაიტანს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, **თამაზ ნადარეიშვილი მისი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე გამართული ყველა შეხვედრის ჩაშლას აპირებს. ნადარეიშვილის ინფორმაციით, ევნევაში არძინბა თბილისს აფხაზეთისთვის კომპენსაციის გადახდას მოსთხოვს. აფხაზთა ლიდერი მოლაპარაკებებს დაესწრება და საერთაშორისო ორგანიზაციებში მხარდამჭერთა გამონახვას შეეცდება. რუსეთში საქართველოს ელჩის ვაჟა ლორთქიფანიძის განცხადებით, საქართველო ევნევაში წინადადებების ახალ პაკეტს ჩაიტანს.** ნადარეიშვილს კი აღონებს ის ფაქტი, რომ ავტონომიური რესპუბლიკის წევრებს შეხვედრაზე კინფლიქტურ მხარედ მონაწილეობაზე უარი უთხრეს.

დღეს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაზე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება კონფლიქტის მონაწილე ცალკე მხარედ არ წარდგება. ნადარეიშვილის განცხადებით: „რადგან არძინბა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების კონფლიქტის მონაწილე მხარედ აღიარების წინააღმდეგია და მოლაპარაკებების შეწყვეტით იმუქრება, შეხვედრას ჩვენც ჩავშლით. ქართულ მხარეს იქ წასვლას კატეგორიულად ავუკრძალავთ“.

ნადარეიშვილის მუქარის მიუხედავად, ქართული დელეგაცია ევნევაში ახალი ინიციატივის პროექტს წარადგენს. სააგენტო „პრაიმ-ნიუსს“ ვაჟა ლორთქიფანიძემ განუცხადა, რომ თბილისი სამი კომისიის შექმნას მოითხოვს. ისინი პოლიტიკურ საკითხებზე, დევნილთა აფხაზეთში დაბრუნებასა და მათი სოციალური საკითხების გადაჭრაზე იმუშავებენ. ლორთქიფანიძის თქმით, არძინბას განცხადება, რომ ევნევაში მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე იმსჯელებენ, სიმართლეს არ შეესაბამება: „არძინბა ცდილობს, სინამდვილედ გაასაღოს სასურველი და ევნევის მოლაპარაკებები მისთვის მომგებიანი კუთხით წარმოაჩინოს“. ელჩის თქმით, საქართველოსთვის მიუღებელია არძინბას სურვილი, რომ მოლაპარაკების შუამავლების: ამერიკის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის არსებული ფორმატი – „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მონესრიგებაში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ჯგუფით“ შეიცვალოს.

ნადარეიშვილის განცხადებით, ევნევაში მოლაპარაკებებზე თავად აფხაზთა ლიდერი ჩავა. არძინბა საერთაშორისო ორგანიზაციებში საკუთარი მხარდამჭერების პოვნას ყოველმხრივ შეეცდება. ნადარეიშვილს აღონებს ის ფაქტი, რომ არძინბას აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლება ვერ დაუპირისპირდება. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი მხოლოდ საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში შეიყვანეს. ეს ნადარეიშვილს არ აკმაყოფილებს. მას აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლების უშუალოდ მოლაპარაკებებში ჩართვა სურს: „რომ არ თქვან, შუა საუკუნეების დონეზე აზროვნებენო“.

პარლამენტის 17 აპრილის დადგენილებით, აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას კონფლიქტში მონაწილე მხარის სტატუსი უნდა მინიჭებოდა. თუმცა დადგენილების ეს მუხლი რომ არ შესრულდა, ნადარეიშვილი აფხაზების პრინციპულობას აბრალებს. მათ მხოლოდ „ორი სახელმწიფოს“ წარმომადგენლების ერთმანეთთან შეხვედრა აწყობთ. ამიტომ არძინბას მოლაპარაკების მაგიდასთან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ხილვა არ სურს. „პარლამენტის დადგენილება რომ არ ამოქმედდა, ეს არძინბას კაპრიზია“, – ამბობს ნადარეიშვილი.

მისი აზრით, აფხაზებთან მოლაპარაკება ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ უნდა წარმართოს, რომელსაც ზურგს თბილისი გაუმაგრებს. აფხაზთა მხარეს კი, როგორც დღეს არის, ასევე კვლავ რუსეთი იქნება მოლაპარაკების პროცესის საკუთარ ხელში აღების შემდეგ. იგი ჯერ აფხაზეთის სტატუსის გარკვევას შეეცდებოდა. ნადარეიშვილი თვლის, რომ დევნილთა აფხაზეთში შესვლაზე საუბარი ამის შემდეგლა შეიძლება.

მოლაპარაკებებში მონაწილეობის სურვილთან ერთად, ნადარეიშვილს ასეთი შეხვედრების პერსპექტიულობის კვლავინდებურად არ სწამს. იგი გამოსავალს ძველებურად აფხაზეთის ომით დაბრუნებაში ხედავს, რადგან დღევანდელ აფხაზურ ხელისუფლებაში ისეთ პიროვნებას ვერ ხედავს, ვისთანაც საუბარი შეიძლება.

ნადარეიშვილის თქმით, დღეს ზოგიერთ თბილისელ პოლიტიკოსს აფხაზეთში ქართველი ლტოლვილების დაბრუნება დიდ მიღწევად მიაჩნია, მაშინ, როცა: „თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ხალხი საქართველოსთვის დაკარგული არ არის, ძალიან ცდება. მათ სეპარატისტების კონსტიტუცია ცნეს და აფხაზეთის მოქალაქეები არიან", – თვლის ნადარეიშვილი. იგი აფხაზეთის სტატუსის გარკვევამდე დევნილების რეგიონში დაბრუნებას გამოუსწორებელ შეცდომად თვლის. ლტოლვილებმა უნდა იცოდნენ, რომ სეპარატისტულ აფხაზეთში კი არა, საქართველოს აფხაზეთში ბრუნდებიან და მათი უსაფრთხოება დაცულია.

მირიან ლეგანიძე

18 ნოემბერი – „რეზონანსი"

„ფრაქცია „აფხაზეთი" ალიანსშია ხელისუფლებასთან. ჩემი იქ ყოფნა აუტანელია. არ შემიძლია, ვიყო იქ, მე მარტო ვარ. ფრაქციას ფაცაცია და კაკუბავაც ტოვებენ", – თქვა დეპუტატმა ბორის კაკუბავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. კაკუბავას ფრაქციის თავმჯდომარე გერმანე ფაცაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით არ უსაუბრია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დარწმუნებულია, რომ ფაცაცია მის კვალს გაჰყვება. ფაცაცია კი ამას არ აპირებს. მას კაკუბავასთან პოლიტიკა აღარ აკავშირებს. კაკუბავამ ფრაქციიდან გამოსვლის შესახებ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარეს 14 ნოემბერს შეუტანა.

19 ნოემბერი

აფხაზები ქართველებთან პოლიტიკურ სტატუსზე საუბარს არ აპირებენ

ქართველები კი რეგიონის სტატუსის განსაზღვრასა და ლტოლვილების დაბრუნებას მოითხოვენ

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა, **ლივიუ ბოტამ** მხარეებს დღის წესრიგი წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, მოლაპარაკებებზე, ძირითადად, აფხაზეთის ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური დახმარების შესახებ უნდა იმსჯელონ. ქართული დელეგაციის წევრი, აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი ჟენევაში არ წავიდა.

მოლაპარაკებებს შუამავლობენ გაერო და „საქართველოს მეგობართა ჯგუფის" ხუთი ქვეყანა: აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი. შეხვედრა ადგილობრივი დროით 1 საათზე დაიწყო. ბოტას განაცხადებით: „მოლაპარაკებების ამჟამინდელი რაუნდის პრიორიტეტული მიზანი მოლაპარაკებათა პროცესის შეჯამებაა, რომ შემდეგ პროგრესს ურთიერთთანამშრომლობისა და კომპრომისების გზით მივაღწიოთ".

დღის წესრიგიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ აფხაზურმა მხარემ ერთი გამარჯვება იზეიმა. მისი მიზანი პოლიტიკური სტატუსის უკანა პლანზე გადატანა და აქცენტის ეკონომიკურ საკითხებზე გამახვილება იყო. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, **სერგეი შამბას განცხადებით, შეხვედრაზე, ალბათ, პოლიტიკური სტატუსის გარკვევის საკითხი არ დადგება.** მისი აზრით, ისაუბრებენ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე. აღსანიშნავია, რომ აფხაზურ დელეგაციას სწორედ შამბა ხელმძღვანელობს.

აფხაზთა ლიდერი, **ვლადისლავ არძინბა** კი, რომელიც, ასევე, ჟენევაში იმყოფება, მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ მიიღებს. მისი ძირითადი მიზანი საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრაა, რომლის დროსაც მათში მხარდამჭერების პოვნასა და ჰუმანიტარულ-ეკონომიკური დახმარების მიღებას შეეცდება.

მოლაპარაკების დაწყებამდე არძინბამ ჟურნალისტებს განუცხადა: „აფხაზური მხარე მოლაპარაკების განახლებას დიდ მნიშვნელობას

ანიჭებს და მთელი რიგი საჭირო ინიციატივებით გამოსვლას აპირებს, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს შეეხება". აფხაზთა ლიდერი აცხადებს, რომ **სოხუმი კვლავ თანაბარსუბიექტობის პრინციპის დაცვას მოითხოვს. „ეს ერთადერთი კომპრომისია, რომელზეც შეიძლება აფხაზეთი წავიდეს", – აცხადებს იგი.**

ქართული დელეგაცია კი მოლაპარაკებისგან, ძირითადად, პოლიტიკური სტატუსის გარკვევას ელის. დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ირაკლი მენაღარიშვილმა მოლაპარაკებებზე ქართული მხარის წინადადებების პაკეტი წაიღო. ქართველებს სურთ, რომ აფხაზებთან პოლიტიკურ სტატუსზე, ასევე, ლტოლვილთა დაბრუნებასა და თბილისსა და სოხუმს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე ისაუბრონ.

მოლაპარაკების პარალელურად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, ბორის პასტუხოვის შუამავლობით აფხაზური დელეგაცია ქართულს შეხვდება.

საგულისხმოა, რომ ჟენევაში ქართულ დელეგაციასთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დავით გვაძაბია არ გაემგზავრა. აფხაზეთის დევნილმა ხელისუფლებამ, ფრაქცია „აფხაზეთმა" და მისგან განდგომილმა ბორის კაკუბავამ საკითხში საერთო ენა გამონახეს. ისინი მოითხოვენ, რომ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელი საქართველოს დელეგაციაში კი არ იყოს, არამედ მოლაპარაკებებზე ცალკე, კონფლიქტში მონაწილის სტატუსით გამოდიოდეს.

მირიან ლეგანიძე

მომზადებულია სააგენტოების
„ბიეს-პრესისა" და პრაიმ-ნიუსის"
მასალების მიხედვით

22 ნოემბერი – „რეზონანსი"

ჟენევაში მორიგი უშედეგომოლაპარაკებები დამთავრდა მხარეებს მომავალში შეუძლიათ შუა ზღვაში შეცურონ

ჟენევაში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების კიდევ ერთი უშედეგო რაუნდი დამთავრდა. „არავინ შეიქმნას ილუზია, რომ ჟენევაში რაიმე გადაწყდა. ამ შეხვედრამ მხოლოდ შანსი მოგვცა", – აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ირაკლი მენაღარიშვილი. მთავრობის ბოლო სხდომაზე პრეზიდენტმა 17-19 ნოემბრის რაუნდს „კონფლიქტის მოგვარების ახალი ეტაპი უწოდა. სამშვიდობო მოლაპარაკებებს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი თავმჯდომარეობდა.

ჟენევაში მორიგი რაუნდის უშედეგობაში, ეჭვი არავის ეპარება. მენაღარიშვილი და როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ იმის იმედზეა, რომ „საერთაშორისო თანამგზობრობა დიდხანს არ მოითმენს ასეთ ვითარებას".

ოფიციალური თბილისი სიამაყით აცხადებს, რომ ჟენევის მთავარი მიღწევა აფხაზეთის საკითხის ინტერნაციონალიზაციაა. მენაღარიშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე პასტუხოვის სიტყვების ციტირება გააკეთა: „რუსეთს არ აქვს პრეტენზია სამშვიდობო პროცესის მონოპოლიზაციაზე". სხვათა შორის, პრაქტიკულად იგივე სიტყვები არძინბას თბილისში ყოფნისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრიმაკოვმაც თქვა. რუსეთის დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელობის განცხადებების მიუხედავად, სამშვიდობო პროცესის რეალური ინტერნაციონალიზაცია ნაკლებად ხელშესახებია.

აფხაზები ჟენევაში კატეგორიული წინადადებით ჩავიდნენ. სეპარატისტებმა პირველივე დღეს მოითხოვეს „საქართველოს მეგობართა ჯგუფისათვის" მუნჯი დამკვირვებლის სტატუსი მინიჭება. მენაღარიშვილის განცხადებით, სეპარატისტებს ყველაზე აქტიური წინააღმდეგობა რუსეთის დელეგაციამ გაუწია. ჟენევის შეხვედრის დასკვნით განცხადებაში კი რატომღაც დაფიქსირდა, რომ „მეგობრები" მოლაპარაკებათა პროცესში არ წარმოადგენდნენ მხარეებს და მათ არ იწვევენ მოლაპარაკების დროს შეთანხმებული დოკუმენტების ხელმოსაწერად". „მეგობრების ჯგუფს" უფლება-მოვალეობები აშკარად შეუზღუდეს. მათ უფლება აქვთ, მხოლოდ თავი-

ანთიაზრი გამოთქვან და წამოაყენონ გარკვეული წინადადებები თვით პოლიტიკურ სტატუსზეც კი. „მეგობრებს" ასევე შეუძლიათ გააკეთონ განცხადებები დაესწრონ სხდომებს.

ჟენევაში მხარეები შეთანხმდნენ, შექმნან საკოორდინაციო საბჭო, რომლის ფარგლებში ჩამოყალიბდება სამი სამუშაო ჯგუფი. პირველი პასუხს აგებს მშვიდობის შენარჩუნებაზე, მეორე – ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირებზე. ხოლო მესამე – ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე. საბჭოს დეკემბრის პირველ კვირაში მოინვევს თავმჯდომარე, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, მის მიერ უფლებამოსილი პირი. ცეცხლის განუახლებლობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება კვირაში ერთხელ.

ყველაფერის მიუხედავად, სამშვიდობო მოლაპარაკებები გრძელდება. ხელისუფლება კარგად ხედავს, რომ მხარეები უშედეგო და უპერსპექტივო ერთობლივ დეკლარაცია განცხადებებს ვერ გასცდნენ. გაუგებარია მხოლოდ ერთი არც თუ უმნიშვნელო ასპექტი. მოლაპარაკებები და შეხვედრები, ჯაბა იოსელიანის დროიდან მოყოლებული, ყველაზე ძვირადღირებულ ქვეყანაში – შვეიცარიაში იმართება. ხუთკაციანი დელეგაციის მივლინება ჟენევაში სულ მცირე 7-8 ათასი დოლარი ჯდება.

შესაძლოა, არჩევანის შვეიცარიაზე შეჩერება ქვეყნის ნეიტრალურმა სტატუსმა განაპირობა. არადა, კონფლიქტში მონაწილემხარეებს, მეგობრებსა და ა. შ. შეუძლიათ მიბაძონ გარბაჩოვრეიგანის პრაქტიკას და გემით შავი ზღვის ნეიტრალურ ნყლებში გამართონ შემდეგი რაუნდი. ფულიც ნაკლები დაიხარჯება, მოლაპარაკებამ კი, „იალტისა" არ იყოს, იქნებ რაიმე ხელშესახები შედეგი მოიტანოს.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲡᲐᲜᲐᲘᲐ

მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ხელისუფალთა შორის. „მოქკავშირმა" **შევარდნაძის** ხელმძღვანელობით დაინყო შეტევა **ასლან აბაშიძეზე** და მისპარტიაზე „აღორძინებაზე".

7 აგვისტო – „ახალი თაობა"

განხეთქილება ასლან აბაშიძის ბანაკში

ფრაქცია „აღორძინების" 9 აჭარელმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტის თამჯდომარის მოადგილე ედვარდ სურმანიძის ხელმძღვანელობით დატოვა ფრაქციის რიგები მის დანარჩენ წევრებთან „იდეოლოგიური" შეუთავსებლობისა და აზრთა სხვადასხვაობის გამო".

ფრაქციაში მომხდარი განხეთქილების შესახებ პრაიმ-ნიუსთან საუბრისას ედვარდ სურმანიძემ თავი შეიკავა აზრთა სხვადასხვაობის ძირითადი მიზეზების დასახელებისგან დ ამხოლოდ ის თქვა, რომ აჭარის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე ინფორმირებული იყო ფრაქციაში არსებული კრიზისის შესახებ, რომლის წევრი თავადაცაა. აბაშიძემ მეორე მხარეს დაუჭირა მხარი.

– ჩვენ ომს არავის ვუცხადებთ და არც ის გვინდა, რომ ვინმეს მტრები გავხდეთ. განხეთქილება ჩვენთვის არასასურველია, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია, – უთხრა პრაიმ-ნიუსს სურმანიძემ.

ფრაქცია „აღორძინებაში", რომელიც ერთ-ერთი უდიდესია პარლამენტში, განხეთქილებამდე 31 დეპუტატი ირიცხებოდა.

სააგენტო გეას ცნობით, ფრაქცია დატოვეს: ედვარდ სურმანიძემ, ლარა თოფურიძემ, არმაზ ახვლედიანმა, თამაზ ბოლქვაძემ, გურამ თურმანიძემ, ალექსანდრე ფაღავამ, ჯემალ მეგრელიძემ, ნოე ხოზრევანიძემ და ეახტანგ შამილაძემ.

გეას კორესპონდენტთანსაუბრისას არმაზ ახვლედიანმა, დეპუტატთა ერთი ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზად, ფრაქციის სტრატეგიული მიმართულების შეცვლა დაასახელა. მისი თქმით, ფრაქციის ჩემოყალიბების მიზანი პრეზიდენტის კურსის მხარდაჭერა იყო, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ფრაქცია აშკარად იყო გაცხადებული კურსის ერთგული. ფრაქციაში ადგილი ჰქონდა უსაფუძვლო დაპირისპირებას პრეზიდენტის მხარდამჭერი მმართველი პარტიის მიმართ.

კითხვას:

– „რამდენად უკავშირდება ერთი ჯგუფის გადაწყვეტილება ასლან აბაშიძის ავადმყოფობას"?

არმაზ ახვლედიანმა ასე უპასუხა:

– „ვერანაირ კავშირს ვერ ვხედავ **ბატონი ასლანის ავადმყოფობას და** ამ გადაწყვეტილებას შორის. ერთს აღვნიშნავდი, რომ ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ საზოგადოების დიდი ნაწილის დაავადებაზე აჭარაში, რადგან ხალხს სიტყვის თავისუფლება აქვს წართმეული".

რაც შეეხება სამმავალო გეგმებს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ სურმანიძის თქმით, შესაძლოა ჩამოყალიბდეს ახალი საპარლამენტო ფრაქცია. სურმანიძე იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში მათ „აღორძინების" სხვა წევრებიც შეუერთდებიან.

გვიან ღამით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დეპუტატი მეგრელიძე დაუბრუნდა ფრაქცია „აღორძინებას". დაუზუსტებელი ინფორმაციით, ფრაქციაში გურამ თურმანიძეც დაბრუნდა.

ამავე გაზეთში **„ჯემალ გოგიტიძე** არც იმას გამორიცხავს, რომ ფრაქციიდან განდგომილებს წინასწარი შეხვედრები ჰქონიათ პრეზიდენტ შევარდნაძესა და პარლამენტის თამჯდომარე ჟვანიასთან. მისი აზრით, შეიძლება მათ კეთილი მომავალი დაუხატეს და რაღაცას დაპირდნენ. გოგიტიძემ უსაფუძვლოდ მიიჩნია ჭორები ასლან აბაშიძის ავადმყოფობის შესახებ. გვითხრა, რომ აჭარის ხელმძღვანელი თავს შესანიშნავად გრძნობს და ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში ისვენებს. თავად აბაშიძე ტრაგიკულს ვერაფერს ხედავს ფრაქციიდან რამდენიმე წევრის გასვლაში, თუმცა ფაქტია, რომ საქმე ეხება სერიოზულ პოლიტიკურ ინტრიგას. ჯემალ გოგიტიძის აზრით, ფრაქციიდან უნდა გაირიცხონ „ბუნტისთავები", ხოლო სხვა წევრები, გამორიცხული არაა, დაუბრუნდნენ მშობლიურ ფრაქციას.

პრესის დამოუკიდებლობის შეზღუდვა, დემოკრატიული პროცესების არარსებობა შეიძლება მოტივი იყოს ფრაქციიდან გასული ერთ-ერთი წევრის, არმაზ ახვლედიანისთვის, რადგან გოგიტიძე ახვლედიანის ამ განცხადებას უკავშირებს მისი მამის – აზიზ ახვლედიანის გათავისუფლებას ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან.

11 აგვისტო

გაზ. „ახალი თაობა" – „შალვა ნათელაშვილმა აღნიშნა „მე ვფიქრობ, რომ ის ყველაფერი რაც კეთდება აჭარის ხელისუფლების დისკრეტიზაციისთვის, რომ თავიანთი ჭკუით დაძაბულობა გამოიწვიონ... ის განცხადებები, რომ აჭარაში ნაკლები დემოკრატიაა, აბსოლუტურად დემაგოგიურად ღღერს და აი რატომ მთელ საქართველოში ნაკლები დემოკრატიაა. **ერთი მითხარით, გურიის მხარეშია დემოკრატია, ქართლშია თუ კახეთში?** აბა რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ რაიონში გამოსცეს გაზეთი სამხარეო ადმინისტრაციის წინააღმდეგ, გახსნას დამოუკიდებელი ტელეარხი – რას გაუკეთებენ და რას უზამენ, ენახავთ. აგერ, ჩვენი დეპუტატი ახალციხიდან, **გოჩა ნათენაძე, უშიშროების თანამშრომლებმა გალახეს და თითი მოტეხეს. მას ახლაც გამრუდებული აქვს თითი. ეს არის საქართველოს დემოკრატია და აი, ამ ფონზე აჭარაში ყველაზე მეტი დემოკრატიაა, იმიტომ, რომ არჩეული ხელისუფლებაა.** მერე რა, რომ იქ საერთაშორისო მეთვალყურეები არ მიუშვეს? აქ რომ იყვნენ, რა გააკეთეს – ქეიფისა და გაძლომის გარდა. და ის გაყალბება, ყუთების გამოცვლა, შუქის ჩაქრობა ხმების დათვლის დროს, რაც მოხდა... მოქალაქეთა კავშირმა რამდენი ხმები მიითვისა პრეზიდენტის ხმებიდან. ეს სულ სხვა საკითხია, მაგრამ საერთაშორისომეთვალყურეებსარაღუნიშნიათ, არ დაუფიქსირებიათ ეს და, საერთოდ, არაფერი გაუკეთებიათ. რასაკვირველია, სასურველი იყო, რომ მეთვალყურეები ყოფილიყვნენ აჭარის არჩევნებზე, მაგრამ ისინი რეალურად არაფერს წყვეტენ. სანამ ჩვენთან საარჩევნო ყუთის გახსნისა და ბიულეტინის დათვლის უფლება, საჩივრის საფუძველზე არ ექნება სასამართლოს, მანამ ჩვენთან არცერთი ხელისუფლება არ იქნება აკადემიური. ამიტომ დემაგოგიას უნდა დავანებოთ ყველამ თავი და კანონებში ისეთი ცვლილებები შევიტანოთ, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ნორმალურად ჩატარებას".

– „კი მაგრამ, რად ღირს ისეთი არჩეული ხელისუფლება, რომელიც ზღუდავს პიროვნებისა

და სიტყვის თავისუფლებას? და ეს აზრი ხელისუფლების შესახებ საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული".

– „თუნდაც ის ფაქტი, რომ ფრაქცია აღორძინებიდან გამოვიდნენ ადამიანები, რომლებიც აჭარლები არიან და ამ პროცესმა ძალიან მშვიდად ჩაიარა, ჩვენს შორის ურთიერთობები არ გაფუჭებულა, ეს კი უკვე დემოკრატიის მაჩვენებელია. აბა, ერთი მოქალაქეთა კავშირიდან რომ გამოსულიყო 10 კაცი, რას უზამდნენ მათ? მე გეტყვით, ჩაირთვება მათი ტელეფონები, თუ ბიზნესი აქვთ, აუქექავენ და აუწნწავენ ყველაფერს, თუ ვინმე ნათესავი ჰყავთ დასაჭერი, დაიჭერენ და კიდევ ბევრ სხვა რამეს მოუწყობენ. გარწმუნებთ, რომ ასე იქნება, ხოლო იმ ადამიანებს, ვინც ფრაქცია აღორძინება დატოვა, არაფერი ემუქრებათ. მესმის, რომ აჭარაში არ არის დემოკრატიის ის დონე, რაც ჩვენ გვინდა, მაგრამ მთელს საქართველოში ასეთი მდგომარეობაა, ხოლო ზოგ რაიონებში კი უარესიც არის. მე კიდევ მეტს გეტყვით, სამხარეო ადმინისტრაციები უკანონოა, არაკონსტიტუციური და მათზე დახარჯული თანხები არის დანაშაულებრივად დახარჯული, რაზეც ამ ადმინისტრაციის მოხელეებს, ადრე თუ გვიან, მოეთხოვებათ პასუხი. ისინი არიან კორუფციის გაღვივების საფუძველი და დემოკრატიის მომსპობნი".

ქვეყნის სათავეში არის ძალა, რომელსაც არ შეუძლია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. იმასაც გეტყვით, რომ ერთ-ერთ პიროვნებას, რომელმაც ფრაქცია აღორძინება დატოვა, იმასაც კი შეპირდნენ, რომ აჭარის ხელმძღვანელი გახდებოდა. ეს ძალიან ცუდი თამაშია და აჭარაში ხელმძღვანელი თვითონ ხალხმა უნდა აირჩიოს. მომხდარ ფაქტში ვერავითარ ტრაგედიას ვერ ვხედავ. აღორძინებაში 31 კაცი იყო, ეს არის უმცირესობა და იქნებოდა 31 კაცი თუ 10 კაცი, პრინციპში, არაფერი არ იცვლება. უმცირესობა მაინც უმცირესობად რჩება. საერთოდ, წინა პარლამენტში აღორძინებას ფრაქცია საერთოდ არ ჰქონდა, მაგრამ ამით არც საქართველო და არც აჭარა დაღუპულა.

ამავე გაზეთში არის ინტერვიუ ედვარდ სურმანიძესთან

კორ. „ფრაქციიდან გასული ნევრები ფიქრობენ, რომ შევარდნაძის კურსს უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდება"?

– „აქტიური მხარდაჭერა რომ სჭირდება, ჩვენ ამ დეკემბერში მოვედით პარლამენტში, იქ დამალული არაფერი იყო".

– „თვითონ ბატონი ასლანიც აქტიურად უჭერდა მხარს"?

– „რა თქმა უნდა. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ ჩვენს შეკრებაზე და არც ერთ ფორუმზე სხვანაირად არ თქმულა. ჩვენი მოსვლის დღიდან გამოკვეთილი იყო, რომ მხარს დაუჭერდა იმ რეფორმებს, რომელსაც პრეზიდენტი ახორციელებდა ქვეყნის მასშტაბით. სწორედ ამასთან დაკავშირებით იყო რაღაც გარკვეული სადავო მომენტები".

– „აღორძინებამ შევარდნაძის კურსს მხარი რა საკითხებში არ დაუჭირა"?

მე ვამბობ, რომ ფრაქცია აღორძინების შეხედულებები ძირითადად ემთხვეოდა იმ შეხედულებებს, რომლებიც პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა როდესაც ფრაქცია აღორძინება ძალიან ექსტრემალურ სიტუაციაში გააფორმა ხელშეკრულება ფრაქცია ამომრჩეველთან, რომელიც შემდეგ მემარცხენე შეხედულებების მქონე პოლიტიკურ გაერთიანებად. ფრაქცია ლეიბორისტად, ჩამოყალიბდა, ამის შემდეგ დაიწყო ფრაქციის საქმიანობის მნიშვნელოვნად დაცილება საპროგრამო მიზნებისგან. ეს გასაკვირიც არ არის, იმიტომ, რომ ის არის მემარცხენე შეხედულების მატარებელი, ჩვენ კი – მემარჯვენე.

– „როგორ შეაფასებდით ბ-ნ ასლან აბაშიძის როლს საქართველოს ისტორიაში"?

– „ასლან აბაშიძე მნიშვნელოვანი ფუნქციის და როლის შემსრულებელი პიროვნებაა. მის შესახებ ძალიან ბევრი ითქვა. მე რომ ამაში დარწმუნებული არ ვყოფილიყავი, მართლა ავიტკივებდი რაღაცას, რომ თავიდანვე არ ემდგარიყავი იქ, რასაც ასლან აბაშიძის პოლიტიკური გაერთიანება ჰქვია. მან ძალიან რთულ სიტუაციაში, ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ აჭარაში სტაბილურობა ყოფილიყო, მშვიდობიანი გზით განვითარებულიყო საზოგადოება ძალიან რთულ, წინააღმდეგობებით სავსე ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე. მნიშვნელოვანი

როლი შეასრულა ასლან აბაშიძემ და ასრულებს დღესაც".

კორ. – „უკვე გავრცელდა აზრი, ედვარდ სურმანიძე ასლან აბაშიძის თანამდებობისთვის იბრძვისო".

– „ეს აბსოლუტურად სიცრუეა".

რესპუბლიკური პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ოთარ ზოიძემ გაზ. „ახალ თაობაში" ინტერვიუში განაცხადა, რომ **„აბაშიძის ხომალდი იძირება, ეკიპაჟი კი თავს გაქცევით შველის".**

1 ოქტომბერი, – „რეზონანსი"

პარლამენტში „ასლან ბაბუს"

მეტოქე გამოუჩნდა

ერთი თვეა, რაც ფრაქცია „აღორძინებას", **ედვარდ სურმანიძის მეთაურობით, დეპუტატთა შვიდკაციანი ჯგუფი გამოეყო. მათ ლაგოდეხის, ვანისა და საბურთალოს მაჟორიტერებთან ერთად ახალი ფრაქცია „მამული" შექმნეს.** თავიდანვე გავრცელდა ხმები, რომ ეს აქცია „მოქალაქეების" აქტიური ჩარევით **განხორციელდა.**

ახალ ფრაქციას ჯერჯერობით თავმჯდომარე არ ჰყავს. თუმცა, თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ამ პოსტზე მალე ვახტანგ შამილაძეს ვიხილავთ. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შამილაძემ განაცხადა, რომ თავიდან „აღორძინების" პროგრამა მოქალაქეთა კავშირისა და პრეზიდენტის კურსს ემთხვეოდა. დროთა განმავლობაში ფრაქციას გადაუხვევია მთავარი, უმრავლესობის მხარდამჭერის პრინციპისათვის და განხეთქილების ვაშლიც მაშინ ჩამოვარდნილა.

თუ შამილაძეს დავუჯერებთ, ახალი ფრაქციის ჩამოყალიბება სწორედ ამან განაპირობა. **ახლა „მამულისა" და უმრავლესობას შორის სრული ჰარმონია სუფევს.** მალე ისინი ერთ კოალიციაში „მოთავსდებიან". გაუგებარია მხოლოდ ერთი რამ, რა საჭირო იყო ახალი ფრაქციის შექმნა.

მისი თქმით, ყოვლად გაუმართლებელია ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის მცდელობა, ფრაქცია პოლიტიკურ თამაშში ჩაითრიოს. ეს რეაქცია პოლიტიკური უმნიფრობის პოზიციიდან გამომდინარეობს: აქ არ შეიძლება ლაპარაკი ღალატზე ან იმაზე, ვინ როგორ და ვისი მხარდაჭერით მოვიდა პარლამენტში

პოლიტიკაში დგება დრო, როცა ახალი ფრაქცია თავის გზას ირჩევს. რაც შეეხება ასლან აბაშიძესთან ურთიერთობებს, ახლებურად მოაზროვნე დეპუტატებს მასთან პოლიტიკური დიალოგი სურთ.

ძნელი დასაჯერებელია, აბაშიძის პარტიის აქტიურ წარმომადგენლებს პარლამენტში თავიდანვე არ სცოდნოდათ, რომ ფრაქცია უმრავლესობას ბევრ რამეში მხარს ვერ დაუჭერდა. ამიტომ ხსენებული არგუმენტი სერიოზული ეჭვების საფუძველს აჩენს. თუმცა, შამილიძემ განაცხადა, რომ პრობლემა მხოლოდ უმრავლესობის მხარდაჭერა არ ყოფილა.

ფრაქცია „მამული" აშკარად უპირისპირდება ასლან აბაშიძეს. შამილაძის ფრთიანი ფრაზა რომ გავიმეოროთ: „ფრაქცია იბრძოლებს იმისათვის, რომ ჩოლოქის საზღვარზე აღმართული სამანსაყუდები ჩვენს ცნობიერებაშიც არ აღიმართოს". მისი თქმით, მეჩეთებს აჭარაში მარტო მორწმუნეები არ აშენებენ. ზარზმის მონასტრის ნინ მეჩეთის მშენებლობას უცხოური კაპიტალი აფინანსებს. „მორწმუნეებს არაკინ უშლის, მაგრამ იმისათვის, რომ ზოგიერთებს ჰქონდეთ მანქანები, ხალიჩები და შემოსავლები, ხდება 6-14 წლის ბავშვების ცნობიერების დამახინჯება. აჭარაზე გამოყოფილი ტრანსფერტები კი ერთი ზედა წრის კეთილდღეობას ხმარდება".არმაზ ახვლედიანმა აჭარის ხელისუფლებას უფრო სერიოზული ბრალდებებიც წაუყენა. მისი თქმით, ცენტრსა და რეგიონს შორის სრული ურთიერთგაგება რომ ყოფილიყო, ვერც აფხაზეთისა და ვერც ოსეთის წარმომადგენლები ვერ ელაპარაკებოდნენ ასე გულადად თბილისს.

დიდი კურიოზები ხდება სასამართლო სისტემაშიც. არის შემთხვევები, როცა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აჭარის რაიონული და საქალაქო სასამართლოები აუქმებენ.

„რეზონანსის" კითხვაზე, რატომ მიხედა ყველაფერ ამას ახვლედიანი მხოლოდ ახლა და არა ასლანის თანაშემწეობის დროს, მითუმეტეს, რომ ეს სიტუაცია აჭარაში დღეს არ დაწყებულა, მან განაცხადა, რომ კარგია, როცა სასიკეთო პროცესები ოდესღაც ინყება. მისი აზრით, „ვერავინ

უსაყვედურებს მას, თუ რატომ ჩამოყელიბდა დღეს და არა სამი წლის წინათ".

პარლამენტის კულუარებში აქტიურად მოარულ ხმებზე „მამულის" ზოგიერთი წევრის მიერ ბანკის კრედიტების აღებასთან დაკავშირებით ახვლედიანმა განაცხადა, რომ ცუდია, როცა ვინმე მის პოლიტიკურ საქმიანობას და მოქალაქეობრივ პრინციპებს ფულთან აკავშირებს. მსგავსი ფაქტი მისთვის ცნობილი არ არის.

კითხვას, სინამდვილეში რამ აცდუნა სურმანიძე, პარლამენტის კულუარებში ასე პასუხობენ: **სურმანიძეს სამი წლის შემდეგ „ასლან ბაბუს" სკამს ჰპირდებიან. ამის თაობაზე ახვლედიანმა განაცხადა, რომ კონკრეტულად ვერაფერს იტყვის. თუმცა, იცის, რომ სურმანიძისათვის ქვეყნისა და კუთხის სატკივართან შედარებით, პიროვნული ინტერესები მეორეხარისხოვანია.**

ეკა სარია

2 ოქტომბერი

გაზ. „რეზონანსში" პრესკონფერენცია „სახალხო ფრაქციის წარმომადგენლებთან **ვანო ხუხუნაიშვილთან და გურამ ჩახვაძესთან".**

პარლამენტის თავმჯდომარის სახელის ირგვლივ დატრიალებულ სკანდალთან მიმართებაში „სახალხოელებმა" ასეთი პოზიცია დააფიქსირეს: „აქ მთავარი არ არის ჟვანია ისმენდა თუ არა როსტომ დოლიძის და თამაზ ხარაზის დიალოგს, ამას ძიება დაადგენს. საქმე ისაა, რომ ცენტრი ბათუმთან მიმართებაში მცდარ პოლიტიკას ახორციელებს. აჭარას ოფიციალური პირები თბილისში ხან „დემოკრატიულ ოაზისს", ხან კი „დიქტატურის ბუდეს" უწოდებენ. პოლიტიკა არათანმიმდევრულია, რის გამოც დაპირისპირების რეალურ მიზეზებს არავინ ამხელს და ნახევარსაათიანი ვიზიტებით „აგვარებს" წლების განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს. ყველა პრეტენზია ღიად უნდა იტქვას. როსტომ დოლიძეს რაც შეეხება, სწორედ ის იყო, ვინც აჭარის არჩევნებში უცხოელი მეთვალყურეების დასწრების ნინააღმდეგ მოთხოვნას ხელი მოანერა, დღეს კი აცხადებს, რომ „აჭარაში დიქტატურაა გამეფებული". დრეს აჭარაში განსაკუთრებული არაფერი ხდება, განა იგივეს თბილისში ყოველ დღე არ ვანწყდებით?"**

ლიკა ბასილაია

21 ოქტომბერი

გაზ. „ახალი თაობა". „19 ოქტომბერს აჭარის ტელევიზიით გადაიცა ინტერვიუ **ყოფილ მერთან თამაზ ხარაზთან,** რომელმაც ტელემეყურებლებს აცნობა, რომ თვენახევრის წინ როცა ასლან აბაშიძე სამკურნალოდ უცხოეთში იმყოფებოდა და თამაზ ხარაზი ურეკის სამთავრობო რეზიდენციაში დაიბარეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო **კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.** მათ ყოფილ მერს **უთხრეს რომ მალე მოხდება აჭარის დღევანდელი ხელისუფლების გადაყენება და შესთავაზეს ამ საქმეში თანამშრომლობა.**

ჯემალ გოგიტიძე:

– „ჩვენ, აღორძინების ფრაქციას, არაერთხელ გაგვიცხადებია, რომ აჭარისა და მისი ლიდერის მიმართ მიზანდასახულად ხორციელდება სხვადასხვა სახისა და შინაარსობრივი დატვირთვის, სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი, მაგრამ ერთი და იმავე ხელნერის მქონე პროვოკაციები. უკვე არავისთვისაა საიდუმლო, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ უზრუნველყო აღორძინების ფრაქციის რამდენიმე წევრის დამუშავება, ფსიქოლოგიური ზეწოლა დაპირებებითა და თანამდებობრივი თუ ქონებრივი დაინტერესებით, მომავალ პარლამენტში დეპუტატად გახდომით და ა. შ. სამწუხაროდ, ფრაქციის 7 წევრი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა და ამ შორსგამიზნულ პროვიკაციაზე ადვილად წამოეგო, რასაც ხელი შეუწყო ედვარდ სურმანიძის ფაქტორმაც. ამ პროცესების პარალელურად იგივე სამუშაოები თავის ჩვეულ სტილში ხორციელდებოდა აჭარის მოსახლეობაშიც, ოღონდ ამჯერად იყენებდნენ ე. წ. განაწყენებული პიროვნებების ფაქტორს, რამაც კულმინაციას ზაფხულში პარლამენტის გამსვლელი ბიუროს სხდომის

ჩატარებამდე რამდენიმე დღის განმავლობაში მიაღწია. როგორც ბათუმის საზოგადოებისთვის არის ცნობილი, როსტომ დოლიძე და ზურაბ ჟვანია ხვდებოდნენ ნებისმიერს, ვისთანაც შეიძლებოდა, ასე ვთქვათ, თანამშრომლობა. ერთ-ერთი მათ შორის თამაზ ხარაზიც აღმოჩნდა. **ფრაქციის დაშლაცა და სხვადასხვა პიროვნების გადაბირებაც ბატონ ასლან აბაშიძის ავადმყოფობის პარალელურად მიმდინარეობდა, ამსიტუაციის საკმაოდ მოხერხებულად თავის სასარგებლოდ გამოყენებითა და სპეკულირებით,** რისთვისაც, სხვათა შორის, ძალზე ეშმაკურად სარგებლობდნენ სხვადასხვა წინასწარმეტყველის „პოლიტიკური პროგნოზებითაც". ამასთანავე მაქსიმალურად იყენებდნენ და ახლაც იყენებენ ჭორის ინსტიტუტს, ანუ ხმების გავრცელების სამსახურს, კერძოდ, თითქოს ასლან აბაშიძე იმდენად ცუდად არის, რომ აუცილებლად გადადგება და საერთოდ აღარ აპირებს დაბრუნებას აჭარაში. ედვარდ სურმანიძის შემთხვევაში ყოველივე ამან გაამართლა, მაგრამ თამაზ ხარაზის შემთხვევაში – არა. ამაზეა ნათქვამი – კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო".

ბატონი შალვა ნათელაშვილიც დაეთანხმა ჯემალ გოგიტიძეს და, თავის მხრივ, დასძინა, რომ – კონკრეტულად ეს და ამდაგვარი ფაქტები სერიოზულ გამოკვლევას მოითხოვს და არ უნდა დარჩეს სათანადო, თან საჯარო ყურადღებისა თუ რეაგირების მიღმა. ხოლო თავად ბატონმა ასლან აბაშიძემ კი მითხრა, რომ ამ და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო ფაქტსა თუ მოვლენაზე ვრცლად მესაუბრებოდა პირველივე ინტერვიუში, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა შედგეს.

22 ოქტომბერი – „ახალი თაობა"

მტერს ჩაფიქრებული აქვს ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაცია აჭარაში ამბობს ზურაბ ჟვანია

გიორგი უჟილაური

გუშინ ოფიციალური თბილისი აჭარიდან ვითარების კიდევ უფრო გამწვავებას ელოდა. გამორიცხული არ იყო, რომ **ასლან აბაშიძე** პირადად გამოვიდოდა და ბრალად დასდებდა ზურაბ ჟვანიას მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას. მაგრამ ღამემ მშვიდად ჩაიარა (თუ არ ჩავთვლით თამაზ ხარაზის სატელევიზიო ინტერვიუს კიდევ ერთხელ ჩვენებას). მეორე დღეს კი **პარლამენტის თავმჯდომარე პრესას შეხვდა და აუხსნა, რომ იგი არათუ ტერორისტი და შეთქმულების მონაწილეა, არამედ საერთოდ არ იცნობს თამაზ ხარაზს. „ცემთვის გაუგებარია, რამდენად უტიფარ ტყუილზე წავიდნენ ისინი. ამგვარ ბრძოლებს გამომძიებლის ჩაჯდომა მაინც ხომ სჭირდებოდა. ვერ გავიგე, რატომ შეარჩიეს მათ ადამიანი, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობ", განაცხადა ჟვანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. პარლამენტის თავმჯდომარეს არ ეტყობოდა არელვება არც სახეზე და არც საუბრისას.**

„აჭარის ტელევიზიას აბსოლუტურად აკონტროლებს ასლან აბაშიძე და ამ შემთხვევაში საეჭვოა, რომ მისი თანხმობის გარეშე გასულიყო ხარაზის პროვიკაციული ინტერვიუ. თქვენ გამორიცხავთ იმას, რომ ასლან აბაშიძე პირადად არ მონაწილეობდა ამ ინტერვიუს შედგენასა და გაშვებაში"?

– „არ მიმაჩნია გამორიცხულად, რომ თვით ინტერვიუს შეთხზვა მოხდა ასლან აბაშიძის გარეშე. მე ეჭვი მეპარება, რომ ვინმე პიროვნულად იყოს დაინტერესებული ამ ინტერვიუთი. ეს პროვოკაცია სცილდება საქართველოს ფარგლებს და თუ ვისი დაკვეთით არის იგი დაგეგმილი, ახლო მომავალში ეს კარგად გამოჩნდება".

– „თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ აჭარაში სიტუაციის გამწვავებისას საქართველოს ხელისუფლება შეძლებს დესტაბილიზაციის თავიდან აცილებას"?

– „სრული გარანტიაა იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა აჭარაში არ იქნეს დაშვებული ვითარების გამწვავება".

ზურაბ ჟვანია – აშკარად შეურაცხყოფილი იყო და არ მალავდა კიდეც ამას. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მიმართა საქართველოს პროკურატურას, რათა გაერკვიათ ამ ცილისწამების სათავეები და ამასთანავე არ გამორიცხა სპეციალური კომისიის შექმნის საჭიროებაც. „მე ამ ინტერვიუს განვიხილავ ცილისწამების კამპანიის ნაწილად. ამიტომ ვთხოვ პროკურატურას,

გაერკვეს სიტუაციაში", – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ და შეუთვალა ცილისწამების ავტორებს. **„ტალახის სროლით ჯერ მიზნისთვის არავის მიუღწევია და ნასროლი ყველას უკან უბრუნდება", – ლოგიკური ფინიში უწინასწარმეტყველა მტრებს ჟვანიამ.** მას უკვე უსაუბრია პრეზიდენტთან, ამ უკანასკნელს კი, რა თქმა უნდა, უდიდესი შეშფოთება გამოუთქვამს მომხდარის გამო. რა ითქვა ჟვანიასა და შევარდნაძეს შორის, ამ თემაზე ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. სამაგიეროდ, ვიცით, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს არ უსაუბრია ამ ინცინდენტზე აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძესთან. თუ რატომ არ ისაუბრეს, ამისათვის ჟვანიას კომენტარი არ გაუკეთებია, ისევე, როგორც თავი შეიკავა იმ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან, რომელშიც ითხოვდნენ გარკვევას, რატომ არ ჩამოდის ასლან აბაშიძე თბილისში. „ამის შესახებ უმჯობესია, თვით ასლან აბაშიძეს კითხოთ", – მხოლოდ ამ ფრაზით შემოიფარგლა საქართველოს რიგით მეორე ლიდერი.

პარლამენტის თავმჯდომარე, როგორც ჩანს, კარგად ხედება, რომ აჭარის ტელეეიზით გაშვებული ინტერვიუ შესაძლოა კარგად გამოიყენოს ამ რეგიონის ხელისუფლებამ ზემოთ ნახსენებ კითხვაზე პასუხის გასაცემად და ახალი ბრალდებების წარსადგენად. დღეს ნებისმიერი მოაზროვნე მიხვდება, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ იგულისხმა რუსეთი, რომელსაც სერიოზული კოზირები აქვს აჭარაში, თუმცა კი თავი შეიკავა საბოლოო დასკვნებისაგან. მანვე რუსეთის ფაქტორს დაუკავშირა ბოლო დროს ზოგიერთი ოპოზიციური ძალისა და სხვადასხვა ფინანსური ჯგუფის გააქტიურება. „ქვეყანაში დაინყო ხელისუფლებისთვის ბრძოლა ყველა დაშვებული და დაუშვებელი მეთოდით. გამოიყენება სრულიად ამორალური და მიურებელი ხერხები. თუ ხელისუფლების ხელში ჩაგდების პროცესში გადავაბიჯებთ დასაშვებ ზღვარს, გამარჯვებული არავინ დარჩება", – თქვა ჟვანიამ და ძირითადად ამ ფრაზით ახსნა ბოლოდროინდელი პოლიტიკური დულილი საქართველოში. რაც შეეხება აჭარის ფაქტორს, პარლამენტის თავმჯდომარემ უფრო შორსმიმავალი და საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა: „თუკი აქამდე მხოლოდ აბსტრაქტული საუბარი იყო აჭარას დამუქრებულ საფრთხეზე, ამჯერად მიდის კონკრეტული საუბარი მტრის ვინაობის დასაზუსტებლად და, რაც საგულისხმოა, მტერს ჩაფიქრებული აქვს ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაცია აჭარაში. რომ არა ეს გარემოება, ნამდვილად თავს შეეიკავებდი დამატებითი განმარტებებისაგან". ჟვანიას განცხადება ფაქტობრივად აჭარის ლომის მიერ გადმოგდებული ხელთათმანის აღება და ბრძოლისათვის მზადება უნდა იყოს.

23 ოქტომბერი

„ახალი თაობა" ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

აკაკი ასათიანი შეეხო ბოლო დროს გახმაურებულ ამბავს, კერძოდ, ბრალდებებს, რასაც აჭარის ზოგიერთი პოლიტიკოსი უყენებს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას. ტრადიციონალისტების ლიდერმა შემდეგი ინტერპრეტაცია მისცა ამ ფაქტს. ეს არის უსაფუძვლო ინფორმაცია ასლან აბაშიძის დასასუსტებლად. თბილისშიც და აჭარაშიც მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს გარკვეული პროცესები. **ასათიანის აზრით, მხადდება ნიადაგი იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აჭარაში ხელისუფლების შეცვლა. იგი ფიქრობს, რომ საამისოდ არსებობს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მიზეზებიც. ეკონომიკურს რაც შეეხება, თბილისის ბიუროკრატიას სურს, რომ ისევე როგორც სხვა რაიონებიდან, აჭარიდანაც აიღოს ხარკი. რაც შეეხება ასლან აბაშიძის შესაძლო პრეტენზიებს პრეზიდენტის პოსტზე, ასათიანმა თქვა, რომ აბაშიძეს ამგვარი პრეტენზიები ნამდვილად არ გააჩნია და იქვე დასძინა, რომ აჭარის ლიდერი მისი მეგობარია. მემედ აბაშიძის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარმა ტრადიციონალისტმა განაცხადა:**

– მერე რა მოხდა, რომ ასლან აბაშიძე თავისი ბაბუის ძეგლს დგამს? მემედ აბაშიძე იყო გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე და ის რომა არა, ჩვენ დღეს ბათუმში, ისევე როგორც, მაგალითად, ტრაპეზონში, ვიზებით ვივლიდით.

ბათუმის ყოფილ მერ ხარაზის განცხადებასთან დაკავშირებით ასათიანმა თქვა, რომ ის

იცნობს ამ კაცს და ფიქრობს, რომ ის არ იცრუებდა. საერთოდ კი ასათიანმა დაასკვნა, რომ საქართველო მოიცვა ინტრიგებმა, ისე, როგორც საბჭოთა კავშირის 60-70-იანი წლების მთავრობა. „ბათუმთან ბრძოლა არის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, როგორც, მაგალითად, სამეგრელოსთან ბრძოლა".

დაბოლოს, ასათიანი მოკლედ შეეხო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ლიდერებს და თქვა, რომ არძინბა, გასაგებია, ვინ არის და რას წარმოადგენს, მაგრამ როდესაც პრეზიდენტ შევარდნაძეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ჩიბიროვზე ძვირფასი არავინ გააჩნია, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ ის არის სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი და აპირებს რუსეთთან შეერთებას, ცოტა არ იყოს, გაუგებარია.

„ახალი თაობა", ინტერვიუ ედვარდ სურმანიძესთან შეთქმულება ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ლეგენდაა, მსგავსი პროვიკაციები შემდეგშიც გაგრძელდება

ეთერ ბალაძე

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ედუარდ სურმანიძე 33 წლისაა, ჰყავს მეუღლე ლალი ქავჟარაძე და ვაჟი დავითი, რომელიც მალე 5 წლის გახდება. მისმა „აღორძინების" კავშირიდან გამოსვლამ საზოგადოების გარკვეულ წრეებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იგი ასლან აბაშიძეს არ შეხვედრია მას შემდეგ. ბ-ნი ედუარდი კომენტარს უკეთებს ბათუმის ყოფილი მერის თამაზ ხარაზის აჟარის ტელევიზიით გამოსვლას, სადაც ხარაზმა განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანიამ და როსტომ დოლიძემ მას ასლან აბაშიძის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა შესთავაზეს.

– „ბ-ნო ედუარდ, რა კომენტარს გაუკეთებდით ავთანდილ მარგიანის იუმორს კოსტიუმის ჩუქების შესახებ, ამან პოლიტიკური ინტრიგები ხომ არ გამოიწვია"?

– „ამ ფაქტს რეალურად ჰქონდა ადგილი. ქორწილში ვიყავი და მართლაც იქ მაჩუქა ავთანდილმა კოსტუმი, მაგრამ რატომ გახდა ეს მსჯელობის საგანი, არ ვიცი. მეც კი მიჩუქებია ბევრისთვის რაღაცა, მაგრამ სალაპარაკოდ არ გამიხდია".

– „რატომ დაუკავშირეს ეს მეგობრული ფესტი თქვენს პოლიტიკურ ნაბიჯს"?

– „იცით, ასეთი იუმორი მე არ მაინტერესებს. ალბათ ეს უკბილო ხუმრობაა და მეტი არაფერი".

– „აღორძინების" კავშირიდან გამოსვლის შემდეგ ბ-ნ ასლანს თუ შეხვედრიხართ"?

– „არა, არ შევხვედრივარ, არც არანაირი საუბარი მქონია მასთან".

– „აღორძინებიდან" თქვენმა გამოსვლამ ბევრი ჭორი და მოარული აზრი შექმნა, თითქოს მოქალაქეებს შეეკრაო".

– „ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ფრაქცია „მამული". მავანმა და მავანმა შეიძლება განსაკუთრებული რაიმე იფიქროს და შეეცადოს აღმოაჩინოს, მაგრამ აქ აღმოსაჩენი არაფერია. პარლამენტში მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე ვთანამშრომლობდით მოქალაქეთა კავშირთან, როგორც მმართველ პოლიტიკურ ძალასთან და ამით არის გამონვეული ის, რომ „აღორძინებას" ფართო წარმომადგენლობა ჰყავდა პარლამენტის ხელმძღვანელობაში. ჩვენ შევთანხმდით და ეს იყო ნამდვილი ჯენტლმენური, ზეპირი შეთანხმება, რომ გავაფორმებდით ოფიციალურად ოქმს მოქალაქეთა კავშირთან. მაგრამ ეს ყველას დაავიწყდა. პირველი დღიდან დრემდე არ შეგვიწყვეტია თანამშრომლობა მათთან და განსაკუთრებული ქვეტექსტების ძებნა, მე მგონი, ზედმეტია".

– „არის საზოგადოებრივი აზრი, რომ თქვენ ხართ **რეალური კანდიდატურა ასლან აბაშიძის თანამდებობაზე"**.

– „ეს არის **დაინტერესებული პირები მიერ გავრცელებული ჭორი.** ალბათ კანდიდატურები ადგილზეც იქნებიან და სხვაგანაც. საბოლოო სიტყვას კი მაინც ხალხი იტყვის, თუ ვიზე შეაჩერებს არჩევანს".

– „არც „აღორძინების" კავშირიდან გასვლაზე ჰქონია ასლან აბაშიძეს რეაქცია"?

– „არანაირი განსაკუთრებული კომენტარი არ გაუკეთებია მას. უბრალოდ, თქვა: „ეს დიდი დანაკლისი არ არის „აღორძინებისთვის" და არც არაფერს ნიშნავს. ერთი აქცენტი ჩემზეც იყო გადმოტანილი. როდესაც ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევდით ერთ-ერთ დიდ თანამდებობის პირს,

მაშინვე ვიცოდი, რომ ის იყო ცენტრის მიერ გადაბირებული". მე არ მესმის, რას ნიშნავს ეს სიტყვები. საქართველოში ყველა ცენტრის მიერ არის გადაბირებული? ცენტრი რა შუაშია და პერიფერია? იმდენი კატაკლიზმები იმიტომ გადავიტანეთ, რომ აზრთა თავისუფლება დაგვემკვიდრებინა. ფაქტობრივად ამისათვის ჩვენმა ხალხმა კათარზისი გამოიარა, როგორც ჩვენთან, საქართველოში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირში. რატომ აღიზიანებს თავისუფალი აზრი ვილაცვილაცეებს, ჩემთვის გამოცანად რჩება, თუმცა ვიცი და ამ გამოცანას პასუხიც მიეძებნება, მაგრამ ეს სხვა დროს იყოს".

– „რას იტყოდით ბათუმის ყოფილ მერ თამაზ ხარაზის გამოსვლასთან დაკავშირებით"?

– „მე მიმაჩნია და ამაში დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს არის შეთხზული ლეგენდა არამარტო კონკრეტული პიროვნების, არამედ მთლიანად ცენტრის დისკრედიტაციის მიზნით. როგორც ჩანს, დაგეგმილი პროცესები, რომლებმაც ჯერ საქართველოს სხვა რეგიონებში იჩინა თავი, ამჟამად აჭარაში გამოვლინდა ზემოთ ნახსენები ფორმით. უნდა ველოდოთ, რომ მსგავსი პროვოკაციები შემდგომშიც გაგრძელდება ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობის მიზნით. სამწუხარო ისაა, რომ ამ ფარსში მონაწილე ადამიანებმა შეიძლება არც იციან, რომ დაგეგმვის შორს მიმავალი ზრახვები საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ არის მიმართული, რომელიც უმთავრესად დაინტერესებული გარეშე მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ და ვარწმუნებ ყველას, უმთავრესად იმათ, ვინც ცდილობს წყლის ამღვრევას. საქართველოს ხელისუფლებას შესწევს ძალა, საჭირო შემთხვევაში გააკონტროლოს სიტუაცია სახელმწიფოში და მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით საკადრისი პასუხი გასცეს კონკრეტულ ადრესატებს".

ასლან აბაშიძე ზურაბ ჟვანის ზარს ელოდება
რას იზამს ჟვანია?

თამაზ ხარაზის სატელევიზიო ინტერვიუმდე ასლან აბაშიძე ტელეფონით პრეზიდენტ შევარდნაძეს დაუკავშირდა და ექს-მერის ურეკის შეხვედრის შესახებ აუწყა.

ამასთან დაკავშირებით **ასლან აბაშიძემ** პირველი ოფიციალური განცხადება „ალიასთან" საუბარში გააკეთა.

1997 წელს – 25-26 ოქტომბერი

გიორგი თარგამაძე
„ალიასთვის" ბათუმიდან

– პრეზიდენტს სათანადო მასალები გადაუგზავნეთ, მაგრამ ბატონი ედუარდი კიშინოვის სამმიტზე მიემგზავრებოდა, სულ ახლახან ის დაბრუნდა და ალბათ, ჩვენი საუბარიც შედგება. მხოლოდ ამის შემდეგ მოგანვდით ყველაფერს დეტალებში. თამაზ ხარაზის ინტერვიუსაც და იმ მიზნებზეც, რომელიც ამ საქმის ორგანიზატორებს ამოძრავებთ.

– „ამბობენ, თამაზ ხარაზის განცხადება ლეგენდაა და რუსეთიდან იმართებაო"...

– „სამწუხაროდ, ეს ლეგენდა არ გახლავთ. ჩვენ ვფლობთ დოკუმენტებს, რომელიც ზუსტი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს. თუ რატომ, რისთვის კეთდება და საიდან მოდის ეს ყველაფერი. საინტერესოა, იწყება ისტერია, რომ რუსეთს ჩოლოქზე ჯარების ჩაყენება და აჭარაში სიტუაციის გაკონტროლება სურს, მანამდე ორი-სამი კაცი ერთმანეთს ხედება და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მოლაპარაკებას აწარმოებს. მათი მთავარი მიზანი აჭარაში მართვის სადავეების ხელში ჩაგდების პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, ისინი ყველაფერზე ნავლენ".

– „ეს ფაქტი, მაინცდამაინც დღეს რატომ გამომზეურდა"?

– „ზოგის აზრით, ჩემი ავადმყოფობის პერიოდს დაუკავშირეს. მაგრამ მათი ოცნება არ ასრულდა".

4 დეკემბერს პარიზში ევროპის რეგიონთა ასამბლეამ დეკლარაცია მიიღო, რომლის მიხედვით, რეგიონებს, გაცილებით მაღალი ფუნქციები ეძლევათ, ვიდრე დღეს აქვთ, ხოლო სახელწიფოებს, რომლებიც რაგიონულ პოლიტიკას არასწორად წარმართავენ, ევროპის საბჭოში არ მიიღებენ. ამ დოკუმენტმა ის ძალები შეაშფოთა რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმება და მისი ტერიტორიული სახეცვლილება

სურთ, პირდაპირ ვაცხადებ, ეს არის უზარმაზარი ავანტიურა და მასზე არც ერთი პიროვნება არ უნდა წავიდეს.

– „საინტერესოა, თამაზ ხარაზის განცხადების შემდეგ თუ გქონიათ საუბარი ბატონ ზურაბ ჟვანიასთან“?

– „ეს კითხვა ბატონი ზურაბისთვის უნდა დაგესვათ. აჭარაში არ არსებობს პიროვნება, რომელსაც ბატონი ჟვანიასთვის შეურაცყოფა მიეყენებინოს. ამიტომ, მე მგონი, სატელეფონო ზარი თავად ბატონი ზურაბისგან უნდა წამოსულიყო და ამას ველოდებოდი კიდეც. მაგრამ ... ეს ზარი დღემდე არ ისმის. თუმცა, ამ ფაქტთან დაკავშირებით, მისი განცხადებები და შეფასებები, თითქმის სისტემატურად იბეჭდება“.

– „თამაზ ხარაზის განცხადებებთან დაკავშირებით, გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. როგორ ფიქრობთ, რა შედეგს მოიტანს გამოძიება“?

– „არავითარი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა“.

– „ბათუმში ხომ გენერალური პროკურატურის მოადგილე ჩამოვიდა“?

– „ბატონი როლანდ გილიგაშვილი სულ სხვა საქმეზე ჩამოვიდა,. მან ანალოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გენერალური პროლკურატურის მოსაზრებები გადმომცა, ბატონი როლანდი თბილისში, გამგზავრებას ველარ ასწრებდა. ბათუმში ერთი დღით დარჩენა გაადწვიტა და თამაზ ხარაზთან შეხვედრაზე გენერალურ პროკურორს ტელეფონით შეუერთდა“.

ამ გამოძიებას სერიოზული სახე უნდა მიეცეს, მართალია, იურისტი არა ვარ, მაგრამ ლოგიკურად ხელმოსაჭიდი აქ არაფერი იქნება. ბატონ თამაზ ხარაზი ვერ დაამკიცებს, რო ეს საუბარი ნამდვილად შედგა, რადგან იტყვიან, მოწმეები არ არსებობსო, ვერც მეორე მხარე დაამტკიცებს, რომ ეს თამაზ ხარაზის შეთხზულია. თუმცა, ასეთი შეფასება აბსურდუალია.

აქ რომ ძალიან სერიოზული ბრალდებაა ნამოყენებული. ბატონმა თამაზმა კი ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობა, უბედურების თავიდან ასაცილებლად. თავის თავზე აიღო.

– „გამოდის, საქმეს არავინ გამოიძიებს“?

– „გენერალური პროკურორის აზრით და ჩვენი თანხმობით, იქნება ერთობლივი საგამოძიებო კომისია, რომელშიც ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცავებიც და პროკურატურაც მიიღებენ მონაწილეობას. საკითხი ჩვენთან დაისვა, ჩვენთან გამოქვეყნდა ამიტომ ბათუმში უნდა გადაწვდეს და პასუხიც აჭარის მოსახლეობამ უნდა გასცეს.

– „თამაზ ხარაზის თქმით, იმ პირთა გვარები დაგისახელათ, რომლებიც თქვენს გარემოცვაში არიან და როსტომ დოლიძეზე მუშაობენ, ამ გვარების დასახელა მოულოდნელი იყო“?

– „ბატონ თამაზს ჩემთვის ახალი არაფერი უთქვამს, ჩვენ ძალიან სერიოზული მასალები გავქვს, რომლებიც მის ინფორმაციას ასაბუთებს“.

– „მათ წინააღმდეგ რაიმე ზომებს მიიღებთ“?

– „ასეთი ადამიანები იმ გუნდის წევრები არ უნდა იყვნენ, რომელიც ერთ მოედანზე თამაშობს. მან თავისი ადგილი სხვა სფეროში უნდა ნახოს და დაამტკიცოს, რომ სხვა რაღაცის კეთება მაინც შეუძლია“.

– „ბოლოს დროს გავრცელებული აზრით, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის პროპორციულად თქვენი ძალაუფლებაც სუსტდება: აჭარაში სიტუაციას ისე ველარ აკონტროლებთ, რომ მმართველობაში უშიშროების შეფი, სოსო გოგიტიძეც გეცილებათ. თქვენი აზრით რა უდევს ამას საფუძვლად“?

– „ადამიანების გარკვეულ ნაწილს, სწორედ ის აღიზიანებს, რომ აჭარა მტკიცედ იმართება ერთ გონებიდან, ერთი არხიდან“.

– „ბატონო ასლან, ბოლოდროინდელი ვითარება ბათუმსა და თბილისს შორის დაპირისპირებად აღიქვეს“.

– „არასწორი შეფასებაა. თბილისი მოსახლეობისათვისაც საოცრად თბილი ქალაქია, იქ ოთხი წელი გავატარე. შეიძლება მკითხველმა არც კი იცის. ბაბუაჩემი ზემელზე ცხოვრობდა. მამაჩემი და ბიძაჩემი კი პირველი საშუალო სკოლაში სწავლობდნენ ხვალ ჩვენ ყველანი ერთად ჩვენი დედაქალაქის დღესასწაულს – თბილისობას ვზეიმობთ“.

27 ოქტომბერი

„ახალი თაობა“ ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

„არ მჯერა რომ, საქართველოს პრეზიდენტს გულწრფელად ჰქონდეს კარგი დამოკიდებულება აჭარის ხელმძღვანელის მიმართ“.

თამარ ნინიძე

– „სურმანიძე მართალია, უარყოფს იმას, რომ მას რაღაცას დაჰპირდნენ იგივე მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები, მაგრამ **მაინც არსებობს ეჭვი, რომ გარიგება მოხდა“.**

– „ალბათ იყო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, **რომ ადამიანის ასეთ მძიმე ნაბიჯზე ძლიერი ზურგის გარეშე ვერ წავა. რას დაჰპირდნენ** დღეევანდელ მდგომარეობაში სურმანიძეს, ეს ძნელი წარმოსადგენია იმიტომ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე დღეს პრეზიდენტი ვერ გახდება დ აქედან გამომდინარე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარე ვერ გახდება. ალბათ უფრო სავარაუდოა, რომ პირობა შეეხება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვის შეპირებას ან კიდევ გარკვეულ ალიანსში გაწევრიანებას წინასაარჩევნო ბლოკში, თუმცა ერთი რამ უნდა ითქვას, რომ სურმანიძე თუ დარჩებოდა ბლოკი „აღორძინებაში“ 5%-იანი ბარიერის გადალახვის საშიშროება მას არ ექნებოდა, შეიძლება, მეორე ვერსია იყოს. რომ გარკვეული ინფორმაცია სურმანიძესაც აქვს, თუ რა შეიძლება უახლოეს მომავალში განვითარდეს აჭარაში და ამ ადამიანების რაოდენობამ თავი გამოარიდა იმას, რაშიც შეიძლება წინააღმდეგიც და მომხრეც ჩათრეული აღმოჩნდეს, **თორემ თავისთავად ძნელი წარმოსადგენია ჩემთვის ადამიანურად ის, რომ აქამდე ერთი აზრი ჰქონდათ ასლან აბაშიძეზე. სულ ახლახან შეიცვალეს აზრი. ასლან აბაშიძე თვითონ არ შეცვლილა, მის მიმართ დამოკიდებულება ადამიანს უკვე ჩამოყალიბებული უნდა ჰქონოდა. თან გაცილებით უკეთესად შეიძლებოდა გაგეცნო ასლან აბაშიძე აჭარაში, აბსოლუტურად გაუგებარია, ათმა ადამიანმა, როცა თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, აქედან როგორ მოახერხა, უკეთესად გაცნობა ასლან აბაშიძის და ამჯერად უარყოფითად დანახვა“.**

– „და იმის შემჩნევა, თუ როგორ ირღვევა იქ ადამიანის უფლებები, როგორი დიქტატურაა. იდევნება ბიზნესი, მონოპოლიზებულია ეკონომიკა და ა. შ“.

– „თუ მათ ასეთი დამოკიდებულება აქვთ, იგი უნდა ჰქონოდათ ადრეც, თუ მათ დამოკიდებულება ადრე არ ჰქონდათ. ფაქტია, ეს მაშინ საბაბი გამოდის და არა მიზეზი. შეიძლება, ხმები ბევრ შემთხვევაში დაემთხვეს უფრო თავისუფალი ეკონომიკური ზომების შესახებ სურმანიძის ჯგუფის ხმებს, ვიდრე „აღორძინების“ ხმებს, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა კატეგორია, სხვა განზომილება ადამიანური ურთიერთობების, რომლის მიხედვითც ჩემთვის შესაფასებელია ის, რაც კონრეტულმა ადამიანებმა გააკეთეს, იმას, რომ ადამიანმა შეიძლება შეიაცვალოს პოზიცია. ასეთი რამ შეიძლება ასლან აბაშიძის მიმართაც მოხდეს. როცა პოზიცია იცვლება, მაშინ არ უნდა გააგრძელო იმით სარგებლობა, რაც შენთვის მიუღებელი ადამიანისაგან გაქვს მიღებული. **აბსოლუტურად გასაგები იქნებოდა ჩემთვის, რომ ამ კაცს დაეტოვებინა პარლამენტი სწორედ იმიტომ, რომ აღმოჩდნენ იმ ბლოკში, რომელთანაც პრინციპული შეუთანხმებლობა აქვთ. ეს უკვე აღარ არის იურიდიული ნორმა. ასეთ საქციელს მე საკმაოდ მძიმედ ვაფასებ. ვერც ერთი მათგანი პარლამენტის წევრი ვერ გახდება, რომ არ ყოფილიყვნენ ასლან აბაშიძის გუნდის წევრები. ამიტომ, თუ დღეს აღარ მოსწონთ ასლან აბაშიძე, თუნდაც ეს საბაბი არ იყოს და მიზეზი იყო, მაშინ აღარ უნდა გააგრძელდეს იმ მონაპოვარით სარგებლობა, რომელიც მათ ასლან აბაშიძის სახელმა მოუტანა და არა დამოუკიდებლად მათმა სახელებმა და გვარებმა“.**

28 ოქტომბერი

„ახალი თაობა“ ინტერვიუ გურამ შარაძესთან

„საუბარი დოლიძესა და ხარაზს შორის შედგა, ჟვანია მასში არ მონაწილეობდა“

„სრულიად დასაშვებად მიმაჩნია, რომ საუბარი როსტომ დოლიძესა და თამაზ ხაზარს შორის შეიძლებ შემდგარიყო, განუცხადა მოამბე-ექს-პრესის კორესპოდენტს მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძემ“.

– „ამის თქმის უფლებას მაძლევს ის გარემოება, რომ საყოველთაოდაა ცნობილია როსტომ დოლიძის ნეგატიური დამოკიდებულება აჭარის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან და პირადად მის ლიდერთან – ასლან აბაშიძესთან. ამას თავად როსტომ დოლიძეც არ უარყოფს. **ამ საკითხის ამჟამად წინ წამოწევა კი ამ გაცვეთილი თემის გაცოცხლების და მისთვის მეტი წონის და ყურადღების შესაძენად წამოყებული კამპანია მგონია, რომელსაც ასლან აბაშიძის ჯანმთელობის გაუარესებისა და მისი შვებულებაში წასვლის შემდეგ მძაფრი ხასიათი შეიძინა. ურეკის მოვლენები ამ კამპანიის კულმინაციას წარმოადგენს, – განაცხადა გურამ შარაძემ“.**

მისივე თქმით, **ზურაბ ყვანია** არ არის იმ დონის პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რომ მსგავსი ლაფსუსი მოსცლოდა, „მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ სურვილის შემთხვევაში იგი ბოლომდე არ „გაეხსნებოდა“ უცხო ადამიანს. ამას თვითონ თამაზ ხარაზიც არ უარყოფს. იგი აცხადებს, რომ როცა საუბარი ამ დელეკატურ თემას შეეხო, ზურაბ ყვანია, რომელიც არც მანამდე არ იღებდა მონაწილეობს მასში, პროტესტის ნიშნად წამოდგა და გავიდა ოთახიდან“, – დასძინა გურამ შარაძემ.

მისივე განმარტებით ზურაბ ყვანია თავის ოჯახთან ერთად იმყოფებოდა ურეკში, ეს ემთხვევა იმ პერიოდს, როცა პარლამენტის ბიურის გამსვლელი სხდომები ტარდებოდა მალთაყვაში. რაც შეეხება აჭარის სახალხო კრების სხდომას გურამ შარაძემ განაცხადა, რომ იგი მას უბრალოდ არ ესწრებოდა და არაფერი იცის მასზე მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

მოამბე-ექს-პრესი

30 ოქტომბერი

ნინო ნატროშვილი, ბათუმი.

ინტერვიუ ასლან აბაშიძესთან

„არ მინდა ვიყო გამგრძელებელი იმ საზიზღობისა, რაც 37 წელში ხდებოდა“

„ბევრი მითქმა-მოთქა და გარკვეული შედეგებიც გამოიწვია ჩემმა ავადმყოფობამ და საქართველოდან წასვლამ. რას იტყოდით ამის თაობაზე, მით უმეტეს დღეს მიმდინარე მოვლენების ფონზე“?

– „ძალიან ორაზროვნად ჟღერს – საქართველოდან გასვლა. საუბედუროდ დღეს ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს საშუალება იმისა, რომ ყველა დაავადებას საქართველოში ვუმკურნალოთ. **რაც შეეხება ავადმყოფობას, მე იშვიათი გამონაკლისი არა ვარ, პირიქით, თითქოს არ მაქვს სხეულის ნაწილი, რამდენჯერმე რომ არ მქონდეს დამტვრეული.** ხან ორი ფეხით ვიყავი გამოკიდებული საწოლზე, ხან კი – ცალით. მართალი გითხრათ, მე თვითონაც ძალიან მიკვირს, რომ გულმა შემაწუხა, რადგან გული სად იყო არ ვიცოდი. ერთხელ გვიან მივედი სახლში, დავიძინე და ერთი საათის **შემდეგ გამომაღვიძა გულის ჩხვლეტამ, უფრო სწორად, ცერა თითი მაგრად რომ შემახონ გულზე,** რამდენიმე წუთი მივაყურადე და ისევ ჩავთვლიმე, მაგრამ მალე განმეორებით ვიგრძენი ჩხვლეტა, გამომეღვიძა სამი საათი და 45 წუთი იყო. ექიმი და სასწრაფო დახმარება არ გამომიძახია, იმიტომ, რომ მეგონა უბრალოდ, **მოვიწამლე, რადგან კუჭის არეშიც რაღაც შეკუმშული გრძნობა მქონდა.** არ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი გულთან იყო დაკავშირებული. ვიფიქრე, არაფერია სერიოზული-მეთქი, მით უმეტეს, რომ სულ რაღაც ორი წლის წინ საქართველოში **ერთ-ერთმა ცნობილმა კარდიოლოგმა გამსინჯა, გამოკვლევა ჩამიტარა და მითხრა, რომ ასეთი მძლავრი სისხლძარღვები მე არ მინახავს და რამდენიც გინდათ და როგორი დატვირთვითაც გინდათ, იმდენი იმუშავეთ. მაგრამ ასეთმა დიდმა დატვირთვამ და** დაძაბულობამ თავისი შედეგი გამოიღო. მე და ჩემს თანამოაზრეებს მართლაც ძალზე სერიოზული სამუშაო დატვირთვა გვაქვს. ამ წუთას არ ვისვენებთ. ძილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რას იზამთ, დროა ასეთი საუბედუროდ. ამ დროს

კი, ამ დაძაბულობას ჩვენ თვითონაც ვქმნით. საამისოდ, სამწუხაროდ, **არსებობდა შიდა და გარეშე ძალები, მაგრამ შიდა ძალები რომ არ არსებობდნენ, მერწმუნეთ, გარეშე ძალებიც არ იქნებოდნენ. დაძაბულობა შიდა ძალებს უფრო აწყობთ, და, თუ ვინმე ჩაუფიქრდება, ალბათ დამეთანხმება, რომ არაფერს ახალს არ ვამბობ".**

– „ისევ თქვენს გულს დაუბრუნდეთ".

– „იმ პირველი შემთხვევის შემდეგ გულის შეტევა მაქვს მხედველობაში, სულ რამდენიმე დღეში სამსახურში მომიწია თითქმის ორი ღამის ზედიზედ გათენება. დილის ხუთის ნახევარზე მივედი სახლში. სხვათა შორის, მახსოვს,. იმ ღამეს ქალაქის მერს დავურეკე, გავაღვიძე და ვუთხარი – რაღაც ნავთობის სუნია და რაშია საქმე-მეთქი. ამ გარემოებებისთვის რატომღაც არავის მიუქცევია ყურადღება. ცოტა ხანში აქეთ დამირეკა ქალაქის მერმა **ასლან სმირბამ** დ მითხრა, რომ თურმე მილი იყო გახეთქილი და ნავთობი გამოდიოდა. აი, ასეთი გამახვილებული პასუხისმგებლობის გრძნობა არ გაძლევს კაცს საშუალებას, მოისვენო და მოასვენი შენი ტვინი თუ ორგანიზმი. ეს მე ალბათ განგებიდან მაქვს დაბედებული, ოდითგანვე ასე იყო. **აბაშიძეები ეწირებოდნენ ქვეყნის ინტერესებს. ქვეყნისათვის ყველაზე რთულ დროს. რაც ჩემშიც ალბათ გენეტიკურად არის ჩადებული – ეს თანდაყოლილი ხასიათი თავგანწირვისა, აი, აქედან ევრ ამოვედი დღემდე, ამ ორმა** უძილო ღამემ და დიდმა დატვირთვამ და დაძაბულობამ ისევ გამოიღო არასასურველი შედეგი – გულის მეორე დარტყმა სწორედ მაშინ მივიღე, ჩემი უძილობის მიზეზი კი ის იყო, რომ იმ პერიოდში ერთი ძალიან არასასიანოვნო ინფორმაცია მივიღეთ, მიმდინარეობდა ამ ინფორმაციის გადამოწმება, თუმცა ჩვენ ისე გავაკეთეთ, რომ არავინ გაგველანძღა. დღედმე არავის არაფერი იცის, გარდა თვით იმ პიროვნებებისა, ვისაც ეხებოდა ეს ინფორმაცია".

– „ვერ დააკონკრეტებთ"?

– „იყო რაღაც... ისევ ასლან აბაშიძის საწინააღმდეგოდ გადადგმული ძალიან ცუდი ნაბიჯი იგეგმებოდა, რაც ორგანოების საკმაოდ მაღალი ჩინის ყოფილმა მუშაკებმა დაადასტურეს უშიშროებაში. ამიტომ არ შეიძლებდოა ჩვენ არ მიგვექცია ამისთვის სერიოზული ყურადღება, მაგრამ, ამის მიუხედავად, დღემდე ეს არავინ იცის, არც არასდროს მითქვამს ამის შესახებ და არც დამიწერია. თუმცა თვით ამ პიროვნებასთან მე მქონდა **შეხვედრა. ჩვენ 37 წელი გავიარეთ და კარგად გვახსოვს, რომ ძალიან ბევრი ადამიანის სწორედ ენების მიტან-მოტანით და დასმენებით დაიღუპა. ბუნებრივია, მე არ მინდა ვიყო გამგრძელებელე ამ საზიზღრობისა.** ჩვენ მხოლოდ ერთადერთხელ მივიღეთ გადაწვეტილება, რომ დაპატიმრებული ყოფილიყვნენ ჩვენი ყოფილი თანამშრომლები, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც წინასწარ განზრახვით მოიკლა მხოლოდ უფროსი, ხოლო შემთხვევით კი პოლიციის ორი ოფიცერი, თან დაგეგმილი იყო კიდევ სხვა სერიოზული აქტებიც. არც მანამდე და არც ამის შემდეგ ჩვენ ასეთი რამ აღარ გვქონია და რომ ამბობენ, დახურული რეჟიმიო, ჩვენ არანაირი რეჟიმი არ გვჭირდება, მით უმეტეს, რომ მოსახლეობა მხარს გვიჭერს, მაშინ ამიხსენით ერთი, ვის წინააღმდეგ არის საჭირო ნესი რეჟიმი"?

ამ ორი დღის დარტყმის შემდეგ, ასეთ დავარქვათ პირობითად გულის მეორე შეტევას, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე ისევ არ ვიცავდი რაიმე რეჟიმს და სამშალიან შტორმშიც კი, მახსოვს, კატერები გამოვცადე, რისი მონმეებიც **ბატონები შალვა ნათელაშვილი** და **დილარ ხაბულიანი** არიან, მაშინ ჩვენ ერთად ვიყავით და ალბათ მახსოვთ, რა ძლიერ დარტყმებს გვაყენებდნენ ტალღები. მოგეხსენებათ, გულს უყურადღებობა არ უყვარს. იმ პერიოდში უჩემოდ მოიწვიეს ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი კარდიოლოგი და ფაქტის წინაშე დამაყენეს. გასინჯვის შემდეგ მან მითხრა, რომ მეორე დარტყმა განაპირობა ძლიერმა დატვირთვამ და იმან, რომ არ გამიკეთდა სათანადო ინექცია. დავადანაშუალოთ ამაში ქართველი ექიმები? – რა თქმა უნდა, არა, სამწუხაროდ, ჩვენ კარდიოლოგებს, ჯერ კიდეე აკლიათ სათანადო გამოცდილება და ამიტომ წავედი საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაგეგმილი გვქონდა წავსულიყავი ან გერმანიაში, ან შვეიცარიაში, მაგრამ მოელენები ისე განვითარდა, რომ ჩვენ აღარ შეგვეძლო ამ გადაწყვეტილებების მიღება, რადგან იმ პერიოდში ბევრი **ისეთი რამ ამოტივტივდა, რასაც არ უნდა ჰქონოდა**

ადგილი. ამიტომ მაინც სიფრთხილე გამოვიჩინეთ, ასე შორს აღარ წავედით და როცა ჩვენმა ნათესავებმა გვირჩიეს, რომ თურქეთში არის კარგი კლინიკა, სადაც გულის ურთულეს ოპერაციებს აკეთებდნენ, გადავწყვიტე, თურქეთში წავსულიყავი. იქ, კი თურქეთში, გადანყდა, რომ ჩატარებულიყო ოპერაცია ჩემი დაზიანებული გულის სისხლძარღვების შეცვლის. ოპერაცია ჩატარდა ყოველგვარი სისხლის გადასხმის, გულის გაჩერებისა თუ რაიმე აპარატურაზე ჩართვის გარეშე. ნარკოზიდანაც კი ადვილად გამოვედი და გავახილე თუ არა თვალები, პირდაპირ ჩემს თავზე ვიდეოკამერა დავინახე. ექიმმა გადაიღო ჩემი მდგომარეობა ოჯახის წევრებისთვის. ასე მივეცი პირველი ინტერვიუ ჯერ კიდევ საოპერაციო მაგიდაზე მყოფმა. ამ ფირს ალბათ ისტორიისთვის შეინახავენ. ოპერაცია გამიკეთა ცნობილმა თურქმა ქირურგმა, ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტმა. მისი მეუღლე კი ქართველია, ბათუმელი, ის ანესთეზიოლოგია. სხვათა შორის, თურქეთში ვერ შეხვდები ათ კაცს, რომელთა შორისაც რამდენიმე ან თვითონ არ იყოს ქართველი, ან მეუღლე არ ჰყავდეს და ან დედა. ისინი არიან თურქეთის ერთგული მოქალაქეები, მაგრამ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ თავიანთი წარმომავლობა. არც მათი უფლებები შელახულა, როგორც არათურქებისა. – ბევრი გუბერნატორი, მინისტი, დეპუტატო თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირი ხშირად ქართველია.

– „სად გაიკეთეთ ოპერაცია“?

– „ერთ-ერთ სახელმწიფო ჰოსპიტალში“.

– „რამდენი დღე დაჰყავით იქ“?

– „მხოლდო 7 დღე და ჩემი აზრით, ისიც იმიტომ რომ კონტროლზე ვიყავი აყვანილი თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობისგან“.

– „კონკრეტულად“?

– „ოპერაციის მიმდინარეობის დრო **ორჯერ დარეკა თურქეთის პრეზიდენტმა** ჰოსპიტალში და კონტროლზე აიყვანა ოპერაციის მიმდინარეობა და შედეგი. ჰოსპიტალში ყოფნისას პრემიერ მინისტრმაც მინახულა, რაც დაფიქსირდა კიდეც, რადგან მას სხვადასხვა ტელე თუ საგაზეთო ჟურნალისტიც ახლდა. მინახულა რამდენიმე გუბერნატორმაც, მათ შორის ქართველმა გუბერნატორებმაც, ბევრ თაიგულსაც მიგზავნიდნენ. გარეთ რომ გამოვედი, ასე მეგონა, საუთარ დასაფლავებას ვესწრებოდი, იმიტომ რომ იქ უზარმაზარი თაიგულები იციან და მთელი ფოიე სავსე იყო ამ, უზარმაზარი თაიგულებით, თავისი წარწერებით პრეზიდენტისაგან. გუბერნატორებისაგან თუ სხვა მინისტრებისაგან. თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მე ოპერაციის შემდეგაც შეეხვდი და, სხვათა შორის შევატყვე, რომ მართლაც გულიდან უხაროდათ ჩემი გამოჯანმრთელება, რადგან ეამაყებოდათ, რომ მათ სახელწიფოში თურქმა ქირურგმა ასეთ მაღალ დონეზე ჩატარა ოპერაცია. არ ვიცოდი თურქებსაც ჩვენაირი წესები ჰქონიათ – ხელზე ურტყამდნენ და მეუბნებოდნენ – ისე კარგად ხარ, თვალი არ გეცეთო“.

– „თქვენი ავადმყოფობის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრიხართ“?

– „შეხვედრით – ჯერ მხოლოდ ტელეფონით დავუკავშირდი. საუბრისას მან მალე გამოჯანმრთლება მისურვა, ხოლო რაც შეეხება შეხვდრას, იგი მალე შედგება, რომლის დროსაც, ვიმედოვნებ საკმაოდ საინტერესო საკითხებზე ვისაუბრებთ. სხვათა შორის საინტერესო დოკუმენტი გავუგზავნე უკვე პრეზიდენტს და ჩვენ მასთან ბევრი სასაუბრო გვაქვს“.

31 ოქტომბერი

„ახალი თაობა“

აბაშიძემ შეავარდნაძეს ჟვანიას მამხილებელი მასალები გადასცა

ირინა სარიშვილს კი თავზე კინაღამ კარნიზი დაეცა

გუშინ ბათუმში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა წარსულში ცნობილი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, მემედ აბაშიძის ძეგლი, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, ძეგლის გახსნას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი, პარალამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მემედ აბაშიძის შვილიშვილი, ასლან აბაშიძე.

დამკვირვებელთა აზრით, ზურაბ ჟვანიამ ბათუმში ჩასვლით თავისი ჩაურევლობის დემონ-

ისტრირება მოახდინა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დამხობის, თითქოს ცენტრიდან წამოსულ მცდელობაში, რის შესახებაც ბათუმის ყოფილმა მერმა თამაზ ხარაზმა ისაუბრა 19 ოქტომბერს აჭარის ტელევიზორის ეთერში გამოსვლისას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საზეიმო ვითარების შენარჩუნებას ცდილობდა, დაძაბულობა აშკარად იგრძნობოდა, რასაც კოკისპირულმა წვიმამ შეუწყო ხელი. ასლან აბაშიძე იმდენად გაერთო პრეზიდენის მასპინძლობით, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ხაზგასმით ყურადღებას არ აქცევდა.

ზღვის სანაპირო ბაღში ძეგლის გახსნის შემდეგ ძირითადმა მოვლენებმა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში გადაინაცვლა. პრაიმ-ნიუსის ცნობით, თეატრის დირექტორის კაბინეტში ედუარდ შევარდნაძემ, ზურაბ ჟვანიამ, ნიკო ლეკიშვილმა და ასლან აბაშიძემ თითქმის ერთსაათიანი საუბარი გამართეს, რომლის დეტალები უცნობია ჟურნლისტებისათვის. საუბრის შემდეგ ასლან აბაშიძე თბილისელი პოლიტიკოსების გარემოცვაში აღმოჩნდა უკვე თეატრის პარტერში – მის გვერდით ედუარდ შევარდნაძე იჯდა, წინ – ზურაბ ჟვანია, ხოლო უკან – ნიკო ლეკიშვილი.

კონცერტზე დასწრების მსურველები იმდენი იყვნენ, რომ სიმჭიდროვის გამო შენობის შესასვლელში, მინები ჩაისხვრა და ლამის ედპ-ის ლიდერს ირინა სარიშვილ-ჭანტურიას დაეცა ფარდიანად ჩამოვარდნილი კარნიზი.

უამინდობამ მაინც შეიტანა კორექტივები საზეიმო ღონისძიებების ჩატარების გრაფიკში. ზეიმი ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო, რადგან მსახიობები ბაღში აპირებდნენ წარმოდგენის გამართვას და არა ოპერის დარბაზში,. მთელი ამ ხნის განმავლობაში ედუარდ შევარდნაზე და ასლან აბაშიძე გაცხარებული საუბრობდნენ რაღაცაზე.

ბოლოს და ბოლოს დაიწყო კონცერტი. ასლან აბაშიძემ საზეიმო ვითარებაში გადასცეს ხმალი, საჩუქრის მიღების შემდეგ აბაშიძემ თქვა, რომ აჭარა ცდილობს არ შეუქმნას პრობლემები სამშობკლოს და კვლავ ამტკიცებს მისი და ერისადმი სიყვარულს, „ასე იქნება ყოველთვის"– ხაზი გაუსვა ასლან აბაშიძემ და შეახსენა დამსწრეთ, რომ 1995 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს მთელმა აჭარამ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. შემდეგ ასლან აბაშიძემ ხმალი ედუარდ შევარდნაძეს გადასცა. ჟურნალისტთა წრეების დაუყოვნებლივ დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ ეს სიმბოლური ჟესტია – აჭარაში სურთ, რომ ხმალი ყოველთვის ქარქაშში იყოს ჩაგებული. ედუარდ შევარდნაძემ, თავის მხრივ დაცვას გადასცა ხმალი.

მართალია პრეზიდენტს ხმალი ქარქაშიდან არ ამოუღია, მაგრამ არც ჟვანია-აბაშიძე შორის ჩააგდო მანდილი.

უნდა აღინიშნოს, რომ კონცერტზე გამომსვლელები თბილი სიტყვებით მხოლოდ ასლან აბაშიძესა და ედუარდ შევარდნაძეს იხსენიებდნენ, ამ დროს სიტყვაც არ უთქვამთ ზურაბ ჟვანაის მისამართით.

– „ჩვენ დღეს გვიჭირს გარე პროვოკატორების გაძღოლა და ძნელია, წარმოიდგინოთ, თუ რა პირობებში უწევდათ მოღვაწეობა მამედ აბაშიძესა და მის თანამებრძოლებს საქართველოს გასაერთიანებლად, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა საზეიმო სხდომაზე".

„იფრინდას" კორესპოდენტის ცნობით შევარდნაძემ თხოვნით მიმართა **ელგუჯა ამაშუკელს** – შექმნას მემედ აბაშიძის, როგორც ერთიანი საქართველოს სიმბოლოს ძეგლი, რომელიც თბილისში დაიდგმება. „მე მდიდარი კაცი არ ვარ, მაგრამ ძეგლის შექმნისა და დადგენისთვის საჭირო სახსრებს თავად გავიღებ", – განაცხადა პრეზიდენტმა. იგი თვლის, რომ არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც საქართველო თავის გამთლიანებას იზეიმებს, რაც, პრეზიდენტის პროგნოზით, თვის არის მოსალოდნელი. მისივე თქმით, **მემედ აბაშიძეს შესანიშნავი შთამომავალი ჰყავს. იგი თავისი ხალხის ბრწყინვალე ლიდერია და არ სჭირდება ბაბუას ჩრდილი.**

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯოდმარემ საქართველოს პრეზიდენტის მემედ აბაშიძის საიუბილეო მედალი გადასცა.

შესვენებაზე შევანდანძემ და აბაშიძემ თეატრის ფოიეში სახელდახელო პრესკონფერენცია გამართეს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე ჰქონდათ თუ არა მათ საუბარი ბათუმის ყოფილი მერის, ხარაზის

ცნობილი ინტერვიუს გარშემო, შევარდნაძემ განაცხადა: „ამ წინააღმდეგობაზე საუბარი არ ყოფილა. ჩვენი საუბარი უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული იყო და იგი გაცილებით მიმზიდველ საკითხებს შეეხებოდა“.

ისის თაობაზე განაგრძობს თუ არა ხარაზის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაზე მუშაობას, შევარდნაძემ უპასუხა, რომ იგი არასოდეს ჩაერევა ასეთ საკითხებში. თამაზ ხარაზთან დაკავშირებით პრეზიდენტმა პრინციპულად განაცხადა, რომ ამ თემაზე მას არ სურს საუბარი.

ედუარდ შევარდნაძე ვერ ხედავს პრობლემებს თბილისსა და აჭარას შორის, მისი თქმით, აჭარაში შესანიშნავად ცხოვრობენ, რის დასტურადაც პრეზიდენტმა საქართველოს ამ კუთხეში დღემდე განხორცილებული სამუშაოები მოიყვანა.

ასლან აბაშიძისათვის გაუგებარი იყო ჟურნალიტის შეკითხვა, რომელიც მისი და ჟვანიას პირისპირ შეხვედრას შეეხებოდა. აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თქმით, „ერთი ერთზე შეხვედრა მხოლოდ რინგზე ხდება“.

რაც შეეხება მემედ აბაშიძის ძეგლის თბილისში გახსნას და, ამასთან დაკავშირებით, აბაშიძის დედაქალაქში ჩამოსვლას,. მან ჟურნალისტებს განუცხდა, რომ მისთვის მთავარია, გაიხსნას ძეგლი.

გეა-ს ასლან აბაშიძემ განუცხადა, რომ ჟვანია-დოლიძის მამხილებელი დოკუმენტები პრეზიდენტს გადასცა. გეას-ს შეკითხვაზე, თუ რა დოკუმენტებზეა ლაპარაკი, ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული მთელი დოკუმენტური მასალა მხოლოდ ხარაზის ჩვენებებს წარმოადგენს.

ბოლო დროის მოვლენები აბაშიძემ შეაფასა, როგორც გარკვეული პირების მხრიდან აჭარის სინდრომის შექმნას. მისი აზრით ეს ხდება საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, **„აჭარაში მუშაობენ და იბრძვიან საქართველოს ერთიანობისათვის“ – განაცხდა ასლან აბაშიძემ და დასძინა, რომ აჭარას არ გააჩნია რაიმე საკუთარი ინტერესებისათვის.**

– „მე ყოველთვის მომხრე ვიყავი და ვარ აჭარის ავტონომიისა და სხვა. უფრო სრულყოფილი სახელმწიფოები ეროვნული წარმონაქმნისა. ეს ჩვეულება სერიოზულმა პოლიტიკოსმა წინაპრებმა მოიფიქრეს და გადაწვიტეს. ჩვენ არ შეგვიძლია ნაბიჯის უკან გადადგმა. ეს გამორიცხულია – უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა არის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე.

ხარაზი ამბობს, რომ გამოაშკარავა შეთქმულება სახელმწიფო გადატრიალების თაობაზე.

ბათუმის ყოფილი მერის საქმესთან დაკავშირებით შექმნილი პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ბათუმში იმყოფებოდა, უკვე შეხვდა თამაზ ხაბაზს, შეხვედრაზე ბათუმის ყოფილმა მერმა დაადასტურა თავისი ნათქვამი და გაოცება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ცილისწამებაზე, მაშინ, როდესაც ხარაზის თქმით, მან გამოაშკარავა შეთქმულება სახელმწიფოს გადატიალების თაობაზე.

„იფრინდას“ კორესპოდენტთან საუბარში პარლამენტის თავმჯდომარე ჟვანიამ, განაცხადა, რომ აჭარისა და ცენტრალური ხელისუფლებას შორის ბოლო დროს განვითარებული მოვლენები დაძაბულობას არ შექმნის, მანვე განაცხადა, „მე ჩემი სათქმელი ვთქვი, და ახლა პროკურატურის დასკვნას დაველოდები“

1 ნოემბერი

ახალი თაობა.

თამაზ ხარაზი შეიძლება მოკლან და დანაშაული „შეთქმულებს“ გადააბრალონ

როსტომ დოლიძემ კატეგორიულად უარყო აჭარის ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს მან აღიარა ინფორმაცია აბაშიძის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის თანხმობა.

აჭარი ტელევიზიით და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ აღიარა აჭარის ხელისუფლბის წინააღმდეგ გადატრიალებაში მონაწილეობის ფაქტი. გუშინ პარლამენტარმა როსტომ დოლიძემ აღნიშნა,: „კატეგორიულად ვაცხადებ, რომ აღიარება ჩემს მიერ არ მოხდარა,

მით უმეტეს, ასეთი ფაქტისა, რომეცცი არ ყოფილა".

დეპუტატამა დოლიძემ იმედი გამოთქვა, რომ აჭარის მოსახლეობა არა აპყვება პროვოლკაციას და საბოლოოდ თავად გაერკვევა აჭარის დღევანდელ ხელისუფლების არსსა და ბუნებაში.

მანვე შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მისთვის ცნობილია, თუ როგორ სერიოზული ზეწოლას განიცდიან თამაზ ხარაზი და აჭარაში პოლიტიკოსი სფეროში მოღვაწე სხვა პიროვნებები, რომელთა საშუალებითაც აჭარის ხელისუფლებას სურს გააფართოოს შეთხმულება მონანილეთა რიცხვი.

როსტომ დოლიძის ვარაუდით, იგი არ გამორიცხვს აჭარის ხელისუფლების მიერ თამაზ ხარაზის ლიკვიდაცია, რაშიც შემდეგ იგივე ხეისუფლება „გადატრიალების" დამდამგეგმარებს დაადანაშაულებს.

27 ნოემბერი

„ახალი თაობა" ინტერვიუ დავით ბერძენიშვილთან

– „რას იტყვით იმ ვიზიტის შესახებ, რომელსაც მემედ აბაშიძის ძეგლის საზეიმო გახსნა დაერქვა, სადაც **შევარდნაძემ** და აბაშიძემ კარგად ისაუბრეს და **ზურაბ ჟვანია**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, **თითქოს გალახული ძაღლივით ჩამოგვივიდა** თბილისში და რატომ მაინც და მაინც ზურაბ ჟვანია და არა სხვა"?

– „მე მაინც თაობის სოლიდარობას დავიცავ და მთლად გალახულ ძაღლად არ მინდა მივიჩნიო ზურაბ ჟვანია, თუმცა ჭაში ნახათქუნებ ვედროს ნამდვილად დაამსგავსეს და მისი მდგომარეობა ჩემთვის სავსებით გასაგებია. მე ვფიქრობ რომ აბაშიძეს ბევრი მოუვიდა და საბოლოო ჯამში ის წააგებს, ზურაბ ჟვანია არ არის მარტო ზურაბ ჟვანია და მეტსაც ვიტყვი – **პერსპექტივაში აბაშიძესთან დამოკიდებულებაში, ჟვანია არ არის მხოლოდ მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი. არსებობს** ინტერესთა თანხვედრა და კიდევ ის, ბოლოს და ბოლოს, ვის ვისთან შეუძლია ურთიერთობა. აბაშიძისთის მტრის ხატის შექმნა უცხო არ არის, მტრის ხატს ვერც მე შევექმნიდი და ვერც როსტომ დოლიძე. პირდაპირ პრეზიდენტზე კი ვერ იტყოდა, ამიტომ მან დააპირა მისი ე. წ. მტერი უფრო მძლავრი და მსუყე ყოფილიყო, მას უნდოდა ეჩვენებოდა – მე ორი თვე კი ვიყავო ავად, მაგრამ გამოვჯანმრთელდი, რომ შემიძლია ხმალაობა. არა მგონი, ზურაბი ასე მოქცეულიყო, რომ აბაშიძისთვის ასეთი კოზირები მიერთმია ხელში. რეალურად აჭარის აღორძინების ფრაქციიდან 8 დეპუტატის გამოსვლა, მათ შორის ვიცე სპიკერის, აბაშიძისთვის დიდი დარტყმა იყო, ე. ი. ჟვანიამ გადადგა ნაბიჯები აბაშიძის შესასუსტებლად. ასე, რომ, ეს უფრო არსებითია, ეს ანუხებს აბაშიძეს და არა ის, რომ თამაზ ხარაზთან ილაპარაკა თუ არა ჟვანიამ. გამოდის, რომ ჟვანიამ საქართველოს პარლამენტში შექმნა ის ჯგუფი, რომელიც, ერთის მხრივ. აბაშიძესთან არის დაპირისპირებული და, მეორეს მხრივ, ზრდის, მოქალაქეთა კავშირის კონკურენტუნერიანობას. აგრეთვე ჟვანია არის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მან მშვენივრად იცის, შეიძენს საქართველოში აბაშიძე მისცენ თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ანუ არ შეიძლება იყოს განსხვავებული ეეკონომიკური რეჟიმი ბათუმის პორტში, ეს არის ქვყნისათვის მძიმე რამ, **ზურაბ ჟვანიამ ამ ნაბიჯებით შექმნა საკუთარი პოლიტიკური საყრდენი საქართველოში. შევარდნაძემ, შესაძლოა, მიიჩნია, რომ ჟვანია მეტ უფლებებს აძლევდა** თავის თავს და თუ ხან ირინა სარიშვილით აბალანსებდა და ხან რჩეულიშვილით, ახლა უფრო ცხვირში მოარტყა, რომ მან იცოდეს მისი ადგილი. ასეთ დარტყმა იყო, რა თქმა უნდა, მას დაუვარდა რეიტინგი, მაგრამ ეს დარტყმა მისთვის დამღუპველი არ არის და, შესაძლოა ახლა კიდევ უფრო გამოაფხიზლა ჟვანია, რომ არ შეიძლება მხოლოდ სხვისი ლოკომოტივის ვაგონად ჩაბმა, თუნდაც ეს ვაგონი პირველი ნომერი იყოს და ადრე თუ გვიან ჟვანიას პოლიტიკური ჯგუფი, თუ ის მოახერხებს ამ ჯგუფის რეალურად შენარჩუნებას და გაძლიერებას სამომავლო ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მიმზიდვილი იქნება. **ჟვანია ჯერ საკმაოდ შორსაა პოსტშევარდნაძისეულ პერიოდამდე, მაგრამ ვიღაცეები ამას თვლიან პოსტშევარდნძისეულ** პერიოდში სამთავრებო ელიტისათვის ჟვანია აბსოლუტურად მიუღებელი იქნება, რადგან ის არის სხვა წარმოშობის პოლიტიკური მოღვაწე. ის არ არის საბჭოთა

ფუნქციონერი, არ არის კორუმპირებული და, საერთოდ, ჟვანის სხვა თაობისაა".

ეს დარტყმა აბაშიძემ მოიგო დროებით და ადვილად შესაძლებელია, რომ იგი აღმოჩნდეს ისეთი პიროსისეული გამარჯვება, რომელიც, საბოლოო ჯამში, აბაშიძის მონინააღმდეგეთა ბანაკს ერთმანეთთან დაახლოებს.

21 ნოემბერი

ზურაბ ჟვანია და როსტომ დოლიძე პოლიტიკური აბორტის მსხვერპლი არიან

თამარ ასლანიკაშვილი

სამკვირიანი შვებულაის შემდეგ ბათუმიდან **დაბრუნებულმა აკაკი ასათიანმა** გუშინ ჟურნალისტებს თავისი „ბათუმური" შთაბეჭდილებები გაუზარა და აღნიშნა, რომ იქიდან ცენტრი, აჭარასთან დაკავშირებული თითებით გამოწოვილი პრობლემებით, ძალიან სასაცილო ჩანს.

ასათიანის განცხადებით, მან სამი კვირა იცხოვრა იქაური ცხოვრებით და მეტად საინტერესო დასკვნა გააკეთა: „ურეკში ნამდვილად ჰქონდა ადგილი იმ პოლიტიკას", თუ ამას პოლიტიკა ჰქვია, რომლის მსგავსიც ხელისუფლებას არაერთხელ მოუწყვია. როსტომ დოლიძე ურეკის ოპერაციის ჭანჭიკია, ზურაბ ჟვანია – მსხვერპლი. ერთი სიტყვით კი, ისინი პოლიტიკური აბორტის მსხვერპლი არიან.

ტრადიციონალისტთა ლიდერის განცხადებით, არც მას სურს ქვეყნის მმართველი ძალა მოქალაქეთა კავშირი იყოს, ხოლო პრეზიდენტი – ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ ის არასდროს მოანყობს ამისთვის შეთქმულებას. „ეს მეთოდი შევარდანძისათვისაა ცნობილი. იგი ასე მოიქცევა 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის პროცესების განხორციელების დროს!.

ასათიანის განცხადებით, დღევანდელი საქართველოს არ არის კომუნისტებისდროინდელი ქვეყანა, სადაც ინტრიგებით მიდიოდნენ ადამიანები წინ დასახული მიზნებისაკენ, მისი აზრით, აჭარის წინააღმდეგ მიმართული პროცესებს უნდა დასრულდეს და განტევების ვაცის ძიება შენყდეს. **„აჭარში პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ ეს ასლან აბაშიძის დამსახურებაა და არა ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე ჩინოსანი".**

ტრადიციაონალისტთა კავშირის თავმჯდომარეს სასაცილოდ არ კმარა დეპუტატ სურმანიძის მიერ თბილისში შესრულებული სიმღერა გაჭირვებაში მყოფ მზიურ აჭარაზე. ასათიანის აზრით, სურმანიძეს ცუდ მდგომარეობაში აგდებენ, როცა უქმნიან პირობებს პოლიტიკური კარიერის ღალატით დაწყებისათვის „ახალგაზრდა პოლიტიკოსისათვის ღალატით კარიერის დაწყება კარგი არ არის, სხვა არის შევარდნაძის ასაკის კაცი, იგი ადრე კომუნისტი იყო, ახლა – გიორგია, ადრე ინტერნაციონალური იყო, ახლა პატრიოტია, ადრე დიქტატორი იყო, ახლა გადემოკრატიულდა".

– „ჩვენი ხელისუფელბის იდიოტურმა კანონმა ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ, ხელი შეუშალა საქართველოს ევროპსაბჭოში მიღებას, მაშინ, როცა აჭარა ტაშის გრიალით აღიარეს ევროპის რეგიონთა ასამბლეაში მიღების კანდიდატად, – ამბობს აკაკი ასათიანი და მიიჩნევს, **რომ აჭარაში მიმდინარე დადებით პროცესებს შურის გამო ვერ ხედავენ".**

– „აჭარაშიც არის პრობლემები, მაგრამ გადაწყვეტადი. ეს ძნელია, ეს სიძნელე **დაუჯდა** აბაშიძეს იმის **ფასად, რომ საოპერაციო გახდა".**

ასათიანის აზრით, ხელისუფლება ცდილობს ქვეყანაში შიში დანერგოს, „შიშის სინდრომი მოქმედებს". ამათ ჰგონიათ „შიში შეიქმს სიყვარულსა". მათნაირებზეა ნათქვამი. **მათ ხელისუფლება საფრთხე რომ ემუქრება, გრძნობენ და ამ გზით უნდათ ხელისუფლების შენარჩუნება. თუნდაც ღარიბაშვილის მაგალითი, სად გაგონილა, ვექილი დაიჭირონ".**

აკაკი ასათიანი პრესასაც გამოექომაგა. „თურქმენეთში არ ბეჭდავენ ხელისუფლების საწინააღმდეგოს, თურქმენეთის დიდი პატივს ვცემ, მაგრამ იქ სხვაც ბევრი რამ ხდება. იქ ხელისუფლება თავი დედ-მამის ძეგლებს აგებს. იმასაც აცხადებს, რომ სამიათასწლოვანი ცხენის საუკეთესო ჯიშის გამომყვანი თვითონაა. მართალია, ჩვენ ჯერ ამ დონემდე არ მივსულვართ, მაგრამ შევარდანაძე ნამდვილად არ იბრალებს, თუშური ცხვარი როგორ გამოვიყენოთ, მაგრამ ეს პრესის დამსახურებაა და არა მისი", – განაცხადა მან.

ასათიანის აზრით, როცა თბილისში ამბობენ, აჭარის ბიუჯეტი გამჭვირვალე იყოსო, **მათი ძირითადი სურვილია აჭარიდან ხარკი შემოვიდეს. „ჩვენი ბიუჯეტი გამჭვირვალე კი არა, საცერივითაა, რომლისთვისაც ხელი აქვს შეშვერილი ცალკე ხელისუფლებას და ცალკე მის ნათესაობას“.**

3 დეკემბერი

„ახალი თაობა“

საქართველოსათვის აჭარა ჩამოხეული და საწყალი გერი ეთერია „აბესალომ და ეთერიდან“ ამბობს ასლან აბაშიძე და 6 თვეში სალტოს გაჭიმვას აპირებს

მაია ჯანყარაშვილი

1 დეკემბერს ბათუმში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს.

სანამ ბ-ნ ასლანს შევხვდებოდით, ერთი საათის განმავლობაში ჩხრეკის გარდა, კიდევ რამდენიმე შესამოწმებელი პროცედურა გავიარეთ და „გაფილტრულები“ შევედით საუდენციო დარბაზში, მაგრამ, მასპინძლების მიერ ჩხრეკის სახით ჩვენდამი გამოხატული უნდობლობა არ გვწყენია,. რადგან ბ-ნ ასლანთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ მას საამისო მიზეზი აქვს.

– „მე გეტყვით იმას, რაც არავისთვის არ მითქვამს – ინფარქტი ხელოვნურად, ფოტოაპარატის ნათურიდან მიღებული ელექტრომაგნიტური ტიპის დასხივებით იყო გამოიწვეული“, – განაცხადა ბ-მა ასლანმა.

მისი თქმით, იმ დღეს როდესაც გულის შეტევა დაემართა, მასთან ორი პიროვნება მივიდა, შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთმა მასთან სურათის გადაღება ისურვა და როდესაც აპარატის ნათურა განათდა, შენობაში უშიშროების სამინისტროს მიერ დაყენებული აპარატურა გამოირთო. გამოირთო ყველა რაცია, ნახევარი საათის შემდეგ ბ-ნი ასლანი ცუდად გახდა. 3,5 საათი ითმენდა ტკივილს, მაგრამ სასწრაფო დახმარება არ გამოუძახეს, რადგან ინფარქტზე ეჭვიც არ შეჰპარვია, ფიზიკურად ნავარჯიშევი სხეულისა და ჯანმრთელი გულის გამო. ავადმყოფობა ხელოვნურად გამოწვევას მოწმობს თურმე ის რომ როდესაც კარდიოგრამა გერმანიაში წაიღეს, იქაურ ექიმებს ამ კარდიოგრამის პატრონი დავარდნილი კაცი ჰგონებიათ. გამოკვლევამ აჩვენა, რომ სისხლძარღვები დაზიანებულიიყო, **გული კი – არა. ოპერაცია გარდაუვალი იყო. რადგან აჭარის ხელმძღვანელზე ასეთი** ცივილიზიბული სახის ტერაქტი მასზე ნადირობას ნიშნავდა, რომელ ქვეყანაში და რომელ კლინიკაში გაიკეთებდა ოპერაციას, ეს მხოლოდ სამმა ადამიანმა – ასლან აბაშიძის მეუღლემ, მკურნალმა ექიმმა და ბ-მა პრეზიდენტმა იცოდა. უნიკალური ოპერაცია გაკეთდა, შევარდნაძე თავად ჩაერთო ჰოსპიტალის სატელეფონო ხაზზე და სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ავადმყოფის მდგომარეობას.

ასლან აბაშიძის თქმით, ეს ტერაქტი მოულოდნელი იყო მისთვის. თურმე იცოდნენ კიდეც, რომ იმ ორი კაცის „სტუმრობა“ საბედისწერო შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ:

– მე ქართული არალოგიკური სელა გავაკეთე, დავთანხმდი და მაინც გადავიღე მათთან ერთად სურათი, ეს პიროვნება ცნობილია, მაგრამ მაშინვე არ დავაპატიმრეთ, რადგან ეს საერთაშორისო ძლიერ კონფლიქტს გამოიწვევდა. ამისათვის მე ჩემი თავი მსხვერპლად გადავდე, – თქვა აბაშიძემ და დაიფიცა, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენ ჟურნალისტები იმ დღეს ელექტრომაგნიტური დასხივების ამომცნობი აპარატით შემოწმებაზე არა გაგვატარეს.

– ჟურნალისტებს, ამ ანთებულ ახალგაზრდებს კავკასიაში ხელი უნდა შეუწყონ მიმდინარე პროცესების დასანყნარებლად, – თქვა მან და დიდი წყენა გამოხატა მასმედიის მიმართეთ, – 12 გაზეთია ახლა და თორმეტივეს მთელი წლის მანძილზე დაუმსახურებლად თითოჯერ მაინც 3 ყავს გალანძღული, როგორც ასლან აბაშიძე, ასევე აჭარის მოსახლეობა. აქ ერთი ითქმება ჩახვალთ თბილისში და სულ სხვას წერთ. თუ ახლაც იმავე გზით აპირებთ სიარულს, ჯობია ახლავე დავიშალოთ. 500-ჯერ, რომ შეაფურთხებ ხალხს, რეგიონს, ამის უფლება არავის აქვს. ეს საქართველოს საკეთილდღეოდ არ კეთდება. თქვენ ბევრი კარგის გაკეთება შეგიძლიათ და ცუდს ნუ გააკეთებთ. ჩვენ მხოლოდ კარგი უნდა ვთესოთ, – თქვა ბ-მა ასლანმა და განაგრძო, –

მე მინდა დაგისვათ ერთი შეკითხვა – რა ნახეთ ამ დღეებში ყოფნისას აჭარაში სეპარატისტული? თქვენ მოისმინეთ ოპერა „აბესალომ და ეთერი". მხოლოდ ის რომ ეს ოპერა დავდგით, საკამრისია სამადლობელოდ, დავდგეთ აგრეთვე „აიდა", „ოტელო", „ლელა". სად ხედავთ ამაში სეპარატიზმს, განკერძოებას? რატომ გვდებენ ამაში ბრალს? 16 სკოლა ავაშენეთ შუახევის რაიონში. ამბობენ აჭაარში მეჩეთებს აშენებენო. სად ხედავთ მეჩეთებს? მხოლოდ ერთი მეჩეთი არის მინარეთში. 17 ეკლესია არის **ჩვენთან. გავხსენით სასულიერო სემინარია, რომელიც წელინადში 60 მღვდელს ამზადებს. ჩამოვიტანეთ საშენი მასალა ეკლესიებისათვის. გამოვიტანეთ ყველაზე დიდი ზარი** საქართველოში. ის ამ დღეებში ჩამოიკიდება და დარეკავს მშვიდობის ზარებს. სპეციალურად ჩამოვასხსით მოსკოვში. მასში ვერცხლი და ოქროა დატანებული, აქ აკლებენ ხოლმე ამ ლითონებს, იქ კი, როგორც საჭირო იყო, იმ რაოდენობით ამზადებდნენ. წონით ძალიან მძიმეა და საოცარი ეღერადობა აქვს; გავხსენით გიმნაზია, **საზღვაო აკადემია, რომელიც საქართველოს ემსახურება. ბევრს არ მოსწონს, მაგრამ 113 ხიდი ავაშენეთ, მათ შორის ერთი, ყველაზე დიდი საქართველოში, 476 მეტრით არის ჰაერში გამოკიდული. აბა, მითხარით, სად აშენდა ამდენი ხიდი? თანაც ეს ხიდები ძალიან იაფი დაგვიჯდა – ერთი ხიდი ერთი მანქანის ფასია. ეს უნიკალური შემთხვევაა. მე დღესაც რომ ნავიდე სამსახურიდან, იცოდეთ რომ, საქართველოს კეთილდღეობისათვის ბევრი რამ გავაკეთე. მაგრამ, გაზეთებში იმის საპირისპიროს ნაიკითხავთ, რასაც ვაკეთებთ და ეს ალბათ იმ დექსტრუქციული ძალების ნახელავია, ვინც ანგრევს საქართველოს, – თქვა აბაშიძემ.**

რაც შეეხება ენერგეტიკას, აბაშიძის თქმით, აჭარაში ამ მხრე ბევრი რამ კეთდება.

– ჩვენ თურქეთის რესპუბლიკიდან პირველად 50 მილიონი კრედიტი ავიღეთ. იცით, რომ ეს კრედიტები ჩვენი თაობების გადასახდელია? ამიტომ ჯობია ყველაფერი უკრედიტოდ ავაშენოთ, რაღაც დანაზოგებით – ერთ რაღაცას მოვაკელით, მეორეს მივამატოთ და ა.შ.. ჩვენ ვართ რამე მივაგენით – როცა ჩვენთან ბიზნესმენი ჩამოდის საქმის დასაწყებად, ვეკითხებით – ეს ხალხს რას მისცემს? შეიძლება ამ ფირმის საქმიანობით სახელმწიფომ მოგება ნახოს, მაგრამ მოსახლეობამ ვერ აღიქვას, რა გააკეთა ამ ფირმამ. ამიტომ ვუბნებით – აიღეთ რომელიმე ჩვენი პრობლემა და გადაჭერით. მაგალითად, ააშენეთ, ელექტროსადგური, რომელიც საქართველოს მოემსახურება, გაანათებს როგორც აჭარას, ასევე კახეთს, ქართლს და ა. შ. ასეთი რამ შევთავაზეთ ერთ თურქს. მიკვირს, 4 წლის მანძილზე რა ნერვები და ენერგია ეყო ამ კაცს, რომ ამდენი შეძლო. ირბინა თრქეთ-საქართველოს გზაზე, დელეგაციები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, იხილავდნენ საკითხებს. თავად ნიკო ლეკიშვილისთვის, პროფესიით ენერგეტიკოსი კაცისათვისაც, მისაღები იყო ეს იდეა, მაგრამ 4 წელი მაინც ტყუილად დაკარგეთ, – თქვა აბაშიძემ და დაამატა, რომ ბოლოს და ბოლოს, მან აჭარაში შეიმუშავა ენერგეტიკის განვითარების, 34 მცირე ჰესის მნიშვნელობის პროგრამა, ამ პროგრამის მიხედვით, ხიდების მშენებლობისას მდინარე არ ზიანდება, არ ზიანდება არც ფლორა და არც ფაუნა. უკვე აშენდა პირველი ჰესი საქართველოში, დაიდგა პირველი ქართული ტურბინა, რომელიც უხმოდ მუშაობს.

– „მაგრამ რომელიმე თქვენგანმა დაწერა ამის შესახებ? არავის აინტერესებს, რომ პირველი ქართული ტურბინა გამოვიდა საქართველოში აჭარის დაკვეთით და ის უკვე მუშაობს და გარკვეული პარამეტრებით მსოფლიოში არსებულ ანალოგიებზე უფრო მაღალ დონეზე დგას. 1954 წლის შემდეგ პირველად ავაგეთ მიკროჰესი, რომელიც ჰყოფნის ერთ რაიონს მთლიანად 24 მწერალი ჩამოვიდა მის გახსნაზე. ავიდნენ იქ, ძალიან ცუდ ამინდში. ჯაბუა ამირეჯიბი ცუდად იყო, მაგრამ მაინც ბოლომდე ავიდა და ნახა ტურბინა, რის შემდეგაც დამუხტული ჩამოვიდა იქიდან, – თქვა აბაშიძემ და დაამატა, რომ მალე აჭარაში გაფართოვდება მუშაობა, წამოვა ტურბინები, მანქანები უკვე გზაში არიან. აშენდება 46,8-50 მეგავატი სიძლიერის თბოიელექტროსადგური, ე. ი. აჭარას ექნება საკუთარი ელექტრონერგია და გამოთავისუფლებული ენერგია საქართველოს სხვადასხვა რაიონში გადანაწილდება.

ბიუჯეტზე საუბრისას ასლან აბაშიძემ განაცხადა"

– „ძალიან გაუგებარი შეფასებები მიეცა აჭარაში ფინანსთა მინისტრის ჩამოსვლას და ჩვენს შეთანხმებას ბიუჯეტთან დაკავშირებით. ის სხვა რეგიონებშიც ჩადის, მაგრამ რატომღაც აჭარის თემა წამოტივტივდება-ხოლმე. მიაქციე ყურადღება ამას. ეს არ არის კარგი, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, სათანადო ნაბიჯები გადავგდათ სიმართლის დასაცავად. ითქვა, რომ აჭარამ, ასლანმა მაინც მიაღწია თავისას და კვლავ მოუგო ცენტრსო, ჩვენ არაფერი მოგვიგია, პირიქით, ნავაგეთ", – განაცხადა აბაშიძემ, რომლის თქმით, მინისტრი ჩავიდა, აჩვენა მათ მომავალი ბიუჯეტის გეგმა, რომელშიც მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო ტრანსფერი, მაგრამ მინისტრმა ტრანსფერთან დაკავშირებით შეთანხმება თბილისში ჩასვლისთანავე დაარღვია – ტრანსფერის პროცენტები ასნია ყველგან და აჭარაში დატოვა შეთანხმებული პროცენტი.

– „ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, მე თქვენ გითხრათ – გასამრჯელო გექნებათ 10 ლარი, რადგან ქვეყანას მეტის საშუალება არა აქვს. მაგრამ შემდეგ სხვებს მივცე 10 ლარი, თქვენ კი – 5, – პრიმიტიულად ახსნა აბაშიძემ. – ეს იყო ტექნიკური სვლა, რომელიც ხვალვე გამოაშკარავდებოდა. ჩვენ გერის როლში ვართ და გვნყინს, როცა გვეუბნებიან – პრინცები ხართო, აი, გუშინ „აბესალომ და ეთერი" რომ ნახეთ, ის ეთერი ვართ, ჩამოხეული და საწყალი. ჩვენ გვინდა ისეთივე ზრდა და ტემპი, როგორც დანარჩენ საქართველოს აქვს. ჩვენ ერთნაირი პირობები გვინდა და განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ".

რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებდა ასლან აბაშიძის აზრი აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით.

– „ჩვენ არ ვიყენებთ ყველა მომენტს და კონფრონტაციაზე ვაგებთ ყველაფერს. ჩვენ ვაგზავნით დელეგაციებს ჟენევაში, სოჭში, მოსკოვში და აქედან ვუშლით. ეგ ისეა, რომ კაცს ხელით სავსე ჭურჭელი მიჰქონდეს და მას ჯიკაობა დაუწყო. მე მესმის, რომ აფხაზეთთან მიმართებაში იყო ჩვენი პოლიტიკური პოზიცია, მაგრამ ჩვენ გავუშვით ძალიან სერიოზული მომენტი – უნდა შეგვეძინა აფხაზეთის მოსახლეობისაგან ციტრუსი და ამით მათთან გავდებდით იმ დამწვარი ხიდების მაგიერ ახალს ხიდს. მოსახლეობა გაიგებდა, რომ ხელისუფლება ზრუნავს მასზე და ამ ციტრუსის შესყიდვით ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა. ამით რაღაც დადებითი მუხტი გაჩნდებოდა".

– „რამ გამოიწვია აჭარში მინისტრების შეცვლა"? – დაისვა კითხვა, რომელზეც აბაშიძემ აუღელვებლად უპასუხა, რომ აჭარაში ხელძღვანელი თანამშრომლების გათავისუფლება თანამდებებიდან, ყველაზე დემოკრატიული წესით ხდება – თუ რომელიმე მინისტრი რაიმე ხარვეზს დაუშვებს, მას დაიბარებენ, ადამიანურად გაესაუბრებიან და შეეკითხებიან – როგორ მოვიქცეთ? ასეთებს აჭარში მხოლოდ სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულზე სჯიან.

აბაშიძე დარწმუნებულია, რომ ყველა განთავისუფლებულ მინისტრს თბილისში საპატიო ადგილზე დანიშნავენ. მან კარიერისტების გასაგონად თქვა – თუ ვინმეს დანინაურება გინდათ, მოდით ჩემთან დაინყეთ მუშაობა,. მერე მე გაგათავისუფლებთ და ამის შემდეგ თბილისში დაგანინაურებენო.

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოებისა და კერძოდ, თამაზ ხარაზის საკითხს, აბაშიძის თქმით, ამ შემთხვევაში მიკერძოებას ჰქონდა ადგილი, რადგან საქმე აღიძრა ცილისწამებაზე და არა ფაქტზე.

– ჯერ ერთი, კაცი, რომელიც დაიბარე ურეკში და შესთავაზე სახელმნიფოს გადატრიალებაში მონაწილეობა და ეს კაცი მიდის იქამდე, რომ ტელევიზიის საშუალებით

განაცხადოს, მას ცილისწამების მუხლით აღუძრეს საქმე. მას, საქართველოს პროკურატურამ წინასწარ გამოიტანა განაჩენი – რომ შენ ხარ ცილისმწამებელი. ეს მათი მხრიდან იყო დანაშაული. საკითხი ეხება აჭარის ხელისუფლების ძალით დამხობასა და პიროვნებას, რომელიც აჭარის მოქალაქეა და რომელმაც აქ განაცხადა ამის შესახებ. აჭარის სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ ყველა უფლება, რომ აქ აღეძრათ საქმე. საქმე აქ, აჭარაში, უნდა აღძრულიყო და არა თბილისში, თბილისში საქმეს უნდა აღძრულიყო იმ ხალხზე, რომლებმც საერთოდ იცოდნენ ამის შესახებ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თამაზ ხარაზი არის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რომლის სტატუსი დაცული უნდა იყოს, – განაცხადა აბაშიძემ.

ხოლო რაც შეეხება ბათუმის ოზოლატორში ზომაზე მეტი დროით დაკავებულ ხალხს, აბაშიძის თქმით:

– ანალოგიური შემთხვევები არის თბილისში. თქვენვე ჟურნალისტები, წერთ, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები, არის ნამების, ძალდატენებისა და არასწორად დაპატიმრების ფაქტები. ამიტომ ჯერ თბილისში მოიკითხეთ და მერე – აქ, – განაცხადა აჭარის უზენესმა და განაგრძო, – მაგრამ მე მაინც გიპასუხებთ, ჩვენთან ეს ხალხი იმიტომაა დაკავებული, რომ ეს საქმეები ჯერ არ დამთავრებულა.

მისივე თქმით, აჭარაში ტერაქტების მომწყობნი თბილისში არიან და მათი გადმოცემა მოითხოვა, რადგან – აჭარაში დაპატიმრებული კაცი ჩემი საზღვარგარეთ ყოფნისას თბილისის ციხიდან გაათავისუფლეს და ორდენითაც დააჯილდოვესო.

– პეპსი-კოლა შემოდის აჭარაში და რა აზრისა ხართ ამაზე?

– რატომ არ დაინტერესდებით, როცა საქართველოში კოკა-კოლა შემოვიდა? – კითხვითვე უპასუხა ასლან აბაშიძემ ჟურნალიტებს, – მე არ შემეკითხნენ კოკას და არც პეპსი მაინტერესებს, ერთია, ის, რომ შეიძლება ჩვენ ახლო მომავალში პეპსი-კოლა გავსინჯოთ.

საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა საკუთარი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ ბ-მა ასლანმა ასეთი რამ გვითხრა (რაც ალბათ ბევრ მტერს გაუხეთქავს გულს):

– ექიმს ვუთხარი, რომ სალტოს გავაკეთებმეთქი. ახალგაზრდობაში ვაკეთებდი ამას. ეს ჩემთვის ადვილია. 1993 წელს ავსტრიაში გავაკეთე სალტო, საკმაოდ სერიოზულ საზოგადოების თანდასწრებით. მაგრამ, ექიმის თქმით, სალტოს გაკეთების უფლება 6 თვის შემდეგ მომეცემა.

9-10 დეკემბერი – გაზეთი „ალია“

„ხელისუფლება აჭარაში გადატრიალებას ამზადებს“

მიიჩნევს ასლან აბაშიძე. მას უკვირს: „როგორ შეიძლება ვერ ხედავდე იმას, რასაც ჩვენ აჭარაში ვაკეთებთ. შეხედეთ ბათუმს, ყველანაირად ვცდილობ, რომ იგი ევროპულ სტანდარტებს არ ჩამოუვარდებოდეს. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, რატომ – გულისტკივილით დაიწყო „ალიასთან“ საუბარი ასლან აბაშიძემ, რომლის სიცოცხლესაც (როგორც თვითონ აცხადებს) საფრთხე არა მხოლოდ თბილისში, უკვე ბათუმშიც ემუქრება. ამიტომაც ბოლო ხანს მის გადაადგილებას მთელი ქალაქი იგებს. ეს განსაკუთრებით, მისი რეზიდენციის წინ იგრძნობა, როდესაც ყევლა შენობისა და ბუჩქის გვერდით შეიარაღებულ მცველებს ჯერ კდიევ ნახეევარი საათით ადრე აყენებენ.

მაგდა პოპიაშვილი

– ბატონო ასლან, თქვენს მისაღებში, აჭარის საკითხებთან დაკავშირებული სტატიების ქსეროასლები ვნახე. როგორ გავიგოთ – მუშაობას იადვილებთ, თუ ესეც იმ დოსიეების ნაწილია, რომლის ტომებად გამოცემასაც აპირებთ?

რა თქმა უნდა თანამედროვე ტექნიკა საქმეს მნიშვნელოვნად აადვილებს. რაც შეეხება ჩემს თანაშემწესთან მდგარ ქსეროაპარატს, მას ძირითადად უკვე განხილული და რეზოლუციადადებული დოკუმენტიდან ასლის მოსახსენელად იყენებენ. ამით დავალება სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი.

თქვენ ბოლო პრესკონფერენციაზე ბრძანეთ: „კარგად ვიცი, რომელი ჟურნალისტი, რომელ კაბინეტში წერს სტატიებს“. კონკრეტული გვარების დასახელებას არ აპირებთ?

– ალბათ, მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში?

არ ფიქრობთ, რომ თქვენს განცხადებას მასმედია მუქარად, ანდა ღირსების შემლახავ განცხადებად აღიქვემს?

– ჩემს პრესკონფერენციას ბევრი ჟურნალისტი ესწრებოდა. პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ ჩემი განცხადება ყველამ ისე არ აღიქვა, როგორც თქვენ მეუბნებით. არა მგონია, რომელიმეს რაიმე მიზეზით თავი შეეკავებინა. უბრალოდ, არც არავის დავმუქრებიეარ და არც ვინმესთან მიმიყენებია შეურაცყოფა. ეს ჩემი სტილი არ არის, მეორეც, კეთილგანწყობვილ საუბარს თუ მორიდებულ, ხაზს ვუსვამ, მორიდებულ რჩევას შეურაცმყოფელად იღებენ და მტკივნეულად რეაგირებენ. ხომ ხედავთ, პირდაპირ ნათქვამს, სამართლიან გუ-

ლისტკივილს შეურაცხყოფად აღიქვამთ. შინ რას დაარქმევთ იმ ცილისნამებასა და შეურაცყოფას, რომელსაც თბილისის პრესა ყოველდღიურად აქვეყნებს ჩვენზე? ამ შეკითხვამ მთავარი რამ გამახსენა. გამოდის, რომ თურმე ვიცით, შეურაცყოფა ყველასათვის საწყენი და მიუღებელი რომ არის, მით უმეტეს, დაუმსახურებელი. ე. ი. ვინც ჩვენ პრესის საშუალებით სისტემატურად აღვირახსნილად გვლანძღავს და გვთათხავს, შეურაცხყოფას შეგნებულად გვაყენებს, მათზე რეაგირებას კი თავისუფალი პრესის წინააღმდეგ ბრძოლად აკვალიფიცირებს. ისე, შესანიშნავი ანდაზა გვაქვს ქართველებს: „გაღმა შეევდავე, გამოღმა შეგრჩებაო".

– ჩემთვის ცნობილია, რომ ჟურნლისტთა ე. წ. შავი სიის შექმნა რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს ნიშნავს. ეს მიზანმიმართულ ბრძოლას თავისუფალი მედიის წინააღმდეგ?

– ჟურანალისტებთან შეხვედრაზე მე იმ უდიდეს როლზე ვისაუბრე, რომელსაც პრესა საზოგადოების ცხოვრებაში ასრულებს. აქედან გამომდინარე. იმ დიდ პასუხიმგებლობზეც, რომელიც პრესის მუშაკებს აკისრებს – რედაქტორიდან დაწყებული თითოეული ჟურნალისტით დამთავრებული. მაგრამ თავისუფალი პრესა იმის უფლებას არ ნიშნავს, რომ დაუსაბუთებლად და მოურიდებლად ლანძღავდაო, პიროვნება, ხალხი თუ რეგიონი. ამას ხომ ქვეყანაში დაძაბულობის მეტი არაფერი მოაქვს. ჩვენ გადავწყვიტეთ, გამოვუშვით წიგნი, რომელშიც ყველა ის მასალა გამოქვეყნდება, რასაც წერდნენ და ახლაც წერენ აჭარაზე, მის ხელისუფლებაზე, მის ლიდერზე ჩვენ, ასე ვთქვათ, შთამომავლობას ვუტოვებნთ ჩვენ ნამოღვაწრს. ფაქტობრივ მასალას და ჩამონათვალს, რაც ამ პერიოდში აჭარაში კეთდებოდა. რატომ ეძახით ამას თავისუფალი ჟურნალისტების წინააღმდეგ ბრძოლას ან შავი სიის შექმნას? თუკი ეს პუბლიკაციები ქვეყნის საკეთლდღეოდ იყო მიმართული. ამ სტატიათა ავტორებს და გაზეთების ხელმძღვანელობას ასეთი წიგნის შექმნა უნდა უხაროდეთ. ეს წიგნები დაურიგდება ყველ აკადემიას, სამეცნიერო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებს, უმაღლეს და საშუალო სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, არქივებს, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ. პრაქტიკულად, ვინ რა გააკეთა საქართველოსთვის.

– ამავე პრესკონფერენციაზე ბრძანეთ, რომ თქვენ წინააღმდეგ თოთხმეტი ტერაქტი მომზადდა ამ ტერაქტების დამკვეთი საქართველოს ხელმძღვანელობაა, თუ ყოველივე არასახელმწიფო სტრუქტურებიდან მოდის?

– ყველაფერი უმაღლეს სახელმწიფო სტრუქტურებში იგეგმება და სწორედ იქიდან მოდის. აი, დღეს წავიკითხე ედუარდ სურმანიძისაგან აღებული თქვენი ინტერვიუს სათაური: „აჭარაში მასობრივი მიტინგებია მოსალოდნელი" და... ე. ი. იმას, რასაც მე ვამბობ, თქვენთან თვით უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელი ამტკიცებს. ერთ მონაკვეთს მოვიყვან თქვენს კითხვაზე: უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობაზე მართლა ოცნებობთ?„. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გპასუხობთ: „ამ ეტაპზე სულ სხვა გეგმები მაქვს. ისე, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, სიამოვნებით ვიმუშავებდი". აქაც აღიარებაა, რომ ამის სურვილი ჰქონდათ, ე. ი. სურვილი, დაემხოთ არჩეული ხელისუფლება და ძალით დაეკავებინათ მისი ადგილი. მიეყვეთ პასუხს: „მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურები სულ სხვა პიროვნებაზე მუშაობენ და არა ჩემზე. ნუ მკითხავთ, ვისზე აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გადატრიალების გეგმა არსებობდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტის გახმაურებით იგი, საზოგადოებისათვის გაშიფრულია და მას ახალი კონსტიტუციით ცვლიან დღისით, მზისით საქვეყნოდ ცხადდება, რომ ხელისუფლება აჭარაში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს და იწყებს მიტინგებით. ისე, როგორც თბილისში დაიწყო. თქვენ თვითონ ხედავთ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თქვენთან მოცემულ ინტერვიუში, ფაქტობრივად, აღიარა და დაადასტურა, რომ ჩემი ავადმყოფობის პერიოდში სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძვანელობა ამზადებდა და დღესაც ამზადებს გადატრიალებას, იცით, რა მინდა გითხრათ?... „მოდით, ვნახოთ ვენახი..."

– ბატონო ასლან, თქვენი განცხადებით, ოფიციალურ თბილისს, ფაქტობრივად, ხელთათმანი ესროლეთ. მიიღებს ამ გამოწვევას

ხელისუფლება დ, თუ მიიღო, როგორი დასასრული შეიძლება მოჰყვეს?

– ხელთათმანის სროლა, რაინდების წესია. მიუხედავად ამისა, მე იგი არ მისვრია. მხოლოდ ფაქტები დავაფიქსირე მე კი პინძური წესებით, მებრძვიან. ყოველ ასე თუ ისე, მნიშვნელოვან პატიმარს, სამართალდაცვის ორგანოთა ხელმძღვანელები ათასნაირ შეღავათს ჰპირდებიან, ოღონდ ჩემს სანინააღმდგოდ ნაბიჯი გადადგან, ანდა აბაშიძის წინააღმდეგ ფაქტები „აღიარონ". ე. ი. „ასლან აბაშიძის საქმეს" ქმნიან. პრესის ფურცლებით ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიაა ამის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

ხელისუფლების ერთი ნაწილის აზრით, თქვენი ბოლო განცხადება საფუძველს მოკლებულია...

– მე მხოლოდ ფაქტებისა და დოკუმენტების ენით ვლაპარაკობ. რაც შეეხება ოფიციალური თბილისის იმ ნაწილს, რომელიც ჩემს განცხადებას საფუძველს მოკლებულს ეძახის. მინდა ისინი დავარწმუნო, რომ ამას უსაფუძვლოდ აცხადებენ. მეორეც, აბა, მითხარით, ასე დღისით, მზისით ვინ იტყვის, ამ ტერაქტებში თუ სხვა დანიშნულებებში დამნაშავე მე ვარ და სახალხოდ მსჯავრი გამომიტანეთ?!

ისტორიიდან ერთ ფაქტს გავიხსენებ ალამუთის მისადგომებთან ჩაღათარ ნოინის მკვლელობა მონღოლეთის ჯარში მყოფ ქართველებს დააბარალეს. ამ დროს ლაქაშებიდან ვიღაცა გამოვიდა და ხმამაღლა დაიძახა: „ბენ ქუშთუმ ჩიღათარ" და ალყაშმორტყმული ქართველები გადაარჩინა. იგი იმწამსვე იმავე ლაქაშებში მიიმალაო, დასძენს მეისტორიე. ამით იმის თქმა მინდა, რომ, თუ ვინმეს ნამუსი შეანუხებს და დაფიქრდება, თუ რა საქმეებშია გარეული ნებით თუ დავალებით, მას სათანადო გამბედაობასთან ერთად „ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს".

– გაქვთ თუ არა შესაბამისი ფაქტები, რომ ტერაქტს ხელისუფლება გინყობდა, თუ გაქვთ, რატომ არა აყენებთ, ამით გაირკვეოდა ვინ ვინ არის?

– გარწმუნებთ მე რომ დღეს ეს გავაკეთო, არა საქვეყნო, არამედ საერთაშორისო ჟღერადობის მქონე სკანდალთან და მის შედეგებთან გვექნება საქმე, ქვეყნის პრესტიჟს ეს კიდევ უფრო დასცემს.

– საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება ჭიანურდება, მაშინ როცა აჭარას ევროპის რეგიონთა ასამბლეაში იღებდა, ამ ორ საკითხს ერთმანერთთან კავშირი თუ აქვს?

საქართველოს ევროკავშირში შესვლა გარკვეული მიზეზების გამო, საკმაოდ დიდი ხნით ადრე გაჭიანურდა, ვიდრე ჩვენი მიღება ევროასამბლეაში. საინტერესოა, რატომ დაინახეთ ამაში კავშირი, რომელიც საერთოდ არ არსებობს. ჩვენ ხომ, ევროასამბლეის განცხადება, მხოლოდ მიმდინარე წლის მიწურულში, 17 ოქტომბერს გავაგზავნეთ. და ასამბლეის ნამდვილ წევრად იმავე თვის 24 ოქტომბერს მიგვიღეს, ხოლო ამ აქტის რატიფიკაცია მიმდინარე წლის 5 ნოემბერს მოხდა.

სად დაინახეთ ამ მოვლენების ერთმანეთისადმი 38 დღეში დამთხვევა და პრაქტიკულად, როგორ შეიძლება იყოს ურთიერთხელშემშლელი ორი მოვლენა. როცა რეგიონები დამოუკიდებლად შედიან ევროასამბლეაში, ხოლო ქვეყნების ევროკავშირში.

აქ ჩვენ მიღება-არმიღების მიზეზებს უნდა გავუსვათ ხაზი, ორივე ორგანოში მხოლოდ ის ქვეყნები და რეგიონების მიიღებიან, რომლებიც ამ ორგანოების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

– ასამბლეის პრეზენტაციაზე „სახალხოს" და ტრადიციონალისტთა წარმომადგენლები რატომ გააგზავნეთ?

– რატომ ასე მოკლედ? როგორც ვიცი ქალბატონი ელენე თევდორაძე მოქალაქეთა კავშირიდანაა, ჯემალ გოგიტიძე – აღორძინებიდან, ლეილა კვირიკაშვილი – თბილისის სააგენტო „გეორგიადან". სამწუხაროდ, ვერ წავიდნენ დელეგაციის სხვა წევრები: გია კობახიძე და შალვა ნათელაშვილი. როგორც ხედავთ, ჩვენ გვინდოდა. დელეგაცია უფრო ფართო სპექტრით ყოფილიყო წარმოდგენილი. მაგრამ იქ იყო გარკვეულშეზღუდვები თითოეულ რეგიონზე ორი წარმომადგენელი ჩვენ კი, ჩვენი თხოვნის საფუძველზე გამონაკლისის სახით, ნება მოგვცეს, ათი კაცის შემადგენლობით დავსწრებოდით გენერალური ასამბლეის სხდომებს.

მართლაც წარმოიდგინეთ, რომ 305 რეგიონს გენერალურ ასამბლეის სხდომაზე ათკაციანი დელეგაცია გაეგზავნა. ეს ხომ, ასამბლეის ადმინისტრაციასთან და ტექნიკურ პერსონალთან

ერთად 3500 კაცზე მეტი იქნებოდა. „ვინ, როგორ და სად შეიძლება მათ განთავსებას და მომსახურებას. როგორც ხედავთ, ჩვენთვის, მართლაც მეფური გამონაკლისი გააკეთეს, რისთვისაც ასამბლეის ხელმძღვანელობას ყველაფერთან ერთად, დიდ მადლობას ვუხდით.

წლის ბოლოს „თავისუფლების ინსტიტუტმა" ჩაატარა გამოკითხვა და წლის ადამიანად აღიარა მიხეილ სააკაშვილი.

27 დეკემბერი –„ახალი თაობა"

მარიკა მეგრელიშვილი

წლის ადამიანი და მოვლენა – მიხეილ სააკაშვილი და სამართლებრივი რეფორმის დაწყება

არასამთავრებო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის" ინიციატივით საქართველოს არასამთავრებო ორგანიზაციებმა და დამოუკიდებელმა მედიამ დაასახელა ადამიანი და წლის მოვლენა. საამისოდ შექმნილი ექსპერტთა საბჭო ამ გადაწვეტილების მიღებისას დაეყრდნო ქართული მედიის მონიტორინგის მასალებს (რომელსაც ატარებდა „თავისუფლების ინსტიტუტი"), საგანგებო „დიას" მიერ ჩატარებულ ყოველთვიურ გამოკვლევებს თვის მოვლენისა და ადამიანის გამოსავლენად. სოციოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებულ საექსპორტო გამოკვლევას (გამოკითხულ იქნა 183 რესპოდენტი – არასამთავრებო – ორგანიზაციების, მერიისა და ბიზნესის წარმომადგენლები).

ყველა ზემოაღნიშნული წყაროს გაანალიზებით ცხადი გახდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოება მიიჩნევს პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტების ერთობლიობას, რომელიც სათავეს უდებს საქართველოს სამართლებრივ რეფორმას. აქ პირველ რიგში, იგიულისხმება სასამართლოს რეფორმა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების მიღება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სიკვდილით დასჯის გაუქმება.

რაც შეეხება წლის ადამიანს, საექსპორტო საბჭომ დაეყრდნო რა მის განსაკუთრებულ ნვლილს სამართლებრიივი რეფორმის საქმეში, წლის ადამიანად დაასახელა საქართველოს პარლამენტრის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი.

როგორც „თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომაგდენელმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, ეს გამოკითხვა არამც და არამც არ გახლავთ სოციოლოგიური, ის უფრო საექსპორტო სახეს ატარებს. მისი თქმით, ორგანიზატორები შეეცადნენ, რომ გამოიკითხულთა შორის ყოფილიყვნენ პიროვნებები, რომლებიც ნეიტრალური არიან პოლიტიკაში, გამოკითხულთა შორის არ ყოფილან სახელმწიფო მოხელენი. სახელმწიფო ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლები.

გამოკითხვის დროს ადგილი ჰქონდა კურიოზებსაც: ერთმა რესპოდენტმა წლის საუკეთესო პიროვნებად დაასახელა **სტალინი,** მეორემ წლის პოზიტიურ მოვლენად – შევარდნაძის სტუმრობა „კოკა-კოლაში". გარდა ამისა, ყველაზე დიდი გავლენის მომხდენთა ხუთეულში დასახელდა ვინმე „მამათელიც".

პირველ ნახევარში მომხდარ მოვლენებში ლიდერობდა **შოთა კვირაიას** გადადგომა.

რამდენიმე მასალას მოვიტან ამ პერიოდის მიშა სააკაშვილის მოღვაწეობიდან.

„ახალი თაობა" 1 ნოემბერი. მიშა სააკაშვილის სტატია

„ასეთი საპროცესო კოდექსი პოლიციურ სახელმწიფომდე მიგვიყვანს"

– საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ბოლო ვარიანტმა **შეიძლება მიგვიყვანოს პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, რაც ჩვენი სახელმწიფოებისთვის უკან გადადგმული ნაბიჯია** – თქვა საქართველოს პარალმანტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

საპროკურორო კონტროლის საკითხებს პარლამენტი მეორე მოსმენისას დაუბრუნდა.

სააკაშვილის თქმით, საპროცესო კოდექში პრინციპული დებულებები რამდენჯერმე შეიცვალა, ბოლო ცვლილება პარალამენტში შემოტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოახდინა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, **ჯონი ხეცურიანმა**. საქმე გვაქვს მცდელობასთან, „დაკანონდეს ფაქტობროვად არსებული დარღვევები".

– კოდექსის ბოლო ვარიანტში ჩადებული მოდელი გადმოღებულია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტიდან". რომელსაც პოლიციური სახელმწიფოს პროექტად მიიჩნევენ, – თქვა სააკაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ ბოლო ვარიანტით უკონტროლოდ რჩება პოლიციიის საგამოძიებო სამსახური, იშლება საპროკურორო კონტროლის ფუნქცია და დაინიშნება მოკვლევისა და გამოძიების დახურული სისტემა, რაც დიდ საფრთხეს უქადის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს და ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ახალი კოდექსის მიხედვით, გენერალური პროკურორს ერთი უწყებიდან საქმის მეორე უწყებაში გადაცემის უფლება ერთმევა.

– „დღეს არსებულ სისტემაშიც პროკურატურის კონტროლი ხშირად წმინდა სიმბოლური ხასიათის ატარებს, ხოლო გამოძიება ფაქტობრივად, ოპერატიული სამსახურის ფორმატს წარმოადგენს, შემოთავაზებული კომისიის მიღების შემთხვევაში კი უკონტროლო ტოტალურ ხასიათს მიიღებს, ერთადერთი გამოსავალია უწყებათა ურთიერთკონტროლი, გამჭვირვალობა, – უთხრა პრაიმ-ნიუსს სააკაშვილმა.

მისი თქმით, მაშინ როდესაც საქართველოს პრეზიდენტზე თავდასმის დროს საქმეს იძიებდა უშიშროების ყოფილი შეფის, იგორ გიორგაძის უწყება, გენერალურმა პროკურორმა მოახერხა საქმის ამოღება. „თუ ამის უფლება ექნება გენერალურ პროკურორს, მაშინ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებს ექნებათ უფლება, გადაწვიტონ საქმე საკუთარი დაინტერესების მიხედვით", – ფიქრობს მიხეილ სააკაშვილი.

პრაიმ-ნიუსი

11 ნოემბერი – „ახალი თაობა"

თამარ ნინიძე

დღეს საქართველო სიკვდილით დასჯას გააუქმებს

პროკურორები კი გამოიცდის ჩაბარებაზე უარს ამბობენ

დღეს პარალამენტმა უნდა მიიღოს კანონი სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სიკვდილით დასჯის – სრული გაუქმების შესახებ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, 11 ნოემბერს საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერება და საქართველოს სწრაფვა ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროსკენ ამით უფრო გაღრმავდება და გარკვეულწილად გამართლებული იქნება.

პრესა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეხმაურებოდა ამ ბარბაროსული აქტის გაუქმებას. მას პარალამენტის საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების დაცვის კომიტეტმაც დაუჭირა მხარი და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძის პირველი ნაბიჯი სიკვდილით დასჯის გაუქმებისაკენ იყო 10 დეკემბერს მონატორიუმის გამოცხადება, შემდგომ – სიკვდილმისჯელთა შეწყალება, დაბოლოს, პრეზიდენტმა სპეციალური დადგენილება სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე. პრეზიდენტის მიმართვაში საქართველოს პარლამენტისადმი აღნიშნულია: ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლის შესაბამისად, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას კანონი უნდა იცავდეს. ამრიგად, სიკვდილით დასჯის სრული გაუქმება ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრესულ განვითარებას. განამტკიცებს უზენაესი ღირებულების – სიცოცხლის – ხელშეუხებლობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გუშინ **მიხეილ სააკაშვილმა ბრიფინგი მოაწყო**. მისი ცნობით, ზოგიერთ სასამრთლოს მაინც გამოაქვს სიკვდილით დასჯის განაჩენები, თუმცა მათი აღსრულება არ ხდება, ამ ცოტა ხნის წინ გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ფაქტობრივად ყველა ძალოვანმა მინისტრმა ერთხმად დაუჭირა

მხარი სიკვდილით დასჯის გაუქმებას. ხელისუფლების ყველა შტოს აქვს ერთი პოზიცია, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის ფორმა, საქართველოში უნდა გაუქმდეს, სიკვდილით დასჯა გავლენას არ ახდენს დამნაშავეობის შემცირებაზე და ხელს უწყობს სისხლის აღების შუასაუკუნოვანი წესის დამკვიდრებას.

საყურადღებოა ისიც, რომ **საქართველო მეორე ქვეყანაა მოლდავეთის შემდეგ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელიც გააუქმეს სიკვდილით დასჯას, თუმცა** პარლამეტში, ისევე როგორც საზოგადოებაში აზრები მაინც გაყოფილია, არიან ფრაქციები და დეპუტატები, რომლებიც ემხრობიან სიკვდილით დასჯის განაჩენის არსებობას, სააკაშვილის შეფასებით, ეს პოზიცია ამორალურია, ვინაიდან კანონი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ ორგანული არ არის, მას სჭირდება მხოლოდ ხმათა უბრალო უმრავლესობა. ამ ხმების მობილიზება დღევანდელ სხდომაზე პრობლემა არ იქნება. მიხეილ სააკაშვილმა განაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნა, **რომ შს მინისტრმა კახა თარგამაძემ მხარი დაუჭირა სიკვდილით დასჯის გაუქმებას და მინისტრის ამ ნაბიჯს სააკაშვილი გულწრფელად მიესალა.**

საქართველოს ისტორიაში ეს იქნება სიკვდილით დასჯის მესამე გაუქმება. პირველად სიკვდილით დასჯა გაუქმდა თამარის მეფობის დროს, მეორედ – პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ვგულისხმობთ 1918-21 წლებს, ახლა, იმედია, სამუდამოდ გაუქმდება ეს განაჩენი საქართველოში.

რაც შეეხება სამუდამოდ პატიმრობას, ეს არანაკლებ მძიმე სასჯელია, რუსეთში ბევრი სამუდამო პატიმარი მოითხოვდა დახვრეტას, ჩვენთან პენიტენციალური სისტემა საკმაოდ მოუმზადებელი შეხვდა ამ აქტს, მაგრამ ჯერჯერობით ორთაჭალაში იზოლატორი გამიზნულია უვადო პატიმართა განსათავსებლად. **უვადო პატიმრები უნდა იყვნენ მკაცრ იზოლაციაში, ეს არ უნდა იყოს სანატორიუმი, სადაც ახალ წელს უვადო პატიმრებს გოჭებს უგზავნიან, უვადო პატიმრებისთვის შეზღდუდლი უნდა იყოს ახლობლებთან შეხვედრა და ეს ფაქტობრივად სიკვდილით დასჯას უდრის. ჩვენი საზოგადოების აზროვნება თანდათან ამ ბარბაროსული აქტის წინააღმდეგ იცვლება. მიხეილ სააკაშვილმა მაგალითად მოიყვანა ერთი მოქალაქის წერილი, რომელსაც გურიაში ოჯახი ამოუწყვიტეს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გამწარებული უნდა იყოს ეს პიროვნება, მაგრამ თავის წერილში მან კატეგორიულად მოითხოვდა სიკვდილით დასჯის გაუქმება.**

უახლოეს ხანებში პარლამეტმა უნდა განიხილოს კანონი პროკურატურის შესახებ. მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთი დიდი ბრძოლა ელის, ამჯერად პროკურატურასთან, რადგან ისინი კანონით გათვალისწინებული გამოცდების ჩაბარებაზე უარს აცხადებენ. სააკაშვილის აზრით, პროკურატურის ზოგიერთი ქვეგანაყოფი ახდენს კანონპროეტის ლობირებას, თუმცა ეს კანონპროექტი მნიშვნელოვანი და პრინციპული ცვლებების გარეშე იქნება მიღებული.

ალია 22-23 ნოემბერი

სააკაშვილი სავარძელზე მიხრახნილი არ არის

ქეთი ხატიაშვილი

შეეწევა სასამართლო რეფორმას მიხეილის მადლი?

გუშინ საკანონმდებლო ორგანომ ღრმად და თავისუფლად ამოისუნთქა. შეება იგრნო აღმასრულებელმაც, ვნებები დაცხრა, კულუალური ჭორაობა შეწყდა. პარლამენტის გადაწვეტილებამ ორ ხელისუფლებას შორის, თეთრი დროშის როლი შეასრულა. ამ შემთხვევაში, უკან ხელისუფლების ორივე შტომ თითქმის თანაბარი ნაბიჯებით დაიხია, თუმცა, რომ არა საქართველოს პრეზიდენტი, შსს და პროკურატურა ერთმანეთს ისევ ჯიუტი თხებივით დაეტაკებოდნენ.

სიმბოლურია, რომ პროკურატურის შესახებ კანონი და სისხლის საპროცესო კოდექსი პარლამენტმა **გუშინ, წმინდა მიხეილის დღეს მიიღო. მიხეილ სააკაშვილმა ძალოვანი სტრუქტურების საკანონმდებლო დოკუმენტებს, როგორც იტყვიან, ნახევარი სიცოცხლე შეალია.**

– „წმინდა მიხეილის მფარველობა არ მოაკლდეს პროკურატურას, – ორაზროვნად იტყვის პარლამენტის თავმჯდომარე და პროკურა-

ტურასთან ერთად სხვა ძალოვან სტრუქტურებსაც წმინდა მიხეილის მადლით დალოცავს".

სასამართლოვ რეფორმის განხორციელების სიამოვნება ჯერ კიდევ წინ გვაქვს, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფალთ ორი მიხეილის მფარველობისა და მოწყალების იმედი აქვთ.

გადახედავს თუ არა საკაშვილი მოწყალების თვალით იმ ძალოვან სტრუქტურებს, რომლებსაც ფუნქციებს ჩამოაფცქვნის? ამ კითხვის პასუხად მხოლოდ ერთი ფრაზა მოჰყავთ: იმედია, წმინდა მიხეილი დაგვეხმარება...

სანამ ძალოვანი სტუქტურები იმედოვნებენ, **მიხეილ საკაშვილი აცხადებს:**

– „ეფიქრობ მიღწეული კომპრომისით პირადი წყენა არავის დარჩა. ჩემი აზრით, დავაში მონაწილე მხარეებს ერთმანეთისადმი სიმპათიის გრძნობა გაუჩნდათ. უხერხულია, როცა კამათი პირად ინტერესებამდე დავიდა. **არც მე გახლავართ სკამს მიკრული და არც სხვა უწყების ხელმძღვანელები არიან სავარძლებზე მიხრახნილები.** ყველა ჩვენთაგანისთვის დღევანდელი პოზიცია დროებითია. საპროცესო კოდექსზე მუშაობა ხელისუფლების გაყოფის და დაბალანსების მშვენიერი მაგალითია. პარლამენტი დიდ დათმობაზე არ ნავიდა და ეს საქართველოს საპარლამენტო დემოკრატიის მაჩვენებელია.

– „ერთხელ თქვენ აღნიშნეთ, რომ სისხლის საპროცესოს კოდექსი რეფორმისაკენ გადადგმული ნაბიჯია და არა რეფორმა. რამდენად შეძელით გადადგმული ნაბიჯის შენარჩუნება მიღწეული კომპრომისების შემდეგ"?

– „ეს რეფორმების პროლოგი გახლავთ. ძირითადი აქტი მომავალი წლის გაზაფხულოზე განხორციელდა".

– „მიღწეული კომპრომისების შემდეგ კოდექსის ავტორმა, **გია მეფარიშვილმა** განაცხადა, რომ თავს, ისე გრძნობს, როგორც მოხსნილი რაიკომის პირველი მდივანი. თქვენი განწყობა როგორია"?

„ვფიქრობ, გია მეფარიშვილი საკითხს მეცნიერული მაქსიმალიზმით უდგება. პოლიტიკა გარკვეული კომპრომისების სფეროა. მით უმეტეს, რომ ჩვენ ძალიან ცოტას დავთმობთ. მეტიც, მოქალაქეების უფლებების ხარჯზე არანაირი დათმობა არ გაკეთებულა. შესაძლოა. მეცნიერული კონსტიტუცია მართლაც დაირღვა, მაგრამ არც ერთი მეცნიერული კონსტრუქცია ცხოვრებასთან მორგებული არ არის. **ერთს ვიტყვი – იმის მუდმივი მტკიცება, რომ ევროპული სტანდარტები საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებს, აბსურდი და დაუსაბუთებელია. ის, რაც ევროპისთვის მისაღებია, ჩვენთვისაც მისაღებია,** ხოლო თუ კონტროლი თანამდებობის პირისთვის რაიმე მიუღებელია, ეს მხოლოდ მისი პირადი პრობლემაა".

საქართველო მზად არის, ევროპული ქვეყანა გახდეს. ასე, რომ თუ რომელიმე პირს საკუთარი კულტურა ასეთ განწყობას არ უქმნის, ეს მისი საკუთარი კულტურის საკითხი უფროა, ვიდრე საზოგადოებრივი პრობლემა.

– „თქვენ ადამიანთა უფლებების დაცვა ახსენით, რამდენად გვიცავს ეს კოდექსი ე. წ. „გაფუჭების" საფრთხისაგან"?

– „მე არ ვიცნობ სისტემას, სადაც ასეთი საფრთხე არ არსებობს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი კლიმატი უნდა შეიცვალოს – მოქალაქემ საკუთარი უფლებები უნდა იცოდეს. თუ ძალისმიწერი სტრუქტურის ცალკეული წარმომადგენელი სახლში გივარდებათ და ფულს გძლავათ, უნდა იცოდეთ, რომ იგი სამართლდამცავის ორგანოს წარმომადგენელი კი არა, ყაჩაღია. თქვენი რეაქციის შესაბამისი უნდა იყოს. ამიტომ მოქალაქეს კოდექსის ძალაში შესვლის კი არ უნდა ეშინოდეს (რაც პირველი მაისს მოხდება) მისკენ უნდა მიისწრაფვოდეს".

„ბევრი, ვინც გამსახურდიას მტრობდა, ახლა უკანა რიცხვით ცდილობს მის გაიდეალებას...

პასუხი 24 ნოემბერს „ახალ თაობაში" ბატონი ტარიელი ფუტკარაძის მიერ დასმულ შეკითხვებზე"

ბატონი ტარიელ პირველ რიგში მადლობა უნდა გითხრათ თქვენი ინიციატივისათვის, დაგვეწყო ღია დიალოგი გაზეთის ფურცლებზე ჩვენს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც საკმარისზე მეტად არის გაჯერებული მონოლოგებით, დიალოგი თავისთავად იშვიათი და დასაფასებელი მოვლენაა, მით უმეტეს რომ ეს იქნება დიალოგი ორ საკანონმდებლო

ორგანოს, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ უზენაეს საბჭოსა და 5 ნოემბერს არჩეულ ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის წევრებს შორის, ამიტომ არ შემეძლო არ გამოვხმაურებოდი თქვენს წინადადებას და ოდნავ მოგვინებით, მაგრამ მოკლედ მაინც არ მეპასუხა თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე.

თქვენი ერთ-ერთი კითხვა შეეხებოდა ჩვენი უხლოესი წარსულის, მათ შორის 1991-1992 წლის მოვლენების შეფასებას. ამ შემთხვევაში მე არ წარმოვადგენ პარლამენტის ოფიციალურ პოზიციას, ვინაიდან ამას სათანადო პროცედურა სჭირდება, მაგრამ, შეგახსენებთ, ჩემს, როგორც ერთ-ერთი დეპუტატისია და რიგით ქართველის აზრს.

ჯერ ერთი, აუცილებელია, ზოგადად აღინიშნოს 1990 წლის ოქტომბრის თავისუფალ არჩევნებზე მოსული უმაღლესი საბჭოს საქმიანობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, **რომ როლი რომელიც თქვენი მოწვევის საქართველოს პარლამენტმა შეასრულა, უზარმაზარი პოლიტიკური, ზნეობრივი და ისტორიული დატვირთვის მქონეა. 1990 წელს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატი, ისევე, როგორც მათი შთამომავლობა ამაყობდა, რომ სწორედ მათ განახორციელეს ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მათი ხელმოწერა ამშვენებს. ალბათ სწორედ ამ აქტის მიღება დ იყო ყველა ამ ფაქტის თანამედროვის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული ეპიზოდი.**

საქართველოს ახლანდელმა პარლამენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ გარემოებას, როდესაც წელს საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. **1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის მორიგი წლისთავი.** საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს დამოუკიდებლობას აფუძნებს ზემოაღნიშნული რეფერენდუმის შედეგებს და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. დღეს ყველა ჩვენთაგანისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი სიმბოლოები სწორედ 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ იქნა აღდგენილი. დიდია ის წვლილი, **რომელიც უზენაესმა საბჭომ შეიტანა დამოუკიდებელი საქართველოსათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, ამას სამართლებრივი ხაზის წყვეტა არ მომხდარა, ბევრი მაშინ მიღებული აქტი დღესაც ძალაშია, ხოლო ახალი კანონმდებლობა მაშინ მიღებული კანონთა პრინციპებს ეფუძნება, ეს განსაკუთრებით აღინიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ 11 ნოემბერს პარლამენტში სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ კანონის განხილვას, როცა გაიხსენა ის პირველი ნაბიჯები, რომელიც ამ მიმართულებით გადადგა 1990 წელს არჩეულმა უზენაესმა საბჭომ.**

ბევრი ის დისკუსია, რომელიც მაშინდელ საკანონმდებლო ორგანოში მაშინდელ საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობდა. ახლაც მიდის, ზოგიერთი საკითხი შემდგომი მოწვევის პარლამენტმა გადაწვიტეს, ბევრი პრობლემა კი დღესაც მოუშორებელ ტვირთად გვაწევს.

უზენაესი საბჭოს მუშაობა არ იყო იდეალური. დროის გადმოსახედიდან შეიძლება უკეთესად მოჩანდეს ის ხარვეზები, რომელიც დაშვებული იქნა, ხოლო მსჯელობა მათ შესახებ ალბათ ახლა უფრო ადვილია, ვიდრე მაშინდელ კონკრეტულ სიტუაციაში ორიენტირება, და მაინც, ვფიქრობ, რომ ქართველი ერის მაშინდელი ერთიანობის პირობებში, ტრაგიკული შეცდომები რომ არა, სასნაულის მოხდება შეიძლებოდა. **დღეს ბევრი მაშინდელ ხელისუფლებას რადიკალიზმს სდებს ბრალად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგიერთი მიმართულებით რადიკალიზმი უფრო რიტორიკოსის დონეზე იყო, ვიდრე რეალურ პრაქტიკას ასახავდა. დაინყო, მაგრამ თანმიმდევრულად არ განხორციელდა ძველი ბიუროკრატიული აპარატის რეფორმირება.** ძალაში დარჩა ტოტალიტარული რეჟიმის სამართალდამცავი სისტემა და ბევრი ეკონომიკური ინსტიტუტი, არ შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მტკიცე გარანტიები, ვფიქრობ, ეს განაპირობა დროის მღვრიე ტალღაზე ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილი ზოგიერთი პიროვნების მოღვაწეობამაც. მათ, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ჩვენს ისტორიაში, იდეალებს თბილი სავარძლები არჩიეს და არსებული ნომენკლა-

ტურის ნარმომადგენლების ჩანაცვლებით, ხელისუფლების ბერკეტების ხელში ჩაგდებით და ძველი მეთოდებით მართვის გაგრძელებით შემოიფარგლა. სწორედ მაშინ ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი ძველი რეჟიმის პოლიტიკური შეფასების საკითხი, არ იქნა მიღებული ლუსტრაციის კანონი, და სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც თავისი თავისუფლების პირველივე წელინადს განახორციელეს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებმა, არადა, სწორედ ქართული განმანთავისუფლებელი მოძრაობა იყო თავიდან ამ ქვეყნებისათვის სამაგალითო.

სამწუხაროდ ყველაფერმა ამან ნანილობრივ გამოინვია ხალხის დიდი ნანილის იმედგაცრუება და ყველაზე გადამწყვეტ მომენტში გულგრილობა. რა როლს თამაშობდა ყველაფერ ამაში საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი უახლოესი პოლიტიკური გარემოცვა?

ახლა ბევრი ის ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში მტრობდა მას ცდილობს უკანა რიცხვით გააიდეალოს იგი, ვინაიდან ახლა ეს უსაფრთხოა და თანაც შეიძლება პოლიტიკური ქულებიც მოიპოვო. ამასთან დაკავშირებით, ღიად უნდა ითქვას – პრეზიდენტ გამსახურდიას პიროვნებას ჰქონდა როგორც ძალზე დადებითი, ასევე სერიოზულად უარყოფითი მხარეები. ეს ყველა ადამიანს ახასიათებს, მაგრამ კონკრეტული სიტუაციაში შეუძლებელია ეჭვი შეიტანო-იმაში, რომ მისი პიროვნების თითოეული მხარის დამახასიათებელმა თვისებებმა უშუალო გავლენა მოახდინა სხვა ადამიანებისა და ზოგადად ქვეყნის ბედზე.

და მაინც, მიუხედავად ამისა, რომ უფრო ზუსტა შეფასებებს იძლევა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრებაში ქართველთა მომავალი თაობებისათვის ბევრი რამ იქნება მისაბაძი, განსაკუთრებით სამშობლოს თავდავიწყებით სიყვარულში, რის გამოც მას მუდამ ექნება განსაკუთრებული როლი ჩვენი ერის ისტორიაში.

ამართლებს თუ არა გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ეროვნული ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, მის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას? ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, – **ყველანაირი, თუნდაც პროვოცირებული ძალადობა გაუმართლებელია, მით უმეტეს, თუ იგი მიმართულია კანონიერი ხელისუფლებსი მიმართ, ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიის ყველაზე ძირეულ პრინციპს, რომელი გულისხმობს ხალხის არჩევანის პატივისცემას.** რა თქმა უნდა ბევრი იყო შემთხვევითი ხალხი, არ არის გამოსარიცხი გარეშე ფაქტორიც, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ბარიკადების **ორივე მხარეს იბრძოდნენ სამშობლოს სიყვარულის საკუთარი გაგებით, რაც კიდევ უფრო ტრაგიკულ ელფერს სძენს ძმათამკვლელ ომს, ცხადია, ეს მაინც ვერ ამართლებს ძალადობას,** ვინიდან ძალადობის სპირალის შეჩერება, როგორც საკუთარ მაგალითზე ვიწვნიეთ, თითქმის შეუძლებელია და ის, რაც ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა და რისგანაც სულ ახლახან დავიწყეთ თავის დაღნევა, ამის სრულიად ნათელი გაკვეთილია.

თუკი რამ უნდა გვასწავლოს ამ გაკვეთილმა, არის ის, რომ იარაღის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ერთი მიმართულებით – საგარეო მტრის წინააღმდეგ, ხოლო პოლიტიკური დაპირისპირებიდან გამოსვლის ერთადერთი რაციონალური გზა – დემოკრატიული დიალოგია, რომლის შედეგადაც საბოლოო დასკვნა ხალხმა თვითონ, დაძალების გარეშე უნდა გამოიტანოს, თავისუფალი არჩევნების მეშვეობით.

მე ამას ვამბობ როგორც ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც ქართველმა ხალხმა აირჩია საქართველოს ახალი კონსტიტუციის თანახმად 1995 წლის 5 ნოემბერის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებზე.

მაგრამ მე ამას ვაცხადებ ასევე როგორც პოლიტიკოსი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, **დიდი სიცარიელე იქნება, თუ დიალოგში არ მიიღებენ მონაწილეობას იმ ძალთა მხარდამჭერები, რომლებსაც თქვენ წარმოადგენთ.**

რა უდნა გავაკეთოთ არსებული ორმხრივი გაუცხოების გადალახვისთვის?

ჯერ ერთი, უნდა ვისწავლოთ დიალოგი და შავისა და თეთრის გარდა სხვა ფერების გარჩევა, უარი ვთქვათ, იარლიყების მიწებებაზე ამით

ორივე მხარე სცოდავს, მაგრამ ხელისუფლებას ეს განსაკუთრებით არ ეპატიება.

მეორე – უნდა მოხდეს წარსულის პირუთვნელი და სრული შეფასება. ახლახან საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო ძალზე მნიშვნელოვანი კანონი 1921-1990 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და სოციალური დაცვის შესახებ, რომელიც მოცემულია 1990 წლამდე ჩვენს ქვეყანაში არსებული რეჟიმის პოლიტიკური შეფასება, ამ ნაბიჯით მნიშვნელოვანი ტაბუ გადალახა, შესაძლებელი აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში, ალბათ შიეძლება ასევე მომდევნო წლების მოვლენებზეც შესაბამისი დოკუმენტების მიღებაც. ახალი სახელწიფოს მშენებლობა ხომ, პირველ რიგში სიმართლეზე უნდა იყოს დაფუძნებეული. თუ ფუნდამენტურად მხოლოდ ნახევარი სიმართლე უდევს, შენობა ბოლომდე მყარი ვერ იქნება.

წარსულის შეფასება საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლო მოვუღოთ ეროვნული მოძრაობის გაქილიკებას და უკანა რიცხვით მასზე ჯავრის ამოყრის მცდელობას, ტენდენციას, რომელიც სულ უფრო შეიმჩნევა ტოტალიტარული რეჟიმის რევანშს მონყურებულ ხალხში და არა მხოლოდ მათში. არის მეორე ტენდენციაც – უკანა რიცხვით ეროვნულ მოძრაობაში ჩაწერისას და იმის მტკიცებისა, რომ ეროვნული მოძრაობა კი არ იყო ნამდვილი ეროვნული მოძრაობა, არამედ სწორედ ის კომფორმისტები, ვინც თავის დროზე ამ მოძრაობას განაკუთრებული აზარტით ამხელდა, დევნიდა და ავიწროებდა.

ამასთანავე, წარსულის შეფასება თავისთავად ახალი დაპირისპირების წყარო კი არ უნდა გახდეს, არამედ კონფრონტაციის თავიდან აცილების და გამთლიანებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

მესამე – იმ თანამდებობის პირებმა, ვისაც ეს ევალებათ, რეალურად უნდა გაატარონ ცხოვრებაში ეროვნული შერიგების პროგრამა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა, მაგრამ ბევრი მიდგომა ჯერ კიდევ შესაცელელია და კონკრეტული შემთხვევაში – გადასახედი, დარწმუნებული ვარ, რომ ორმხრივი დიალოგის პირობებში ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა სავსებით რეალურია. ეს მით, უმეტეს, განსაკუთრებულია, ვინაიდან მათ შორის ვისაც პირობითად ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს უწოდებდებენ, ასევე თავმოყრილია ერის ბრწყინვალე ინტელექტუალური და სულიერი ძალები, რის გამოც მათი გარიყვა და თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ხალხისათვის დანაშაულებრივი ფუფუნებაა.

ყველაფერი ეს ძალზე საშური საქმეა, თუ გავითვალისწინებთ ამჟამინდელი ისტორიული სიტუაციის განსაკუთრებულობას – **სწორედ ახლა მოგვეცა უნიკალური შანსი, საბოლოოდ განვთავისუფლდეთ იმპერიის მარწუხებიდან. როგორც თქვენ სწორად აღნიშნავთ, რეალურად დაიწყო ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამოყენება, ამოქმედდა აბრეშუმის დიდი გზა. შეიძლება თქვენ ჩემგან განსხვავებულად აფასებდეთ საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის პიროვნებას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, სრულებით აშკარაა, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის ფიგურა** (არასოდეს იქნება პატიებული ის როლი, რომელიც შევარდნაძემ ითამაშა იმპერიის დანგრევაში) **და მისი დღევანდელი პოლიტიკა საქართველოს მტრების დიდ გაღიზიანებას იწვევს, რადგან ისინი კარგად გრძნობენ, რომ ძალზე ახლოა ის დროს, როცა საქართველო რეალურად მოექცევა ევროატლანტიკურ სივრცეში და მათთვის ის უკვე მიუწვდომელი გახდება.** ისინი კარგად ხედავენ, რომ სწორედ პრეზიდენტია რეფორმების განხორციელების მთავარი გარანტი და ამიტომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩვენგან განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს.

მაგრამ სწორედ ახლა, რუბიკონის გადალახვის წინ არის საჭირო განსაკუთრებული სიფრთხილე და ყველა პატრიოტული ძალის ერთიანობა. ეს ის საკითხებია, რომელიც ხელისუფლება-ოპოზიციის კლასიკურ სქემაში ვერ ჯდება. ხელისუფლებაში მყოფი ძალების მოშორება შეიძლება არჩევნების გზით, მაგრამ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემთხვევაში ვერ მოხდება ქართველი ხალხის უმთავრესი ისტორიული არჩევანის – თავისუფლად განვითარების – რეალიზაცია, ამიტომ სახელმწიფოებრიობის იდეის ხარჯზე პოლიტიკური ქულების დაწერა

დამლუპველი იქნება ასევე ნებისმიერი პოლიტიკური ძალისათვის, რომელიც ამას შეეცდება. თუკი რამ გვასწავლა გასულ წლებში, არის ის, რომ თვითონ უნდა მოვაგვაროთ და გარეშე მტერს არც ერთ სიტუაციაში არ უნდა მივცეთ ამ უთანხმობის გამოყენების შესაძლებლობა.

ამასთანავე ჩვენ სიფრთხილე და განსაკუთრებული მომზადება გვმართებს ახალ ევროპულ ოჯახში შესვლის დროსაც, რათა დღეს ეკონომიკურად უფრო მდიდარ ქვყნებთან ძალზე ახლო კონტაქტის შედეგად არ მოხდეს ჩვენი უნიკალური კულტურისა და ცივილიზაციის გაუბრალოება და ნანილობრივ დაკარგვა. ეს შეიძლება არანაკლებ ძნელად განსახორციელებელიც აღმოჩნდეს, ვიდრე იმპერიული სივრცეებიდან გამოსვლა.

საქართველოში უნდა გაგრძელდეს სამართლებრივი სახელმნიფო საფუძვლების შექმნა და მე, ამ მხრივ, არ ვიზიარებ თქვენს გარკვეულ სკეპტიციზმს, ვინაიდან მიმაჩნია, ყველა სიტუაციაში დემოკრატიული რეჟიმის ყველაზე ზუსტად გამოხატავს ჩვენი ერის მენტალიტეტსა და კულტურას, **ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ დემოკრტიაშია ყველაზე უფრო რეალიზებადი ჩვენი ერის ნიჭი და საუკეთესო თვისებები, ხოლო ავტორიტეტული რეჟიმი აღვიძებს ჩვენში ხასიათის ყველაზე უარყუოფით მხარეებს, იწვევს გულგრილობასა და გვავიწყებს სამშობლოს სიყვარულს.** თუმცა ამ დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადეობის მშენებლობის თვალსაზრისით, ჩვენ მხოლოდ გზის დასანყიში ვიმყოფებით და ამ გზის წარმატებით გაელა ყველა პოლიტიკური ძალის ერთობლივი ინტერესი უნდა იყოს.

არ არსებობს დღეს უფრო მნიშვნელოვანი მიზანი, ვიდრე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაა, მაგრამ ტერიტიორული მთლიანობის აღდგენის უმნიშვნელოვანესი ნინაპირობა ისევ ეროვნული მთლიანობის აღდგენაა.

ასეთია ჩემი წინასწარი სახელდახელო პასუხი თქვენს შეკითხვებზე. წინასწარი, რადგან მე დარწმუნებული ვარ – დიალოგი უნდა გაგრძელდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ჭეშმარიტების დადგენის ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობა, არამედ იმიტომაც, რომ ის უფრო ადრე რომ დანყებულიყო ყველა დონეზე, საქართველო ბევრი რამეს გადაურჩებოდა და უკვე სამშვიდობოს იქნებოდა გასული, თუმცა ეს ახლაც არ არის გვიან.

პატივისცემით **მიხეილ სააკაშვილი**

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიული საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე.

27 აგვისტო –„ახალითაობა“

ჟურნალისტი ანი მიროტაძე. ინტერვიუ მიშა სააკაშვილთან. ინტერვიუს სათაური.

„ღალატი კი არა ცოლისთვის ვერ ვიცლი“

– მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ან აბიტურიენტი, იურისტობაზე ოცნებობდა?

– მაშინ პოლიტიკა მაინტერესებდა. ეს ბავშვობიდან ასე იყო. ჯერ ერთი, გავიზარდე იმ ოჯახში, რომელსაც პოლიტიკურ ტრადიციები ჰქონდა. ფაქტობრივად, გამზარდა ბაბუამ ნიკო ნერეთელმა, რომელიც გარდა იმისა, რომ თვალსაჩინო იურისტი იყო, ასევე საინტერესო ოჯახის წარმომადგენლადაც ითვლებოდა. **ჩემი ორივე ბაბუა ის პიროვნებები იყვნენ, ვინც 20-30 წელი საბჭოთა საპყრობილეში გაატარა და ამიტომ პოლიტიკური სულისკვეთება ჩემს ოჯახში დიდი იყო.** აგრეთვე ჩემს პოლიტიკოსად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა გელა ჩარკვიანმა და მარად ჭავჭავაძემ. გელა ჩარკვიანის ხელმღვანელობით 4 წლის განმავლობაში ყოველკვირეულ პოლიტიკურ გაზეთსაც ვუშვებდით. ერთი სიტყვით, ბავშვობიდან საკმაოდ პოლიტიზირებულივიყავი და დადგა საკითხი – ჩემი ეს პოლიტიზირებულობა სადმე გამომეყენებინა და ჩავთვალეთ, რომ ყველაზე საუკეთესო ურთიერთობის ინსტიტუტში ჩაბარება იქნებოდა და ჩავაბარე კიდევაც საერთაშორისო სამართლებრივ ფაკულტეტზე. მე ვთვლი, ეს ტრადიციის გაგრძელება იყო. მაშინ მეკითხებოდნენ – რად გინდა საბჭოთა ჩინოვნიკობაო, მაგრამ მე ვპასუხობდი, რომ ჩინოვნიკობა კი არა, პოლიტიკით მინდოდა ვყოფილიყავი დაკავებული, რასაც მაშინ ჩემი ოჯახი ირონიულად უყურებდა.

– ხელი ხომ არ შეგიშალეს ოჯახის წევრებმა გადაწვეტილების განხორციელებაში?

– არა, ხელი იმან შემიშალა, რომ პრაქტიკულად მოსკოვის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში ვერ ჩავაბარე, რადგან ძალიან ძნელი იყო იქ მოხვედრა. მერე ბედმა გამიღიმა, გამოჩნდა შესაძლებლობა, რომ კიევში ჩამებარებინა ასეთივე ინსტიტუტში და არც ვნანობ, რომ იქ ვსწავლობდი, რადგან უკრაინა საკმაოდ საინტერესო ქვეყანაა გახლავთ. შემდეგ ჩემმა პოლიტიზირებულობამ პირველ კურსზევე იჩინა თავი, როცა ნამდვილი საქმე გაიხსნა ჩემსა და ჩემს მეგობრებზე, რომელიც საბედნიეროდ, კარგად დასრულდა. რამდენიმე საათით დამაკავეს, კომკავშირიდან გამრიცხეს და შავ სიაში შემიტანეს. შავ სიაში შეტანა კი იმას ნიშნავდა, რომ საზღვარგარეთ ფეხსაც ვერ დავადგამდი. საბჭოთა კავშირი რომ დარჩენილიყო. ეს ნიშნავდა ჩემი კარიერის დასასრულს. მაქსიმუმ რომელიმე კოლმეურნეობის იურისკონსულტანტი ვიქნებოდი. ასე რომ მე იმ ხალხისაგან განსხვავებით, ვინც ძველ რეჟიმს მისტირის არავითარი ნოსტალგიური გრძნობა არ მაკავშირებს.

– „ხომ არ განიცადა მაშინ მიხეილ სააკაშვილმა კომკავშირიდან გარიცხვა"?

– „გულწრფელად გეუბნებით, რომ არა".

– „ალბათ პირველ კურსზევე მოხდარი სკანდალის შემდეგ არ დამთავრებულა ყველაფერი".

– „ჩემა ერახმა პირველივე კურსზე გამოიწვია ჩემი გულგაცივება. მერე წავედი ჯარში., ეს ცხოვრებიდან ამოგდებული ორი წელია. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც გარკვეული სიძნელეებთან შეგუება ვისწავლე, რაც ცხოვრებაში შეიძლება მართლაც გამომადგეს, და მეორე – ვისწავლე სროლა".

– „ალბათ კარგი მსროლელი ხართ"?

– „ვერ გეტყვი".

– „იარაღი თუგაქვთ"?

– „იარაღი მაქვს. მე საერთოდ იარაღის ტარების სასტიკი წინააღმდეგი ვარ. სხვათა შორის 2 წლის წინ მაჩუქეს იარაღი, მაგრამ ჩემი ოჯახის იმ წევრს გადავეცი, ვისაც აინტერესებს იარაღისსახლში შენახვა".

– „თქვენ იარაღის შემნახველი ოჯახის წევრებიც გყოლიათ, თუ საიდუმლო არ არის ვინ არიან ისინი"

– „ეს კაცი ბაბუაჩემია".[1]

„თქვენზე ამბობენ, რომ საქართველოში ჩატარებულ მიტინგებშიც იღებდით მონაწილეობას".

– „დიახ, ერთხელ სხვათა შორის, სპეციალურად ჩამოვედი კიევიდან 1989 წლის ნოემბრის ცნობილ მოვლენების დროს. არა, მიტინგებზე სიტყვით კი არ გამოვდიოდი, უბრალოდ, ვიღებდი მონაწილეობას, რადგან ეს პერიოდი ჩემი სტუდენტობის წლებს ემთხვევა და მე კიევში ვიმყოფებოდი, ჩამოვაყალიბეთ ქართველთა კულტურული საზოგადოება, სადაც ერთ-ერთ თავმჯდომარე გახლდით. თუ არ ვცდები 150-200 აქტიური ნევრი გაერთიანდა იქ, ეს იმ დროისათვის საკმაოდ კარგი შედეგი იყო".

– „თქვენ აშშ-შიც იყავით".

– „ამერიკაში 1993 წლსი დასაწყისში ნავედი და მერე საფრანგეთში ვსწავლობდი. ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტში. სტრასბურგში დავიცავი დიპლომი, შემდეგ გარკვეული პერიოდი ვმუშაობდი ნორვეგიაში ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტში. თბილისში ჩამოსულმა, მუშაობა დავინყე ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში, მაგრამ კონფლიქტი მომივიდა მაშინდელ ამ კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძესთან იმ სტატიების გამო, რომლებიც იმ დღეებში გამოაქვეყნა ქართულ პრესაში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამერიკაში დავამთავრე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის მაგისტრატურა. დავიცავი ხარიხსი, შემდეგ ჩავაბარე დოქტურანტურაში. ისიც დავამთავრე და ახლა, ნესით, უნდა ვიჯდე და სადოქტოროს ვწერდე, მაგრამ, ამის დროს არ არის".

– „ალბათ საბოლოოდ მაინც დაწერთ სადოქტოროს".

–„ჩემი სადოქტორო არის ძალიან აბსტრაქტული საერთაშორისო სამართლის თემაზე. ბოლოს, როდესაც ჩემს ხელმძღვანელს შეხვდი, მან მირ-

[1] ბატონი გივი ალასანია, პროფესორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი, ძალიან კარგი პიროვნება იყო რომელიც წელს ივლისში გარდაიცვალა.

ჩია, თავი დამებებინა ქვეყნის შექმნის თაობაზე დამენერა რაიმე და, პრინციპში, რომ დავუკვირდი, **რასაც დღეს ჩვენი პარლამენტი აკეთებს და საერთოდ ჩვენი თაობა, თავისთავად ახალი ქვეყნის შექმნაა.** ეს საინტერესო უნდა იყოს ქაღალდზე გადატანილი მოგვიანებით, ვიდრე თეორიული და აბსტრაქტული თეორია".

– „ძალიან მოგხიბლათ იმ ჰოლანდიელმა გოგონამ, რომელიც დღეს თქვენი მეუღლეა"?

– „ჩემი მეუღლე 1993 წელს გავიცანი. ამ წელსავე მოვაწერეთ ხელი. მხოლოდ ჩემი ერთი სვანი მეგობარი დაესწრო ამ ცერემონიალს. ჩემმა მშობლებმაც მოგვიანებით გაიგეს. მოხიბვლას რაც შეეხება ალბათ მართლაც ასე იყო".

– „ალბათ მეუღლე ჰოლანდიაში ხშირად მიემგზავრება. თქვენი როგორ ეგუებით ამას"?

– „უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ რაც ხელი მოვაწერეთ, ჩემი მეუღლე უფრო ადრე ჩამოვიდა საქართველოში ვიდრე მე. რადგან იგი მუშაობს საერთაშორისო წითელ ჯვარში, მთელი კვირეების განმავლობაში უხდება წასვლა მივლინებებში, ოღონდ იმ განსხვავებით რომ მივლინება საქართველოს ტერიტორიაზე ხდება, ისეთ ადგილებში როგორიცაა სვანეთი, რაჭა და სხვა მაღალი რეგიონები და ყველა ადგილიდან ჩამოაქვს ქვები. ვილაცას უთქვამს – თუ ადგილობრივ ქვებს ნაილებ ისევ დაბრუნდები იმ მხარეშიო და ისე მოსწონს ეს პროცესი, რომ მთელი სახლი ქვებით გვაქვს სავსე. ისე საზღვარგარეთ მე უფრო ხშირად დავდივარ, ვიდრე ის, ვარ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი, ეუთოს საპარალამენტო ასამბლეის წევრი და წელიწადში 6-ჯერ მაინც მივემგზავრები. ამას ისიც ემატება რომ სხვადასხვა დელეგაციაში მიხდება ხოლმე ყოფნა,. ისე რომ დიდი ხანია დავძლიე შიში თვითმფრინავის აფრენის და ახლა თვითმფრინავში უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე დაუშვათ ჩემს კაბინეტში, პარალამენტში".

– „თქვენმა მეუღლემ იმდენად დიდი სიყვარული მოგანიჭა რომ ქართველ მანდილოსანზე უარი თქვით?"[1]

– „სავარაუდოდ საპარლამენტო სხდომების დაგეგმვა არ ხერხდება და პირად ცხოვრებას ხომ ასე ადვილად ვერ დაგეგმავ, ისე სიმართლე გითხრათ ახლა ბევრად უკეთესად ვგრძნიბ თავს, ვიდრე დაქორწინებამდე".

– „მაგრამ ხომ შეიძლებოდა იგივე ფუნქცია ქართველ მანდილოსანს შეესრულებინა"?

„ჰო, მაგრამ ეს გარემოებამ მოიტანა, ვინაიდან საზღვარგარეთ ვცხოვრობდი. მე არავის მოვუწოდებ, რომ ჩემს გზას დაადგეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჰოლანდიელები თავისი მენტალიტეტით, ძალიან ჰგვანან ქართველებს, საკმაოდ მკაცრი წესებით".

– „გულახდილად რომ თქვათ, ცოლს თუ ღალატობთ, ქართველ მამაკაცებს მიდრეკილება გაქვთ ამისკენ"?

–„ ეს მარტო ქართველი მამაკაცების ე. წ. სენი არ არის. მე, პირადად, ჩემი ცოლისთვის ჩემდა სამწუხაროდ, დრო არ მრჩება. მეორეს მხრივ, არც მაქვს ამის მოთხოვნა, შეიძლება არასრულფასოვანიც ვარ ამ მხრივ".

– „თქვენს შვილს სიმამრის საპატივცემულოდ ედუარდი დაარქვით"?

– „დიახ, ჩემს შვილს ედუარდი ჰქვია, ის ორი წლისაა და საკმაოდ კარგად ლაპარაკობს ჰოლანდიურად და ქართულად. ის 18 წლამდე აუცილებლად საქართველოში იქნება, მერე თვითონ აირჩევს ალბათ თავის გზას. ისე საინტერესო ისაა, რომ ჩემი ორი წლის შვილი, და ბებიაჩემის დედა ძალიან კარგად უგებენ ერთმანეთს".

– „რამდენადაც ვიცი სმა გიყვართ".

– „არა, რას ამბობთ, საქართველოში ჩამოსვლამდე საერთოდ, არ ესვამდი. ახლა ოფიციალურ შეხვედრებზე თუ ვსვამ ერთ-ორ ჭიქას, ისე, სმაში მე ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუ მეორე დღეს თავი არ გეტკინება. მე კი ვცდილობ, ყოველდღე საღ გუნებაზე და მოწესრიგებული ვიყო".

– „თქვენ ˙საკმაოდ ახალგზრდა ხართ, არ გინდათ,მეტი დრო გართობას დაუთმოთ"?

– „როგორ არ მინდა, ამასწინათ ბუნდესტაგის დელეგაცია იყო ჩამოსული და მათთან **შეხვედრის დროს მე და ჩემს ახალგაზრდა მოადგილეს ასაკი გვკითხეს. ჩვენ გვეგონა მოგვიწონებდნენ, ასეთი ახალგაზრდები რომ ვიყავით, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა გულწრფელად მითხრა, მეტი საქმე არ გქონდათო? ნორმალურ ქვეყანაში ადამიანის ჯერ გამოცდილებას აგროვებს და შემდეგ ხვდება პარალამენტში, მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს**

[1] უნდა ავღნიშნო, რომ ქალბატონი სანდრა ღირსეული პირველი ლედია საქართველოსი.

მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ახალგაზრდეობა მინუსი კი არა, პლიუსი იყოს, რადგან ბევრი ღირებულების გადაფასება ხდება, რადგან ბევრმა ღირებულებამ ჩვენს ქვეყანაში არ გაამართლა".

– „თქვენ თქვით რომ საკაშვილობით ამაყობთ"?

– „მართალია ჯერ არ ერთი საკაშვილები ცოტანი არიან, და ბაბუაჩემი, ისიც მიხეილ საკაშვილი, ცნობილი მეცნიერი გახლდათ და ბევრს უყვარდა. მისმა სახელმა ძალიან ბევრი რამ გამიადვილა ცხოვრებაში. ამიტომ ამ გვარს დიდ პატივს ვცემ".

– „იურისტი რომ არ ყოფილიყავით რომელ ამპლუაში მოგვევლინებოდით"?

– „ალბათ ჟურნალისტი ვიქნებოდი, რადგან ძალიან ხშირად მინდა, რომ გვერდიდან შევხედო მოვლენებს, შეფასება მივცე ყველა დეტალს და ერთ მთლიანობაში მოვაქციო, თუმცა დრო ჯერ კიდევ არ არის დაკარგული. ჟურნალისტობა ყველაზე სერიოზული პროფესიაა, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში".

– „ე. ი. მეოთხე ხელისუფლებას"...

– „ამ მეოთხე ხელისუფლებას დატერორებული ჰყავს ყველა ხელისუფლება. მინისტრს მოკვლა თუ არ შეუძლია მოხსნის მაინც".

– „ისევ, თქვენ რას უწინასწარმეტყველებთ მინისტრებს წლის ბოლომდე რომელიმე მაინც დარჩება თავის ადგილზე"?

„როგორც პოლიტიკოსმა წინასწარმეტყველების უნარი არ მაქვს, მაგრამ ჩვენთან საკადრო პოლიტიკა რთულად დგას, ნოსტრადამუსსაც გაუჭირდებოდა წინასწარმეტყველება. საერთოდ დღეს ჩვენთან ისეთი ვითარებაა, რომ თანამდებობის პირები თავიანთ სკამს ეზრდებიან. მათთვის თანამდებობის დაკარგვა ნამდვილ ტრაგედიად იქცევა ხოლმე, არადა, დემოკრატია სწორედ ისაა, რომ მუდმივი ცვლა უნდა ხდებოდეს პოლიტიკაში, ახალი ხალხი უნდა მოდოდეს და პოლიტოკოსებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ თანამდებობა დროებითი. და შემდეგ საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი, თუნდაც ბიზნესს, ჩვენთან ამის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან ბიზნესის კეთების საუკეთესო საშუალებაა მთავრობაში ყოფნაა".

–„ რადმენი თქვენი ჯამაგირი"?

– „ჩვენი ე. ი. ჩემი და ჩემი მეუღლის ჯამაგირი ერთად 700 ლარია. ისე ერთ-ერთ გაზეთში დაწერეს – საკაშვილის მეუღლეს დიდი ხელფასი აქვსო, რამაც იგი გაანაწყენა, რადგან პოლანდიაში რომ დარჩენილიყო და არ ემუშავა, უმუშევრის დახმარებას სწორედ ორჯერ მეტს მიიღებდა".

– „თქვენთვის რამდენია ბევრი ფული"?

– „ჩვენ ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ გვიჭირს. 700 ლარი შეიძლება დიდი ფული არ არის, მაგრამ გააჩნია, მას როგორ გამოიყენებ. უნდა ითქვას, რომ, ამერიკაში, სადაც 5 ათას დოლარზე ნაკლები არასოდეს მქონია, უფრო განვიცდიდი ფულის პრობლემას, ვიდრე აქ".

– „თქვენ როგორც გეტყობათ ჟურნალისტებთან საუბარი გსიამოვნებთ".

– „მსიამოვნებს, იმიტომ, რომ ეს არის ჩემი თაობის ხალხი და ჩვენ ძირითადად ერთ საქმეს ვაკეთებთ, რაც უნდა თავისუფალ პრესის წარმომადგენლებს, ზუსტად იგივე მინდა მეც – ვიცხოვრო ნორმალურ ქვეყანაში. მე ზუსტად ვიცი, რომ თუ პრესა ნამდვილად იქნება თავისუფალი, ასეთ ქვეყანაში მე ყოველთვის მივაღწევ პოლიტიკურ წარმატებებს. ჩვენ მართლაც საინტერესო პრესა გვაქვს, რადგან ეს არის აბსოლუტურად ცარიელ ნიადაგზე, მწირ რესურსებზე, ყოველგვარი ინვესტიციების გარეშე შექმნილი თავისუფალი პრესა. ჩვენ გარშემო არც ერთ სახელმწიფოს ასეთ პრესა არა აქვს და ამის არ დაფასება არ შეიძლება. მე ვიტყოდი, ჟურნალისტების ამ თაობას საოცრად მაღალი დონე აქვს".

– „კანონის უზანაესობა სახელმწიფოში მაინც ვერ დავამკვიდრეთ".

– „ჯერ ჩვენ პროცესის დასაწყისში ვართ, რეფორმების შედეგებზე რამოდენიმე წლის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ თუ ანალოგიურ დაბრკოლებებს ექნება ადგილი, რეფორმები კიდევ 70 წელი არ გაამართლებს".

– „როგორ ფიქრობთ, როგორც პოლიტიკოსი, კარგი მოთამაშე ხართ"?

– „არ ვიცი, სრულყოფის საზღვარი არ არსებობს. ვცდილობ, საკუთარ თავზე ვიმუშავო".

– „ალბათ გაქვთ ის საუკეთესო პიროვნული ღირსება, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაშიც გეხმარებათ და პირადულშიც".

– „თავისუფლების სიყვარული. ყველა შემთხვევაში, რა სიტუაციაშიც უნდა ვიყო, ყოველთვის ვცდილობ, შევინარჩუნო დამოუკიდებლობა და საკუთარი აზრი. ერთის მხრივ, ეს კარიერაში ხელს მიშლის, რადგან მე არასდროს გავხდები ვისიმე მიმდევარი, ვისიმე მონამორჩილი. მეორეს მხრივ, ძალიან მიადვილდება ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც შინაგანად თავისუფლები არიან, რადგან მათთან საერთო ენის გამონახვა ადვილია".

– „**დღეს დაპირისპირებები პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის მოდაში შემოვიდა"...**

– „**ეს, არ ვიცი, კასანდრას, თუ სხვა ტელესერიალის დამსახურებაა, მაგრამ ქართული პოლიტიკა ოპერად გადაიქცა – ყველა თავის ენაზე მღერის. გაჩნდა დუეტები, მე ამას დავარქმევდი კასანდრას მოვლენას ქართულ პოლიტიკაში. ისე, პრესას თუ გადავსხედავთ, ჩანს, რომ ყვითლდება, იმიტომ, რომ პოლიტიკა ყვითლდება და დღეისთვის საინტერესოა არა ცნობები და კონცეფციები, არამედ პიროვნებები, პიროვნებებს შორის დაპირისპირებები, ეს ქვეყნისთვის დამღუპველია".**

– „თუნდაც ხომ არ ასრულებთ ერთ-ერთ როლს ასეთ დუეტებში"?

– „სხვათა შორის, ბევრი ცდილობს, რომ მონაწილეობა მიეიღო ასეთ დუეტებში. ყველანაირად ვცდილობ, ნებისმიერ პროვოკაციას თავის ავარიდო,. რადგან ეს მოხდება ჩემის ამშაიოს დროპის ხარჯზე და იმ რეფორმების ხარჯზე, რომლის გასატარებლად მე აქ მოვედი".

– „თქვენზე ამბობენ, რომ ახალგაზდული შემართება გაქვთ".

– „ახალგზარდული შემართებით, მე იმ საქმეს ვაკეთებ, რაც მსიამოვნებს".

– „გარეგნობაზე თუ ზრუნავთ"?

– „ვუთმობ ხოლმე დროს საკუთარი თავს, სარკეში ვიხედები, ოლონდ მანქანაში, იმიტომ, რომ მანქანაში მეღვიძება. კიდევ, ვცდილობ, რომ დიეტა დავიცვა, აუზზე ვიარო, საღაამოობით არ ვჭამო, მაგრამ ეს ცოტა ძნელია. რაც საქართველოში, ჩამოვედი, 14 კილო მოვიმატე. მე, **ზურაბ ჟვანიამ** და გია ყუფარაძემ გადავწყვიტეთ, აუზზე ერთად გვეელო, მაგრამ რეგულარულად ამის გაკეთება ძნელია".

– „თქვენზე ამბობენ"?

– „პერიოდულად მესმის ხოლმე ჭორები, მაგალითად, ფულის გაკეთების ჩემეული ხერხის შესახებ, მაგრამ მე, იმ პიროვნებებისაგან განსხვავებით, ვინც ჩემზე ჭორებს ავრცელებს, ვიცი, პატიოსანი გზით როგორ შეიძლება გააკეთო ფული, იმიტომ, რომ ვიცი, ნორმალური ცხორება პატიოსანი გზით როგორ შეიძლება".

– „თქვენ როგორ მიგაჩნიათ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ხართ"?

– „ჯერჯერობით საქართველოში პოლიტიკური ელიტა არ არსებობს".

– „თქვენ ძირითადად მიზანი დაძლეულია"?

– „ჩემი პროგრამა-მაქსიმუმი ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრებაა".

– „ალბათ ეს ნორმალური ქვეყანა საქართველო უნდა იყოს"?

– „რა თქმა უნდა".

1998 წელი

25 იანვარი

დღეს 70 წელინადი შეუსრულდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. მე პირადად მინდა მივულოცო დაბადების დღე და ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა. რაც არ უნდა აგინონ მისმა მოწინააღმდეგებმა, რაც არ უნდა თქვან, ისტორია გვერდს ვერ აუვლის მის პიროვნებას, რომლიც ზუსტად 30 წელინადი, ფაქტობრივად, მართავს საქართველოს. გავა დრო და მის ზუსტ შეფასებას ისტორია შემდგომში მოგვცემს.

როგორხედებასაქართველომის70წლისთავს, ჩემთვის, ისტორიკოსისათვის, ერთი შეხედვით მდგომარეობა მძიმეა. დაიღუპა ათასობით ადამიანი, დაიკარგა აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი". ქვეყანაში ხალხი გაღატაკებულია. მძვინარებს კორუფცია. თუმცა ყველაფერი შედარებითია, თუ შევადარებთ ტაჯიკეთს, იქ მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, ქვეყანა განადგურდა, საშველი არ ჩანს. ზუსტად ასეთივე სცენარს ახორციელებდა რუსეთი საქართველოში. მაგრამ ის, რაც უნდოდა რუსეთს საქართველოში, ვერ განახორციელა მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზიანი მოგვაყენა. საქართველოში სიმშვიდეა. გვაქვს საკუთარი ვალუტა და, ფაქტობრივად, რუსეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ანარმოებს. ამიტომ მარტო უარყოფითი დაინახო შევარდნაძის მოღვაწეობაში არ არის სწორი. ასევე ჩემს ჩანაწერებში მასზე ბევრი კარგიც დამინერია და უფრო მეტი ცუდიც, მაგრამ არ დამინერია და არც გამიფიქრებია, რომ მას საკუთარი სამშობლო არ უყვარს. ისევ ვიმეორებ, მასზე რომ წერდნენ რუსეთიდან იმიტომ ჩამოვიდა, რომ საქართველო ისევ რუსეთს შეუერთოსო", ან კიდევ „გაყიდა აფხაზეთიო" და ა. შ., არ მჯეროდა.

რა ფული უნდა აეღო შევარდნაძეს, რომ თავისი სამშობლო გაეყიდა, სამშობლო, რომლის პრეზიდენტიც თვითონ არის. პირიქით, მას აქვს ისტორიული შანსი საბოლოოდ საფუძველი ჩაუყაროს და განამტკიცოს დამოუკიდებელი საქართველო და, ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიაში შევიდეს როგორც ახალი სახელმწიფოს შემქმნელი. მას რომ საქართველო უყვარს, ამაზე არ შეიძლება დავა. დავა შეიძლება იმ ხერხებზე და მეთოდებზე, რომელსაც ის იყენებს ამ მიზნის მისაღწევად, რაც ხშირად მიუღებელია საზოგადოებისთვის. მე განსაკუთრებით მადარდებს მისი გარემოცვა, რომელიც შევარდნაძეს პირველები გაყიდიან, როდესაც იგი აღარ იქნება თანამდებობაზე, ისინი პირველები დაუწყებენ გინებას და ისევ ჩემნაირი ადამიანები დარჩებიან ერთგულები, რადგან ყოველთვის მეზარებიან ადამიანები, რომლებიც კაცს აფასებენ თანამდებობის გამო.

10 თებერვალი

საოცარია ეს ცხოვრება. წინა გვერდზე შევარდნაძეს ვულოცავდი და ვუსურვებდი ბედნიერებას და შეიძლებოდა, რომ მეორე გვერდზე დამეწერა, რომ მოკლეს საქართველოს პრეზიდენტი.

გუშინ ღამით, როდესაც შევარდნაძე კრწანისში ბრუნდებოდა, მის წინააღმდეგ მართლა მოეწყო სამხედრო ოპერაცია, თავდამსხმელი იყო 10-15 კაცი. პრეზიდენტის კორტეჟს ესროლეს ყუმბარამტყორცნი, იყო სროლები. შევარდნაძის დაცვიდან დაიღუპა ორი, მათ შორის, ერთი ჩემი სტუდენტი, შესანიშნავი ახალგაზრდა დათო კოკაური, რომელმაც შარშან დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. ძალზე საყვარელი ბიჭი იყო. თავდამსხმელებიდან ერთ დაღუპულს პასპორტი ჰქონდა დაღესტნური, ეროვნებით იყო ჩეჩენი. მანქანები საშინელი სანახავი იყო, მათ შორის, პრეზიდენტის ბრონირებული მანქანა. შევარდნაძეც ბენზეზე არის გადარჩენილი, ღმერთმა გადაარჩინოს. არც მინდა წარმოვადგინო, რა მოხდებოდა. რა თქმა უნდა, სცენარი ცნობილია, მე არ მეცალა რომ დამეწერა, ამ რამდენიმე დღის წინ სომხეთში მოხდა გადატრიალება, რა თქმა უნდა, რუსეთის ჩარევით. გადადგა ტერ-პეტროსიანი. მან სცადა გარკვეული ნაბიჯები გადაედგა დასავლეთის სახელმწიფოებისაკენ, კერძოდ, ჩამოყალიბდა ღერძი რუსეთი-სომხეთი-ირანი, რამაც ძალზე შეაშფოთა დასავლეთის სახელმწიფოები, როდესაც ტერ-პეტროსიანმა სცადა დათანხმებულიყო ეუთოს წინადადებაზე, იმწუთსავე ჩამოაგდეს და დღეს

პარადოქსია, სომხეთის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს ყარაბახის ყოფილი პრეზიდენტი ქოჩარიანი. ეს ნიშნავს, ფაქტობრივად, ომის გამოცხადებას აზერბაიჯანისათვის. რუსეთი მზად არის დაიწყოს ომი ამერიკავკასიაში, რადგან ეს არის ე.წ. „ნავთობის ომი". რუსეთს არ აწყობს, რომ აზერბაიჯანის ნავთობმა გაიაროს საქართველოზე და თურქეთში, ხოლო ამის შემდეგ დასავლეთსა და აშშ-ში. რუსეთმა იცის, რომ ის, რაც მოხდა სომხეთში, ვერ განახორციელებდა საქართველოში. რჩებოდა ერთადერთი გზა – პრეზიდენტ შევარდნაძის მოკვლა. ეს საფრთხე ისევ არსებობს. საოცარი დამთხვევა, წინა დღით, როდესაც ჩემმა შვილმა დიმიტრიმ გაიღვიძა, თქვა, სიზმარში ვნახე, რომ შევარდნაძე მოკლესო და მკვდარი ესვენაო. ჩემმა მეუღლემ უთხრა, მაგას ტყვია არ ეკარება და ვინ მოკლავსო. დილით ჩემი სიდედრი რომ შემოვარდა და იყვირა შევარდნაძე კინაღამ მოკლესო, ვიფიქრე, მაგიუებს - მეთქი.

დღეს პარლამენტის სხდომაზე ირინა სარიშვილმა განაცხადა, რომ შევარდნაძის გარშემო ან ერთგულები არ არიან, იდიოტები არიანო. რადგან შევარდანაძე ამბობს, რომ ისინი ქართველები არიან, მაშინ იდიოტები ყოფილანო. სასაცილო ის არისო, რომ თვითონ შევარდნაძემ დაურეკა ძალოვან სტრუქტურებს, თავს დამესხნენო, ნორმალურ ქვეყანაში ოთხი მინისტრი მაინც თვითონ დაწერდა განცხადებას გადადგომის შესახებო.

ღამით აჩვენეს ასლან აბაშიძის გამოსვლა, მან განაცხადა, რომ ეს ის ძალებია, რომლებიც აჭარას უტევდნენო და რომლის შესახებ ბევრჯერ განმიცხადებიაო.

გაზ. „ალიანსში" წერია, „ამ ინცინდენტმა დაამტკიცა, რომ საქართველოში ყველაზე გამართულად საქართველოს პრზიდენტის დაცვა მუშაობსო".

ამაზე ვწერდი სწორედ ადრე, როდესაც უშიშროების მინისტრად მოვიდა კვირაია (გიორგაძე პროფესიონალი მაინც იყოო, მ.ვ.), რომელმაც, ფაქტობრივად, გაანადგურა უშიშროების სამინისტრო, მაშინ, როდესაც კვირაია იყო მინისტრი ვწერდი, რომ ვისაც მე ვიცნობდი ნორმალურს და პროფესიონალს უშიშროებიდან, ყველა გადავიდა ვახტანგ ქუთათელაძესთან სამთავრობო დაცვაში.

13 თებერვალი

გუშინ, „ნტვ-ში" აჩვენეს სალმან რადუევი, რომელმაც თავის თავზე აიღო შევარდნაძეზე თავდასხმა, მაგრამ არავის სჯერა, რადგან მას ხშირად სჩვევია ასეთი აბსურდული ამბების თქმა. მთელი გაზეთები აჭრელებულია სურათებით, ხალხი რას არ ლაპარაკობს, მაგრამ ყველა ერთ აზრზეა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან 500 მეტრში ომი მიმდინარეობდა და არცერთი არ მივიდა საშველად, ეს არის უბედურება, აშკარა კრიზისია ხელისუფლებაში, ამის მაგალითია გია ბარამიძის ინტერვიუ, სადაც ის სამართლიანად წერს, რომ წინა წელს კორუფციასთან ბრძოლა კრახით დამთავრდა.

კორ. – „კი ამბობთ, მაგრამ ხელს არავის ადებთ, ვინ და რამ შეგიშალათ ბრძოლაში ხელი".

გ. ბ. – „როგორ არ ვადებ. ეს არის ყველა სამართალდამცაეი ორგანო".

ჩემი აზრით, როცა „მოქალაქეთა კავშირი" ფრაქციის მიერ დანიშნულ ხალხზე აქ აშკარად ჩანს განხეთქილების დასაწყისი მაინც.

ვეღარ მოვასწარი დამეწერა, რომ 8 თებერვალს უნივერსიტეტს შეუსრულდა 80 წელი, სიონში წირვა გადაიხადა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ილია II. ბედნიერი ვიყავი, მთელი უნივეტსიტეტის დიდი საბჭო იქ ვიყავით, შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მიგვინვია საპატრიარქოში, სადაც საზეიმო შეხვედრა მოეწყო. შემდეგ გაიმართა ტრაპეზი და თამადა როინ მეტრეველი იყო, რომელიც სუფრას ბრწყინვალედ გაუძღვა დაიწყო უნივერსიტეტის საიუბილეო დღეები, რომელიც 25 მაისამდე გასტანს.

16 თებერვალი

გუშინ „ნტვ"-ში გამოაცხადეს, რომ გაიხსნა შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის გარემოე-

ბა. მართლაც, გადაცემა „მსგეფსში" გამოვიდა შევარდნაძე და განაცხადა, რომ დაპატიმრებულია რამდენიმე ტერორისტი, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ზვიადისტურ მოძრაობასთან.

დღეს ტელევიზორში გამოვიდნენ –**კახა თარგამაძე, ჯემალ გახოკიძე, ჯამლეთ ბაბილაშვილი**, დაპატიმრებულნი არიან ლოთი ქობალიას რაზმის ყოფილი წევრები. აღმოჩენილია მათი ადგილსამყოფელები. სულ ცუდის ლაპარაკი სამართალდამცავ ორგანოებზე ნამდვილად არ შეიძლება. იმუშავეს და იპოვეს კამერა, რომელზედაც სანაპიროდან დაფიქსირებულია ეს თავდასხმა, საშინალებაა, როგორ შეიძლება ასე კლავდე შენი ქვეყნის პრეზიდენტს, ნეტა ასე რამ გაამწარა ეს ხალხი. როგორც აღვნიშნე, ნაწილი ტერორისტებისა დაქირავებული ყოფილა მოსკოველი ქართველების მიერ. ვნახოთ, რა იქნება.

19 თებერვალი

დღეს ზუგდიდის ცენტრში 15-20 კაციანმა რაზმმა ალყა შემოარტყა გაეროს დამკვირვებელთა შენობას და მოიტაცა 4 დამკვირვებელი, რომლებიც წაიყვანეს სოფ. ჯიხაშკარში (ამ სოფელში გარდაიცვალა პრეზიდენტი გამსახურდია, მ.ვ.). ისინი გამაგრებულნი არიან სოფლის გამგებლის სახლში. ღამით აჩვენეს მათი საუბარი ელჩთან, რომელსაც გადასცეს თავიანთი მოთხოვნები:

1 – შევარდნაძემ მოლაპარაკებები დაიწყოს კანონიერ ხელისუფლებასთან (იგულისხმება პრეზიდენტ გამსახურდიასდროინდელი უზენაეს საბჭო, მ.ვ.).

2 – გაყვანილ იქნეს რუსეთის ჯარები საქართველოდან.

3 – განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდებოდა, ისინი იმუქრებიან, რომ დახოცავენ მძევლები და დაიწყებენ საომარ ოპერაციებს.

21 თებერვალი

დღეს მიმდინარეობს მოლაპარაკებები. საერთოდ დიდი შეცდომა იყო დაშვებული, როდესაც აჩვენეს კასეტა, სადაც შევარდნაძეზე თავდასხმა არის ნაჩვენები. ამ გადაცემაში კომენტარის დროს თქვეს, რომ კასეტაზე მეგრულად საუბრობენო. როცა ეს გამოაცხადეს, თავიდანვე არ მომეწონა, **აკაკი ასათიანმა** („ახალი თაობა", 20 თებერვალი) სწორად თქვა:

„ენა უნდა ამოაგლიჯო, ვინც ტერაქტთან დაკავშირებით ზვიადისტები და მეგრელები ახსენა. ჩემი დაკვირვებით აშკარაა, რაც გათვლისწინებული ჰქონდათ. ამიტომ ჰყავდათ სპეციალურად ამ ჯგუფში ჩეჩნები და სამეგრელოს წარმომადგენლები, თორემ, რა შუაშია სამეგრელო, ხომ შეიძლებოდა ტერორისტი კახელი ყოფილიყო, მაგრამ ეს რუსეთს არ აწყობდა, წარმომიდგენია, რა რეაქცია იქნებოდა სამეგრელოში, როცა ტელევიზიით რამდენჯერმე გაიმეორეს მეგრულად ლაპარაკობენ ტერორისტებიო. ამ მთავრობის დიდ ნაწილს ტვინი არა აქვს, თუ არ ჩავთვლით, რომ იქ აგენტებიც იქნებოდა. მოკლედ, ამ ინციდენტით ყველაზე მეტად რუსეთმა მოიგო. ქართველები გამოჩდნენ, როგორც ტერორისტები და ბანდიტები, არ მომწონს, რომ ასე ჩქარა იხსნება ეს თავდასხმები, პირველად „მხედრიონი" გამოვიდა თავდამსხმელად, მეორედ „ზვიადისტები", მერე ისე მოკლავენ შევარდნაძეს, რომ მის მონაწილეებსაც ვერ იპოვნიან და იტყვიან, საქართველოში არის შიდადაპირისპირება და არეულობაო."

26 თებერვალი

გუშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ტერორისტებმა მოითხოვეს, რომ **ნემო ბურჭულაძე** შეხვედროდა შევარდნაძეს. ნემო ბურჭულაძე ჩამოფრინდა ჩაჩუასთან ერთად და ჰქონდა მოლაპარაკება შევარდნაძესთან. მძევლები გაათავისუფლეს. გოჩა ესებუა ორ ტერორისტთან ერთად გაუშვეს, დანარჩენები ჩაბარდნენ. ჩემი აზრით, ეს უნიკალური **მოვლენა იყო, რომელსაც შემიძლია ვუწოდო „ქართული ტერორიზმი", როდესაც გამტაცებლები და გატაცებულნი ყოველდღე ერთად ქეიფობდნენ. მე მგონი, დაცილებაც არ უნდოდათ ერთმანეთთან. ამავე დროს, ჟურნალისტები ისე შედიოდნენ და გამოდიოდნენ თითქოს საკუთარ**

სახლში იყვნენო, მოკლედ, ღმერთს ვუმადლოდეთ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

27 თებერვალი

გუშინ თბილისის მერიამ ისევ შეკრიბა ისევ და ისევ ის ხალხი, რომლებსაც 30-40 წლის განმავლობაში ეკითხებოდნენ აზრს, თითქოს ყველა საკითხზე და უნდათ მათი სახელების გამოყენება, თორემ ნამდვილად სასაცილოა მათი მიმართვა, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“:

„თბილისის მერი მიმართავს ჩვენს სახელოვან თანამოქალაქეებს, ჩვენს საამაყო ინტელიგენციას, ჩვენს შემოქმედებით კავშირებს, ჩვენს მეცნიერებას დაგვიჭირონ მხარი, ყველაფერი ჩვენ უნდა გავაკეთოთ და მომავლის წინაშეც ჩვენვე უნდა ვაგოთ პასუხი“ –ეს ბოლო სიტყვები მომეწონა, რადგან პასუხი უნდა აგოს მერიამ იმის გამოც, რა დანაშაულიც აქვს ჩადენილი. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ამის გადადებაც არ შეიძლება, ახლავე უნდა აგონ პასუხი.

17 მარტი

ავად ვარ და შემთხვევით ჩავრთე ტელევიზორი. 16 საათი და 20 წუთია. **გამოდის ედუარდ სურმანიძე და ლანძღავს აჭარის ხელისუფლებას, მე არ მესმის ამ პოლიტიკოსების, ზურაბ ყვანია ჭკვიანი კაცია და ნუთუ არ ესმის, რა უბედურების მომტანია ეს, მით უმეტეს, რომ წელს 120 წელიწადი სრულდება აჭარის დედასამშობლოში დაბრუნებიდან.**

საღამოს „რუსთავი 2“-ს ვუყურე. თურმე აჭარაში სტიქიის გამო დაზარალებულ რაიონებში შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით, შეიარაღებული სამამულო ჯგუფები გაუშვიათ, დღეს **კახა თარგამაძე** გამოიძახეს პარლამენტში. მე თვითონ ვუსმენდი, რომ განაცხადა: მაშველებს „მუხები“ აქ ჰქონდათ, ჰქონდათ ავტომატები და ერთი ტყვიამფრქვევიო. რად უნდოდა სამაშველო რაზმს ავტომატები? ამბობენ: გურიაში ბანდიტები არიანო და იმიტომ, ამავე დროს, თარგამაძემ განაცხადა, რომ მინისტრის ბრძანებით, სადაც გვინდა იქ გადავიყვანთ მაშველებს და სულაც არ არის საჭირო შევუთანხმო მაშველების გადაყვანა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსო, ეს ძველი სიმღერაა, მახსოვს, როცა ყვიროდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც გვინდა იქ შევიყვანთ ჯარებსო. ამ სიბრიყვემ მიგვიყვანა აფხაზეთის კატასტროფამდე.

29 მარტი

ურთიერთობა აჭარასთან დღითიდღე უარესდება. **ასლან აბაშიძემ** შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა **ილია წულუკიძე** ისე, რომ არც შეეკითხა კახა თარგამაძეს, არც გამკვირვებია. ამის შემდეგ, რა სისულელეც ჩაიდინა თარგამაძის უწყებამ ტუტუცურად თუ შეგნებულად, ცხადი იყო, რომ ასლან აბაშიძეც მინისტრის დანიშვნას აღარ შეეკითხებოდა თარგამაძეს, შევარდნაძემ „მოქალაქეთა კავშირის“ საბჭოს სხდომა ჩაატარა, სადაც სპეციალურად განიხილეს აჭარის საკითხი წინა დღით **ზურაბ ყვანიამ** პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არ დგას აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი და არც შეიძლება დადგესო. გუშინ თარგამაძეც ჩავიდა ბათუმში, შევარდნაძემ, ეტყობა, დატუქსა „მოქალაქეთა კავშირის“ თავკაცები.

დღეს გაზ. „ახალი თაობაში“ **ელდარ შენგელიასთან** არის ინტერვიუ, სადაც იგი სწორად წერს, რომ აჭარაში დღეს შექმნილი დაძაბულობა გარკვეულწილად თბილისის ბრალიცაა. სავსებით შესაძლებელია, რომ რომელიმე უწყებამ არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა აჭარაში, თუმცა ისინი არც აქ გაგიკეთებენ რამეს (აშკარად შინაგან საქმეთა სამინისტროზე ლაპარაკობს, მ. ვ.)... ნუთუ შეიძლება ბარამიძის დაუფიქრებელი განცხადებების გამო ქვეყნის დასალუპად განირვა), შესჩივლა შენგელაიამ „ახალ თაობას.“

იმავე გაზეთშია ინტერვიუ ვახტანგ რჩეულიშვილთან, რომელიც სწორად შენიშნავს: „სულ არ გამოვრიცხავ, რომ, მაგალითად, ჭკუასელი უფრო კარგი ფინანსისტია, ვიდრე ასლან აბაშიძე, რომ მიშა სააკაშვილი უფრო კარგი იურისტია, ვიდრე ასლან აბაშიძე, მაგრამ არც ერთის იურისტობა და არც მეორის ეკონომისტობა არც

საქართველოს მთლიანობაზე მეტია და არც ასლან აბაშიძის გამოცდილებაზე".

ასევე სწორად აღნიშნავს, რომ, რა დროს ზურაბ ჟვანიას ამერიკაში ნასვლა იყო, როცა საკითხი დგას პარლამენტის მთლიანობაზე, რადგან შეიძლება „აღორძინებამ" დატოვოს პარლამენტიო.

მართლაც, ახალგაზრდების შეცდომები ის არის, რომ ისტორიას არ იცნობენ. არ იცნობენ საქართველოს ისტორიას, შეცდომაა აგრეთვე დიდი ძალაუფლების თავმოყრა ახალგაზდების ხელში. აქ უკვე პრეზიდენტმა უნდა ითამაშოს მთავარი როლი, რომელსაც ნამდვილად არასდროს უთქვამს ცუდი ასლან აბაშიძის შესახებ. მან დროზე უნდა აღკვეთოს ეს თავდასხმები, რასაც ამ წლების განმავლობაში უყენებდნენ ასლან აბაშიძეს. ეს იმდენია, რომ ვეღარ ჩამოვთვლი, მთელი გვერდები დამჭირდება.

ძალიან მომეწონა, რომ პრეზიდენტმა ჩაატარა „მოქალაქეთა კავშირის" მთავარი საბჭოს საგანგებო თათბირი, მაგრამ, როდესაც ვუყურებ ამ საბჭოს სხდომას, სადაც ზის **როსტომ დოლიძე**, აშკარა უნდობლობა მიჩნდება.

გავიგე, რომ, თურმე, იურიდიული კომისიის აპარატში მუშაობს ვაჟა შანიძე. თუ არ ვცდები, ეს ის პოლკოვნიკი შანიძეა, რომელიც ასლან აბაშიძის დაუძინებელი მტერია. ახლა კიდევ, დაიწყეს ახალი კამპანია: რუსეთი ამწვავებს მდგომარეობას აჭარაშიო. როგორ შეიძლება ყველაფერი რუსეთს დააბრალო? თუ რუსეთის ნაქეზებით ხდება ყველაფერი, მაშინ რა გამოდის? **გიორგი ბარამიძის** განცხადება აჭარის ავტონომიის გაუქმების შესახებ რუსეთის კარნახით ყოფილა გაკეთებული, ეს ხომ აბსურდია! ამიტომ სულ ქვეყნის გარეთ ნუ ეძებთ ყველაფერის ახსნას, რა თქმა უნდა, რუსეთს ზუსტად ის უნდა, რომ საქართველოში მდგომარეობა დაიძაბოს, მაგრამ შენ ხომ ტვინი უნდა გქონდეს, არადა, დღესაც გაიმეორა „რუსთავი 2"-მა ბარამიძის სიტყვა, სადაც იგი კითხულობს: **აჭარას რატომ უნდა ჰქონდეს ავტონომია? ბარამიძე ამბობს, რომ აჭარის ეს ავტონომია მოფიქრებული იყო იმპერიალისტური თურქეთის და ბოლშევიკების მიერ (ზუსტად ვერ დავიმახსოვრე, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო. მ. ვ.).**

ვახტანგ რჩეულიშვილი ბოლოს სწორად წერს, ასლან აბაშიძეს ავტორიტარიზმში სდებენ ბრალს, და ამავე დროს, მედეა მეზვრიშვილს კახეთის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარედ ნიშნავენო, მედეას დემოკრატიულობა ჩვენ გვკითხე, კახელებს, გამგებელს რომ ეუბნება, ჩამოგკიდებ „ერთი ადგილითო", თუ მოქალაქეთა კავშირმა არ მოიგო არჩევნებიო, მედეა მეზვრიშვილის დემოკრატად და ასლან აბაშიძის ავტორიტარული ტიპის მმართველად გამოცხადება ხომ მარაზმია და სხვა არაფერი.

31 მარტი

კვირას თბილისის ინტელიგენცია ბათუმში ჩავიდა. დასაწყისში აშკარა უნდობლობა იყო. აშკარა იყო, რომ ისინი შევარდნაძის დავალებით იყვნენ ჩასულები. ეს ის ინტელიგენციაა, რომელთაც ნორმალური ურთიერთობა აქვთ აბაშიძესთან. სამწუხაროდ, ისინი, ფაქტობრივად, ბოდიშს იხდიან თბილისელი ვაიპოლიტიკოსების გამო. ჩემი აზრით, მათ ჯერ აქ უნდა განეცხადებინათ პროტესტი იმ „პოლიტიკოსების" მიმართ, რომლებმაც არიეს ურთიერთობა აჭარასთან და მერე ჩასულიყვნენ ბათუმში. ახლა ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ზუგდიდში, რომელიღაც სოფელში, ალყა შემოარტყეს გოჩა ესებუას და მის მეგობრებს, შეტაკების დროს დაიჭრა და გარდაიცვალა **გოჩა ესებუა** –ესეც შენი შემორიგება.

დღეს შვიდი წელი გავიდა, რაც გამსახურდიამ ჩაატარა რეფერენდუმი, სადაც საქართველოს თითქმის მთელმა მოსახლეობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას, დღეს გამსახურდია 59 წლის გახდებოდა, ფილარმონიასთან მისი მომხრეები პოლიციამ გარეკა. დღეს შევარდნაძემ დიდი შეფასება მისცა ამ რეფერენდუმს და აღნიშნა ზვიად გამსახურდიას დამსახურება, რომელმაც ჩაატარა ეს რეფერენდუმი[1].

[1] გასაოცარია, გამსახურდიას მომხრეებს იმ დღეს ურტყამდნენ პოლიციელები, როცა პრეზიდენტი შევარდნაძე აქებდა ზვიად გამსახურდიას.

1 აპრილი

დღეს გაზეთებში ზუსტად არის მოცემული შევარდნაძის სიტყვა „ქართველი ხალხის ამ დიდი ზეიმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ზვიად გამსახურდია, ამ პიროვნებამ მაშინ სიმართლის დროშა აღმართა“.

2 აპრილი

გაზ. „ახალი საქართველო“.

ისევ გრძელდება საქართველოსთვის დამღუპველი სულელური სტატიები. აქ არის სტატია „საქართველო ჩემია, ამბობს ასლან-ბეგი“. ამ კაცს რა არ უწოდეს, – ფაშა, ახლა ახალი ტერმინით შეამკეს – ბეგი გახადეს.

4 აპრილი

გუშინდელ „რეზონანსში“ არის ინტერვიუ ვაჟა შანიძესთან სათაურით „აბაშიძე დამსჯელის როლს ისლამურ ორგანიზაციას „ხსნის კომიტეტს“ აკისრებდა. ის წერს, რომ „ასლანი ერთპიროვნული მმართველობის განმტკიცებას ცდილობდა, განსხვავებულად მოაზროვნეებს წმინდა პოლიტიკური მოსაზრებების გარდა, რელიგიურ-აღმსარებლობის ნიშნითაც სდევნიდა. დამსჯელის როლს ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევართა არალეგალური ორგანიზაციას, ე. წ. „ხსნის კომიტეტს“ აკისრებდა, რომელიც, დარნმუნებული ვარ, დღესაც არსებობს. „რელიგიური ომი“ აჭარაში 90-იანი წლებიდან გაღვივდა – ფუნდამეტალიზმის მიმდევრებმა თავნებობა არ მაპატიეს“.

ასეთი საზიზღარი, ასეთი დამღუპველი განცხადება აბაშიძის არც ერთ მეტოქეს არ გაუკეთებია, ეს საშინელებაა, ასეთი რამის განცხადება ყველაფრის მკისრებელ კაცს შეუძლია, ნუთუ არ შერცხვება მიშა სააკაშვილს[1] (რომელსაც მე პატივს ვცემ, მ. ვ.), როდესაც ამას წაიკითხავს, ამ კაცის მუშაობა შეიძლებოდა პარლამენტში? ეს კაცი, სულ უბრალოდ, რელიგიური შეღლის გაღვივების გამო უნდა დაიჭირონ. ეს გაზეთი წაკითხული არ მქონდა, რომ დღევანდელი გაზეთების კითხვა დავიწყე, გაზ. „კავკასიაში“ წერია: „მიშა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ათავისუფლებს აპარატის ხელმძღვანელობიდან ვაჟა შანიძეს, სწორედ „რეზონანსში“ მიცემული ინტერვიუს გამო.

6 აპრილი

გუშინ გოჩა ესებუას დასაფლავება იყო. 25 ათასამდე კაცი დაესწრო ამ დასაფლავებას, ეს აშკარად მიანიშნებს ხალხის განწყობაზე ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

დღევანდელ „დილის გაზეთში“ არის სტატია „სახელმწიფო კაცობაში ჩაიჭრა“, სადაც სწორად იყო აღნიშნული – „გოჩა ესებუას სიკვდილით საქართველომ საკუთარი ძლიერება კი არა, კიდევ ერთხელ თავის უძლურება დაამტკიცა“.

მე ადრეც შევინიშნავდი, რომ გოჩა ესებუას მკვლელობა დიდ უკმაყოფილებას გამოინვევდა, ნუთუ პროფესიონალები არ პყავთ, რომ ფეხებში დაეჭრათ და არ მოეკლათ, კახა თარგამაძემ ინტერვიუში თქვა, გვესროლა და რა გვექნაო, თუ პროფესიონალი ხარ, ხომ უნდა მიხვდე, რომ მისი მკვლელობა უარყოფით მოვლენებს გამოინვევდა. მთელი ინტერვიუ იმაზე ააგო, პრესის ბრალია ყველაფერიო. ამ პრესას თბილისში თუ ვინმე წაიკითხავს, თორემ სადა აქვს ამ სანყალ ხალხს სამეგრელოში ფული, გაზეთი რომ იყიდოს.

გოჩა ესებუას გასვენებაზე მისი ორი მეგობარი – გვაზავა და მესხია თავს დაესხნენ იმ ხალხს, რომლებიც ხელისუფლებამ გადაიბირა. მათ მოკლეს ჯიხაშკარის მოვლენების ორი მონანილე **ზურა შონია –მეტსახელად „პუშკინა“** და **კვარაცხელია**, ასევე დაიღუპა სამი კაცი და 6 დაიჭრა. ზოგი მონაცემით, დაიჭრა 13 კაცი. ეს ძალიან მძიმე შედეგს გამოიწვევს. როცა წერა დავამთავრე, გაზ. „7 დღე“ ავიღე, სადაც პირველ გვერდზე იყო სტატია სათაურით: „როცა ტერორისტების დასაფლავებზე 25 ათასი კაცი მიდის ხელისუფლება არაპოპულარულია. ზუსტად გამართლდა ჩემი ვარაუდი. ასევე გამართლდა ჩემი სიტყვები კახა თარგამაძის ინტერვიუზე, „შსს მინისტრმა საკუთარი უნყების უნიათობას

[1] ვაჟა შანიძე მუშაობდა იურიდიული კომიტეტის აპარატის უფროსად. კომიტეტის თავმჯდომარე იყო სააკაშვილი.

მეტად ორიგინალური გამართლება მოუძებნა, თურმე ყველაფერში ქართული პრესა ყოფილა დამნაშავე. არგუმენტები კი ყოვლად უმწეო და არაფრის მომცემი იყო". დამავიწყდა დამეწერა „ახალგაზრდა მოქალაქეებმა" ენგურის ხიდთან რამდენიმე ხნის წინ აქცია დაიწყეს, რა უნდათ, კაცი ვერ გაიგებს.

9 აპრილი

გუშინწინ გარდაიცვალა ისტორიკოსი ნოდარ ნონიკაშვილი. ადრე ჩემი მასწავლებელი იყო და ძალიან მიყვარდა, ამჟამად ჩემ მოადგილედ მუშაობდა. ნოდარ ნონიკაშვილი ყოველთვის იყო უნივერსიტეტისთვის თავდადებული და მისი დიდი მოყვარული. ჩემ ჩანაწერებში ხშირად მყავს მოხსენიებული, განსაკუთრებით, 1989 წლის 9 აპრილს მოვლენებში, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო წლევანდელ 9 აპრილს. გვიან ტელევიზიით აჩვენეს 9 აპრილის ამბები, ამდენი წელი გავიდა და მაინც ცრემლები მომდის.

დღეს მთელი დღე დავრბოდი, თან ბიცოლა[1] გარდამეცვალა, საოცრად თბილი ქალბატონი, ქალაქში რა ხდებოდა არ ვიცი, მხოლოდ ხუთი წუთით მოვკარი თვალი გადაცემას „რუსთავი 2"-ს, სადაც ე. წ. „ზვიდისტები" ეჩხუბებოდნენ სოსო ალავიძეს, ავტობუსებით რატომ ჩახერგეთო რესპუბლიკის მოედანი, ალავიძემ, უპასუხა –რაიონებიდან მშრომელები ჩამოვიდნენო ავტობუსებით, ძველი დრო გამახსენდა, გამსახურდიას დროს ავტობუსებით რომ მოჰყავდათ ხალხი, მე მგონი, ჭკუა არავის უსწავლია.

17 აპრილი

„დილის გაზეთში" არის ინტერვიუ ვახტანგ რჩეულიშვილთან.

ამ ინტერვიუში რჩეულიშვილი სწორად მიუთითებს –„აღორძინება" გაიხლიჩა, რაც პოლიტიკურ სიბეცედ მიმაჩნია, ეს ნიშნავს, რომ აღვივებ წინააღმდეგობას ცენტრსა და რეგიონს შორის, „მოქკავშირი" დღეს იმკის, რაც დათესა, ჩვენსა და „აღორძინებას" შორის წინააღმდეგობა არ ყოფილა და არც მგონია იყოს, უპრიანი იქნება „მოქკავშირმა" ჭკუა ისწავლოს და გადაწყვიტოს ედუარდ სურმანიძისა და როსტომ დოლიძის საკითხები... რაც შეეხება როსტომ დოლიძეს, მე თავად ვარ მოწმე, როგორ გეგმაზომიერად იყენებს მოქალაქეთა კავშირი მას, რათა ასლან აბაშიძეს ეს უკანასკნელი წითელი ალამივით აუფრიალოს, როგორც აბაშიძის ერთადერთი ალტერნატივა, ეს იმავე სცენარით ხდება, რომლითაც გიორგაძესაც იყენებს რუსეთი ედუარდ შევარდნაძის გასახელებლად".

19 აპრილი

გაზ. „რეზონანში" სტატიაში „პოლიტიკური მარაზმი ასლანურ მრავალფამიერების მოტივებზე" ავტორი დათო ზურაბიშვილი წერს, „აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკა გადაქცეულია ერთპიროვნულად მართულ საფაშოდ, სადაც ხალხური ზღაპრების არ იყოს, ასლან-ბეგის უნებართვოდ ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჭანებია და მიწაზე ჭიანჭველას.. თუ საქართველოს დემოკრატიული არჩევნები საბოლოოა და გადასინჯავას არ ექვემდებარება მოდერნიზებული საფაშოს არსებობა აჭარაში, სადაც საბაჟოდან შემოსული თანხები პირადად ფაშას ჯიბეში მიედინება და რომელიც არა მარტო ავტორიტეტულობის თვალსაზრისითაც ჩემპიონია, არამედ ცენტრისგან განსხვავებული გეოპოლიტიკური ორიენტაციაც გააჩნია – არანაირი გამართლება არა აქვს, ასეც რომ არ იყოს, რომელი ქვეყნის ხელისუფლებას მოუთმენია უკონტროლო რეჟიმი მისდამი დაქვემდებარებულ რეგიონში".

აღარ ვიცი, რა ხდება. ნუთუ ჭკუა ვეღარ უნდა ვისწავლოთ, როდესაც ასეთი დაძაბულობაა, ეს ხომ ნავთის დასხმაა ცეცხლზე, თან სტატიას სურათიც აქვს დართული რუს ოფიცერთან ერთად.

[1] ბიძაჩემის, ვანიკო გოგინეიშვილის მეუღლე ქალბატონი თინა ჩემი მასწავლებელი იყო სკოლაში, სოსო გოგინეიშვილის გაზ. „ახალი თოაბის" რედაქტორის დედა გახლავთ.

მთელი სტატია მიმართულია, ფაქტობრივად, ჟვანიას და მისი გუნდის დასაცავად და დაცვა კი არ არის, პირიქით, მათი დაღუპვაა.

6 მაისი

ამ რამდენიმე დღის წინ შევარდნაძემ მოხსნა **ვარდიკო ნადიბაიძე,** საბაბი გახდა ის, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავის ორი დამცველი თვითმფრინავი ვერ აფრინდა. ეს თვითმფრინავები იდგნენ ალექსეევსკაიას აეროდრომზე, მას რუსი ჯარისკაცები იცავდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ თვითმფრინავებს ავზებში ქვიშა ჰქონდათ ჩაყრილი. მის ნაცვლად დაინიშნა **დავით თევზაძე. ძალზე საინტერესო პიროვნებაა, რომელსაც პატივს სცემენ როგორც წესიერ და ვაჟკაცურ კაცს. ის არის ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, შემდეგ დაამთავრა უცხო ენების მეორადი ფაკულტეტი. აღმოსავლური ბრძოლების ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში, ომი რომ დაიწყო, აფხაზეთში იბრძოდა მოხალისედ, ხელმძღვანელობდა „ორბის“ დაჯგუფებას, შემდგომში იყო ბრიგადის ხელმძღვანელი. ომის შემდგომ დაამთავრა უცხოეთის რამდენიმე სამხედრო კოლეჯი. მათ შორის, აღსანიშნავია ამერიკის ძალიან პრესტიჟული სასწავლებელი. მის დანიშვნას ყველამ დაუჭირა მხარი. ჩვენთვის სასიხარულო იყო, რომ ინტერვიუში გია ყარყარაშვილმა ძალზე დიდი შეფასება მისცა მის მოღვაწეობას.**

ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ აღნიშნა, რომ ეს დანიშვნა პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკაში იშვიათი გამონაკლისიაო. ეს ფაქტობრივად რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან ყველამ იცოდა, რომ ვარდიკო რუსეთის დანიშნული იყო.

29 აპრილს მოსკოვში შედგა დსთ-ს შეკრება. რა თქმა უნდა, ეს შეკრებები არაფერს წყვეტს, რუსეთის ჯარის ე. წ. სამშვიდობო მისიას იღლისამდე გაუგრძელეს ვადა. ეს ახლა, ჩემი აზრით, აუცილებელია.

გუშინ სომხეთის პარლამანტის თავმჯდომარე **არუთინიანი** იყო ჩამოსული. ეტყობა, არკვევდნენ საქართველო რა პოზიციას დაიკავებს მომავალ კონფლიქტში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. რუსეთი აშკარად წააქეზებს სომხებს ომისკენ, მაგრამ სომხეთიც შიშობს, რადგან რუსეთი აღარ არის ის ზესახელმწიფო, რომელიც ბოლომდე დაიცავს მას.

არადა, გუშინ, თითქოს განგებ, საკმაოდ უხეში საუბარი მომინია უშიშროების ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომლის გვარი არ ვიცი. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემთან მოვიდნენ ბესო ქარცივაძე, უშიშროების ყოფილი ოფიცერი, რომელიც ადრე ჩვენი ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი იყო, ამჟამად კი მუშაობს კულტურის ისტორიის კათედრის უმცროს მეცნ. თანამშრომლად და მომიტანა **მამულოვის** „არმიანე ვ გრუზიი". შემდეგ მომიტანეს წერილი სამინისტროდან და მთხოვდნენ, გაგვეკეთებინა დასკვნა, ლახავდა თუ არა ეს წიგნი ქართველი კაცის ღირსებას, რომ გადავათვალიერე, იმდენად დაბალი დონის იყო, რომ არ ღირდა ვინმესთვის დამევალებინა მისი რეცენზირება. მაგ., გიორგი სააკაძე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვები სულ სოხმები ყოფილან. ამავე დროს, არ მომეწონა ფორმულირებანი, რასაც მე მთხოვდნენ. ეს ჭირდებოდათ ან ხალხის დასაჭერად ან რაღაც სისულელეებისთვის, ამიტომ უარი ვუთხარი, რადგან არ მინდოდა უნივერსიტეტის სახელი სადმე ამოტიეტივებულიყო და უკან დავაბრუნე. გუშინ მოვიდა უშიშროების თანამშრომელი (ქარცივაძე არ მოსულა, ის ჭკვიანი ბიჭია) და დამიწყო ჭკუის სწავლება, რომ უნივერსიტეტი მხარს არ უჭერდა ეროვნულ საქმეს, რაზედაც კარგი პასუხი გავეცი და, ფაქტობრივად, გავაგდე უნივერსიტეტიდან. ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ უშიშროებამ ისევ ვერ ისწავლა ჭკუა, სულ უბრალოდ, სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე იყო ჩამოსული და იმ დროს მოდის და ამ თემებზე მესაუბრება, მე რომ ერთი ინტერვიუ მიმეცა გაზეთისთვის, ნარმომიდგენია, რა სკანდალი მოხდებოდა.

კვირაიამ ფაქტობრივად, გაანადგურა უშიშროება. **ჯემალი გახოკიძე** ჭკვიანი კაცია, მაგრამ რას უზამს ამდენ ჩასერილ საქმეს, ამას წლები სჭირდება. ისევე, როგორც ნადიბაიძემ ჩაშალა ქართული არმიის შექმნა.

7 მაისი

გუშინ შსს კოლეგიამ განიხილა 9 და 19 თებერვლის ტერაქტების ამბები, გაათავისუფლეს მინისტრის მოადგილეები **დემურ მიქაძე, ემზარ საბანიძე,** სასტიკი საყვედურები მიიღეს თითქმის ყველა თანამდებობის პირმა, რა თქმა უნდა, **კახა თარგამაძემ მოიცილა ის ხალხი, რომელიც მის წრეს არ განეკუთნებიან, საყვედურები კი მეგობრებს და თავის დანიშნულებს მისცა.** ამ სამინისტროში არ არის კარგად საქმე, ეს აშკარაა. გავა დრო, მოხსნიან თარგამაძეს და იტყვიან, ნახეთ რეებს აკეთებდაო. ძალოვან სტრუქტურებს დიდი რეფორმა სჭირდება, უნდა დაინიშნოს ისეთი, როგორიც არის დავით თევზაძე. მე მისი მჯერა. კვირაიასთან შედარებით თარგამაძე უკეთესია, მაგრამ ასეთი მოღვაწეების დროს აღარ არის. მართლაც, დამირეკა, **ბესო ქარცივაძემ უშიშროებიდან, დიდი ბოდიში მომიხადა თავისი თანამშრომლის საქციელის გამო და მითხრა. ნეტავ გეცემათო. რა ვიცოდი, მეგონა მისი მეგობარი იყო, თორემ, ალბათ უფრო მკაცრად დაველაპარაკებოდი. ამიტომ უნდა გაეხსნას გზა ნიჭიერ ადამიანებს.**

გუშინ ისტორიკოსის დღე ჩავატარეთ. ბრწყინვალე ახალგაზრდობა გვყავს, განსაკუთრებით პირველი კურსი. როინ მეტრეველი, გივი ინწკირველი, ამირან გომართელი, თემურ ხუროძე, ირაკლი შაფაქიძე, ოთარ ხმალაძე აღფრთოვანებულები იყვნენ.[1]

წერა რომ დავამთავრე, გაზ. „რეზონანსის“ 6 მაისის ნომერი წავიკითხე, სადაც **ირინა სარიშვილი-ჭანტურია** წერს თარგამაძეზე: **„რაც უფრო დიდხანს დარჩება მინისტრის პოსტზე, მით უფრო მძიმე ბედი ელოდებაო“.**

ირინასა და ჩემი პასუხები ერთმანეთს ემთხვევა, ირინამაც ზუსტად ის თქვა, რაც მე.

„ვინც მოსახსნელი იყო არ მოუხსნიათ“. (გაზ. „რეზონანსი“, 6 მაისი). საბოლოოდ ირინამ განაცხადა, რომ ძალოვანი მინისტრები საკუთარი რიგების ფსევდონიმებით ცდილობდნენ პოზიციების განმტკიცებას პრეზიდენტის თვალში, მე მათ მივცემდიო რჩევას, სანამ გალიების მიღმა არ ამოუყვიათ თავი, სჯობს თავად გადადგნენ.

გაზ. „ალიაში“ არის შსს მინისტრის განცხადება ირინას ე. წ. ბრალდებებზე. ჩემი აზრით, მარტო ამ განცხადების გამო მთელ სამინისტრო თავის მინისტრიანად უნდა განთავისუფლდეს. „ირინა სარიშვილი პასუხს აგებს კანონის წინაშე (ცნობისთვის, შსს პენიტენციალურ სისტემაში, მიუხედავად უმძიმესი ფინანსური პრობლემებისა, გატარებული რეფორმების შედეგად შექმნილი სათანადო პირობები და როგორც მე-5 იზოლატორი, ასევე სხვა ამგვარ დაწესებულებებში არის „ვაკანტური ადგილები". როგორ შეიძლება ასეთ გადაწყვეტილებებს აკეთებდეს შსს, ნუთუ შევარდნაძე არ კითხულობს პრესას.

წავიკითხე „დილის გაზეთი“, სადაც წერია, რომ **გია ყარყარაშვილი** დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. ძალიან გამიხარდა, ნეტავ დაბრუნდებოდეს.

27 მაისი

რამდენი ხანია არაფერი დამიწერია, ჯერ უნივერსიტეტის 80 წლისთავის აღსანიშნავად ვემზადებოდით.

14 მაისს ქუთაისში მიგვიწვიეს, **თემურ შაშიაშვილმა** ძალზე დიდი მიღება გაგვიმართა, შეხვედრა შედგა ლ. მესხისშვილის სახელობის თეატრში, იქ ვიყავით: **როინ მეტრეველი, ოთარ ჯაფარიძე, ლევან სანიკიძე, ჰამლეტ მელაძე, ციალა სვანიძე, პარმენ მარგველაშვილი, ნოდარ ტაბიძე. თემურ შაშიაშვილი გავიცანი ახლოს, საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა, მართალია, ბევრი ლაპარაკი უყვარს, მაგრამ წესიერი კაცია და აშკარად უნდა, რომ საქმე აკეთოს.**

25 მაისს გადავიხადეთ უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავი, მაგრამ ყველაფერი ჩაგვშხამდა, 22 მაისს გალის რაიონში აფხაზებმა დაიწყეს შეტევა, რომელიც გაგრძელდა 26 მაისის ჩათვლით. ჯერ კიდევ ადრე, არ მომეწონა ერთი ამბავი. კერძოდ, გაზეთებში ეწერა, რომ გალის რაიონის ზოგიერთ სოფელში, მახსოვს, სოფ. საბერიოში, აღმართეს საქართველოს

[1] გივი ინწკირველი იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ამირან გომართელი ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, თემურ ხუროძე პრორექტორი, ირაკლი შაფაქიძე საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, ოთარ ხმალაძე – გეოლოგიისა და გეგორაფიის ფაკულტეტის დეკანი.

დროშა და განაცხადეს, რომ არ დავტოვებთ ამ სოფლებს, გავიფიქრე, ნუთუ იმის თავი აქვს ჩვენს მთავრობას, რომ დაეხმაროს პარტიზანებს, რადგან, რა თქმა უნდა, აფხაზები დაიწყებდნენ დამსჯელ ოპერაციებს და მართლაც, 800 ბოევიკი თავიანთი ტექნიკითა და არტილერიით რუსებმა გაატარეს და მოხდა კატასტროფა, რამდენიმე ქართული სოფელი სულ გადაწვეს, ეს გახლავთ **თაგილონი, ნაბაკევი, სიდა, ოტობაია. 30 ათასი ქართველი იძულებული გახდა გადმოსულიყო ზუგდიდის რაიონში.**

25 მაისს, 12 საათზე შევარდნაძემ რადიოინტერვიუში და შემდეგ ჩვენთან უნივერსიტეტში შეხვედრაზე განაცხადა, რომ იძულებული იყო ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ საკითხში მე მას ვეთანხმები, რადგან დაიწყებოდა უსაშინლესი ომი, მაგრამ აქ დგას საკითხი, ვინ გამოიწვია ეს უბედურება. მე ისევ ირინა სარიშვილის სიტყვებს მოვიტან გაზ. „რეზონანსიდან“: „იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების პარტიზანებს ვიღაც მფარველობს, საქმე ისაა, რომ ან ვიღაცამ შეაგულიანა, აქედან ან დახმარების იმედი მისცა“.

ირინა სწორად ამბობს, „აფხაზებმა, რომ ეს პროვოკაცია მოაწყვეს, საქართველოს პრეზიდენტისგან ვის რა დაევალება ჰქონდა დავალებული და ვინ როგორ შეასრულა ეს დავალება, იყო თუ არა საშუალება, რომ 24 მაისშივე ჩახშობილიყო ეს მცდელობები და ასეთი განვითარება არ ჰქონოდა, ამ ყველაფერში ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობას ვგულისხმობ“.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „მეტი ყურადღება შინაგანი სისუსტეების გამოვლინებას უნდა დავუთმოთ... აუცილებელია აღდგეს ხალხის ნდობა ხელისუფლების მიმართ“.

ამ მოვლენებმა აშკარად დაგვანახა, რომ ჩვენ არც რეგულარული ჯარი გვყავს და არც შინაგანი ჯარი, ამ მოვლენებით ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაკარგა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ნდობა. ისევე ვიმეორებ, საბოლოოდ ტერიტორიები შეიძლება დავიბრუნოთ, მაგრამ ჩვენ ხალხს, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს რომ ვკარგავთ, ეს აშკარაა. ნუთუ ისევ არავინ არ უნდა აგოს პასუხი ამ უბედურებისთვის, რა ეშველება ამ გაუბედურებულ ხალხს.

26 მაისს შევარდნაძემ ყველა ღონისძიება გადადო, „ზვიადისტებმა“ ისარგებლეს ხალხის უკმაყოფილებით და მანიფესტაციები მოაწყვეს, რესპუბლიკის მოედანზე პოლიცია ისე ებრძვის ამ დემონსტრანტებს, ასე რომ იბრძოლონ გალში აფხაზეთსაც დავიბრუნებთ, თან იმდენი არიან, რომ ამის მეათედი ჯარი არ გვყოლია აფხაზეთის ომში.

28 მაისი

„დილის გაზეთში“ არის ინტერვიუ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის ელგუჯა გულედანთან. „ჩვენი მოთხოვნაა, ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს გალში მოხდარი მოვლენები და დაისაჯონ უშუალო წამქეზებლები, სასაკლაოს მომწყობი ორგანიზაციები“.

კორ. – „მიზეზი“?

ე.გ. – „ენგურის ხიდთან შეკრება, განელილი აქციები აფხაზეთისთვის სასიგნალო გამოდგა... საბერიოში დროშის აღმართვამ სოფ. ფიჩორში მარულის გამართვამ, ფაქტობრივად, აფხაზები გამოიწვია, ახლა ვამბობთ, რომ გეგმა პროვოკაციული იყო და სოხუმში იყო დამუშავებული... გვიკვირს თვითდამშვიდება და შეცდომების სხვაზე გადაბრალება. ეს ინტერვიუ იმიტომ მოვიყვანე, რომ ეს პიროვნება აბსოლუტურად მართალია. ახლა ოფიციოზი სულ იმას გაიძახის, პროვოკაცია მოგვიწყესო, გენოციდი მოგვიწყესო. ამ დროს დღეს „რუსთავი 2“-ზე გამოდის იქაური მცხოვრები და ამბობს, ჩვენი ჯარები რომ შემოვიდნენ აფხაზებმა ერთი გაისროლეს და ქართული ჯარი გაიქცაო. აბა, რა იქნებოდა. შეუშვეს გალის რაიონში შინაგანი ჯარი, –18 წლის ბავშვები, თოფი რომ არ უსვრიათ, საერთოდ რომ არ უვარჯიშიათ. 21 ასეთი ბიჭის ცხედარი ასვენია ახლა იქ. ვინ აგებს პასუხს? რა ჯარზეა ლაპარაკი. ნადიბაიძემ შეჭამა ყველაფერი, არც მთავრობამ დაიკლო. რაიმე აჯანყება თუ დაიწყო, ეს მთავრობა მათ ვერ შეაჩერებს და მოხდება უბედურება, მთლიანად დავიღუპებით. ამავე გაზეთში არაინბამ ამ ფაქტს „აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს

მეორე აგრესია უწოდა“ და რომ „საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი აქცია ითვალისწინებ და გალის რაიონის დაპყრობას და იქ ქართული ადმინისტრაციის შექმნას“. ამავე გაზეთის ჩეჩნეთის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი სწორად შენიშნავს; **„თქვენს ეკლესიაში მოინათლა გრაჩოვი, რომელიც წელიწადნახევარი ბომბავდა საქართველოსო“. ესეც მწარე სინამდვილეა, მართლაც, გრაჩოვმა რამდენი უბედურება მოუტანა საქართველოს და ჩვენ აქ მოვნათლეთ, საოცარია.**

გამომრჩა დამეწერა, რომ რამდენიმე ხნის ნინა, კრასნოიარსკის გუბერნატორად აირჩიეს გენერალი **ლებედი,** ეს ელცინის ხელისუფლების დიდი მარცხია, რუსეთს აშკარად აქვს ახალგაზრდა გენერლის იმედი, **იქაც ელცინს შეკრებილი ჰყავს მექრთამეები, კარიერისტები, რომლებიც რუსეთს დაღუპავენ ისევე, როგორც ასეთი ხალხი აქ ღუპავს საქართველოს.**

დღეს ვიპოვე 20 მაისის „დილის გაზეთი“, რომელიც არ მქონდა წაკითხული. იქ არის სტატია „პარტიზანულ მოძრაობას ვერაფერი შეაჩერებს“. ამ სტატიაში ინტერვიუა ერთ-ერთ პარტიზანთან, სადაც წერია „...გარდა ამისა, ძალიან მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა შინაგან საქმეთა სამინისტროზე. იგი ბოლო დროს გააქტიურდა ენგურის ნაპირებთან. ისინი მთლიანად აკონტროლებენ ენგურის სანაპიროს (იგულისხმება აფხაზეთის ავტონომიის რესპუბლიკის შინაგანი ჯარები).

31 მაისი

გუშინდელ „ახალ თაობაში“ **გია ყარყარაშვილმა** სწორი რამ თქვა, „მე არ მესმის პარტიზანული მოძრაობა გალის რაიონში. ეს მოძრაობა უნდა არსებობდეს გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში“. გია აბსოლუტურად მართალია. გალის რაიონში ისედაც ქართველები ცხოვრობენ, იქ აფხაზების პრობლემა საერთოდ არ არის. ხალხი ისე შედის და გამოდის გალის რაიონში, არავის ეკითხებიან. სიტუაცია ისეთია, ალბათ, თამაზ ნადარეიშვილს გაანთავისუფლებენ და ამით დამთავრდება.

10 ივნისი

ზუგდიდში მძიმე მდგომარეობაა. ხალხი სკოლებში არის შეხიზნული, ბავშვებს მერხებზე სძინავთ, ზოგიერთს –ქუჩებში. საშინელი მდგომარეობაა.

20-26 მაისის მოვლენები შევარდნაძის ძალზე დიდი მარცხია. თბილისში ჯერ კიდევ აზრზე არ არიან, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ამბებს.

ამ დროს, როცა საქართველოში ასეთი უბედურებაა, გუშინ პარლამენტში მთელი ომი იყო ლაგოდეხის რაიონში ჩატარებული არჩევნების გამო. იქ სოციალისტური პარტიის დეპუტატობის კანდიდატი იყო **ვალერი ბაქრაძე,** რომელმაც აჯობა მოქკავშირის წარმომადგენელს **კაპანაძეს.** ახლა მათ უნდათ ჩაშალონ არჩევნები. დღეს „ახალ თაობაში“ **მიშა მაჭავარიანი** ამბობს, რომ „ასეთი არჩევნები „მხედრიონის“ დროსაც არ იყოო“. საოცარია, როცა ამას აცხადებს მმართველი პარტია, რომელთა ხელშია პოლიცია, პროკურატურა, რაც მთავარია, მედიკო მეზვრიშვილი და ა. შ.

თუ არჩევნებს ჩაშლიან, ძალიან დიდ სისულელეს გააკეთებს „მოქკავშირი“. ეს უფრო გაღრმავებს დაპირისპირებას. შევარდნაძემ უნდა მიიღოს რადიკალური ზომები, თორემ დაპირისპირება გაღრმავდება. **დიდი ხანია გული მიგრძნობს, რომ საქართველოში მალე მოსალოდნელია დესტაბილიზაცია, ქართველთა 90% გაღატაკებულია, მაშინ, როდესაც შევარდნაძის გარემოცვა არაფერს იკლებს. ერთი ცუდი თეზისი აქვს შევარდნაძეს, ის აღნიშნავს, როდესაც ადრე რაიკომის მდივნები მოვხსენი, იმათ მაგივრად უარესები მოვიდნენო, ჩემთვის ეს გაუგებარია, ე. ი. შენ ხარ დამნაშავე, რომ ასეთი ხალხი გყავდა და მათზე უარესი მოიყვანე.** როდესაც ამ სტრიქონებს ვწერდი 8 საათსა და 15 წუთზე ჩაერთო „საქართველოს ხმა“, სადაც აჩვენეს **ირინა სარიშვილის** პრესკონფერენცია. ჩვენი აზრები აბსოლუტურად დაემთხვა ერთმანეთს. კერძოდ, კონკრეტულმა პიროვნებებმა პასუხი უნდა აგონ გალის ტრაგედიაზე და პრეზიდენტმაც პასუხი უნდა აგოს ასეთი კადრების გამო. და, რაც მთავარია, ნუ გგონიათ, რომ გალის ამბები დამთავრებული არისო.

13 ივნისი

გუშინ „ლეიბორისტებმა" და „სოციალისტებმა" დატოვეს პარლამენტი. ამას წინ უძღოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ლაგოდეხის რაიონის ორი საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმება, სადაც იგებდა ვალერი ბაქრაძე. ეს უკვე აშკარა სახელისუფლო კრიზისია. **ჩემი აზრით, ახალგაზრდა რამდენიმე ნიჭიერმა კაცმა ვერ უშველა „მოქკავშირს", რადგან განსაკუთრებით აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სულ გაუფუჭა მათ იმიჯი.**

შევარდნაძემ გადაწყვიტა **აღმასრულებელ ხელისუფლებაში ანტიკორუფციული კომისიის შექმნა.** სასაცილო არ არის, თუ წესიერი ხალხი გყავს, დანიშნე ძალოვან სტრუქტურებში და იმუშავებენ ნორმალურად. რა საჭიროა ასეთი სისულელის შექმნა. თუ შენი დანიშნული ხალხი არ მუშაობს, რატომ არ ანთავისუფლებს, ვერ გამიგია. მისი საკადრო პოლიტიკა, მერამდენედ ვამბობ, არის ყოველთვის კატასტროფული, არცერთ მათგანს არავითარი ავტორიტეტი ხალხში არა აქვთ, რომელი მინისტრიც გინდა ჩამოთვალე.

25 ივნისი

სამი დღის განმავლობაში ბათუმში მიმდინარეობდა „ალორძინების" ყრილობა. აქ ყველა პარტია მოიწვიეს გარდა „მოქკავშირისა". აქ იყვნენ: **პანტელეიმონ გიორგაძე, ვახტანგ გოგუაძე,** შალვა ნათელაშვილი, ვალერი კვარაცხელია, ბორის კაკუბავა და სხვები. სენსაციები ბევრი იყო. კაკუბავამ ბრალი დასდო პრეზიდენტს ჟიული შარტავას დაღუპვაში. აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვოვა ახალკაცმა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში პოლიციის უფროსი იყო, ბრალი დასდო გია ბარამიძეს, რომ მას დაუვალებია სახალხო მოძრაობა „ჯავახეთის" ორი ლიდერის მკვლელობა. ვოვა ახალკაცი ჩემი სტუდენტი იყო, წესიერი კაცია, კახეთში ის ებრძოდა „მხედრიონს".

ყრილობაზე ასლან აბაშიძემ ბრალი დასდო ზურაბ ჟვანიას და განაცხადა, სირცხვილიაო, რომ საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობდეს ასეთი პიროვნებაო.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მათ დეპუტატებს დაეტოვებინათ პარლამენტი, ეს დღევანდელი ხელისუფლების დიდი მარცხია.

11 აგვისტო

გუშინდელ „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ გურამ მამულიასთან. გუშინწინ შევარდნაძემ ჩაატარა აჭარის დედასამშობლოში დაბრუნების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კომისიის სხდომა და ამ დროს გურამ მამულია ნერს „აბაშიძე არის ტიპური სეპარატისტი" და ის „უთუოდ მეგალომანიით შეპყრობილი პარანოიდული პიროვნებაა".

მამულია შევარდნაძის კანცელარიის აპარატის ერთ-ერთი სამსახურის უფროსია.

27 სექტემბერი

ხუთი წელი გავიდა სოხუმის დაცემიდან. თითქმის არაფერი მომხდარა. დღეს აღარავის ახსოვს ეს დღე. რამდენიმე დღის წინ აფხაზეთიდან დევნილებმა სცადეს ჩატარებინათ ყრილობა, მაგრამ ისინი ფილარმონიაში არ შეუშვეს. ფილარმონიასთან პოლიციელების მთელი არმია იდგა. მოხდა შეხლა-შემოხლა. აქ იყო პანტელეიმონ გიორგაძე, რომელსაც, ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ თქვეს ხელით შეეხენო, მთავრობის სირცხვილია, რომ ამ მოხუც კაცს და ამ დევნილებს ებრძვიან. თუ გატუტუცებული ე. ნ. „თბილისელების" შეკრებები შეიძლება ფილარმონიაში, რატომ არ შეიძლება აფხაზეთიდან დევნილების შეშვება, ნუთუ ისინი არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

14 ოქტომბერი

გუშინწინ თბილისში მემედ აბაშიძის ძეგლი გაიხსნა რა თქმა უნდა, ასლან აბაშიძე არ ჩამოსულა, მეორე დღეს მან ინტერვიუში განაცხადა, რომ ბაბუას ძეგლს უდგამენ თბილისში,

ხოლო შვილიშვილს ტერაქტებს უმზადებენო.

დევნილებს ყრილობა თბილისში არ ჩაატარებინეს, კაკუბავამ ბათუმში ჩაატარა.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომრეობას, ის ძალზე მძიმეა, ხალხს ხუთი თვეა ხელფასი არ მიუღია და პენსიების ბიუჯეტი სრულდება 45%. ჭკუასელი საერთოდ აზრზე არ არის, რას აკეთებს. კიდევ კარგი, სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებაზე შეევარდნაძემ ვაჟა ლორთქიფანიძე დანიშნა, რომელიც დამაიმედებელი პირობებით დაბრუნდა ამერიკიდან. ვაჟა მოლაპარაკებებს ანარმოებს აფხაზებთანაც. საერთოდ, ყველა მძიმე საკითხს ვაჟა აგვარებს, უკვე მეცოდება ტელევიზიით რომ ვუყურებ, ძალიან გადაიღალა, დანარჩენი არაფრის გამკეთებლები არ არიან. ჟვანიამ ძალიან გააკრიტიკა თანაპარტიელი **ჭკუასელი, მაგრამ ჯობდა ადრე ეზრუნათ, სანამ იგი მთლიანად** დაანგრევდა საფინანსო სისტემას. ახლოვდება თვითმართველობის არჩევნები. „მოქკავშირს“ ახლა პოლიცია და გამგებლები თუ გადაარჩენენ, თორემ მათი იმიჯი ნულზე კი არ არის, მინუსებშია წასული, მე ყოველთვის უარყოფითად ვიყავი განწყობილი ამ კავშირის მიმართ, მაგრამ, რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ჟვანია საკმაოდ ჭკვიანი კაცია, თუმცა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩდნენ. მათი ყველაზე დიდი პრობლემა გახლავთ აჭარის საკითხი და ქვეყნის ეკონომიკა. მათ ვერაფერი დააკლეს კორუფციას, ამიტომ თითქმის არცერთი მიღებული კანონი არ შესრულებულა, მე სწორად ვწერდი, ჯობდა ზღვაში გასულიყვნენ და იქ ეტარებინათ სხდომები[1]. კვორუმიც ექნებოდათ, კანონებს კი იგივე ბედი ენეოდა, რადგან არავინ ასრულებს.

19 ოქტომბერი

დღეს დილით გამოცხადდა, რომ აკაკი ელიავას დაჯგუფებამ დაიკავა სამტრედია. სანამ უნივერსიტეტში მივდიოდი მდგომარეობა ეტყობა უარესდებოდა. შუადღისას შევარდნაძემ განაცხადა, რომ ელიავას დაჯგუფება არის ქუთაისში, ავტოქარხანასთან. ტყვედ აუყვანიათ **თემურ შაშიაშვილი, ჯემალ გახოკიძე.** გადაწყდა, უნივერსიტეტში დავრჩენილიყავით. საღამოს 7 საათსა და 50 წუთზე შევედი რექტორთან როინ მეტრეველთან, სადაც იყვნენ რექტორი და პროფესორები. **თემურ ხუროძეს** და **პარმენ მარგვალაშვილს** ვუთხარი იწყება ძველი დრო-მეთქი, რადგან ჩვენ ამ ათი წლის განმავლობაში ხშირად ერთად ვიყავით ღამით ასეთ მდგომარეობაში, **რექტორმა თქვა, რომ შაშიაშვილი მგონი გაანთავისუფლესო და დარეკა ქუთაისში, ტელეფონით ელაპარაკა შაშიაშვილს, რომელმაც უთხრა, საქმე კარგად არისო, ძალიან გაგვიხარდა, მალე დავიშალეთ.**

რა დავწერო – დავიღალე, წერე და იყავი, რამდენი ხანია ვამბობ, ხალხი უკმაყოფილოა, წამოვიდნენ დასავლეთ საქართველოდან. მთელ საქართველოს შეაძულეს თბილისი რეზო ამაშუკელის ტიპის მოღვაწეებმა. ნუთუ ახლა მაინც არ უნდა გამოიტანოს დასკვნები ხელისუფლებამ, ნეტავ ხალხი არ დაიღუპოს, აღარ შემიძლია, კიდევ რომ დაიწყოს არეულობა, გავგიჟდები. ვიმეორებ, ამდენი ჰალსტუხიანი ბანდიტი შეიძლება გვერდზე ჰყავდეს შევარდნაძეს?

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო თემურ შაშიაშვილის და ჯემალ გახოკიძის ვაჟკაცობა, რომლებიც პირდაპირ მივიდნენ მოსალაპარაკებლად ამბოხებულებთან. შემდგომში შაშიაშვილმა აღნიშნა, რომ ის ტყვედ არ აუყვანიათ, რადგან თვითონ გამოჰყვა მათ და არაფერი უკადრებიათ.

29 ოქტომბერი

გუშინ მანანა არჩვაძის მომხრეებმა აღნიშნეს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება. სამარცხვინოა, დღევანდელი ხელისუფლების პოლიციისთვის, რომ გუშინ, ფაქტობრივად, სცემეს ყოფილი პრეზიდენტის მეუღლეს და ფეხიც დაუზიანეს. არ მესმის, ცემენ მოხუც გენერალს და პრეზიდენტის მეუღლეს, მართლაც, სამარცხვინოა.

[1] ერთხელ პარლამენტის ბიუროს ხდომა ჩატარდა გემზე.

14 ნოემბერი

გამომრჩა მეთქვა, რომ გახოკიძის ნაცვლად უშიშროების მინისტრად დაინიშნა ვახტანგ ქუთათელაძე. ყოველთვის ვწერდი და ვამბობდი კიდეც, რომ ქუთათელაძესთან სახელმწიფო დაცვაში შეიკრიბა ყველაზე ნორმალური ხალხი და არ შეიძლებოდა უშიშროებაში შსსდან თანამშრომლების მოყვანა, რაც კვირაიას დროს ხდებოდა.

გახოკიძე გადაიყვანეს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ, მოკლედ, შევარდნაძე თავის სტილს არ ცვლის. დიდი ამბებია სასამართლოსთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც დააკმაყოფილა მოსამართლე ჭაჭუას სარჩელი, რომლის მიხედვითაც, მოქმედ მოსამართლეებს უფლებამოსილება უწყდებოდათ 2001 წელს. რეფორმატორებმა განაცხადეს, რომ ამით, დიდი დარტყმა მიიღეს, საა კაშვილმა ეს სამშობლოს ღალატად შეაფასა, ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

გუშინწინ უნივერსიტეტში მოვიდა ზურაბ ჟვანია. შეხვედრა საკმაოდ ნორმალურად ჩატარდა. ჟვანია ძალიან კმაყოფილი იყო. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ის ჭკვიანი კაცია. შეხვედრა რომ კარგად ჩატარდა, ეს რექტორის როინ მეტრეველის დამსახურებაცაა, რადგან ვერავინ გაბედა რაიმე ეთქვა შეურაცხმყოფელი. მე წერილი გავუგზავნე ჟვანიას, რომელიც რექტორს გადავაცემინე ერთ-ერთი სტუდენტის მეშვეობით. რექტორი და ნოდარ ამაღლობელი ერთად ისხდნენ პრეზიდიუმში. რექტორმა რომ დაიწყო კითხვა, ღიმილი დაეტყო და ამაღლობელს ნაკაითხა. მერე მითხრეს, რომ გადავეცით ჟვანიასო. იმ ბარათში ეწერდი, „ბატონო ზურაბ, ძალიან მომეწონა თქვენი შარშანდელი ექსპერიმენტი, როდესაც პარლამენტის ბიუროს სხდომა ჩაატარეთ გემზე, ღია ზღვაში. მინდა რჩევა მოგცეთ, რომ პარლამენტის სხდომებიც ჩაატაროთ გემზე, ღია ზღვაში. კეორუმის პრობლემა არ გექნებათ, არც ერთი დეპუტატი არ გაგეპარებათ (გარდა ლანა ღოღობერიძისა, რომელსაც კარგი ცურვა ცოდნია, როგორც ტელეეიზიით ვიხილეთ), 700 კანონის ნაცვლად 1000 კანონს მიიღებთ, რაც შეეხება შედეგს, იგივე იქნება, რადგან თქვენს მიერ მიღებული კანონები გინდ ხმელეთზე, გინდა ზღვაში, თუნდაც პაერში მიღებული, მაინც არ სრულდება ცხოვრებაში.

კარგ ზურგის ქარს გისურვებთ კაპიტანო, მაპატიეთ, სპიკერო.

ისტორიის ფაკულტეტის მიჩმანი, მაპატიეთ, დეკანი მერაბ ეაჩნაძე".

დღეს გაათავისუფლეს მიხეილ ჭკუასელი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში მთლიანად გაანადგურა საქართველოს მთელი ფინანსური სისტემა. კატასტროფული მდგომარეობაა, 5-6 თვეა ხალხს ხელფასი და პენსიები არ მიუღია, გარდა უნივერსიტეტისა, ესეც რექტორის როინ მეტრეველის დამსახურებაა, რადგან თავი მოიკლა და შარშან სპეცსახსრების ბუღალტერიის თანხები არ გადასცა ხაზინას. ეს ხაზინა მთლიანად შეგვიჭამდა ამ სახსრებს. საბოლოოდ, რექტორმა შევარდნაძეს სთხოვა, რომ ერთი წლით შეეჩერებინა ეს გარიგება და ამით გადავრჩით. ხაზინა არის კორუფციის წყარო, სადაც, თუ არ გადაიხადე შენი კუთვნილი თანხის 10%, არავინ არაფერს მოგცემს. ეს ჟვანიამაც აღნიშნა შეხვედრაზე, კიდევ კარგი, რექტორს დავუჯერეთო. რა თქმა უნდა, ეს კატასტროფული მდგომარეობა ჭკუასელის ბრალი არ არის. საქმე ისაა, რომ გადასახადს არავინ იხდის, იმიტომ, რომ ყველას თავისი „კრიშა" აქვს, შევარდნაძე კი ორი წელიწადია თამამობს კორუფციის წინააღმდეგ და ყოველთვის კრიბავს იმ ხალხს, რომლებიც კორუმპირებულნი არიან. მახსენდება, ადრე რომ ორგანო შექმნა „კორუფციის და დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი", სადაც ჯაბა პყავდა მოადგილედ და წევრები თითქმის ყველა დამნაშავე.

სანამ ქვეყანას არ დაანგრევენ შევარდნაძე მაინც თავის დაბალანსების პოლიტიკას განაგრძობს.

17 ნოემბერი

15 ნოემბერს ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები. მე, ჩემმა ცოლმა, სიდედრმა და შვილმა ხმა მივეცით ედპ-ს. ფაქტობრივად, ხმა მივეცით ირინა სარიშვილს.

ძირითადი შედეგები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ თბილისში ცნობილია „მოქკაუშირმა" მი-

ილო 19 მანდატი, ლეიბორისტებმა –12, სოციალ-ისტებმა –8, სახალხომ –5. ალორძინებამ –4, ედპ –4, ტრადიციონალისტებმა –3, სასაცილო იყო „ლემის" შედეგები –0 ხმა მიილო.

„მოქკავშირს" ცუდად აქვს საქმე რუსთავ-სა და ქუთაისში. მართალია, პირველ ადგილზე არიან, მაგრამ უმრავლესობა არა აქვთ. ყველა-სათვის მოულოდნელი იყო „ლეიბორისტების" დიდი წარმატება თითქმის მთელი საქართ-ველოს მასშტაბით.

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბე-ჭდილია შევარდნაძის ინტერვიუ, სადაც ნერს, „მიხეილ ჭკუასელის განცხადება გადადგომის თაობაზე მე ვაჟკაცურ ნაბიჯად მიმაჩნია. მე მადლობელი ვარ მიხეილ ჭკუასელის იმ შეგნებულობისა და მაღალი პასუხისმგებლო-ბისათვის, რომელიც მან გამოიჩინა".

რაზე უნდა ილაპარაკო, კაცს, რომელმაც საქართველოს ფინანსები კატასტროფამდე მი-იყვანა, შევარდნაძე მადლობას უხდის.

1999 წელი

28 იანვარი

დიდი ხანია აღარაფერი დამინერია. დროც არა მაქვს. „მოქკავშირი“ ადგილობრივ არჩევნებზე ძალიან ტრაბახობდა, გავიმარჯვებთო, მართალია, პირველ ადგილზე კი გავიდნენ, მაგრამ საბოლოოდ, როდესაც საკრებულოები შეიკრიბნენ, ოპოზიცია გაერთიანდა და **„მოქკავშირმა“ უმრავლესობა ვერ მოიპოვა ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ზუგდიდსა და სხვა ქალაქებში.**

ძალიან დიდი წარმატება მოიპოვეს „ლეიბორისტებმა“, რომლებმაც კარგად აუღეს ალღო, თუ რა სჭირდება ხალხს. ახლაც თბილისის საკრებულომ „ლეიბორისტების“ წინადადებით, უფასო გახადა ბავშვთა საავადმყოფო ათარბეგოვის ქუჩაზე და კიდევ მეტის გაკეთებას აპირებენ. დიდ წარმატებას მიაღწიეს „სოციალისტებმა“ და „აღორძინებამ“. „აღორძინება“ მთლიანად საქართველოს პარტიული ორგანიზაცია გახდა. „ლეიბორისტებიც“ და „სოციალისტებიც“ ასლან აბაშიძეს უჭერენ მხარს. ძალიან გამიხარდა, რომ გუშინ საქართველო მიიღეს ევროსაბჭოში.

6 მარტი

ღამით 10 საათზე და 30 წუთზე შემთხვევით ვუყურებდი მოსკოვის ერთ-ერთ არხზე ახალ ამბებს, აჩვენეს საგადასახადო პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდი და მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსის ინტერვიუ. ეს პიროვნება ალმოჩნდა კონსტანტინე ფირცხალავა, ზვიად გამსახურდიას ყოფილი გენერალური პროკურორი.

ქ. თბილისის საკრებულოში ოპოზიცია დაიშალა. შალვა ნათელაშვილის პარტიას მისცეს ერთი ვიცე-პრემიერის ადგილი. ვახტანგ რჩეულიშვილი გაცოფდა, რადგან შალვამ მომატყუაო. ვახტანგი არ მოელოდა ამას.

ნათელაშვილს ვუსმინე „რუსთავი 2“-ზე. ვეღარ ვიცანი, ადრე ძალიან დალაგებულად ლაპარაკობდა. ახლა არ აცლიდა წამყვანს, რომ შეკითხვა დაესვა, თავის თავზე ლაპარაკობდა. **ნესტან კირთაძემ** მას „ქოსამატყუარა“, „ჭინჭრაქა“ და „ნაცარქექია“ უწოდა. კირთაძე გარიცხეს ლეიბორისტული პარტიიდან. ნესტანი საკმაოდ ჭკვიანი ქალია. მე ვიყავი 25 თებერვალს მისი სადოქტორო ნაშრომის ოპონენტი. მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია, რაც შეეხება სხვა მოვლენებს, ისევ იგივე მეორდება. სამხედრო პროკურორმა ბადრი ბიწაძემ გაზ. „შანსში“ ბრალი დასდო კახა თარგამაძეს, რომ მას ელიავას აჯანყებამდე ერთი კვირით ადრე მისმა მოადგილემ მურღულიამ მიაწოდა ოპერატიული ინფორმაცია, თუ როგორ მოხდებოდა ელიავას აჯანყება. მეორე დღეს თარგამაძემ **ანზორ ბინაძეზე** დაწერა, რომ იგი ნათესაობით არის მოწყობილი თანამდებობაზეო. საოცარია, ორი გენერალი ერთმანეთს უყენებს ბრალდებას, ორივე ხომ არ შეიძლება მართალი იყოს, პრეზიდენტი კი, ვითომ არაფერი ხდება, არის თავისთვის. **რამდენადაც მოსაწონია შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა, იმდენად (რამდენჯერ უნდა დავწერო, მ. ვ.) უვარგისია მისი საშინაო პოლიტიკა.**

4 აპრილი

31 მარტს ზვიად გამსახურდიას 60 წელი შეუსრულდებოდა. ოპერაში გადაუხადეს იუბილე. ესწრებოდნენ: ვანო ზოდელავა, ავთანდილ ჯორბენაძე, ვალერი ასათიანი. დავინახე გარეთ უამრავი ხალხი იყო, აგრეთვე შესრულდა რეფერენდუმის 8 წლისთავი, რაც დიდი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ზვიადი ნამდვილად მეცოდება, მით უმეტეს, ამდენ გაფუჭებულ კაცუნებს რომ ეუყურებ. **გია კობახიძემ ამ რამდენიმე დღის წინ სწორად თქვა, ზვიად გამსახურდიას დაძახილზე რამდენიმე ათასი კაცი მოდიოდა და ამ მთავრობის დაძახილზე 10 კაციც არ მოვაო.**

გუშინდელ გაზ. „მეოთხეში“ ჯაბა იოსელიანმა სწორად თქვა, იმიტომ უნდა დაღუპულიყო აჩიკო მიშველაძე, სანდრო შაიშმელაშვილი, ნუკრი ცისკაძე, საშკა იოსელიანი, ირაკლი ამირეჯიბი, რომ ამ ნაკომკავშირალ ვირთხებს ჯიპებით ეგრიალათ. (მუშნი ზარანდიასი არ იყოს, ყოველ ახალ რევოლუციას და გადატრიალებას უარესი

მოაქვსო, ნეტავ ამ მთავრობას რომ დაამხობენ, ნუთუ ამაზე უარესი მოვა. მ. ვ.)

ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ მოხდა დიდმა საბჭომ პროფესორად ამირჩია. რექტორის როინ მეტრეველის დავალებით შეიქმნა მე-20 საუკუნის უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის ჯგუფი. მე დამევალა ბოლო პერიოდის დაწერა 1985 წლიდან –დღემდე. ამიტომ უფრო მეტი ჩანაწერი უნდა გავაკეთო.

დიდი მოვლენები ხდება იუგოსლავიაში. სერბეთის არმია აწიოკებს კოსოვოს ალბანელებს. ნატომ დაიწყო სერბეთის დაბომბვა. რუსეთმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამ რამდენიმე დღის წინ მოსკოვში გაიმართა დსთ-ის სამიტი. უზბეკეთი და საქართველო გამოვიდნენ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან. ალიევმა განაცხადა, რომ ეცდება აზებაიჯანში განალაგოს ნატოს ჯარები, რადგან რუსეთი უამრავ იარაღს აძლევს სომხეთს, მათ შორის, 11-300 ტიპის რაკეტებს, რომლებსაც შეუძლიათ ბაქოს დაბომბვა.

ისევ ვიმეორებ, რამდენადაც წარმატებულია შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა, იმდენად დამღუპველია მისი საშინაო პოლიტიკა. მთელი თბილისი განამებულია უშუქობით მაშინ, როდესაც თელასის ამერიკელი მეპატრონეები მთლიანად იხდიან თანხას. საქენერგო და მისნაირი ბანდიტები ყველაფერს აკეთებენ, რომ თბილისი სიბნელეში იყოს, რადგან ნავთის მაფიამ უნდა გაასაღოს ნავთი და ბენზინი. მაზუთი არა გვაქვსო და მას ყიდულობენ 150 დოლარად მაშინ, როდესაც სართიჭალაში ამერიკელებმა ააშენეს ქარხანა და ისინი მაზუთს ყიდიან 65 დოლარად. საქენერგოს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ვითომ უცხოურ ფირმასთან, რომელიც რეგისტრირებულია სეიშელის კუნძულებზე. ამ დროს კი ქართული ფირმაა. რა ხდება, კაცი ვერ გაიგებს.

5 აპრილი

დღეს „კურიერში“ აჩვენეს ასლან აბაშიძის პრესკონფერენცია. მან აღნიშნა, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ რეანიმაციაში არისო და გაა-ფრთხილა რეზო ადამია, თავი დაანებოს აჭარაზე საუბარს.

რეზო ადამიამ კი განაცხადა, იმას დაე-მუქროს, ეიზედაც ხელი მიუწვდებაო.

11 აპრილი

დღეს აღდგომაა. არაფერი დამიწერია 9 აპრილზე. წელს შესრულდა 10 ნელი 9 აპრილის ტრაგედიიდან. ძალიან ულიმლამოდ ჩაიარა. ფაქტობრივად, ეს **დღე აღარავის ახსოვს.**

დილით შევარდნაძე იყო რუსთაველზე, მერე მანანა არჩვაძე გამოჩნდა თავისი მომხრეებით.

გუშინდელ „დილის გაზეთში“ ქალბატონმა მანანამ განაცხადა, „მაქვს ფაქტი, რომ ირაკლი წერეთელმა, ირაკლი ბათიაშვილმა და გია ჭანტურიამ ჯუმბერ პატიაშვილისგან ქრთამი აიღეს. შუამავალი პატიაშვილის ორი ნათესავი იყოო. გარიგებაში ჯაბა იოსელიანიც მონაწილეობდაო“. **ჩემი აზრით, არ შეიძლება პრეზიდენტის მეუღლემ ასე ისაუბროს და ამავე დროს რუსეთის კგბ-ეს აგენტებად გამოაცხადოს მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, თემურ ქორიძე და სხვები. ამიტომ არის დაქსაქსული „ზვიადისტური“ მოძრაობა რამდენიმე ჯგუფად.**

საერთაშორისო ვითარება ძალიან მძიმეა. მილოშევიჩმა ითხოვა რუსეთისა და ბელორუსიის კავშირში შესვლა. მაგრამ ეს აშკარად არარეალურია. **აშკარაა, რომ რუსეთი დაძაბუნებულია და ტყუილი ბრახა-ბრუხის მეტი არაფერი შეუძლია.**

„დილის გაზეთში“ წერია, რომ მანანა არჩვაძის მომხრეებმა ჩაატარეს სხდომა ოპერაში. „ქალბატონმა მანანამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი არაერთხელ მოიხსენია აუგად, რასაც შეკრებილები აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ“.

ჩემი აზრით, ჩვენი უბედურება დაიწყო იმ დროიდან, როდესაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II 9 აპრილს ხალხს მიმართა, რომ მოსალოდნელი უბედურების ასაცილებლად ქაშუეთში წასულიყვნენ, რათა ელოცათ

და არ დაუჯერეს. ამ ურწმუნოებამ დაგვღუპა შემდგომში ჩვენ, დაგვღუპავს დღესაც.

18 აპრილი

14 აპრილს დილით გამოვედი გადაცემა „ალიონში“ 1978 წლის 14 აპრილთან დაკავშირებით, როგორც ამ ამბების მომსწრე, გავიხსენე ეს მოვლენები და აღვნიშნე, რომ ძალიან დადებითი როლი ითამაშა მაშინდელმა რექტორმა პროფ. დავით ჩხიკვიშვილმა და რომ სტუდენტებმა არ დაუჯერეს თბილისის პარტიული კომიტეტის პირველ მდივანს თენგიზ მენთეშაშვილს. შემდეგ შევარდნაძემ უნივერსიტეტში გამოგზავნა ჯანსუღ ჩარკვიანი და ნოდარ დუმბაძე. მე კულტურულად ვთქვი, რომ სტუდენტებმა არც მათ დაუჯერეს. ამ ერთი წლის წინ, როდესაც 20 წლის იუბილე გაიმართა, უნივერსიტეტის ეზოში ჯანსუღ ჩარკვიანმა მიკროფონში რიხიანად განაცხადა, რომ შევარდნაძის სიტყვები რომ გადავეცით, სტუდენტებმა ტაში დაგვიკრესო. საოცარია, ათასობით კაცი უყურებდა როგორ ცუდად შეხედნენ მათ სტუდენტები და, ფაქტობრივად, დაატოვებინეს უნივერსიტეტის ეზო. ჩემი გამოსვლის ბოლოს „ალიონის“ წამყვანმა, მიხეილ მიმინოშვილმა მთხოვა შემეჯამებინა გამოსვლა და აღმენიშნა შევარდნაძის როლი ამ მოვლენებში. მე ვთქვი, რომ დიდია შევარდნაძის დამსახურება, რადგან მან დაარწმუნა მაშინდელი სსრკ-ის ხელმძღვანელობა, რომ თუ არ დათმობდნენ, მოხდებოდა სისხლისღვრა. ეს დიდი გამბედაობა იყო, ამიტომ ამ ღვანლის დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 14 აპრილის შემდეგ სწორედ შევარდნაძის მმართველობის დროს დაიჭირეს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები თამარ ჩხეიძე, დავით ბერძენიშვილი, მოგვიანებით – გია ჭანტურია. ამავე დროს, აღვნიშნე, რომ ქართველებს გვახასიათებს ორი უკიდურესობა, ერთი ნანილი ამბობს, რომ შევარდნაძეს 14 აპრილს კარგი არაფერი გაუკეთებია ან კიდევ 14 აპრილის წარმატებას მთლიანად შევარდნაძეს მიაწერენ და ეროვნულ მოღვაწედ გამოჰყავთ. მაგალითად, გავიხსენე ერთ-ერთი პროფესორი ისტორიკოსი, გვარი არ დავასახელე, მაგრამ ის იყო პროფ. დევი სტურუა, რომელმაც დაწერა, რომ 14 აპრილის მოვლენები თავიდან ბოლომდე მოწყობილი იყო შევარდნაძის მიერ და შევარდნაძე გამოიყვანა ეროვნული მოძრაობის ლიდერად, ეს კი უკვე დაცინვა იყო ათიათასობით ახალგაზრდისა, რომლებიც იმ დღეს გამოვიდნენ მშობლიური ენის დასაცავად და მზად იყვნენ თავი გაეწირათ სამშობლოსათვის. ბოლოს იუმორით აღვნიშნე, რომ, როდესაც ამ ისტორიკოსის ნაწერს ვკითხულობდი ჩემს მეგობარს, ზურა თავყელიშვილს ვუთხარი: –კიდევ კარგი ბატონი ედუარდი 1928 წელს დაიბადა და არა 1924 წელს, თორემ ასეთი ისტორიკოსები შევარდნაძეს 1924 წლის ცნობილი აჯანყების მეთაურად გამოაცხადებდნენ-მეთქი. ჩემმა მეგობარმა, არაისტორიკოსმა, მითხრა –თქვენ, ისტორიკოსები ისეთები ხართ შეიძლება შევარდნაძე 1841 წლის გურიის აჯანყების მეთაურადაც გამოიყვანოთო. როდესაც უნივერსიტეტში მოვედი, უნდა გენახათ, რა ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ, როდესაც პირველ არხზე დამინახეს, იფიქრეს, ხოტბა უნდა შემესხა შევარდნაძისთვის და ეს არავის ესიამოვნებოდა, რადგან მე ეს არ მეკადრებოდა და როდესაც ჩემი გამოსვლა მოისმინეს, ყველა მადლობას მეუბნებოდა, ასევე უამრავმა ადამიანმა დამირეკა და მადლობა გადამიხადა ამ გამოსვლის გამო. უნივერსიტეტში მოვიდა დათო ტურაშვილი, რომელისთვისაც უნდა გადამეცა ჩემი მოგონება 9 აპრილთან დაკავშირებით და რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ახალ დროებაში“. დათომ მითხრა, ნახევარი თბილისი მირეკავს, ვინც არ გიცნობს, ყველა მეკითხება, ვინ არის ეს კაციო. მე ვეუბნები, „მაგარი ტიპი არისო“. რექტორთან როინ მეტრეველთან ყოფილა პარლამენტის წევრი გიგი აბალაკი და უთქვამს, ეს კაცი ჩამომიყვანეთ გორში, მთელი გორი აღფრთოვანებული არისო.

ღამით „მოამბეში“ გამოსულა ჯანსუღ ჩარკვიანი, ეტყობა ნახა ჩემი გამოსვლა. მე არ მომისმენია, მაგრამ მითხრეს, რომ აქ ვილაცეები ამბობენ, რომ შევარდნაძეს ღვანლი არა აქვსო და რომ, როდესაც მე და ნოდარ დუმბაძე

მოვედით უნივერსიტეტში სტუდენტები სახეში გვიყურებდნენ, რას ვეტყოდით შევარდნაძის შესახებო და, რა თქმა უნდა, შევარდნაძე ცაში აიყვანა. სამწუხაროდ, ბატონი ჯანსულ ჩარკვიანის თაობა მიჩვეულია ასეთ ცხოვრებას, თუმცა ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ამ ე. წ. „ელიტას" არ შეუძლია, რომ არ აქოს და ადიდოს პირველი პირი, რა მნიშვნელობა აქვს, ეს პატიაშვილი იქნება თუ შევარდნაძე. ნუთუ შევარდნაძე ვერ ხედება, რომ, როდესაც ისინი გადაუდგნენ პატიაშვილს, მასაც ისინი დაუწყებენ პირველნი გინებას,[1] როდესაც თანამდებობაზე აღარ იქნება და ისევ ჩემი და ჩემნაირების დასაცავი გახდება.

17 აპრილს სუფსაში იყო ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ოფიციალური გახსნა. გახსნაზე ჩამოვიდნენ უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, თავისი თანაშემწე გამოაგზავნა ბილ კლინტონმა. მოლოცვები მოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერისაგან, თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელისაგან და სხვ. ეს დღე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება საქართველოს ისტორიაში. მას არა მარტო დიდი ეკონომიკური, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. რუსეთმა რა არ სცადა, რომ ჩაეშალა ამ ნავთობსადენის მშენებლობა. ალიევმა აღნიშნა, რომ ბაქოში ორჯერ მოანყვეს გამოსვლა და რამდენიმე ტერორისტული აქტი. მართალია, მას რუსეთი არ დაუსახელებია, მაგრამ ყველასათვის გასაგები იყო, რომ საუბრობდა რუსეთზე. რა თქმა უნდა, შევარდნაძეზე თავდასხმაც ძირითადად ამით იყო გამოწვეული. არ შემიძლია არ აღვნიშნო შევარდნაძის მართლაც უდიდესი ღვაწლი ამ ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. შემდგომი ეტაპი იქნება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, სადაც გავა ძირითადი ნავთობი. ამას თუ შუა აზიის სახელმწიფოებიც შეუერთდებიან, ეს ნიშნავს რუსეთის გავლენიდან საბოლოო გამოსვლას.

[1] პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ ბატ. ჯანსული, განსხვავებით სხვებისგან, ბოლომდე ერთგული დარჩა შევარდნაძის.

27 აპრილი

ამ ორი დღის წინ გაიმართა ნატოს 50 ნლის იუბილე. რუსეთის წარმომადგენლები არ ჩასულან. შევარდნაძე ჩავიდა ვაშინგტონში. გუშინწინ იქ ვაშინგტონის დეკლარაციას ხელი მოაწერეს საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა, მათ შეუერთდა უზბეკეთიც. ამ გაერთიანებას „სუამი" ენოდა. უზბეკეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ რუსეთის მიმართაც ნდობა აბსოლუტურად დაიკარგაო (გაზ. „ალია", 26 აპრილი). ეს დიდი დარტყმაა რუსეთისთვის. დღეს ევროსაბჭოში საქართველოს ოფიციალურ წევრად მიღების დღე გახლავთ. თბილისში ევროსაბჭოს დროშა აღიმართა. დღესვე შევარდნაძე გამოვიდა სტრასბურგში. მართლაც უდიდესი მოვლენა გახლავთ. ბედნიერი ვარ, რომ საქართველო რეალურად ხდება ევროპის სახელმწიფო.

12 ივლისი

დიდი ხანია აღარაფერი დამინერია. საქართველოში დღეისთვის ძალზე დიდი დაპირისპირებაა ბათუმსა და ცენტრს შორის. გუშინ გაფორმდა კოალიცია –21 საუკუნე –აღორძინება და დემოკრატია, რომელშიც შევიდნენ „აღორძინება", „ტრადიციონალისტები", „სოციალისტები" და „21 საუკუნე", ჯერჯერობით გაურკვეველია „სახალხო პარტიის" პოზიცია, რომელსაც დავა აქვს მანდატების განანილების გამო. დიდი ამბებია ატეხილი საქართველოს სანაოსნოსთან დაკავშირებით. შეჭმულია 102 მილიონი დოლარი. ამას ცენტრი ბათუმს აბრალებს, ბათუმი ცენტრს. დღეს „ახალ თაობაში" გურამ მამულია ნერს, „ასლან აბაშიძე არის ყველაზე კორუფციული და აბსოლუტურად უკონტროლო. ასლან აბაშიძე პირადი ინტერესებისათვის ქვეყანას დაღუპავს, ამიტომ ვთვლი, რომ მისი ადგილი ციხეშია. სხვა ადგილი მისთვის საქართველოში არ არსებობს. ასლან აბაშიძე არის სიმბიოზი თურქეთის ფაშის და ობკომის მდივნის".

საოცარია, გურამ მამულია არის პრეზიდენტის ერთ-ერთი დიდი სამსახურის ხელმძღვანელი. ვინ მისცა მას უფლება გააკეთოს ასეთი

განცხადებები ადამიანზე, რომელიც არჩეულია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ეს არის მთელი აჭარის დამცირება და შეურაცხყოფა. გურამ მამულიამ უნივერსიტეტზე განაცხადა, რომ ეს არის ჩამორჩენილი პროვინციული უნივერსიტეტი და რომ საქართველოს ეკლესია პროტესტანტული უნდა იყოს.

ჩვენ, ისტორიის საბჭომ, განვიხილეთ და წერილი მოვამზადეთ შევარდნაძის სახელზე, რომ მისი ჩინოვნიკი ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს და პრეზიდენტმა უნდა გამოხატოს თავისი შეხედულება ასეთ განცხადებაზე.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ბათუმურ კოალიციაში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახდა **ჯუმბერ პატიაშვილი.** ამ რამდენიმე ხნის წინ ქორწილში შემთხვევით აღმოვჩნდი პატიაშვილის პირდაპირ, სუფრასთან და ჩვენს შორის ძალზე საინტერესო საუბარი გაიმართა. მეორე დღეს მე გავუგზავნე ჩემი ჩანაწერები 1989 წელზე. ამ ერთი თვის წინ ტელევიზიით გამოვიდა გიგა ლორთქიფანიძე და განაცხადა, რომ ასლან აბაშიძის მოქმედება ხდება კანონსაწინააღმდეგო და რომ მისი მოქმედება ქვეყნის კეთილდღეობის ნინააღმდეგ არის მიმართულიო. ყურებს არ ვუჯერებდი. ერთი კვირით ადრე პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძეს ეჩხუბებოდა ასლან აბაშიძის გამო, რომ ბათუმში უნდა ჩატარებულიყო კონფერენცია, რომელიც მერე არ ჩატარდა.

მალე ყველაფერი გაირკვა, გიგა ლორთქიფანიძე დაინიშნა თეატრალური ინსტიტუტის რექტორად გიზო ჟორდანიას ნაცვლად. გიზო კი წავიდა ბათუმში, სადაც დაინიშნა მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის რექტორად. აშკარაა, რომ თანამდებობის გამო გიგა ლორთქიფანიძემ გაწირა ასლან აბაშიძე. შევარდნაძეს კი, უნდა, რომ ამ ხალხის იმედად იყოს, მასაც ამასვე გაუკეთებენ.

12 აგვისტო

დღეს დიდგორობაა. ხელისუფლებას, ალბათ, არც ანყობს და რა ნამუსით უნდა აღნიშნოს ეს დღესასწაული. დღევანდელ „ახალ თაობაში" ლევან ბერძენიშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ დააპატიმრონ პატიაშვილი და აბაშიძე. ძალიან გამიკვირდა და, მართლაც საოცარია, კაცი, რომელიც დისიდენტი იყო და, ამავე დროს, არის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი დასაჭერად მოუწოდებდეს. ის წერს, „პატიაშვილი პოლიტიკური ლეშიც არის, დამნაშავეც და საერთოდ არ უნდა იყოს პოლიტიკურ ასპარეზზე, ციხეშია მისი ადგილი ისევე, როგორც ციხეშია ბანდიტების ადგილი. მაგ., ასლან აბაშიძე დაჯდა საზღვარზე, შეჭამა საქართველოს ფული, დაიჭირონ და გაასამართლონ".

წარმომიდგენია, ამას რომ აჭარაში წაიკითხავენ, რას იტყვიან.

ამავე დროს, ლევან ბერძენიშვილი წერს, რომ „აჭარაში არჩევნები გაყალბდა 100%-ით. ნუთუ აჭარაში არ აღმოჩნდა „აღორძინების" მომხრე თუნდაც 1%, რომ არ დაჭირვებოდათ 100%-თ გაყალბება.

მიმაჩნია, რომ ძალიან მძიმე და საშიში მდგომარეობაა. ალბათ, ყველაზე კარგი გადაწყვეტილება იქნება, თუ ორივე მხარე მოილაპარაკებს, რომ არ იყოს ერთმანეთის წინააღმდეგ ასეთი სახის ბრალდებები, რაც საქართველოს დაღუპვამდე მიიყვანს.

14 სექტემბერი

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შემდეგ ვისვენებდი ჩაქვში. როდესაც იქ ჩავედი, ასლან აბაშიძემ მოისურვა ჩემთან შეხვედრა. ჩემი მძახალი კარგად იცნობს მას. შეხვედრა დილის 10 საათზე მოხდა. დღე ზუსტად არ მახსოვს. ბატონმა ასლანმა მოგვილოცა ჩვენი შვილების გაბედნიერება. იგი ძალზე საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა, ძალიან უშუალო, მაგრამ აშკარად გამწვრთნელია ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ვისაუბრეთ ისტორიის საკითხებზე. მე ვესაუბრე იმ დოკუმენტებზე, რომელიც არის ჩვენს არქივებში და დავპირდი, რომ მოვამზადებდი ამ მასალას და შემდგომ შეეძლოთ დაებეჭდათ. მე არ ვარ ამით დაინტერესებული, ეს უფრო აჭარას სჭირდება. ის დამპირდა, რომ აუცილებლად დაბეჭდავდა. ის კი არა, თბილისში რა ხარჯებიც იქნებოდა საჭირო, თვითონ განეედა, რაზედაც მე უარი ვუთხარი. მინდოდა ჩემი ხარჯებით გამეკეთე-

ბინა ყველაფერი. ბოლოს კარგი კალმისტარი და პორტფელი მაჩუქა, ჩემი მეუღლისათვის კი –ფრანგული სუნამო. ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, ძალიან საინტერესო იყო მისი გაცნობა. ისედაც მასზე კარგი შთაბეჭდილება მქონდა.

ჩაქეში ერთად ვიყავით, რექტორი როინ მეტრეველი, პრორექტორი თემურ ხუროძე, იქ იყვნენ თამაზ წივწივაძე, ნუგზარ ფოფხაძე და სხვ. 24 აგვისტოს ოზურგეთში დიდი შეხვედრა იყო ამომრჩევლებისა „აღორძინების" დეპუტატ ზვიად ცეცხლაძესთან, რომელიც პიროვნულად ძალიან კარგი კაცია. ოზურგეთში მას წაყვნენ ნუგზარ ფოფხაძე, თამაზ წივწივაძე, ლევან სანიკიძე, მამუკა გიორგაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი, ვახტანგ რაზმაძე. მე მათ გამოსვლებს რექტორთან ერთად ტელევიზიით ვუყურე. რექტორი არ წასულა. მეც არ წავედი, არ მინდოდა რომ შემდგომში ეთქვათ: უნივერსიტეტის დეკანი ჩაერთო არჩევნებშიო. მე ძირითადად რექტორის პრესტიჟს ვუფრთხილდებოდი, თუმცა არ მიკითხავს, მიდიოდა თუ არა. მასაც არაფერი უთქვამს. ნუგზარ ფოფხაძემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ პრეზიდენტის ერთგული იყო და იყო მისი ფონდის თავმჯდომარე, მაგრამ აქ პიროვნულად მხარს ვუჭერ ზვიად ცეცხლაძის კანდიდატურასო. თამაზ წივწივაძემ აღნიშნა, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II დალოცა ზვიად ცეცხლაძე, რომელმაც ეკლესია ააგო ოზურგეთში და დიდ დახმარებას უწევს ხალხს და თუ გურულები არ აირჩევენ, დიდი მკრეხელობა იქნებაო. ამ გამოსვლებს დიდი რეაქცია მოჰყვა „მოქალაქეთა კავშირის" მხრიდან, რადგან მათ წარდგენილი ჰყავდათ კრიმინალური დეპარტამენტის თავმჯდომარე გენერალი ზურაბ ჩხაიძე. შევარდნაძემ განაცხადა, რომ წყვეტს ურთიერთობას თავის ფონდთან. წინა დღეებში, 23 აგვისტოს, „ახალ თაობაში" **კახა თარგამაძემ** განაცხადა: ჩხაიძე ტყვიას შუბლს რომ უშვერდა, ცეცხლაძე ფულს აგროვებდაო. როდესაც თბილისში ჩამოვედი, მოქალაქეთა კავშირი შეტევაზე გადავიდა. გია ბარამიძემ განაცხადა, ვინც შევარდნაძეს ტერაქტს უწყობდა, მას ასლან აბაშიძე ხვევნა-კოცნით ხვდებოდაო. მე არ მესმის, კი ბატონო, გაიმარჯვოს „მოქკავშირმა", მაგრამ შემდეგ ხომ უნდა ითანამშრომლონ ასლან აბაშიძესთან, ის ხომ დარჩება აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. გუშინ გაანთავისუფლეს აჭარის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჩხაიძე. ძალზე მეშინია, რაიმე არ მოხდეს, ამიტომ, გაზ. „ალიაში" ინტერვიუში ვწერ, „ჯობს პრეზიდენტის გარემოცვიდან ზოგიერთებმა თავი დაანებონ რეგიონებთან კინკლაობას, რამაც შეიძლება ომი გამოიწვიოს".

30 სექტემბერი

დაპირისპირება ცენტრსა და რეგიონს შორის ძალიან საშიშ ფაზაში შევიდა. შევარდნაძემ იმოგზაურა ამერიკაში, სადაც შეხვდა პრეზიდენტ ბილ კლინტონს, რომელიც დაესწრო ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ დაწესებული ჯილდოს **შევარდნაძისათვის** გადაცემას. მანამდე „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნდა კლინტონის მრჩეველის სტატია, რომ ჰილარის ძმებს შეეჩერებინათ თხილის ბიზნესი აჭარაში, რომელშიც უნდა ჩაედოთ 118 მილიონი დოლარი. აშკარა იყო, რომ შევარდნაძის გარემოცვამ და თვით შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა ამისათვის, რომ ეს გარიგება ჩაშლილიყო. ნინაალმდეგ შემთხვევაში გამოდიოდა, რომ აშშ მხარს უჭერდა ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს. ამერიკიდან ჩამოსულმა შევარდნაძემ პრესკონფერენციაზე ძალიან ცუდად ისაუბრა. როდესაც შეეკითხნენ, ხომ არ მიგიღიათ წერილი აბაშიძისაგანო, მან უპასუხა: „არც წერილი მიმიღია და არც თხილიო". დაპირისპირების მეორე მიზეზი გახდა სარფის საბაჟო. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ **მაღლაკელიძემ მოხსნა** აჭარის რეგიონალური საბაჟოს სამმართველოს უფროსი გოგი შევარდნაძე. ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ ეს იყო აჭარის კონსტიტუციის დარღვევა და არ გაანთავისუფლა გოგი შევარდნაძე.

დაპირისპირების მესამე მიზეზი იყო სანაოსნო. გუშინწინ და გუშინ ტელევიზიით გამოჰყავდათ ჯერ ჯამლეთ ბაბილაშვილი, მერე გამომძიებელი ცინცაძე და აცხადებდნენ, რომ ჯერჯერობით დასაჭერია ათამდე კაცი და, ამავე დროს, უნდა დაკითხონ ასლან აბაშიძე და ასლან სმირბა. ბათუმის ბლოკი ძალზე გაძლიერდა –„აღორძინე-

ბის" სიაში მესამე ნომრად აღმოჩნდა **მუხრან მაჭავარიანი.** ამავე დროს გერმანიიდან დაბრუნდა **ელიზბარ ჯაველიძე,** რომელიც ასევე შევიდა ათეულში, ასევე პროკურატურიდან წამოვიდა **გორა პაიჭაძე,** რომელიც ასევე „აღორძინების" სიაში აღმოჩნდა. მათ სიაში აღმოჩნდა **რეზო მიშველაძეც.**

რაც შეეხება თბილისს, „მოქკავშირი" დაახლოებით ისეთივე შეცდომებს უშვებს, როგორც ადრე „მრგვალი მაგიდა". აშკარაა, რომ **ვაჟა ლორთქიფანიძეს არავინ არაფერს ეკითხება, თორემ ასეთ შეცდომებს არ დაუშვებდნენ.** მაგალითად, ვაკის რაიონში კენჭს იყრიდა **დავით სალარიძე,** რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატია. დათო სალარიძე ძალზე პოპულარული პიროვნებაა, კაცობით და თავისი შეხედულებებით, რომელიც ცდილობს მოხდეს შერიგება, რათა არ მივიდეთ სამოქალაქო ომამდე. ამ დროს **მიშა სააკაშვილმა** განაცხადა, რომ მე თუ მინდა, საბურთალოში, მინდა ვაკეში ვიყრი კენჭს დეპუტატობაზე და ყველგან **გავიმარჯვებო.** ვიფიქრე, ტრაბახობს, მაგრამ მან მართლაც შეიტანა საბუთები და კენჭს იყრის ვაკეში. ამით, ფაქტობრივად, ყველას დაანახა, რომ უნდა სალარიძის ჩაძირვა. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია, ნუთუ სალარიძე ღირსი არ არის დეპუტატობის, როდესაც ამდენი ულირსი კანდიდატია სხვა რაიონებში. აი, იქ რომ მიეღო მონაწილეობა სააკაშვილს, მართლაც, მისასალმებელი იყო, **რადგან დღევანდელ პარლამენტში სააკაშვილიც საჭიროა და დათო სალარიძეც.**

დამავიწყდა კიდევ ერთი მთავარი, ჯუმბერ პატიაშვილის წინადადებით, ბათუმურმა კოალიციამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა ასლან აბაშიძე. მაშინ აბაშიძე საფრანგეთში იმყოფებოდა. ამ**ჯერადაც** შევარდნაძემ დასცინა, საერთოდ არ ვიცით, რას აკეთებდა აბაშიძე საფრანგეთშიო და ეჭვი მეპარება საერთოდ თუ იყო იგი იქო.

დღევანდელ „ახალ თაობაში" № არის აღწერილი ის ინცინდენტი, რაც მოხდა გორში 28 სექტემბერს. ვახტანგ რჩეულიშვილს გორში დანიშნული ჰქონდა საარჩევნო კამპანია. მას თან ახლდა **ჯუმბერ პატიაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ჯემალ გოგიტიძე** და სხვ. იქაურმა ხელმძღვანელობამ, ადრე კომკავშირლები რომ აკეთებდნენ სპეციალურად, იმავე მეთოდით მოაწყვეს ახალგაზრდობის დისკოთეკა, ვითომ ნარკომანიის წინააღმდეგ. ეს არის ჩვეული იაფფასიანი ხერხი, რომელიც უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევს ხალხში. რჩეულიშვილი გამწარდა, რადგან ყვირილით ახშობდნენ მის გამოსვლას. მან განაცხადა, **„შევარდნაძე სანაგვეზე, მოქკავშირი სანაგვეშიო". ბოლოს, მას უთქვამს თხილის ბიზნესის ჩაშლის გამო. ავი ძაღლი მინახავს, მაგრამ ავი მელა არ მინახავსო.**

დღეანდელ ჟურნალ „სარკეში" 39 ირინა სარიშვილმა **სააკაშვილზე** განაცხადა, **რომ „ეს არის ფაშისტის, კომკავშირელის, ცინიკოსის ნაერთი. რა თქმა უნდა, აქტივისტიც არის, რადგან ზომაზე მეტად აქტიურია".**

1 ოქტომბერი

ძალზე მძიმე მდგომარეობაა ჩრდ. კავკასიაში. ზაფხულში რამდენიმე სოფელი დაიკავეს ბასაევმა და ხატაბმა. დიდი ბრძოლები მიმდინარეობს. **რუსეთის ავიაცია ანადგურებს სოფლებს. ამას მოჰყვა ტერორისტული აქტები. მოსკოვში ააფეთქეს ორი საცხოვრებელი სახლი. დაიღუპა 300-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. საშინელებაა, რა შუაშია საწყალი ბავშვები და ქალები.** მანამდე ხასავიურტში ააფეთქეს სამხედროების შენობა. დაიღუპა 60 ჯარისკაცი. შემდეგ ააფეთქეს საცხოვრებელი სახლი პატარა ქალაქში როსტოვთან, მერე სანკტ-პეტერბურგში. **რუსეთმა დაიწყო ჩეჩნეთის დაბომბვა. ერთი კვირაა ბომბავენ გროზნოს, დღეს ჯარები შეიყვანეს ჩეჩნეთში.** „ნტვ"-ში დღეს გადმოსცეს, რომ მოხდა პირველი სახმელეთო შეტაკება. **რუსეთმა გადაწყვიტა საერთოდ გაანადგუროს ჩეჩნეთი**[1]. დაიწყო ახალი ომი კავკასიაში, რომელიც ჩვენთვისაც საშიშია.

[1] ჩეში სიტყვები გამართლდა, ასიათასი ჩეჩენი, ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა.

5 ოქტომბერი

მდგომარეობა ძალზე გამწვავდა. ასლან აბაშიძემ გუშინ განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ მზადდება ტერაქტი, რომელიც იგეგმება სახელმწიფო კანცელარიაში. ამ რამდენიმე დღის წინ შევარდნაძემ ვადამდე ადრე გაანთავისუფლა პატიმრები. მათ შორის აღმოჩნდა ბათუმის ციხეში მყოფი ბათუმის ყოფილი მერი, ცნობილი **ასანიძე,** რომელიც აბაშიძის პირადი მტერი იყო. ის ბათუმის ციხიდან არ გაანთავისუფლეს. დღეს **სააკაშვილმა** „მოამბეში" განაცხადა, რომ აბაშიძე არის ფეოდალი, რომლის ნებაზეც არის კაცს დაიჭერს თუ გაუშვებსო. ამავე დროს, განაცხადა, რომ დიდი ფული შემოვიდა ვაკეში ჩემს წინააღმდეგო. მერე „კურიერში" აჩვენეს, რომ საკაკაშვილმა განაცხადა: დათო სალარიძე „აღორძინებასთან" არის შეერწყო და სპიკერად უნდათ მისი არჩევაო. „მოამბეში" გამოვიდა გენერალური პროკურორის მოადგილე **ანზორ ბალუაშვილი** და ასლან აბაშიძეზე თქვა, რომ ინკვიზიციის დროსაც არ ყოფილა ასეთი შემთხვევაო (რა თქმა უნდა, საუბრობდა ასანიძეზე).

სიაში დესტაბილიზაციის პოტენციური კერაა. ნავთობსადენის აფხაზეთის ტერიტორიაზე გატარების შეთავაზებამაც კი არ გამოიღო სასურველი შედეგი. ეს იმას მიანიშნებს, **რომ რუსეთი კვლავ მძლავრად ზურგს უმაგრებს სეპარატისტულ რეჟიმს. არ არის გამორიცხული, რომ მოსკოვმა აიძულოს თბილისი მაქსიმალურ დათმობაზე წავიდეს – კონფედერაციაზე დათანხმდეს და ამით მის ინტერესებში შემავალ ნავთობსადენს ლეგიტიმური ბაზა შეუქმნას, ბლოკადაც მოუხსნას აფხაზეთს და საქართველოს ხელისუფლება ხახამშრალი დატოვოს.**

ევგენი პრიმაკოვმა ვიწრო წრეში განაცხადა: **„აფხაზეთი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი, თუმცა დაუშვებელია, საქართველომ იგი მოახრჩოს".** საგარეო საქმეთა მინისტრის ნათქვამიდან გამომდინარე, რუსეთი აპირებს შექმნას ბერკეტი, რომლითაც ყოველთვის შეეძლება საქართველოს და, აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის მართვა.

კონფედენციალური ინფორმაციით, მოლაპარაკების პროცესში გამოიკვეთა მოსაზება, რომ აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა აუცილებლად უნდა მოიხსნას. საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ამ პუმანური აქტით შეძლებს მეტი ნდობა მოიპოვოს სეპარატისტთა ლიდერებში. ოთხშაბათს სოხუმს მიემგზავრება სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი და მინისტრთა ეკონომიკური გუნდი. განსახილველ საკითხთა შორის, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ენერგეტიკა და კავშირგაბმულობაა. როგორც ჩანს, საქართველოს ხელსუფლება აპირებს დასავლეთზე დამოკიდებული მზარდი ეკონომიკის აფხაზეთში ინვესტირებას. ამით თბილისს იმედი აქვს, რომ საზღვრის გახსნის შემთხვევაში წინ აღუდგება რუსული კაპიტალის ინტერვენციას.

მოვლენები შესაძლოა ასეთი სცენარით განვითარდეს: ქართული და აფხაზური მხარე სახალხო დიპლომატიას განაკითარებენ. აუცილებელია ხალხის, ლტოლვილებისა და აფხაზეთში დარჩენილთა საუბრების გააქტიურება. ეს შეარბილებს დამოკიდებულებას ქართველებსა და აფხაზებს შორის. სამთავრობო დონეზე დაიწყება აფხაზეთის სტატუსზე რეალური მუშაობა. განიხილება ორი მოდელი: 1. კონსტიტუციური ხელშეკრულება საქართველოსა და აფხაზეთს ღმერთო ჩემო! ამ ხალხმა ჭკუა ვერ ისწავლა, საერთოდ ვერ ხვდებიან, რომ საქართველო ამჟამად დევს დენთის კასრზე. **რუსეთი შეეცდება, რომ გამოიწვიოს არეულობა. ამჟამად მხოლოდ ერთად შეკრულ საქართველოს შეუძლია გადაირჩინოს თავი და არა დაქსაქსულმა და ურთიერთდაპირისპირებულმა**

12 ოქტომბერი

საშინელება ხდება – „აღორძინების" წარმომადგენლების მანქანები გუშინ ჩუმათელეთთან გააჩერეს, დღეს კი ჯავშნიანი მანქანებით გზა გადაუკეტეს ბორჯომთან. მერე, როცა ჯუმბერ პატიაშვილი და ჯემალ გოგიტიძე მაინც შევიდნენ ბორჯომში, დარბაზის კარი დაუკეტეს. შემდეგ, როდესაც ახალციხისკენ გზა განაგრძეს, კვერცხები ესროლეს, იქ უფრო მეტი ჯავშნიანი მანქანა დაახვედრეს და არ შეუშვეს. აშკარაა ძალადობა ხელისუფლების მხრიდან. ამას ვინც გეგმავს, ის არის საქართველოს მოღალატე. ორი დღეა ჩემი შვი-

ლის ქორწილია. მხოლოდ ახლა ვკითხულობ გაზ. „დრო"-ში, რომ გუშინ შევარდნაძეს განუცხადებია, დღეიდან მზად არის ახსნას ის საშიშროება, რასაც „ბათუმური ალიანსის" ხელისუფლებაში მოსვლა უქადის ქვეყანას: „მე ამიერიდან გაჩუმებას აღარ ვაპირებ, ხალხს უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს, რომ ხელისუფლებაში მოდის ხალხი, ვისაც კონსტიტუციის დარღვევა ჩვეულად აქვს გადაქცეული, ამბობს დღეს საქართველოს პრეზიდენტი".

ეტყობა, შევარდნაძე გაჩერებას არ აპირებს. სნორედ ამის მიზეზია გზების გადაკეტვა. ახლა შევარდნაძის ყველა გოშია ცდილობს თავის გამოჩენას, რომ ასიამოვნოს მას. ამ ხალხს სულ არ ანაღვლებს საქართველო.

14 ოქტომბერი

გუშინ ვიყავით ოპერის შენობაში, სადაც შეხვედრა იყო მთაწმინდის რაიონის დეპუტატობის კანდიდატთან, ჩემს მეგობარ **ლერი გამრეკლიძესთან.**[1] როცა მივედით, მან მითხრა, ხომ არ გამოხვალ სიტყვითო, მე ვუპასუხე, თუ დაგჭირდებით დიდი სიამოვნებით გამოვალ-მეთქი. მართლაც, სხდომის დროს, რომელიც მიჰყავდათ **გოგი თოფაძეს, ზურაბ ტყემალაძეს, ვახტანგ ხმალაძეს, ირაკლი ბათიაშვილს,** გამოაცხადეს, რომ სიტყვით გამოვა პროფ. მერაბ ვაჩნაძეო. მე ვისაუბრე გაერთიანებაზე და ამ დროს დღევანდელ „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ თემურ მირიანაშვილთან, რომელიც შევარდნაძის მთავარი კონსულტანტია ის წერს, რომ შევარდნაძე ძალიან შეცდა, როდესაც მხარი დაუჭირა **სააკაშვილს.** გაგიჟდება კაცი, რანაირი სისტემა აქვს შევარდნაძეს, როდესაც მისი მთავარი **კონსულტანტი ძირს უთხრის მის პარტიულ სიაში მეორე ნომრად მყოფ პიროვნებას.**

ასევე გუშინდელ „საქართველოს რესპუბლიკაში" არის როსტომ დოლიძის დიდი სტატია, სადაც იგი წერს, „აჭარაში არსებული ხელისუფლება არის დიქტატორულ – კლანური და დამნაშავე ელემენტებთან შერწყმული ძალების მხარდამჭერი გაძლიერებული ავტორიტარული რეჟიმი". საოცარია, რომ როსტომ დოლიძე ასლან აბაშიძეს ეკითხება, „ან კიდევ რა გააკეთე იმისათვის, რათა ქვეყანა არ მისულიყო უფსკრულის პირას, სამოქალაქო ომამდე, ტერიტორიების დაკარგვამდე, ეკონომიკურ-ფინანსურ კატასტროფამდე".

16 ოქტომბერი

საშინელი სტატიაა გაზ. „რეზონანსში" სათაურით –„ასლან აბაშიძემ საკუთარი მამა ჩაუშვა სუკში". ვილაც ინკოგნიტო წერს, რომ, თურმე, ასლანმა მამა დააჭერინა.

დღეს „ალიასა" და „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარესთან ლომიძესთან სათაურით „არძინბასთან შარტავას აბაშიძე დახვედრია და მისი ბედი მან გადაწყვიტა". თურმე, აბაშიძეს შარტავაც მოუკლავს! ბოლოს ლომიძე სთავაზობს პრეზიდენტს, რომ „პრეზიდენტმა აბაშიძე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადააყენოს და იქ პრეზიდენტის მმართველობა შემოიღოს. მოკლედ, სამოქალაქო ომი უნდა. ამავე „ალიაში" არის შალვა ნიორაძის[2] და ბელიხის სტატია „Государство в государстве". რა თქმა უნდა, ლანძღავენ ასლან აბაშიძეს. „დილის გაზეთში" გამოქვეყნდა ასლან აბაშიძის სტატია მოსკოვში შევარდნაძის ცხოვრების შესახებ. ახლა ის აგინებს შევარდნაძეს და ვართ ამ დღეში.

17 ოქტომბერი

„კვირის პალიტრაში" არის ვინმე ერაძის წერილი, რომელიც ყოფილა ეთიკის სპეციალისტი.

„მიშა სააკაშვილო", შენ გივი ალასანიას შვილიშვილი ხარ და მეცოდები, შვილო შენ, იმიტომ რომ ბრძენი დამრიგებელი არ გყავს. **ლაპარაკი გისწავლია ამერიკაში, მაგრამ ვისთან, სად და, რა უნდა თქვა, არ იცი. შენ სტაჟირების პრაქტიკაზე უნდა წასულიყავი რაჭა-იმერეთის მაღალ სოფელში, სადაც სიბრძნე-ჭეშმარ-**

[1] ის კენჭს იყრიდა ბლოკ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოდან".

[2] ეს პიროვნება არის პროფესორი და ცხოვრობს მოსკოვში.

იტებაა... მეცოდება დღეს ის ამომრჩეველი, რომელიც შენ და შენ ძმაკაცებს ან გადაბერებულ ნაკომუნისტარებს მისცემს ხმას". ამავე გაზეთში არის ქალაქის პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის ინფორმაცია, სადაც ის აღნიშნავს, რომ გაზაფხულზე ამნისტირებულმა 35 კაცმა უკვე ჩაიდინა დანაშაული.

5 ოქტომბრის გაზ. „დრონი" –სააკაშვილმა განაცხადა, რომ ძველი „მოქკავშირის" საპარლამენტო ფრაქციის 125 წევრიდან დარჩა 25. ფრაქციის ახალ სიაში შესულთა 34 კაცს მიღებული აქვს განათლება საქართველოში დანარჩენს –საზღვარგარეთ.

19 ოქტომბერი

ამ რამდენიმე დღის წინ შევარდნაძე იყო მიწვეთ გერმანიაში, სადაც გადაეცა სამი ჯილდო – უმაღლესი ხარისხის ფედერალური დიდი ჯვრის ორდენი, გიუნშეს სახელობის პრემია და იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. შეხვედრა მართლაც შთამბეჭდავი იყო. გენშერმა ბერლინის საკათედრო ტაძარში განაცხადა, რომ „ჩვენ გერმანელებს შეგვიძლია ედუარდ შევარდნაძეს მადლობა იმით გადავუხადოთ, რომ მის საქართველოს დავეხმაროთო".

შევარდნაძემ განაცხადა, რომ „საქართველო გაერთიანდება და აღორძინდება ისე, როგორც გაერთიანდა და აღორძინდა გერმანია". საოცარია, საერთოდ ცნობილია, რომ ქვეყნის წარმატებას საგარეო პოლიტიკაში საფუძვლად უდევს წარმატებული საშინაო პოლიტიკა. აქ პირიქით არის, ყოველთვის ეწერდი და არასოდეს მჯეროდა, რომ შევარდნაძე რუსოფილი იყო, რასაც ძალზე ხშირად აბრალებდნენ, მას ყოველთვის უნდოდა და კურსი აღებული ჰქონდა ევროპისა და ამერიკისკენ. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ის ყოველთვის საპირისპირო იყო და ამას ყოველთვის ვწერდი, რომ მისი საკადრო, საშინაო პოლიტიკა არის საქართველოს დამღუპველი. 9 წელიწადია რაც ის ჩამოვიდა საქართველოში, მართალია, გარეგნულად სტაბილურობაა, მაგრამ, სინამდვილეში ისეთი დაპირისპირებაა, რომ მე და ვახტანგ გურულმა გამოვეცით წიგნი საქართველოს XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში არსებულ პერიოდზე და, ჩემი აზრით, თუ არ გადავამეტებ, იმ დონეზე მაინც ვართ, როგორ მდგომარეობაშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა.[1]

შევარდნაძეს ამ ნლებში შეეძლო, რომ მის გვერდით დამდგარიყო მთელი საქართველო. მაგრამ კაცი რომ მედიკო მეზვრიშვილს ჩააბარებ კახეთს, რაზე უნდა ისაუბრო.

ღამის „კურიერში" მომეწონა მამუკა გიორგაძის სიტყვა, „გერმანელმა ხალხმა გერმანიის გამერთიანებელი ჰელმუტ კოლი გადაირჩია და სხვა აირჩია. ჩვენ რა დაგვემართა, რომ ბერლინის კედლის დამანგრეველი კიდევ ვეღარ გადაეირჩიეთო".

20 ოქტომბერი

დღეს სპორტის სასახლეში გაიმართა „მოქალაქეთა კავშირის" ფორუმი, სადაც სიტყვით გამოვიდა შევარდნაძე. მან განაცხადა, რომ მის პრეზიდენტობას აზრი არ ექნება, თუ უმრავლესობაში არ იქნება „მოქალაქეთა კავშირიო".

საღამოს 8 საათსა და 35 წუთზე ვუყურებდი მეორე არხს. დღეს ყოფილა ქუთაისის პარტიული კომიტეტის პირველი მდივნის მამუკა ასლანიკაშვილის დაღუვის დღეა. მან თავი მოიკლა 1986 ნელს. იმნუთშივე მივხვდი, რატომ აჩვენეს, საღამო გაიმართა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. აქაც სიტყვით გამოვიდა შევარდნაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ მაშინ ამას ვერ ამბობდნენო, ახლა შეგვიძლია ვთქვათ, მისი მკვლელობის მიზეზი იყო ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და, ხაზი გაუსვეს, ბათუმური ალიანსის წარმომადგენელიო. ოთხი ნლის წინ, პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეებში, პატიაშვილს ტელევიზიით ბრალი დასდეს, რომ მოსკოვში იყო ეგორ ლიგაჩოვთან და საქართველოში გადატრიალებას ამზადებდაო. რაც დღეს გააკეთეს, უარესია, ვიდრე ოთხი ნლის წინანდელი ამბავი. ღმერთმა აცხონოს განსვენებული, მაგრამ მისი გამოყენება არჩევნებისთვის, საშინელებაა. თან გამოაცხადეს, რომ მის კუბოს ხალხი ვერ მიპყვებოდა, ეშინოდათ ციხეში არ ჩაესვათო. არ გინდა მოიფიქრო

[1] ჩემი სიტყვები გამართლდა.

ასეთი ტყუილი, რომელი ბერიას დრო იყო, ვის ეშინოდა, რომ კუბოს გაყოლოდა და ციხეში ჩასვამდნენ.

ღამის „კურიერში" აჩვენეს, **რომ ავტობუსებით პყავდათ ხალხი მოყვანილი სპორტის სასახლეში, სასაცილოა.** ისევე ძველი დრო ბრუნდება. წინათ რაიკომებს რომ ავალებდნენ, ახლაც იმ მეთოდებს იყენებენ, მაგრამ ახლა გამგებლებს ავალებენ საქართველოს ყველა რაიონებიდან ხალხი ჩამოიყვანონ ავტობუსებით. ნეტავ, საკუთარ თავს ატყუებენ, თუ პრეზიდენტს, ალბათ, უნდა ასიამოვნონ, რომ ბევრი ხალხი ესწრებოდა ამ შეკრებას. წარმომიდგენია, ეს ტანჯული ხალხი ამ დანჯღრეული ავტობუსებით რომ ჩამოიყვანეს, გულში, ალბათ, აგინებენ და შინ რომ დაბრუნდებიან, პირიქით, მათ მოწინააღმდეგეს მისცემენ ხმას. აი, ასე ეხმარებიან პრეზიდენტს.

21 ოქტომბერი

საშინელი კადრები აჩვენეს ჩეჩნეთიდან. რუსებმა დაბომბეს გროზნოს ცენტრალური ბაზარი, დაიღუპა 137 კაცი, 400 დაიჭრა. რუსეთი ძალზე საშიში გახდა.

25 ოქტომბერი

მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. მისი შემდგომი განმუხტვა თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია. რაღა არ ინერება. მაგ., დღევანდელ „რეზონანსში" არის მასალა –**„რა კავშირი აქვს ასლან აბაშიძეს 19 გამქრალ ადამიანთან".**

დღევანდელ „ასავალ-დასავალში" არის ინტერვიუ **ასლან აბაშიძესთან.** ძალიან მომეწონა მისი სიტყვები: **„თუ რამ ძვირფასი გაგვაჩნდა ჩვენ დიდ ოჯახს, უპირველესად: სიცოცხლე, ჩვენ საქართველოს ერთიანობას შევნირეთ, რაც გაგვაჩნია და რაც გვექნება მომავალში, სიცოცხლესთან ერთად, იმასაც საქართველოს კეთილდღეობისათვის ვწირავთ და შევნირავთ".** ამავე ინტერვიუში ის საბოლოოდ წყვეტს კავშირს შევარდნაძესთან დაამბობს, „ღია თუ შენიღბულ, ყოველად უსაფუძვლო, უსამართლო ბრალდებებს, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ჩემი სიცოცხლის ხელყოფის მრავალჯერად ცდას, რომელიც შეუჩერებლივ გრძელდება 8 წლის მანძილზე. ძნელია შეურიგდე, მით უმეტეს, როცა ათასგზის დარწმუნებული ხარ, რომ ეს ყველაფერი პირადად მისი ხელმძღვანელობით ხდება. აკი განაცხადა კიდეც მთელი მსოფლიოს გასაკვირად – დღეიდან ასლან აბაშიძეს ღიად დავუპირისპირდებიო. ეს კი პირდაპირი აღიარებაა, რომ ყველა ტერორისტულ აქტს, რომელიც ჩემს წინააღმდეგ იგეგმებოდა ფაქტობრივად თავად ედგა სათავეში — ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა დაძაბულობას ესკალაციას. ისევე როგორც მანამდე სხვაგან. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ მოთმინებით შევხვედროდი ყველაფერს და ახალი ცხელი წერტილი არ გაჩენილიყო საქართველოში".

30 ოქტომბერი

საშინელებები გრძელდება, შემდგომში ისტორიკოსები, როცა წაიკითხავენ იმას, რაც იწერება და რაც ხდება დღეს საქართველოში, ალბათ, იტყვიან: ეს რა ხალხი ცხოვრობდაო. ის ხალხი, ვისაც ძალიან უნდა, რომ ასიამოვნოს შევარდნაძეს ან აბაშიძეს ყველაფერზე მიდის. ნამდვილად არ მომეწონა, როცა ჩოლოქთან ზურაბ ნოღაიდელს დახვდა[1] მისი ნათესაობა და არ შეუშვეს ქობულეთში. ნოღაიდელი კენჭს იყრის ქობულეთში „მოქკავშირიდან". რა თქმა უნდა, ეს მართვადი პროცესია. ამ რამდენიმე დღის წინ „აღორძინების" პრესცენტრმა გამოაქვეყნეს ის დარღვევები, რაც გაუკეთეს მათ. მმართველმა პარტიამ არ უნდა დაუშვას ასეთი რამ. აგრეთვე, რაც გაუკეთეს ზვიად ცეცხლაძეს, როცა ის სიიდან ამოაგდეს. ეს იყო ზეწოლის და უკანონობის მაგალითი.

ამ დღეებში შევარდნაძემ მთელი საქართველო მოიარა, აჭარის გარდა, რადგან მიხვდა, რომ საქმე არ არის კარგად. ზუგდიდში შეხვედრაზე გამოვიდა ელდარ შენგელაია, რომელმაც ბოლოს თქვა, როცა კორესპონდენტი შემეკითხა, თქვენი ფილმის, „შერეკილების" პერსონაჟებს

[1] შემდგომში ზურაბ ჟვანიამ აღიარა, რომ ეს მოწყობილი იყო „მოქკავშირის" მიერ, რომ დაბრალებოდა ასლან აბაშიძეს.

ვის შეადარებდითო, მე ვუპასუხე, ციხის უფროსი არის ასლან აბაშიძე, ხოლო მეოცნებე ბიძია — ბაბუა შევარდნაძეო.

რომელი გირჩევნიათ: ხუტა უფროსმა ციხეში წაგიყვანოთ, თუ ბიძია-ბაბუამ ცაში აგაფრინოთ (ბატ. ელდარს ჰგონია კარგი რამე თქვა შევარდნაძეზე, ციხეში არ ჯობია ყოფნა, ვიდრე ყველა შიმშილით დაიხოცოს და ცაში წავიდეს. ქართველ ხალხს არც ციხე უნდა და არც ზეცაში ასვლა, მას მიწაზე უნდა ყოფნა და ცხოვრება ნორმალურად, მ. ვ.). ვიმეორებ, რომ პრეზიდენტის გარემოცვამ ჩაატარა ძალიან ცუდი საარჩევნო კამპანია. მე ყველაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ამ გარემოცვის ნაწილი მახსენებს ზვიად გამსახურდიას გარემოცვის იმ ნაწილს, რომელთა „ღვაწლმა" უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. გუშინწინ გაზ. „ალიაში" იყო ინტერვიუ გია ყარყარაშვილთან. გია ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ. ეს ის კაცია, რომელსაც გადადგომის შემდგომ არაფერი უკადრებია არავისთვის და არ დაუწუწუნებია არაფერზე. ეს კაციც გადაიკიდეს. მე არ დავკვირვებივარ, კერძოდ, ტელევიზიით ყოველდღე გადის კლიპი „მოქკავშირზე" და აჩვენებენ 1991-92 წლებს, რომელზედაც ამბობენ, რომ ეს იყო ბანდიტიზმის და ანარქიის პერიოდი, მერე 1993 წელს აჩვენებენ, აფხაზეთის ომს და უბედურებას, რაც ხდებოდა ამ პერიოდში და შემდეგ 1995 წლიდან, თუ როგორ გამოასწორეს მდგომარეობა. აღმოჩდა, რომ, როცა ამბობენ ბანდიტიზმის პერიოდი იყო, აჩვენებენ გია ყარყარაშვილს. ამის გამკეთებელს მართლა ნამუსი ხომ უნდა ჰქონდეს, კაცი დაინვალიდდა და ახლა ეს „ჰალსტუხიანი ბანდიტები" გიას სდებენ ბრალს.

რაც შეეხება ხვალინდელ დღეს, პირველ ადგილზე გავა „მოქკავშირი" –რადგან ისინი არაფერს მოერიდებიან, მთელი სახელმწიფო აპარატი მათზე მუშაობს, შემდეგ გავა „აღორძინება". აუცილებლად გავა ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ისინი დაახლოებით 8-10% აიღებენ. რაც შეეხება ედპ-ს და „სახალხოს", მათ თანაბარი შანსი აქვთ. მე ვისურვებდი, რომ ორივე გავიდეს. ძალიან მინდა, რომ ირინა იყოს პარლამენტში, მაგრამ ედპ ვერ გაიზარდა. ირინას გარდა პარტიაში ლიდერები არ ჩანს. ამიტომ მეეჭვება, რომ გადალახოს 7%. ძალიან ეჭვი მეპარება სახალხოზე, როცა ნელს გია კობახიძეს ვესაუბრებოდი ჩაქვში (გია ძალზე ჭკვიანი კაცია და ღირსია იყოს პარლამენტში, მ. ვ.), **შევამჩნიე, რომ ძალზე გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ ძალებს. მათ, ედპ-სგან განსხვავებით, ჰყავთ ლიდერები, – მამუკა გიორგაძე, ვანო ხუხუნეიშვილი, შარმანაშვილი, მიხეილ ჯიბუტი, ჩახვაძე. ნელს დაემატათ ნუგზარ ფოფხაძე, გოგი ოჩიაური, ნოდარ ნულეისკირი, გოგი ხოშტარია.** ასე რომ, ისინი რომ იყვნენ პარლამენტში საინტერესო იქნებოდა. გამომრჩა, ედპ-სთან ერთად არიან „რესპუბლიკელები". ამ პარტიიდან რამდენიმე კაცი ნამდვილად საჭიროა პარლამენტში, ესენი გახლავთ **ივლიანე ხაინდრავა და დათო ბერძენიშვილი.**

ეს ოთხი პარტია რომ გავიდეს, პარლამენტი საინტერესო იქნება, რაც შეეხება „ლეიბორისტებს", ისინი ვერ გადალახავენ 7%-იან ბარიერს, რადგან „ლეიბორისტები" არ ანყობთ არც „მოქკავშირს" და არც „აღორძინების" ბლოკს.

31 ოქტომბერი

დღეს მომიწევს ბევრი რამის დანერა. ამჟამად 3 საათი და 30 წუთია. ჯერ არ წავსულვარ ხმის მისაცემად. ველოდები მეუღლეს. ვკითხულობ 30 ოქტომბრის „დილის გაზეთს". აქ არის ინტერვიუ **რეზო ადამიასთან.** – „სმკ" პასუხისმგებლობას არასოდეს გაქცევია და არც ახლა აპირებს ამას. სოციალური პრობლემები სახელმწიფოში არის და ამას არავინ არ მალავს. ეს პრობლემები არ შეიძლება არ იყოს ამ სახელმწიფოში, რომლის საშემოსავლო ნაწილი 500 მილიონია. ეს განპირობებულია, უპირველესად, აბაშიძისნაირი დამქაშების მოქმედებით, რომლებმაც ჯიბეში ჩაიდეს საბიუჯეტო მილიონები. ეს, რა თქმა უნდა, განპირობებულია ასევე ცენტრალური ხელისუფლების კორუმპირებულობითაც, ხშირად მაღალი რანგის მოხელეების უუნარობითაც და მართლაც, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით. ქვეყანაში სადაც ტოტალური განუკითხაობის და დაუსჯელობის სინდრომია".

კორ. – „თქვენი საუბარი უფრო ოპოზიციის ლიდერის ლაპარაკს ხომ არ ჰგავს.

რ. ა. – „მესმის, რას გულისხმობთ, მაგრამ ვილაც კონკრეტულად რომ ამხილო და დასაჯო მასზე სერიოზული დოკუმენტური მასალა უნდა გქონდეს. ის, ვინც გამოძიება უნდა ჩაატაროს, თვითონაა კორუმპირებული“. ამავე გაზეთში არის ცნობა, **რომ რეზო ამაშუკელი** გამოსულა ქუთაისში. როგორც ყოველთვის, მისი გამოსვლა ხმაურიანი იყო: **„ასლან აბაშიძეს შევუთვალე, თუ ესე ძალიან გეშინია თბილისში ჩამოსვლის, ტყვიაგაუმტარ შუშაში ჩაჯექი და გამადიდებელსაც თუ დააყენებ, კარგი იქნება-მეთქი. მან შემომითვალა, ჩამოვალ და ვიცი სადაც დაგაჯენო“.**

ამავე გაზეთში არის ინტერვიუ **ნუგზარ ფოფხაძესთან.** ნუგზარი სნორად სნერს, **„დღეს,** როცა საზოგადოებაში კვლავ აშკარა დაპირისპირებაა, როცა ერის გამთლიანების სანინააღმდეგო პოლიტიკური დუელი ისტორიულში გადაიზარდა, საზოგადოებაში ჩნდება იმის მოთხოვნილება, რომ დაუფარავად ითქვას მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ, რაც ქვეყანას გარდაუვალად დააყენებს ახალი სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე. რით დამთავრდება ყოველივე ეს, ქართველებს არ უნდა გვესწავლებოდეს, არც ის, რომ ტერიტორიული თვალსაზრისით ეს საქართველოს ახალი და უკიდურესი დაქუცმაცებით გამოვლინდება, არც ის, რომ ეკონომიკის თვალსაზრისით, ეს ეროვნული მეურნეობის სრული მოშლით დაგვირგვინდება, რომელსაც ვერავითარი კრედიტი და პუმანიტარული დახმარება ვერ უშველის.

მაშინ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება კი არა, ერის ფიზიკური გადარჩენა გვექნება საოცნებოდ. ამაში ვერც ნატო დაგვეხმარება, ვერც მსოფლიო ბანკი და ვერც სავალუტო ფონდი.

... გამარჯვების უმოკლესი გზაა ეროვნული შერიგება. ჭეშმარიტად, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გაგვაჩნია. ოლონდ შერიგება უპირობოდ, საქმის გარჩევის და მტყუან-მართალის დაუდგენლად. ღირს, რომ ეს გარჩევა მომავლის ისტორიას დავუთმოთ.

სწორედ პოლიტიკური ელიტის, მაგრამ უწინარესად მმართველი პარტიის ბირთვის პირადი მაგალითი, ცალსახად გათავისუფლებული პოლიტიკური თამაშის და მანიპულაციების ელემენტებიდან, გაფანტავდა უნდობლობის ეჭვს, რომელიც, სამწუხაროდ, არსებობს და იარსებებს, თუნდაც მანამდე, ვიდრე **მმართველი პარტიის ლიდერის მოადგილე, კულტურის მინისტრის** მოადგილე, ანუ **ჩინოვნიკ-პოეტი ტრიბუნებიდან სისტემატურად ითხოვს პოლიტიკური** მოწინააღმდეგეების **„დახვრეტას“.** ასე იარსებებს მანამდე, ვიდრე მისი პარტიის მუსიკალურად მიმზიდველ სატელევიზიო კლიპში **შეძახილი „გიხაროდენ“ მოჰყვება (ტექსტის ავტორია რეზო ამაშუკელი, მ. ვ.) ბრიყვულ ღაღადს, „ღმერთო, განსხიპე ცოდვები მავნე“.**

ყოველ ერთ საათში „კურიერი“ გადმოსცემს, რა ხდება საარჩევნო უბნებში. რუსთავის ერთ-ერთ უბანში, სადაც დადეს საარჩევნო ყუთი, უკვე ჩაყრილი იყო 170 ყალბი ბიულეტენი. შევარდნაძემ ხმა მისცა კრწანისში საღამოს 7 საათზე. მე და ჩემმა მეუღლემ მივეცით ხმა დათო სალარიძეს. ხოლო პარტიებიდან ხმა მივეცი **„მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“.** დამავიწყდა მეთქვა, რომ ძალიან მინდა, ისნის რაიონში გაიმარჯვოს გია ყარყარაშვილმა. დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებს, 18 საათზე „კურიერში“ იყო რაღაც მონაცემები –ეს გახლდათ ის ფორმა, რომ ტელეფონით უნდა დაგერეკა, ვის მიეცი ხმა. **ამ მონაცემებით, 49% ჰქონდა საკაშვილს, ხოლო სალარიძეს –25%.** თუ არ ვცდები, ეს გამონვეულია, ალბათ, იმით, რომ საკაშვილს ძალიან აქტიური **მხარდამჭერები ჰყავს,** რომლებიც ხშირად რეკავენ, დათო სალარიძის მხარდამჭერი უფრო სერიოზული ხალხია, ამიტომ არის ამხელა განსხვავება, მაგრამ, ეფიქრობ, სალარიძე გაიმარჯვებს.

ღამის 11 საათსა 30 წუთზე „რუსთავი-2“-ში გამოდიან პარტიის ლიდერები. ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ იწყება უბედურობები. პირველად გამოვიდა **გოგი თოფაძე** და თქვა, რომ არჩევნები ერთნაირი სცენარით მიმდინარეობდა, რაიონებში, **კერძოდ, საღამოს 7 საათზე გამოირთო შუქი. ამ რამდენიმე საათის წინ მართლაც გამოირთო შუქი, გამოაცხადეს, რომ ენგურჰესის ერთი ტურბინა გაჩერდა. შუქი გამოირთო ვანში, ზესტაფონში, სამეგრელოში.** გოგი თოფაძემ აღნიშნა, **რომ ამ დროს უბნებში შევარდ-**

ნენ შეიარაღებული ჯგუფები და რას პყრიან, ვერ გაიგებთო. თუ ამ მასშტაბის გლობალური გაყალბება მოხდებოდა, არ მეგონაო. ამ დროს ეკა ბერიძემ გამოაცხადა, რომ ოზურგეთის რაიონში ხმების 75% მიიღეს, მოქალაქეებმა".

შემდეგ ირინა სარიშვილი გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ გაყალბება, რა თქმა უნდა, დიდი იქნება. აქ „მოქკავშირის" ხელი ურევიაო, მაგრამ ჩვენ მაინც გავალთო, შემდეგ აღნიშნა, რომ მიშა მაჭავარიანი ესაუბრა „ალორძინებას" რაღაც „კარუსელების" სისტემაზე. ხუთ საათამდე არჩევნები შედარებით ნორმალურად მიმდინარეობდა, მერე ბევრ უბანზე დაფიქსირდა დარღვევები.

შემდეგ გამოვიდა ასლან აბაშიძე. მან განაცხადა, რომ არჩევნებმა აჭარაში ნორმალურად ჩაიარა, მით უმეტეს, როდესაც უყურებ, რა შოუ ხდება მანდო. პრეზიდენტმა განაცხადა, ბნელი ძალა მოდის, რაც საქართველოს ტრაგედია არისო, ამიტომ ხელისუფლებას რაღა დარჩენია, თუ არა გააყალბოს არჩევნები, პირველი ნიშნები იყო ომალოში, ჩვენ გვაქვს უამრავი მასალა, ვთქვათ, შინაგან საქმეთა სამინისტროში რა დავალებები მიიღეს. ამაზე ხვალ ვილაპარაკოთო.

ეკა ბერიძე: – „საიდან გაქვთ ინფორმაციები"?

ა. აბაშიძე: „ეს მოქკავშირს ჰკითხეთ, ეს იმიტომ, რომ იქ განხეთქილებაა და მათგან მომდის, მათი ბანაკიდან. არ შეიძლება დღეს კაცმა ის მოითმინოს, რაც ხდება".

აცხადებენ, რომ ფულს არ ვიხდით ბიუჯეტში, პირიქით, მეტი გვაქვს ჩარიცხული. ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა ტელევიზიით უნდა გავსულიყავით, ანძა გათიშეს. სულ ახლახანს წყნეთში 200 ბიულეტენი ჩაყარეს.

ეკა ბერიძე: – „რა ზომების მიღებას აპირებთ"?

ა. აბაშიძე: –„აქ ლაპარაკია, რა ხარისხის გაყალბებასთან გვექნება საქმე. შეიკრიბება ყველა პარტიის ხელმძღვანელი და მერე მივიღებთ გადაწყვეტილებას".

ეკა ბერიძე: – „რას იტყვით ირინამ რომ თქვა თქვენსა და „მოქკავშირის" შეთანხმებაზე"?

ასლანი ამბობს, რომ ეს ადრე იყო, როცა შემოგვთავაზეს ერთად ყოფნა, ჩვენ ორი პარლამენტი ერთად ვიყავით, მაგრამ ახლა ერთი კანონი არ მიგვაღებინეს, შემდეგ იყო კონკრეტული ნაბიჯები და დავთანხმდი მაჭაჭარიანთან შეხვედრაზე. მან მკითხა, რომ ხომ შეიძლება, რომ ერთად ნავიდეთ არჩევნების დროს. მე უარი ვუთხარი. მან მითხრა, რომ ყველა საშუალებას გამოვიყენებთ და არ ნავალთ ხელისუფლებიდანო.

ეკა ბერიძე: – „თუ იცოდეთ, რომ გაყალბდებოდა, რატომ მიიღეთ მონაწილეობა?

ა. აბაშიძე –„ეს ჩემი მოვალეობა იყო, რომ არ გადაგვედგა სახელმწიფოს საწინააღმდეგო ნაბიჯი. ერთხელ პრეზიდენტს ვუთხარი, რომ შეცდომა დაუშვა, როცა გადაიბირეს 10 დეპუტატი. თუ „მოქკავშირი" ისევ სერიოზულ გაყალბებაზე ნავა, ამას მეტი უბედურება მოჰყვება, მე ჰაერზე სიტყვებს არ ვისვრი".

შემდეგ მიშა მაჭავარიანი გამოვიდა პირველ რიგში, შემიძლია ვთქვა, რომ არჩევნები ჩატარდა. ეს ტონი და განწყობილებები იმიტომ არის, რომ გაამართლონ თავიანთი წარუმატებლობა. არჩევნების დროს იქნება დარღვევები, რომლებიც ფიქსირდება.

ეკა ბერიძე: – „რა მცდელობა იყო თქვენს მოლაპარაკებებზე, რომლის შესახებაც განაცხადა ირინამ".

მიხეილ მაჭავარიანი – „ეს აბსურდია. ბატონ ასლანთან ეს შეხვედრა იყო თებერვალში, მაშინ გართულდა ურთიერთობა ბატონ ასლანთან და ჩავედი, რათა მოგვეხსნა დაძაბულობა.

მამუკა გიორგაძე – „ჩვენი მონაცემები ჯერჯერობით კიდევ კარგია ამ გაყალბებების ფონზე. ჩვენ მზად ვიყავით, რადგან ეს ხელისუფლება ყველაფრის გამკეთებელია. მე უამრავი ფაქტი შემიძლია მოვიყვანო როგორ მოქმედებდა პოლიცია სპეცრაზმების ჩარევით, ბევრ ყუთებში წინასწარ იყო ჩაყრილი ბიულეტენები. ერთ-ერთ ოლქში 12 ათასი ბიულეტენი ჩაყარეს".

შალვა ნათელაშვილმა აღნიშნა, ბევრი გაყალბება არისო.

19 ნოემბერი

მე სპეციალურად არ ვწერდი არჩევნების შესახებ, რადგან ბევრი ემოცია იყო და არ მინ-

დოდა უშუალოდ ჩემი განწყობა გამომეხატა. პარტიული სიებით „მოქკავშირმა" მიიღო 41,75% – 85 დეპუტატი. „აღორძინება" –25,18% –51 დეპუტატი. მრეწველები –7,08% –14 დეპუტატი. უნდა აღვნიშნო, რომ მთელი ხუთი დღის განმავლობაში ნერვები დაანყვიტეს მრეწველებს, რადგან არ აცხადებდნენ შედეგებს, რადგან, როდესაც ამომრჩეველთა რიცხვი იზრდება, პარტიების პროცენტი ეცემა. ბოლოს, ეტყობა, მიხვდნენ, რომ აღარ შეიძლებოდა ამის გაკეთება და მრეწველებმა გადალახეს 7%-იანი ბარიერი, მაგრამ გარეთ დატოვეს „ლეიბორისტები", რომლებმაც რამდენჯერმე გადალახეს 7%-იანი ბარიერი. მათ იჩივლეს უზენაეს სასამართლოში, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს, რაც შეეხება გაყალბებას, დიდი იყო. რაშიც მონაწილეობდა მთელი სახელმწიფო აპარატი, ცენტრალური, საოლქო-საუბნო კომისიები. გაყალბებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა პოლიციამ. 31-ში, საღამოს ხუთ საათამდე, არჩევნები ნორმალურად მიმდინარეობდა. ყველაფერი დაიწყო საღამოს. 8-ს უკლდა 5 წუთი, რომ გამორთეს შუქი მთელ დასავლეთ საქართველოში, რა ხდებოდა, რას გაიგებდი. მე შეიძლება პირადად სიმპათიით არ ვიყო განწყობილი ფრიდონ ინჯიას მიმართ, მაგრამ მარტვილში არჩევნები ორჯერ ჩაშალეს, მაშინ, როდესაც ხალხი აშკარად მას უჭერს მხარს, ჩარევა აშკარაა. ინჯიას და მისი ძმის დაჭერა უნდათ და ალბათ, დაიჭერენ.

განსაკუთრებით გაყალბდა მაჟორიტარული არჩევნები. მაგ., გლდანის რაიონში 20 ათასი ბიულეტენი დაიკარგა. მაჟორიტარების უმრავლესობა „მოქკავშირიდან" გავიდა. გამართლდა, რომ ვამბობდი 30%-ს აიღებს „მოქკავშირი"-მეთქი. შევარდნაძემ პატარა ბიჭივით შემოიარა მთელი საქართველო არჩევნების დროს. მე და ირინა სარიშვილის აზრი ემთხვევა ერთმეორეს, 31 ოქტომბრის არჩევნები, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო არჩევნები იყო. პროპაგანდაც ასეთი იყო. გამართლდა ჩემი სიტყვები, როცა ეჭვი მეპარებოდა, რომ ედუ და „სახალხო" ვერ გავიდოდნენ.

რაც შეეხება ვაკის რაიონს აშკარად შევცდი მიუხედავად იმისა, რომ საკაშვილმა 2 ათასი ხმით მეტი მიიღო. რაც უნდა გაყალბებული ყოფილიყო საკაშვილმა ბევრი ხმა მიიღო. იგი მოეწონათ უფრო როგორც ახალგაზრდა და მებრძოლი, განსაკუთრებით მოსწონთ ახალგაზრდობას. მან რამდენიმე უცხო ენა იცის.

დათო სარალიძეს ხელი შეუშალა იმან, რომ იგი იყო პოლიციის გენერალი.

მინდა გავუსვა ხაზი ერთ გარემოებას, რომელიც მე განსაკუთრებით მახარებს. არჩევნების დამთავრების შემდეგ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ აბაშიძე არ არის ის კაცი, რომელიც რაიმე საფრთხეს შეუქმნის საქართველოსო, ასევე გამიხარდა, რომ ბათუმურმა ალიანსმა" გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის მუშაობაში, ღმერთმა ქნას. თუ რამეზე ენერვიულობ, ენერვიულობ იმის გამო, რომ არ დაიწყოს სამოქალაქო ომი.

17-ში რუსეთის ვერტმფრენებმა დაბომბეს შატილი და მუცო მაშინ, როდესაც მეორე დღეს სტამბოლში ეუთოს სხდომა იმართებოდა. რაც შეეხება 18 ნოემბერს, ბედნიერი ვიყავი, რომ ამ დღეს ბილ კლინტონის თავმჯდომარეობით ხელი მოაწერეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ხელშეკრულებას. ამავე დროს თურქმენეთმა, ყაზახეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა ხელი მოაწერეს გაზსადენის მშენებლობას. ეს იყო უდიდესი დარტყმა რუსეთისათვის. ეუთოს სამიტზე ელცინი ძალიან იმუქრებოდა და იმავე დღეს დატოვა სტამბოლი. დღეს სასიხარულო ამბავი გავიგეთ სტამბოლიდან, რუსეთი დათანხმდა გაიყვანოს საქართველოდან ორი ბაზა – ვაზიანისა და გუდაუთის და დაიწყოს მოლაპარაკება ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გაყვანის შესახებ.

არ შეიძლება, რომ ყველა ქართველს არ უხაროდეს ასეთი წარმატებები და ის თუ, როგორ ხვდება კლინტონი შევარდნაძეს და ასევე სხვა პრეზიდენტები, ნამდვილად მეამაყება. გული მწყდება, ასეთი მასშტაბის პოლიტიკოსს, როგორ ეშლება საშინაო პოლიტიკაში. ვნახოთ, ახლა რას იზამს, როცა დამთავრდა არჩევნები. შუქი აღარ არის, დიზელი, ბენზინი, ნავთი საშინლად გაძვირდა. ბიუჯეტი არ სრულდება, ლარი უფასურდება 31-ში ლარი 1-80-85 იყო დოლართან მიმართებაში, დღეს –2,04.

20 ნოემბერი

დღეს გაიხსნა პარლამენტის სხდომა, რომელიც, როგორც უხუცესმა, გახსნა იოსებ ხარატიშვილმა. სიტყვა წარმოთქვა შევარდნაძემ, რომელმაც მიმოიხილა არსებული მდგომარეობა და ყველას მოუწოდა თანამშრომლობისაკენ. შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს **ზურაბ ჟვანია.** დღეს მას ალტერნატივა არ ჰყავს და მართლაც ეკუთვნოდა ეს თანამდებობა. ისევ ვიმეორებ, ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეჭვი მეპარება, რადგან არიან ძალები, რომელთაც არ აწყობთ ნორმალური ვითარება. მაგალითად, როდესაც მთავრდებოდა სესია, ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ მას ეშინია არეულობის და რომ, აღარ მახსოვს, მე მგონი, ნალენჯიხაში თუ ჩხოროწყუში ყველა თუ არ ჩავალთ, იქ არეულობა მოხდებაო. მერე გამოვიდა **სააკაშვილი** და თქვა, **რომ ყველა ლაპარაკობს იმაზე, რომ ვიღაც დაჭრეს და სცემეს, მაგრამ არავინ ლაპარაკობს** იმ **გმირობაზე, რომლებმაც გადაარჩინეს** დღეს საქართველო არეულობას და, რომ ერთი პოლიციის თანამშრომელი სასიკვდილოდ დაჭრეს და მთელ პოლიციას მადლობა უნდა ვუთხრათო. მერე გამოვიდა ვახტანგ ბოჭორიშვილი. მან თქვა, რომ ეთანხმება სააკაშვილს და ამ პერიოდში მართლაც დასაფასებელია პოლიცია, მაგრამ არის სხვა შემთხვევები, როდესაც ისინი ძალლებს უსევდნენ და სცემდნენ ხალხს, ამიტომ ცოტა მორიდება არის საჭირო. მე, პირადად, მიშა სააკაშვილს თავიდანვე დიდ პატივს ვცემდი, როგორც ახალგაზრდას და მებრძოლს, მინდა პატივი ვცე დღესაც, მაგრამ მარტო ერთის მხრივ დემაგოგია და რადიკალიზმი ცოტა უხერხულია. ღამით ვკითხულობ გაზ. „ევროპას", ელცინმა, რომელიც სტამბოლის ეუთოს სამიტზე იყო, მკაცრად მოითხოვა, რომ ჩეჩნეთის გამო არ ჩარეულიყვნენ რუსეთის საქმეებში. ბილ კლინტონმა უპასუხა, „ჩემო მეგობარო ბორის, ჩემი, როგორც მსოფლიო მოქალაქის, ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო, ის დრო, როცა თქვენ 1991 წელს ტანკზე იყავით ასული და აცხადებდით: „ჩემ ხალხს შეიძლება წაართვან თავისუფლება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა მე მომკლავენ". წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, დასავლეთს რომ ყურად არ ეღო თქვენი ხმა და ამ საკითხს მიდგომოდა, როგორც რუსეთის საშინაო საქმეს".

27 ნოემბერი

25 ნოემბერს გაგრძელდა პარლამენტის სხდომა. ვიცე სპიკერებად აირჩიეს **ელდარ შენგელაია, ედუარდ სურმანიძე, აჭარიდან – როსტომ ჯაფარიძე, აფხაზეთიდან – ყოლბაია.** დაამტკიცეს ერთი ვიცე-სპიკერის თანამდებობა, რომელიც ოპოზიციას ეკუთვნოდა, მაგრამ **ვახტანგ რჩეულიშვილის** კანდიდატურაზე უარს აცხადებენ, რადგან გორში, მიტინგზე ვახტანგ რჩეულიშვილმა პრეზიდენტი და „მოქკავშირი" თავის სიტყვაში რამდენჯერმე ისტორიულ სანაგვეზე გაუშვა. ვიცე-სპიკერის არჩევნები ორი კვირით გადაიდო. ორი დღის განმავლობაში აირჩიეს 16 კომიტეტი, ყველა თავმჯდომარე „მოქკავშირიდან", ასევე პირველი მოადგილეები „მოქკავშირიდან". ოპოზიციას აძლევენ მხოლოდ მოადგილეების თანამდებობას, რაზედაც იგი უარს აცხადებს. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ჟვანიას საკმაოდ დამაჯერებლად მიჰყავს სხდომები. მას კარგად ესმის შექმნილი სიტუაცია. მე მხოლოდ ერთ მომენტს ვუყურე –26-ში ვახტანგ რჩეულიშვილმა ითხოვა, რომ, თუ შესაძლებელი იყო, „ბათუმური ალიანსის" ფარგლებში გადანაწილებულიყო კეოტები კომიტეტებში, რადგან ფრაქციებში ხშირად ერთი და იმავე სპეციალობის ხალხი არისო. სააკაშვილმა თქვა, რომ ეს არ შეიძლება, დაირღვევა ამით ყველაფერიო. ჟვანია სწორად მიხვდა, რომ აქ საუბარი იყო იმაზე, რომ სპეციალისტები მისულიყვნენ იქ, სადაც საჭირონი იყვნენ და მხარი დაუჭირა რჩეულიშვილს. თუ ასე წარიმართება ურთიერთობა, ეს მისასალმებელია, მაგრამ მეეჭვება, არადა, ახლა საჭიროა ერთიანობა, რადგან რუსეთი ძალზე გააქტიურდა. ჩეჩნეთი საშინელ დღეშია. დღეს აჩვენებენ, როგორ ბომბავენ გროზნოს, ფაქტობრივად, ქალაქი აღარ არსებობს, სანყალი მშვიდობიანი მოსახლეობა. რუსეთი მოაგვარებს ჩეჩნეთის საკითხს თუ არა, გააქტიურდე-

ბა საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ამჟამად თითქმის ყოველდღე რუსეთის ტელევიზიაში რუსეთის სამხედროები ახსენებენ საქართველოს, კერძოდ, აცხადებენ, რომ აქედან ვატარებთ ტერორისტებს, ხან ჩეჩნების დაჭრილებს ვმკურნალობთ, ასე რომ, რუსეთში საზოგადოებრივ აზრს ამზადებენ ჩვენს წინააღმდეგ.

2 დეკემბერი

გუშინწინ დილით მარტვილში სპეცდანიშნულების რაზმმა დააკავა დავით ინჯია. დღეს ის ბრალდებულად ცნეს და მოათავსეს უშიშროების იზოლატორში –ემუქრება 3-15 წელი. რა თქმა უნდა, როცა მარტვილში მეორედ არჩევნები არ ჩატარდა, აშკარა იყო, რომ ინჯიებს დაიჭერდნენ. ფრიდონი თვითონ სტრასბურგში იმყოფება. ეს აშკარა პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. მართალია, დიდ პატივს არ ვცემ ფრიდონ ინჯიას და საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ ადრე ერთი ინტერვიუს გამო არ მიყვარს, კერძოდ, ყველამ იცოდა, რა ფულის პატრონი იყო და ინტერვიუში თქვა, ბავშვის ატესტაციისთვის 2 დოლარი როგორ უნდა გადავიხადოო. მიუხედავად ამისა, რასაც ხელისუფლება აკეთებს, ეს დაუშვებელია. ასე მათ შეუძლიათ ყველა დაიჭირონ.

3 დეკემბერი

დღეს შესრულდა ხუთი წელი გიორგი ჭანტურიას მკვლელობიდან. საწყალი, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ, მდგომარეობა სხვანაირი იქნებოდა. ის იყო მართლა შეუპოვარი, არ ერიდებოდა არავითარ ავტორიტეტებს. მისი გაჩერება მხოლოდ ტყვიით შეიძლებოდა და ამიტომაც მოკლეს.

8 დეკემბერი

გუშინ ბატონ როინ მეტრეველს 60 წელი შეუსრულდა. ის ესპანეთში იმყოფება. მე ჟიურის სხდომა მქონდა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭებინა ბატონი როინ მეტრეველის რედაქციით გამოცემული „ქართული დიპლომატიის ისტორიის საკითხებისათვის". გუშინ ტელეფონით მივულოცე დაბადების დღე.

რამდენიმე სიტყვით მინდა აღვნიშნო, რომ როინ მეტრეველმა ამ განვლილ წლებში ძალზე დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ჩემთვის მაინც მთავარი ის არის, რომ 1991-92 წლებში. დაპირისპირებული ბევრი პროფესორ-მასწავლებელი ერთმანეთს არ გადაეკიდა და დღეს ერთმანეთს პატივს სცემენ. ეს იმის გამო, რომ რექტორი ორივე მხარეს პატივიცემით ეპყრობოდა და ეხმარებოდა თავის თანამშრომლებს განურჩევლად ვინ ვისი მომხრე იყო. დანარჩენი, რაც ამ წლებში გაკეთდა, დროულად ხელფასები, შუქი, გათბობა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სხვა, ამაში მისი როლი ძალზე დიდია. არ მინდა ბევრი დავწერო იმის გამო, რომ დეკანი ვარ და არ მინდა მკითხველმა იფიქროს „ეპადხალიმება" რექტორსო. საბოლოოდ, მინდა ვუსურვო მას და მის ოჯახს ბედნიერება. ახლა ტელევიზიით აჩვენეს რუსეთ-ბელორუსიის გაერთიანების ხელშეკრულების ცერემონიალი. ელცინი ისე დაბარბაცდა, ხელი რომ არ შეეშველებინათ ნაიქცეოდა. აშკარაა, ელცინი ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას.

ჩეჩნეთში 11 დეკემბრამდე გროზნოს მოსახლეობას ვადა მისცეს დატოვონ ქალაქი. თუ არადა, გაანადგურებენ ჰაერიდან, ქალაქში 50 ათასი მოსახლეა დარჩენილი. კლინტონმა რუსეთი გააკრიტიკა ამ პოლიტიკის გამო.

ძალზე გული დამწყდა, როდესაც შევიტყვე, რომ გარდაიცვალა აკაკი ბაქრაძე, ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ის არასოდეს არ გამხდარა იმ „ინტელიგენციის" წარმომადგენელი, რომლებმაც, კარგად რომ ეცხოვრათ, ყველაფერი გაყიდეს და, რაც მთავარია, ნამუსი.

9 დეკემბერი

ახალ ამბებს ვუყურებდი და აჩვენეს ირინა სარიშვილი, რომელმაც ანალიზი გაუკეთა „რუსთავი-2"-ის კვირის გადაცემას. ეს იყო აკაკი გოგიჩაიშვილის „60 წუთი", სადაც საუბარი იყო ენერგომაფიაზე. ირინამ აღნიშნა, რომ უმრავ-

ლესობის ლიდერი დაეტაკა კანცელარიასო. აქ ცუდი არაფერი იყო. აჩვენეს სააკაშვილი, მისი ნათქვამი არ მომეწონა ირინაზე –„პოლიტიკური საფლავიდან მოსაუბრე ადამიანზე რა უნდა ვთქვაო, რაც უფრო მეტად ილაპარაკებს, უფრო გაითხრის საფლავსო, რომელშიაც თავისი ინიციატივით მოხვდაო". ირინამ აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სამინისტრო არ არის მთავარი მაფია და რატომ ებრძვის მას სააკაშვილი, ალბათ, იმიტომ, რომ თავისი ხალხით დააკომპლექტოსო. სააკაშვილმა მას „პოლიტიკური კახპა" უწოდა, ეს გადმოსცა „კურიერმა".

ვუყურებ, ელცინი ჩავიდა პეკინში და განაცხადა, კლინტონს დაავიწყდა, რომ რუსეთს ბირთვული იარაღი აქვსო.[1] „ნტვ"-მ აღნიშნა, რომ ხრუშჩოვის შემდეგ ასეთი განცხადება არავის გაუკეთებიაო. სამშაბათს, 7 დეკემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" ინტერვიუა შევარდნაძესთან. აქ ის საუბრობს კორუფციაზე და მას „ჩვენი სახელმწიფოს ორგანიზმის „ავთვისებიან სიმსივნეს" უწოდებს. „თუ ეს სენი, საზარელი მანკი, უახლოეს მომავალში ვერ დავძლიეთ, თუ იგი არ ამოვწვით (საჭიროების შემთხვევაში) მხურვალე შანთითაც, ცეცხლით და მახვილითაც საქართველოს ცივილიზებულ ერს მომავალი არა აქვს".

როცა ეს თქვა, უცებ იმედი გამოჩნდა, რომ რაღაც გაკეთდებოდა, მაგრამ ის, რაც ორი დღეა ხდება, ამ იმედსაც მიქრობს. ორი დღეა ტელევიზიით გამოჰყავთ გუბერნატორები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ კომისიები შეუქმნიათ კორუფციის წინააღმდეგ. ეს ალბათ ისევ კომუნისტებისდროინდელ კამპანიებს დაემსგავსება, როცა ბაჭიებს იჭერდნენ. ახლა ორი დღეა საუბრობენ კულტურის მინისტრის მოადგილეზე, საწყალი კაცია, 68 წლის, რომელსაც ბრალდება, რომ მინისტრის მანქანის ყიდვისას 11 ათასი ლარი ზედმეტი გადაიხადა სამინისტროშიო. სასაცილოა, ხალხს მილიონები აქვს შეჭმული.

10 დეკემბერი

„კურიერმა" გადმოსცა, რომ საღამოს 7 საათზე დოლიძის ქუჩაზე თავს დაესხნენ მიშა სააკაშვილს. სოსო ალავიძემ განაცხადა, რომ მანქანა და ნომრები იციან. მე გუშინ ჩემ ცოლს ვუთხარი, როდესაც სააკაშვილმა სარიშვილს „პოლიტიკური კახპა" უწოდა, მაგას არ შეარჩენენ-მეთქი. რა თქმა უნდა, ეს თავდასხმა მის მოსაკლავად არ იყო მოწყობილი. ესენი იქნებოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც პატივს სცემენ ირინას, სააკაშვილი ყვება, რომ კოსტიუმი შემოახიეს, ისიც თქვა, ისინი პროფესიონალი მკვლელები არ იყვნენო. მან განაცხადა, რომ ახლა დამირეკეს და მითხრეს, ერთ-ერთი მათგანი ედპ-ს წევრი არისო.

ირინას აჩვენებენ. მწყინს საერთოდ, როცა ადამიანს ცემენო. სააკაშვილმა განაცხადა, „მე მინდა ვუთხრა ამ ცინიკოს ქალბატონს, რომ როგორ შეიძლება ასეთი ხალხი მოვიდესო ქვეყნის სათავეში. ეს კრიმინალური ბანდებია. პარტიებს, რომლებსაც კავშირი აქვთ მათთან, ჩვენ გავანადგურებთო.

ჩემი აზრით, სააკაშვილს ერთი დიდი რამე ეშლება, რომ გია ჭანტურიას მეუღლეს, თვითონ ტყვიადახლულ ქალბატონს „პოლიტიკური კახპა არ უნდა უწოდოს".

დღეს პარლამენტში გიორგი ბარამიძე უნდა დაენიშნათ შემოსავლების სამინისტროს მინისტრად, მაგრამ მან მოითხოვა შეენარჩუნებინათ დეპუტატობაც, ამას კი სჭირდებოდა საკონსტიტუციო ცვლილებები. აქ სააკაშვილმა ძალზე კარგად თქვა, რომ ბარამიძე ჩემი მეგობარია, მაგრამ მის გამო საკონსტიტუციო შესწორებები საჭირო არ არისო.

დღეევანდელ „რეზონანსში" უკვე ნერია, რის გამო მოხდა კონფლიქტი სარიშვილსა და სააკაშვილს შორის. სარიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი „საქგაზის" ყოფილი მეპატრონის, დავით ბეჟუაშვილის მფარველია. მისი აზრით, „მოქალაქეთა ფრაქციის" თავმჯდომარის მხრიდან ენერგეტიკის ყოფილ მინისტრებზე მიტანილი იერიშები ბეჟუაშვილის მინისტრად დანიშვნას ემსახურებოდა.

---

[1] ამან გადაწყვიტა, ალბათ, მალე მისი ბედი.

11 დეკემბერი

დღეს „რუსთავი-2"-ში იყო ინტერვიუ **გია ბარამიძესთან.** მან თქვა, რომ არ უთქვამს, ჩემს გამო შეიცვალოს კონსტიტუციაო, ამაზე ლაპარაკი იყო 1995 წლიდან. ამ არჩევნების შემდეგ ამისკენ მიდის საქმე და როცა ლაპარაკი იყო ჩემს მინისტრობაზე ეს უნდა მომხდარიყო ერთდროულადო.

დავით კიკალიშვილი ეკითხება – „რაში გჭირდებოდათ დეპუტატის იმუნიტეტი".

გიორგი ბარამიძე – „თქვენ იცით, რა ძალებზეა საუბარი, მე მივდიოდი საომრად".

პირველად ვუყურებ ლევან ბერძენიშვილის გადაცემას „მჯერა". მან თქვა, რომ ერთმა პოლიტიკოსმა (სააკაშვილს გულისხმობს, მ. ვ.) იხმარა ისეთი სიტყვები, რომ პოლიტიკურ კულტურაზე ლაპარაკი ზედმეტია და, აგრეთვე, როგორ შეიძლება, რომ პარტია ვერ მოხვდეს პარლამენტში და ამით საფლავი გაითხაროსო. მერე აღნიშნა, რომ კორუფციის თემასთან დაკავშირებით სახელმწიფომ ილაპარაკოს კულტურის სამინისტროს ერთ „ვოლვოზე" და თან ხელფასებს არ ურიგებენ სამინისტროში და შენ სამინისტროს ჰყავს უამრავი ასეთი მანქანა (იგულისხმება შსს, მ. ვ.). მოკლედ, მომეწონა ლევან ბერძენიშვილი.

დღეს დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს აკაკი ბაქრაძე. გული მტკივა, გავა წლები და მხოლოდ მერე დააფასებენ, რადგან ეს, სამწუხაროდ, გენიოსების ხვედრია.

31 დეკემბერი

სიმბოლურია, როდესაც ამ რვეულს ზუსტად 31 დეკემბრის ჩანაწერით ვამთავრებ. **მართალია, შეუძლოდ ვარ და ლოგინში ვწევარ, მაგრამ საოცრად ბედნიერი ვარ, ჯერ ერთი, სულ არ მეგონა, რომ 2000 წლამდე ვიცოცხლებდი ჩემი მშფოთვარე ცხოვრების გამო. 1999 წელი ბედნიერი იყო იმიტომ, რომ ჩემმა ბიჭმა დიმიტრიმ ცოლი მოიყვანა, გადასარევი გოგონა ნათია ჩიქოვანი, რომელიც ფეხმძიმედ არის. რა არის ცხოვრება, სიკვდილის არასოდეს მეშინოდა, ახლა კი კურდღელივით ვწევარ, ისე მინდა შვილიშვილს მოვესწრო. ბედნიერი ვარ. გული მტკივა, რომ ამდენი გაჭირვებულია გარშემო, მართალია, ჩემს ახლობლებს ყველას ვეხმარები, მაგრამ სანყალი ხალხი ძალიან მძიმე დღეშია.**

დღევანდელი დღის სიურპრიზი იყო **ბორის ელცინის გადადგომა.** მართალია, ცოცხალმკვდარივით იყო, მაგრამ, როცა ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ ახლა ის პრეზიდენტი აღარ არის, მას 6 თვე ჰქონდა დარჩენილი, მან დიდი საქმე გააკეთა, რადგან დაუშვა პრეზიდენტის გადადგომის პრეცენდენტი და თან 31 დეკემბერს. გული დამწყდა ჩემს იმ ათ წელზე, როგორ მალე გაირბინა, ფაქტობრივად, ელცინთან ერთად. **საცოდავი სანახავი იყო, არადა, როგორი შემართული და ვაუკაცური ჩანდა, განსაკუთრებით 1991 წლის აგვისტოს, ტანკზე ამხედრებული.** მის მოვალეობას შეასრულებს **პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, რომელმაც რამდენიმე** თვის **განმავლობაში საოცარი პოპულარობა მოიპოვა. ამას ეპოქამ შეუწყო ხელი. რუსეთს სჭირდება ახალგაზრდა (47 წლის არის, მ. ვ.), მტკიცე ხელი, გენერალი, სპორტსმენი. ასეთი თუ გადაარჩენს მას. რუსეთი კორუფციის ჭაობშია, მძვინვარებს ბანდიტიზმი. პუტინმა განსაკუთრებული პოპულარობა ჩეჩნეთის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის გამო მოიპოვა, როდესაც არ აპატია დაღესტნის ამბები და აფეთქებები. მთელი რუსეთის საზოგადოება შეიკრა იდეოლოგიურად მის გარშემო.** მარტის არჩევნებში მას მონინააღმდეგე არ ჰყავს. მხოლოდ ერთი წინააღმდეგობაა –ჩეჩნეთის კამპანია არ უნდა გაჭიანურდეს, რაც შეეხება საქართველოს, **2000 წლს არის პრეზიდენტის არჩევნები. შევარდნაძეს, ფაქტობრივად, არ ჰყავს მოწინააღმდეგე, მაგრამ მან არჩევისთანავე უნდა იფიქროს მემკვიდრეზე, რომელსაც ალტერნატივა არ ეყოლება.** ეს ორი დღეა ვაჟა ლორთქიფანიძე იყო ბათუმში, ძალიან კარგი, თუ ურთიერთობები დათბა. რამდენიმე დღის წინ **მიშა მაჭავარიანი** დანიშნეს შემოსავლების მინისტრად. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. **მიშა მართლა კარგი ბიჭია. მას ურთიერთობა შეუძლია მეტოქეებთან და კორექტულია, ვაუკაცური და, რაც მთავარია, პატიოსანია. ისე ხელისშემშლელი ბევრი ეყოლება.**

2000 წელი

3 იანვარი

დღეს შევარდნაძემ გამართა პირველი ბრიფინგი. ძალიან მომეწონა, როდესაც განაცხადა, რომ აჭარას შეუნარჩუნდებოდა ის შეღავათები, რაც ჰქონდა, კერძოდ, ბიუჯეტიდან საბოლოოდ 40% რჩებოდა. ბევრი ურჩევდა შევარდნაძეს, რომ შეენყვიტათ ეს შეღავათები. მე, პირადად, იმიტომ მომეწონა, რომ შევარდნაძე არ აპირებს ამჟამად კონფრონტაციას აბაშიძესთან.

ამავე საღამოს „კურიერში" ასლან აბაშიძემ შევარდნაძის ეს განცხადება დიდად დააფასა და აქცენტი გარკვეულ ჯგუფზე გადაიტანა, რომლებიც კონფრონტაციის მომხრე იყვნენ. საუბარი ისევ თხილის ბიზნესს შეეხება, რომლითაც პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილია დაინტერესებული. **არ მიყვარს ქართველთა შორის დაპირისპირება, ისტორიაში სწორედ ამ დაპირისპირებამ დაგვღუპა.** როდესაც შევარდნაძემ ასეთი განცხადება გააკეთა, ამ დროს სრულიად მოულოდნელი იყო მის მიერ „მოქკავშირის" **გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლად ედუარდ სურმანიძის დანიშვნა. სურმანიძე ცუდი ბიჭი არ ჩანს, საკმაოდ გონებამახვილია და სასიამოვნოდ საუბრობს, მაგრამ ის ყოველთვის გაამწვავებს ურთიერთობას აბაშიძესთან.**

22 თებერვალი

დიდი ამბებია პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით. ჯერ ისეთებმა შეიტანეს განაცხადი პრეზიდენტობაზე, რომ სასაცილოა, ბოლოს კი შეიტანეს ასლან აბაშიძემ და ჯუმბერ პატიაშვილმა.

დღეს შევარდნაძე ჩავიდა ბათუმში. ნამდვილად მივესალმები ასეთ შეხვედრებს. საჭიროა, რომ მოილაპარაკონ, რათა არჩევნები კორექტულად ჩატარდეს და არა ისე, როგორი ლანძღვა-გინებაც იყო პარლამენტის არჩევნების დროს.

25 მარტი

დიდი ხანია არაფერი დამიწერია. სიმართლე გითხრათ, მომბეზრდა ეს ჩანაწერები, ისევ საზიზღრობები ხდება, რადგან ჯუმბერ პატიაშვილი ყველაზე რეალური კანდიდატურა გახდა და იმწუთშივე დაიწყეს **საუბარი 9 აპრილის მოვლენებზე. გაზეთები აჭრელებულია ცხრა აპრილის ამბებით. ამავე დროს, სპეციალურად ჩამოიტანეს სობჩაკის[1] არქივი 9 აპრილის შესახებ. მამუკა გიორგაძემ პირველმა თქვა ვაკის პარკში გამართულ მიტინგზე, რომ შევარდნაძე, როგორც პოლიტბიუროს წევრი, დამნაშავე იყო 9 აპრილის მოვლენებში, ამიტომ მისი მომხრეები ცდილობენ გაამართლონ შევარდნაძე და, ამავე დროს, აქცენტი გადააქვთ 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე. სასაცილო კი ის არის, რომ ტელევიზიით გამოდის ბატონი რისმაგ გორდეზიანი და საუბრობს ხელისუფლებასა** (შევარდნაძესა, მ. ვ.) **და ახალგაზრდობას შორის ფაქტობრივ კავშირზე 1978 წლის 14 აპრილს, რაც სასაცილოა და ამას საუბრობს პიროვნება, რომელსაც ძალიან პატივს ვცემ როგორც მეცნიერს, მოქალაქეს.** ეს იგივეა ჯანსუღ ჩარკვიანმა რომ თქვა, **1978 წელს შევარდნაძის სიტყვები რომ გადავეცით სტუდენტებს, ტაში დაგვიკრესო** მაშინ, როდესაც მართლაც უთხრეს მათ შევარდნაძის სიტყვები სტუდენტებს, ისინი აღშფოთდნენ და, ფაქტობრივად, უნივერსიტეტის ეზო დაატოვებინეს. **მე ამ დროს იქვე ვიდექი, რამდენიმე მეტრში ივ. ჯავახიშვილის ძეგლთან.**

ამ ერთი კვირის წინ ბაზრიდან დამირეკეს ჩემმა მეგობრებმა ანდრო ჭელიძემ და ლერი გამრეკლიძემ, საჭმელს ვყიდულობთ და ღვინო წამოიღეო. თურმე „ჩორტიკას" —იგივე დათო გურგენიძეს ჰქონია 100 დოლარი და უნდა დავხარჯოო (რა იცოდა ლერი გამრეკლიძემ, რომ ის 100 დოლარი მისი ყოფილა, გურამ საღარაძეს გადაუცია მისთვის, ლერის მიეციო, ვალი ჰქონდა, მ. ვ.), მოკლედ, **ავედით ოქროყანაში ლერისთან სახლში, ლერის ბავშვობის მეგობარი არის ელიზბარ ჯაველიძე, რომელმაც მოიყვანა მუხრან მაჭავარიანი,** ცოტა ხანში მოვიდა ჯუმ-

[1] ანატოლი სობჩაკი იყო 9 აპრილის მოვლენის შემსწავლელი კომისიის თამჯდომარე.

ბერ პატიაშვილი და რამაზ გოგლიძე. მე ხელი ჩამოვართვი ბატონ ჯუმბერს, მომერიდა რომ გადამეკოცნა, ვიფიქრე, არ მიცნობს-მეთქი, მაგრამ თვითონ გადამკოცნა და მითხრა, ბატონო მერაბ, როგორ ბრძანდებითო. ძალიან გამიხარდა. დიდხანს ვიქეიფეთ. ჯუმბერ პატიაშვილს აქვს ძალზე სხარტი გონება, ძალზე ეაუკაცურია, ეს ელემენტი ქართულ პოლიტიკაში აღარ ჩანს, რადგან ბევრი არაკაცური პიროვნება მოვიდა პოლიტიკაში და, რაც მთავარია, მას განსაკუთრებულად უყვარს თავისი სამშობლო და უნდა მისთვის სიკეთე გააკეთოს. სულაც არ უნდა ისტორიაში შევიდეს მხოლოდ როგორც 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებული ტრაგიკული ფიგურა. პატიაშვილი ის კაცია, რომელიც ბოლოს მოუღებს დღევანდელ კორუფციას და მაფიებს. შევარდნაძეს შეეძლო მის გამოყენება. ჩემი აზრით, ეს მთავარი თვისება დაინახა მასში ასლან აბაშიძემ.

გუშინ უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მოვიდა მიშა საკაშვილი და შეხვდა სტუდენტებს. მე ძალიან მაინტერესებდა, ბოლოს და ბოლოს, რა პიროვნებაა ეს საკაშვილი, რომელმაც ახლახან პირდაპირ, უშიშრად ხელთათმანი ესროლა პროკურატურას და უნოდა გახრწნილი და კორუმპირებული ორგანიზაცია. მასთან ერთად უნივერსიტეტში მოვიდნენ ვასიკო მაღლაფერიძე და ზაზა დვალი. მისი საუბარი საკმაოდ საინტერესოა, შეუძლია ახალგაზრდობასთან ურთიერთობა, შესახედავად სიმპათიურია და ზეგავლენას ახდენს მასაზე, მაგრამ, ბოლოს, ძალზე აღელდა, როდესაც მის საწინააღმდეგო აზრებს ეუბნებოდნენ და ასეთ დროს თავს ვერ იკავებს. მას სჭირდება თავშეკავება, რომელიც, ალბათ, ასაკთან ერთად მოვა. მე მივესალმები-ხოლმე რეფორმატორთა წამოწყებებს, მაგრამ, შესაძლებელია, რომ ერთი უკიდურესობიდან გადავიდეთ მეორე უკიდურესობაში. მაგ., გუშინ გაზ. „7 დღე"-ში სათაურით „უნივერსიტეტი სიბნელის პროფექტორად იქცა", ავტორი ეკა კვერენჩხილაძე წერს –„შემაშფოთებელია, როცა კარგად ორგანიზებულ რეაქციულ ძალად სწორედ სტუდენტობა ყალიბდება, მათი ორგანიზებულობა კარგად წარმოჩნდა საქართველოდან ეროვნული საგანძურის გატანის ამბებთან დაკავშირებით და იეღოველთა წინააღმდეგ მიტანილი იერიშის დროს... თუმცა რეფორმატორები დღეს მხარდაჭერასა და საყრდენს სწორედ მათში ხედავენ, რამდენიმე ღონისძიება უკვე მიუძღვნა ზურაბ ჟვანიამ და საკაშვილმა „ავირჩიოთ ჩვენი მომავალი".

ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, საიდან მოდის ეს სტატია. ნუთუ სტუდენტობამ, რომლებმაც დაიცვეს განძი და იცავენ მართლმადიდებლურ ქართულ ეკლესიას, თურმე ბნელი ძალები არიან. შევარდნაძეს არაფერი ადარდებს, რადგან დიდი მხარდაჭერა აქვს საზღვარგარეთიდან. საქართველოში ჩამოვიდა უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რომელიც 16 მარტს იყო უნივერსიტეტში. მე ვესწრებოდი ამ შეხვედრას, ამავე დროს, გუშინწინ ორი დღით ჩამოსული იყო აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, ჩამოსვლას აპირებს გერმანიის კანცლერი შროიდერი.

8 აპრილი

როგორც ვწერდი, ჩამოვიდა გერმანიის კანცლერი შროიდერი, მანამდე სომხეთის პრეზიდენტი ქოჩარიანი. ძალზე მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის უფროსის ტენეტის ჩამოსვლა. ამით აშშ-მ აგრძნობინა რუსეთს, რომ ისე ადვილად, როგორც ადრე ხდებოდა გადატრიალებები, აღარ განმეორდებოდა. რაც შეეხება რუსეთს, 25 მარტს იქ გაიმარჯვა ვლადიმერ პუტინმა. ეს ძალზე საშიშია საქართველოსთვის, რადგან პუტინი არ არის დაუძლურებული ელცინი. ის 47 წლისაა, საკმაოდ კარგ ფორმაშია, არის კარატისტი, კარგი მოთხილამურე. პუტინი სამხედრო-რეაქტიული თვითმფრინავით ჩაფრინდა გროზნოში. რუსეთი საშიში ხდება, რადგან ის, ფაქტობრივად, გარიცხეს ევროსაბჭოდან. 50 წლის განმავლობაში ასეთი შემთხვევა ევროსაბჭოს არ ჰქონია. კენჭისყრის დროს საქართველომ თავი შეიკავა, მაგრამ, ფაქტობრივად, ამით მხარი დაუჭირა რუსეთის წინააღმდეგ რეზოლუციას. რუსეთის დელეგაციამ დატოვა სტრასბურგი. პარლამენტის თავმჯდომარემ სელეზნიოვმა განაცხადა, რომ რუსეთი ევროსაბჭოს გარეშეც შეძლებს არსებობასო. რა თქმა უნდა, ეს ძალიან საშიშია საქართველოსთვის. სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ

შევარდნაძემ, აბაშიძემ, ჟვანიამ გამოიჩინეს დიდი გამჭრიახობა, როდესაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ბათუმში. მე მივესალმები ამ შეხვედრებს, სწორედ ამის გამო ვნერვიულობდი, რომ არ მოხდეს უბედურება. დღეს ასლან აბაშიძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. აბაშიძესა და პატიაშვილს შორის მოხდა გაუგებრობა. აღმოჩნდა, რომ პატიაშვილის კანდიდატურის წამოყენება პრეზიდენტობის კანდიდატად აბაშიძემ შეიტყო მხოლოდ ერთი საათით ადრე. ჯუმბერ პატიაშვილს, კიდევ ვიმეორებ, დიდი სურვილი აქვს გააკეთოს სიკეთე საქართველოსთვის, მაგრამ მის გვერდით არიან ისეთი ხალხი, მაგალითად მარგიანი, რომელმაც განაცხადა, პატიაშვილი პრეზიდენტი უნდა იყოს და როინ ლიპარტელიანი ვიცე-პრეზიდენტი და საკუთარი თავი, ალბათ, მინიმუმ, ვიცე-პრემიერად მოიაზრა. ასეთი ძალები თუ მოვა პატიაშვილთან ერთად, ეს ჩემთვის მიუღებელია.

4 აპრილს, როდესაც უნივერსიტეტში მივედი, რექტორმა **რონი მეტრეველმა** მოულოდნელად წამიყვანა ახალციხეში. აღმოჩნდა, რომ შევარდნაძე ჩამოდიოდა თსუ-ს ახალციხის ფილიალში. მე ქურთუკით ვიყავი და ვცდილობდი ახლოს არ ვყოფილიყავი, მაგრამ ბადრი ხატიძემ და შევარდნაძის დაცვამ ძალად დამსვა სტუმრებთან, ფაქტობრივად, შევარდნაძის გვერდით. უნდა აღვნიშნო, რომ წლები შევარდნაძეს საერთოდ არ ეტყობა და მშვენივრად გამოიყურება.

დღეს კიდევ ერთი დიდი ისტორიული დღე გახლავთ. რამდენიმე კაცი სასიკვდილოდ შიმშილობს ციხეში. დილას თავი უნდა მოეკლა ოთხ კაცს, ესენი ე. წ. „ზვიადისტები" არიან. მათ შორის იყო სამტრედიის ყოფილი პრეფექტი **ზვიად ძიძიგური.** შიმშლილობს საკმაოდ ბევრი, მათ შორის **ლოთი ქობალია, გურამ აბსანძე** და სხვები. დღეს შევარდნაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტი რომ გავხდები, გამოვცემ ან შენყალებას, ან მანიფესტს მათ გასანთავისუფლებლადო, რათა მოხდეს დიდი შერიგება. ამის დასადასტურებლად **ზურაბ ჟვანია** მივიდა ციხეში მოშიმშილეებთან. **საუბარი სამ საათს გაგრძელდა და მოხდა შეთანხმება, მათ შიმშილობა შენყვიტეს. ეს უდიდესი მოვლენაა. ეს დაპირისპირება უნდა დამთავრდეს. მე ისევ აღვნიშნავ, რომ ზურაბ ჟვანია არის ძალიან ჭკვიანი და ერთ-ერთი** საუკეთესო პოლიტიკოსი. ამავე დროს, აღვნიშნავ, რომ **ასლან აბაშიძე არის საქართველოსათვის თავდადებული პიროვნება, რომლის ძარღვებშიც დუღს მემედ აბაშიძის და ჰუსეინ ბეჟანიძის სისხლი, იმ პატრიოტების სისხლი, რომლებმაც მთელი ცხოვრება საქართველოს ბედნიერებას შესწირეს.**

რაც შეეხება შევარდნაძეს, მის ცხოვრებას ზუსტად წარმოაჩენს ჩემი ჩანაწერები. მე გულწრფელად მივესალმე მის ჩამოსვლას, მაგრამ შემდეგ „მხედრიონის" და ბანდიტების თავაშვებულობამ, აფხაზეთში მარცხმა შემირყია მისადმი რწმენა. შემდეგაც, 1995 წელს, გულწრფელად დავუჭირე მხარი, როცა მან „მხედრიონი" ალაგმა, მაგრამ ჰალსტუხიანმა ყაჩაღებმა წამოყვეს თავი. მისი საგარეო პოლიტიკა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყო ბრწყინვალე, მაგრამ საშინაო პოლიტიკა იყო სავალალო. მე ძალზე ვმერყეობდი, საერთოდ არ ვაპირებდი არჩევნებზე წასვლას, მაგრამ ხვალ წავალ და მივცემ ხმას შევარდნაძეს, ვენდობი მას უკანასკნელად. იმედი მაქვს, რადგან ის, რაც ბოლო სამ დღეში გააკეთა ეს არის ბრწყინვალე ფურცელი მის ბიოგრაფიაში. ეს ხუთი წელიწადი იქნება გადამწყვეტი. თუ ის შეასრულებს დაპირებას, უდიდეს ადამიანად შევა ისტორიაში. თუ არა და, იგი ისტორიაში ისედაც შესულია, განსაკუთრებით მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ არ შევა საქართველოს ისტორიაში იმ პიროვნებად, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, საქართველოსათვის და არა, როგორც ხშირად მისი ოპონენტები ამბობენ, საკუთარი სკამის გადასარჩენად. მოკლედ, როგორც ძალზე ხშირად ამბობს ბატონი ასლანი „ისტორია ყველას მიუზღავს სამაგიეროს".

დამავიწყდა დამენერა, რომ ის საშინელი დაპირისპირება, რაც იყო პარლამენტის არჩევნების დროს, ამჟამად არ ყოფილა. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა ბოლნისში პატიაშვილის მომხრეებს კვერცხები ესროლეს, ზუგდიდში, პარკში კი სპეციალურად „მოქკავშირმა" კონცერტი გამართა, როდესაც პატიაშვილის მომხრეები აწყობდნენ შეხვედრას, აგრეთვე კასპში, სადაც ავტომანქანების საყვირებს აყვირებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, იმ სულელი გამგებლების მიერ იყო მოწყობილი, რომლებსაც უნდათ, რომ ხელისუფლებას ასიამოვნონ. საპარლამენტო არჩევნები

დაახლოებით გამოვიცანი. რა თქმა უნდა, ვერ გამოვიცანი, ის, რასაც აყალბებენ. ამჟამად შევარდნაძე მიიღებს 70%-ს, უფრო სწორად 67%-ს, ვნახოთ, რა იქნება. ეს სიტყვები დავწერე 22 საათსა და 45 წთ-ზე.

10 აპრილი

გუშინ, 2 საათსა და 30 წუთზე მე და ჩემი მეუღლე ვიყავით არჩევნებზე. როგორც ვთქვი, ხმა მივეცი შევარდნაძეს. უნდა აღვნიშნო, რომ საპარლამენტო არჩევნებსა და საპრეზიდენტო არჩევნებს შორის განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის, რადგან ძალზე მშვიდად ჩაიარა, ფაქტობრივად, ექსცესების გარეშე.

საღამოს ექვსი საათია, „კურიერს" ეუყურებ. პირველად დავინტერესდი პრეზიდენტის არჩევნებში რა შედეგები იყო, რადგან შევარდნაძის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს, მთავარი, რამაც დამაინტერესა, ის იყო, თუ ხმების რამდენი პროცენტი მიიღო მან. გამოქვეყნდა წინასწარი შედეგები, რომლის მიხედვითაც, შევარდნაძემ მიიღო 80%, პატიაშვილმა –18%, ძალიან გამიკვირდა, როდესაც მამუკა გიორგაძე გუშინ აცხადებდა, აშკარად ვიგებთო. **პატიაშვილმა აღიარა** დამარცხება. ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ 10 დღის წინ მივუგზავნე პატიაშვილს **გიორგი თარგამაძე, ჯემალ გოგიტიძე, ვალერი გელბახიანი** და ვთხოვე, მოეხსნა თავისი კანდიდატურა. მე შევცდი[1] პროცენტებში, რადგან შევარდნაძემ უფრო მაღალი პროცენტი მიიღო. აქ აშკარაა, რომ პატიაშვილმა დაკარგა აჭარის ხმებიც. შევარდნაძეს ახლა ეძლევა ხალხის მანდატი და, ისევ ვიმეორებ, მისმა ბოლო ორი-სამი დღის არაორდინალურმა გადაწყვეტილებამ მას მოუმატა დაახლოებით 20%. რა თქმა უნდა, ის მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ ჩემნაირმა პიროვნებებმაც რომ მას მისცეს ხმა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. **მინდა სულით და გულით მივულოცო პრეზიდენტობა. მე მისგან, მიუხედავად ჩემი ახლობლობისა მისი ოჯახისადმი, არც არაფერი დამჭირვებია და არც დამჭირდება. მე მინდა, რომ საქართველო იყოს ბედნიერი, დამოუკიდებელი და აყვავებული.**

დღ. „რეზონანსში" წერია, რომ ასლან აბაშიძეს უთქვამს, თითქოს მან იცოდა, თუ რა იყო დაგეგმილი ქვეყნის შიგნით და გარე ძალების მიერ და ამიტომაც, „სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან" გამომდინარე, მოხსნა თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებიდან.

14 აპრილი

მახსენდება 1978 წლის 14 აპრილი. რა ბედნიერი ვიყავი იმ საღამოს, რა მალე გარბის დრო.

მე ეწერდი, რომ არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა. აღმოჩნდა, რომ გაყალბება საკმაოდ ყოფილა. ალბათ, რომ ვწერდი 67%-ს, ეს უფრო რეალური იყო, მაგრამ ვიღაცეებმა მოინდომეს, რომ მეტი ყოფილიყო და ყარეს და ყარეს ყალბი ბიულეტენები.

გუშინ „თავისუფლების ინსტიტუტმა" და „სამართლიანმა არჩევნებმა" პრესკონფერენცია გამართეს და თქვეს, რომ გაყალბება 15%-ს აღწევდა. **ლევან რამიშვილის სიტყვით,** დღის პირველ ნახევარში ამომრჩეველთა 35% იყო მისული მაშინ, როდესაც კარგი ამინდი იყო, შემდეგ კი, როდესაც წვიმა წამოვიდა, დღის მეორე ნახევარში, ეს მაჩვენებელი 67% ავიდა (გაზ. „ახალი თაობა").[2]

ვინ მოიგო ეს არჩევნები, კითხულობს გიგა **ბოკერია და თავადვე პასუხობს, „გამგებლებმა ჩაატარეს და მოიგეს კიდეც".**

ჩემი აზრით, გამგებლები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ როგორ ასიამოვნონ შევარდნაძეს, რომ თანამდებობებზე დარჩნენ. რა თქმა უნდა, შევარდნაძე მაინც გაიმარჯვებდა და არ იყო საჭირო აქ თავის გამოჩენა. პირიქით, შევარდნაძემ უნდა დასაჯოს ასეთი ხალხი, რომლებიც უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ მას.

30 აპრილი

დღეს ბრწყინვალე აღდგომაა. 3 საათზე გაიმართა შევარდნაძის ინაუგურაცია. ისეთი პომპ-

[1] ამ დროს ეს იყო გაყალბება... და საოცარი დონის... მშვიდად იმიტომ ჩატარდა, რომ ხალხი ძირითადად არ მივიდა არჩევნებზე და საარჩევნო უბნებში რასაც უნდათ, იმას აკეთებდნენ.

[2] ლევან რამიშვილი აბსოლუტურად მართალი იყო.

ეზური არ ყოფილა. მე ისევ ვიმეორებ, რომ მიეესალმები მის არჩევას და იმედი მაქვს, რომ ეს ხუთი წელინადი იქნება გადამწყვეტი მისთვის და საქართველოსთვისაც.

ღმერთო, დაიფარე საქართველო და მისი პრეზიდენტი!

1 მაისი

მთავარი გამომრჩა, 20 აპრილს შევარდნაძემ სიტყვა შეასრულა და ციხიდან გამოვიდნენ ე. ნ. „ზვიადისტები" –ვალტერ შურლაია, ზვიად ძიძიგური, ზაურ ქობალია და სხვ. აგრეთვე „მხედრიონის" ნაწილი –ჯაბა იოსელიანი, დოდო გუგეშაშვილი, სულ ციხიდან გამოვიდა 279 კაცი.

დადგენილება, რომელიც მიიღო პარლამენტმა, გმობდა ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობას, მაგრამ „ზვიადისტებს" არ მოეწონათ, რადგან ისინი ამ გადატრიალების შეფასებებს მოითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, მე მივიჩნევ, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია.

არ გაანთავისუფლეს ლოთი ქობალია.

დღეევანდელ „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ ირინა სარიშვილთან – მას ძალზე საინტერესო შენიშვნა აქვს ჟვანიას გუნდზე – ისევ ვიმეორებ, ეს ჯგუფი ძალზე რეფორმატორულია და განსაკუთრებით მომწონს მიხეილ მაჭავარიანი, მაგრამ მთავარი ნაკლი, რაც ამ ჯგუფს გააჩნია, ის გახლავთ, რასაც ირინა შენიშნავს: „ჟვანიას გუნდს არ გააჩნია ეროვნულობა, ამიტომ მიუღებელია მათი პროპაგანდა ქართული საზოგადოებისათვის. მათი რობოტისებური პროპაგანდა ზედმეტად უეროვნო აღმოჩნდა. საქართველო კი პატარა ქვეყანაა. პატარა ქვეყნებში ეროვნული გრძნობა გაცილებით მაღალია",

სიტეტის კათედრის გამგეა, ადრე დეკანი იყო, არის პროფესორი, გააჩნია საკმაო იუმორი, როგორც კახელი, საკმაოდ მძიმეა. მისი წარდგენა სრულიად მოულოდნელი იყო. შევარდნაძისგან ხომ ვერაფერს გაიგებ. გია ნამდვილად წესიერი კაცია და არ არის არც ერთ მაფიაში გარეული. მისი ნაკლი ის არის, რომ კახეთს, ფაქტობრივად, ის კი არა, მედიკო მეზვრიშვილი განაგებდა და კახეთი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. ბევრი ჭორებია გაზეთებში. უმეტესი წერს, რომ გია დროებით შემსრულებლად უნდათ, რადგან, როდესაც შემოიღებენ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, მაშინ ჟვანიას გუნდიდან დაიკავებს ვინმე ამ თანამდებობას. არსენიშვილის დანიშვნა თემურ შაშიაშვილმა პრეზიდენტის დიდ შეცდომად მონათლა. 5 მაისს ირინა სარიშვილმა გაზ. „ახალ 7 დღეში" დაწერა, რომ „სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ზურაბ ჟვანია მხარს დაუჭერს ყველას, ვინც უმოქმედო იქნება, ნებისმიერს, გარდა ვაჟა ლორთქიფანიძისა.

მე პირადად ძალიან გული დამწყდა ვაჟა ლორთქიფანიძეზე, რადგან ის ღირსეული პიროვნებაა. ყველაფერი ცუდი, რაც მოხდა, უნდათ რომ მას დააბრალონ. ამ დროს, რაც ევალებოდა სახელმწიფო მინისტრს, ბრწყინვალედ ასრულებდა. ყველას ავიწყდება, რომ ის პრემიერ-მინისტრი არ იყო და აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში უდგას პრეზიდენტი. მთავარი პასუხიმგებლობა მან უნდა აიღოს თავის თავზე და არ უნდა უყურებდეს, თუ რომელი ჯგუფი გაძლიერდა და მათი მოთხოვნით ანთავისუფლებდეს სახელმწიფო მინისტრს. თუ პრეზიდენტი ზურაბ ჟვანიას გუნდს უჭერს მხარს, მაშინ თვითონ ჟვანია დანიშნოს სახელმწიფო მინისტრად ან პრემიერად და მათ აგონ პასუხი, თორემ ეს შუალედური კომპრომისული დანიშვნები არაფერს იძლევა, რადგან ყველამ იცის, რომ გია არსენიშვილი დიდხანს არ იქნება ამ პოსტზე.

7 მაისი

სახელმწიფო მინისტრის პოსტზე შევარდნაძემ მხარი დაუჭირა კახეთის გუბერნატორის გია არსენიშვილის კანდიდატურას. გია უნივერ-

9 მაისი

გუშინ დიდი ამბები ხდებოდა პარლამენტში. კობა დავითაშვილის მოთხოვნას შეიქმნას მთავ-

რობის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის საგამომძიებლო კომისია ხელი მოაწერა 124-მა დეპუტატმა. აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო შეთანხმებული არც ჟვანიასთან და არც შევარდნაძესთან. გასაგებია, ამას შევარდნაძის მძლავრი რეაქცია მოჰყვა. ეს ჩაითვალა პრეზიდენტის იმპიჩმენტის დასაწყისად. ჟვანიამ მკაცრად მოითხოვა, რომ წესრიგი და დისციპლინა ყოფილიყო ფრაქციაში და ვისაც არ შეეძლო, დაეტოვებინათ თანამდებობები.

ამ განცხადების საფუძველზე, რვა კომიტეტის თავმჯდომარემ –ელენე თევდორაძემ, დავით კირვალიძემ, დავით გამყრელიძემ, ლევან გაჩეჩილაძემ, ნინო ბურჯანაძემ, როლანდ გილიგაშვილმა და სხვ. დაწერეს განცხადებები.

საღამოს შევარდნაძესთან სამსაათნახევარი მიმდინარეობდა თათბირი პარლამენტის უმრავლესობასთან.

გუშინ „კურიერში" მიშა სააკაშვილმა თქვა, რომ ეს ამბავი გარედან შემოგდებული არისო, რადგან გარკვეულ ნაწილს არ უნდა არსენიშვილიო და რომ, როდესაც ასეთ რაღაცას ანერენ ხელს, უნდა შეათანხმონ პარლამენტის თავმჯდომარესთანო. ამავე დროს „კურიერში" გამოიდნენ ლევან გაჩეჩილაძე და დავით გამყრელიძე. ორივენი ძალიან კარგები იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებით მომეწონა ლევან გაჩეჩილაძე. მისი გამოსვლა იყო ძალიან ვაჟკაცური. მან განაცხადა, რომ, „როცა ქვეყანა გენგრევა, ახლა იმაზე იფიქრო პარლამენტის თავმჯდომარეს დავურეკე თუ არა, მაშინ არ ფიქრობო". მათი მოთხოვნა აბსოლუტურად გასაგებია, რადგან, როდესაც სულ მთავრობას აგინებენ, გაირკვეს, ვინ არის დამნაშავე. მაგალითად, არ შეიძლება ისეთი უპატიოსნესი კაცი, როგორიც არის ალეკო კარტოზია, ისევე ილანძღებოდეს, როგორც სხვები. ამავე დროს, ისე გამოვიდა, რომ, თურმე ვაჟა ლორთქიფანიძე არის დამნაშავე ყველაფერში. დათო გამყრელიძეს უთქვამს, მე არ დავუშვებ ერთ კაცზე გადატყდეს ჯოხიო.

გაზ. „ახალი თაობა" წერს, ლევან გაჩეჩილაძეს უთქვამს სააკაშვილისთვის „მე აღარ მინდა ასეთ თამაშში მონაწილეობა, რომ ამბობთ განცხადების შედგენისას კოორდინაცია იყო საჭირო, რა დროს კოორდინაციაა, ქვეყანა თავზე გვენგრევა ასე „კოორდინირებულად" რომ ვიღებდით გადაწყვეტილებებს, იმიტომ არის ხალხი კარგ დღეში".

10 მაისი

ტელევიზიით ღამის 12 საათზე ვუსმენდი „ახალ ამბებს", ინგა გრიგოლიას რეპორტაჟს, სადაც სახელმწიფო მინისტრის კანდიდატ გია არსენიშვილს გასაუბრება ჰქონდა უმრავლესობასა და უმცირესობასთან. უმცირესობიდან წინააღმდეგი იყო ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომელმაც თქვა, რომ მედიაო მეზვრიშვილი თავზე აჯდა რნმუნებულსო. როდესაც ტელევიზიით აჩვენეს გია, მან თქვა, რომ ორი ახალგაზრდის მოწვევა უნდა მსოფლიო ბანკიდან, ქართველი ეკონომისტების, რომლებიც იქ მუშაობენო. დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მე და ჩემმა მეუღლემ ვთქვით, ომარ გოგიაშვილის შვილზე ხომ არ არის საუბარი და, მართლაც, ინგა გრიგოლიამ თქვა, რომ ამერიკიდან უკვე ჩამოვიდა 26 წლის ნიკა გოგიაშვილიო, ძალიან გამიხარდა, რადგან ძალიან კარგი ბიჭია, წესიერი, კარგი შესახედავი, კარგი ოჯახიშვილი. თუ გია ასეთ ხალხს დაეყრდნობა ნამდვილად მივესალმები. დღეს გამოაცხადეს, რომ 21 სამინისტროდან დარჩება 18 და ემატება 2 საგანგებო სამინისტრო საგარეო ვაჭრობის სამინისტროს. ერთიანდება კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის სამინისტროები. ახლა ტელევიზიით აჩვენეს, რომ ლადო პაპავამ –ეკონომიკის მინისტრმა, ესაკიამ –კავშირგაბმულობის მინისტრმა და შოშიტაიშვილმა მრენველობის მინისტრმა ტელევიზიით გაიგეს ეს ამბავი.

რაც შეეხება ვაჟა ლორთქიფანიძეს, მას უპირებენ გაეროში წარმომადგენლად დანიშვნას, ხოლო პეტრე ჩხეიძეს დანიშნავენ საგანგებო საქმეთა მინისტრად. ჩემი აზრით, ვაჟა არ უნდა წავიდეს. ეს გამარჯვებულების მიერ ნიშნის მოგებით გადაგდებული თანამდებობაა. გაზ. „ახალ თაობაში" მასზე კარგად წერია. „მართალია, ხალხს არ სწყენია მისი თანამდებობიდან წასვლა, მაგრამ არც გახარებია". ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება იმ ცხრა კომიტეტის თავმჯდომარიდან, ვინც განცხადებები დაწერა, მხოლოდ ორმა შეასრულა თავისი სიტყვა და უკან არ წაი-

ღო თავისი წინადადებები. ეს ორი, როგორც თვითონ ლევან გაჩეჩილაძემ აღნიშნა, კარგი „ჟილკიანები" გამოდგნენ და მიხარია, რადგან ლევანმა და დათო გამყრელიძემ, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობ, ჩემი დიდი პატივისცემა დაიმსახურეს. რაც შეეხება თვედორაძეს, ის დროებით დარჩა. წერა რომ დავამთავრე, ტელევიზიით ინგა გრიგოლიას გადაცემაში გამოვიდა ლევან გაჩეჩილაძე, რომელმაც განაცხადა, „მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ იყო დაუსჯელობის სინდრომი, რომ ნებისმიერი საკითხი უნდა გამოვიძიოთ, რამ მიგვიყვანა საბიუჯეტო კრიზისამდე. უნდა შედგეს ჯგუფი, რომელიც ამას შეისწავლის".

ინგა გრიგოლია – „თქვენი გადაწყვეტილება არის საბოლოო თუ არა".

ლევან გაჩეჩილაძე – „ამ პერიოდისათვის ეს არის... პარლამენტის თავმჯდომარემ თვითონ მოგვმართა, რომ დაგვეწერა განცხადება, ე. ი. გაწყდა ნდობა. ამ ნდობის აღდგენა არც ორ საათში და არც ორ დღეში არ შეიძლება. მე და დათო გამყრელიძე გავაგრძელებთ მუშაობას როგორც ჩვეულებრივი დეპუტატები".

ინგა გრიგოლია – „აღარ შედიხართ კაბინეტებში".

ლევან გაჩეჩილაძე – „მე და დათოს არ გვიკვირს კაბინეტები და მანქანები".

ინგა გრიგოლია – „ხომ არ ნანობთ, რომ აღარ დარჩით ბიზნესში".

ლევან გაჩეჩილაძე – „ადრე, როცა ჩვენ ვესაუბრეთ პარლამენტის თავმჯდომარეს, მაშინ აღინიშნა, რომ პარლამენტში საჭირო ვიყავით და ერთად, მიიღებდნენ გადაწყვეტილებებს".

19 მაისი

პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, თითქმის არაფერი შეცვალა, ძირითადად მინისტრებად წამოაყენა თითქმის ყველა ძველი მინისტრი, მათ შორის – ბაკურ გულუა, მერაბ ადეიშვილი, რომელთაც განსაკუთრებით ემუქრებოდა საკაშვილი. კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი გაანთავისუფლეს, ვითომ კულტურის სამინისტრო რამეს წყვეტდა ბიუჯეტის თვალსაზრისით. სესილი გოგიბერიძე დანიშნეს, ძალიან კარგი გოგოა, მაგრამ ვალერიც არ იყო ცუდი მინისტრი. საოცარია, ფინანსთა მინისტრად დანიშნეს პროფესიით ფიზიკოსი ზურაბ ნოღაიდელი, რომელმაც თავი გამოიჩინა იმით, რომ არის ერთგული ზურაბ ჟვანიასი. დღეს მართლა სენსაცია მოხდა. ყველაზე წესიერი კაცი, რეზო შავიშვილი გადადგა. ეს ის პიროვნებაა, რომლის მასალებზეც დაყრდნობით ხდებოდა ყველა სენსაციური და სამართლიანი ფაქტების გამომზეურება, რომელსაც, რა თქმა უნდა, არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა (გააჩნია, თუ სჭირდებოდათ ვინმეს წინააღმდეგ, მხოლოდ მაშინ მ. ვ.).

დღეს პრესკონფერენცია გამართა აკაკი გოგიჩაიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაიბარა ანზორ ბალუაშვილმა და რომ მას ემუქრებიან ციხეში ჩაჯდომით ან ფიზიკური განადგურებით. აღარ ვიცი, რა დავწერო, სულ მინდა ვენდო პრეზიდენტს, მაგრამ სასიკეთო არაფერი ჩანს.

ღამით, 11 საათზე ვუსმენ აკაკი გოგიჩაიშვილის ინტერვიუს. რა თქმა უნდა, ბევრ სენსაციურ და გადამეტებულ ფაქტებს გადმოგვცემს ხოლმე, მაგრამ მისი გადაცემა აუცილებელია. თუ მართლა მის სიცოცხლეს ემუქრებიან, ეს იქნება ძალზე დიდი უბედურება და ამჟამად ძალიან განვიცდი მის მდგომარეობას.

23 მაისი

დღეანდელ „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ **თემურ შაშიაშვილთან.** ის მიუთითებს, რომ აპირებს სექტემბერში შექმნას პარტია, „ეს პარტია იქნება ქრისტიანულ-დემოკრატიული მიმართულებისა".

კორ. – „თუ არის საუბარი გარკვეულ ძალებთან ერთობლივი ალიანსის შექმნაზე, ვარაუდობენ, რომ თქვენ გარკვეული კონფლიქტები გაქვთ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, ირაკლი ბათიაშვილთან, ირინა სარიშვილთან".

თ. შ. – „ჩვენ ადრე გვქონდა გარკვეული კონსულტაციები ბათიაშვილის და შავიშვილი პოლიტიკურ გაერთიანებასთან... რაც შეეხება საუბარს იმის შესახებ, რომ კონსულტაციები გაიმართა ვაჟა ლორთქიფანიძესთან, ეს საკაშვილის ბოდვების სფეროა. მისი გამონათქვამები ახ-

ალგაზრდა კომკავშირელებს გვაგონებს, ძველი კომკავშირლები დღევანდელი მოქალაქეებისაგან არ განსხვავდებიან".

4 ივნისი

დამთავრდა მინისტრების დამტკიცება. ძალზე გული მტკივა და არ მინდა დავიჯერო, რომ შევარდნაძე ისევ თავის პოლიტიკას განაგრძობს კადრებთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, შეევნირა მხოლოდ ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელსაც ყველა პატივს სცემდა, მის მაგივრად მოვიდა გია არსენიშვილი, რომელიც კახეთის გუბერნატორობის დროს მედიკო მეზვრიშვილის დიქტატის ქვეშ იმყოფებოდა. ამ მინისტრებიდან ყველაზე გამორჩეული თავის საქმის ცოდნით გახლავთ ვახტანგ ქუთათელაძე, რომელმაც კენჭისყრის დროს მხოლოდ ერთი შავი მიიღო და ის მართლაც ღირსეული მინისტრია. ბაკურ გულუას მინისტრობის დამტკიცებას 7 საათს მოუნდნენ. მე პირადად არ ვიცნობ მას და მის მუშაობას, მაგრამ ეს იყო საშინელება, ისე მიმდინარეობდა მისი საკითხის განხილვა. ცოდნით ბაკურ გულუა აშკარად ჯობნიდა მოწინააღმდეგეებს. სააკაშვილი ძალიან ემუქრებოდა ნინო ჩხობაძეს და მერაბ ადეიშვილს, რომლის სახელთან არის საქართველოს დაკავშირებული სანაოსნოს და ქართული ავიაციის განადგურება და ამ პიროვნებას ჩააბარეს აგრეთვე კავშირგაბმულობა. ყველაზე კურიოზი კი ის არის, რომ ადეიშვილი იღებს დადებით 154 ხმას და წინააღმდეგია –16 მაშინ, როდესაც უპატიოსნესი კაცი ალეკო კარტოზია იღებს 30 შავს. მიშა სააკაშვილი სნორად იბრძოდა ადეიშვილის წინააღმდეგ, მაგრამ აბსოლუტურად ხმა არ ამოუღია კახა თარგამაძის წინააღმდეგ, როდესაც ყველაზე მეტი დარღვევა არის შინაგან საქმეთა სამინისტროში. უმრავლესობაში განხეთქილებაა. უმრავლესობა დატოვა ფრაქცია „აფხაზეთმა", აგრეთვე კახა ჩიტაიამ, რომელიც მოწინააღმდეგე იყო ჩხობაძის, მაგრამ, მე მგონი, ამ შემთხვევაში კახა მართალი არ იყო, ის გაბრაზდა, რომ მისი აზრი არ გაითვალისწინა უმრავლესობამ. მოკლედ, ეს მთავრობა არაფრის გამკეთებელი არ არის, თუ ასე გაგრძელდა, ამას შემოდგომაზე მოჰყევება ეკონომიკური კრახი და არეულობის დასაწყისი.[1]

რამდენიმე დღის წინ საკუთარ მანქანაში ააფეთქეს დავით თევზაძის ძმა გურამი, რომელზედაც ამბობენ, რომ დიდ მაქინაციებში იყო გარეული.

5 ივნისი

მე ვეთანხმები გაზ. მერიდიანში" დათო ბერძენიშვილის განცხადებას, რომელიც შემოდგომაზე სერიოზული პოლიტიკური კატაკლიზმების დაწყებას ვარაუდობს.

ის წერს, რომ მოქმედი პარლამენტი, 1990–91 წლების პირველი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მსგავსად, დიდხანს ვერ გაძლებს.

ის ფიქრობს, რომ საჭიროა ვადამდელი არჩევნები.

7 ივნისი

დღეს მოხდა სკანდალი, მთავრობის პირველ სხდომაზე გამოცხადდა ბაკურ გულუა, რომელმაც „ღამის კურიერში" განაცხადა, რომ მას კანცელარიიდან დაურეკეს, მისულიყო, იურიდიულად ის არის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი. მოულოდნელად შევარდნაძემ მოითხოვა იმ პირების დასჯა, ვინც გულუა მოიწვია. ბაკურ გულუამ დატოვა მთავრობის სხდომა.

ისევ ვიმეორებ, სულ არ ვიცნობ გულუას, მაგრამ ნამდვილად შემეცოდა, როგორც, მაპატიეთ „ფუცანი", გააგდო პრეზიდენტმა. ასეთი ჟესტი თითქმის არასოდეს გაუკეთებია, ნეტავ რაზე ხომ არ აწუხებს შევარდნაძეს, რადგან ქორის დონეზე მიმდინარეობს საუბარი მის ჯანმრთელობაზე.

გუშინ გაიმართა უმრავლესობის სხდომა. აქ დიდი ამბები ხდება. „ახალ თაობაში" წერია, რომ „საკმაოდ პრინციპული იყო დავით გამყრელიძე, რომელმაც უმრავლესობის დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ რეალურად შეაფასა. არ შეიძლება ძალისმიერი მეთოდებით უმრავ-

[1] ჩემი სიტყვები გამართლდა, მაგრამ ეს მოხდა 2001 წელს.

ლესობის შენარჩუნება. ვილაპარაკოთ ერთმანეთთან გულახდილად და გახსნილად, ნურც პრეზიდენტის ერთგულებაში შეეჭიბროთ ერთმანეთს.

„მერიდიანში" არის ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან.

–„დღეს მივედით კულმინაციურ წერტილამდე, ამის იქით მოსალოდნელია მოხდეს მწვავე, მძაფრი ცვლილებები ჩვენს საზოგადოებაში. მომწიფდა აზრი, რომ მეტის მოთმენა არ შეიძლება, რასაც რეალური აფეთქება შეიძლება მოჰყვეს.

ხელისუფლება დღეს კარგად უნდა დაფიქრდეს ერთ საკითხზე, რაც გამსახურდიას პერიოდს ეხება. იმ დროს არ აღინიშნებოდა სახალხო უკმაყოფილება, არამედ იყო გარკვეული ფენების, დაჯგუფების აქტიური პროტესტი. დღეს ხელისუფლების მიმართ ადგილი აქვს სახალხო უკმაყოფილებას. ამიტომ, თუ გამოსვლები დაიწყო, იგი შეიძენს რევოლუციურ ხასიათს, რომელიც მძიმე შედეგებით დამთავრდება. გამსახურდიას ჰყავდა მისდამი ფანატიკურად განწყობილი მომხრეები, რომლებიც მას ბოლომდე იდეურად იცავდნენ. დღევანდელ ხელისუფლებას კი ერთი ადამიანიც არ ჰყავს, ვინც „იდეურად დაიცავს". აბსოლუტურად ვეთანხმები ირაკლის ამ სიტყვებს. აშკარა განხეთქილებაა თვით უმრავლესობაშიც. დღეს პარლამენტში მეორედ გამოიტანეს საკითხი ჯიმი ყიფიანისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯიმი ყიფიანი არის ძალზე სიმპათიური და ძალიან მცოდნე იურისტი. პარლამენტმა აშკარად მხარი არ დაუჭირა მიხეილ სააკაშვილს. გაბრაზებულმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტში იმარჯვებს მაფიოზური კლანური დაჯგუფებები. რეზო ყიფიანმა იმავე „კურიერში" განაცხადა –რა გამოვიდა, მაშინ სააკაშვილი გამოდის უმრავლესობის მაფიოზების ფრაქციის თავმჯდომარეო. სააკაშვილი ძალიან აჭრილია, ის ერთდროულად ცდილობს რამდენიმე ფრონტზე ბრძოლას და მარცხდება. საზოგადოებაში აშკარა განხეთქილებაა. ძალიან მიჭირს წერა, ნუთუ ჩემმა ცოლმა ისევ უნდა მაჯობოს, რომელმაც პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი გადახაზა. გია ჭანტურია მახსენდება: შევარდნაძის დაბალანსების პილიტიკა საქართველოს დაღუპავსო. ვერ გამიგია, შევარდნაძეს ახლა რისი ეშინია. **მე იმიტომ მომწონდა და მომწონს აბაშიძე, რომ არავის და არაფერს არ აბალანსებს აჭარაში, ვისაც რამე ეშლება მის გარემოცვაში, იმწუთშივე ათავისუფლებს.

შევარდნაძემ პარლამენტში შემოიტანა კანონპროექტი დაბადების მოწმობაში ეროვნების აღნიშვნის შესახებ. მხარი ამ კანონპროექტს დაუჭირა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნატარესმა ილია II-მ. მაგრამ ეს არ მოსწონს სააკაშვილს, დავითაშვილს და რამდენიმე კაცს –საოცარია.

9 სექტემბერი

ვინც შემდგომში ჩემს ჩანაწერებს წაიკითხავს, გაუკვირდება ამხელა პაუზა რატომ გავაკეთე.

14 ივნისი ჩემთვის უბედნიერესი დღეა, დაიბადა ჩემი შვილიშვილი მერაბ დიმიტრის ძე ვაჩნაძე. უბედნიერესი ადამიანი ვარ, ჩემთვის ეს უკვდავებაა, რადგან სიცოცხლე გრძელდება და ჩემს შემდეგ დიდხანს იცოცხლებს მერაბ დიმიტრის ძე ვაჩნაძე.

სწავლა უნივერსიტეტში გადაიდო 18 სექტემბრისათვის. მინისტრმა ალეკო კარტოზიამ განაცხადა, რომ გვალვა იქნება და წყალი დაიკლებსო –ეს აბსურდული განცხადება ვიღაცის კარნახით ათქმევინეს ამ უპატიოსნეს მინისტრს.

ჩემს ცხოვრებაში და ბოლო პერიოდის უნივერსიტეტის ცხოვრებაში საზარელი ფაქტი მოხდა. ტელევიზია „რუსთავი-2"-მა და მისმა გადაცემამ „60 წუთმა" მოამზადა გადაცემა უნივერსიტეტზე. თავის დროზე მე მივესალმებოდი ამ ახალ გადაცემას. ვიფიქრე, ახალგაზრდები არიან, გული შეტკივათ მომავალ სამშობლოზე, მაგრამ პირადად მე რომ არ მეწვნია მათი მუშაობის სტილი, ვერ დავიჯერებდი.

ჩემს კაბინეტში, სადაც კარი ყოველთვის ღია მაქვს, იმყოფებოდნენ ჩემი მოადგილე ანდრო გოგოლაძე და მისი მეუღლე მანანა პაიჭაძე, კათედრის გამგე, რომელთაც ბავშვი

შეეძინათ და ვულოცავდი, მათთან ერთად იყო პროფ. ილია ანთელავა. ღია კარებში გამოჩნდა პატარა გოგონა. მე არ დავალოდინე მას და ვთხოვე შემოსულიყო, რადგან ჩვენ შეიძლება დიდხანს გვესაუბრა. გოგონას შემოჰყვა გადამღები კამერით ახალგაზრდა მამაკაცი. მათ ვთხოვე დაბრძანებულიყვნენ, რაზედაც უარი განაცხადეს. აღმოჩნდა, რომ თურმე უკვე მიღებდნენ და დამჯდარი კარგად ვერ გადაიღებდნენ. ამ გოგონამ მომცა შეკითხვა, რა ვიცოდი უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესახებ. მე ვუპასუხე, რომ დეკანებმა არ ვიცით ბიუჯეტი, რადგან ამას სახელმწიფო ჩინოვნიკები აკეთებენ და დეკანებს კი არა რექტორსაც არაფერს ეკითხებიან-მეთქი. ვუთხარი, რომ მე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, 1993 წელს სახელმწიფომ უნივერსიტეტის თანამშრომელთა 30% შეგვამცირებინა მაშინ, როდესაც „მხედრიონს“ გამოუყო 150 შტატი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე განვაცხადე, რომ არ მივიღებდი მონაწილეობას ამ შემცირებაში, რადგან სახელმწიფო ბანდიტებს აძლევს ხელფასს, მე კი პროფესორებს უნდა შევუმცირო შტატი ან გავუშვა უნივერსიტეტიდან, რაც შეეხება უნივერსიტეტში შემოსულ თანხებს, ფასიანი განყოფილებიდან ამაზე ყოველწლიურად ანგარიშს აკეთებს დიდ საბჭოზე რექტორი როინ მეტრეველი და საფინასო სამმართველო და რომ სწორედ 4 სექტემბერს იყო ასეთი ანგარიში და ვთხოვე, თუ აინტერესებდათ მობრძანებულიყვნენ დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. მათ, რა თქმა უნდა, არც მითხრეს, ვინ იყვნენ, მაგნიტოფონი ჯიბეში ედოთ და ასე დამცილდნენ.

მე მაინც ჩავედი რექტორთან და ვუთხარი, რომ, მე მგონი, მიღებდნენ და ისე არ გამოვიდეს, რომ მეორე ნაწილი ამოჭრან და შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ ჩვენ, დეკანებმა, არაფერი ვიცით უნივერსიტეტში შემოსული თანხების შესახებ. მართლაც, 3 სექტემბერს, კვირას, გავიდა გადაცემა სათაურით „უნივერსიტეტის კომუნისტური მმართველობა და რექტორის ქონებრივი დეკლარაციის შესახებ“, რომელსაც დაუმატეს სათაური „შავბნელი საქმეები თეთრ ტაძარში“ – გავოგნდი, ძნელია აღწერო ის, რაც ხდებოდა ეკრანზე. რა თქმა უნდა, არც ერთი ფაქტი არ დასახელდა, საუბრობდა მხოლოდ ზურაბ ჭიაბერაშვილი[1], ლოგიკის მასწავლებელი, რომელიც შეთავსებით მუშაობს უნივერსიტეტში და არის საჯარო ბიბლიოთეკის დეპარტამენტის უფროსი, რომლის დირექტორიც არის ლევან ბერძენიშვილი. ალბათ, გასაგებია, რა კამპანიაზეა საუბარი. მან ისიც არ იცოდა, რომ რექტორი ფარული კენჭისყრით იყო არჩეული. თქვა, რომ ამბობენ 15-20 ათასი დოლარი უნდა უნივერსიტეტში მოწყობასო, ამას ამბობდა ჭორების დონეზე. სანყალ პროფ. ედუარდ კოდუას კი, რომელიც საუბრობდა კერძო ფასიან უნივერსიტეტებზე, ამოუჭრეს შესავალი და ხალხს წარმოდგენა შეექმნა თითქოს მხოლოდ უარყოფითს ამბობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტზე. მოკლედ, ამ გადაცემამ გამაოგნა. გამაოგნა, რადგან გამახსენდა XX ს-ის 20-30-იანი წლები, როცა კომკავშირელი ახალგაზრდობა მიუშვეს ივანე ჯავახიშვილზე[2] და უნივერსიტეტის პროფესორებზე. ამჟამად კი ახლანდელი რექტორის, როინ მეტრეველის წინააღმდეგ, რომელმაც 10 წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა უნივერსიტეტისათვის, რომელმაც მთელი თავისი ენერგია მოახმარა უნივერსიტეტს და მის თანამშრომლებს. მან გადაიტანა მძიმე პერიოდი უნივერსიტეტში 1991 წლიდან, როდესაც გამსახურდიას წინააღმდეგ დაიწყო მოძრაობა და რომელიც, ფაქტობრივად, გადაიზარდა სამოქალაქო ომში. ის, რაც შევარდნაძემ ვერ მოახერხა საქართველოში, კერძოდ, რომ არის მოჩვენებითი სიმშვიდე, მაგრამ დაპირისპირება გრძელდება და მალე დავინახავთ, რა უმართავი პროცესები დაიწყება, რადგან ხალხს არავითარი პატივისცემა ხელისუფლების მიმართ არ გააჩნია. როინ მეტრეველმა კი მოახერხა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, არა აქვს მნიშვნელობა ზვიადის მომხრეები იყვნენ თუ შევარდნაძის, ყველასთან ადამიანური დამოკიდებულება ჰქონდა. ავადმყოფი და გარდაცვლილი თანამ-

[1] ქალაქის მომავალი მერი.

[2] ამ დროს გადაწყვეტილ დამენერა წიგნი ამ პერიოდზე და 2004 წლის დასაწყისში გამოვიდა ჩემი და პროფ. ვახტანგ გურულის წიგნი „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროზე.“

შრომლების მიმართ ზრუნვამ მისი ავტორიტეტი აამაღლა და ეს არ მოსწონთ ზოგიერთებს. 6 სექტემბერს უმაღლესი სკოლების რექტორთა და თანამშრომელთა კონფერენციაზე განვაცხადე, რომ საზოგადოებას არ აინტერესებს ქილერები, მათ აინტერესებთ, ვინ არის დამკვეთი ამ გადაცემის და რომ ჩემი თანამშრომლების და მთელი უნივერსიტეტის აზრია, რომ ეს მოწყობილია ან პრეზიდენტის, ან ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფის მიერ. ამიტომ ზურაბ ჟვანია, როგორც უნივერსიტეტელი, რომელთან ერთადაც 1989 წლის 10 აპრილს რუსი ჯარისკაცებისაგან ვიცავდით უნივერსიტეტს უნდა გამოვიდეს და თავისი სიტყვა თქვას უნივერსიტეტის დასაცავად. ასევე თავისი დამოკიდებულება უნდა გამოხატოს სახელმწიფო მინისტრმაც, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორი და ყოფილი კათედრის გამგეა. განსაკუთრებით უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება პრეზიდენტმა, რომელიც უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად ავირჩიეთ ან მოიხსნას საპატიო ნოდება, რადგან სირცხვილია პრეზიდენტი იყოს „შავბნელი საქმეების მკეთებელი უნივერსიტეტის“ საპატიო დოქტორი.

ბოლოს განვაცხადე, რომ ახალგაზრდობაში სულ ვოცნებობდი, რომ რექტორი ყოფილიყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ კარგი ორგანიზატორი, კარგი ოჯახის პატრონი, კარგი მოსაუბრე და, რაც მთავარია, ვაუკაცი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი რექტორი გვყავს, მაგრამ, ეტყობა, დღეს სხვა დროა და ასეთი რექტორები აღარ მოსწონთ, მაგრამ ახლა სქესობრივი ორიენტაციის შეცვლა ჩვენი ასაკისათვის უკვე გვიან არისმეთქი. მოკლედ, ისეთი ტაში დავიმსახურეთ, დაინგრა დარბაზი, რაც შეეხება 4 სექტემბერს, გაიმართა დიდი საბჭოს სხდომა, სადაც ყველა გამომსვლელმა მხარი დაუჭირა რექტორს როინ მეტრეველს. მეც გამოვედი და ავუხსენი საბჭოს, რა მეთოდებით იღებენ და ამზადებენ გადაცემებს. ჩვენი გამოსვლის ტექსტი დაიბეჭდა უნივერსიტეტის გაზეთში, ამიტომ აღარ ვწერ.

საოცარი ზენოლაა ყველაზე წმინდაზე, რაც ქართველობას გააჩნია. ეს გახლავთ –მართლმადიდებლობა, ქართული მწერლობა და ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი.[1] ისე, არც პრეზიდენტზე საუბრობენ კარგად. იმავე გადაცემაში აკაკი გოგიჩაიშვილი ესაუბრებოდა ამერიკელ კონგრესმენს და ისე უხაროდა, ცუდს რომ ამბობდა შევარდნაძეზე, თითქოს თვითონ უცხოეთის ქვეყნის მოქალაქე იყო.

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, რუსეთი გამოვიდა ბიშკეკის ხელშეკრულებიდან და განაცხადა სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ, რაც დიდი დარტყმა იქნება საქართველოსთვის. დღეს საქართველოში ისეთი პროპაგანდაა, რომ საზოგადოებრივი აზრი თანდათან ტრიალდება რუსეთისაკენ. წინათ ათ კაცს ვერ იპოვიდი, რომლებიც რუსეთს აქებდნენ, დღეს კი უამრავი მომხრე ჰყავს და ბევრი უარყოფითად უყურებს აშშ-ს.

მაგალითად, აღშფოთებას ვერ ვმალავდი, როდესაც მიმდინარეობდა გამოცდები საგადასახადო სისტემაში. საწყალი თანამშრომლები სიცხეში კოსტიუმებით იყვნენ და გამოცდებს ისე აბარებდნენ, ამ დროს მეთვალყურე ამერიკელი ტრუსებში და მაისურში იყო გამოწყობილი, სანდლებით, ეტყობა დილის ვარჯიშიდან შემოირბინა და თავი ისე ეჭირა, თითქოს კაციჭამია ტომთან ჰქონდა საქმე.

ძალიან მომწონს მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც ცდილობს გამოასწოროს მდგომარეობა, რაც შეეხება ზურაბ ნოღაიდელს, ისიც ცდილობს რაიმე გააკეთოს, მაგრამ მისი შედარება მაჭავარიანთან არ შეიძლება. სააკაშვილი კი ისეა აჭრილი, მე მგონი, თვითონ არ იცის, რას აკეთებს. მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, მგონი, ემსგავსება 20-30-იანი წლების ახალგაზრდა ბოლშევიკს, ჯიბეში რომ მაუზერი ედოთ. ის თამაშობს იმ ხალხზე, ვინც მძიმე სოციალურ პირობებში ჩააგდეს, ძირითადად, მისმა პარტიამ.

ეტყობა ნიკო ლეკიშვილსაც უმტყუნა ნერვებმა და გადადგა უმრავლესობის ლიდერობიდან, მაგრამ სექტემბერში შევარდნაძემ ისევ დააბრუნა, რადგან ნიკო ძალიან ჭკვიანი, საქმიანი და ზომიერი პოლიტიკოსია, რომელიც ძალიან კარგად იცნობს საქართველოს, განსაკუთრებით თბილისს და მისი ჩამოშორებით ჟვანია-სააკაშ-

[1] სამწუხაროდ ეს დასანყისი იყო. აშკარად ჩანდა რომ ეს მართული პროცესი იყო.

ვილი რჩებოდნენ შევარდნაძის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად, მანამდე მათ შევარდნაძეს ჩამოაშორეს **ვაჟა ლორთქიფანიძე** –ერთ-ერთი მართლაც დიდი ავტორიტეტი, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო არა მარტო მმართველ პარტიაში, არამედ ოპოზიციურ პარტიებშიც. მოკლედ, რასაც ირინა სარიშვილი ამბობდა, მართლდება – მიმდინარეობს ბრძოლა პოსტშევარნაძისეული ეპოქისათვის, საქართველოს ბედი კი არავის ანაღვლებს.

გუშინ ერთმა მოვლენამ გამახარა, დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა, სადაც გაერთიანდნენ ლევან გაჩეჩილაძე, დათო გამყრელიძე, მამუკა ხაზარაძე, ფიქრია ჩიხრაძე, სულ 37 კაცი. გუშინ „კურიერში გამოვიდა მამუკა ხაზარაძე და ისაუბრა საზოგადოების მიზნებზე, რომ აქ ერთიანდებოდა ხალხი, რომელიც ფიქრობს საქართველოზე და არ შეიძლება მხოლოდ შენ იყო მდიდარი და ყველა დანარჩენი ღარიბი.

ძალიან გამეხარდა, რომ მათთან ერთად არის გია ყარყარაშვილი, კარგი ვაჟკაცი, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ. ასევე ძალიან მომწონს ლევან გაჩეჩილაძე და დავით გამყრელიძე, რომლებმაც ვაჟკაცურად დატოვეს კომიტეტების თავმჯდომარის პოსტები. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ „მოქკავშირელებმა", რომლებსაც არ მოეწონათ მათი მოქმედება, **დაიწყეს კამპანია სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" წინააღმდეგ, რომლის პრეზიდენტი არის დათო გამყრელიძე. მათ ბრძოლა დაიწყეს, ფაქტობრივად, ბოლშევიკური მეთოდებით.** მე შემდგომში აუცილებლად დავესწრები ამ საზოგადოების შეკრებებს, რადგან, როგორც თანამედროვე ისტორიის მეთვალყურე, ვცდილობ დავიცვა ნეიტრალიტეტი და, არ მივიღო მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ, ალბათ, ასეც არ შეიძლება, რადგან ქვეყანა თავზე გვენგრევა.

საღამოს ნავიკითხე „ახალი თაობა", სადაც წერია, **რომ ამ მოძრაობას ეწოდა „ახალი მოძრაობა". ძალიან გამიხარდა, რომ დამფუძნებელთა შორის აღმოჩნდა დათო ტურაშვილი,** ვატყობ, ჩვენი ცხოვრება ისევ ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. **ამ მოძრაობაში ყოფილა თემურ ჭყონია, დათო ევგენიძე** და სხვ. „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ **დათო გამყრელიძესთან –„ამ ფრაქციამ (მოქკავშირი) და მიმართულებამ გადაუხვია იმ გეზს, რითაც მოვიდა პარლამენტში... მათ შეუძლიათ არა მარტო კანონები გააუქმონ, არამედ სისტემებიც დაანგრიონ და გაუსწორდნენ თავიანთ ოპონენტებს".**

მე ნინასნარ განვსაზღვრე, რომ მოქალაქეთა კავშირი თანდათან დაიშლებოდა, რადგან ფორმალურად იყვნენ ერთად, თუმცა ერთმანეთს ვერ იტანდნენ. ამჟამად დარჩენილი უმრავლესობის ნაწილი ვერ იტანს ჟვანიას და სააკაშვილს. ჟვანიას მე დღესაც ვთვლი საკმაოდ ჭკვიან პოლიტიკოსად, მაგრამ მან ვერ გათვალა, რომ ხალხში და, ფაქტობრივად, პარლამენტშიც დასაყრდენი არა აქვს, გარდა ახალგაზრდათა პატარა ჯგუფისა. მე ისეთი იმედი მქონდა, რომ ეს ახალგაზრდები სიკეთეს მოუტანდნენ ქვეყანას, მაგრამ ასე დაპირისპირებული საქართველო ჯერ არასოდეს ყოფილა.

11 სექტემბერი

დღეს „კურიერში" გადმოსცეს, რომ ხვალ ზურაბ ჟვანია ახალი ინიციატივით გამოვაო. ჟვანიამ განაცხადა და მისასალმებელია, რომ იმ ხალხმა, ვინც ააშენა სასახლეები, თანამდებობები დატოვონ. შემდეგ გამოვიდა ერთი ახალგაზრდა პარლამენტარი, ირაკლი ჩუბინიშვილი. **მან თქვა, შევეცდები ყოველ კვირას ერთი ასეთი პიროვნება მაინც დავასახელოო. ასეთი განცხადებები კეთდებოდა 30-იან წლებში, როდესაც ყველა ახალგაზრდა პირობას სდებდა, რომ ერთ მოღალატეს მაინც გამოვააშკარავებო.** მახსოვს, პროფ. იური კაჭარავა იხსენებდა, ასპირანტურაში მათქმევინესო, რომ, მართალია, ჯერ არცერთი ქვეყნის მტერი არ გამომიმჟღავნებია, მაგრამ აუცილებლად გამოვამჟღავნებო. ამ **პარლამენტარმა განაცხადა ტელევიზიით, რომ ნიკო ლეკიშვილს მოუწევს არჩევანის გაკეთება მოქკავშირსა და ახალ მოძრაობას შორისო. ვინ ეკითხება მას ნიკო ლეკიშვილი რას გადაწყვეტს, ან ასაკი არ იცის, ან თანამდებობა. სანყალი ნიკო, რა ნერვები აქვს, როგორ უძლებს. სად გაიზარდნენ, რა ჯიშის არიან. თუ უნდათ ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, იბრძოლონ,**

ვინ უშლით, თანამდებობები მაგათ აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დემაგოგიაზე გადადიან.

14 სექტემბერი

გუშინ „ღამის კურიერში" შეხვდნენ მიშა სააკაშვილი და გიორგი თარგამაძე. მანამდე ჟვანია გამოვიდა პარლამენტში და დაიმუქრა, რომ იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ. შემდეგ სააკაშვილმა საქართველოში შექმნილ სიტუაციას „ფეოდალურ-ბიუროკრატიული" უწოდა, რომელიც ჟვანიამაც გაიმეორა, გავოგნდი, იმწუთშივე გავიფიქრე, თუ საქართველოში ფეოდალიზმია, მისი ჩამომყალიბებელი გამოდის პრეზიდენტი, რომელიც, გამეცინა და ყოველთვის ხაზს უსვამს, იმ აშენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს, ახლა მისი ხალხი ამტკიცებს, რომ შევარდნაძეს ფეოდალური სახელმწიფო შეუქმნია. სწორედ ამიტომ „ღამის კურიერში" სააკაშვილს ზუსტად და ძალიან კარგად უთხრა თარგამაძემ, რომ ამ იერარქიის სათავეში დგას პრეზიდენტი და თქვენ არ მართავთ ხუთი წლის განმავლობაში საქართველოშიო. სააკაშვილი არ მინახავს უხერხულ მდგომარეობაში, მერე მან ისაუბრა წყნეთში აშენებულ სახლებზე. თარგამაძემ უთხრა –თქვენს თვალწინ არ შენდებოდაო, გუშინ ხომ არ დადგეს, ჯიხური ხომ არ არისო, სააკაშვილმა პატარა ბავშვივით უპასუხა, წყნეთში მე არ ვისვენებდიო. გამახსენდა, რომ წყნეთში ცხოვრობს თვითონ ზურაბ ჟვანია, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში ყოველდე დადის იქიდან, მე ამ რამდენიმე ხნის წინ, 28 აგვისტოს მეგობართან ვიყავი მარიამობაზე და გავოგნდი, რამდენი სახლია აშენებული და როგორ არის გაჩეხილი ტყეები. ეს მართლაც ძალიან შესამჩნევია, მაგრამ ჟვანია ხომ ამას ყოველდღე უყურებდა, თან ყოფილი „მწვანეების" ლიდერი იყო. სააკაშვილმა განაცხადა, რომ იცის, ვინ არიან მეპატრონეები. მოქალაქე ქალმა დარეკა, ბატონო მიხეილ, ორი გვარი მაინც დაასახლეთო, ვინც ააშენა სასახლეებიო. სააკაშვილმა უპასუხა, ხვალ პარლამენტის სხდომაზე გამოვა კომიტეტის თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი და ნახავთ, რა სენსაციებზე ისაუბრებსო. ჩემს მეუღლეს ეუთხარი, მაია ნახავ ხვალ ფრიდონ ინჯიაზე ისაუბრებსო და, მართლაც, ზუსტად ინჯიაზე და მის მოადგილეებზე ისაუბრა და მთავარი, ახალი, რაც თქვა იყო ის, რომ ქალაქის ტექბიუროში 2 ლარის მაგივრად 100 დოლარს ართმევენო. ღამით „მოამბეში" მერაბიშვილმა დაადანაშაულა მშენებლობის და ურბანიზაციის მინისტრი მერაბ ჩხენკელი ტექბიუროს გამო, შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა ჩხენკელი და განაცხადა, რომ მერაბიშვილმა ისიც არ იცის, ტექბიურო მე არ მექვემდებარებაო. მართლაც, ყველამ იცის, რომ ტექბიურო არის ქალაქის მმართველობის დაქვემდებარებაში.

დღეს გამაოგნა „ახალ თაობაში" გიორგი უძილაურის სტატიამ „გაუმარჯოს დემოკრატიულ ბოლშევიზმს". მე ასე ნიჭიერად დაწერილი ამ ათი წლის განმავლობაში არ ნამიკითხვას. იმას, რასაც ვფიქრობდი და რის დაწერასაც ვაპირებდი, მე, პროფესორი, ასე ზუსტად ვერ გადმოვცემდი. სწორედ ახლა აჩვენეს ჩვენი ტელევიზიით ეს უნიჭიერესი ახალგაზრდა, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ახალგაზრდები საქართველოს ჰყავს და ალბათ ეყოლება კიდეც. მიჭირს რაიმე წინადადების მოყვანა, რადგან თითოეული მისი სიტყვა მნიშვნელოვანია. „ამგვარ მდგომარეობაში რჩება მხოლოდ რევანში ძლიერი მმართველობითი და სახალხო დამსჯელი ოპერაციებით, ისეთებით, საზოგადოება გლადიატორების ბრძოლის მაყურებელს რომ დაამსგავსოს. დაიწყება ვილების მეპატრონეთა დევნა, შემდეგ გადავლენ პროვოკაციაზე, შემდეგ დასჯიან ყველას ერთად, ვისზედაც უკვე ერთი წელია ნიადაგს ამზადებენ სმკ-ელი რეფორმატორები. ამ შავ სიაში მათ მოაქციეს უკლებლივ ყველა, ვისაც საქართველოში დღეს პატივს სცემენ დ ამაყობდნენ. მწერლები, თანამედროვენი (წივწივაძე, მიშველაძე და ა.შ.) და აწ განსვენებულებიც (ილია, აკაკი), კულტურის მოღვაწენი (ასათიანი, ჩხეიძე და ა.შ.) მეცნიერები და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა, მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, იურისტები ებრძვიან სმკ-ს დამაარსებლებს ანუ მათ თანაპარტიელებს (ამაში ვეთანხმები, მ. ვ.), რაც მიანიშნებს მხოლოდ ერთზე, საქართველოში ნეობოლშევიკური გადატრიალება მზადდება, რისთვისაც საჭიროა ყველა გავლენიანი და პოპუ-

ლარული პიროვნების დისკრედიტირება, ტალახში მოსვრა. საზოგადოებაზე გადამტერება უაზრო და გამოგონილი ბრალდებებით, კორუფციაში მხილება, რომ როგორმე, საზოგადოებამ დაკარგოს ნდობა ამ ავტორიტეტისადმი და უსმინოს მხოლოდ ზურაბ ჟვანიას ან მიხეილ სააკაშვილს, რომლებიც უკვე დღეს აცხადებენ პრეტენზიას, აბსოლუტურ ჭეშმარიტებებზე და გვარწმუნებენ, რომ მხოლოდ მოქკავშირის მათი ფრთა გადაარჩენს საქართველოს... საერთოდ, რა სიმართლეზეა საუბარი, როცა ღია საზოგადოების და დემოკრატიის ერთ-ერთი მქადაგებელი სააკაშვილი უნებართვოდ შეუვარდა ბინაში ვიღაც მეტყევეს, როგორი კორუმპირებული და დამნაშავეც უნდა იყოს ეს ადამიანი, მას მაინც იცავს კონსტიტუცია და უდანაშაულობის პრეზუმფცია. სააკაშვილს არავინ გააკრიტიკებს, თუ დაინახავს, რომ ის გულით იბრძვის სამართლიანობისათვის და არ უწყობს სპექტაკლებს მოსახლეობის თვალში გმირად გამოჩენის მიზნით."[1]

16 სექტემბერი

დღეს „კურიერში", **დავით კიკალიშვილის** გადაცემაში, **დათო ტურაშვილი** გამოვიდა. მან თქვა, რომ მათ არ უნდათ თანამდებობები, მაგრამ დღეს საქართველო ისეთ ჩიხშია, რომლისგანაც შეიძლება ვერ გამოვიდეს, მე სხვა სამშობლო არა მაქვს, სად წავიდეო (არადა, კითხვა დაუსვეს, დამპალ შევარდნაძის ნათესავების, კერძოდ, პაატა შევარდნაძისაგან კეთდება ეს მოძრაობაო). **დღეს სწორედ პაატა შევარდნაძე შემხვდა უნივერსიტეტში,** ის ჩამოპყვა იუნესკოს გენერალურ დირექტორს, რომელიც უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს. **პაატას ბავშვობიდან ვიცნობ, საოცრად წესიერი ბიჭია და ძალიან მიყვარს, ამ კითხვით მთელი „ახალი მოძრაობა" გამოიყვანეს მართულად შევარდნაძის მიერ, არადა, როდესაც დათო ტურაშვილს იწვევ ტელევიზიაში, ხომ უნდა იცოდე, ვის იწვევ, რომელი მართვადი პიროვნებაა დათო. დათო ძალიან იყო გაბრაზებული, მაგრამ გულითადად საუბრობდა. როდესაც მას რაღაცა უთხრეს „მოქკავშირზე", მან განაცხადა, რომ „მოქკავშირი" მისთვის არ არსებობს, რადგან შაჰ-აბასს არ გაუკეთებია ის, რაც მათ გააკეთესო, შაჰ-აბასმა კახელებს რამდენიმე დღე მისცა სურსათ-სანოვაგე მოემარაგებინათ, რომ თან წაელოთ ირანშიო, ხოლო, „მოქალაქეებმა" მეორე დღეს ხალხს შუქი გამოურთეს და ყველა დანაპირები დაივიწყესო.** შემდეგ აღნიშნა, რომ გუბაზ მეფის მკელლობის შემდეგ ასე არ შეკრებილა ქართველი ხალხი, როგორც ახლაო. ნუ გეშინიათ, არ გვინდა სავარძლები და თანამდებობები.

სიტყვა რომ დაამთავრა, მე ისევ წამომივიდა ცრემლები 9 აპრილის შემდეგ რომ მომდიოდა და მიხარია, რომ დათო ისევ დათოა და მე მივხვდი, რომ, ალბათ, ჩემი მომავალიც გადაწყდა –ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, მეც უნდა მივიღო აქტიური მონაწილეობა. ვნახოთ, რა გამომივა, მეც ხომ არ მინდა თანამდებობა, თანამდებობა ისეთი მაქვს, ვერც ვიოცნებებდი, მინდა ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო ჩემს სამშობლოს, რადგან, როგორც დათო ამბობს, სხვა სამშობლო არა აქვს და ვერც სხვაგან ვერ ვიცხოვრებდი, განსხვავებით სააკაშვილისგან, რომელიც წავა ჰოლანდიაში, ამერიკაში, სადაც ბევრი მეგობარი ჰყავს და მშვენივრად იცხოვრებს.

დამავიწყდა მეთქვა, რომ „მოქკავშირის" ეს ახალგაზრდული ფრთა, რომელსაც ჟვანია უდგას სათავეში, სულ აიჭრა, კაცმა არ იცის, ვის ეჩხუბებიან და რას ბრახუნობენ. მინდა აღვნიშნო, რომ ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა მიშა მაჭავარიანის ნამოსვლის შემდეგ. ის, ეტყობა, კიდევ ახერხებდა ნორმალურ ურთიერთობას დეპუტატებთან. ამჟამად მათ ასეთი კაცი არ ჰყავთ, მიშა მართლაც კარგი ბიჭია, კარგი ქართველი და წესიერი კაცია, რომელსაც საქართველო უყვარს. ნოღაიდელს ვაკვირდები და ვერ გამიგია, საშუალო არ არსებობს, ან გიჟია და ჟვანიას მონა, ან ჯიუტი, ან ძალიან პატიოსანი, მაგრამ ჯერ საქმეში ვერ ერკვევა.

დღევანდელ „ახალ თაობაში" არის ინტერვიუ კობა ამირხანაშვილთან, „მოქკავშირის" ერთ-ერთ ლიდერთან. ის წერს, „ზურაბ ჟვანიას პათოსს მიევესალმები, თუმცა უნდა გითხრათ,

[1] სამწუხაროდ გიორგის ეს სიტყვები მთლიანად გამართლდა.

რომ მისი განცხადებები პარტიის დამოკიდებულებაზე ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან ცოტა დაგვიანებულია, რამეთუ ამის თაობაზე ცალკეულ დეპუტატებს არაერთხელ გვისაუბრია. მართალია, ჩვენ ასე აფიშირებული არ ვიყავით მასმედიის მხრიდან, გამონაკლისების გარდა, თქვენი გაზეთის დახმარებით, და მაშინ ეს განცხადებები აღქმული და შეფასებული იყო ისე, თითქოს სხვა იდიაფიქსი გაქვს ჩადებული თავში, ლამის ოპოზიციონერად მოგვნათლეს... სასიამოვნია, რომ რამდენიმე თვის შემდეგ დაახლოებით იგივე განნყობა დაეუფლა ზურაბს, რაც მქონდა და ამჟამად გაამაჩნია, გამომდინარე ვეებერთელა პასუხისმგებლობისაგან, რომელიც დაგვაკისრა ჩვენმა ამომრჩეველმა, ხოლო ჩვენ, სამნუხაროდ, დაკისრებულ პასუხისმგებლობას ვერ შევასრულებთ. სრულიად კანონზომიერად ჩნდება ის აუცილებლობა, რომ მოქკავშირის გუნდურ პასუხისმგებლობაზე და წასვლაზე უნდა იყოს საუბარი, ჩვენი პოლიტიკოსები მარტო ზევით იყურებიან, ცოტა არ იყოს სასაცილოა, როგორც ჩანს, სკამების სიყვარულმა და სკამებისაკენ მზერამ თავი აუწია და მათი მზერა მარტო ნყნეთისკენაა მიმართული. უნდა ვუთხრა, რომ ცოტა ქვევით დაიხედონ და ნახონ, რა ხდება, რომ უკიდურესად გაჭირვებული და მშიერი ხალხი, რა დღეშია ჩავარდნილი.

აღმოჩნდა, რომ „მოქკავშირის" დეპუტატებშიც არიან კიდევ წესიერი ხალხი, რომლებიც იქ ვერ გაჩერდებიან. დასკვნა –არ შეიძლება ერთი კაცის (რანაირი გენიოსიც უნდა იყოს, მ.ვ.) გარშემო ჩამოყალიბებული აპარატი არ დაიშალოს, რადგან ისინი სხვადასხვა მსოფლმხედველობის და სხვადასხვა მენტალიტეტის პიროვნებებისგან შედგებოდა, გაერთიანება შეიძლება ამჟამად მხოლოდ სამშობლოს დიდი სიყვარულის გამო –სხვა გზა არ არსებობს.

18 სექტემბერი

დღეს შეიქმნა პარლამენტში „ახალი ფრაქცია" დავით გამყრელიძის მეთაურობით. დღეს მათ გამართეს ბრიფინგი, ლევან გაჩეჩელაძემ განაცხადა, ცხადია, რომ ხალხი 6 წელიწადია დაიღალა ამ მოლაყბეებისაგანო.

20 სექტემბერი

მე არ მიყურებია „60 წუთის" გადაცემისთვის, ისევ საშინელებაა თურმე. რექტორთა საბჭოს და სეს-ს[1] შორის დავა იმიტომ არის, რომ დიდი ფული კეთდებაო. სასაცილო არ არის და აგრეთვე აღნიშნეს, რომ თანამდებობის პირებს დისერტაციებს აცვევინებენო და ამით გადაკრეს ვაჟა ლორქიფანიძეს, რომელსაც სესის საკითხის გარკვევა დაავალეს, რომელიც მეტრეველის ნინააღმდეგ არ წავიდაო, რადგან მეტრეველი ეხმარებოდა დისერტაციის დაცვაშიო, **სასაცილო არ არის, ისიც არ იციან, რომ ვაჟა ლორთქიფანიძემ ეკონომიკის ინსტიტუტში დაიცვა** და არა უნივერსიტეტში. ამ გადაცემაში ისაუბრეს, თითქოსდა **თამაზ წივწივაძესა** და **ალეკო კარტოზიას** შორის არის კავშირი სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ და მრავალი სისულელე. გუშინ და დღეს კარტოზიამ მოითხოვა ღია ეთერი. მას გადაცემის დროს სანაია და ეკა ბერიძეც არ ალაპარაკებდნენ, მაგრამ მან ვაჟკაცურად ბოლომდე ამხილა გოგიჩაიშვილი უცოდინრობაში და ფაქტების გაყალბებაში. ნამდვილად არ შეიძლება ალეკო კარტოზიას, უნესიერეს კაცს, ასეთი რამე დააბრალოო.

28 სექტემბერი

21 სექტემბერს შევარდნაძე შეხვდა დიდი საბჭოს წევრებს. **სიმართლე გითხრათ, ძალიან მესიამოვნა, რადგან მე გაცხადებული მქონდა, პრეზიდენტს გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ, ასეთი რამ განვაცხადე ჟვანიაზე და არსენიშვილზე: ჟვანიამ მართალაც ორჯერ დაურეკა რექტორს, ერთ-ერთი დარეკვის დროს მეც ვიყავი რექტო-**

[1] დისერტაციების დაცვის უმაღლესი საატესტაციო საბჭო.

რის კაბინეტში, მაგრამ შევარდნაძის ვიზიტს სულ სხვა ელფერი ჰქონდა, რადგან მან თავისი მოსვლით გამოხატა დამოკიდებულება უნივერსიტეტისადმი, ამიტომ ძალიან მშვიდად ჩატარდა შეხვედრა. პრეზიდენტმა გააკეთა მოხსენება.შემდეგ რამდენიმე კითხვა დაუსვეს, პირადად მე ვუთხარი, „თქვენ აცხადებთ, რომ აშენებთ დემოკრატიულ საქართველოს“ ჩვენ, მე და პროფ. გურულმა გამოვეცით მე-9 კლასის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია 1901-2000 წლამდე“, სადაც ვწერთ, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს. ამ დროს თქვენი პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ ავაშენეთ „ფეოდალურ-ბიუროკრატიული სახელმწიფო“, მაშინ მითხარით, ბატონო პრეზიდენტო, როდის ავაშენებთ მონათმფლობელურ სახელმწიფოს და გადავეცი საჩუქარად ეს სახელმძღვანელო. სანამ სახელმძღვანელოს გადავცემდი, ის გადაშლილი მქონდა იმ გვერდზე, სადაც მისი სურათი იყო მოთავსებული, როდესაც შევარდნაძემ დაინახა სახელმძღვანელოში მისი სურათი, ეტყობოდა ესიამოვნა, მაგრამ, როდესაც სახემძღვანელო დახურა, იმნუთშიევ თვალი გაექცა ზვიად გამსახურდიას სურათისაკენ, რომელიც გარეკანზე სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად იყო მოთავსებული (ამ სურათის გამო ბევრი საყვედური დავიმსახურეთ მე და პროფ. ვახტანგ გურულმა სწორედ შევარდნაძის „კარის ინტელიგენციისაგან“).

მე კახურად ვიხუმრე – „ბატ. ედუარდ, ამ გარეკანზე ყველა გარდაცვლილები არიან და შემდეგ თქვენ სურათსაც მოვათავსებ-მეთქი. ბატ. როინმა ვეღარ მოითმინა და გაეცინა. შევარდნაძემ იუმორით მითხრა, ძალიან მადლობელი დაგრჩებითო და მასაც გაეცინა. შემდეგ, როდესაც ჩემს ადგილს დავუბრუნდი, შევარდნაძემ მითხრა, რომ ახალგაზრდები არიან და გაიზრდებიანო, ბევრი შეცდომა მოსდით, მე დარბაზიდან დავიძახე, ბატონო პრეზიდენტო, ჯერ გაზარდეთ ახალგაზრდები და მერე შეიყვანეთ პარლამენტში. შემდეგ მოვახერხე და გადავეცი ბარათი, რომელიც შევარდნაძემ ხმამაღლა წაიკითხა, იქ ეწერა, რომ „მე, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ბედნიერი ვარ, რომ ჩვენთან მუშაობა დაიწყო საქართველოს დიდმა პატრიოტმა ვაჟა ლორთქიფანიძემ, რომელმაც უნივერისტეტის თეთრ ტაძარში მუშაობა ამჯობინა გაეროში მუშაობას, მაგრამ გული გვწყდება, რომ თქვენი უერთგულესი თანამებრძოლი აღარ არის თქვენს გვერდით“.

შევარდნაძემ მიპასუხა, რომ ის ვაჟას ძალიან აფასებს, რომელიც ყველაზე მძიმე ვითარებაში იდგა მის გვერდით და რომ პოლიტიკაში იყო დრო, როდესაც თვითონაც დატოვა თანამდებობა, მაგრამ მერე ისევ დაბრუნდა და რომ ვაჟა ლორთქიფანიძე დაიკავებს თავის ღირსეულ ადგილს. შემდეგ მოვიდა ჩვენი ფაკულტეტის კაბინეტების დასათვალიერებლად. შემდგომში მან 26 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ ინტერვიუში „უწინარეს ყოვლისა მინდა მადლობა და, თუ გადაჭარბებული არ იქნება, აღტაცება გამოვთქვი იმ ატმოსფეროს გამო, რომელიც უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე სუფევდა, ეს იყო საქმიანი, კეთილგანწყობილი, უაღრესად დაინტერესებული საუბარი ჩვენი სამშობლოს ადგილსა და ბედზე თანამედროვე მსოფლიოში.

როგორც განვაცხადე, უნივერსიტეტი ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს თეთრი ტაძარი, სულიერებისა და განათლების მთავარი კერაა და სწორედ აქ უნდა ხდებოდეს იმ იდეების აპრობირება საქართველოს რომ გააქვს ან უკვე გაიტანა მსოფლიო ასპარეზზე.

ამრიგად, ძალიან კმაყოფილი ვარ შეხვედრით. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას“.

2 ოქტომბერი

დიდი მოვლენები ხდება საქართველოში. მეხუთე ვიცე-სპიკერად 123 ხმით 32-ის წინააღმდეგ აირჩიეს ვახტანგ რჩეულიშვილი, რა თქმა უნდა, უმრავლესობის ნაწილმა მხარი დაუჭირა, თორემ 123 ხმას ვერ მიღებდა. ამანაც ბიძგი მისცა „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის დაშლას. ერთ-ერთმა მართლაც ნიჭიერმა და ზომიერმა პოლიტიკოსმა ნინო ბურჯანაძემ, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, როგორც ნიჭიერ ქალბატონს

და ამავე დროს ქუთაისში მე მისი ბაბუის თევ-დორეს სახლში ვიზრდებოდი, დატოვა ფრაქცია და განაცხადა, **რომ რჩება მხოლოდ უმრავლ-ესობაში და არა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირ-ში“. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო იმ მრავალ მიზეზთა შორის, დღეს „მოქალაქეთა ფრაქცია“ დატოვა ზაზა სიორიძემ – ნამდ-ვილად მივესალმები მის გადაწყვეტილებას, რადგან ვაუკაცობა უნდა შეინარჩუნო, რაც შეუძლებელი გახდა საკაშვილის ფრაქციის თავმჯდომარეობის დროს. საკაშვილი გახდა უმართავი. ახლა დაიწყო პოპულიზმი, მისი წინადადებით გააიაფა პარლამენტმა ტექდათ-ვალიერება.**

გუშინ კიდევ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ციხის საავადმყოფოდან გაიქცა თუ გააქციეს 12 ტუსაღი, **მათ შორის ლოთი ქობალია და გურამ აბსანძე.** ხელისუფლება შოკშია, მე ხშირად ვი-მეორებდი, **რომ „მოქკავშირის“ უმრავლესობამ მაშინდელი „მრგვალი მაგიდის“ ბედი შეიძლება** გაიზიაროს და დაიშალოს, **მაგრამ ამდენი შეც-დომა არ მოსვლიათ და, რაც მთავარია, ისინი ეროვნულ პოზიციაზე იყვნენ, განსხვავებით „მო-ქკავშირისაგან“.**

3 ოქტომბერი

დიდი ამბები გრძელდება... კახა თარგამაძემ პრესკონფერენცია გამართა. **გუშინ მიხეილ საკაშვილმა ბრალი დასდო თარგამაძეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლონიები გადაე-ცა იუსტიციის სამინისტროს, ოპერატიული მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ჩაეტარებინაო. კახა გაკვირვებული იყო, მან განაცხადა, რომ ჩაიხედოს საკაშვილმა თავის დაწერილ კანონებში და სად წერია, რომ მე მე-ვალება ოპერატიული მუშაობა კოლონიებშიო.**

საინტერესო ისაა, რომ „კურიერმა“ ეს პრესკონფერენცია არ აჩვენა. **დღეს გადადგა** იუსტიციის **მინისტრი ჯონი ხეცურიანი.** ხმა გავრცელდა **„მოქკავშირის“ ფრაქცია** კიდევ და-ტოვა ხალხმაო.

გუშინ საკაშვილმა ზაზა სიორიძე დაადანა-შაულა **იმაში, რომ ის იმიტომ გადადგა, ტექდათ-ვალიერების** დროს **მისი ბანკი შეკრული იყო „ალ-დაგთანო“.**

დღეს მიშა მაჭავრიანმა სიორიძეზე **თქვა, ის** იმიტომ **განაწყენდა, რომ მისი ძმა** არ **დავნიშნეთ** თანამდებობაზეო.

„ღამის კურიერში“ დებატები გამართეს ზაზა სიორიძემ **და** მიშა **მაჭავარიანმა, გუშინ საკაშ-ვილმა** თქვა, **რომ** მიშა **მაჭავარიანი** ხვალ იტყვის **მთავარ** მიზეზს, **რატომ** წავიდა **ზაზა** სიორიძეო. **მიშა მაჭავარიანი** ძალიან **მომწონს, მაგრამ** დღეს **გული** მეტკინა, **რომ** ტელევიზიით **საუბრისას** დაადასტურა, **შენ** იმიტომ **გადადექი, რომ** შენი **ხალხი** არ **დავნიშნე** თანამდებობაზეო. **ტელე-ვიზიით** ამ **ფორმით** არ **უნდა** ეთქვა, **ყველას** ეჭვი **დაებადა, რომ** მაჭავარიანი **აიძულეს** ეს ეთქვა.

4 ოქტომბერი

რასაც ვფიქრობდი, გამართლდა. შევარდ-ნაძემ იუსტიციის **მინისტრის** პოსტზე **დანიშნა** საკაშვილი, **რომელიც ჩამოცილდა ფრაქციას. შე-ვარდნაძე** სწორად **მოიქცა, რადგან** საკაშვილმა, **ფაქტობრივად, დაუშალა ფრაქცია, მას ურთ-იერთობები** არ **შეუძლია** ადამიანებთან, **დეპუ-ტატები** ერთმანეთს **გადაკიდა, ყველა** თემაზე **საუბრობდა** და **წინ** წამოსწია 20-30-იანი **წლების** სინდრომი[1].

20 ოქტომბერი

საპატიმროდან გაქცეული 12 **პირიდან 7 პირი** დააკავეს **რაჭის** მხარეში, **მათ** შორის, **ქობალია** და **აბსანძე.** საკაშვილს **და** ძალიან **ბევრს** კოვზი **ნაცარში** ჩაუვარდათ, **რადგან** გაქცევაში **ბრალს** სდებდნენ **თარგამაძეს,** რომელმაც, **მართლაც, უმტკივნეულოდ** და **ბრწყინვალედ ჩაატარა** ეს ოპერაცია, **მათ** შორის, **უშიშროების** სამინის-ტროსაც, **რომელსაც, კიდევ** ერთხელ ვიმეო-რებ, **ხელმძღვანელობს** ერთ-ერთი **უნიჭიერესი პიროვნება ვახტანგ ქუთათელაძე.**

---

[1] ის ფაქტი, **რომ** მიშა **საკაშვილი** შლიდა **„მოქკავშირის ფრაქციას“** ნამდვილად **მისასალმებელი** იყო. **მაგრამ** სამ-წუხაროდ **20-30-იანი** წლების **სინდრომი** განსაკუთრებით **გაბატონდა** საქართველოში **მისი** პრეზიდენტობის **დროს.**

გუშინწინ ელენე თევდორაძის კომიტეტში იხილებოდა რელიგიის საკითხი. დიდი კამათი გაიმართა, ელიზბარ ჯაველიძემ ელენე თევდორაძეს ძალიან კარგად უთხრა, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი" არის საქართველოს მტრების ბუდე და თქვენ იცავთ არა საქართველოს მოქალაქეების, არამედ საქართველოს მტრების ინტერესებს და რომ იელოველები არის სექტა და მათი ინტერესების დამცველი გამოდიხართო.

28 ოქტომბერი

დღეს 10 წელიწადი შესრულდა იმ არჩევნებიდან, როდესაც გაიმარჯვეა „მრგვალმა მაგიდამ". მოეწყო დემონსტრაცია თავისუფლების მოედანზე, მღებრიშვილის რაზმმა დაარბია დემონსტრანტები, საოცარია, რას უშლიდნენ ხელს საწყალი ხალხი, იდგებოდნენ, იდგებოდნენ და მერე თვითონ დაიშლებოდნენ. „მე-9 არხზე" ვუყურე, ისე დასდევდნენ, როგორც მტრებს, ძირითადად იყვნენ ქალები და ასაკობრივი ხალხი, ნუთუ ჟვანიას დააციწყდა, თვითონ რომ მონაწილეობდა თავის დროზე დემონსტრაციებში. ესე რომ ეცემათ, ცოცხალი ხომ არ იქნებოდა, მთელი უბედურება ის არის, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას არ უყვარს თავისი ხალხი, ის ხალხი, რომლებმაც, როგორც თვითონ ამბობენ, ისინი აირჩიეს, მათ კი არ უყვართ, ეზიზღებათ[1] თავიანთი ხალხი, აბა, რა შერიგებაზე უნდა იყოს საუბარი, საუბრობენ ჩატეხილი ხიდის აღდგენაზე, რომელიც მათ შორის არასდროს ყოფილა.

„დილის გაზეთში" არის ინტერვიუ ელდარ შენგელიასთან, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შესახებ წერს „უნდა ითქვას, რომ ეს არჩევნები იყო სრულიად სახალხო არჩევნები, ხალხი მივიდა თავისი პოლიტიკური ნების გამოსახატავად, ამდენი ამომრჩეველი არც ერთ არჩევნებზე არ მინახავსო". შენგელაია დადებითად აფასებს 1992 და არჩევნებსაც.

კორ. – „მაგრამ არჩევნების დამოკრატიულობის ხარისხი, ალბათ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს".

ელდარ შენგელაია – „მე სხვაგვარი მიდგომა მაქვს 1999 წელს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ, პირველი რაღაც ფორმით მაინც ჩატარდა ისე, რომ მისაღები იყო, რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, საუბედუროდ, მას დიდი დარღვევები ახლდა, აბსოლუტურად ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ამის გამო ჩვენი, როგორც დემოკრატიული ქვეყნის რეიტინგი, საკმაოდ შეირყა, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბიუროკრატიულ აპარატს. 9 აპრილის არჩევნები ნორმალურად რომ ჩატარებულიყო, პრეზიდენტი 51-52% მიიღებდა, რაც ნორმალური იქნებოდა.

30 ოქტომბერი

საღამოს 8 საათზე ჩავრთე ტელევიზორი და „მოამბეში" გამოაცხადეს, რომ დაიძაბა ურთიერთობა „მოქკავშირსა" და კახა თარგამაძეს შორის. მართლაც, გამოვიდა ედუარდ სურმანიძე და თქვა, რას ბედავს კახა თარგამაძე და იმპიჩმენტს მოვუწყობთო. შემდეგ აჩვენეს ჟვანია და სააკაშვილი. ამის მიზეზი აღმოჩნდა კახა თარგამაძის ინტერვიუ „კვირის პალიტრაში". მართლაც, კახას ეს ინტერვიუ ძალიან გაბედულია.

კორ. – „ბატ, კახა „მოქკავშირი" თქვენი უმადურია".

კახა თარგამაძე – „გინდათ მათქმევინოთ, მათ სინდისზე იყოს, ყველას ყვალაფერი წინ დახვდება ცხოვრებაში".

კორ. – „ასეთი ნაბიჯები ხომ არ ნიშნავს, რომ „მოქკავშირი" გიპირისპირდებათ".

კახა თარგამაძე – „ნიშნავს, ეძებს ხერხს, გაართულონ შსს-ში მუშაობა და ამის ინიციატორი ფინანსთა მინისტრია, რა ვქნა ახალ მე... ფინანსთა მინისტრი ფიზიკოსია და ფინანსისტობს. არავის შეეურაცხყოფ, მაგრამ ჩემთან რომ დაჯდება, ვერ მელაპარაკება, იმიტომ, რომ მე ასჯერ მეტი ფინანსისტი ვარ და როგორ უნდა მელაპრაკოს".

ამჟამად ჩემი სიმპატია თარგამაძის მხარეზეა, რადგან „მოქკავშირმა" ის გამოიყენა და ახლა მოცილება უნდათ.

---

1 სამწუხაროდ სააკაშვილის ხელისუფლებამაც ეს ზიზღი გამოამჟღავნა თავისი ხალხის მიმართ 2007 წლის 7 ნოემბერს.

3 ნოემბერი

1 ნოემბერს კახა თარგამაძე დაიბარეს „მოქკავშირში" ფრაქციის სხდომაზე, ამ სხდომამ მომაგონა ძველი კომკავშირლების სხდომა, როცა თათხავდნენ ხოლმე გზიდან აცდენილ პირებს. იმდენი ჭკუა არა აქვთო, რომ ტელევიზიით არ აჩვენონ, რადგან ამ გადაცემას უყურებს შსს-ის ათეულ ათასობით თანამშრომელი. მეორე დღეს, მთავრობის სხდომაზე, მიშა მაჭავარიანმა წამოინყო ამ თემაზე საუბარი. კახამ უპასუხა, თუ რატომ გააიგივა საკუთარი თავი ნოღაიდელთან და სააკაშვილთან. მერე სიტყვა მოითხოვეს სააკაშვილმა და ნოღაიდელმა, მაგრამ შევარდნაძე გაბრაზდა და განაცხადა, ყველამ თავის საქმეზე ილაპარაკოსო.

დღეს „მოამბეში" აჩვენეს ნოღაიდელი. მთელი დღე იხილებოდა ძალოვანი სტრუქტურებისთვის თანხის შემცირების საკითხი ბიუჯეტში. როცა კორესპოდენტები შემოეხვივნენ ნოღაიდელს და ჰკითხეს, რომელ სამინისტროს რა თანხები დააკლდაო, მან უპასუხა ნამდვილად არ მახსოვსო (საოცარია, მ. ვ.).

4 ნოემბერი

გაზ. „რეზონანსში" ინტერვიუა ლევან **გაჩეჩილაძესთან.**

ლევანი საუბრობს ჟვანიასა და თარგამაძეს შორის მომხდარ კონფლიქტზე.

ლევან გაჩეჩილაძე –„მშვენივრად მესმის ჟვანიასი, რადგან ეს მისი დადგმული წარმოდგენაა, ჩემ წინააღმდეგაც მან დადგა, სპექტაკლებს რეჟისორები დგამენ. მე ჯერჯერობით რეჟისორი არა ვარ, სამწუხაროდ, სხვების მიერ შექმნილი მსახიობი ვარ... როცა მოქკავშირში ვიყავი და თან საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ამ სპექტაკლებში მეც ვმონაწილეობდი და კარგად ვიცი, როგორ მზადდება ისინი, მოქალაქეთა საარჩევნო სიებში მეცხრე ნომერი ვიყავი, როგორც კი გამოჩნდა განსხვავებული აზრი, იმწუთშივე გავხდი ოლიგარქი და საშინლად გათახსირებული პიროვნება".

10 ნოემბერი

დიდი ამბები იწყება, რომელსაც ვვარაუდობდი შემოდგომაზე, გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" არის **ვახტანგ ჭკუასელის** (რუსეთის ფედერაციაში ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორი, მ. ვ.) სტატია, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია „მოქკავშირში" . „მე უფრო იმას ვიტყოდი, რომ საქართველოში კუდი მართავს ძაღლს და არა ძაღლი კუდს, ... დღეს შევარდნაძე პარლამანტის უმრავლესობის გავლენის ქვეშაა, რა გზით შეიძინეს ასეთი გავლენა „ცისფერმა ბიჭებმა", ძნელი გასაგებია.

ეს სტატია მიმართულია „მოქკავშირის" და ძირითადად, ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ.

პარლამენტში დიდი ამბები ატყდა ამის გამო. თამაზ წივწივაძე, ფაქტობრივად, სამშობლოს მოღალატედ გამოიყვნეს. რაც შეეხება შევარდნაძეს, მან მეორე დღეს ინტერვიუში იხუმრა, რომ „ნაკლებად ერკვევა ცისფერებში და რომ იცოდა, ჟვანია და მწვანეთა ლიდერი". ეს შევარდანაძემ თქვა მისთვის დამახასიათებელი ირონიით. ამან უფრო გაამწარა ჟვანიას გუნდი. პარლამენტში **გია ბარამიძემ** და **რეზო ადამიამ** სიამოვნებით განცხადეს, რომ **წივწივაძე ცემესო.**

თამაზ წივწივაძეს „კვირის პალიტრაში" (13-19 ნოემბერი) კორესპოდენტი შეეკითხა –„თქვენზე არ უცდიათ თაედასხმაო, –„არავითარი, ქუჩაში ეგენი კაცს სხვა საქმისთვის დახვდებიან, საჩხუბრად კი არა, არც არავინ დამმუქრებიაო. წივწივაძე ძალიან გაკვირვებულია, როდესაც **ავთანდილ მარგიანმა დაწერა გაზეთში, კრწანისის ტყეში პარლამენტის უმაღლესი ეშელონის ორი წარმომადგენელი ბიჭი ერთმანეთს ეალერსებოდაო. ეს არ იყოო შეურაცხყოფა.** ჭკუასელმა რომ დაწერა „ცისფერი ბიჭებიო", ჩემი რა ბრალია, თავად ცისფერი პოეტური ფერია და მე იმ ფრაზაში „პოეტური ბიჭები" ვიგულისხმე".

რამდენიმე დღის შემდეგ ვახტანგ ჭკუასელი თბილისში ჩამოვიდა და პრესკონფერენცია გამართა, პრესკონფერენციის დროს მას „მოქკავშირის" ლიდერები ძველი ბიჭებივით ექცეოდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა **ვიტალი ხაზარაძე,** რომელმაც უთხრა, „შე ნაბიჭვარო, თუ გინდა შენ და შენ ცოლ-შვილს დღესვე დაგიმტ-

კიცებთ რა ცისფერი ვარო". იქით დავით ტყეშელაშვილი იმუქრება, აქეთ ვოვა ქარსელაძე. საშინელებაა, ყველას უნდა, რომ ტელევიზიით გამოჩნდეს, რათა ჟვანიამ დაინახოს, თუ როგორ იკლავენ თავს მისი გულისთვის. გუშინწინ ვაკეში დაიწყო აქცია, გადაიკეტა ჭავჭავაძის გამზირი. ხალხი გამწარებულია, ფაქტობრივად, ერთი კვირაა შუქი არ არის.

გუშინ შევარდნაძე 12 საათზე უნივერსიტეტში მოვიდა **სიმონ ჯანაშიას** 100 წლის იუბილეზე.

ვანო ზოდელავა ხშირად გადიოდა, გულმა რეჩხი მიყო, რომ რაღაც ხდებოდა, როდესაც სხდომა მთავრდებოდა მოულოდნელად შევარდნაძემ, რომელმაც სხდომის დასაწყისში უკვე თქვა თავისი სიტყვა სიმონ ჯანაშიას მოღვაწეობაზე, ისევ მოითხოვა სიტყვა და განაცხადა, რომ არ შეუძლია არ ილაპარკოს დღეს ენერგეტიკის საკითხებზე და მოულოდნელად განაცხადა, რომ კრიზისის თავი და თავი მოდის იქიდან, რომ 10-12 წლის წინათ უნდა აშენებულიყო ხუდონჰესი, რომლის მშენებლობაც ჩაიშალა. მთელი დარბაზი გაჩუმდა, ყველა მიხვდა, რომ ამ განცხადებით, შევარდნაძემ დარტყმა განახორციელა **ზურაბ ჟვანიაზე**, რომელიც მწვანეთა ლიდერი და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, რომ არ აშენებულიყო ხუდონჰესი. დარბაზიდან რომ გამოვედით აღმოჩნდა, რომ აქციები ტარდებოდა ვაკეში, ვაჟა-ფშაველაზე, მარჯანიშვილზე. მომიტინგეებთან მივიდნენ დავით ჟვანია, დავით მირცხულავა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, ბოლოს შეთანხმდენენ, რომ გაფიცულთა დელეგატები მისულიყვნენ ზურაბ ჟვანიასთან. გუშინ ღამით მოხდა შეთანხმება. დღეს **ზურაბ ჟვანიამ** ინტერვიუ მისცა ხუდონჰესის შესახებ. მე გამომრჩა, რომ **სულხან მოლაშვილს** განუცხადებია მთავრობის სხდომაზე ხუდონჰესის შესახებ, დღეს ჟვანიამ გაბრაზებულმა განაცხადა, რომ მას (ე. ი. მოლაშვილს, მ. ვ.) არ ეკითხებოდა არქივებში მოეძებნა ის საქმეები, არქივარიუსები არ არისო და, ფაქტობრივად, ის გამოვიდა პრეზიდენტის წინააღმდეგ, მოლაშვილი კახური სიჯიუტით მივიდა კონტროლის პალატაში, აქტიურად მუშაობს, მისი დამსახურებაა, რომ ამ დღეებში დააპატიმრეს ენერგოსისტემაში მომუშავე ჩაჩხიანი, შალამბერიძე და სხვები, რომელთაც მან გარეწრები უწოდა.

ისე ეს აქციები ვილაცის მონყობილია, ვინ არის, ამას გავიგებთ. ძირითადად კი, **„მხედრიონის" ხალხი** დავინახე, მაგრამ მათ უკან ვინ დგას, ეს არ არის ცნობილი, რაც შეეხება ძირითად აქციებში მონაწილეობას კარგად თქვა **რამაზ საყვარელიძემ, რომ ეს არის შეურაცხყოფილი ხალხი, მართლაც „მოქკაშირს" ტყუილების მეტი არაფერი გაუკეთებია.**

მოკლედ, დიდი ამბებია მოსალოდნელი. ახლა ვფიქრობ, გუშინ შევარდნაძე ტყუილად არ მოვიდა უნივერსიტეტში, მე ნამდვილად მიხარია, რომ ზურაბ ჟვანიას გუნდმა მართლაც, კარგად დაიწყო 1995 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან დიდ პოლიტიკურ, ბატალიებში ჩაებნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ამბობდნენ ხალხისთვის ვიკლავთ თავსო, სწორედ, ხალხი დაავიწყდათ. აღარ ვიცი, რა დავნერო, საერთოდ შევარდნაძე უნდა მიხვდეს, რომ როდესაც საქმეს ვეღარ აკეთებ და მარტო ლაქლაქებ, უნდა გადადგე.

ღამის „კურიერში" აჩვენებენ კადრებს 1988 წელს იპოდრომზე მოწყობილი მიტინგიდან, სიტყვით გამოვიდა **ზურაბ ჟვანია.** ძალიან ახალგაზრდაა. იქ იყვნენ ზვიად **გამსახურდია, მერაბ კოსტავა.** სიტყვით გამოვიდა ზვიად გამსახურდია, მერე **რომან გოცირიძე.** მათ დაგმეს ხუდონჰესის მშენებლობა.

ღამის „კურიერში" გამოვიდა **გია ბარამიძე,** მან განაცხადა, რომ გუშინდელი ამბავი არის თითიდან **გამოწოვილი უსინდისო გუშინდელი კომკავშირელების მიერ, რომლებიც სახლში წამოწოლილები იყვნენო.**

გიორგი სანაია ეკითხება: თქვენ, ალბათ, მოლაშვილზე საუბრობთ, მაგრამ მანამდე პრეზიდენტმა თქვაო.

გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ ... ეს იყო ანტისახელმწიფოებრივი გამოხტომაო.

დავიბენი, ფაქტობრივად, პრეზიდენტმა თქვაო, მაგრამ მერე დაამატა, პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანესო. ირინა სარიშვილი გამოვიდა და განაცხადა, ისინი ისე საუბრობენ თითქოს ოპოზიციური პარტია არიანო და არა მმართველიო... ახლა ბარამიძე საუბრობს 600 მილიონზე ისე, თითქოს სხვა ქვეყანაში ცხოვრობსო.

21 ნოემბერი

მდგომარეობა დროებით განიმუხტა, ხალხიც ხვდება, რომ ძალიან ბევრ კრიმინალს უნდა, რომ მოხდეს არეულობა და დაინყოს, ჩვეულებრივად, ძარცვა და ყაჩაღობა, ხოლო სანყალი ხალხის ისევ დარჩება უშუქობაში, მაგრამ, ჩემი აზრით, ხელისუფლებამ უნდა გამოიტანოს დასკვნა, **რომ ახლა თუ აიცილეს ხალხის რისხვა, ის ისევ გამეორდება. ის, რაც 17 ნოემბერს ხდებოდა, არ ვიცი, რაღაც საშინელებას ჰგავდა, მთელი ქალაქი გადაკეტილი იყო, ენთო კოცონები, ფაქტობრივად, მთელი თბილისი პარალიზებული იყო. მე და ირაკლი შაფაქიძე რესტორან „არაგვში“ ვიყავით და მერე გორა ხუნდაძის დაბადების დღეზე მივდიოდით, მანქანით ძლივს მივაღწიეთ მის სახლამდე, მერე ფეხით ნამოვედით ბარნოვზე, სადაც საბურავებს ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული და შუა ქუჩაში ეგდო, მთელი ხალხი გარეთ იყო, ძირითადად 13-14 წლის ბიჭები, მაგრამ შევამჩნიეთ, რომ უკვე გამოჩნდა ბევრი მამაძაღლი, ნარკომანი – გული შემიწუხდა ეს რომ დავინახე.**

რა უნდა ველაპარაკო ისეთ ე. წ. სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც არაფერს აკეთებენ, გია არსენიშვილი თუ არსებობს, საერთოდ არ ჩანს, როგორ შეეძლო გაენთავისუფლებინა შევარდნაძეს **ვაჟა ლორთქიფანიძე და დაენიშნა არსენიშვილი.** ძალზე აქტიურია ვანიკო ზოდელავა, რომელსაც უყვარს თავისი ქალაქი და მუშაობაც იცის.

გამაოცა გია არსენიშვილის ნათქვამმა „დილის გაზეთში“ – „ვერაფერი გამიგია, წინასწარ ამის პროგნოზი არ შეიძლებოდა. ის გრაფიკი, რისთვისაც ხალხი ქუჩაში გამოვიდა კახეთში[1] სანატრელი არისო“.

დამავიწყდა მეთქვა, რომ, როდესაც ძალზე გააქტიურდა პროკურატურა, რამდენიმე დღის წინ დააპატიმრეს ხაზინის უფროსი **ვაჟა ნახუცრიშვილი,** რომელმაც 2 მილიონ 350 ათასი ლარი გადაურიცხა რომელიღაც ფირმას, ფულის აღების შემდეგ, გაქრა. ამავე დროს, დააპატიმრეს ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ჭუმბურიძე, ახლა პუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო. ასეთი გააქტიურობა არ მოენონათ და გუშინ **კობა დავითაშვილმა** დააყენა საკითხი ჯამლეთ ბაბილაშვილის იმპიჩმენტის შესახებ, თურმე მას გამოცდაჩაუბარებელი პროკურორები დაუნიშნავს, ასევე დააყენა საკითხი კახა თარგამაძის წინა განცხადებების გამო, სადაც ამბობდა, რომ ინფორმაციები მაქვს პარლამენტიდან, ამავე დროს, რეზო ადამიამ განაცხადა, რომ მის კაბინეტში აღმოაჩინეს მოსასმენი აპარატი. ახლა სულხან მოლაშვილმა შეუტია ჟვანიას გუნდს და განაცხადა, რომ „ამალთეას“ ენერგობარმა 800 ათასი ლარი გადაუხადა –ეს „ამალთეა“ არის ცქიტიშვილის, რომელიც ჟვანიას გუნდის წევრია. ასევე განაცხადა, რომ დამთავრდა „საქგაზის“ შემონმება, რომლის უფროსიც იყო პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი. ინტერვიუ ასლან აბაშიძესთან.

კორ. – „ეს მართვადი პროცესი იყოო (თბილისში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით ეკითხება, მ.ვ.)“

ასლან აბაშიძე – „როდესაც რუსთაველზე დავინახე შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელები დამშვიდებულები, ყველაფერი გასაგები გახდა“.

კორ. – „ყოველ გაზაფხულზე ველოდებით დესტაბილიზაციას. ახალი წლიდანაც ხომ არ უნდა ველოდო დესტაბილიზაციას“?

ასლან აბაშიძე – „ჩვენ არ უნდა დავუშვათ შეცდომები, დრო არ უნდა დავკარგოთ, ერთად უნდა დავდგეთ“.

კორ. –„ბათუმური ორგანიზაციები არ აქტიურდებიან და რატომ იყო დუმილი“.

ასლან აბაშიძე – „ენერგეტიკის პრობლემა ამით არა გადაწყდება. თითოეულმა უნდა გავაკეთოთ, რომ ხალხმა სული მოოთქვას, ქვეყნის შიგნით არიან ძალები, რომლებსაც ეს არ აწყობთ, მაგ. ეკონომიკური ზონის შესახებ. კანონის მიღება ამაზე პრეზიდენტს ვესაუბრე. ჩვენ ველოდებით, რომ პარლამენტი მიიღებდა, მით უმეტეს, პრეზიდენტის პროგრამაში იყო შეტანილი, მაგრამ გარკვეული ძალები ამას წინ აღუდგნენ, ასევე იყო თბილელექტროსადგურის შესახებ, სამი დღის წინ ხელი მოეწერა 50 მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობას. მშენებლობის ვადა არის ექვსი თვე“.

კორ. –„დღეს ხუდონჰესის თემა გახდა აქტუალური“.

[1] ამ დროს კახეთში წლები განმავლობაში არ იყო შუქი.

ასლან აბაშიძე – „ჩვენ უკან არ დაგვიწყვია ქექვა, ამით არაფერი გამოსწორდება, ისტორია დაალაგებს ყველაფერს".

22 ნოემბერი

დღეს, საღამოს 9 საათზე „კურიერის" თანახმად, თურმე, მთავარი საკითხი საქართველოში ყოფილა იელოვას მიმდევრების საფლავების დარბევა. მათი წარმომადგენლების გამოსვლებს ყველაზე მეტ დროს უთმობენ.

საღამოს 8 საათსა 30 წუთზე „მე-9 არხის" საინფორმაციო გადაცემაში გამოვიდა კობა დავითაშვილი და გააკრიტიკა გენერალური პროკურატურა, რომ გიორგი ჭუმბურიძე, ყოფილი ფინანსთა მინისტრის მოადგილე, დაიჭირეს, მან განაცხადა, რომ ეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კი არა, არამედ ბრძოლის დისკრედიტაცია არისო.

დაიბეჭდა გიორგი უძილაურის სტატია „სმკ-ის თამაში აღარ არის" –„ცოტა არ იყოს თავხედურია სურვილი ტერორი მოუწყო ყველას, გარდა შენი თავისა, სმკ არ იყო, რომ მოითხოვდა კორუმპირებულების დაჭერას, მათი სახლების კონფისკაციას და ა. შ.

... გამოდის, რომ ყველგან უნდა მოისპოს კორუფცია სმკ-ის გარდა".

4 დეკემბერი

5 დეკემბერს ამოქმედდა რუსეთის მიერ საავიზო რეჟიმის ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილება. ამ რამდენიმე დღის წინ მინსკში გაიმართა დსთ-ს მეთაურთა შეხვედრა, შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღო, პუტინმა, ფაქტობრივად, ბრალი დასდო მას ჩეჩნებთან ურთიერთობაში, რაც გამოიხატა ჩეჩნების საქართველოში შემოსვლით და მერე ვითომდაც მათი გაქრობით.

5 დეკემბერი

რუსეთმა მოკლე დროში და საკმაოდ ნარმატებით დაძლია სოციალური გაჭირვება და ისევ ფეხზე დადგა. ახლა რუსეთი იწყებს მკაცრი პოლიტიკის გატარებას საქართველოს წინააღმდეგ. მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდებით, რადგან საქართველოს უნდა გამოეყენებინა სწორედ ეს პერიოდი, რომ ეკონომიკურად ფეხზე დამდგარიყო და მოხდა პირიქით, გავნადგურდით არა მარტო ეკონომიკურად, არამედ იდეოლოგიურადაც. არაფერი არ არსებობს ამ ხელისუფლებაში ეროვნული, გადასულნი არიან ერთმანეთის ლანძღვა-გინებაზე. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩევა კობა დავითაშვილი, გუშინ კობა დავითაშვილმა ახალი განცხადება გააკეთა, რომ ვაჟა ლორთქიფანიძე, ვანო ჩხარტიშვილი, თამაზ მაღლაკელიძე, დათო გამყრელიძე ერთი კლანის წევრები არიანო. გუშინვე ჩხარტიშვილმა განაცხადა: იგი ამჯერადაც, ისევე როგორც ხშირად, სხვათა დაკვეთას ასრულებს და მათი რუპორიაო (დილის გაზეთი).

დათო გამყრელიძე იმ კომისიას ხელმძღვანელობდა, რომელსაც საბიუჯეტო კრიზისის გამომწვევი მიზეზები უნდა დაესახელებინა. მან კომისიის დასკვნა წაიკითხა და მთავარ დამნაშავედ დაასახელა „მოქკავშირი". ამაზე გამწარდნენ.

გუშინ განცხადება გააკეთა ირინა სარიშვილმა. მან გადაწყვიტა მიიღოს ვაკის არჩევნებში მონაწილეობა, რადგან „მოქკავშირს" ალიანსი აქვს ჯაბასთან და უნდათ მისი გაყვანაო.

გუშინ, „ღამის კურიერში" გამოვიდა და თქვა, რომ ჯერ შეეკითხება ვაჟა ლორთქიფანიძეს, და თუ ის მიიღებდა მონაწილეობას, მაშინ უარს იტყოდა. ვაჟა ლორთქიფანიძემ განაცხადა, „რომ ის ერთ-ერთი ის პოლიტიკოსია, რომელმაც შეინარჩუნა პოლიტიკოსობის დროს მეგობრული გრძნობა", რაც შეეხება ჯაბა იოსელიანს, მისი მთავარი დანაშაული ის არის, რომ ახალგაზრდების მთელი თაობა დაიღუპა და ახლა აღარ აქვს უფლება კიდევ დაღუპოს ახალგაზრდობა.

7 დეკემბერი

გუშინ ვაჟა ლორთქიფანიძე ავირჩიეთ დეკანოგრაფიის კათედრის გამგედ, 37 დამსწრე წევრიდან 37 დადებითი ხმა მიიღო. ეს არის ნამდვილი ბედნიერება, როდესაც პოლიტიკაში ამდენი წელი იქნები თანამდებობაზე და იმდენად ადამიანური იყო, რომ დიდი პატივით მივიღეთ მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი უკან ვერ ბრუნდება. პირველ რიგში უნდა იყო კაცი და მერე პოლიტიკოსი და მეცნიერი.

დღეს პარლამენტში განიხილეს დავით გამყრელიძის მოხსენება საბიუჯეტო კრიზისის შესახებ, პოლიტიკურ ნაწილში მან ბრალი დასდო „მოქალაქეთა" კლანს, განსაკუთრებით დაადანაშაულა ზურაბ ჟვანია, რომლის შესახებ თქვა, რომ მუშაობა მიდიოდა ინტრიგებით და დემაგოგიით.

მე მოვუსმინე ზურაბ ჟვანიას, მან თქვა, რომ დავით გამყრელიძეს სახელმწიფო მინისტრობა უნდოდა და ამიტომ არის განაწყენებულიო. ენერგოკომისიის თავმჯდომარედ წამოაყენეს ირაკლი ჩუბინაშვილის კანდიდატურა. ეტყობა, თვითონ უმრავლესობის წევრებს არ უყვართ ის, რადგან ხმა არ მისცეს.

9 დეკემბერი

გუშინ შინაგანი ჯარები შეიყვანეს პანკისის ხეობაში. აღმოსავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. დილით სიტყვით გამოვიდა კახა თარგამაძე, გუშინ პრესკონფერენციაზე გია ბარამიძემ განაცხადა, რომ მზადდება თავდასხმა ზურაბ ჟვანიაზე. ვალერი გელბახიანმა განაცხადა, მორიგი პოლიტიკური შოუ არისო. **გუშინ საკაშვილმა განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში არ გაატარებდა „მხედრიონს", რადგან ქვეყანას „მხედრიონი" არ სჭირდება. „ის რაც ჭადრაკის სასახლიდან ინყება, შემდეგ ქუჩაში გამოდის, ტანკებზე ადის და ცუდი შედეგებით მთავრდება"** (გაზ. „დრონი"). ძალზე გაბედული ნათქვამია და ნამდვილად მივესალმები მის განცხადებას. უნდა აღვნიშნო, საკაკშვილი განსაკუთრებული მოვლენაა, ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებს, **მაგრამ მე მაინც მწამს, რომ ამას აკეთებს არა დავალებით, არამედ თვითონ არის ასეთი, მას სწამს რასაც აკეთებს, ვნახოთ, დღეს კი ამბობენ დააავალესო, მაგრამ, მე არ მჯერა, ჯაბა ძალიან გამწარდა, დღეს „ახალ თაობაში" ფაქტობრივად დაემუქრა საკაკშვილს და განაცხადა, „მაგას ურიკინებსო".**

11 დეკემბრი

გუშინ კოდორის ხეობიდან გაიტაცეს ერთი პოლონელი და ერთი ბერძენი დამკვირვებელი, საქართველოს ექმნება ტერორისტული ქვეყნის იმიჯი. ინგლისმა უკვე განაცხადა, რომ არ ურჩევს თავის მოქალაქეებს გაემგზავრონ საქართველოში. გია ბარამიძემ განაცხადა, რომ ეს რუსეთის მზაკვრული გეგმა არისო. ახლა რჩეულიშვილს ვუსმენდი, ზომიერი პოლიტიკა ავირჩიოთ რუსეთთანო. თუ რუსეთთან აპირებდნენ ბრძოლას, მაშინ ეროვნული სახელმწიფო უნდა შეექმნათ, რომ ერთად ვყოფილიყავით, ერთ მუშტად შეკრულნი, ახლა, პირიქით, საქართველო საშინლად დაპირისპირებულია. ერთი აფეთქება უნდა, აირევა ყველაფერი, იმდენი სისულელე გააკეთეს, რომ ძალიან ბევრს, მათ შორის მეც, ამერიკას აჯავრებენ თავიანთი მოქმედებებითო.

12 დეკემბერი

დღეს პარალამენტის სხდომაზე დიდი შეჯახება იყო „თბილკრედიტბანკი"-ს ვალის შესახებ, ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ამხელა შენობებს ყიდულობსო (საუბარია რუსთაველზე „ივერთბანკის" შენობის ყიდვაზე, მ. ვ.). ნოღაიდელმა განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ბანკი გავანადგუროო. პარლამენტში განაცხადეს, რომ ეს ბანკი ეკუთვნის **გურამ ახვლედიანს** და **ლევან პირველს.** პირველად ვნახე ლევან პირველი ასე გაბრაზებული. მან განაცხადა, ნოღაიდელი იმიტომ იბრძვის, რომ ჩვენი კონკურენტი ბანკის აქციონერი არისო (გაგიჟდება კაცი, ეს ნოღაიდელი სანყალი კაცი მგონია და თურმე აქციონერია, მ. ვ.). ნოღაიდელმა ჟურნალისტებს შეკითხვებზე უპასუხა, რომ ის ადრე იყო აქციონერი და როცა

კომიტეტის თავმჯდომარე გავხდი პარლამენტში, გავყიდეო. არსად არ უმუშავია და საიდან უნდა ჰქონდეს აქციები.

13 დეკემბერი

დღეს პარლამენტის სხდომაზე ჯამლეთ ბაბილაშვილი იყო მოსული და მოითხოვა ფრიდონ ინჯიასათვის დეპუტატობის იმუნიტეტის მოხსნა. მე ვუყურებდი, რომ გამოვიდა გია ბარამიძე და ძალიან ყვიროდა, რომ მოეხსნათ ინჯიასთვის იმუნიტეტი, მერე ნოდარ გრიგალაშვილი გამოვიდა, ისეთი არაფერი არ უთქვამს გია ბარამიძეზე. გია წავიდა გინებით და ატყდა ჩხუბი, სხდომა დროებით შეწყდა. საოცარია, დეპუტატები ჩხუბობენ პირდაპირ გენპროკურორის წინ, შემდეგ შეწყდა კენჭისყრა და მოულოდნელად, როცა უმრავლესობა 140-მდე კაცი იჯდა, ვერ მოაგროვეს 79 ხმა, დააკლდათ 3 ხმა. ჟვანია ძალიან გაბრაზდა, ფაქტობრივად, ლექცია ნაუკითხა პარლამენტარებსა და თქვა, ამ საკითხს შემდგომში განვიხილავთო, ამ კენჭისყრაში გამოჩდა, რომ ჟვანიას „მოქკავშირში" უმრავლესობა აღარ ჰყავს. დავითაშვილი გამოვიდა და თქვა, აეკრძალათ ფარული კენჭისყრაო, ამავე დროს ძალზე ჭკვიანურად და აბსოლუტურად სწორად თქვა, რომ სახეზეა „სახელისუფლო კრიზისი".

17 დეკემბერი

20 დეკემბერს სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართება და ამიტომ დაჩქარებულად მივიღეთ ბიუჯეტი, რომელიც არ ვარგა და ამას ყველა აღიარებს, მაგრამ, ამავე დროს, ამბობენ, ბიუჯეტი რომ არ დავამტკიცოთ, დახმარებას ვერ მივიღებთო. მართლაც, პარლამენტმა ორ დღეში მიიღო, აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად ვჩქარობდით. ორი დღის წინ გაიმართა პარიზის კრედიტორთა შეკრება, სადაც რუსეთმა უარი თქვა 179 მილიონი ვალის რესტრუქციაზე და საქართველოს საკითხი ამოაგდეს დღის წესრიგიდან 27 იანვრამდე, როცა გაიმართება ახალი შეკრება პარიზში. აღმოჩნდა, რომ არავითარი შეთანხმება არ მომხდარა, როდესაც არსენიშვილი და ნოღაიდელი იყვნენ რუსეთში. ამ დროს კი არსენიშვილი ამბობდა, რუსეთში ჭკიანი ხალხი მოვიდაო, ეს სწორად თქვა, რადგან მათ თავიანთი ინტერესები დაიცვეს. ასევე დაემართა არსენიშვილს თურქმენეთში, როდესაც იქიდან ჩამოვიდა, თქვა, ყველაფერზე შევთანხმდით, ხოლო შემდეგ თურქმენეთმა განაცხადა, არავითარ ვადების გადაწევაზე არ შევთანხმებულვართო, აღმოჩნდ,ა რომ რუსეთმა ორი პირობა წამოაყენა, ერთი 322 მილიონის წინასწარ გადახდა და მეორე ე.წ. „ნულოვანი ვარიანტი" სსრკ-ს ძველი ვალების შესახებ. ამისთვის საჭირო იყო, პარლამენტს რატიფიცირება გაეკეთებინა. აღმოჩნდა, რომ თურმე დაავიწყდათ, ლადო პაპავამ სწორად აღნიშნა, ეს არის დიდი შეცდომა ან პროვოკაციაო. გია არსენიშვილი უნესიერესი კაცია, მაგრამ თავიდანვე აღენიშნე, რომ სახელმწიფო მინისტრობა არ იყო მისი საქმე, მით უმეტეს, ამ პირობებში, მახსოვს, ერთი თანამშრომელი[1] შემოვიდა ჩემთან და მეუბნება, რომ მასიამოვნოს როგორც კახელს –კახელებს ერეკლეს შემდეგ 200 წელიწადი ასეთ დიდ თანამდებობაზე, როგორც არსენიშვილი დანიშნეს, არ გვყოლიაო. მე ვუპასუხე, ეგ ისე იმუშავებს, რომ მის შემდეგ კიდევ 200 წელიწადი კახელს აღარ დანიშნავენ დიდ თანამდებობაზე-მეთქი. „მოქკავშირი" ძალიან გამწარდა, ე.წ. „ახალი სახეები" როგორც ჟვანია და საკაშვილი ამბობდნენ, დეპუტატი ნინოშვილი – 25 ნლის გოგონა სორბონა დამთავრებული, რომელიც „მოქკავშირის" სიაში ჩაჯდა საკაშვილის რეკომენდაციით გავიდა „ახალ ფრაქციაში". მე საერთოდ ეჭვის თვალით ვუყურებდი მაშინ მის შეყვანას, რადგან 7 ნელიწადი საფრანგეთი სწავლობდა და საერთოდ არ იცნობდა საქართველოს, მხოლოდ იმიტომ შეიყვანეს, რომ სორბონა ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ახლა ვაფასებ და ჭკვიანი გოგო ყოფილა, რადგან, „მოქკავშირში" გაჩერება შეუძლებელია, „მოქკავშირმა" 1995 წელს კარგად დაიწყო, განსაკუთრებით მისმა ახალგაზრდულმა ფრთამ, მაგრამ თანდათანობით დაიწყო დაპირისპირება, დემაგოგია, ეჭვიანობა და, რაც მთავარია, ველარ იტანენ კრიტიკას.

---

1 ნიკო ჯავახიშვილი.

დღეს ვუყურებ „60 წუთს“. ალაპარკებენ ჭუმბურიძის (ის „მოქკავშირის“ კაცი იყო, მ.ვ.) მეუღლეს და ადვოკატს –მე პირადად ძალიან მეცოდება, ხუთი შვილის მამაა და თანავუგრძნობ, რადგან ამდენ ბანდიტებში მისი ხუთი ათასი არაფერი არ არის, მაგრამ აშკარაა ბრძოლა ძალოვან სამინისტროსა და ჟვანიას გუნდს შორის. ეს ჭუმბურიძე სნორედ ამის მსხვერპლია, დაპირისპირება ასე არ დამთავრდება, გული ცუდს მიგრძნობს.

18 დეკემბერი

დღეს გია ბარამიძე გამოვიდა პრეზიდენტის სახელმწიფო სამსახურის უფროსის ირაკლი ანდრიაძის წინააღმდეგ, რომ „ლიკანიდან“, „ივერიიდან“ და სხვა ობიექტებიდან თანხები არ შემოდისო, ისე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სამსახური ხელშეუხებელი იყო სნორად იქცევიან ეს ახალგაზრდები, მომავალში, როდესაც ჩემს ნაცოდვილარს წაიკითხავენ, მიხვდებიან, რომ მე პირადად არაფერი მაქვს არავისთან, გასაყოფი თან ისეთი თანამდებობა მაქვს, ჩემს ცხოვრებაში რომ ვერ ვინატრებდი და პირადად ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაიმარჯვებს. იმაზე ვნერ, რა არ მომმნონს იმაზეც რაც მომნონს. მე ცუდს არ ვეძებ, მაგალითად, დღეს სააკაშვილის ინტერვიუს დიდი ნაწილი მომეწონა „ასავალ-დასავალში“.

კორ. –„არის თუ არა ედუარდ შევარდნაძე თქვენი პოლიტიკურ კერპი“.

მიხეილ სააკაშვილი – „ჩემი პოლიტიკური კერპი ილია ჭავჭავაძეა.

რაც შეეხება „მხედრიონს“ და ჯაბა იოსელიანს, სააკაშვილი ამბობს, რომ სანამ ციხეში იყო და ყველას შეეძლო ელანძღა მასზე ერთი ძვირი სიტყვა არ დამცდენიაო, თუმცა ათასობით განადგურებული და დამახინჯებული ახალგაზრდის, დაკარგული თაობის ფონზე შეუძლებლად მიმაჩნია „მხედრიონის, როგორც ძალოვანი სტრუქტურის პოლიტიკური სტატუსით დარეგისტრირება“.

კორ. – „ვინ უფრო პოეტია თქვენთვის რეზო ამაშუკელი თუ მუხრანი“?

მ.ს. – „შესაძლოა, ბატონი რეზო ბევრს აღიზიანებს, როგორც პოლიტიკოსი, მეც ვთვლი, რომ ის პოლიტიკაში არ უნდა მონაწილეობდეს“.

19 დეკემბერი

გუშინწინ შევარდნაძემ გამართა პრესკონფერენცია. ამ დღეებში კიდევ დაიწყეს შეტევა შევარდნაძის ნათესავებზე, შეტევას ახორციელებენ გაზ. „რეზონანსი“, გადაცემები „კურიერი“ და „60 წუთი“, პარლამენტარი ზურაბ ჟვანია, მაგრამ ის თავად არ ჩანს, განსაკუთრებით ეს გამოჩნდა პარლამენტის სხდომაზე, როდესაც იხილებოდა „თბილკრედიტბანკის“ საკითხი. დარტყმა განახორციელეს ბარამიძემ, დავითაშვილმა და ნოლაიდელმა. გუშინ შევარდნაძემ თქვა, „არ მგონია, პარლამენტის მიზანი შევარდნაძეზე დარტყმა იყოს ან რას მოიგებენ ამით, თუ უფრო არ წააგებენ. მე არ შემიძლია ვწყემსო ჩემი და სხვისი ნათესავები გავანადგურო“. რა თქმა უნდა, ფინანსთა მინისტრის ასეთი განცხადება დიდი დარტყმაა ბანკზე, რადგან მეორე დღეს მეანაბრეებმა დაიწყეს თავიანთი ანაბრების გატანა ბანკიდან, თვით ზურაბ ჟვანიამ ტელევიზიით განაცხადა, რომ ფინანსთა მინისტრმა შეცდომა დაუშვა.

21 დეკემბერი

რომ არ დამავიწყდეს, 11 საათზე „კურიერში“ იყვნენ ელენე თევდორაძე და დათო ბერძენიშვილი. დათომ ზუსტად თქვა, რომ შევარდნაძე ბოლო პერიოდში ემსგავსება ბრეჟნევსო.

გუშინ მთავრობის სხდომაზე გაგრძელდა დიდი სკანდალები. მიშა სააკაშვილმა ხე-ტყის დეპარტამენტის უფროსს ჯაფარიძეს ბრალი დასდო, რომ მფარველობს შოთა მეფარიძეს. ჯაფარიძემ უპასუხა, რომ მან მიხედოს თავის მოადგილეს იმერლიშვილს, რომელიც თავის მკელელ ძმას მალავდაო. შემდეგ შევარდნაძის მრჩეველი მირიანაშვილი გამოვიდა. მან თქვა, სააკაშვილი განანყენებულია იმიტომ, რომ მის

მამას არ მისცეს წყნეთში ნაკვეთიო და დაამატა, არ მიყვარს ოჯახურ ამბებზე საუბარიო, რადგან ეს სიბინძურეაო. ამ დროს სააკაშვილმა დაუძახა, სიბინძურე ხართ თქვენ და რასაც თქვენ აკეთებთ საერთოდ, მირიანაშვილი დაიბნა, ვინ კაცო, მე მეუბნებიო? მე გეუბნები, მე, მიხეილ სააკაშვილი გეუბნებიო, რომ თქვენ ხართ სიბინძურის განსახიერება თვითონ.

...„აი, მე ვარ არა, წარმოთქვა მირიანაშვილმა, დიახ –უპასუხა სააკაშვილმა. მე არა, გმადლობთ, მადლობთ... განაცხადა მირიანაშვილმა. სააკაშვილმა უპასუხა –მე თქვენ ბევრჯერ დაგიმტკიცეთ ვინც ხართ, ვიღაც დაქირავებული მწერალი".

– „არანორმალური ხართ თქვენ, ეს ცნობილი ფაქტია და ამიტომ გეუბნებით, რომ თქვენ ხართ ცნობილი გიჟი, უპასუხა მირიანაშვილმა".

შევარდნაძემ სიტყვა შეაწყვეტინა მირიანაშვილს და უბრძანა დაეტოვებინა დარბაზი, სააკაშვილს აჩერებდა კახა თარგამაძე, რომელიც ხელზე ხელს უჭერდა, რომ გაეჩერებინა, მაგრამ ის არ ერიდებოდა, მან პრეზიდენტს მიმართა.

– „სიმართლისათვის ბრძოლა ცხადდება სიგიჟედ თქვენი მრჩევლების მიერ იმიტომ, რომ ეს კაცი არის თქვენი თანაშემწე".

დღეს კიდევ ერთი სკანდალი მოხდა „მოქკავშირის" ფრაქციის სხდომაზე. უმრავლესობა დატოვა როსტომ დოლიძემ... ფრაქციის დატოვებას აპირებს ელენე თევდორაძე, რომელიც, ინჯიასთვის იმუნიტეტის მოხსნის წინააღმდეგი წავიდა, გუშინ შევარდნაძე გამოვიდა მასმედიის წინააღმდეგ, მან განაცხადა, რომ პრესაში და ტელევიზიაში ტოტალური შეტევა დაიწყო და მოითხოვა მიეღოთ კანონი პრესის შესახებ, შევარდნაძე გარკვეულწილად სწორია, რადგან უამრავი შეკვეთილი სტატია იბეჭდება და ადამიანს მაგარი ნერვები უნდა ჰქონდეს, რომ ამას გაუძლოს, რა თქმა უნდა, ეს ყველას არა ეხება და ღმერთმა დაგვიფაროს, განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ახალი თაობა" როგორც ობიექტური გაზეთი. სწორედ გუშინ, ღამის „კურიერში" შევარდნაძეს გინებით არ აგინეს, მაგრამ არაფერი არ დაუკლიათ და რამდენჯერმე აჩვენეს კადრები, შევარდნაძე როგორ ნაბარბაცდა.

28 დეკემბერი

24-ში მაღლივი კორპუსიდან წამოვიდნენ სტუდენტები მოთხოვნით, რომ გაუქმებულიყო გამოცდები. ვითომდაც ევროპაში გაუქმდა, აგრეთვე ამბობდნენ, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა გამოცდები გააუქმაო ფაკულტეტზე. მაღლივი კორპუსიდან წამოსული სტუდენტები შეუერთდნენ მეორე კორპუსთან მდგარ იურისტებს, შემდეგ რექტორმა როინ მეტერველმა მოლაპარაკება გამართ მათ წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდა თემურ ხუროძე, პარმენ მარგველაშვილი, ავთო სილაგაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, ჰენრი ყარაშვილი. შემოვიდნენ სოსო ალავიძე და სულაძე. მეც ვესწრებოდი ამ შეხვედრას. რექტორმა აუხსნა სტუდენტებს, რომ შეუძლებელი იყო გამოცდების მოხსნა, რადგან დიპლომს ვერ მიიღებდნენ და შესთავაზა, რომ გადასწევდა გამოცდების ჩაბარების ვადას. **სტუდენტები გავიდნენ, მაგრამ პოლიცია ამის საშუალებას არ აძლევდა. გარეთ, მეორე კორპუსთან ვიდექით სტუდენტებთან თემურ ხუროძე, პარმენ მარგველაშვილი, ლაზო ზამბახიძე, ჩემთან ერთად იყო ოლეგ მელაძე. დამავინყდა, იყო დათო შარაბიძეც. სიტუაცია არ მომწონდა, ამიტომ არ ვტოვებდი სტუდენტებს. ერთი საათის შემდეგ უცებ სტუდენტებმა დაინყეს კვერცხების სროლა და ერთმა ბოთლიც კი ისროლა. მაშინ სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციელები, დაახლოებით 15 კაცი, შემოიჭრა ამ მასაში. თითქოს კინოში ხდებოდაო, ისე დაიფრინეს ახალგაზრდები და ყველას ურტყამდნენ. შემდეგ დაიჭირეს ის ბიჭი, რომელმაც ბოთლი ისროლა. სტუდენტები არ ანებებდნენ, რომ ის ბიჭი წაეყვანათ. საშინელი მომენტი დადგა. მე ჭკუაზე გადავედი, პირდაპირ კიბეებიდან ამ ორომტრიალში გავეშვი და შუაში ჩავდექი პოლიციასა და ამ სტუდენტებს შორის. სტუდენტებმა მიცნეს და ხელი არ გაანძრიეს, პოლიციელებიც მომერიდნენ. საშინელი ხმით ვყვიროდი, ისე, რომ ამან შედეგი გამოიღო და დაგვპირდნენ, რომ არავის არ დაიჭერდნენ.** მართლაც, მართალია, ჩემი ფაკულტეტის სტუდენტები არ იყვნენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ყველა ჩემი შვილები არ არიან, გული დამ-

ნყდა, რომ მათი დეკანი რომან შენგელია რამ-
დენიმე მეტრში თავიანთ მოადგილეებთან ერ-
თად კაბინეტებში ისხდნენ და გარეთ ცხვირი
არ გამოუყვიათ. მიუხედავად იმისა, რომ რამ-
დენჯერმე დაურეკეს გამოსულიყვნენ, დარეკვა
რად უნდოდათ, ინგრეოდა ისედაც ყველაფერი,
თემურ ხუროძე ისე გამწარდა, რომ შეუარდა
კაბინეტში შენგელიას და მის მოადგილეებს დ
გარეთ გამოიყვანა, მაგრამ მერე ისევ გაქრნენ.
30-მდე სტუდენტი შეიყვანეს პირველ კორპუსში
მოსალაპარაკებლად. მოვიდა ალეკო კარტო-
ზიაც და ვასილ მაღლაფერიძე. საინტერესო
საუბარი გაიმართა. მათ განაცხადეს, რომ ბევრს
სახლში ცივა, შუქი არა აქვთ და ვერ ემზადებიან.
იურისტმა სტუდენტებმა ზოგიერთი მათ მასწავ-
ლებელის გვარები დაასახელეს, ბრალი დასდეს,
რომ ისინი უსინდისოდ აიძულებენ, მათი წიგნები
იყიდონ, საუბარი დიდხანს გაგრძელდა, გარეთ
რამდენიმე ასეული სტუდენტი ელოდებოდათ.
სტუდენტები დიდი მოწიწებით იყვნენ რექტო-
რის მიმართ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჩაე-
ბარებინათ გამოცდები თავის დროზე და ვისაც
დარჩებოდა ეს გამოცდები, მათ ნება მიეცათ 1
მაისამდე ჩაებარებინათ. ყველა დათანხმდა ამ
წინადადებას.

გუშინ მთავრობის სხდომაზე ვახტანგ რჩეუ-
ლიშვილმა პრეზიდენტს უთხრა, რომ არ შეი-
ძლება ასე გაგრძელება, როდესაც პრეზიდენტს
აჩვენებენ წაბარბაცებულს და ა.შ. შეურაცხმყო-
ფელი არაფერი უთქვამს, მაგრამ „კურიერში"
დიდი ამბები ატყდა. მათ დაინყეს რჩეულიშვი-
ლის ლანძღვა „რუსთავი-2"-ზე და აჩვენეს ის
კადრები, როდესაც ბორჯომი შეასხა ნოდარ ნა-
თაძეს, აჩვენეს ბევრი მისი გამოსვლა და განსა-
კუთრებით გორში. მეორეს დღეს „რეზონანსში"
დაიბეჭდა სტატია „პოლიტიკური პროსტიტუცი-
ის პრეზიდენტი" პრესის წინააღმდეგ.

ამავე გაზეთში ძალიან მომენონა თემურ შა-
შიაშვილის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ
„პრეზიდენტი შეცდა იმაში, რომ მას კრიტი-
კული შენიშვნა პრესის მიმართ კი არა, იმ
პოლიტიკურ ძალებზე უნდა გამოეთქვა, რომ-
ლებმაც მონოპოლია მოიპოვეს მთელ რიგ მე-
დიის საშუალებებზე. ამ ძალებმა მას, ფაქტო-
ბრივად, სკამიც წაართვეს და ქვეყანა ორხ-
ელისუფლებიანობის უმართაობაში გადაიყ-
ვანეს. პრეზიდენტი ამ ინტრიგებშია გახვეული
და ხშირად თავის მართლება უნევს, ამ მეორე
ძალამ ქვეყნის მართვა რა არის, საერთოდ არ
იცის, ეს კი დიდი უბედურებაა.

... მინდა ვუსურვო, რომ პრეზიდენტი არ
აჰყვეს ინტრიგებს და მიხედოს ამ პოლიტიკურ
ძალას, რომელიც თვითონ შექმნა, იმაზე ცუდს,
რაც ამ ძალის შექმნით გააკეა, იგი ქვეყანას ვე-
რასდროს გაუკეთებს.

პირთა საძიებელი

ა

აბაიშვილი პეტმარ 5
აბალაკი გიგი 254
აბაშიძე ასლან 15, 18, 36, 50, 72-75, 77-79, 88, 89, 98-100, 102, 108, 112, 125, 127, 128, 131-133, 153, 164, 188, 195-206, 208-218, 235, 237, 238, 245, 255-260, 262-266, 274, 276, 277, 282, 294, 295
აბაშიძე მემედ 201, 208-210, 245, 252, 253, 276
აბაშიძე ვატო 152
აბაშიძე ვახტანგ 125
აბსანძე გურამ 276, 290
აბულაძე თენგიზ 89
ადამია გენო 47
ადამია ვაჟა 12
ადამია რევაზ 169, 174, 176, 253, 263, 292, 294
ადეიშვილი მერაბ 280, 281
ავტორხანოვი 44
ალავიძე სოსო 163, 164, 240, 269
ალასანია გივი 227, 260
ალდამოვი ხიზრი 244
ალექსიძე ლევან 173, 174
ალიევი პეიდარ 65, 118, 119, 124, 151, 253, 255, 275
ამაშუკელი ელგუჯა 208, 209
ამაშუკელი რეზო 50, 51, 96, 113, 123, 130, 160, 166, 246, 264, 298
ამაღლობელი ნოდარ 153, 247
ამირეჯიბი ირაკლი 252
ამირეჯიბი ჭაბუა 15, 24, 29, 99, 150, 166
ამირხანაშვილი კობა 287
ანანი კოფი 169, 170, 174
ანდრიაძე ირაკლი 28, 29, 298
ანდროპოვი 118
ანთელავა ილია 283
არსანოვი 142
არსენიშვილი გია 278, 279, 281, 288, 294, 297
არუთინიანი 241
არჩვაძე მანანა 246, 253
არძინბა ვლადისლავ 37, 39-41, 46, 47, 109-111, 122, 125, 140, 144, 167, 174, 179-186, 191-193, 243, 260
ასათიანი აკაკი 28, 34, 49, 70, 89, 127, 132, 153, 186, 201, 202, 212, 236
ასათიანი ვალერი 47, 101, 252, 280
ასანიძე 132, 259
ასლანიკაშვილი თამარ 171, 212
ასლანიკაშვილი მამუკა 261
აუშევი 149
ახალკაცი ვოვა 245
ახვლედიანი აზიზ 196
ახვლედიანი გურამ 296
ახვლედიანი ზურა 38
ახვლედიანი ნინო 38
ახვლედიანი არმაზ 195, 196, 198, 199

ბ

ბაბილაშვილი ჯამლეთ 43, 92, 167, 236, 257, 297
ბადურაშვილი თეიმურაზი 11, 31
ბათიაშვილი ირაკლი 48, 71, 76, 78, 81, 82, 95, 113, 122, 126, 129, 155, 162, 165, 253, 260, 280, 282
ბალაძე ეთერ 202
ბალუაშვილი ანზორ 189, 259, 280
ბარამია მერაბ 56
ბარამიძე გიორგი 21, 22, 28, 93, 99, 120, 127, 131, 141, 144, 152, 153, 155, 159, 161, 187, 235, 237, 238, 245, 257, 269, 270, 292, 293, 296-298
ბარბაქაძე 77
ბარსეკოვი 107
ბასაევი შამილ 86, 107, 140, 142
ბასილაია თემურ 54, 92
ბასილაია ლიკა 178, 183, 185, 199
ბატურინი 167
ბაქრაძე აკაკი 8, 10, 11, 14, 87, 88, 92, 93, 96, 98, 99, 146, 268, 270
ბაქრაძე ბაკურ 57
ბაქრაძე დათო 170
ბაქრაძე ვალერი 244, 245
ბალაფში სერგეი 186
ბეჟანიძე ჰუსეინ 276
ბეჟუაშვილი დავით 294
ბერაძე გივი 94, 95
ბერეზოვსკი ბორის 167
ბერია მურმან 160, 180
ბერიშვილი თორნიკე 90, 91
ბერიძე ალექსანდრე 15
ბერიძე ეკა 265
ბერულავა გია 58
ბერძენიშვილი დავით 99, 153, 211, 254, 263, 281, 298
ბერძენიშვილი ლევან 256, 270, 283

ბინაძე ანზორ 252
ბინაძე ბადრი 252,
ბინაძე ხათუნა 190
ბლერი ტონი 255
ბობოხიძე აკაკი 48, 58
ბოკერია გიგა 56, 57, 58, 219, 277
ბოკუჩავა ჯამბულ 110, 133
ბოლქვაძე თამაზ 195
ბოროვოი 106
ბოტა ლივიუ 193
ბოცვაძე ზანდი 55, 100, 124
ბოჭორიშვილი ალექსანდრე 88, 89, 91, 94, 153
ბოჭორიშვილი ვახტანგ 267, 279
ბოხუა მერაბ 188
ბოხუა ნოდარ 81, 82
ბრაუნბერქი სემ 176
ბრეგვაძე ბაჩანა 168
ბრეგვაძე ნანი 150
ბულია რიჩარდ 187
ბურჭულაძე ნემო 236
ბურჭულაძე პაატა 24
ბურჯანაძე ანზორ 127
ბურჯანაძე ნინო 256, 279, 289

გ

გაბაშვილი კოტე 48, 49
გაბრიჩიძე ნუგზარ 261
გაგნიძეები (ძმები) 71
გაიდარი ეგორი 22, 29, 111
გალაზოვი 126
გალი ბუტროს 18
გამრეკლიძე ლერი 98, 160, 260, 274
გამსახურდია ზვიად 5, 8, 12, 13, 14, 19-21, 25, 28, 29, 50, 52, 53, 67, 70, 79, 84, 90, 97, 100, 101, 110, 114, 115, 117, 118, 121-123, 155, 156, 161-163, 191, 224, 236, 238-240, 252, 263, 282, 283, 293
გამყრელიძე დავით 279, 280, 281, 285, 288, 295, 296
გაჩეჩილაძე გოგი 94
გაჩეჩილაძე ლევან 279, 280, 285, 288, 292
გახოკიძე ჯემალ 99, 236, 241, 246, 247
გელაშვილი გიგა 76, 77, 80, 90-92, 118
გელბახიანი ვალერი 277
გელბახიანი პეტრე 78
გერგია თემურ 88
გვაზავა გია 155
გვაზავა ალექსანდრე 147
გველესიანი ავთანდილ 59
გვენცაძე რომან 15, 21, 43
გიგინეიშვილი მანანა 7, 9, 85, 88, 100
გილიგაშვილი როლანდ 204, 279
გილმანი ბენჯამინ 169
გიორგაძე იგორ 19, 43, 51, 54, 56, 59, 60, 65-67, 70-81, 86, 89, 94, 96, 100, 102, 118, 123, 124, 133, 148, 150, 158, 164, 166, 235
გიორგაძე მამუკა 39, 59, 66, 96, 109, 112, 135, 148, 153, 155, 162, 257, 261, 263, 265, 274, 277
გიორგაძე პანტელეიმონ 86, 89, 94, 99, 164, 245
გიორგობიანი ბიძინა 95, 157
გლადიშევი 73, 74, 75
გოგელია არჩილი 13, 113, 114, 116, 120
გოგიაშვილი ნიკა 279
გოგიაშვილი ომარ 279
გოგიბერიძე სესილი 280
გოგიტიძე სოსო 204
გოგიტიძე ჯემალ 196, 199, 200, 258, 259, 277
გოგიჩაიშვილი აკაკი 268, 280, 284
გოგლიძე რამაზ 275
გოგნიაშვილი გურამ 127
გოგოლაშვილი ვალერიან 83
გოგოლაძე ანდრო 282
გოგოლაძე ელდერ 165
გოგოლაძე მაია 10
გოგუაძე ვახტანგ 7, 8, 42, 44, 99, 110, 113, 120, 121, 123, 124, 130, 140, 141, 171, 245
გომართელი ამირან 242
გორბაჩოვი მიხეილ 117, 118, 130
გორგოძე შოთა 97
გორგოძე ჯემალი 15
გორდეზიანი რისმაგ 47, 50, 51, 274
გოცირიძე რომან 293
გრაჩოვი პავლე 25, 37, 46, 47, 55, 60, 65, 80, 81, 111, 118, 122, 244
გრიგალაშვილი ნოდარ 72, 80, 165, 166, 297
გრიგოლია ინგა 279, 280
გრომოვი ბორის 65
გუგეშაშვილი დოდო 85, 90, 278
გულედანი ელგუჯა 243
გულუა ბაკურ 60, 146, 280, 281
გულუა გია 24, 26, 92, 95, 101
გურული ბაჩო 74
გურული ვახტანგ 283, 289

დ

დავითაშვილი ამირან 18
დავითაშვილი კობა 278, 282, 294, 295, 297
დათუაშვილი პაატა 69

დარსალია დემურ 190
დემირელი სულეიმან 255
დვალი ზაზა 275
დვალიშვილი დემურ 14, 27, 46, 60
დიხამინჯია თენგიზ 126
დოკვაძე ირაკლი 78
დოლიძე როსტომ 100, 102, 112, 128, 132, 199, 200, 202, 205, 206, 211, 238, 240, 299
დუდაევი ჯოხარ 44, 54, 55, 65, 69, 80, 106, 118, 124, 135
დუმბაძე ნოდარ 254

ე

ეგოროვი 87
ევგენიძე დათო 285
ელიავა აკაკი 246
ელიზბარაშვილი თამაზ 159
ელჩიბეი 118
ელცინი ბორის 46, 47, 55, 60, 78, 80, 86, 87, 106, 107, 111, 117, 119, 123, 126, 129, 131, 133-135, 141, 142, 145, 148, 163, 188, 244, 266, 267, 270
ერინი 87
ერქვანია ზურაბ 155, 184
ესებუა გოჩა 236, 238, 239

ვ

ვაუბედაშვილი რამაზ 56
ვაშაკიძეები (ძმები) 86, 87
ვაშაკიძე რემი 95
ვაშაყმაძე ჯულიეტა 167
ვაჩნაძე დიმიტრი 87
ვაჩნაძე დიმიტრი მერაბის ძე 130, 270
ვაჩნაძე მერაბ დიდმიტრი ძე 282

ზ

ზაკაევი აპმედ 162
ზამბახიძე ლაზო 299
ზარნაძე ბონდო 51
ზედელაშვილი გიორგი 167
ზეიკიძე დავით 10, 14-19, 21, 38, 43, 70, 72, 87, 95, 96, 114, 130
ზიუგანოვი გენადი 101, 111, 123, 129
ზოდელავა ვანო 252, 293
ზოიძე ოთარ 198
ზურაბიშვილი დათო 240

თ

თაბუკაშვილი ლაშა 79
თავყელაშვილი ზურა 254
თარგამაძე გივი 35, 58, 117
თარგამაძე გიორგი 277, 286
თარგამაძე კახა 99, 101, 108, 110, 140, 146, 147, 150, 159, 221, 236, 237, 239, 242, 257, 281, 290-292, 296, 299
თევდორაძე ელენე 157, 159, 160, 163, 279, 291, 298, 299
თევზაძე გურამ 281
თევზაძე დავით 241, 242, 281
თოფაძე გოგი 260, 264
თოფურიძე ლარა 195
თოფჩანი 107
თურმანიძე გურამ 195

ი

იაზოვი 130
იაკობიძე დავითი 12, 157, 158
იაკოვლევი ალექსანდრე 111, 117
იანაიევი 28
იანდარბიევი 124, 131
ივანოვი ბორის 95, 9
ილია II (კათალიკოს-პატრიარქი) 157, 235, 253, 257, 282
ინწკირველი გივი 242
ინჯია დავით 268,
ინჯია ფრიდონ 266, 268, 286, 297, 299
იოსელიანი ავთო 17, 140
იოსელიანი საშა 252
იოსელიანი ჯაბა 7, 10, 20, 21, 29, 31, 32, 36, 39-45, 52, 56, 58, 59, 61, 65-72, 75, 78, 80, 82-88, 90-95, 97, 99, 101, 110, 114, 118, 119, 122, 126, 130, 133, 140, 150, 159, 160, 195, 252, 253, 278, 295, 298
ისაკაძე თედო 98

კ

კავსაძე ალექსანდრე 33, 44, 113, 123
კაკაბაძე ირაკლი 168
კაკუბავა ბორის 18, 26, 28, 29, 147, 149, 184, 190, 191, 193, 194, 245
კაკუბავა ჯუმბერ 53
კაკულია ნოდარ 150
კალანდაძე გიორგი 179, 181

კალანდაძე ვახტანგ 135
კალანდია გენო 16, 21, 22, 147
კაპანაძე ვასო 187
კარაულოვი 42
კარტოზია ალეკო 282, 288, 300
კაჭარავა დევი 6
კაჭარავა იური 6, 285
კვარაცხელია ვალერი 25-27, 29, 30, 42, 43, 77, 113, 122-125, 245
კვაშნინი 160
კვაჭანტირაძე თამაზ 97, 101, 102, 121
კვეზერელი ნიკა 165
კვირაია შოთა 14-16, 19, 43, 90-92, 101, 110, 150, 158, 165-168, 219, 235, 241, 242
კვიციანი ემზარი 40, 95
კიკალიშვილი დავით 270, 287
კიკაჩეიშვილი თენგიზ 94, 95
კირვალიძე დავით 279
კირთაძე ნესტან 84, 101, 135, 252
კისილიოვი ევგენი 111, 130, 151
კიტოვანი თენგიზ 10, 27, 28, 34-37, 42, 51, 52, 61, 68-70, 73, 106, 110, 114, 118, 119, 122, 124, 126, 128, 130, 133, 150, 159
კლიმიაშვილი რამაზ 123
კლინტონი ბილ 169, 257, 269
კობახიძე გია 16, 57, 58, 95, 96, 98, 100, 112, 127, 145, 153, 263
კობახიძე მაია 97
კობერიძე ნოდარი 12
კოდუა ედუარდ 283
კოზირევი ანდრეი 40
კოკაური დათო 234
კონდრატიევი 46
კოპალეიშვილი თეილურაზ 57
კორძაძე 16
კოსტავი მერაბ 23, 115, 165, 293
კოლუაშვილი პაატა 17
კუზმინი ალექსანდრე 162
კულიკოვი 107
კუპრეიშვილი დავითი 15
კურცხალია ვალერი 163
კუჩმა ლეონიდ 81, 119, 151, 255, 275

ლ

ლაბაზანოვი 44
ლებანიძე მირიან 187, 191, 193, 194
ლებედი ალექსანდრე 129, 131, 133, 142, 145, 150, 151, 244
ლეკიშვილი ნიკო 101, 129, 130, 131, 141, 147, 163, 182, 185, 186, 209, 259, 284, 285
ლიგაჩოვი ეგორ 97, 111, 261
ლიპარტელიანი როინი 99, 276
ლიუბიმოვი 106
ლომინაძე გივი 16
ლომოური ნოდარ 31, 70, 81, 100
ლორთქიფანიძე გიგა 29, 95, 99, 256
ლორთქიფანიძე ვაჟა 129, 181, 192, 246, 258, 270, 278-281, 285, 288, 289, 294-296
ლორთქიფანიძე მარიკა 5, 40, 47, 57
ლორთქიფანიძე როზა 114, 163
ლუკიანოვი იგორი 111
ლუსკოვი სერგეი 73
ლუტკოვი იური 141

მ

მაისურაძე გიორგი 57, 58
მაკკონელი მიჩ 169
მამალაძე გია 190
მამალაძე ლევან 75, 76, 77, 78, 80, 91
მამარდაშვილი 9
მამრაძე პეტრე 16, 88
მამულია გურამ 121, 245, 255
მარგიანი ავთანდილი 6, 13, 14, 24, 29, 42, 61, 65-68, 70, 79, 99, 121, 276, 292
მარგველაშვილი პარმენ 242, 246, 299
მარშანია ადა 10, 130
მასხადოვი ასლან 131, 142, 145, 157, 185
მაღლაკელიძე თამაზ 295
მაღლაფერიძე ვასილ 275, 300
მაჭავარიანი გოგი 167
მაჭავარიანი მიხეილ 153, 155, 157, 161, 191, 244, 265, 270, 278, 284, 287, 290, 292
მაჭავარიანი მუხრან 114, 253, 258, 274, 298
მაჭარაძე ვალერიან 128
მეგრელიშვილი მარიკა 219
მეგრელიძე ჯემალ 195
მეზვრიშვილი მედიკო 11, 29, 238, 261, 279, 281
მელაძე ოლეგ 299
მელაძე პამლეტ 242
მელქაძე ოთარ 98
მენთეშაშვილი თენგიზ 254
მენაღარიშვილი ირაკლი 11, 101, 107, 140, 152, 169, 173-175, 181, 186, 194
მერაბიშვილი ვანო 286
მეტრეველი ზურაბ 20
მეტრეველი როინ 57, 116, 117, 134, 135, 143, 144,

153, 154, 166, 235, 242, 247, 253, 254, 257, 268, 276, 283, 288, 289, 299
მეფარიშვილი გია 222
მექვაბიშვილი ელგუჯა 299
მელვინეთუხუცესი ოთარ 154
მეშველიანი კარლო 58
მიმინოშვილი მიხეილ 254
მიმინოშვილი რომან 48, 121
მირიანაშვილი თემურ 14, 298, 299
მიროტაძე ანი 226
მიტროფანოვი ალექსეი 106
მიქაბერიძე რუსლან 48
მიქაძე აკაკი 36, 165
მიქაძე დემურ 15, 36, 41, 154, 242
მიქელაძე 15
მიშველაძე აჩიკო 252
მიშველაძე რევაზ 121, 160, 258
მიხაილოვი 163
მოლაშვილი სულხან 293
მოლოდინაშვილი ნუგზარ 110, 133
მოსაშვილი ზვიად 38, 55, 132
მოსაშვილი თამუნა 38, 52, 55
მურვანიძე ზურაბ 13
მუჩაიძე გურამ 13, 49, 158
მღებრიშვილი თემურ 291
მწვერაშვილი 41
მჭედლიძე გია 155

ნ

ნადარეიშვილი თამაზ 170, 178, 179, 184, 187-189, 191-193
ნადიბაიძე ვარდიკო 26, 27, 54, 56, 59, 65, 67, 70, 73, 80, 81, 85, 111, 149, 164, 166, 241, 243
ნაზარბაევი ნურსულთან 120
ნათაძე ნოდარ 27, 39, 99, 113, 126, 153, 191
ნათელაშვილი შალვა 113, 114, 196, 200, 207, 245, 252, 265
ნათენაძე გოჩა 196
ნატროშვილი ნინო 206
ნახუცრიშვილი ვაჟა 294
ნიაზოვი 188
ნიკოლაევი 55, 106
ნიკოლოზიშვილი ნიკო 56, 57, 58, 98
ნინიძე თამარ 205, 220
ნიორაძე შალვა 260
ნონიკაშვილი ნოდარ 240
ნოღაიდელი ზურაბ 262, 280, 284

ო

ოდომსი უილიამ 176
ოზგანი კონსტანტინე 140, 173, 186
ოთხმეზური გიორგი 40
ოთხოზორია გოჩა 82
ოლბრაითი მედლინ 175
ომანიძე მურმანი 22, 23, 28, 31, 33-36, 38, 39, 75, 109
ონიანი ნატო 9, 11, 38
ონოფრიშვილი დავით 144
ორჯონიკიძე იზა 93
ოსაძე მიშა 150
ოსეფაშვილი რევზო 82
ოჩიაური გოგი 263

პ

პაატაშვილი თედო 21, 39, 153
პაიჭაძე მანანა 282
პაიჭაძე ნუგზარ 299
პაპავა ლადო 54, 127, 279, 297
პასტუხოვი ბორის 194
პატიაშვილი ჯუმბერ 92, 93, 96-99, 126, 130, 135, 253, 255, 256, 258, 259, 261, 274-277
პატრიკიევი 36
პეტრიაშვილი გურამ 123
პირველი ლევან 296
პოპიაშვილი მაგდა 216
პრიმაკოვი ევგენი 110, 126, 175, 180-182, 194, 259
პუტინი ვლადიმერ 121, 270, 275, 295

ჟ

ჟვანია ზურაბ 9, 11, 13, 15, 17, 50, 77, 95, 99, 108-110, 127, 131, 136, 140, 143, 144, 149, 150, 152, 154, 155, 157, 159, 167, 168, 181, 183-185, 199-206, 208-212, 223, 230, 237, 238, 245-247, 262, 267, 275-280, 284-288, 291-294, 296-298
ჟირინოვსკი ვლადიმერი 22, 101, 106
ჟორდანია გიზო 256
ჟორჟოლიანი გია 97
ჟორჟოლიანი თემურ 16, 21, 46-51, 81, 93
ჟურავლიოვი 28,-
ჟღენტი სოსო 110

რ

რადუევი სალმან 106, 107, 235
რაზმაძე ვახტანგ 97, 257
რამიშვილი ლევან 277
რეუტი თეოდორე 74, 75
რობაქიძე გრიგოლ 160
როდიონოვი იგორ 130, 160
რურუა ჟორჟიკა 92
რჩეულიშვილი ვახტანგი 13, 16, 27, 37, 66, 80, 85, 86, 88, 89, 91, 94, 95, 99, 155, 165, 237, 238, 240, 252, 257, 258, 267, 289, 300
რჩეულიშვილი შალვა 113, 150, 159, 161, 162

ს

სააკაშვილი მიხეილ 110, 111, 120, 129, 131, 141, 144, 148-150, 152, 154, 155-159, 161, 163, 179, 180, 219, 220-222, 226, 227, 229, 237, 239, 243, 247, 258, 260, 264, 266, 267, 269, 270, 275, 279, 280-287, 290-292, 296-299
საბანაძე ემზარ 242
სალარიძე დავით 258, 259, 264, 266
სალუქვაძე მინდია 31
სამამბა 186
სანაია გიორგი 170, 173-176, 181, 187, 195, 293
სანიკიძე ლევან 130, 135, 242, 257
სართანია ვახტანგ 155
სარიშვილი ირინა 8, 23, 26, 29, 31, 34, 35, 37, 42, 48, 54-58, 60, 65-67, 69, 70-72, 78-81, 83, 85, 87-93, 100, 101, 106, 109, 112, 120, 124, 127, 131, 133, 134, 136, 141, 144, 146-148, 150, 153, 155, 158, 162, 165, 167, 180, 182, 205, 208, 209, 235, 241-244, 247, 265, 268, 269, 278, 280, 293
საყვარელიძე რამაზ 128, 293
სვანიძე ციალა 242
სიგუა თენგიზ 15, 17, 46, 47, 51, 52, 68, 70
სიგუა სოსო 153
სიორიძე ზაზა 290
სელეზნიოვი გენადი 109, 110, 135, 136, 142, 172, 275
სილაგაძე ავთო 299
სმირბა ასლან 207
სოლანა ჰავიერ 145
სოლტენიცინი (მწერალი და დისიდენტი) 151
სტეპაშინი 87
სტურუა დეკი 254
სუბელიანი სოზარ 135
სულაკაური არჩილ 166
სულაძე გელა 165
სურგულაძე აკაკი 32
სურგულაძე ირაკლი 68, 70, 106
სურგულაძე პაატა 93
სურმანიძე ედუარდ 100, 195-199, 202, 203, 205, 212, 237, 240, 267, 274

ტ

ტაბიძე ნოდარ 242
ტატიშვილი თამაზი 19
ტერ-პეტროსიანი ლევონ 55, 124, 234
ტოკლიკაძე ლია 10
ტურაშვილი დათო 49, 57, 58, 71, 164, 165, 168, 254, 287
ტყემალაძე ზურაბ 260
ტყეშელაშვილი დავით 293

უ

უდუგოვი მოვლად 163
ურდია მერაბ 39, 91
უძილაური გიორგი 73, 200, 286, 295

ფ

ფანჩულიძე თამაზ 119
ფანჯიკიძე გურამ 12, 90, 91, 113, 145
ფალავა ალექსანდრე 195
ფაცაცია გერმანე 147, 154, 157, 176-178, 183, 184, 188, 189, 191
ფაცაცია ოთარ 6, 11, 14, 23, 29, 42, 57, 61
ფილია ედუარდ 186
ფიოდოროვი 29
ფირანიშვილი პაატა 100
ფირცხალავა გერსამე 128
ფირცხალავა კონსტანტინე 252
ფირცხალაიშვილი ჯონი 164
ფისუნენკო 68
ფისუნი ვალერი 106, 133
ფიფია თემურ 126, 191
ფიფია თორნიკე 167
ფოფხაძე ნუგზარ 146, 257, 263, 264
ფუტკარაძე ტარიელ 222

ქ

ქადაგიშვილი ირაკლი 8, 28, 48
ქარსელაძე ვოვა 293
ქარცივაძე ბესო 241, 242
ქვილითაია ოთარ 150
ქობალია ვახტანგი (ლოთი) 28, 30, 41, 97, 110, 119, 120, 126, 129, 133, 236, 276, 278, 290
ქობალია ზაურ 278
ქორიძე თემურ 253
ქორიძე კახა 48, 97
ქოჩარიანი რობერტ 235, 275
ქუთათელაძე ვახტანგ 153, 167, 235, 247, 281, 290
ქურდაძე თორნიკე 50

ღ

ღარიბაშვილი ქართლოსი 99, 212
ღვაძაბია დავით 191, 194
ღვინჯილია ლევან 141
ღვინჯილია ჯანსუღ 127
ღოღობერიძე მანანა 100, 247

ყ

ყანდიაშვილი კოკა 53
ყარაშვილი ჰენრი 299
ყარყარაშვილი გია 5, 6, 7, 10, 15, 20, 21, 27, 30, 31, 45, 47, 69-72, 108, 109, 241, 242, 244, 263, 264, 285
ყარყარაშვილი გოჩა 6
ყარყარაშვილი ნოდარ 6
ყიფიანი რევაზ 69, 89, 92, 99
ყიფიანი ჯიმი 282
ყოლბაია ვახტანგ 179
ყუფარაძე გია 230

შ

შავიშვილი რეზო 53, 54, 128, 129, 280
შაიშმელაშვილი სანდრო 252
შაკიაშვილი ლუიზა 8, 19
შამბა სერგეი 173, 181
შამილაძე ვახტანგ 195, 198
შანიძე ვაჟა 238, 239
შარაბიძე დათო 299
შარაძე გურამ 124, 144, 205, 206
შარტავა ციული 245, 260
შაფაქიძე ირაკლი 242, 294
შაშიაშვილი თემურ 79, 93, 94, 109, 112, 117, 127, 153, 242, 246, 278, 280, 300
შევარდნაძე ედუარდ 6-20, 23-60, 65-71, 73, 76-85, 87-99, 101, 108, 110-113, 116, 117, 119-126, 128, 130, 132, 13-135, 140-146, 148, 150-153, 156, 159, 161-164, 166, 167, 169-171, 173, 174, 178, 180-183, 186, 188-191, 195, 197, 201, 202, 208-212, 225, 234-236, 238, 239, 243-248, 252-258, 260-262, 266, 274-277, 279, 281, 282, 284, 288, 289, 292, 293, 295, 298, 299
შევარდნაძე მანანა 132
შევარდნაძე ნუგზარ 127, 144
შევარდნაძე პაატა 38, 52, 140, 287
შენგელაია ელდარ 9, 39, 71, 98, 100, 168, 237, 262, 267, 291
შენგელია დათო 92
შენგელია რომან 166, 300
შეშელაშვილი ომარ 51
შიოლაშვილი გოგი 58
შონია ზურა 239
შუბითიძე ზაზა 167
შუმეიკო 29, 87, 172
შურღაია ვალტერ 30, 82, 86, 278
შუშანაშვილი ალექსანდრე 112

ჩ

ჩალაძე კორნელი 75
ჩარკვიანი გელა 169
ჩარკვიანი ჯანსუღ 48, 166, 254, 255, 261, 274
ჩახვაძე გურამ 127, 199
ჩერნომირდინი ვიქტორ 86, 101, 148
ჩეჩელაშვილი გია 50
ჩიბიროვი ლუდვიგ 125, 126, 140, 202
ჩიკვაიძე ალექსანდრე 13, 101, 140
ჩიტაია კახა 281
ჩიქოვანი ვლადიმერი 39
ჩიხრაძე ფიქრია 11, 56, 71, 72, 98, 285
ჩლაიძე პაატა 40
ჩუბაისი ანატოლი 29, 111, 148
ჩუბინაშვილი ირაკლი 285
ჩხაიძე ზურაბ 147, 257
ჩხარტიშვილი ვანო 295
ჩხეიძე თამარ 27, 48, 156, 254
ჩხეიძე პეტრე 279
ჩხეიძე როსტომ 160
ჩხენკელი მერაბ 286
ჩხიკვაძე რამაზ 31, 166
ჩხიკვიშვილი დავით 254
ჩხობაძე ნინო 281

ცა

ცაავა ლონდერ 184
ცეცხლაძე ზვიად 257, 262
ცინდელიანი 16
ცისკაძე ნუკრი 252

ძ

ძიძიგური ზვიად 110, 133, 276, 278
ძუგაევი 140

წ

წერეთელი ავთო 143
წერეთელი ზურაბ 66
წერეთელი ირაკლი 8, 35, 41, 46, 50, 85, 113, 152, 153, 155, 191, 253
წივნივაძე თამაზ 159, 160, 257, 288, 292
წულეისკირი ნოდარ 263
წულუკიძე ილია 237

ჭ

ჭანტურია გია 8, 9, 10, 12, 29, 35, 41-43, 48, 51, 53-60, 65-67, 70, 72, 75, 89, 91, 93, 100, 109, 112, 118, 133, 134, 158, 253, 254, 268, 282
ჭანტურია გია 181
ჭედია იური 13
ჭელიძე ანდრო 59, 274
ჭელიძე ლონგი 90, 91
ჭიაბერაშვილი ზურაბ 283
ჭილაძე ზაზა 159, 160,
ჭილაძე ოთარ 160
ჭინჭარაული 16
ჭკუასელი ვახტანგ 292
ჭკუასელი მიხეილ 158, 237, 246, 247, 248
ჭოხონელიძე ნათელა 154
ჭუმბურიძე გიორგი 295, 298
ჭუმბურიძე კობა 127
ჭუმბურიძე ჯემალი 20
ჭყონია თემურ 143, 285

ხ

ხაბეიშვილი სოლიკო 13, 61, 86, 92, 95, 97, 158
ხაბულიანი დილარ 207
ხაზარაძე ვიტალი 292
ხაზარაძე მამუკა 285
ხაინდრავა გოგა 75, 126, 154, 156
ხაინდრავა ივლიანე 52, 66, 113, 153, 263,
ხარაზი თამაზ 199, 200, 202-206, 209-211
ხარატიშვილი იოსებ 267
ხატიაშვილი ქეთი 134, 221
ხატიძე ბადრი 276
ხაჩიშვილი თემური 14, 19, 76, 79, 80, 86, 90, 92, 94, 95, 101
ხაჭაპურიძე ვაჟა 125
ხეცურიანი ჯონი 220, 290
ხმალაძე ვახტანგ 260
ხმალაძე ოთარ 242
ხოზრევანიძე ნოე 195
ხოშტარია გოგი 263
ხუნდაძე გოჩა 43, 48, 52, 100, 294
ხუროძე თემურ 166, 242, 246, 257, 299, 300
ხუხუნაიშვილი ვანო 15, 109, 127, 153, 199, 263

ჯ

ჯავახია ბეჟან 95
ჯავახიშვილი აკაკი 166
ჯავახიშვილი ნიკო 56, 57, 297
ჯავახიშვილი ნოდარ 92, 157
ჯაველიძე ელიზბარ 8, 12, 33, 48, 72, 94, 95, 118, 153, 160, 253, 258, 274, 291
ჯანელიძე ჯონი 156
ჯანყარაშვილი მაია 213
ჯაფარიძე ოთარ 47, 242
ჯაფარიძე თედო 169
ჯაფარიძე რეზო 29, 51
ჯაფარიძე როსტომ 267
ჯერგენია ანრი 181
ჯიბუტი მიხეილ 8, 48, 263
ჯინჯოლია სოკრატ 41, 140
ჯიქია გია 147
ჯიქია საშა 148

ჰ

ჰუსეინოვი სურეტ 118, 119

სარჩევი

1994 წელი 4
1995 წელი 63
1996 წელი 104
1997 წელი 138
1998 წელი 232
1999 წელი 250
2000 წელი 272